

ს ა ს ქ ო ლ ო ბ ი ბ ლ ი ო თ ე ქ ა

ვიქვორ ჰუმო

ოთხმოცდასამეფი წელი

თარგმანი ფრანგულიდან ზ. მაკაფარიანისა

მეორე გამოცემა

ს ა ს ქ ო ლ ო ბ ი

19 37 წელი

მნატვარი ალ. გრიგულაშვილი

პირველი ნაწილი

წიგნი

ნ ი ბ ნ ი პ ი რ ვ ე ლ ი

სოღრეს ტყე

1793 წლის მაისის უკანასკნელი დღეები იყო. პარიზიდან სანტერის მიერ წაშოყვანილი ერთი ბატალიონთაგანი დარევოდა საშიშარ სოღრეს ტყეს ასტილეში. *) სამასი კაციღა დარჩენილიყო, რადგან ბატალიონს მრავალი ხალხი დაჰკლებოდა იმ დროის საშინელ ომში. ეს ის დრო იყო, როდესაც არგონის, ემეაპისა და ვალმის **) ბრძოლის შემდეგ პარიზის პირველ ბატალიონს ექვსას მოხალისეთაგან ოცდაშვიდი კაციღა დარჩენოდა, მეორეს — ოცდაცამეტი და მესამეს — ორმოცდაჩვიდმეტი. ეს იყო ხანა ეპიკური ომებისა.

პარიზიდან ვანდეში გაგზავნილ თითო ბატალიონს ცხრაასთორმეტი კაცი ჰყავდა და სამ-სამი ზარბაზანი ჰქონდა. ძალიან საჩქაროდ გაგზავნეს ეს ჯარი ვანდეში. ***) გოიეს, მართლმსაჯულების მინისტრის, და ბუშოტის, სამხედრო მინისტრის დროს, 25 აპრილს, სიკეთის საბჭოს განყოფილებამ აღძრა შუამდგომლობა, ვანდეში მოხალისეთა ჯარი გავგზავნოთ; კომუნის წევრმა ლუბენმა სათანადო მოხსენება შეადგინა და პირველ მაისს სანტერს უკვე მზად ჰყავდა; გასაგზავნად თორმეტი ათასი კაცი, ოცდაათი ზარბაზანი და ერთი ბატალიონი მეზარბაზნენი. ასე სასწრაფოდ შეკრებილი ბატალიონები ისე კარგად იყვნენ შედგენილი, რომ დღევანდლამდე მაგალითად დარჩენილან და ამ ბატალიონების შემადგენლობით ხელმძღვანელობენ დღესაც საომარი რაზმების მოსაწყობად, ოღონდ შესცვა-

*) ასტილე — პროვინციის სახელია

**) არგონი, ემეანი და ვალმი სოფლების სახელებია.

***) ვანდეა — დასავლეთ საფრანგეთის პროვინცია, რომელიც კონტრრევოლუციურ აჯანყებათა ცენტრი იყო. ამ ბრძოლებში საფრანგეთის რესპუბლიკის ჯარებმა უკუაგდეს ევროპის მონარქების თავდასხმა.

ლეს ძველი ოდენობა სალდათებისა და ათისთავებისა.

28 აპრილს პარფზის კომუნამ *) ეს ბრძანება მისცა სანტერის მოხალისეებს: არავითარი შებრალება, არავითარი ლმობიერება! პარიზიდან წამოსულ თორმეტათას კაცისგან მაისის გასულს რვა ათასი უკვე მკვდარი იყო.

სოდრეს ტყეში შეგზავნილი შატალიონი დიდი სიფრთხილით მიიწევდა წინ. საშიში იყო აჩქარება. ერთსა და იმავე დროს წინაც იყურებოდნენ 'მიმავალნი, უკანაც, მარჯვნივაც და მარცხნივაც. კლებერმა თქვა, კარგ სალდათს ზურგზედაც უნდა ჰქონდეს თვალიო. კარგა ხანი იყო, წინ მიიწევდნენ ტყეში. რამდენი საათი იქნებოდა? ძნელი იყო ამის თქმა, რადგან იმისთანა ტევრ ტყეში ერთგვარი ბინდი დვას ყოველთვის და სინათლე არსაით მოჩანს.

სისხლით იყო მორწყული სოდრეს ტყე. ამ ტყეში დაიწყო 1792 წ. ნოემბერში სამოქალაქო ომის უდიერობა. ამ ტყეში დანავარდობდა კოკლი, სისხლით გაუმადლარი მუსკეტონი. თმა აეშლებოდა ადამიანს, რომ დაეთვალა, რამდენ კაცს აუგვს ანდერძი ამ ტყეში. სხვაგან არსად იყო ამისთანა საფრთხე. დიდი სიფრთხილით მიდიოდნენ სალდათები. გაზაფხულებზე ყვაოდა იქაურობა. ცოცხალ, მერყევ მწვანე კედლებს შორის იძროდა ჯარი და თავში ხვდებოდა აყვავებული ტოტი თავისი სუნნელებითა და სიგრილით. აქაიკ მზის სხივი შეეპარებოდა დაბურულ ტოტნარს და შუქს სცემდა ამწვანებულ ბუჩქნარს. მიწას აყვავებული საკადრისა ამშვენებდა, კაობის ზამბახი, გარეული ნარგიზი, კაიდარის მაჩვენებელი კოპწია კურდღლისფრჩხილა, გაზაფხულის ზაფრანა, და ნაქარგივით მოსდებოდა მცენარეულ ორხოს, რომელშიც მრავლად ჩარეულიყო სხვადასხვაგვარი ხავსი. ზოგი მატლივით შეკუმშული და ზოგი ვარსკვლავივით მოციალე. ნელი ნაბიჯით მიდიოდა რაზმი, ხმის ამოუღებლივ. ძლივს იკვლევდნენ ბუჩქნარში გზას. ხიშტებს ზემოდან ჩიტები დაჰგალობდნენ.

სოდრე ძველად ერთი იმ ყორულთავანი უნდა ყოფილიყო, რომელშიაც შშვიდობიანობის დროს ფრინველზე ნადირობდნენ ლამითა ახლა კი ადამიანზე ნადირობდნენ ამ ტყეში.

არყის ხეები, წიფელა, მუხა... მიწა ისე იყო დაფარული ხავსითა და ყვავილებით, რომ მიმავალთა ფეხის ხმა არ ისმოდა. კვალი

*) კომუნები საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ეწოდებოდა ქალაქის თვითმართველობებს. პარიზის კომუნამ 1789 — 1794 წ.წ. დიდი რევოლუციური როლი შეასრულა საფრანგეთის ცხოვრებაში.

არსად ჩანდა ნაეალი, და თუ გამოჩნდებოდა სადმე, იქვე იკარგებოდა. ჭეორი, კვრინჩხი. გვიმრა, ღობესავეთ ამართული ნარეკალი, ეკლით მოსილი მაცვალი. ადამიანს ვერ დაინახავდით იქვე, ათ ნახვიჯზე რომ მდგარიყო. ხანდახან ოყარი გაიფრთხილებდა ხის ტოტებში, ან წყლის ქათამი. ჭაობი უნდა ყოფილიყო იქვე ახლო.

წინ მიიწევდა რაზმი, შემთხვევის ანაბარად, გულის ფანცქალითა და შიშით, — არსად შეეხვდეთ, ვისაც ვეძებთო.

აქაიქ ნაბანაკებს წააწყდებოდნენ ხოლმე — ამომწვარ მიწას, გათელილ ბალახს, ჯვარად შეკრულ ჯოხებს, სისხლით შესვრილ ხეებს. აქ ვახშამი ეჭამათ მტრებს, იქ წირვა მოესმინათ, ან დაჭრილებისთვის მოევლოთ, ჭრილობა შეეხვიათ, მაგრამ გაეარათ და გამჭრალიყვნენ. სად იყვნენ? ვინ იცის? შორს სადმე მიმაღულიყვნენ, თუ იქვე იყვნენ ახლო სადმე ჩასაფრებულნი და ჩახმახზე ედვათ ხელი? ტყე მიყრუებულს ჰგავდა და ახლა უფრო მეტი სიფრთხილით მიდიოდა ბატალიონი. დუმილი, მაშ უნდობლობა. მტერი არსად ჩანდა, მაშ უფრო მოსალოდნელი იყო რაიმე საფრთხე. ავი სახელი ჰქონდა გავარდნილი. ამ ტყეს.

ალბათ ჩასაფრებული იყო სადმე მტერი.

ბატალიონს მსტოვრად გამოეყო ოცდაათი კაცი და ათისთავისთვის დაევალებინა მათი უფროსობა. თვითონ კი კარგად დაშორებით უკან ჩამორჩენოდა თავის მეკვლე რაზმს. ბატალიონის მიკიტანი ქალიც მსტოვრებთან იყო. მიკიტანი ყოველთვის ხალისიანად მისდევს წინმავალს: განსაცდელი მეტია, მაგრამ სანახავიც მრავალი, ცნობისმოყვარეობა არის ერთი თვისებათაგანი დედაკაცის გულადლობისა.

და უცბად როგორღაც შეჟრჟოლდნენ ამ პატარა რაზმის სალდათები — მონადირეთაგან კარგად ცნობილი გრძნობა, რომ უკვე მიაგნეს ნადირის ბუნაგს. თითქო სუნთქვა შემოესმათ ბუჩქნარიდან და ფოთლების შრიალი.

დარაჯობას და გუშაგობას რომ მსტოვარს მიანდობენ, ოფიცრების საქმეში ჩარევა საჭირო აღარ არის; თავისთავად რიგდება, რაც გასარიგებელია.

თვალის დახამხამების უმალ გარს შემოეხვივნენ იმ წერტს, სადაც ფოთლების მოძრაობა შენიშნეს, და დაუმიზნეს ნიშტიანი თოფები. მიზნად დაიდეს ბნელი, შუაგული ბუჩქისა, ჩახმახი ასწიეს. თვალს არ აშორებდნენ საეკვო ბუჩქს და ათისთავის ბრძანებასდა ელოდნენ, რომ ოცდაათი ტყვია დაეხალათ.

მაგრამ მიკიტანმა გაბედა. აქეთ-იქით მისწია ბუჩქის ტოტები, შეიქყიტა და სწორედ იმ წამს, როდესაც ათისთავს ბრძანება უნდა გაეცა — ესროლეთო, იმან სხვა ბრძანება გასცა:

— გაჩერდით!

მერე სალდათებს გადახედა:

— არ ესროლოთ, ამხანაგებო!

და სწრაფად შეძვრა ბუჩქნარში. მსტოვრებიც მიჰყვნენ.

და მართლაც ვილაც იყო ბუჩქებში მიმაღლული.

ბუჩქნარის შუაგულში პატარა ადგილი იყო მოტიტვლებული, რომელსაც ნახშირის გამოსაწვავი ორმო სტოვებს ტყეში. ისე იყო, თითქო მწანე ბალახით აგებული, წალოს ოდენი ოთახი არისო. ორმოში დედაკაცი იჯდა. გულში ჩაკრული ბავშვი ჰყავდა და ძუძუს აწოვებდა. ორ ბავშვს კი თავი დაედვა დედის მუხლებზე და ტკბილად ეძინათ.

ეს იყო საფარი.

— აქ რა გინდა, ამ უდაბურ ტყეში? — შეჰყვირა მიკიტანმა.

პასუხის გაცემა ვერ შესძლო დედაკაცმა.

და კვლავ შეუტია გაბრაზებულმა;

— შეშლილი უნდა იყოს ადამიანი, რომ აქ მოსულიყოს ამ დროს!

და დაუმატა:

— ცოტა კიდევ და სულს გაგანთხევენებლით ოთხივეს!

მერე ჯარისკაცებს მიუბრუნდა:

— ქალი ყოფილა ამხანაგებო!

— ბეჩავ! განა ჩვენ კი ვერა ვხედავთ? — მიუგო ერთმა სალდათმა.

მიკიტანი კი ისევ დედაკაცს მივარდა:

— ამოსაწყვეტად წამოიყვანე ბავშვები ტყეში? გიჟი ხომ არა ხარ, ადამიანო?

გაშტერებულიყო დედაკაცი, გაქვავებულიყო შიშით და, თითქო საზარელ სიზმარსა ხედავსო, გონებამიხდილივით შესცქეროდა იმ თოფებს, ბიშტებს, ხმლებსა და მოჭურუშებულ კაცებს.

ბავშვებსაც გამოელვიათ.

— პური მშია, — დაიძახა ერთმა.

— მეშინია, — დაიძახა მეორემ.

პატარა კი ისევ ძუძუს წოვდა. ●

ამ პატარას გადახედა მიკიტანმა:



— მართალი ხარ, პაწიაე! მოწოვე, მოწოვე!

ათისთავმა დაუყვირა დედაკაცს:

— ნუ გეშინიათ! ჩვენ წითელქუდა ბატალიონიდან ვართ.

თავით ფეხამდე თრთოდა საწყალი. შეხედა ათისთავს — პირქუში სახე, ჯაგარივით აშლილი წარბწამწამი, გრძელი წვერულვაში და ორი ნაკვერჩხალი. თვალების ალაგას.

— აქამდე კი წითელი ჯვარისად წოდებულ ბატალიონიდან, — დაუმატა მიკიტანმა.

ათისთავმა კითხვა დაუწყო:

— ვინა ხარ ქალო?

მაგრამ პასუხს არ აძლევდა და შეჰყურებდა გულგახეთქილი. ყმაწვილი ქალი იყო, გამხდარი, გაყვითლებული, ძველი ტანსაცმელით მოსილი. თავზე ძველი, ბრეტანული თავსახვევი ჰქონდა, კაბაზე ხელის საფარი, ბაწარით კისერზე ჩამოკიდებული. მდებარეული დაურიდებლობით არავის უმაღავდა თავის ტიტველ ძუძუს. არც წინდა ეცვა, არც ფეხსაცმელი და მთლად დასისხლიანებული ჰქონდა ფეხები.

— ლარიბია, უბედური! — წამოიძახა ათისთავმა.

ახლა მიკიტანი გამოელაპარაკა თავისი სალდათური, მაგრამ ქალის ტკბილი ხმით:

— რა გქვია?

ლულულულით უპასუხა, ძლივს ისმოდა იმისი სიტყვა:

— მიშელ ფლეშარი.

მიკიტანი ამ დროს ძუძუმწოვარს უაღერებდა, თავზე უსვამდა თავის ტლანქ ხელს:

— რამდენი ხნისაა ეს კუდრაქა?

დედამ ვერ გაიგო. კითხვა გაუმეორეს:

— რამდენი თვისა არის ეს ბავშვი?

— ჰოო! თვრამეტი თვისა გახლავთ.

— დიდი ყოფილა, — თქვა მიკიტანმა, — რალა დროს ამისი ძუძუა? გავაშვებინოთ, ახლა წვენი ვაჭამოთ.

ნელნელა გონებას იკრებდა დედა. ორ პატარას უკვე ეღვიძათ და უფრო ცნობისმოყვარეობა ეტყობოდათ, ვიდრე შიში, და ალტაცებით შესცქეროდნენ ჯარისკაცების მორთულობას.

— ოჰ! — ამოიკვნესა დედამ — შიმშილით დამეხოცებიან ეს უბედურები!

და დაუმატა:

— რძეც რომ აღარა მაქვს ძუძუში!

— პურს გაქმევთ, ნუ გეშინია, — ამწვიდებდა ათისთავი, — შენცა და მაგათაც. მაგრამ საქმე შიმშილი კი არ არის. ჯერ შენი პოლიტიკური რწმენა ვნახოთ.

ისევ ისე გაშტერებით შესცქეროდა ათისთავს დედაკაცი და პასუხს არ აძლევდა.

— ხომ გაიგონე, რას გკითხავე?

— სულ პატარა ვიყავ, მონასტერში რომ შემიყვანეს, მაგრამ გავთხოვდი, სარწმუნოებას არ ვეკუთვნი. მოლოზნებმა ფრანგული მასწავლეს... ჩვენს სოფელს ცეცხლი წაუკიდეს. ისეთი სისწრაფით გამოვიქეცი, რომ ფეხსაცმელის ჩაცმაც კი ვერ მოვასწარ.

— მე შენ პოლიტიკურ რწმენას გკითხავე! შენი რწმენა?

— არ ვიცი.

ათისთავი არ იშლიდა:

— ჯაშუშებით გაიგსო ქვეყანა! ვაი იმათი ბრალი. სულ ტყავეს გავაძრობთ, საცა მოვასწრებთ! ჰო და სთქვი! ბოშა ხომ არა ხარ? სად არის შენი სამშობლო?

ის კი შესცქეროდა ათისთავს ხმისამოუღებლივ. ეტყობოდა, ვერა გაეგო რა.

ათისთავმა გაუმეორა:

— სად არის შენი სამშობლო?

— არ ვიცი.

— როგორ? ისიც არ იცი, სადაური ხარ?

— აჰ, სადაური ვარ, ვიცი.

— ჰო და სადაური ხარ?

ახლა კი უპასუხა;

— სისკუნარელი გახლავართ, აზეს სამწყსოდან.

ახლა ათისთავის რიგი იყო, ახლა ის შესცქეროდა გაოცებული. ერთ წამს ჩაფიქრებული იდგა. მერე ჰკითხა:

— სადაურიო?

— სისკუნარელი.

— განა სისკუნარი სამშობლოა?

— მე იქაური გახლავართ.

და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დაუმატა:

— მივხვდი, ბატონო, თქვენ ფრანგები ხართ, და მე ბრეტანელი. *)

*) ბრეტანი — პროვინციაა საფრანგეთში, სადაც ძველად დამოუკიდებელი საგრაფო არსებობდა.

- მერე რაო?
- სხვადასხვა ქვეყნებია.
- ორივე ჩვენი სამშობლოა — შეჰყვირა ათისთავმა.
იმან მაინც თავისი არ დაიშალა:
- მე სისკუნარელი ვარ.
- ხარ და იყავ სისკუნარელი, — დაჰყვა ათისთავი. — იქაურია
მაშ შენი ოჯახი?
- დიახ.
- რას აკეთებ?
- სულ დაიხოცნენ. ცოცხალი აღარავინ მყავს.
მქვერმეტყველი კაცი იყო ათისთავი და განაგრძო დაკითხვა:
- აი დალახვრა!.. მშობლები ჰყავს, ყველა ჩვენგანს, ან არა
ჰყავს იგინი. ვინა ხარ შენ?
- ჰყავს, ან არა ჰყავს იგინიო, ამის ვერა გაიგო რა საწყალმა და
შეჰყურებდა განცვიფრებული.
- მიკიტანმა იგრძნო საჭიროება ბაასში ჩარევისა — ალერსი დაუ-
წყო ძუძუმწოვარს, და ცხვირში წკიპურტი ჰკრა ორ პატარას:
- რა ჰქვია ამ გაუმაძღარ გოგონას?
- ჟორჟეტი. — უპასუხა დედამ.
- უფროსს? უკვე ვაჟაკია, ეს საძაგელი!
- რენე-ჟანი.
- უმცროსს? ესეც ვაჟაკია; ეს გაბლინძული ესა!
- გრო-ალენი.
- კარგი ბავშვები არიან, ცუტუნები! ისე გვიყურებენ, რო-
გორც შეგნებული ადამიანები.
- ათისთავს კი ჯერაც არ გაეთავებინა:
- მაშ მიპასუხე, ქალო! სახლი გაქვს?
- სახლი მქონდა.
- სადა?
- აზეში.
- მერე რატომ შენს სახლში არა ხარ?
- იმიტომ, რომ სახლი დამიწვეს.
- ვინა, ვინ?
- აბა, რა ვიცი? ბრძოლა იყო.
- საიდან მოდიხარ?
- იქიდან.
- სად მიხვალ?

— რა ვიცი?

— ჰო და გავათავოთ! ვინა ხარ შენ?

— არ ვიცი.

— არ იცი, ვინა ხარ?

— ის ვიცი, რომ განსაცდელს გამოვექეცი.

— რომელ პარტიას ეკუთვნი!

— არ ვიცი.

— თეთრებისკენ ხარ თუ ლურჯებისკენ? *) ვისთან ხარ?

— მე ჩემ შვილებთან ვარ.

მიჩუმდა ყველა. ცოტა ხანს უკან მიიკიტანმა თქვა:

— მე შვილები არა მყავს. ვერ მოვიცალე.

ღუ ისევ ათისთავმა დაიწყო:

— შენი მშობლები? გვითხარ და გაათავე, ქალო, ვინ არიან შენი მშობლები? აი მე რადუბი ვარ, ათისთავი, პარიზში შერშ-მი-დის ქუჩაში გვაქვს სახლი. მამაჩემიც იქ ცხოვრობდა, დედაჩემიც. აი, როგორ ვასახელებ ჩემს მშობლებს. შენც დამისახელე შენები: ვინ იყვნენ შენი მშობლები?

— ფლეშარები იყვნენ, მორჩა და გათავდა.

— ჰო, ფლეშარი ფლეშარია, და რადუბი — რადუბი. მაგრამ ხელობა ექნებოდათ რამე. რა ხელობისა იყვნენ შენი მშობლები? რას აკეთებდნენ? რას აკეთებენ? რით ცხოვრობენ? რას ფლეშარობენ შენი ფლეშარები?

— ხნავდნენ, თესავდნენ. მამაჩემი ხეიბარი იყო, მუშაობა არ შეეძლო იმიტომ, რომ ჯოხით გაალახვინა ბატონმა, მამაჩემის ბატონმა, ჩვენმა ბატონმა, რადგან მამაჩემმა ბატონის ყორულში ერთი კურდღელი მოჰკლა. ძალიან ღვთისნიერად მოიქცა მაშინ ბატონი, რადგან ბატონის ყორულში მონადირეს სიკვდილით სჯიდნენ ყველას. მაგრამ ბატონმა შეუწდო და ბრძანა: ჯოხით სცემეთ, ასი დაჰკარითო. და ხეიბრად დარჩა მამაჩემი.

— მერე?

— პაპაჩემი ჰუგენოტი **) იყო. ჩვენმა მღვდელმა დააჭერინა თურმე და ციხეში დააღპობინა. მე პატარა ვიყავი.

*) საფრანგეთის რესპუბლიკის ჯარისკაცები ატარებდნენ ლურჯ მუნდირებს.

**) ჰუგენოტები—ფრანგი პროტესტანტები, რომლებიც რელიგიურ ბრძოლას აწარმოებდნენ კათოლიკური ეკლესიისა და საფრანგეთის კათოლიკე მფემების წინააღმდეგ მე — 16 საუკუნეში.

— მერე?

— ჩემი მამამთილი საზღვარგარეთიდან მარილს ეზიდებოდა ფარულად. დაიჭირეს და ჩამოახრჩეს მეფის ბრძანებით.

— შენი ქმარი რაღას აკეთებს?

— ომში იყო და იბრძოდა.

— ვისთვის იბრძოდა?

— მეფისთვის!

— მერე?

— მერე ბატონისთვის.

— და მერე?

— და მერე კიდევ ჩვენი მღვდლისთვის!

— თქვენც შეგარცხვინათ, თქვენი მღვდელიც, თქვენი ღმერთიც! — შეჭყვირა ერთმა სალდათმა.

ისევ კანკალი მოერია დედაკაცს.

— იცი, ჩვენ პარიზელები ვართ, — უთხრა დაყვავებით მიკიტან-ქალმა.

დედაკაცმა ხელები აღაპყრა. ცისკენ და შეჭლადა:

— ღმერთო ძლიერო! — ღმერთო დიდებულო!

— კმარა ეგ ცრუმორწმუნობა! — შეუტია ათისთავმა.

დედაკაცს გვერდით მიუჯდა მიკიტანი და კალთაში ჩაისვა უფროსი ბიჭი. ისიც მიჰყვა, არ იუცხოვა. ბავშვი ერიდება უცხოს, ან თვითონვე მიიწევს იმისკენ, მაგრამ ვინ იცის, რით ხელმძღვანელობს? რაღაც შინაგანი წინაგრძობა უნდა მოქმედებდეს მის გულში.

— მართლა ლამაზი შვილები გყავს, შე საცოდავო აქაურო, ცოცხალი მარგალიტები! ეს ოთხი წლისა უნდა იყოს, შუათანა-სამისა, ეგ შენი ჭუჭუმწოვარი კი, ღორმუცელაა სწორედ, ეგ გაუმძღარი ეგა! გეყოფა გოგო, ხომ არ შესჭამ დედაშენს! ჰოდა ნუ გეშინია, ქალო. შემოდი ჩვენს ბატალიონში. ჩემსავით ემსახურე ამხანაგებს. მე ჰუზარი მქვია. ეს მეტი სახელია ჩემი. მე კი ჰუზარს რომ მეძახიან, ეს უფრო მომწონს, ვიდრე „ქალო ბიკორნო“, დედაჩემს რომ ეძახდნენ ხოლმე. მე ბატალიონის მიკიტანი ვარ და თითო ყლაპ სასმელს ვაწედი ამ ბიჭებს, როდესაც ბრძოლაში არიან და ყელს სჭრიან ერთმანეთს. ავი სული და იმისი წადილი! ჩემი ფეხის ტოლი უნდა იყოს შენი ფეხი და ჩემ ფეხსაცმელს მოგცემ. პარიზში ვიყავ აგვისტოს ათს. ვესტერმანსაც მე დავალევი. ძალიან სერიო იყო,

გილოტინაზე *) რომ ააბრძანეს ლუი მეთექვსმეტე **) და თავი გააგდებინეს. აი, ლუი კაპეს ***) რომ უწოდებენ. დიდ უარზე ბრძანდებოდა, არ მინდა გილოტინაო, წარმოიდგინე: იანვრის ცამეტს იჯდა თავისთვის დამშვიდებული თავის ცოლშვილში და წაბლს აწვევინებდა ბავშვებისთვის. რომ აიყვანეს გილოტინაზე, დაწოლა არ ინება, გაუძალიანდა. სტაცეს ხელი, გაშხლართეს. აღარც ტანისამოსი ჰქონდა, აღარც ფეხსაცმელი. პერანგილა შერჩენოდა. ლურჯი მათდის შალვარი და აბრეშუმის ლურჯი წინდები. ჩემი თვალით ვნახე. ეტლით მოაბრძანეს დასასჯელად. მწვავედ იყო შეღებილი იმისი ეტლი. შემოდი ჩვენს ბატალიონში! სულ კაი ბიჭები არიან ეს ამხანაგები და შენც მიკიტან-ქალი იქნები; ნუმერი ორი. მე გასწავლი საქმეს, ისეთი ადვილია, ისეთი ადვილი! ერთი კარგი გოზაური და ერთიც პატარა სასმისი! როგორც კი დაიწყება ბრძოლა, ატყდება თოფის სროლა და ზარბაზნის ჭექა-ჭუხილი, შეხვალ მებრძოლ რიგებში და დაიყვირებ: — პირი გაისველეთ, ბიჭებო! არა გწყურიათ? ამაზე ადვილი რა იქნება? მე ყველას ვასმევ, ვინც უნდა იყოს, გარწმუნებ! თეთრებსაც და ლურჯებსაც, თუმცა მე თითონ კი ლურჯი ვარ. და ძალიან კარგი ლურჯი! მაგრამ ყველას ვასმევ! წყურვილით კვდება დაჭრილი. მოდი შენა და... ყველა კვდება, განურჩევლად თავის აზროვნებისა. სიკვდილის დროს მაინც შერიგდებოდნენ მომაკვდავები! მხეცად უნდა იქცეს კაცი, რომ ადამიანსა ჰკლავდეს. მაშ წამოდი! თუ მომკლეს, შენ იქნები ჩემ მაგივრად. აგრე კი ნუ მიყურებ: იერით არა და საქმით კი გულკეთილი ქალი ვარ და თანაც ყოჩალი ბიჭი! შიში არაფრისა გაქვს, იცოდე! — მიკიტანმა რომ ეს თქვა, დედაკაცმა წაილულლულა:

— ჩვენს მეზობელს უანა ერქვა და ჩვენს გოგოს მარიამი.

ათისთავი რადუბი კი სალდათსა ტუქსავდა;

— რა გაყვირებს, შე კაიკაცო? გული გაუხეთქე ამ საწყალს. ქალებთან და მაგისტანა სიტყვები!

— რა ვქნა, რომ ცოფს შეჰყრის მაგის ნათქვამი პატროსან კაცს! — უპასუხა სალდათმა. — ჩინელი ყეყეჩები ხომ არა ვართ. რომ

*) გილოტინა — თავის მოსაკვეთი იარაღი. გამოიგონა ფრანგმა ექიმმა, ეოზეფ გილოტინამ.

**) ლუი კაპე ლუი მე-16 მეტისახელია.

დროს კონვენტმა იგი დაატუსაღა და სასიკედილო განაჩენი-გამოუტანა. 1793 წლის 21 იანვარს მოკვდეთეს მას თავი გილოტინაზე.

***) ლუი კაპე: ლუი მე-16 მეტი სახელია.

მამაჩენი ბატონმა გაახეიბროს, მამამთილი მეფემ ჩამოახრჩობინოს, პაპა ციხეში დაალპობინოს მღვდელმა, და მაინც ვიბრძოდეთ და ვიხოცებოდეთ ბატონისთვის, მეფისთვის და მღვდლისთვის! ზებრძოდეთ ჩვენ გამათავისუფლებელ რევოლუციას! მტრად მიგვაჩნდეს ჩვენი მოკეთე და მოყვარედ — ჩვენი მოსისხლე მტერი!

გაჯავრდა ათისთავი და შეუტია:

— ჩუმაღ!

— ჩუმაღ ვარ, ათისთავო, მაგრამ გული კი მიკვდება, რომ ვუყურებ ამ საწყალ ქალს, რომელსაც თავი განუწირავს თავის მტრისათვის.

— ძალიან კარგი, მაგრამ აქ ხომ ჩვენს კლუბში არა ვართ. რა დროს მჭევრმეტყველებათ?

და ისევ დედაკაცს მიმართა:

— შენი ქმარი, ქალო, სად არის? რას აკეთებს?

— რას უნდა აკეთებდეს, რომ მკვდარია?

— სადა?

— ღობის ძირას.

— როდის?

— ეს სამი დღეა.

— მერე ვინ მოჰკლა?

— არ ვიცი.

— როგორ? არ იცი, ვინ მოგიკლა ქმარი?

— არა.

— თეთრი იყო შენი ქმრის მკვლელი, თუ ლურჯი?

— თოფის ტყვია იყო.

— ამ სამი დღის წინათ?

— დიახ.

— რომელ მხრიდან?

— ერნეს მხრიდან. მკვდარი დაეცა ჩემი ქმარი.

— შენ რას აკეთებ შენი ქმრის სიკვდილის შემდეგ?

— ბავშვები მიმყავს.

— სად მიგყავს?

— სად და გადასარჩენად.

— სადა გძინავს?

— საცა მომხვდება, მიწაზე.

— რას სჭამ?

— არაფერს.

მხედრული სიბრალული გამოაჩნდა ათისთავს, რომლის გამოცხვირს შეეხო იმისი ულვაში.

— არაფერს?

— როგორ არა! კვრინჩხსა ვქამ, თუ შემხვდა სადმე ბუჩქზე შარშანდელი, ან კიდევ მაყვალს, ჩადუნის ნეკერს.

— ესე იგი არაფერს.

და თითქო მიხვდა, რაზე იყო ბაასი, უფროსმა ბავშვმა წამოიძახა:

— პური მშია.

ათისთავმა ჯიბიდან ერთი ნაჭერი პური ამოიღო, თავისი სამხედრო წილი, და დედას მისცა. იმან შუაზე გადატეხა პური, ნახევარი ერთს მისცა, ნახევარი მეორეს, ბავშვები ხარბად ილულუნებოდნენ.

— თითონ კი ლუკმაც არ დარჩა, — წაიბუზღუნა ათისთავმა.

— არა ჰშია და იმიტომ, — თქვა ერთმა სალდათმა.

— დედა არის და იმიტომ, — უპასუხა ათისთავმა.

ამ დროს ბავშვების ხმა გაისმა:

— წყალი მწყურია! — წამოიძახა ერთმა.

— მეც მწყურია! — დაიძახა მეორემ.

— წყარო მაინც იყოს სადმე ამ გასატილებელ ტყეში, — თქვა ათისთავმა. მიკიტანმა ხელი სტაცა პატარა სასმისს, რომელიც ქამარზე ეკიდებოდა დაასხა რამდენიმე წვეთი და პირთან მიუტანა ბავშვს.

უფროსმა დალია და დაიღრიჯა.

მეორემ დალია და გამოაფურთხა.

— დამიწუნეს ამ საძაგლებმა, — ჩიოდა მიკიტანი.

— უკვდავება არის? — ჰკითხა ათისთავმა.

— დიახ. მერე საუკეთესო. მბგრამ რა? გლებები არიან!

და გაწმინდა სასმისი.

ათისთავმა ისევ დედაკაცს მიმართა:

— მაშ აგრე? თავის გადასარჩენად გარბიხარ?

— მაშ რა ვქნა?

— შირბიხარ და შირბიხარ, არც კი იცი საით!

— მივრბივარ რაც ძალი და ღონე მაქვს; მერე მივდივარ და მერე დავეცემი სადმე.

— საწყალი ქალი! — წამოიძახა მიკიტანმა.

— ყველგან ბრძოლაა, — მოსთქვამდა დედაკაცი, — ყველგან თოფის სროლა. ველარა გამიგია რა, — ვინ არიან, რად იბრძვიან? ქმარი მომიკლეს, მე ამის მეტი ვერა გამიგია რა.

ათისთავმა მაგრად დაჰკრა კონდახი მიწას და დაიყვირა:

— რა უბედურებაა ეს ოხერი ომი!

დედაკაცმა განაგრძო:

— წუხელის ღრუვიანში გვეძინა.

— ოთხივეს?

— ოთხივეს.

— იწეკით?

— ვიწეკით.

— მაშ მდგომიარედ წოლილხართ, — გაუსწორა ათისთავმა.

და მერე თავისებს მიმართა:

— იცით, ამხანაგებო, დიდი ხნის ხე უნდა იყოს დაფულუროებული, რომ ერთი ადამიანი შეეტევოდეს, და ფულურო ხეს ეს ვეღურები ღრუვიანს უწოდებენ. რას იზამთ? ყველა ხომ პარიზელი არ იქნება?

— ხის ფულუროში გეძინა? სამი ბავშვით ერთად? — მოსთქვამდა მიკიტანი.

— წარმოგიდგენიათ, — განაგრძო ათისთავმა, — ბავშვების ტირილი მოესმით გამვლელებს. მიიხედეს, მოიხედეს, ვერავენ დაინახეს. მტირალი ხის გარდა. ტირის ხე და იძახის: დედიკო! მამიკო!

— ჩვენი ბედი, რომ ზაფხულია, — ამოიკენესა დედაკაცმა.

და თავი დაღუნა საცოდავმა, აუცილებელი განსაცდელით თავზარდაცემულმა.

გარს შემოხვევოდნენ ამ უბედურებას სალდათები და სიბრაღულით შესცქეროდნენ გაჩუმებულნი.

ქვრივი, სამი ობოლი, მარტოობა, ირგვლივ ბრძოლა და ზარბაზნის სროლა, შიმშილი, წყურვილი, საქმელად არაფერი, გარდა ბალახისა, ქერად არაფერი, გარდა ცისა.

ათისთავი მიუახლოვდა დედაკაცს და დააცქერდა პატარას, რომელიც ძუძუს სწოვდა. იმანაც პირი მოაშორა ძუძუს, ათისთავისკენ მიბრუნდა, თავის ყუყუნა თვალებით გადაჰხედა ჯაგრიტ მოსილ, აბურძღნულ ქერა სახეს, რომელიც მას დასცქეროდა, და ტკბილად გაუღიმა.

წამოიწია ათისთავი, წელში. გასწორდა და ცრემლი წასკდა, — ერთადერთი; ნელნელა ჩაცურდა. მის ლოყაზე და ულვაშის წვერზე გაჩერდა ობოლი მარგალიტივით. და ხმისამაღლებით მიმართა ჯარისკაცებს:

— ამხანაგებო! ყოველივე ამისგან მე ის დასკვნა გამომყავს,

რომ მამობილად უნდა გახდეს ჩვენი ბატალიონი. თანახმა ხართ? უნდა ვიშვილოთ ეს სამი ბალდი.

— რესპუბლიკას გაუმარჯოს! — შეჰყვირეს სალდათებმა.

— მაშ დამტკიცებულია, — თქვა ათისთავმა.

ორი ხელი გადაავლო თავზე დედასა და შვილებს და წარმო-
თქვა: დღეიდან თქვენ წითელქუდა ბატალიონის შვილები ხართ.
სიხარულით ცას დაეწია მიკიტან-ქალი.

— სამი თავი ერთ ქუდში! — წამოიძახა ალტაცებით.

მერე ქვითინი წასკდა, მოეხვია ბავშვების დედას, გულში ჩაიკ-
რა და უთხრა:

— ხედავ რა კუდიანია ეს პატარა გოგონა!

— რესპუბლიკას გაუმარჯოს! — შეჰყვირეს ხელახლად ჯარის-
კაცებმა.

— აბა, წავიდეთ, მოქალაქე, — უთხრა ათისთავმა ბატალიონის
შვილების დედას.

ნიგნი გეორგი

გეორგი კლეიმორაძე

I.

ინგლისისა და საფრანგეთის აკისტოქრატია რევოლუციის წინააღმდეგ

1793 წლის გაზაფხულზე, როდესაც საფრანგეთს ყოველ თავის საზღვარზე მტერი შემოხვეოდა და თავის აღმგზნებელ გასართობად ფრანგებს ჟირონდელების*) დაცემა-ლა ჰქონდათ, დიდი მზადება წარმოებდა ლამანშის კუნძულებზე.

თიბათვის პირველს, ერთ საღამოს, ჟერსეის კუნძულზე, ბონნუის პატარა მიყრუებულ ყურეში, გემი ემზადებოდა წასასვლელად. ერთი საათილა იქნებოდა მზის ჩასვლამდე. მოღრუბლული იყო ზეცა, — ხელსაყრელი გასაქცევად და უეარგისი გაქცეულის დასაპერად. გემს უფროსად და მოსამსახურეებად ფრანგები ჰყავდა, მაგრამ ინგლისისად ირიცხებოდა. ერთი იმ გემთაგანი იყო, რომლებიც კუნძულის აღმოსავლეთ მხარეს იდგნენ ვითომ ნავსადგურში; ნამდვილად კი საღარაჯოდ. ამ, ინგლისის გემების უფროსად იყო პრინცი დე-ლა-ტურ დ-ოვერნი, ბუილონის გეარისა, და იმის ბრძანებით, სასწრაფო და საგანგებო დავალების ასასრულებლად ემზადებოდა გემი საგზაოდ.

ეს გემი, ინგლისური გემების სიაში კლეიმორად წოდებული, გარეგნობით სატიერთო გემი იყო, მაგრამ ნამდვილად კი — სამხედრო. შეხედულობით მძიმე, მშვიდობიანი ტვირთსაზიდავი გემი იყო, მაგრამ არ უნდა ნდობოდით შეხედულობას. ორი დანიშნულებით

*) ჟირონდელები — პოლიტიკური პარტიის წევრები საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს გამოხატავდნენ მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს. მონარქიის დაცემის დღიდან ისინი წინააღმდეგენ მონტონიერებს — რომლებიც მეფის დასჯასა და რევოლუციის განგრძობას მოითხოვდნენ; ჟირონდელები დამარცხდნენ 1793 წელს.

იყო აგებული: თვალი აუხვიოს, თუ შესაძლებელია, და იბრძოლოს, თუ საჭიროა.

იმ ბრძანების გამო, რომელიც იმ ღამეს უნდა აესრულებინა, ტვირთის მაგივრად გემის საწყობში ოცდაათი დიდი ყალიბის ზარბაზანი ჩაიტანეს. ეს ოცდაათი ზარბაზანი ავდრისა და ლელვის მოლოდინით იყო, თუ უფრო იმიტომ, რომ გემისთვის მშვიდობიანი სახე მიეცათ, დამაგრებული იყო, ესე იგი მჭიდროდ იყო დაბმული თავთავის ალაგას სამკეცი ჯაჭვით. ზარბაზნებს პირი სარკმელებისკენ ჰქონდათ და სარკმელებს მაგრად ეფარა სარკველი. გარედან არა ჩანდა რა, ფანჯრები დაეხშოთ. ისე იყო გემი, თითქო ნიღაბი აფარია თავით ბოლომდეო. ზარბაზნებს რიკიანი თვლები ჰქონდათ, ბრინჯაოსი, ძველებურად. სამხედრო გემს ზარბაზნები ბაქანზე უწყყია; ამას კი, მტრის თვალის ასახვევად და მახეში გასაბმელად, ზარბაზნები დამალული ჰქონდა ტვირთსაწყობში, და ბაქანი — მოტიტვლებული. გემი ისე იყო აგებული, რომ შესძლებოდა, როგორც უკვე ვთქვით, მთელი ბატარია ეზიდა ფარულად. დიდი სიგრძე-სიგანის გემი იყო კლემორი, ტლანჭი, და ამასთან დიდი სიჩქარით მავალი. თავის აგებულების სიმაგრით საუკეთესოდ ითვლებოდა ინგლისის ფლოტში და ბრძოლაში უუდიდეს სამხედროსაც არ ჩამოუვარდებოდა, თუმცა უკანა ანძად სულ უბრალო ლატანი ჰქონდა პატარა იალქნით. იშვიათი ფორმის საჭე ჰქონდა, მეცნიერულად მოწყობილი, ძვირფასი, მოლუნული ჩარჩოთი, რომლის ფასად ორმოცდაათი სტერლინგი იყო მიცემული სუთჰამპტონის ქარხანაში.

გემის უფროსი და მოსამსახურენი სულ ფრანგები იყვნენ, — ემიგრანტი ოფიცრები და საზღვარგარეთ გადაპარული დეზერტირი მატროსები, და ისიც სულ საგანგებოდ ამორჩეულნი. ერთი არ ერია იმისთანა, რომ კარგი მეზღვაური არა ყოფილიყო, კარგი ჯარისკაცი და ერთგული მომხრე მეფისა. სამგვარი ფანატიზმით იყვნენ განხლებული: გემით, ხმლით, მეფით.

გემის მეზღვაურებს ჩაუტრია იმათსავით მოსილი ნახევარბატალიონი ქვეითი ჯარი, რომ ზღვისპირს გადაესხათ. თუ საჭიროება მოითხოვდა.

კლემორის კაპიტნად სენ-ლუის რაინდი, გრაფი ბუაბერტელი იყო, საუკეთესო ოფიცერი მეფისდროინდელ მეზღვაურებში. მისი თანაშემწედ რაინდი დე-ლა ვიევილი, მეფის დროის იმ გემის უფროსი, რომელშიც ათისთავად მსახურობდა ჰოში და მესაქედ შორს-მჭვრეტელობით აღსავეს ჟერსეელი *) გაკვილი.

*) ჟერსეი — კუნძულია. ინგლისთან ახლოს.

ცხადი იყო, რომ ამ გემს რაღაც საშინელი, საიდუმლო ჰქონდა დავალებული. და მართლაც ერთი კაცი ჩაჯდა გემში, რომელიც, ეტყობოდა, ბედის საცდელად მიდიოდა თავგანწირული. მოხუცებული კაცი იყო, მაღალი ტანისა, წელში მოუხრელი, მაგარი, მკაცრი სახისა. ძნელი გამოსაცნობი იყო მისი ხნიერება, რადგან ერთსა და იმავე დროს მოხუცებულსაც ჰგავდა და ჰაბუკსაც. ერთი იმ კაცთაგანი იყო, რომლებიც სავსე არიან ხნიერებით და სავსე ძაღლონით; რომელთაც ჰალარა თმა უმშვენებს შუბლს და მრისხანე ელვა — თვალს. ორმოცი წლისა იქნებოდა ჰარმაგობით და ოთხმოცისა — ბრძანებლობით. გემზე რომ აღიოდა, საზღვაო წამოსასხამი აუფრიალდა და სულ სხვა გამოჩნდა ამ წამოსასხამის ქვეშ: განიერი ბრეტანული შალვარი ეცვა, მაღალყელიანი წაღები და მოკლე ცხვრის ტყავის ზედატანი, რომელსაც გარედან აბრეშუმის ნაქარგი ამშვენებდა, და შიგნიდან კი აბურძგნილი, ქუჭყიანი ბალანი, — სრული ტანსაცმელი ბრეტანელი გლეხკაცისა. ამ ძველებურ ბრეტანულ სამოსს ორი დანიშნულება ჰქონდა და გამოსადეგი იყო როგორც უქმე დღეს, ისე მუშაობის დროს. გადაბრუნება იყო მარტო საჭირო, რომ ხან. მატყლი გამოსულიყო გარეთ, ხან მოქარგული ტყავი; ამგვარი ტყავით იყო კაცი მთელი კვირის განმავლობაში, და მორთულ-მოკაზმული კვირა დღეს. გლეხკაცური ტანისამოსი, ამ მოხუცებულს რომ ეცვა, კარგად გაცვეთილი იყო მუხლებში და იდაყვში, რომ უფრო დიდი ხნის ნახმარად გამოჩენილიყო, და საზღვაო წამოსასხამი, უვარგისი ფართლისა, მეთევზის ფარატინს უფრო ჰგავდა, ვიდრე წამოსასხამს. საჭირო იყო, მოხუცებული ნამდვილ გლეხკაცად სჩვენებოდა, სადაც მიდიოდა. თავზე იმდროინდელი რგვალი ქუდი ეხურა, მაღალი, განიერკალთებიანი; ერთი მხრივ დაწევა შეიძლებოდა ამ კალთებისა; გლეხკაცურად; მეორე მხრივ, შეიძლებოდა მხედრულად ზევით აწევა ზონრით და ზედ სამხედრო ნიშნის მიბმა. მოხუცებულს ქუდი გლეხკაცურად ეხურა, არც ზონარი ჰქონდა, არც სამხედრო ნიშანი.

თვითონ ლორდმა ბალკარამ, კუნძულის გამგემ, და პრინცმა ტურ-დ-ოვერნმა აიყვანეს გემზე მოხუცებული. პრინცების საიდუმლო-მოხელემ, ეელამბრმა, გრაფ დ-არტუას*) ყოფილმა ქეშიკმა, თავის ხელმძღვანელობით დალაგებინა იმისი ოთახი და იქამდე მიიყვანა მისდამი ზრუნვა და პატივისცემა, რომ თვითონ ასწია აზნაურმა, იმისი ბარგი, უკან მიჰყვა და ისე შეუტანა და დაუღაგა ოთახ-

*) გრაფი დ-არტუა -- მეფე ლუდოვიკო XVI ძმა

ში. გამოთხოვებისას, როდესაც უკან გამობრუნება დააპირა, ბატონმა ჟელამბრმა თითქმის მუხლი მოიყარა იმ გლეხკაცის წინაშე. ლორდმა ბალკარამ მოახსენა: — მაშ გამარჯვება, გენერალო! — და პრინცმა დე-ლა-ტურ დ-ოვერნმა, — ნახვამდის ბიძაჩემო!

„გლეხკაცად“ ასახელებდა მას ყველა მოკლე, გაკვრივ საუბარში, რომლისთვის ძლივს მოიცილის ხოლმე მეზღვაური. მაგრამ ისიც უნდა მოვიხსენოთ, რომ მიუხედავად ამისა, ძალიან კარგად გრძობდნენ ყველანი, რომ არც ის იყო გლეხიკაცი და არც იმათი გემი იყო ტვირთის მზიდავი გემი.

პატარა ქარი ქროდა. კლეიმორმა უკან დატოვა ნავსადგური, ბულეი-ბეის წინ გაიარა, და ცოტა ხანს კიდევ მოჩანდა ნაპირთან ახლო მიმავალი. მერე კი ნელნელა დამცირდა ღამის სიბნელეში და მიიშალა.

ერთი საათის შემდეგ შინ დაბრუნდა ჟელამბრი, სენტ-ელიეში, და სუთჰამპტონის საშათიროს დახმარებით გაუგზავნა გრაფ დ-არტუას, იორკის ჰერცოგის მთავარ სამხედრო ბინაზე, შემდეგი მოკლე ცნობა:

„ბატონო ჩემო, გემი წავიდა. გამარჯვება ჩვენი! ერთი კვირის შემდეგ აჯანყების ცეცხლი მოედება მთელ ზღვის პირს გრანვილიდან *) სენ-მალომდე“. **)

და ოთხი დღის წინათ ერთი ჯაშუშის დახმარებით რესპუბლიკის წარმომადგენელმა პრიორ დე-მარნმა შერბურგის მხარეს მყოფ ჯარებთან მთავრობის მიერ საგანგებო დავალებით გამოგზავნილმა, იმჟამად გრანვილში მყოფმა, პატარა ბარათი მიიღო, იმავე ხელით დაწერილი, რომლითაც წინა ცნობა იყო:

„მოქალაქე, რესპუბლიკის წარმომადგენლო! პირველ ივნისს ზღვის მოქცევის დროს, სამხედრო გემი კლეიმორი, შიგ ჩამალული ზარბაზნებით, მოადგება საფრანგეთის ნაპირს, რომ გადმოსვას ერთი კაცი, რომლის ნიშნებია: მალალი ტანი, ბებერი, ჭალარა, ტანი-სამოსი გლეხკაცისა, ხელები დიდებულისა. დაწვრილებით ცნობებს ხვალ გაახლებთ. ჩამოვა თიბათვის ორს, დილით. მზად გყავდეთ საგუშაგო გემი, დაიპირეთ კლეიმორი, გილოტინით მოაკვლევინეთ ბებერი“.

*) გრანვილი — ნავსადგური ლამანშის სრუტესთან.

**) სენ მალო — ადგილია იქ, სადაც მდინარე რანსი ერთეის ლამანშს.

II

ღამე გემისა და მგზავრისა

გემი, იმის მაგივრად რომ სამხრეთისკენ, სენ-კატერინისკენ წასულიყო, ჯერ ჩრდილოეთისკენ გაემართა, მერე დასავლეთისკენ და გაბედვით შევიდა სერკისა და ეერსეის შუა, ზღვის იმ სრუტეში, რომელსაც მარცხის გზას უწოდებენ. მაშინ ამ გზისპირას კანდელი არსად მოიპოვებოდა.

მზე დიდი ხნის ჩასული იყო. ბნელი ღამე იყო, უფრო ბნელი, ვიდრე ზაფხულის ღამეა. მთვარიანი ღამე იყო, მაგრამ იმისთანა ღრუბელი მოჰყვნოდა ცას, უფრო ბუნიაობისა, ვიდრე მზის მოქცევისა, რომ ეტყობოდა, მთვარე არსად გამოჩნდებოდა, ვიდრე ჰორიზონტს არ მიაღწევდა ჩასასვლელად. აქა-იქ ღრუბელი ძირს დაშვებულიყო, წყლამდე, და ნისლს ჰყვებოდა ზღვაზე.

ძალიან ხელსაყრელი იყო გემისთვის ეს ბნელი ღამე.

მესაკის გაკეილის განზრახვა იყო, მარცხნივ დაეტოვებინა ეერსეი, მარჯვნივ გერნსეი, *) სახიფათო გზით გაეელო ჰანუის და დუერის **) შუა და სენ-მალოს ნაპირს მისდგომოდა სადმე პატარა ყურეში. ეს გზა უფრო გრძელი იყო, ვიდრე მანკიერისკენ, მაგრამ უფრო საიმედო, რადგან საფრანგეთის საგულშაგო გემს ჩვეულებრივი ბრძანება ჰქონდა — უმთავრესად სენ-ჰელიერისა და გრანვილის შუა გაეწია დარაჯობა.

თუ ქარმა ხელი შეუწყო, თუ მოულოდნელი არა გამოტყვერა რა, გაკეილს იმედი ჰქონდა, გემზე იალქანს გადავშლი და გათენებისა საფრანგეთს მივადგებიო.

რიგიანად იყო ყველაფერი, გრონეს გასცდა გემი. ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც ამინდმა მასხარაობა დაიწყო, როგორც მეზღვაურები ამბობენ ხოლმე, — ქარი ამოვარდა. ზღვას ღელვა დაეტყუო; მაგრამ ქარიც საგზაო იყო და ღელვაც ზომიერი, თუმცა ხანდახან ისე ეცემოდა ხოლმე ტალღა, რომ წინა მხარეს უსველებდა გემს.

„გლექაცს“, რომელსაც ლორდი ბალკარა გენერალს უწოდებდა პრინცი დე-ლა-ტურ დ-ოვერნი-„ბიძაჩემო“, ნამდვილი მეზღვაურის ფეხები ჰქონდა და სრულიად დამშვედებული დასეირნობდა გემის აივანზე. ისე დადიოდა, თითქო არც კი ამჩნევს გემის

*) გერნსეი — კუნძული ლამანშთან.

**) ჰანუი და დუერი — ნავსადგურებია.

წარევასო. ხანგამოშვებით ჩაიყოფდა ხოლმე ჯიბეში ხელს, ამოიღებდა ერთ ნაპერ შოკოლადს, კბილით კვნეტდა და აენატუნებდა. მიუხედავად იმისა, რომ თმა ქალარა ჰქონდა, ეტყობოდა, კბილი არ აკლდა.

არავის ელაპარაკებოდა, ოღონდ ხანდახან რამდენიმე სიტყვით ჩუმად მიმართავდა კაპიტანს, და ისიც მოწიწებით ისმენდა იმის ნათქვამს და ისე შესსკქეროდა ამ მგზავრს, თითქოს ის ყოფილიყოს გემის უფროსი და არა თვით კაპიტანი.

ძალიან ხელოვანი მესაპე ჰყავდა გემს. სულ ახლო, მაგრამ მაინც შეუმჩნეველად გაუარა ჟერსეის ჩრდილოეთ ციცაბოვან ზღვის პირს, რომ მორიგდებოდა საშიშარ პიერ დე-ლეკის ბრაგებს, რომელიც შიგ შუა სრუტეში იმალება ჟერსეის და სერკის შუა. ფეხზე იდგა გაკეილი, რიგრიგით ასახელებდა გზადგავლილ გრევ დე-ლეკს, გრო-ნეს, პლემონს, და ისე მიატურებდა გემს იმოდენ ბრაგოვანში და ბნელაში, მაგრამ სრული რწმენით, თითქო ზღვის წიაღში აღზრდილიყოს და დაბეჯითებით შეესწავლოს ოკეანის ძირი: გემს თავის წინა მხარეს სანათი არ ჰქონდა, — ეშინოდათ, ზღვაზე სადარაჯო გემები იყვნენ და არ დაგვინახონო. მეზღვაურები ერთმანეთს ულოცავდნენ ამ ღრუბელს და წყვიდადს. გრანდ-ეტაპს მიუახლოვდნენ. ისე ჩამოწოლილიყო ღრუბელი, რომ ძლივსლა ჩანდა მალალი პინაკლი. სენტ-უენის სამრეკლოდან ამ დროს საათის ხმა გაისმა, ათი საათი დაჰკრა, ნიშანი, რომ ქარი კვლავაც უკნიდან სცემდა გემს. რიგიანად იყო ყველაფერი: ზღვას მღელვარება ემატებოდა, რადგან კორბიერის ახლო იყო გემი.

ათი საათის შემდეგ, ცოტა ხანს უკან გრაფმა ბუაბერტელომ და რაინდმა ვიევილმა გლუხკაცური ტყავით მოსილი მგზავრი მიაცილეს იმის ოთახამდე, რომელიც ნამდვილად კაპიტანისა იყო, და იმ წამს, როდესაც იქ უნდა შესულიყო მგზავრმა ჩუმი ხმით უთხრა თავის მხლებლებს:

— ხომ იცით, ბატონებო, საპიროა საიდუმლოება. ჩუმად იყავით, ვიდრე დავიკეკდეთ. აქ მარტო თქვენ იცით ჩემი ვინაობა.

— საფლაგში ჩავიტანთ და კი არსად ვიტყვით, — უბასუხა ბუაბერტელომ.

— აგრეთვე მე, — დაუმატა მოხუცებულმა, რომ მომკლან, ვერ მათქმევინებენ და თავის ოთახში შევიდა.

III

დიღებული და მდაბიო.

კაპიტანი და იმისი თანაშემწე გემბანზე ავიდნენ და ბაასი გააბეს, თან ბოლთასა სცემდნენ. ეტყობოდათ, მგზავრი ჰყავდათ სალაპარაკოდ, და აი დაახლოვებით იმათი ნათქვამი, რომელიც ქარს მიჰქონდა ბნელაში.

ბუაბერტელომ ჩუმი ხმით ჩასძახა ყურში თავის თანაშემწეს:
— ვნახოთ, როგორი მხედართმთავარი გამოდგება.

ვიევილმა უპასუხა:

— ვნახოთ. ისიც კარგია, რომ პრინცია.

— თითქმის პრინცი.

— აზნაური საფრანგეთისა. მაგრამ პრინცი ბრეტანისა.

— როგორც ტრემუალები, როჰანები.

— ეგეც იმათი მოკავშირეა.

ბუაბერტელომ განაგრძო:

— საფრანგეთში და მეფის ეტლში ეგ არის მარკიზი, როგორც მე ვარ გრაფი და თქვენ — რაინდი.

— სადღაა, ნეტავ, ეგ ეტლი? — შეჰყვირა ვიევილმა. — დღეს თქვენთვის ურემიც არამია!

გაჩუმდნენ.

ბუაბერტელომ დაიწყო ისევ:

— ფრანგი პრინცი რომ აღარა გყავს, ბრეტანელი მაინც გყავდეს.

— მოლალური არსად იყო... არა! არწივი რომ არსად იყო, კაჟკაჟს მისცეს არწივობაო.

— ქორი მაინც ყოფილიყო!

ვიევილიც დაეთანხმა:

— აბა! ნისკარტი მაინც ექნებოდა და კლანჭები!

— ვნახოთ. იქნება გამოიჩინოს.

— დიაღ. — მიუგო ვიევილმა, — უფროსი გვინდა, ხელმძღვანელი. მხედართმთავარი. სრული ქეშმარიტება თქვა ტენტენიაკმა: „მხედართმთავარი და თოფის წამალი!“ უნდა მოგახსენოთ. ბატონო, თითქმის ყველას ვიცნობ, ვინც გამოდგება და არ გამოდგება უფროსად. — გუშინდლებსაც. დღევანდლებსაც და ხვალინდლებსაც. ერთი არ მეგულება ისეთი მებრძოლი, როგორიც ჩვენ გვესაჭიროება. იმ ამოსაწყვეტ ვანდში იმისთანა მხედართმთავარი გვინდა, რომ გენერალიც იყოს და პროკურორიც. თავბედი უნდა აწყველინოს მტერს. ერთ წამს არ მოასვენოს, წისქვილიც წაართ-

ვას, ბალიც, ბუჩქიც, რუც, ქვებიც კი! ბრძოლით გაუმწაროს სიცოცხლე, ყველაფრით ისარგებლოს, ყველაფერზე თვალი ეჭიროს, შეუბრალებლად ხოცოს, რომ ზარი დასცეს ხალხს. არც მოსვენება ჰქონდეს და არც სიბრალე! დღეს იმ გლეხების ჯარში მრავალია გმირი, მაგრამ არც ერთი — მხედართმთავარი. დელბე არაფერია, ლესკური — ავადმყოფი, ბონშანი — გულკეთილი და, მაშასადამე, სულელი, ლა-როშეაკლენი — ძალიან კარგია, როგორც თანაშემწე; სილი — თვითონ ჩარიეთ ბრძოლაში, მხედრული მოხერხებისა იმას არა გააჩნია რა; კატელინო — გულუბრყვილო მეურმეა, სტოფელი — ვერაგობით სავსე ბაზიერი, ბერარი — უქმი; ბულენვილიე — დასაციანი, შარეტი — საშინელი. დალაქ გასტონისას აღარას ვიტყვი, რადგან, დასწყევლა ღმერთმა, რაღად ვებრძვით რევოლუციას, ან რა განსხვავებაა ჩვენსა და რესპუბლიკელებს შორის, თუ კი ჩვენს თავადაზნაურობას მხედართმთავრებდა ხარაზებს დავუნიშნავთ!

— საქმეც ეგ არის, რომ ჩვენც ნელნელა გვედება რევოლუციის ქეცი!

— დიახ, ქეცი მოედვა საფრანგეთს!

— მესამე წოდების ქეცი! — მოუწონა ბუაბერტელომ — მარტო ინგლისს-ღა შეუძლია ჩენი ხსნა.

— შეუძლია და კიდევ გვიხსნის, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, კაპიტანო.

— და მანამ პეტრე მოვიდაო...

— ლამის ტყავი გაგვადრონ, მართალია! მდაბიონი წამოიჭიმნენ ყველგან. მონარქია, რომელსაც უფროს გენერლად სტოფლე ჰყავს. ბ. მულევირის ბაზიერი, ველარაფერს დააყვედრებს რესპუბლიკას, რომელსაც მინისტრად პაში ჰყავს, ჰერცოგ კასტრის მეკარის შვილი. პირდაპირ დაუყენა ერთმანეთს ვანდეს ომმა ერთი მხრივ სანტერი, ლუდისმხდელი, და მეორე მხრივ — გასტონი, დალაქი.

— არც, აგრე დავამცირებდი მე გასტონს, ჩემო ვიევილ. არ გახსოვთ, რა საუცხოვოდ მოიქცა, გემენეში რომ გაიმარჯვა? სამასი ლურჯი ჰყავდა ტყვედ დაჭერილი, თვითონ იმათვე ამოათხრევინა თავიანთი საფლავი და შიგ ჩაჰკლა ყველანი.

— მამა ვაცხონე იმისი! მეც აგრე გავუსწორებოდი!

— მაგას რაღა თქმა უნდა! ტყავს გავადრობდი!

— თუ გნებავთ, რომ გამარჯვებით აწარმოოს ბრძოლა, პატიოსანი, დიდებული კეთილშობილი უნდა გყავდეთ მხედართმთავრად.

გამარჯვება გახლავთ ზვედრი კეთილშობილებისა და არა ვარსამებისა.

— ქეშმარიტებაა, — მიუგო ბუაბერტელომ, — მაგრამ მესამე წოდებასაც მოეპოვება პატივსაცემი კაცები. აი, მაგალითად, თუნდა მესაათე ჟოლი. ათისთავად იყო ფლანდრის რაზმში, მერე ვანდელების ჯარში შევიდა და ოფიცრობა მიიღო. ერთი შვილი ჰყავდა, რესპუბლიკის მომხრე. მამა თეთრებს ემსახურება, შვილი ლურჯებს! ომში შეხვდნენ ერთმანეთს. ატყდა ბრძოლა. მამამ ტყვედ დაიჭირა თავისი შვილი და თავისი ხელით მოჰკლა.

— აი, ვაჟკაცობა მაგას ჰქვია!

— მეფის მომხრე, ბრუტი, — თქვა ბუაბერტელომ.

— ძალიან კარგი, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა გაუძლოს კეთილშობილმა კაცმა ოტროველა კოკეროს, ჟანჟანის, მულენის, ფორსარის, ბუჟუსა და შუპის ბრძანებას?

— ეჰ, ჩემო კარგო, ჩვენი მტერიც მაგასვე ჩივის. ჩვენ თუ ბურჟუები შემოგვერივნენ, იმას დიდებულნი ჩაერივნენ. ნუთუ გგონიათ, რომ „უნიფხობები“ კმაყოფილი არიან, რომ იმათ მბრძანებლად გრაფი კანკლო გამხდარა, გრაფი მირანდა, გრაფი ბოჰარნე, გრაფი დე-ვალანსი, მარკიზი დე-კუსტანი და ჰერცოგი ბირონი!

— დომხალია სწორედ!

— და ჰერცოგი დე-შარტრი.

— შვილი „თანასწორობისა“ ნეტავ, ეგ როდისღა გამეფდება?

— არასოდეს!

— თუ ტახტზე ავიდა, თავისი ავკაცობის წყალობით ავა.

— და ტახტზე არ აუშვებენ თავისი ბიწიერებანი.

ცოტა ხანს გაჩუმდნენ. მერე ბუაბერტელომ განაგრძო:

— ძალიან კი ცდილობდა შერიგებას. მეფის სანახავად მივიდა ვერსალში. მეც იქ ვიყავ იმ დროს. ფურთხი დააზილეს ზურგში!

— კიბის თავიდან?

— დიახ.

— ახია იმაზე!

— ჩვენ იმას ბურბონ-წუმპონს ვეძახდით.

— თავმოტვლებილი, მუწუკიანი, მეფის მკვლეელი! ფუ!

— მე და ის ერთად ვიყავით უაზენში, — თქვა ვიევილმა.

— „სულიწმინდაზე“?

— დიახ.

— იმას რომ აღმირალ დ-ორვილიეს ნიშნით მიღებული ბრძანება აესრულებინა, ინგლისელები გამოვიდოდნენ.

— ეგა ბრძანეთ და!

— ნუთუ მართალია, რომ გემსარდაფში ჩაძვრა და იქ დაიშალა?

— არა, მაგრამ მაინც აგრე ვიძახოთ. — და სიცილი დაიწყო ვიევილმა. ბუაბერტელომ დაიწყო ისევ:

— რამდენი სისულელეა ამ ქვეყნად! აი, თუნდა ბულენვილიე, თქვენ რომ ახსენეთ, ვიევილ. კარგად ვიცნობ, ძალიან ახლო ვიყავ იმასთან. თავდაპირველად გლეხები შუბებით იყვნენ შეიარაღებული; და დაიჟინა კაცმა, — შუბსაც ხმარება უნდაო, — მისდგა და ვარჯიშით სიცოცხლე გაუმწარა უბედურებს; სულ იმასა ცდილობდა, ველური გლეხები გაწოთვნილ სალდათებად გარდაექმნა. და აყენებდა ოთხკუთხად და კუთხეების გაფართოვებას ასწავლიდა, ან ბატალიონის შუანაწილის დაცარიელებას, დავიწყებული სამხედრო ენის აღდგენას ცდილობდა, ჯგუფის უფროსს ჯგუფის თავს ეძახდა, რაც ლუი XIV^{*}) დროს ათისთავის სახელს ნიშნავდა. აიხირა, მთელი რაზმი უნდა შევადგინო ყორულში მონადირეთაგანაო. პატარა პატარა ჯგუფები ჰყავდა, რომლების ათისთავები მრგვლივად გამწკრივდებოდნენ ყოველ საღამოს, რომ რაზმის უფროსის ბრძანება მიეღოთ: რაზმელი ათისთავი ჩურჩულით გადასცემდა ბრძანებას ათასეულის ათისთავს. ის აგრეთვე ჩურჩულით ასეულის ათისთავს, ის თავისთან მდგომს და ამგვარად პირიდან ყურში ჩურჩულით გადადიოდა ბრძანება. მანამ უკანასკნელს მიაღწევდა. ერთ ოფიცერს ღირსება აჰყარა, — როგორ გაბედე და არ წამოდეგ. არც ქუდი მოიხადე ასისთავისგან რაზმის უფროსის ბრძანების მოსასმენადაო. წარმოიდგინეთ, რა შედეგი მოჰყვებოდა ამ სისულელეს! ვერა და ვერ შეიგნო იმ ხეპრემ, რომ გლეხებს გლეხურად უნდა ექცეოდა და დაგეშილ სალდათად ვერ გადააქცევ ტყის ნადირს.

რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს დუმილით, რალაცას ფიქრობდნენ. მერე ისევ განაგრძეს ბაასი.

— ხომ არ იცით, მართალია დამპიერის სიკვდილი?

— დიახ, ბატონო.

— კონდეს წინ?

— პამარის ბანაკში ზარბაზნის ყუმბარით.

^{*}) ლუი მე-14 საფრანგეთის მეფე, აბსოლუტური მონარქიის დამაგვირგვინებელი, ცხოვრობდა მე-17 საუკუნეში.

ამოცხრა ბუაბერტელომ.

— გრაფი დამპიერი! კიდევ ჩვენი, რომელიც ჩვენს მტერს ემსახურებოდა!

— ჯანდაბას იმისი თავი და ტანი! — წამოიძახა ვიევილმა.

— ქალბატონები სადღა ბრძანდებიან?

— მეფის დები? ტრიესტში.

— ისევ იქა?

— ისევ იქ ბრძანდებიან.

და ბრაზი მოერია ვიევილს:

— აჰ, ეს რესპუბლიკა! დალუპა ქვეყანა რაღაც წვრილმანის გამო! არა, ასე როგორ გადარია ხალხი რამდენიმე მილიონის ნაკლმა?

— ერიდეთ წვრილმანის გამიზნულებას, — ურჩია ბუაბერტელომ.

— ქვეყანა კი ილუპება და!

— დიახ! რუარი მოკვდა, დრესნეი — ხეტია! უმწყემსოდ დარჩა ხალხი! რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ დღევანდელ ეპისკოპოსებისგან? წარყვენეს ხალხი! აი, თუნდაც სუსი, ლა-როშელის ეპისკოპოსი, ბოპუალ სენტ-ილერი. ეპისკოპოსი პუატუსი, ან კიდევ მერსი, ეპისკოპოსი ლუსონისა და საყვარელი ქალბატონ დე-ლეშასერისა...

— რომელსაც სერვანტო ჰქვია, ბატონო, ლეშასერი მამულის სახელი გახლავთ.

— და კიდევ ყალბი ეპისკოპოსი დ-აგრისა, რომელიც უბრალო მღვდელი უნდა იყოს.

— დიახ, დოლისა. გილიო დე-ფოლვილი ჰქვია. მაგრამ ყოჩაღი კაცი კი არის, იბრძვის.

— იბრძვის მღვდელი, როდესაც სალდათია საჭირო! ვიღაც მღვდლები ეპისკოპოსების ალაგას! ვიღაც მენაგვეები გენერლების ალაგას!

ვიევილმა სიტყვა შეაწყვეტინა:

— უკაცრავად, ბატონო! „მონიტორის“ ნომერი ხომ არა გაქვთ თქვენს ოთახში?

— მაქვს.

— რას თამაშობენ ამჟამად პარიზის თეატრში?

— „ადელ და პოლინს“. აგრეთვე „ბუნაგს“.

— რომ იცოდეთ, როგორ მინდა იმის ნახვა!

— გინდათ და ნახავთ კიდევ. პარიზში შევალთ ამ ერთ თვეში. ბუაბერტელო ჩაფიქრდა ერთ წამს და დაუმატა:

— და უფრო აღრეც! ბ. ვინდჰამმა აგრე უთხრა მილორდ ჰოლოდს.

— კარგი, მაგრამ აგრე ჩქარა რომ არ რიგდება საქმე!

— გარიგდება, თუ კარგად ვისარგებლეთ ვანდელეების აჯანყებით.

ვიევილმა თავი გაიქნია.

— მაშ გადავსხამთ ქვეით რაზმს?

— გადავსხამთ, თუ ჩვენკენ არის ზღვისპირი. ვერ გადავსხამთ, თუ მტრისკენ არის. ხან კარს შეამტვრევს ომი, ხან გველივით შეძვრება. სამოქალაქო ომს ყოველთვის ჯიბეში უნდა ჰქონდეს ყალბი გასაღები. ყველაფერს ვიზამთ, რაც კი შესაძლებელია. უმთავრესი კი მხედართმთავარია.

ჩაფიქრდა ცოტა ხანს ბუაბერტელო და მერე ჰკითხა;

— ვიევილ, რა აზრისა ხართ თქვენ ბ. დიეზის შესახებ?

— დიეზი? უმცროსი?

— მხედართმთავრად?

— დიახ.

— კარგი ოფიცერი გახლავთ, მინდორში ომის მცოდნე, ტყეში კი გლეხი აჯობებს, გამოცდილება არა აქვს.

— მაშ გენერალი სტოფელი და გენერალა კატელინო?

ვიევილი ჩაფიქრდა ერთ წამს და თავისი თქვა.

— პრინცი გვინდა, პრინცი საფრანგეთისა, ნამდვილი, გვარიშვილი პრინცი!

— ვითომ და რადაო? ვინცა სთქვა პრინციო...

— ლაჩარი უნდა ეთქვათ, განა? ვიცი, ბატონო. მაგრამ სხვაფრივ რით აუხვევთ თვალს ჩვენ ოტროველა ხალხს?

— რომ აღარა ნებავთ პრინციებს?

— აღარა ნებავთ და აკი ვირებს დარჩათ მოედანი!

ბუაბერტელომ თავისდაშეუმჩნევლად ხელი იკრა შუბლში, თითქო რაღაცა აზრის გამოგდებას ცდილობსო.

მერე უთხრა:

— მაშ ამ გენერლით ვცადოთ?

— კარგი გვარიშვილია.

— გამოგვადგება?

— თუ ივარგა.

— ესე იგი, თუ სისხლით გაუმადლარი მხეცაა. — თქვა ბუაბერტელომ.

და ერთმანეთს გადახედეს.

— მართალი ბრძანეთ, ბატონო, სისხლით გაუმაძღარი უნდა იყოს. სწორედ მაგისთანა მხედართმთავარი გვინდა ამჟამად. დღევანდელ დღეს ლმობიერება ლალატია და თავისმოკვლა. გამარჯვებული ის დარჩება, ვინც დედაბუდიანად ამოჟლეტს მტერს. მეფის მკვლელებმა თავი მოსჭრეს ლუი მეთექვსმეტეს! ჩვენ თავფეხს დავაყრევინებთ მეფის მკვლელებს! ჭეშმარიტებაა, ჩვენი მსხნელი სისხლით გაუმაძღარი გენერალი უნდა იყოს. ანჟუსა და ზემო პუატუში მეტად გულკეთილად იქცევიან ჩვენები, სიბრალულის მორევში დაცურავენ და ლამის დაღუპონ საქმე, მარესა და რეცში ჩვენები სასტიკად იქცევიან და საგანგებოდ მიდის საქმე, მძვინვარია შარეტი და ამიტომ არის, რომ ასე მაგრად უდგას პარენს, — აფთარი აფთარის წინააღმდეგ.

ბუაბერტელომ ხმის ამოღება ველარ მოასწრო: ვიევილს პირში ჩარჩა სიტყვა, რადგან უცბად საშინელი ყვირილი გაისმა და იმავე დროს რაღაც გრიალი, რომელიც არ ჰგავდა ადამიანის მიერ გაგონილ რაიმე ხმაურობას. ყვირილი და გრიალი გემის შიგნიდან გამოდიოდა.

მაშინვე საწყობისკენ გაექანენ კაპიტანი და იმისი თანაშემწე. მაგრამ ჩასვლა შეუძლებელი იყო: გულგახეთქილი ამორბოდნენ იქიდან მეზღვაურები.

საშინელება მოხდა გემზე.

IV

TORMETUM BELLI*

აშვებულიყო ერთი ზარბაზანი ოცდაოთხ სანტიმეტრიანი.

ამაზე საშინელი არა მგონია სხვა იყოს რამე მეზღვაურობაში. წარმოგიდგენიათ, სამხედრო გემი შუა ზღვაში და ზედ დაუბმელო ზარბაზანი!

ზარბაზანი რომ თავის საბამს გაწყვეტს, უცბად რაღაც არაბუნებრივ მხეცად იქცევა. მანქანა უცბად გველეშაპად, ურჩხულად გარდაიქმნება. მძიმე ლითონი დაძრწის თავისი თვლებით, ბილიარდის ბურთის მოძრაობით, ხან წინ იწევეს, ხან აუკან, მარჯვნივ, მარცხნივ, მიდის, მოდის, ჩერდება, თითქო ღიქრობდეს რასმე, ისეა

*) ომის საშინელება.

იძვრის, ისრის სისწრაფით მიეჭანება გემის თავიდან ბოლომდე, ტრიალებს ერთ ალაგას, რაღაცას გაუზრბის, ერიდება, ყალყზე დგება, ეხლება, ამტვრევს, ჭყლეტს, ხოცავს, ანადგურებს. ძალაყინია, რომელიც თავის ნებისად სცემს კედელს! და ამას დაუმატეთ შემდეგი: ძალაყინი ლითონისაა, რკინა, ან ფოლადი, და კედელი კი ხისა. ეს არის მასალის განთავისუფლება, თითქო ჯავრს იყრის და სისხლს იღებს საუკუნოდ დამონებული მონაო. გევანებათ, უძრავ საგანსაც ჰქონია ღვარძლით აღსავსე გული და შესძლებია მისი დათხევა, თითქო აევსო ფიალა მოთმინებისა და ცოფს აყრის, რასაც ეტაკებაო. სხვას ვერას წარმოიდგენ იმისთანა ულმობელს, როგორიც უსულოს გაშმაგება არის. ვეფხვის ნახტომი აქვს ამ მძვინვარე ლოდს, სპილოს სიმძიმე, სიმარდე თავისა, დაჟინება ცულისა, მოულოდნელობა ზღვის ზვირთისა, დაცემა მეხისა, სიყრუვე აკლდამისა. წონით ათიათასია, და ხტომით — ბავშვის ბურთი. ციბრუტივით ტრიალი, უცბად სწორკუთხედად გადაჭრილი. რა ჰქნას კაცმა? როგორ დააღწიოს თავი ამ მტერს? ავდარს ერთხელაც იქნება ბოლო მოელება, ციკლონი გაივლის. ქარი ჩავარდება. გატეხილი ანძის მაგივრად ახალი აიმართება, ადიდებული წყალი დაწდება, ხანძარი გაქრება; მაგრამ რას მოველოდეთ ამ უზარმაზარი ლითონის ბელტისაგან? საიდან მივუდგეთ? ძალს ჩაავანებთ თქვენსას, ხარს გააშტერებთ, გველს მოჰხიბლავთ, ვეფხს შეაშინებთ, ლომს მოაღბილებთ; მაგრამ არავითარი ცდა არ გაგივთ ამ დევთან, გემზე აშვებულ ზარბაზანთან. ხომ ვერ მოჰკლავთ, მკვდარია, და იმავე დროს ცოცხალი. ცოცხალია რაღაც ავბედი სიცოცხლით, რომელიც უსაზღვროებიდან აქვს. სარბიელად იატაკი აქვს, სანავარდოთ გემის მოძრაობა, რომელსაც ბურთივით ათამაშებს ქარით აღელვებული ზღვა. უსაზღვრო ძალითა აღჭურვილი და იმავე დროს პატარა ბუმბულია, გემის, ზღვის ზვირთებისა, და ქარის სათამაშო, მაგრამ საშინელი და მანადგურებელი. რით დაიმორჩილებთ ამ რკინისკბილოვან ანაგს? როგორ გააჩერებთ ამ საზარელ, გემის დამლუპველ მექანიზმს? როგორ ვიგულისხმოთ მოსალოდნელი მიმართულება ამ უსულო მხეცისა? მისი ბრუნვა, გაჩერება, ტრიალი? ყოველი მისი მოძრაობა, თუ სამოსელ ფიცარს ეცა, დამლუპველია გემისთვის. როგორ მივუხვდეთ ვერაგობას მისი მოძრაობასას? ყუმბარაა უზარმაზარი, რომელიც ისე იქცევა, თითქო ფიქრობდეს, აზროვნობდეს და ყოველ წამს იცვლიდეს მიმართულებას. როგორ ავირიდოთ ასარიდებელი? ცოფიანივით თარეშობს. მეხივით ჭექს და ჭუსს, წინ მიჭრის გაქანებით, მაგრამ მყისვე ჩერდება, უცბად უკან

იწევს, ხან მარჯვნივ გაინავარდებს, ხან მარცხნივ. დარბის, დაძრწის. აცრუვებს ჩვენს მოლოდინს, ამსხვრევს, რასაც მოხვდება. კაცს ჰკლავს და სრესს, როგორც პატარა ბუზებს. საშინელებას ამ მდგომარეობისას წარმოადგენს, გემის ფსკერის მოძრაობა. რას იზამთ მერყევ ფართობთან, რომელსაც ზღვის ზვირთი ათამაშებს და აჟინიანებს? თვითონ გემში, მის აგებულებაში მოიპოვება დამწყვედელი მეხი, რომელიც თავის საპატიმროს გატეხასა და თავისუფლებას ცდილობს. როგორც მიწისძვრის დროს მიწაზე მრგვინავი ქექა.

და უტბად ფეხზე იდგა ყველა. შეცდომა მეზარბაზნისა, რომელსაც დაუდევრობით არ მოეპირა დასაბმელი ჯაჭვის ქანჩი და ცუდად დაემუხრუჭებინა ზარბაზნის ოთხი თვალი, რის გამო დაიძრა საგორავეები ზარბაზნის თვლები, დაირღვა ერთიანობა თვლების ქვეშ ფართობისა და გადასწია მოკლე ღვედი, რომლითაც ზარბაზანი მიმაგრებული იყო გემის კედელზე. ღვედი გამწყდარიყო, ისე რომ ზარბაზანი მაგრად აღარ იყო თავის დაზგაზე. უძრავი ღვედი, რომელიც ხელს უშლის ზარბაზნის უკან დაწევას, ჯერ ხმარებაში არ იყო იმ დროს. ზღვის ზვირთი ეცა საზარბაზნო დოლაბს, ცუდად დაბმულმა ზარბაზანმა უკან დაიწია. გაწყვიტა თავისი ჯაჭვი და თავზარი დასცა მთელს გემს.

ისე სწრაფად და მიმართულების მიუხედავად მიექანებოდა გემის საწყობში ზარბაზანი. როგორც ერთი წვეთი წყალი მერყევ გლუვ მინაზე.

ღვედი რომ გაწყდა. მეზარბაზნენი იქვე იყვნენ. ზოგნი ჯგუფად, ზოგნი ცალკალკე: ყველა საქმეში იყო გართული, ცდილობდნენ მომზადებული დახვედროდნენ მოსალოდნელ ღელევას ზღვისას და მტერთან ბრძოლას. ისე მოულოდნელად ეცა ზარბაზანი, რომ ოთხი კაცი იქვე მოჰკლა ჯგუფში, მერე მეორედ გასრიალდა, ორად გაქრა ერთი უბედური. ეტაკა გემის მარცხენა კედელთან ერთ ზარბაზანს და გატეხა. მაშინ გაისმა საშინელი ყვირილი თავზარდაცემული მეზარბაზნეებისა და კიბეს ეცნენ ყველანი. თვალისდახამხამების უმაღლეს თავს უშველა ყველამ. მარტოდმარტო დატოვეს იმოდენა მოძრავი ყუმბარა, სრულიად თავისუფლად თავის სურვილისამებრ მოძრავი და თავისუფლისამებრ გემისუფალი. მის ხელთ იყო გემისა და იმოდენა ხალხის სიცოცხლე და სიკვდილი. გემის მოსამსახურენი. მეზღვაურები, რომელნიც გამწარებულ ბრძოლაშიაც კი გულთანად ხარხარებენ, აქ შიშით თრთოდნენ. შიში მორყეოდა ყველას.

კაპიტანი ბუაბერტელო და მისი თანაშემწე ვიევილი, ორივე

მამაცი ვაჟკაცი, კიბის თავთან გაჩერებულიყვნენ და გონებაშიხდილი, გაყვითლებული, ენაჩავარდნილი ჩასცქეროდნენ ზარბაზნის სრიალს. ვილაცამ გვერდით გაუარა, იდაყვით იქით მიაყენა და კიბეზე ჩავიდა.

ეს იყო გემის მგზავრი, გლეხი, ის კაცი, რომლის შესახებ, ის იყო. ბაასობდნენ კაპიტანი და ვიევილი.

ჩავიდა ძირს და გაჩერდა.

Y

VIS ET VIV *

ზარბაზანი კი დათარეშობდა თავისუფლად. იტყოდით, ცოცხალი ეტლი არის აპოკალიფსისაო. საზღვაო სანათის შუქი სცემდა და ხან სხივით მოციალედ ჩანდა ეს მოჩვენება, ხან სულმთლად ბნელი. ზარბაზნის ფორმა უჩინარი ხდებოდა მის სწრაფ მოძრაობაში და ხან შევად ჩანდა სინათლეში, ხან შუქის გამტყორცნად წყვილიდში.

და განაგრძობდა გემის აღსასრულს. ოთხი სხვა ზარბაზანი დაემტვრია უკვე. ორგან გაეპო კედელი, კიდევ კარგი, რომ ზვირთსაშიშ ხაზის ზემოდან იყო ეს უბედურება, თუმცა წყალი მაინც შევიდოდა გემში. თუ ქარიშხალი ამოვარდებოდა. გაშმაგებით სცემდა კედლებს. სამაგროდ ჩატანებული მასალა უძლებდა, — დიდი სიმაგრე აქვს მოზნეილ ბოძს, — მაგრამ წამდაუწუმ ისმოდა სამაგრის ბოძების ქრიალი, რადგან წარმოუდგენელ უზომო სიმძიმითა და სისწრაფით ეტაკებოდა ზარბაზანი ყოველგან არსებათ და ყოველმხრივ ერთდღიმავე დროს. ტყვიის კენიტი რომ ჩააგლო პატარა ბოთლში და აქანჰყაროთ, იმასაც არ ექნება ის მოულოდნელი და სწრაფი მოძრაობა, რაც ზარბაზანს ჰქონდა. გადადიოდა და გადმოდებოდა ოთხი თვალი დახოცილ კაცებზე, სჭრიდა უბედურებს, სრესდა, ასოასოდ ანაწილებდა და ხუთი მკვდრის მრავალი ასო და ნაჭერი იძვროდა ზარბაზნების ქვეშ. ისეთი გამომეტყველება შერჩენოდათ მკვდარ თავებს, თითქო ყვირილს აპირებენ, — გვიშველეთო! სისხლის ნაკადი დიოდა იატაკზე, ხან აქეთ, ხან იქით, გემის ქანაობის მიხედვით. შიდა მოფიცრულობა კედლებისა რამდენსამე ალაგას იყო გატეხილი და ინგრეოდა. საშინელი გრგვინვა ისმოდა მთელ გემზე.

*) ძალა და მამაცობა.

კაპიტანმა სწრაფად მოიკრიბა გონება და თანახმად მისი ბრძანებისა ზემოდან ჩაჰყარეს ზარბაზნებში ყველაფერი, რითაც კი შეიძლებოდა შეყენება, ან შემცირება ამ უხიაკის სრბოლისა. ჩაჰყარეს ლეიბები, თოკის სკამები, მარაგი იალქნისა, თოკი და ბაგირი, მოსამსახურეების ჩანთები და ყალბი ასიგნაციების ოზმები, ამით იყო დატვირთული გემი, რადგან ამ სამარცხვინო საქციელს ინგლისისას პატიოსნად წარმოებულ იმის საშუალებად თვლიდნენ მტრები.

მაგრამ რას უშველიდათ ეს მჩვრები, როდესაც კაცი არ იყო რომ გაეხედა და საწყობში ჩასულიყო მის საჭიროებისამებრ დასაწყობად? რამდენიმე წუთის შემდეგ ნაძენდ ფილთად იქცა სუყველაფერი.

საუბედუროდ ზღვაც ისე ღელავდა, რომ სავსებით მოსალოდნელი იყო გემის დაღუპვა. მაგრამ იქნება ამ გაჭირებაში ზღვის ღელვა კი არა, დიდი ქარიშხალი უფრო სასურველი ყოფილიყო? დაებერა, ისე აეწია გემი, რომ პირაღმა დაეწვინა ზარბაზანი, და მაშინ, რაკი თვლები ზევით ექნებოდა, იქნება მორევოდნენ როგორმე ამ მხეცს.

ამასობაში ნელნელა იმტვროდა გემი. უკვე ანძებს დასტაკებოდა ზარბაზანი და ზოგისთვის კანი გაეძრო, ზოგისთვის მეტიც წაეგლიჯა. ძირი უფუჭდებოდა ანძებს, რადგან გემის ფსკერში არიან ჩასმული, აღიან მის სართულებში და მერე ზევით აიწვევენ სქელ, რგვალ ბოძებად. სცემდა ზარბაზანი წინა ანძს, ჩამოამტვრია ქვემო აფრის საკიდი. თვით დიდი ანძაც შერყეულიყო, ზარბაზნებსაც დიდი ზიანი ემჩნვოდა. ოცდაათიდან ათი ზარბაზანი უკვე უვარგისი იყო სასროლად. გემის კედლებში უფრო და უფრო მრავლდებოდა ნაპრალი და გემში ოდნავ წყალი ჩადიოდა.

ძირს ჩავიდა მოხუცებული მგზავრი და იდგა კიბის ბოლოს, თითქო ქანდაკება ყოფილიყოს. იდგა და სასტიკი თვალით შესცქეროდა გემის მტვრევას. უძრავად იდგა, შეუძლებელი იყო ერთი ნაბიჯით მაინც წასულიყო წინ, ზარბაზნისაკენ.

ზარბაზნის ყოველი მოძრაობა აუცილებლად მოასწავებდა ახალ ზიანს გემისას. ცოტა ხანი კიდევ და დაიღუპებოდა გემი.

ან დაიღუპებოდნენ ყველანი, დაუყოვნებლივ უნდა შეებოროათ აწყვეტილი ზარბაზანი. მაგრამ როგორ?

რით შეებოროათ ეს უცნობი მტერი, აქამდე უნახავი?

საჭირო იყო გაჩერება ამ თავაშვებულ ტინის ლოდისა ।

საჭირო იყო მახეში. გაბმა ელვისა. ।

საჭირო იყო განადგურება მეხისა.

ბუაბერტელომ ვიევილს ჰკითხა:

— ღმერთი გწამთ, ვიევილ?

იმანაც დაურიდებლივ აღიარა თავისი:

— ჰო... არა — ხანდახან.

— ქარიშხალში?

— დიახ, და ამისთანა განსაცდელში.

— ჰოდა, ღვთის განგება, თორემ ჩვენ ამ განსაცდელს ვერ გადაურჩებით.

გაჩუმებულიყვნენ ყველანი; თავისუფლად, თავისნებისად დაფორიაქობდა გემის მტვრევი.

შიგ თუ ზარბაზნის გრიალი ისმოდა, გარედან მძლავრი ზვირთი სცემდა გემს, თითქო ორივე მხრიდან სცემენ უროსაო.

და უცბად ერთი კაცი გამოჩნდა იმ მიუვალ მოედანზე, სადაც ხტოდა გაცოფებული ზარბაზანი. ხელში გრძელი, ბერკეტიანი რკინა ეჭირა. ეს იყო გამომწვევი ამ უბედურებისა, — თავის დაუდევრობით და უგულისყურობით, — მიზეზი საშინელი განსაცდელისა, უფროსი მეზარბაზნე. შეცდომა მე მომივიდა, ხამს მევე გამოვასწორო საქმეო. გრძელი რკინა ეჭირა ერთ ხელში, ბერკეტიანი, და მეორეში თოკი, რომლითაც საქის ღერძზე გადადის თვლების მოძრაობა.

საშინელი ბრძოლა დაიწყო, საარაკო, დევური, ბრძოლა ზარბაზნისა და იმის მსროლელისა; ბრძოლა ნივთიერებისა და გონიერებისა, დუელი ადამიანისა და უსულო მასალისა:

კუნჭულში დადგა კაცი, თავისი რკინითა და თოკით, ბოძისკენ ზურგით და მაგრად იდგა, თითქო ფოლადისა აქვს ფეხებით, გალურჯებული, დამწვინებული, ტრაგიკული, თითქო ფესვები ჩაუყრია იატაკშიო. იდგა და ელოდა.

ელოდა, რომ ზარბაზანს მის ახლო გაეელო.

კარგად იცნობდა თავის ზარბაზანს და ფიქრობდა, ისიც კარგად უნდა მიცნობდესო. დიდი ხანი იყო, ამ ზარბაზანთან ცხოვრობდა. რამდენჯერ ჩაუჩრია ხელი იმის ხახაში! მხეცი იყო, მაგრამ მხეცი შეჩვეული, და ლაპარაკი დაუწყო, როგორც გაწრთვნილ ძალს: — აქეთ წამოდი! — იქნება კიდევ უყვარდა.

ეტყობოდა უნდოდა, რომ იმისკენ გამოქანებულიყო.

მაგრამ იმისკენ გამოქანება, იმაზე გადავლას ნიშნავდა. მაშინ დაღუპული იყო კაცი, გასრესილი, გაჭყლეტილი. როგორ აეცდინა ეს გასრესა? ეს იყო საფიქრებელი. ყველანი, იმას შეჰყურებდნენ

გულგახეთქილი. სუნთქვა ეკვროდა ყველას, გარდა, მგონია, მოხუცებულისა, რომელიც მარტოდმარტო იდგა ამ ბრძოლის ველზე და შეჰყურებდა მებრძოლთ. მოწამე ავბედითი.

შეიძლებოდა, თვითონ იმას დასტაკებოდა ზარბაზანი და ზედ გადაეელო. არც კი იძვროდა.

მათ ქვემოდან — ზღვის დღევა, უგლიმი და უგბილი განაგებდა ამ ბრძოლას.

იმ წამს, როდესაც ხელჩართულ ბრძოლაში გავიდა ადამიანი ამ უსულო მხეტთან და — გამოდიო! — შეუტია, ზღვის ტალღის რალაც უცნაურმა, შემთხვევითმა მოძრაობამ უძრავად დააყენა ზარბაზანი, უძრავად და განცვიფრებულად. — მოდი რალა! — უძახდა კაცი, და ისიც იდგა, თითქო ყურს უგდებსო.

და უცბად გამოქანა კაცისკენ. გადარჩა კაცი, გვერდზე გაუხტა-

და დაიწყო ბრძოლა. ბრძოლა ძნელი წარმოსადგენი, ლბილისა და ფოლადის ჭიდილი, ჭიდილი ხორციელისა და მოძრავი ლითონისა. ერთი მხრივ — ძალა, — მეორე მხრივ — სული.

ბნელაში წარმოებდა ეს ბრძოლა, თითქო მოჩვენება ყოფილიყოს ბუნდოვანი სასწაულისა.

უცნაურია, მაგრამ ისე იძვროდა ზარბაზანი, იტყოდით, — ამა-საც სული უდგასო, ოღონდ სული სიძულვილისა და გაშმაგებისა. უსინათლოს თვალები ჰქონია. ისე იბრძოდა, თითქო უთვალთვალეებს თავის მტერს, თითქო ვერაგობით აღსავსე არისო. ისიც შესაფერ წამს ელოდა, რომ დასტაკებოდა თავის მტერს. რალაც წარმოუდგენელი უზარმაზარი მწერი იყო ლითონისა, რომელსაც, გეგონებოდათ, ქაჯისნება და მოხერხება აქვსო. უსაზღვრო სისწრაფით მსრბოლი და მხტომი უცბად დაბალ ჭერს ეცემოდა საწყობისას, მყისვე დაეშვებოდა თავის ოთხ თვალზე, როგორც მძვინვარე ვეფხი თავის ბრჭყალებზე, და ისევ კაცისკენ მიქროდა. ისიც, ცქვიტი, მარჯვე, მოძრავი, გველივით იკლაკნებოდა, რომ აეცდინა მეხის დაცემა. თავს არიდებდა, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა, გემს სცემდა და განაგრძობდა მის მტვრევას.

ჯაჭვის ნაწყვეტი შერჩენოდა ზარბაზანს და, — ვინ იცის, როგორ? — დაჰხვევოდა მის რკალის ხრახნს, ისე რომ ნაწყვეტის თავი ზარბაზნის ლულაზე იყო, ბოლო კი თან მისდევდა ჩხარუნით, და ერთი ორად ახმაურებდა და აზვიადებდა ყოველ მის ნახტომს. ისე იყო ხრახნზე დაბმული, რომ ახლა ეს ჯაჭვის ნაწყვეტი ამრავლებდა უროს ცემას ლახტის ტრიალით და საზარელ გრიგალს ჰქმნი-

და ზარბაზნის ირგვლივ. რკინის მათრახი ბრინჯაოს ხელში. ჯაჭვის ნაწყვეტი ართულებდა ბრძოლას.

კაცი კი მაინც იბრძოდა. არა თუ იბრძოდა, ხანდახან თვითონ მივარდებოდა ხოლმე ზარბაზანს, კედლის ძირას მიცოცავდა; თავისი რკინითა და ლვედით, და ისე გაუბოლდა ზარბაზანი, თითქო მიუხვდა განზრახვას და ერიდება, — ხაფანგში არ გამაბასო. ის კი მაინც თავისას ცდილობდა თავგანწირული.

დიდხანს ვერ გაგრძელებოდა ამისთანა საშინელება. და თითქო ზარბაზანმაც გადაწყვიტა, — კმარა, ახლა კი გავათავოთო! — გაჩერდა. განსაცდელის დაბოლოვების მოახლოვება იგრძნეს. დაბმულივით იდგა ზარბაზანი და ეტყობოდა, უნდა ჰქონოდა, ან მართლაც ჰქონდა, რადგან ყველას სულდგმულ მებრძოლად ეჩვენებოდა, ჰქონდა რალაც მძვინვარი გადაწყვეტილება, და უცბად მეხვიით მივარდა კაცს. ის გვერდზე გადაუხტა და, რომ გაისრიალა, სიცილით დაუძახა: — ერთხელ კიდევ! ზარბაზანმა კი ჯაერი სხვა ზარბაზანზე ამოიყარა: ეხალა და გატეხა. მერე თითქო შურდულში სდებოდეს უხილავი. ძალი და გამოესროლოს, მარჯვენა მხარეს გაქანდა კაცის გასასრესად, მაგრამ კიდევ განზე გაუხტა. აქაც სამი ზარბაზანი დააზიანა. და მერე თითქო ჰრმა არის გახელებული და არ იცის, რას ჩადისო, ზურგი შეაქცია თავის მდევარს, უკანით წინ გაიწია, გაამტვრია გემის წინა მხრის ბოძრთული და კედელი: კაცი კიბესთან ატუზულიყო, მოხუცებულ, ბრძოლის მოწმის ახლოს. ჯერაც ხელში ეჭირა თავისი რკინა. თითქო დაინახა სად არისო, ზარბაზანმა, — არც კი იკადრა მობრუნება, — მოღერებული ცულის სისწრაფით წამოვიდა მის მოსასპობად. კუნჭულში კედელზე მიყრდნობილს გადასახტომი აღარსად ჰქონდა. აუცილებელი იყო, ილუპებოდა კაცი. ყვირილი ამოხდა მთელ ეკიპაჟს.

მაგრამ მოხუცებული მგზავრი, რომელიც აქამდე უძრავად იდგა, ჩაერია ბრძოლაში და უფრო მეტი სიმკვირცხლე გამოიჩინა, ვიდრე ზარბაზნის სრბოლას ჰქონდა: აიტაცა ერთი ოზმა ყალბი ასიგნაციებისა და თავგანწირვით, რადგან შეიძლებოდა ქვეშ მოპყოლოდა, ისე ესროლა, რომ თვლებს შუა შევარდნილიყო. ამ სროლას, გარდამწყვეტს და საბედისწეროს, ვერაფერ შესძლებდა იმაზე უკეთ, იმისავე სისწრაფით და მიზანში ამოღებით, თუნდა დუროზელის სახელმძღვანელოს „სახლეაო ზარბაზნის ხმარება-ს“ მიხედვით დღე და ღამე გაესწორებინა ამ წიგნში აწერილ ვარჯიშობაში.

ასიგნაციების ოზმა მუხრუჭად მოედვა ზარბაზანს. პატარა კენჭი აჩერებს ლოდს, ხის ტოტი გზას აცვლევინებს თოვლის ზეავს. ზარ-

მაზანმა წაიბორძიკა. ამ წამით ისარგებლა მეზარბაზნემ და ერთ უკანა თვლის რიკებში ჩაარქო დიდი რკინის კეტი. ზარბაზანი გა-
ჩერდა.

ბერკეტად გამოიყენა კაცმა თავისი რკინა, დააწვა, დასწია და
გადააბრუნა ზარბაზანი. საშინელი ხმა ამოიღო მძიმე ლითონმა
თითქო ზარი ჩამოვარდა სამრეკლოდანაო. საწყალ კაცს წურწურით
სდიოდა ოფლი, მაგრამ მაინც თავგანწირვით იბრძოდა და დაცე-
მულ გველეშაპს შიგ კისერში, ლულაზე მოახვია თავისი ღვედი.

გათავდო. კაცმა გაიმარჯვა. ქიანქველამ აჯობა მასტოდონტს;*)
ჯუჯამ დააპატიმრა მეხი.

ტაში დაჰკრეს სალდათებმა და მეზღვაურებმა.

მისცივიდნენ ყველანი. ზოგს ჯაჭვი მოჰქონდა, ზოგს თოკი და
შეჰკრეს, დააბეს ზარბაზანი.

გამარჯვებულნი მეზარბაზნე მივიდა მოხუცებულთან და თავი
დაუქრა:

— გმადლობთ, ბატონო. თქვენ გადამარჩინეთ სიკვდილს.

მოხუცებული ისევ ისე გულცივად იდგა გაქვავებულივით და
არა უთხრა რა.

VI

მარი პინა სასწორისა

ადამიანმა გაიმარჯვა, მაგრამ შეიძლება გვეთქვა, რომ ზარბა-
ზანმაც გაიმარჯვა. გემის დაღუპვა ამჟამად აციდინეს, მაგრამ გადა-
რჩენა კი ჯერ საეჭვო იყო. გემი იმდენად იყო დაზიანებული, რომ
შეუძლებელი იყო მისი შეკეთება. გარეშეფიცვრა ხუთგან იყო გა-
ტეხილი, და ერთგან წინამხარეს ძალიან საშიშრადაც. თვით ზარბა-
ზანი რომ დაიჭირეს და ჯაჭვებით შეჰკრეს, სრულიად უვარგისი
იყო და გამოუსადეგარი: ჯარგვალის ხრახნი დამრულიყო და, მა-
შასადამე, შეუძლებელი იყო მიზანში სროლა. ცხრა ზარბაზანი-ლა
დარჩენილიყო. დაუზიანებელი. გემსარდაფში წყალი ჩადიოდა. სა-
ჭირო იყო დაუყოვნებლივი საშუალებანი გემის გადასარჩენად, ტუმ-
ბების ხმარება.

საშინელი სანახავი იყო გემბაჟნებს შუა კედელი. გაშმაგებული
სპილო ვერ დაამტვრევდა ისე თავის გალიას, როგორც ის იყო დამ-
ტვრეული.

*) მასტოდონტი — სპილოს მსგავსი პირველყოფილი ცხოველი.

საჭირო იყო შეუმჩნეველად ევლო გემს, მაგრამ ახლა სხვა საჭიროება აღიძრა, — სასწრაფო ზომები გემის გადასარჩენად. და მიუხედავად განსაცდელისა, რამდენიმე სანათი გაამაგრეს მუაჯირებზე და გაანათეს გემბანი.

და იმ ხნის განმავლობაში, როდესაც ამ გაჭირებაში იყო გემი და დიდი და პატარა ყველა იმის ცდაში იყო, რომ თავი გადაერჩინა როგორმე სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლაში, აღარც კი აგონდებოდათ ენახათ რა ხდებოდა გემს გარეთ. ნისლი დასწოლოდა ზღვას; ამინდი გამოცვლილიყო და ქარი თავისნებისად მიაქროლებდა გემს; გზას ასცდენოდა, მიახლოვებოდა ჟერსეის და გერსეის და უფრო სამხრეთისკენ დაშვებულიყო, ვიდრე საჭირო იყო. აღლევებული ზღვა და დაზიანებული გემი. ზვირთი ზვირთს მოსდევდა, თითქო კდილობენ ეამბორონ პირღია ქრილობას გემისასაო, და მომაკვდინებელი იქნებოდა ეს ამბორი, — საზარელი.

მუქარით იძვროდა ზღვა. გრიგალივით ქროდა ქარი და ქარიშხალი იყო მოსალოდნელი. ახლა ზღვაც უმზადებდა განსაცდელს. წყვდიადით იყო მოცული ცა, ზვირთს იქით აღარა ჩანდა რა.

მანამ გემის მოსამსახურენი ცდილობდნენ შეეკეთებინათ როგორმე საჩქაროდ საშიში ქრილობები კედლებისა, გზები შეეკრათ წყლისთვის გემში შესასვლელად, და დაელაგებინათ მარცხს გადაარჩენილი ზარბაზნები, მოხუცებული მგზავრი გემბანზე ასულიყო.

დიდ ანძას მიჰყრდნობოდა.

ვერც კი დაინახა, რომ რალაც მოძრაობა წარმოებდა გემზე. კაპიტნის ბრძანებით ორ წყობად გამწკრივებულიყვნენ დიდი ანძის აჭეთ-იქით ქვეითი ჯარისკაცები და ზარბაზნის მსროლელები. კაპიტნის სტვენითი ბრძანება გაისმა და მეზღვაურებიც გამწკრივდნენ სხვებთან ერთად.

გრაფი ბუაბერტელო მოხუცებულ მგზავრთან მივიდა.

კაპიტანს უკან მისდევდა ერთი დაღვრემილი, ქმინვით მავალი, ტანისამოსარეული კაცი. მოდიოდა ბარბაციოთ, დაღალულ-დაქანცული, მაგრამ სახის გამომეტყველება მაინც კმაყოფილი ჰქონდა.

მეზარბაზნე იყო, რომელმაც ისე დროზე გაჰპოჰა საშინელი მხეცი და განსაცდელს გადაარჩინა გემი და იმოდენა ხალხი.

გრაფმა სამხედრო სალამი მისცა გლეხკაცის ტანისამოსიან მოხუცს და მოახსენა:

— აი ის კაცი, ბატონო გენერალო.

გაშეშებულივით იდგა მეზარბაზნე თავდაშვებული. როგორც შეეფერება სალდათს უფროსის წინაშე.

ბუაბერტელომ კიდევ მიმართა მოხუცებულს:

— ჩემო გენერალო, იმისთანა ვაუკაცობა გამოიჩინა ამ კაცმა, რომ — იქნება დამეთანხმოთ, — ღირსი გახლავთ წარმატებისა.

— თანახმა ვარ, — წარმოთქვა მოხუცებულმა.

— დიახ, მაგრამ თქვენ გენერალი ბრძანდებით, — უპასუხა ბუაბერტელომ.

— ბრძანება თქვენ უნდა გასცეთ, თქვენ ხართ კაპიტანი.

— დიახ, მაგრამ თქვენ გენერალი ბრძანდებით, — უპასუხა ბუაბერტელომ.

მოხუცებულმა თვალი გადაავლო მეზარბაზნეს და უბრძანა.

— აქ მოდი.

წინ წადგა მეზარბაზნე.

მოხუცებული კაპიტანს — გრაფ ბუაბერტელოს მიუბრუნდა, წმ. ლუის ჯვარი ჩამოხსნა და მეზარბაზნეს გაუკეთა ლურჯ ხალათზე.

— ვაშა! — შეჰყვირეს მეზღვაურებმა. ჯარისკაცები თოფით მიესალმნენ.

მერე ხელი გაიშვირა მოხუცებულმა მეზავრმა გაკვირებული მეზღვაურისკენ და ბრძანა:

— ახლა წაიყვანეთ და დახვრიტეთ ეს კაცი.

აღტაცებას განციფრება მოჰყვა.

და ისევ მოხუცებულმა დაარღვია აკლდამური დუმილი და ხმის ამაღლებით წარმოთქვა:

— დაუდევრობამ განსაცდელში ჩააგდო გემი. ამჟამად იქნება დაღუპულადაც ჩაითვალოს. ვინც ზღვაში არის, მტერთან არის. ზღვით მიმავალი გემი ლაშქარია, ბრძოლის ველზე გასული. შეიძლება იმალებოდეს ქარი, მაგრამ წასვლით კი არსად წავა და კვალდაკვალ მოგვდექს. ზღვაში ყველგან მტერია ჩასაფრებული. სიკვდილით ისჯება ყოველი შეცდომა, მტერთან ბრძოლის დროს ჩადენილი, რადგან შეუძლებელია შეცდომის გამოსწორება. ვაუკაცობა დაჯილდოვებული უნდა იქნეს და შეცდომა — დასჯილი.

ნელნელა მოდიოდა ეს სიტყვები. ერთი-მეორის მიდევნით, მძიმედ, უღმობელი ზომიერებით და შიგ გულში ხვდებოდა, როგორც მუხას პირი ცულისა.

მერე სალდათებს მიუბრუნდა და უბრძანა:

— დახვრიტეთ ეს კაცი.

თავი დაღუნა უბედურმა, რომლის ხალათს წმ. ლუის ჯვარი ამშვენებდა.

ბუაბერტელოს ბრძანებით ორი მეზღვაური ჩავიდა გემბანის ქვეშ და ჰამაკ-სუდარა ამოიტანეს. თან გემის მღვდელი მოსდევდა, რომელიც აფიცრების განყოფილებაში იყო და ლოცულობდა, რაც ხანი ვზაში იყო. ათისთავმა მწკრივიდან თორმეტი სალდათი გამოჰყო და ორ წყებად დააყენა, ექვს-ექვსი კაცი. მეზარბაზნე ხმის ამოუღებლად ჩადგა მათ შუა. მღვდელმა ჯვარი აღმართა და გვერდზე დაუდგა უბედურს. იარეთ! — უბრძანა ათისთავმა. ნელი ნაბიჯით წავიდა ორი მწკრივი გემის თავისკენ. უკან ორი მეზღვაური მისდევდა ჰამაკ-სუდარით.

გულსაკლავი ღუმელი ჩამოვარდა გემზე. შორიდან გრიგალის ხმა ისმოდა.

რამდენიმე წამის შემდეგ გაისმა თოფის ხმა. წამიერმა სხივმა გაიცრალა ბნელში და კვლავ მიჩუმდა ყოველივე. და მერე ტყაპანი მოიღო რალაცამ, გემიდან წყალში გადაგდებულმა.

მოხუცებული მგზავრი კი ისევ ისე იდგა დიდ ანძაზე მიყრდნობილი, გულხელდაკრებილი, ფიქრებით გატაცებული.

ბუაბერტელომ მარცხენა ხელის სალოკი თითი გაიშვირა მობუცებულისკენ და ვიევილს მიმართა ჩუმად:

— ძლივს პატრონი გამოუჩნდა ვანდეს.

VII

გელსა სცდის, ვინც ავრას გაზლის

მაგრამ გემს რაღა მოელოდა?

ნისლი დასდებოდა ზღვას. ზვირთებში ერევოდა მთელ ღამეს, და ისე მძიმედ დასწოლოდა, რომ ჰორიზონტი აღარსად იყო; თითქო მთლიანი საბურავი გადაჰფენოდა ზღვას. ნისლის მეტი — აღარაფერი. მდგომარეობა — ყოველთვის საშიში სრულიად დაუზიანებელი გემისთვისაც კი.

ნისლს ზღვის ღელვა ემატებოდა.

ღროს არა ჰკარგავდნენ. წყალში გადაყარეს, რაც კი ზარბაზნის მიერ დამტვრეული, ან წამხდარი მოეპოვებოდათ, და მათ შეამსუბუქეს გემი; გადაყარეს გაფუჭებული ზარბაზნები, დამტვრეული დაზგები ზარბაზნისა, სათევზაო მოწყობილობები, ხის ან რკინის იარაღი და ხელსაწყო. სარკმელები გააღეს და ფიცრებით ჩააცურეს წყალში ბრეზენტში შეხვეული დახოცილების გვამი და იმათი დაგლეჯილი ნაშთი.

ზღვას ველარ უძლებდა გემი. არა იმიტომ, რომ ქარი გაძლიერებულიყო; პირიქით, თითქო კიდეც შემცირდა. ჰორიზონტის იქით მძვინვარებდა გრიგალი და ჩრდილოეთისკენ იწვევდა; მაგრამ ზვირთი მაინც მეტად მაღლა სცემდა, რაც ცხადი ნიშანი იყო ზღვის ძირის საშინელებისა, და ისე დაზიანებული, როგორიც გემი იყო. ველარც ამ ტალღების მოძრაობას გაუძლებდა, ველარც ტალღების ცემას.

გაკელი საჭეს მართავდა ჩაფიქრებული.

ჭირსა შინა-გამაგრება—ეს ბუნება არის მეზღვაურისა.

ვიევილიც ამ ბუნების კაცი იყო და, რაც უფრო მეტი იყო გაჭირვება, მით უფრო მხიარულად შესტკეროდა განსაცდელს.

— ჰა მესაჭევ, წელი სწყდება ჩვენს გრიგალს! ბევრიც რომ ეწვალოს, ცხვირს ვერ დააცემინებს. გადავრჩით, გადავრჩით! ერთი უკნიდან დაგვიბეროს!

გაკელიმა დარბაისლად უპასუხა:

— ქარს ღელვაც თან ახლავს.

არც მხიარული, არც დაღონებული. ასეთია მეზღვაური. პასუხს დამამშვიდებელი არა ჰქონდა რა. გემში რომ წყალი შევა, თუ ტალღაც მიემატა, ადვილად გაივსება. და თავის სიტყვის ამ აზრს ხაზი გაუსვა გაკელიმა წარბის შეკუმხვნით. იქნება უალაგოდ ეჩვენა ზარბაზნის მიერ მიყენებული მარცხისა და უბედური კაცის დახვრეტის შემდეგ ეს მხიარული სიტყვა და ხუმრობა. ბევრი რამ არის უბედურების მომასწავებელი, როდესაც ზღვის ხელთა ხარ, ზღვის ანაბარად. ხეაშიადია ზღვა; ვინ იცის, გულში რა უღვეს. სიფრთხილეს თავი არ სტკბავაო.

ვიევილიმაც იგრძნო, რომ ხუმრობის დრო არ იყო.

— სადა ვართ მესაჭევ?

და პასუხი მიიღო.

— ღვთის განგებაში.

მესაჭე ბატონია; ნება უნდა მისცე. ყოველთვის თავისებურად მართოს საჭე. და ხშირად — თავისებურად თქვას სიტყვა. და ესეც რომ არ იყოს, ლაპარაკი ეზარება ამგვარ კაცს. თავი დანება ვიევილიმა.

ვიევილიმა მესაჭეს მიმართა კითხვით და პასუხი ჰორიზონტიდან მიიღო:

ფარდა გადაიხადა უცბად ზღვამ.

ზღვას რომ ნისლი დასწოლოდა და ტალღას ჰფარავდა, დარ-

ღვეულიყო. შორამდე, სადაც კი თვალი მისწვდებოდა, მოჩანდა ბინდოვან სინათლემი ზღვის ღელვა და ზვირთები. ცას ღრუბელი აჭფარებოდა, მაგრამ ზღვას არ ეხებოდა; აღმოსავლეთით მკრთალი სინათლე მოჩანდა, გათენების მომასწავებელი; დასავლეთით რაღაც თეთრი ციალი, ნიშანი მთვარის ჩასვლისა. ეს ორი მკრთალი ნათელი ჰორიზონტისა, ერთმანეთის მოპირდაპირე, ორ ვიწრო ზოლად გადაშლილიყო მოქურუშებული ზღვისა და მოღრუბლული ცის შუა.

ამ ორ სინათლეზე ეხატებოდნენ შავი, მალა ამართული, უძრავი სილუეტები.

დასავლეთით, მთვართ გაჩაღებულ ცაზე, სამი მალა კლდე მოჩანდა, მალა ამართული, როგორც კელტური საფლავის ქვები.

აღმოსავლეთით, გათენების ფერმკრთალ ჰორიზონტში მოჩანდა რვა გემი, მწყობრად დალაგებული, ერთმანეთ შუა გაუყვანი მანძილით დაშორებული.

სამი კლდე — ბრაგი იყო; რვა გემი — მთელი ესკადრა.

უკან კიდევ მანკიერის კლდე მოჩანდა, რომელსაც საშინელი სახელი ჰქონდა გავარდნილი, და წინ — საფრანგეთის სადარაჯო გემები. აღმოსავლეთით — უფსკრული, დასავლეთით — სისხლის ღვრა. აქეთ გემის დამტვრევა და ჩაძირვა, იქით მძლავრ მტერთან ბრძოლა.

ბრაგისკენ წავიდოდა გემი, კანი რომ დახვრეტილი არა ჰქონოდა და აღნაგობა დარღვეული, ძირიანად დაძრული ანძები: ბრძოლას ირჩევდა და ოცდაათ ზარბაზნიდან ოცდა ერთი მოშლილი ჰქონდა და საუკეთესო მეზარბაზნენი ეყარნენ ზღვის ძირში ზარბაზნის მიერ დახოცილნი.

ის იყო ირიჭრაყა; ჯერ კიდევ ბნელში იქნებოდნენ ცოტა ხანს. იქნება კარგად ხანგრძლივადაც ღირსებოდათ ეს სიბნელე, რადგან ცას მალა სქელი, სხივგაუყვანი ღრუბელი მოჰფენოდა და მკიდრო თაღად გადაშლილიყო ზღვაზე.

ქარი თავისას არ იშლიდა, და როცა მთლად ააცილა წყალზე ჩამოწოლილი ნისლი, ახლა მანკიერის კლდისკენ მიაქცია გემი.

უკიდურესად დაღალული, გატეხილი, ანძებდანიძრეული გემი თითქმის აღარ ემორჩილებოდა საჭეს; თვითონ კი არ მიდიოდა, ქარის ქროლისამებრ მიცურავდა, საითაც ქარი დაჰკრავდა.

განსაცდელით სავსე მანკიერის კლდე მაშინ უფრო სალი იყო

ვიდრე დღეს. რამდენიმე მახვილკედლიანი ციცაბი ამ უფსკრულის მიუვალ სიმაგრისა უკვე ჩამოსკამა ზღვის დაუდგრომელმა ტალღამ. აგებულება ზღვის პირის კლდისა იცვლება; ტყუილად კი არ დაარქვა ხალხმა ტალღას მახვილი; ყოველი მოქცევა ზღვისა, ყოველი ზვირთი ზღვისა ხერხის პირია კლდისთვის. მიუვალი იყო იმ დროს მანკიერი და დაილუპებოდა; ვინც იმას მიუახლოვდებოდა.

რაც შეეხება რვა საღარაჯო გემს, ეს იყო ქ. კანკალის ესკადრა. რომელმაც შემდეგში კაპიტან ღუშენის მეთაურობით იმდენად ისახელა თავი, რომ ლეკინიომ თავის გაზეთს „პერ ღუშენი“ დაარქვა.

მდგომარეობა კრიტიკული იყო. გემი მის შეუმჩნეველად თავის გზას ასცდენოდა ზარბაზანთან ბრძოლის დროს და უფრო გრანვილისკენ მიდიოდა. ვიდრე სენ-მალოსკენ. კიდევ რომ შესძლებოდა თავისნებისად ცურვა და აფრის გაშლა, ჟერსეისკენ ველარ გაბრუნდებოდა, რადგან წინ მანკიერი ელობებოდა, და ესკადრა გზას უკრავდა საფრანგეთში შესასვლელად.

ქარიშხლის შიში აღარ იყო, მაგრამ, მესაჭის სიტყვისა არ იყოს, ქარი ქროდა და ღელვაც თან ახლდა. ქარი სცემდა ზღვას, თავისნებისად მიაქანებდა მის ტალღებს კლდოვან ძირში და პატარა ნაფოტივით ათამაშებდა გემს.

ზღვა თავის დღეში არ იტყვის თავის სურვილს, არასდროს. ყველაფერია ზღვის გულში, ყოველგვარი ვერაგობა. თითქმის შეიძლება ვთქვათ, რომ ზღვას თავისი გეგმიანი განზრახვა აქვს: წინ მიიწევს და უკან იხევს, აღვითქვამს და უარპყოფს, გააფთორებული გეჩვენება და უცბად დაწყნარდება, შთანთქმას გიქადის, უფსკრულს, და მყისვე ილიმება, აღმოსავლეთით გემუქრება და დასავლეთით დაგკრავს. მთელ ღამეს ნისლი აწვა კლეიმორს და ქარიშხლის შიში. და სულმთლად გაცრუვდა ზღვა, სამარცხვინოდ გაცრუვდა: გრიგალით აშინებდა და წინ კი კლდე აღუმართა. იგივე განსაცდელი, ოღონდ ახლა სხვაგვარი.

ფურთხნით დალუპვას ემატებოდა მტრის მიერ ამოჟლეტა. ერთ მტერს მეორე ემატებოდა.

ვიევილი მაინც კარგ გუნებაზე იყო და სიცილით დაიძახა:

— აქეთ გემის დამსხვერვეა, იქით ბრძოლით სიკვდილი! დუფანჯი აქაც იქაც!

VIII

9 = 380

ბედისანაბრად მიგდებულ ნაოხარს ჰგავდა გემი. აკლდამური ზეიმოვნება მორევოდა მკრთალ, გაბნეულ სინათლეს, შავით მორთულ ღრუბელს, გამოუტყვეველ მოძრაობას ჰორიზონტისას, საიდუმლოებით სავსე შხუილს ზვირთებისას. ქარიღა იყო, რომ მტრულად ჰქროდა, თორემ სხვა ყველა დუმილს მოეცვა. განსაცდელი დიდებულად ამოდიოდა უფსკრულიდან და მოჩვენებას უფრო ჰგავდა, ვიდრე იერიშით მომავალს. არა იძროდა რა კლდეში, აღარ იძროდა რა გემში. უსაზღვრო დუმილი ჩამოვარდნილყო. ნამდვილად არსებულად მოჩანდა ყოველივე ეს, თუ ლანდი იყო ზღვის ზედან მიმავალი? ძველ თქმულებაში მოიპოვება ამგვარი მოჩვენებანი. გემი, ძველებურად რომ ვთქვათ, ქაჯების კლდისა და ლანდური ესკადრის შუა ჩავარდნილიყო.

ბუაბერტელომ ჩუმი ხმით ბრძანება მისცა ვიევილს და ისიც ზარბაზნებისკენ გაემართა, მერე კაპიტანმა ჰოგრი აიღო, უკან დაიწია და გვერდით დაუდგა მესაჭეს.

მესაჭე კი თავისას გაიძახოდა, თითქო თავის თავს ელაპარაკებოდა.

მთელ თავის ძალ-ღონეს ხმარობდა გაკეილი, რომ გემი მდგომიარედ ეტარებინა იმ ლელვაში, რადგან გვერდზე დაწევა ქარსა და წყალში აუცილებელ ჩაძირვას მოასწავებდა.

— მესაჭე, — მიმართა კაპიტანმა, — სად ვართ?

— მანკიერის კლდეებთან.

— რა მხრიდან?

— ავი მხრიდან?

— ძირი როგორია.

— სალი კლდე.

— ვერ შეეძლებთ მივეყრდნოთ სადმე?

— სიკვდილს ყოველთვის შეეძლებთ.

კაპიტანმა აღმოსავლეთისკენ მიმართა თავისი ჰოგრი და სინჯვა დაუწყო მანკიერის კლდეს, მერე დასვლეთისკენ — სადარაჯო გემების ალქანს.

— მანკიერი გახლავთ. მეთოვლიას დასასვენებელი კლდე, როდესაც გუნდად მიფრინავს ჰოლანდიიდან.

კაპიტანი ამ დროს ესკადრის გემებს სინჯავდა.

მართლაც რვა გემი ჩანდა, მწყობრად ჩამწყობრებული, წყალზე თავის სამხედრო მოწყობილობით ამართული. შუაში ერთი დიდი სიმაღლის გემი მოჩანდა, სამი გემბანით აღჭურვილი.

კაპიტანმა ისევ მესაქეს დაუწყო კითხვა:

— იცნობთ ამ გემებს?

— ძალიან კარგად, — უპასუხა გაკეილმა.

— რა გემებია?

— ესკადრა.

— საფრანგეთისა?

— ეშმაკისა. და ქაჯისა.

გაჩუმდნენ ცოტა ხანს. მერე კაპიტანმა ჰკითხა:

— მთელი ესკადრა არის მანდ?

— მთელი არ არის.

და მართლაც, ორ აპრილს ვალაზემ მოახსენა კონვენტს, რომ ლამანშის სადარაჯოდ დანიშნული იყო თექვსმეტი გემი. კაპიტანსაც მოაგონდა ეს მოხსენება.

— დიახ, ესკადრას თექვსმეტი გემი დაუნიშნეს. აქ კი სულ რვა არის.

— დანარჩენები, — განაგრძო გაკეილმა, — ქვევით არიან, მთელ ზღვის პირს სდარაჯობენ.

კაპიტანი ისევ ესკადრას გასცქეროდა და წარმოთქვა:

— სამი გემბანი... ორი გემი პირველი ხარისხისა, ხუთი მეორისა.

— ეგენი სდარაჯობენ, და მეც კარგად ვიჯაშუშე, მაგ ესკადრაზე რომ ვიყავ. — ჩაიცინა გაკეილმა.

— კარგი გემებია, — თქვა კაპიტანმა, — ცოტა ხანს მეც ვიყავ მაგ ესკადრაზე.

— მეც ძალიან ახლო გავსინჯე, — თქვა მესაქემ. — ერთმანეთში არ ამერევა. დაწვრილებით მახსოვს ყველას ნიშნები.

კაპიტანმა მესაქეს გადასცა ჭოგრი.

— მესაქე, ხომ კარგად ხედავთ მაღალ გემს?

— დიახ, ჩემო კაპიტანო. „კოტ-დ-ორი“ გახლავთ.

— იმათ მიერ გადანათლული, — თქვა კაპიტანმა, — აქამდე, „ბურგონ — სამეფო“ ერქვა. ახალი გემია. ასოცდარვა ჩარბაზანი აქვს.

პატარა რვეული ამოიღო კაპიტანმა, ფანქარი და ჩაიწერა 128. მერე განაგრძო:

— მესაქე, რა გემაა, მარცხნივ რომ დგას. პირველი?

— „გამოცდილი“ გახლავთ.

— პირველი ხარისხისა. ორმოცდა თორმეტი ზარბაზანი. ახლა 52 ჩასწერა თავის რეეულში.

— მეორე, მარცხნიდან?

— „დრიადი“.

— პირველი ხარისხისა. ორმოცი ზარბაზანი, სიგანით თვრამე-
ტიანი. ინდოეთში არის ნამყოფი.

საგანგებო ისტორია აქვს მაგ გემს.

და 52-ს ქვემოდან 40 მიუწერა.

— ახლა მარჯვენა მხარე.

— ჩემო კაპიტანო, ეგ სულ მეორე ხარისხის გემებია, ხუთი გახლავთ.

— რა ჰქვია პირველს, სამ გემზაქნიანის გვერდით?

— „გამბედავი“.

— ოცდათორმეტი. მეორეს?

— „რიშმონი“.

— იმავე ძალისა. მერე?

— „ათე“. უცნაური სახელია ზღვაში მიმავლისთვის. მერე?

— „კალიპსო“.

— მერე?

— „დამპყრობი“.

— ხუთჯერ ოცდათორმეტი ზარბაზანი.

და ზემოთ აღნიშნული რიცხვებს ქვემოდან ას სამოცი მიაწერა
კაპიტანმა.

— მესაქე, ხომ კარგად იცანით ყველა?

— თქვენ, ჩემო კაპიტანო? თქვენ კარგად იცით ესკადრა, რად-
გან შე მხოლოდ ვცნობ, და თქვენ კი კიდევ გცოდნიათ.

კაპიტანი თავის რეეულს დასცქეროდა.

— ას ოცდარვა, ორმოცდა თორმეტი, ორმოცი, ას სამოცი...

ამ დროს ვიევილი ამოვიდა ქვემოდან.

— ვიევილ, — შეჰყვირა კაპიტანმა, — ჩვენ წინააღმდეგ სამას
ოთხმოცი ზარბაზანი არის გატენილი.

— იყოს სამას ოთხმოცი, — თქვა ვიევილმა.

— ჰოდა ხომ შეამოწმეთ ჩვენები. რამდენი გვაქვს, რომ დანამ-
დვილებით შეიძლებოდეს მათი ხმარება?

— ცხრა.

— ცხრა იყოს, — თქვა ახლა ბუბერტელომ.

ჰოგრი გამოართვა მესაქეს და ჰორიზონტს გადაავლო თვალი. ჩუმად იდგა რვა შავი გემი, პატარად, მაგრამ შესამჩნევად კი იზრდებოდა, ნელნელა უახლოვდებოდნენ ერთმანეთს მტრები.

ვიევილი მხედრულად გამოეჭიმა თავის კაპიტანს:

— მოისმინეთ, კაპიტანო, ჩემი მოხსენება: უნდობლად მიმაჩნდა ეს კლეიმორი. ჰირივით მეჯავრება უცბად დაძვრა გემისა, რომელიც მე არ მიცნობს, ან რომელსაც არ ვუყვარვარ. ინგლისელი გემით, საფრანგეთის მტრით, რაც ცხადად დაამტკიცა იმ გასაოხრებელმა ზარბაზანმა. ის ზარბაზანი, თორემ სხვა ყველა კარგი იყო. დავიარე; გავსინჯე. საგანგებო ანძები, უბრალო რკინისა კი არა, უროთი შექედლ რამდენივე ზოლისა. ანძების ფრთები — ძალიან მაგარი. საგანგებო ჯირგინი, ადვილად გასაწევი, დადებულ ორას ორმოცდაათი მეტრის სიგრძისა. საკმარისი მარაგი სასროლი მასალისა. ექვსი მეზარბაზნე მკვდარი. ას სამოცდა თორმეტი სროლა თითო ზარბაზანზე.

— რადგან ცხრა ზარბაზანილა შეგვრჩა, — წარმოთქვა სინანულით კაპიტანმა.

ბუბერტელომ ისევ ესკადრისკენ მიმართა ჰოგრი. ნელა, მაგრამ უახლოვდებოდნენ გემები.

იმ დროის ზარბაზანს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ სამი კაცი კმაროდა მის მოსახმარებლად; მაგრამ ნაკლიც ჰქონდა: შორს ვერ სცემდა და მიზანსაც კარგად ვერ იღებდა. საჭირო იყო ახლო მოეშვათ ესკადრა, რომ ზარბაზანი ესროლათ.

კაპიტანმა ჩუმი ხმით გასცა ბრძანება. მიჩუმდა ყველაფერი გემზე. განგაში არ დაურეკიათ, მაგრამ განგაში ასრულდა. გემს არავითარი ბრძოლა არ შეეძლო არც მტერთან, არც ზღვის ღელვასთან და ეცადნენ გამოეყენებინათ ყველა, რაც კი მოეპოვებოდათ მტრის საზიანოდ. ჯირგინებთან დააგროვეს გემბანზე რაც კი თოკები ჰქონდათ, რომ საჭიროებისამებრ გაემაგრებინათ ანძები. წესიერად მოაწყვეს დაჭრილების ოთახი. მეზღვაურების მაშინდელი ჩვეულების მიხედვით გემბანს გვერდები გაუმაგრეს, რაც კარგად ააცდენდა ტყვიას, მაგრამ ყუმბარისგან კი ვერ დაიფარავდა. ყველა მატროსს მისცეს სავაზნე, ხანჯალი შემოართყეს და ორორი დამბაჩა ჩაუდეს ქამარში; საწოლები დაჰკეცეს; ზარბაზნები დაუმიზნეს; თოფოსნები მოამზადეს; იქვე დაილაგეს ცულები და გრძელტარიანი კავები; გააღეს ყუმბარის, ტყვიისა და თოფისწამ-

ლის საწყობი. თავთავის ალაგას დადგა ყველა. ყოველივე ეს წარმოებდა ჩუმად, ხმის ამოუღებლად, როგორც სულთმობრძავის ოთახში. სწრაფი იყო ეს მზადება, მგლოვიარული.

მერე გემი გააჩერეს. ექვსი ღუზა ჰქონდა, როგორც დიდ გემს. ექვსივე წყალში ჩაუშვეს, — სამარაგო ღუზა წინ, გასაჩერებელი — უკან, საზვირთე — ქარის მხრივ, უკუმისაქცევი — მის პირდაპირ, მარცხენა — მარჯვენა და მარჯვენა — მარცხენა.

მარცხს გადარჩენილი ცხრა ზარბაზანი გაამწკრივეს, ერთ მხარეს ყველა და პირი მტრისკენ უყვეს.

ესკადრაც ჩუმადვე ემზადებოდა საბრძოლველად. რვა გემს უკვე რგოლი შეეკრა, რომლის ქორდა მანკიერს უერთდებოდა. ამ ერთ რგოლში მომწყვდეული კლეიმორი. გაჩერებული თავისი ღუზებით. კლდეზე იყო მიყრდნობილი, ესე იგი აკლამაზე.

მწვერები შემოხვევოდნენ ტახს, არ იყეფებოდნენ. მაგრამ იღრი-ნებოდნენ.

ისე იყვნენ ორივე მხარეს, თითქოს რაღაცას ელიანო.

მეზარბაზნეები კლეიმორზე თავთავის ალაგს იდგნენ, ზარბაზნებთან.

ბუაბერტელომ ვიევილს გაუზიარა თავისი წადილი:

— მგონია, მე დავიწყებ ბრძოლას.

— როგორც შეპტერის კეკლუტს, მრავალ. აშვიის სატრფოს, — მიუგო ვიევილმა.

IX

პ რ თ ი მ ა ი ნ ს გ ა დ ა რ ჩ მ ს

მოხუცებული მგზავრი ისევ გემბანზე იდგა და გულგრილად შეჰყურებდა იქაურობას.

ბუაბერტელო მიუახლოვდა და მოახსენა:

— ყველაფერი მზად გახლავთ, ბატონო. გათხრილია ჩვენი სამარე და ვეცდებით ძვირად დაეუსვათ მტერს ჩვენი სიკვდილი. ორ ცეცხლშუა გახლავართ, იქ ესკადრა და აქ ეს კლდე. ან მტერს ზნდა დავნებდეთ, ან აქვე დავიღუპოთ, სხვა გზა აღარა გვაქვს რა, და ერთად ერთილა დაგვრჩენია, — სიკვდილი. დახრჩობას ბრძოლა სჯობია და ჩვენც ვიბრძვით. დახრჩობას ტყვიით გამიმგირონ გული, ის მირჩევია. დიახ, რაკი სიკვდილზე მიდგა საქმე, წყალს ცეცხლი სჯობია. მაგრამ სიკვდილი ჩვენი ზვედრია, ბატონო, და არა

თქვენი: თქვენ ბრძანდებით დიდებულთაგან არჩეული და დიდებული დავალებით აღჭურვილი კაცი: თქვენ უნდა აწარმოოთ ვანდელების ომი რესპუბლიკის წინააღმდეგ. თქვენ რომ დააკლდეთ ამ ომს, იქნება თვით მონარქიასაც ბოლო მოეღოს; თქვენ უნდა გადარჩეთ, ვალდებული ბრძანდებით — იცოცხლოთ. თქვენი სახელი გვავალებს აქ დავრჩეთ და ვაჟაკატურად დავუხვდეთ სიკვდილს; თქვენ კი — თავის გადარჩენას გავალებთ და სიცოცხლეს. უნდა წახვიდეთ, ჩემო გენერალო. ნავს მოგართმევთ და ერთ კაცს. შეუძლებელი არ გახლავთ შორს მოვლით ნაპირს მიუღდგენ ნავი. ჯერ არ გათენებულა. მაღალი ზვირთი, ბნელი ზღვა, ცდა შედის მონახევრეა. ზოგჯერ ბრძოლიდან გაქცევა ბრწყინვალე გამარჯვებაა.

მოხუცებულმა ხმის ამოუღებლად თავი დაუქნია ნიშნად თანხმობისა.

ბუაბერტელომ ხმა აამაღლა:

— სალდათებო და მატროსებო!

შეწყდა ყოველი მოძრაობა. გაშეშებულებივით ოდგნენ ყველანი თავთავის ადგილს და კაპიტანს შესცქეროდნენ.

— ჩვენთან მყოფი მოხუცებული მეფის წარმომადგენელი ბრძანდება. ჩვენ მოგვანდევს მისი სიცოცხლე და პირნათლად უნდა ავასრულოთ ეს დავალება. ჩვენი თანამგზავრი საჭირო არის საფრანგეთის ტახტისთვის. რადგან პრინცი არ გვეყავს. მან უნდა იკისროს ვანდელების მხედართმთავრობა. დიდი კაცი ბრძანდება, დიდი სამხედრო გამოცდილების პატრონი. ჩვენთან ერთად უნდა მიბრძანებულიყო საფრანგეთში. ვინც მეთაურს გადააარჩენს, გამარჯვებაც იმისია.

— მართალია, მართალი! — შეჰყვირეს გემის ყოველ მხრიდან.

კაპიტანმა განაგრძო:

— ჩვენ ხომ, და ამასაც დიდი განსაცდელი მოელის. არც ისე ადვილია ზღვის პირად გასვლა. დიდი უნდა იყოს ნავი, რომ ამ ზვირთებს გაუძლოს, და პატარა უნდა იყოს ნავი, რომ ამ ესკადრას გაეპაროს. საჭიროა იმისთანა ადგილს მივაყენოთ ნავი. რომ საშიში არა იყოს რა, უფრო ფუჟერისკენ ვიდრე კუტანსისკენ. ერთი მეზღვაური გვინდა, ყოჩალი ბიჭი. რომ კარგად უსვამდეს ხოფს და კარგად ცურავდეს; ჩვენებური, რომ კარგად იცოდეს ზღვის პირის ყველა ბილიკი. ჯერ კიდევ საკმაოდ ბნელა და ძნელი არ იქნება მტრის შეუმჩნეველად გაპარება ნავისა. და გარდა ამისა სროლას

ავტენტ და იმისთანა კვამლს მოვახვევთ აქაურობას, რომ მთლად ჩაიმალება ჩვენი ნავი. თავისი სიმცირე უშველის ამ გაჭირვებაში. დედოფალა ლალად დახტის, საცა ლომი გაებმისო, ხომ გაგიგონიათ. ჩვენ გასავალი აღარსად გვაქვს, ბატონს კი — ადვილად შესაძლებელი. ხოფის მოსმაა საჭირო. ისე გაივლის ნავი, რომ თვალსაც ვერ მოჰკრავენ ისინი, და, უკვე გითხარით, ნავის გასვლის დროს ისე გავართობთ ჩვენს სტუმრებს, რომ თავებელისა აღარაახსოვდეთ რა. რას იტყვით? კარგი?

— ძალიან კარგი! ძალიან კარგი! — შეჰყვირეს მატროსებმა და სალდათებმა.

— მაშ დროს ნუ ვკარგავთ, — განაგრძო კაპიტანმა, — ვის უნდა ამ საქმის გარიგება?

ერთი მეზღვაური გამოვიდა წყობიდან და მოახსენა.

— მე გაიხლებით.

X.

ბადარჩება კი?

რამდენიმე წამის შემდეგ გასცილდა გემს ერთი პატარა ნავი, რომელსაც მეზღვაურები კიკოს უწოდებენ და რომელსაც მარტო კაპიტანი ხმარობს. ორი კაცი იჯდა ამ ნავში, — მოხუცებული მგზავრი, რომელიც უკან დამჯდარიყო, და მოხალისე მატროსი, რომელიც წინ იჯდა. ჯერ ბნელოდა. მატროსი თანახმად კაპიტნის ბრძანებისა, მიაქანებდა ნავს მანკიერისკენ. თუ გაძვრებოდნენ, მხოლოდ ამ კლდით, სხვა გზა აღარ იყო.

ნავში ცოტა რამ სურსათი ჩაეყარათ, ერთი პარკი გამამარი პური, ერთი ლორი და ერთი კასრი წყალი.

და იმ დროს, როდესაც უნდა დამრულიყო ნავი, ვიევილი — ამ განწირვის დროსაც კი არ დაიშალა თავისი, — გადმოეხვია საკის ტაოს და ამ სიტყვით გამოეთხოვა მიმავალთ:

— კარგი რამ არის ეგ კიკო გასაქცევად და უფრო კარგი დასახრობად.

— რა დროს ხუმრობაა, ბატონო? — შეაყენა მესაქემ.

შურდულივით ძისრიალებდა ნავი და, არ გასულა დიდი ხანი, კარგი მანძილი გაიარა. ზღვის ღელეაც და ქარიც იმას ეხმარებოდა და მიტურავდა ქარით გატაცებული და ზვირთებით მალული.

რალაც გაუგებარი, ავბედითი ლოდინი იდგა ზღვაზე.

და ამ მღელვარე ოკეანის უსაზღვრო დუმილში უცბად გაისმა სიტყვა, ხმის გადამცემით გაძლიერებული, რომელიც ისე ჰქექდა, როგორც ძველ ტრაგედიებში თითბერნილაბიანის ნათქვამი.

კაპიტან ბუაბერტელოს სიტყვა იყო, მატროსებისა და სალდათებისადმი მიმართული:

— მეზღვაურნო მეფისანო! თეთრი დროშა ააფრიალეთ დიდ ანძაზე. დღეს უკანასკნელად ვნახავთ ამომავალ მზეს.

და ზარბაზანმაც იფეთქა ამ სიტყვის ბანად.

— ჩვენს მეფეს გაუმარჯოს! — შეჰყვირეს სალდათებმა და მატროსებმა.

და შორიდან კიდევ სხვა ხმა გაისმა ამის პასუხად, მედგარი, შორეული, არეული, მაგრამ ადვილად გასაგონარი!

— რესპუბლიკას გაუმარჯოს!

საშინელი გრგვინვა მოჰყვა ამ ძახილს, თითქო სამასმა მეხმა დაიქექა ოკეანის უფსკრულშიო.

ბრძოლა იწყებოდა.

ზღვას კვამლი და ცეცხლი მოედვა.

დაჰკრავდა წყალს ყუმბარა, ააფეთქებდა და აქაფებული ნაკადულებით მოსავდა ტალღებს.

კლეიმორმა დააღო პირი და ცხრა ზარბაზნის ცეცხლით ფურთხება დაუწყო ესკადრას. ისინიც თავის მხრივ ერთგოლად შემოჰხვეონენ განწირულს და მთელი თავისი ზარბაზნებით ერთ, მიზანს სცემდნენ. გაცეცხლდა ჰორიზონტი, ცეცხლის მფრქვევი მთა გეგონებოდათ, ზღვის ძირიდან ამოვარდნილი. ქარი ხეწავდა ამ საზარელ მეწამულს ბრძოლისას. რომელშიც ხან ლანდივით ციალებდნენ გემები და ხან მყისვე ქრებოდნენ. და ამ ალოვანი სივრცის პირველ რიგში ამართულიყო შავი ჩონჩხი კლეიმორისა.

დიდ ანძის კენწეროზე დროშა ფრიალებდა.

პატარა ნავით მიმავალნი ორნივე ჩუმად იყვნენ.

სამკუთხი მეჩეჩი მანკიერის კლდისა, ზღვის ქვედა ტრინაკრიის მსგავსი, უფრო დიდია, ვიდრე მთელი ეერსეის კუნძული. ზღვა ჰფარავს ამ ფართობს. უმაღლეს წერტილად პატარა მწვერვალი აქვს, რომელსაც ძალიან მაღალი ზვირთიც ვერ ჰფარავს. ამ მწვერვალიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ ექვსი ძლიერი ქედი მიიწეეს სწორი ხაზით და იმისთანა შთაბეჭდილებას ახდენს, თითქო კედელი ყოფილიყოს აქ აშენებული, ალაგ-ალაგ დანგრეული. სო-

რეტი *) მწვერვალის და ექვსი კლდის შუა გასავალი, იმდენად ვიწრო არის, რომ მით გავლა მხოლოდ ძალიან პატარა გემს შეუძლია. სორეტს გასცდება კაცი და უკვე ზღვაში არის.

თავის სურვილით წამოსულმა მატროსმაც სწორედ ამ ვიწრო სორეტში შეიყვანა ნავი. ამგვარად მებრძოლთა და ნავის შუა მანკიერის კლდე იყო ამართული. დიდი სიფრთხილით მიცურავდა ვიწრო გასავალში, მოხერხებულად ერიდებოდა მარჯვნივ იქნებოდა, თუ მარცხნივ, ბრავებს, მტრის შიში აღარ ჰქონდა, რადგან უკვე მიეფარა მანკიერს. შორეული, ჰორიზონტის რიჟრაჟი მოჩანდა, ზარბაზნების სროლის ხმა ნაკლებად ისმოდა, რაც უფროდაუფრო წინ მიიწევიდა ნავი. მაგრამ სროლა მაინც ისმოდა; ცხადი იყო, კლემორი ჯერ კიდევ მედგრად იბრძოდა და ცდილობდა უკლებრივ დაეხბრა თავისი ასოთხმოცდა თორმეტი ყუმბარა.

ოტა ხანს უკან ნავი ფართო ზღვაში გავიდა, უკან დატოვა კლდეები, ბრძოლა, იმდენად შორს, რომ ყუმბარაც ვეღარ მოსწვდებოდა.

ნელნელა სჯობნიდა მკრთალი სინათლე ზღვაზე გადაშლილ წყვიდადს, ფართოვდებოდა თვალგადასაწვდენი სივრცე. ნათელი ეფინებოდა ზღვის ტალღას.

მტრის შიში აღარა ჰქონდა ნავს, მაგრამ ჯერ კიდევ არ ასცდენოდა განსაცდელს. ზარბაზანს გადარჩა, მაგრამ ზღვის გრგვინვას ჯერ არ გადარჩენოდა, შუა ზღვაში იყო ნავი, ოკეანისა და ქარიშხლისგან თავის დასაცავად ხოფის მეტი არა ჰქონდა რა. ატომი იყო ბუმბერაზის ხელში.

და ამ განმარტოებაში, ამ უსაზღვროებაში უკან მჯდომ მოხუცებულს მიუბრუნდა ფერმიხდილი სახით მეზღვაური და უთხრა:

— მე ძმა ვარ იმისი, თქვენ რომ დაახერეტინეთ.

*) სორეტი — ვიწრო გასასვლელი ზღვაში.

წ ი ბ ნ ი მ ე ს ა მ ე .

ჰალმალო.

I.

სიტყვის ძალი.

მოხუცებულმა ნელნელა აიწია თავი.

ოცდაათი წლისა იქნებოდა მეზღვაური, შუბლი მზისაგან ჰქონდა დამწვარი და უცნაური თვალები: მატროსული შორსგამჭვრეტელობა უბრწყინაედა გლენკატური გულწრფელობით სავსე თვალებში. მაგრად ეჭირა ხელში ხოფები, ავკაცს არა ჰგავდა.

ხანჯალი ეკრა. ქამარში ორი დამბაჩა უჩანდა და კრიალოსანი.

— ვინ ხარ შენ? — ჰკითხა მოხუცებულმა.

— აკი მოგახსენეთ.

— მერე რა გინდა ჩემგან?

მატროსმა ხოფები დაჰყარა, გულხელი დაიკრიბა და უბასუხა:

— თქვენი მოკვლა.

— როგორც გენებოს, — უთხრა მოხუცებულმა.

ხმა აიმაღლა მკვლელმა:

— მაშ მოემზადეთ.

— რისთვის მოემზადო?

— სიკვდილისთვის.

— რატომ? — ჰკითხა მოხუცებულმა.

დუმილი ჩამოვარდა. ეტყობოდა, აღარ მოელოდა ამ კითხვას მატროსი. მერე გაუმეორა:

— აკი მოგახსენეთ უნდა მოგკლათ.

— მე კიდევ გეკითხები, რატომ უნდა მომკლა?

ელვამ გაუარა უცბად თვალებში მატროსს:

— იმიტომ, რომ თქვენ მოაკვლევინეთ ჩემი ძმა.

დამშვიდებით მიუგო მოხუცებულმა:

— ჯერ სიკვდილს გადავარჩინე.

— მართალია ჯერ სიკვდილს გადაარჩინე და მერე მოჰკალით.

— მე არ მომიკლავს.

— მაშ ვინ მოჰკლა?

— თავისმა შეცდომამ.

პირლია დარჩა მეზღვეური. მერე ისევ საზარლად შეიქმუნა წარბები.

— რა გქვია? — ჰკითხა მოხუცებულმა.

— ჰალმალო მქვია, მაგრამ განა აგრე საჭიროა ჩემი სახელის ცოდნა, რომ ჩემ მიერ იქმნათ მოკლული?

ამ დროს მზე ამოვიდა. სხივი მოხედა მატროსს შიგ პირში და მთლად გაანათა ეს ველური არსება. გულისყურთანად სინჯავდა მას მოხუცებულს.

სროლა კიდევ ისმოდა შორიდან, მაგრამ უკვე ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ხანგამოშვებით. სულთმობრძვისადა იყო ეს სროლა. პორიზონტს შავ ღრუბელივით დასწოლოდა კვამლი. ხოფს აღარ უსვამდა მატროსი და ქარს მისდევდა ნავი.

მატროსმა მარჯვენა ხელი დამბაჩას სტაცა, მარცხენა ხელით კრიალოსანი აიღო.

მოხუცებული წამოდგა.

— შენ ღმერთი გწამს?

— მამა ჩვენი, რომელი არს ცათა შინა, — უპასუხა მეზღვეურმა და პირჯვარი დაიწერა.

— დედა გყავს?

— მყავს.

და კიდევ პირჯვარი დაიწერა. მერე უთხრა:

— ვთქვი და გავათავე. ერთ წუთს გაძლევთ, ბატონო. და ჩახმახი აუწია დამბაჩას.

— ბატონს რად მეძახი?

— იმიტომ, რომ ბატონი ხართ. განა არა ვხედავ?

— შენ შენი ბატონი გყავს?

— მყავს. დიდებული კაცია. განა უბატონოდ ცხოვრება შეიძლება?

— სად არის?

— არ ვიცი. თავი გაარიდა აქაურობას. მარკიზ დე ლანტენაკი გახლავთ, ვიკონტი ფონტენეისა. პრინცი ბრეტანისა, ნეფორეს ბატონია. მე ჩემს დღეში არ მინახავს, მაგრამ მაინც ჩემი ბატონია.

— და რომ ნახო? აასრულებ მის ბრძანებას?

— რა თქმა უნდა, რომ ავასრულებ. ურჯულო უნდა ვიყო. რომ ბატონის ბრძანება არ ავასრულო. კაცი ღმერთს უნდა ემორჩილებოდეს. მერე მეფეს, რომელიც ღმერთია დედამიწაზე, მერე ბატონს, რომელიც მეფეა სოფელში. მაგრამ მაგას თავი დავანებოთ. თქვენ მოჰკალით ჩემი ძმა და ახლა მე უნდა მოგკლათ, ჩემო ბატონო.

მოხუცებულმა უპასუხა:

— ჯერ ერთი ისა, რომ მე კარგად მოვიქეც, რომ მოვაკვლე ჩინე შენი ძმა.

მატროსმა თითები დააჭირა დამბაჩას და შეუტია:

— აბა!

— კარგი, — თქვა მოხუცებულმა.

და გულდამშვიდებულმა კითხვით მიმართა მატროსს:

— სად არის მღვდელი?

მეზღვაური გაშტერებული შესცქეროდა.

— მღვდელიო?

— დიახ, მღვდელი, მე შენ ძმას მღვდელი დავანმარე, შენც უნდა მღვდელი დამახმარო.

— მე აქ მღვდლები არა მყავს, — თქვა მატროსმა.

და წამოიძახა:

— მღვდლები მომინდომა შუა ზღვაში!

უფრო შორიდან და ხანგამოშვებით, მაგრამ მაინც ისმოდა ზარბაზნის ხმა.

— აი იქ რომ კვდებიან ახლა. მღვდლები ჰყავთ, — თქვა მოხუცებულმა.

— მართალია, — ბუზღუნებდა მატროსი. — გემს თავისი მღვდელი ჰყავს.

მოხუცებულმა განაგრძო:

+ სულს წამიწყმედ, აგრე ადვილად ნუ სჯი.

მატროსმა თავი დაღუნა. ჩაფიქრდა.

— და მე რომ წამწყმედ. შენც წაწყდები. გეყურება. მეზღვაუბი და იმიტომ გეუბნები. ჰქმენ, რაც გენებოს. მე კი, წელან პირნათლად ავასრულე ჩემი მოვალეობა; ჯერ სიკვდილს გადავარჩინე შენი ძმა და მერე სიკვდილით დავსაჯე. და ახლაც პირნათლად ვასრულებ ჩემ მოვალეობას, რომ ვცდილობ გადავარჩინო წაწყმედას შენი სული. დაფიქრდი. ხუმრობა კი არ არის. ხომ გეყურება ზარბაზნის გრიალი. იქ ხალხი იღუპება. დაკრილები ყრია და გმინავენ სულთმოპოვანი. რამდენია იქ უბედური, რომ ველარ ელირ-

სება თავისი საყვარელი ცოლის ნახვას; რამდენია იქ უბედური, რომ ობლად სტოვებს თავის წვრილშვილს; რამდენია იქ უბედური, რომ მაგრე შენსავით ვეღარ ნახავს თავის ძმას. მერე ვისი ბრალია ამოდენა ხალხის დაღუპვა, ამოდენა ხალხის დაობლება და უბედურება? შენი ძმის ბრალია — ღმერთი გწამს. ხომ მართალია? ჰოდა, იცი რა მწუხარებას განიცდის ამჟამად ღმერთი? ღმერთს აწუხებს თავისი ერთგული ძის, საფრანგეთის ქრისტიანი მეფის წამება, რომელიც ძე არის ღვთისა, როგორადაც ქრისტე არის ძე ღვთისა. და რომელიც დამწყვედეულია ტანპლის ციხეში. ღმერთს აწუხებს ბრეტანში სარწმუნოების წარყვანა; ღმერთს აწუხებს თავისი ტაძრების შეურაცხყოფა, თავისი სახარების დაფხრეწა, თავისი სალოცავე ეკლესიების გახრწნა; ღმერთს აწუხებს თავისი მოძღვრების ხოცვა. მერე სად მივდიოდით, რისთვის მივდიოდით იმ გემით, რომელიც აგერ იღუპება ამ წამს? ღვთის საშველად მივდიოდით, ღვთის აღსადგენად. შენი ძმა რომ კარგი მოსამსახურე ყოლიფილიყო, შენს ძმას რომ ერთგულად აესრულებინა თავისი მოვალეობა, მოვალეობა ღვთისნიერი, გონიერი ადამიანისა, ჩვენ გემს ეს უბედურება არ ეწვეოდა, ჩვენ ნებისად ივლიდა, თავის გზას არ ასცდებოდა, არ ჩაეარდებოდა იმ განსაცდელში, რომელიც აღსასრულია იმისი, და ახლა ჩვენ უკვე საფრანგეთში ვიქნებოდით, ყველანი უკლებლივ. საფრანგეთის ერთგული შვილნი, მხნეობითა და ვაჟკაცობით აღსავსე მხედარნი და მეზღვაურნი, ხმალს ვიშიშვლებდით. თეთრ დროშას ავაფრიალებდით და რიცხვმრავალნი და ბედნიერნი მხიარულად შევერევოდით ვანდეს, მივეშველებოდით თავგანწირულ ვანდელ გლეხკაცობას, ვიხსნიდით საფრანგეთს, ვიხსნიდით მეფეს, ვიხსნიდით შეგინებულს ჩვენს ღმერთს. აი, რად მივდიოდით და რას ვაპირებდით. აი, სად მივალ და რას ვაპირებ, თუმცა მარტო მელა დავრჩი. შენ კი გზას მიკრავ. საშინელი ბრძოლა მძინვარებს ჩვენში: ღვთის მტრები ებრძვიან მღვდლებს, მეფის სისხლისმსმელნი ებრძვიან მეფეს, ეშმაკი ებრძვის ღმერთს, და შენც ეშმაკისკენ ხარ. ჯერ შენი ძმა დაეხმარა ეშმაკს და ახლა შენ აპირებ ქმის დახმარებას. შენმა ძმამ დაიწყო, შენ აბოლოვებ. შენც მეფის მკვლელებისკენ ხარ სამეფო ტახტის დასამხოზად, შენც უკუღმართებისკენ ხარ ეკლესიის დასაგმობად. უკანასკნელ იმედს აცლი შენ ღმერთს. თუ მე იქ არა ვარ, მე — წარმომადგენელი მეფისა, ბოლო არ მოელება თქვენი სახლკარის დაწვას, თქვენი ცოლშვილის ტირილს, მღვდლების ხოცვას,

ბრეტანის წამებას, მეფის პატიმრობას და იესო ქრისტეს გაწვილებას. და ვისი ბრალი იქნება ამოდენა უბედურება და ქვეყნის დაღუპვა? შენი! ახლა შენ იცი! მე სულ სხვას მოველოდი შენგან. შეეცდი, ეტყობა. ჰოდა მართალი ხარ, მე მოკვალი შენი ძმა. ჰალიან ვაუკაცობა გამოიჩინა შენმა ძმამ და მეც დავაჯილდოვე; დანაშაული აღმოაჩნდა, და მეც დავსაჯე. შენმა ძმამ უღალატა თავის მოვალეობას. მე კი ვერ ვუღალატე ჩემსას. რაც შენს ძმას ვუყავ, კიდე ვიზამ. და გეფიცები წმ. ანნა დორეისს, რომელიც ჩვენ დაგვყურებს, ამგვარ შემთხვევაში, როგორც შენი ძმა არ დავინდე და დავახვრეტინე, ჩემს შვილსაც არ დავინდობ და დავახვრეტინებ. ახლა შენ იცი, ჰოდა, მებრალეები! შენ ტყუილი უთხარ შენს კაპიტანს. ქრისტიანი ხარ და ქრისტე არა გწამს; ბრეტანელი ხარ და პატიოსნება არა გაქვს. შენს პატიოსნებას მიანდეს ჩემი გადარჩენა და პატიოსნებისთვის კი არა, ღალატისთვის მიუნდვიათ. ჩემს სიკვდილს შესძლენი იმათ, ვისაც შენ ჩემი სიცოცხლე აღუთქვი. იცი, ვის ღუბავ შენ აქ? შენს თავს! მეფეს ჩემს სიცოცხლეს აკლებ და უკუნითი უკუნისამდე ეშმაკს აძლევ შენს სულს. რაღას უყურებ? დამკარ რაღა! ძალიან იაფად ჰყიდი შენს წილს სამოთხისას. შენი წყალობით გაიმარჯვებს ეშმაკი, შენი წყალობით დაინგრევა ეკლესიები, შენი წყალობით განაგრძობენ მწვალებლები ზარების დნობას და ზარების წილ ზარბაზნების ჩამოსხმას. ხალხს გაუღეტენ იმის სროლით, რითაც აქამდე სულის სიწმინდესა და ცხონებას მოვიპოვებდით, და აი, ამ წამს, როდესაც შენ გელაპარაკები, იქნება მოჰკლა დედაშენი სწორედ იმ ზარმა, რომლითაც შენი ნათლობის დღეს წირვას რეკავდნენ. მიეშველე, რაღა, ეშმაკს, რაღას უყურებ? რაღად აყოვნებ? მართალია, მე მოვაკვლევინე შენი ძმა, მაგრამ იცოდე, მე ვარ აღმასრულებელი ღვთის ბრძანებისა. მაშ აგრე? შენ ბედავ ღვთის განგების განსჯას? შენ ხედავ იმ მეხის განსჯას, რომელიც ზეცაში არის? უბედურო! სწორედ იმ მეხით იქნები განსჯილი და დასჯილი შენ. მაშ ფრთხილად! იცი კი, რამდენად შესანდობელი ვარ ღვთის მიერ? არ იცი. მაგრამ მაინც შეუდექ შენს საქმეს. როგორც გინდოდეს. შენ შეგიძლია, ჯოჯოხეთში ჩამავლო კაცი და თითონაც თან ჩამომყვე. შენ ხელთ არის ჩვენი სვებედი, ჩემი და შენი. პასუხისმგებელი წინაშე ღვთისა შენ იქნები. მარტონი ვართ და უფესკრულის პირსა ვდგავართ ერთმანეთის პირდაპირ. განაგრძე, დააბოლოვე, აასრულე შენი განზრახვა. მე მოხუცი ვარ, შენ ყმაწვილი, მე უიარალო, შენ იარაღიანი. მომკალ რაღა!

მალალი ხმით ამბობდა მოხუცებული ამ სიტყვას, უფრო მალაღობით, ვიდრე ზღვის ხმა იყო, და მკრთალ, ღრუბლებით პობილსინათლეში ხან ბუნდოვნად ჩანდა, ხან სხივმოსილად. მატროსს ფერი წასვლოდა; შუბლიდან წურწურით ოფლი სდიოდა; ფოთოლივით თრთოდა. ხანგამოშვებოთ თავის კრიალოსანს ემთხვეოდა. მოხუცებულმა რომ დაასრულა თავისი, დამბაჩა გადაავლო და დაიხოქა.

— შემინდეთ, ბატონო, მაპატივეთ, — შეჰყვირა მატროსმა; — ღვთის ბრძანებაა თქვენი სიტყვა! შევცდი, ბატონო, ჩემი ძმაც შეცდა. ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, რომ გამოვასწორო იმის დანაშაული. თქვენი მონა ვარ. მიბრძანეთ, ყველაფერს აგისრულებთ. შემინდეთ ბატონო.

— შეგინდობ, — უთხრა მოხუცებულმა.

X

II

გლახის მისხივება ან დაუშვარდება კაკიბნის ცოდნას.

უსარგებლო არ გამოდგა ნაფში ჩაყრილი სანოვაგე.

მეტად შორს მოვლა დასჭირდა ორ მგზავრს, ოცდათერთმეტი საათი იარეს, ვიდრე ზღვის პირს მიაღწევდნენ. ერთი ღამე ზღვაში გაატარეს, მაგრამ კარგი ღამე იყო, მთვარით გაკაშქაშებული, თუმცა ბნელ ღამეს ირჩევდნენ ჩვენი მგზავრები.

ჯერ შორს დატოვეს საფრანგეთი და ჟერსეისკენ წავიდნენ შუაზღვაში გასასვლელად.

კარგა ხანს ესმოდათ მომაკედავი კლეიმორის სროლა, როგორც უკანასკნელი ბღვრიალი ლომისა, რომელსაც ვარს შემოხვევიან მონადირეები და ჰკლავენ. მერე დუმილი გამეფდა ზღვაზე.

ეს გემი კლეიმორი ისევე გმირული თავგანწირვით დაიღუპა, როგორც გემი „სისხლის ამღები“, მაგრამ დიდება კი ვერ მოიხვეჭა; და ვერც მოიხვეჭს დიდებას. ვინც თავის სამშობლოს ებრძვის.

განსაცვიფრებელი მეზღვაური იყო ჰალმალო. სიმარჯვისა და მოხერხების სასწაული იყო იმის მგზავრობა და ნების მართვა იმ კლდეებში და ბრავებში, აღელვებულ ზღვაში და გამარჯვებული მტრის მიერ მოსალოდნელ დევნაში. ქარი ჩავარდა და ზღვა საშიში აღარ იყო.

მანკიერს გაუარა ჰალმალომ, შორიდან მოუარა შოსსე ობიოფს. შიგ გაჩერდა, რომ რამდენიმე საათით მაინც შეესვენა პატარა ყუ-

რეში, რომელიც აღმოსავლეთით ჩნდება, როდესაც ზღვა დამშვიდება. მერე სამხრეთისკენ დაეშვა, მოახერხა გრანვილისა და შოსსის კუნძულებს შუა გავლა, ისე რომ ვერც შოსსის დარაჯებმა დაინახეს, ვერც გრანვილისებმა. იქედან სენ-მიშელის ყურეში შეუხვიეს, რომელიც დიდ საშიშროებას წარმოადგენდა, რადგან ნავს კანკალის ახლო უნდა გაევიღო, რომელიც ესკადრას თავის ნავსადგურად გაეხადა.

მეორე დღეს, საღამო ეამს, დაახლოვებით ერთი საათით წინ მზის ჩასვლამდე, უკან დატოვეს სენ-მიშელის მთა და მიადგნენ ერთ ქვიშნარს, რომელიც ყოველთვის უდაბურად რჩება, რადგან ზეტად საშიშია: ქვიშაში იფლობა, ვინც იქ მივა.

საბედნიეროდ, მოქცევა იყო ზღვისა.

ჰალმალო რაც შეიძლებოდა შორს მიწისკენ მიჰყვა ტალღას. სინჯა ქვიშა, რომელიც ბოლოს მყარი გამოდგა, გააჩერა ნავი და გადახტა.

მერე მოხუცებულა გადავიდა და თვალი გადაავლო ჰორიზონტს.

— აჰ, ბატონო, გენსონის შესართავში ვართ. აგერ ბოვუარი მარჯვნივ და ჰუისნი — მარცხნივ. ჩვენ პირდაპირ სამრეკლო — არდევიონი გახლავთ.

დაიღუნა მოხუცებული ნავისკენ, ერთი ნაჭერი ხმელი პური ამოიღო და ჯიბეში ჩაიდვა.

— დანარჩენი შენ წაიღე, — უთხრა ჰალმალოს.

ჰალმალომ პარკში ჩაალაგა, რაც პური და ხორცი რჩებოდა; და ზურგზე მოიგდო პარკი.

მერე მოხუცებულს მიმართა:

— როგორ მიბრძანებთ, ბატონო, გზა გიჩვენოთ, თუ უკან მოგყვით?

— არც ერთი მინდა, არც მეორე.

გაუყვირდა ჰალმალოს. დააცქერდა მოხუცებულს.

მოხუცებულმა განაგრძო:

— უნდა გავიყაროთ, ჰალმალო. ორი ერთად არ ვარგა; ათასი უნდა იყოს, ან ერთი.

მეორე ჯიბიდან ამოიღო ერთი ნასკვი მწვანე აბრეშუმისა, კაკარდის მსგავსი, რომლის შუაგულში ამონაკერი იყო ოქრომკედით შროშანის ყვავილი, და ჰკითხა:

— კითხვა იცი?

— არა.

— ძალიან კარგი. მოსარიდებელია წიგნის მკოდნე. მენსიერება კარგი გაქვს?

— დიახ.

— ძალიან კარგი. ყური დამიგდე, ჰალმალო. შენ მარჯვნივ წახვალ, მე მარცხნივ. მე ფუჟერისკენ, შენ ბაზუჟისკენ *). ეგ პარკი აგრე გეკიდოს, რომ გლებკაცს ჰვავდე. იარალი დამალე. ერთი კარგი ჯოხი მოსჭერი გზაში. გზაზე ნუ ივლი. ყანაში ჩაძვერი, კარგად დაიმალე, ლობეებს უკან გაუარე. ტრუშულზე გადაძვერი, რომ სოფლად კი არა, მინდვრად იარო. მგზავრს შორს გაუარე. ერიდე გზებს და ხიდებს. ნუ შეხვალ პონტ-ორსონში. ეჰ, გენსონი გაქვს გასასვლელი! გენსონს რით გახვალ?

— ცურვით.

— ძალიან კარგი. მაგრამ ფონიკ არის. იცი, სად არის ფონა?

— ანსეისა და ვიე-ვიელის შუა.

— კარგი. მართლა აქაური ყოფილხარ.

— დიახ, ბატონო, მაგრამ აგრე ლამდება.. სად მოისვენებთ?

— ეგ მე ვიცი. შენ სად დაიძინებ?

— ხავსში. მატროსობამდე გლებკაცურად ვცხოვრობდი.

— გადააგდე ეგ შენი მეზღვაურის ქული, თორემ ეგ გაგცემს. ერთ უბრალო ქულს როგორ ვერსად იშოვი?

— ქული-ჩაჩი, რამდენიც გნებავთ. მეთევზეს შევხვდები ვისმე და იმისგან ვიყიდი.

— ძალიან კარგი. ახლა ყური მიგდე. ამ ტყეებს იცნობ?

— სუყველას.

— აქვე ახლო, თუ შორსაც?

— ნუარმუტიედან ლავალამდე.

— ამ ტყეების სახელებიც იცი?

— ტყეებიც ვიცი, სახელებიც, სულ ყველაფერი.

— არა დაგავიწყდება რა?

— არაფერი.

— კარგი. ახლა ყურადღება. რამდენ ეჯს გაივლი დღეში?

— ათს, თხუთმეტს, თვრამეტს, ოცს, თუ საჭიროა.

— საჭიროა. ერთი სიტყვით არ გამოგჩქეს, რასაც მე გეტყვი, სენტ-ობენის ტყეში მიხვალ.

*) ფუჟერი და ბაზუჟი — ადგილის სახელებია ბრეტანში (საფრანგეთი).

— ლამბალის ახლო?

— დიახ, სენ-რიოლისა და პლედელაკის შუა რომ ხევია, იმის პირას ერთი დიდი წაბლი დვას. იქ გაჩერდები. ვერავის დაინახავ.

— თუმცა იქ ვილაც იქნება. ვიცი.

— ანიშნებ. აბა, როგორ ანიშნებ?

ჰალმალომ ლოყები გამოიბერა. ზღვისკენ მიბრუნდა და გაისმა კოტის ჩხავილი.

ღამის სიღრმიდან გამომავალი გეგონებოდათ ეს ხმა, ანებელითი კოტის ჩხავილი.

— კარგი, — უთხრა მოხუცებულმა, — ძალიან კარგი.

და ჰალმალოს გაუწოდა მწვანე აბრეშუმის ნასკევი.

-- აი ნასკევი ჩემი მხედართმთავრობისა. გამომართვი. ჯერჯერობით: არ უნდა იცოდნენ ჩემი სახელი. მაგრამ ეგ ნასკევიც კმარა. თეთრი შროშანის ყვავილი ამოჰკერა თვით დედოფალმა ტანპლის ციხეში.

ცალი ფეხით დაიჩოქა ჰალმალომ, ხელის კანკალით ჩამოართვა ნასკევი, პირისკენ წაიღო, მაგრამ გაჩერდა, თითქო შიში მოერიაო, და ჰკითხა:

— შეიძლება ვემთხვიო?

— ემთხვიე, რადგან ჯვარცმას ემთხვევი.

ჰალმალო ემთხვია ნასკვს.

— ადევ, — უთხრა მოხუცებულმა.

ჰალმალო წამოდგა და ნასკევი უბეში ჩაიდვა.

მოხუცებულმა განაგრძო:

-- კარგად დაიხსომე. აი ბრძანება: „აღსდევით! არავინ დაინდოთ!“ ჰოდა, სენტ-ობენის ტყის ხევის პირას, წაბლთან მისცემ ნიშანს, სამჯერ ზედიზედ. მესამედ რომ დაიძახებ, ერთი კაცი ამოძვრება მიწიდან.

— ხეებს ქვეშ რომ ხერელია, ვიცი.

— ის კაცი პლანშნო არის, რომელსაც მეტსახელად შეფის-გულს ეძახიან. იმას აჩვენებ მაგ აბრეშუმს. დანარჩენს თვითონ მიხედება. — იქიდან ასტილიეს ტყეში მიხვალ, ოღონდ გზით კი არა, უვალით; იქ ერთ ფეხმრუდ კაცს ნახავ. რომელსაც მუსკეტონს ეძახიან; იმან შებრალება არა იცის რა. უთხარ, რომ მე ის მიყვარს და აშალოს თავისი სამწყსოები: მერე კუსბონის ტყეში მიხვალ, რომელიც პლიერმილიდან ერთი ეჯით არის დაშორებული. იქაც კოტის ნიშანს მისცემ; ერთი კაცი ამოძვრება სოროდან, ბ. ტუო,

მსაჯული, წევრი ეგრედწოდებული კონსტიტუციის შემდგენელი კრებისა, ოლონდ ჩვენი მომხრე. ბ. ტუოს ეტყვი, რომ გაამაგროს კუესბონის სასახლე, რომელიც მარკიზ დე-გერს ეკუთვნის, გახიზნულს; ხევები, პატარა ტყეები, აღმართ-დაღმართი, ძალიან კარგი აღილია. ბ. ტუო პატიოსანი, ჭკვიანი კაცია. მერე სენტ-ჟან-ლე-ტუაში მიხვალ და ნახავ ჟან შუანს*), მე რომ მკითხონ, ის არის ვანდელების მხედართმთავარი. იქიდან ვილ ანგლოზის ტყეში მიხვალ, გიტერს ნახავ, სენ-მარტენს რომ უძახიან, და ეტყვი, რომ თვალი ეპიროს ერთ კაცზე, გურმენსნილზე; ეს გურმენსნილი სიძეა მოხუცებული გუბილ დე პრეფელნისა და მეთაური დარჟანტალელი ჟაკობელებისა. კარგად დაიხსომე ყველაფერი. მე არაფერს ვწერ, რადგან საჭირო არ არის რისამე წერა. ლა-რუარიმ ერთი ცნობა შეადგინა და ქვეყანა დალუბა. იქიდან რუჟფეს ტყეში მიხვალ და მიეღეტს ნახავ; გრძელ სარს ჩაუშვებს ხოლმე ხევეში და ჩიტივით გადატრინდება.

— მაგას ხალა ჭკვია.

— შენც იცი მაგ ხალის ხმარება?

— მაშ არც ბრეტანელი ვიქნებოდი და, მაშასადამე, არც გლეხკაცი. ხალა ფეხია ჩვენი, ხელს გვიზრდის და ფეხს გვიგრძელებს.

— ესე იგი გიმცირებთ მტერს და ამოკლებს მანძილს. ხერხი სჯობია ღონესაო...

— ერთხელ ჩემი ხალით მოვიგერიე სამი კაცი, მარილის საბაჟოელები, თუმცა ხმალი იშიშვლა სამივემ.

— როდის იყო?

— ამ ათი წლის წინათ.

— მეფის დროს?

— დიახ.

— მაშ მეფის დროსაც იბრძოდი?

— დიახ.

— მერე ვის ებრძოდი?

— ღმერთმა მკითხოს, თუ ვიცოდე. მარილს ვეზიდებოდი უბაჟოდ.

— კარგი, კარგი.

— მარილის ბაჟს ვებრძოდით. განა მარილის ბაჟი და ჟეფე ერთი და იგივეა?

*) ჟან-შუანი — ბრეტანელ კონტრარევოლუციურ გლეხთა რაზმების წინამძღოლი.

- ჰო... არა. საჭირო არ არის შენთვის მაგის შეგნება.
- დიდ ბოდის ვიხდი, ბატონო, რომ ეგ კითხვა გაგიბედეთ.
- განეაგრძოთ. ტურგი იცი?
- ვიცი და აგრე? ტურგელი გახლავართ.
- როგორ?
- ისე რომ პარინიელი გახლავართ.
- მართლა, ტურგი მეზობელია პარინიესი.

— ტურგი იციო? დიდი მრგვალი სასახლე ჩემი ბატონებისა! ერთი უზარმაზარი კარია რკინისა, ძველსა და ახალ შენობას შუა. ამისთანა სქელია, რომ ზარბაზნის ტყვიაც ვერას დააკლებს. ჰოდა. სწორედ ახალ შენობაში ინახება სახელოვანი წიგნი წმ. ბართოლომესი; რამდენი ხალხი დაიარება იმ წიგნის სანახავად! ბაყაყებით სავსეა ბალახი. ჩემ პატარაობისას სულ იმ ბაყაყებში ვთამაშობდით. ახლა ის მიწის ქვეშ გასავალი ხვრელია! ვიცი და აგრე! მგონია, კაცი არ იყოს, რომ ჩემზე უკეთ იცოდეს იქაურობა.

— რა ხვრელი? რა მიწის ქვეშ გასავალი? არ ვიცი რას ამბობ.

— უწინდელ დროისთვის იყო, როდესაც ტურგს მტერი მიესე-
ვოდა ხოლმე. როცა გაუჭირდებოდათ, ხვრელით ჩუმად გაივლიდნენ
ხოლმე მიწის ქვეშ და ტყეში ამოჰყოფდნენ თავს.

— მართალია, ამგვარი მიწის ქვეშ გასავალი აქვს ქუბელიე-
რის სასახლეს. უნოდისას, კამპონის ციხეს; მაგრამ ტურგში კი
არაფერია მაგისთანა.

— გახლავთ, ბატონო, გახლავთ. თქვენ რომ ბრძანეთ, მაგეები-
სა არა ვიცი რა, მაგრამ ტურგისა კი ძალიან კარგად ვიცი. იმიტომ
რომ ტურგელი გახლავართ. და ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მაგ
საიდუმლო ხვრელისა ჩემ გარდა არავინ იცის რა. სალაპარაკოდ კი
არა ჰქონდათ მაგგვარი გზები. კრინტს ვერ დავძრავდით, აკრძა-
ლული იყო მაგის ხსენება. მაგ გზით ძალიან ისარგებლეს თურმე
როანის ომის დროს. მარტო მამაჩემმა იცოდა ეგ გზა. მერე მეც
მასწავლა. და დღეს მარტო მე ვიცი საიდუმლოება იქ შესვლისა და
გასვლისა. თუ ტყეში ვარ, ისე ავალ გალავანში. თვალს ვერავინ
მოგკრავს; თუ სასახლეში ვარ და ისევე ფარულად გავალ ტყეში.
მტერი რომ მიადგეს ტურგს და აილოს კიდევ, ზევით სასახლეში
და ციხე-გალავანში არავინ დახვდება, არავინ! აი, რა გახლავთ
ტურგი. ვიცი, და!

ერთხანს ჩაფიქრებული იდგა მოხუცებული.

-- ცხადია, სცდები. მე მეცოდინებოდა, იქ რომ მაგისტანა ყოფილიყო რამე.

— გარწმუნებთ, ბატონო. ერთი ქვა გახლავთ, ის ბრუნავს...

— კარგი და! რა არა სჯერათ ამ გლენჯაცებს! ქვები ბრუნავენო; ქვები მღერიათ, ქვები ღამე წყლის სასმელად ჩაღიან წყაროზედაო. ზღაპარი მართლად მიაჩნიათ.

— თუ კი ჩემი ხელით დავაბრუნე ის ქვა?

— როგორც სხვებმა თავის ყურით გაიგონეს ქვების სიმღერა. ამხანაგო, ტურგი მეტად მიუვალი ციხეა. ადვილად დასაცველი მტრისაგან; მაგრამ გულუბრყვილო უნდა იყოს კაცი, რომ იქ თავის დასაცავად რალაც მიწის ქვეშ გასავლის იმედი ჰქონდეს.

— გეფიცებით, ბატონო...

მხრებში აიჩეჩა მოხუცებულმა.

— ტყუილად დროს ნუ ვეარგავთ! ჩვენ საქმეზე ვილაპარაკოთ. ამ ბრძანებითა კილომ ხმა ჩააკმედინა პალმალოს.

მოხუცებულმა განაგრძო:

— მაშ ჩვენსას დავუბრუნდეთ. ყური მიგდე. რუჟფედან მონშევრიეს ტყეში მიხვალ და აკუროთხენსა ნახავ, თორმეტთა უფროსს. ისიც ჩვენია. „აკუროთხენო“ ლოცულობს სწორედ იმ დროს, როდესაც იმის ბრძანებით ხვრეტენ ხალხს. ომმა შებრალება არ იცის. მონშევრიედან წახვალ...

შეწყვიტა სიტყვა.

— ფული კი მავიწყდება.

ჯიბიდან ქისა ამოიღო, პატარა აბგა, და ხელში ჩაუდვა პალმალოს.

— ამ აბგაში ოცდაათი ათასი ფრანკია, ასიგნაციები: დაახლოებით, ოქროდ რომ ვიანგარიშოთ, სამ ფრანკ ნახევარია. მართალია: ყალბია ეს ასიგნაციები, მაგრამ ნამდვილიც მაგ ფასად გაღის. ამ ქისაში კიდევ, გეყურება, ორი ათასი ფრანკია, სულ ოქრო. სულ შენ გაძლევი, რაც მაქვს. მე აღარა მიჭირს რა. და, გარდა ამისა, ის სჯობია. რომ ფული არ მიპოვონ. მაშ განვაგრძოთ. მონშევრიედან ოტრენს მიხვალ და ბ. დე-ფროტეს ნახავ. ოტრენიდან ყუპელერში, დე-როშკოტს ნახავ; ყუპელერიდან ნუარიოს მიხვალ და ნახავ მღვდელ ბოდუენს. დაგახსომდება კი ამდენი რამ?

— როგორც მამაო ჩვენო.

პინს მორანში; ხომ იცი, დაბაა, მაგრამ ძალიან გამაგრებული, და პრინცი დე-ტალმონს*).

— მერე პრინცი მე ველაპარაკება?

— თუკი მე გელაპარაკები.

ჰალმალომ ქუდა მოიშვლია.

— ყველა კარგად მიგიღებს, როგორც კი დაანახებ დიდებული ჭაბუკონის ხელით ნაკერ ყვავილს. ესეც იცოდე, რომ იმისთანა ადგილებში მოგიხდება სიარული, სადაც მთიულები არიან და გაუთლელები. ტანისამოსი უნდა გამოიცვალო. ეგ ადვილია. ისეთი სულელი არიან ეს რესპუბლიკელები, რომ თუ ცისფერი რამ ჩაიცვი, სამყურა ქუდი დაიხურე და ზედ სამფერი კაკარდა მიაკარი, მთელ ქვეყანას მოივლი. აღარც რაზემბია ჯარისა, აღარც სამხედრო ტანისამოსი. ნომრები აღარ აქვთ ლაშქრის ნაწილებს, და ყველა თავის ნებისად ეხვევა ძონძებში. სენ-მერვეს მიხვალ, გოლიეს ნახავ. დიდბიერად წოდებულს, პარნეში, სადაც მხედრობის განრიგებას აწარმოებენ, გაშავებული პირისახის კაცებს ნახავ; თოფში ხრეშს ჰყრიან, ორ სროლა თოფის წამალს, რომ უფრო მეტი ხმა ჰქონდეს იმათ სროლას; ძალიან კარგს შვრებიან. მაგრამ უკეთესი იქნება რომ ხოცონ, ხოცონ და ხოცონ ქვეყნის დამლუპველები! ვაშ-ნუარის ბანაკში ახვალ, მალლობზე, დე-ლა-შარნის ტყის გულში; მერე ლავუანის ბანაკში, ვერისაში, ფურმისაში. მიხვალ გრან-ბორდაჟში, ჰო-დე-პრეს რომ ეძახიან; იქ ქვრივი ცხოვრობს ერთი, რომლის ქალი ტრეტონმა შეიერთო, ინგლისელს რომ ეძახიან. გრან-ბორდაჟი კელენის სამწყსოში არის. ნახავ ეპინ-შევრეილს, სიე-ლეგილომს, პარანს და ყველას, ვინც ტყეებში დაგხვდება. მეგობრები გეყოლება და ზემო და ქვემო მენის საზღვრებისკენ გაგზავნიან ტრეტონს ნახავ ვეზგის სამწყსოში, სან-რეგრეს ბინიონში, შამბორს ბონმანში, ძმებს კორბენს მეზონსელში, და პეტი-სან-პერს სენ-ჟან-ერეში, მეტ სახელად ბურდუაზოს რომ ეძახიან. ამას ყველაფერს აასრულებ, ბრძანებას — „აჯანყდით, არავეინ დაინდოთ“ — გასცემ ყველგან და მოსძებნი დიდ ლაშქარს, ლაშქარს კათოლიკეებისას და მეფისას, სადაც კი უნდა იმყოფებოდეს. იქ ნახავ ბბ. დელბეს, დე-ლე-კურს, დე-ლა-როშეაკლენს. — მხედართმთავრებს, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხალი იქნებიან, და აჩვენებ ჩემო ბრძანების ნიშანს. დანარჩენი თვითონ იციან. შენ უბრალო მატროსი ხარ, მართალია, მაგრამ კატილინოც დიდი არაფერაა, უბრალო

*) დე ტალმონი — ადგილია ვანდეში (საფრანგეთი):

მეურმეა, სხვა კი არაფერი. მიხვალ და ეტყვი ჩემ მაგივრად, რომ დრო არის ერთად ვაწარმოოთ ორი ომი, — დიდი და პატარა — დიდ ომს დიდი ხმა გააქვს, პატარა მტერს სრესს. ვანდე კარგია, გლახების აჯანყება ავია; მაგრამ სამოქალაქო ომი ავი სჯობია კარგს. ომი კარგი მაშინ არის, როცა მტრის ხსენებასაც კი აღარ-სად სტოვებს.

ოტა ხანს გაჩუმდა.

— პალმალო, ყველა გითხარ, რაც სათქმელი მქონდა. სიტყვების შეგნება არ შეგიძლია, მაგრამ საქმის ვითარება კი გესმის. სანდო კაცად მაშინ გიცან, ნაეს რომ მოასრიალებდი. გეომეტრიისა არა იცი რა, მაგრამ საკვირველი იყო ყოველი შენი ზღვაოსნური მოძრაობა. ვინც კარგად მიუძღვის ნაეს, აჯანყებასაც კარგად გაუძღვება. შენ ისე მარჯვედ გამოხვედი მღელვარე ზღვიდან, რომ დარწმუნებული ვარ, ჩემს ბრძანებასაც ყველას მაგრევე მარჯვედ აასრულებ. მაშ ერთხელ კიდევ: ჩემ ნათქვამს გადასცემ მოთაფეებს. დაახლოვებით, როგორც შეგეძლება, მაგრამ ეგეც იკმარებს; მინდორში ბრძოლას მე ტყეში ბრძოლა მიჩვევია. გიჟი კი არა ვარ; ასი ათასი გლახკაცი გავამწყრივო რესპუბლიკელების სალდათების და კარნოს ზარბაზნების პირდაპირ. მე მინდა ისე მოვაგვარო საქმე, რომ ერთ თვეზე ადრე ხუთასი ათასი კაცი მყავდეს ტყეში დამალული რესპუბლიკელების სისხლის სასმელად. ჩემი ნადირი რესპუბლიკელების ჯარი არის. ნამდვილი ომი აკრძალული ნადირობაა. დაბურულ ტყეში არის ჩემი ბრძოლის ველი, იქ ვარ კარგი მხედართმთავარი. ჰო, აი კიდევ ერთი სიტყვა, რომელიც იქნება ვერც კი შეიგნო. ეგ არაფერი. დაიხსომე: არავინ დაინდონ! ჩასაფრებული იყენენ ყველგან! მე მალულად უფრო მეტს ვიზამ. ვიდრე ვანდელების ლაშქარი. იმასაც ეტყვი, რომ ინგლისელები ჩვენკენ არიან, ორ ცეცხლ შუა უნდა მოვაქციოთ რესპუბლიკა. ევროპა გვშველის — ბოლო მოვულოთ ამ რევოლუციას. ხელმწიფეები ხელმწიფურად ებრძვიან, ჩვენ ჩვენებურად. ხალხურად ებრძოლოთ. ასე ეტყვი. ხომ შეიგნე?

— დიახ. ყველგან ცეცხლი და მახვილი.

— სწორედ აგრე.

— არც სიბრალული, არც დანდობა.

— არავითარი.

— ყველგან მივალ.

— ოღონდ ფრთხილად, ამ ქვეყანაში ჩალის ფასადაც აღარ აგდებენ ადამიანის სიცოცხლეს.

— სიკვდილს სად წაუვა კაცი? ზურგზე აზის, თან მისდევს და საცა ნებაეს, იქ ჩაჰკლავს.

— ყოჩალი ბიჭი ხარ.

— და ბატონის სახელი რომ მკითხონ?

— ჯერ არ უნდა, ეცოდნენ. ეტყვი, არ ვიცითქო, და მართალ-საც ეტყვი.

— მერე სად გნახოთ?

— სადაც ვიქნები.

— როგორ გავიგო?

— მთელ ქვეყანას ეცოდინება, ერთი კვირა არ გავა, რომ სმა გავარდება ჩემი. მაგალითს ვაჩვენებ, სისხლს ავიღებ მეფისას და სარწმუნოებისას, და შენც ადვილად მიხვდები, რომ ჩემზე ლაპარაკობენ.

— გავიგე.

— არა დაგავიწყდეს რა.

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ.

— ახლა კი წადი. ღმერთი იყოს შენი მფარველი! წადი!

— ყველაფერს ავასრულებ, რაც თქვენ მიბრძანეთ. წავალ, ვეტყვი, დავემორჩილები, ვუბრძანებ.

— ძალიან კარგი.

— და თუ ყველაფერი აგისრულეთ?

— წმ. ლუის რაინდობას მოგცემ.

— როგორც ჩემ ძმას. და თუ ვერ ავასრულე, მეც ანდერჰს ამიგებთ?

— როგორც შენ ძმას.

— კარგი, ბატონო.

თავი დალუნა მოხუცებულმა; ეტყობოდა ღრმად ჩაფიქრება-მერე რომ მიიხედ-მოიხედა, უკვე მარტო იყო, შორს ჰორიზონტზე შავ წერტილად მოჩანდა მიმავალი ჰალმალო.

მზე ჩავიდა.

ზღვიდან, ფრინველები მოეშურებოდნენ შინისკენ.

რალაც მოუსვენრობა ერევოდა. ბუნებას, რომელიც წინ უძღვის. ლამეს: ბაყაყები ყოყინებდნენ, ზღვის პირს ფრინველები ერთმანეთს უხმობდნენ, მაგრამ აღამიანისა კი აღარა ისმოდა რა.

იალქანი აღარსად მოჩანდა წყალზე, გლეხი არსად იყო მინდორში, აღარსად, საცა კი თვალი მისწვდებოდა. ნარეკალი შრიალეზა კვიშაზე. შეშინდების თეთრი ცა მკრთალ სინათლეს სცემდა ზღვის პირს. შორს გაფანტული ვაკეზე გუბეები ისე მოჩანდა, თითქო ზედ კალა ჰქონოდეს გადაკრული. ზღვიდან ქარი ქროდა.

ბელგარში

I

ჰვიზის ბორცვზე

თვალიდან რომ მიეფარა ჰალმალო, მოხუცებული გაეხვია თავს საზღვაო წამოსასხამში და გზას გაუდგა. ნელი ნაბოჯით მიდიოდა ჩაფიქრებული. უისნისკენ მიდიოდა და ჰალმალო კი ბოვუარისკენ.

მის უკან ამართულიყო უშველებელი შავი სამკუთხი თავი ტაძრისა საფარ-გალაენის ხოირით და ორი დიდი ციხით აღმოსავლეთით; ერთი მრგვალი იყო, მეორე ოთხკუთხი, რომლებიც უმსუბუქებიდან მთას ტაძრისა და სოფლის — სენ-მიშელის — სიმძიმეს. ამ სენ-მიშელის მთას იგივე მნიშვნელობა აქვს ოკეანისთვის, რაც ხეოფსის პირამიდას საპარისთვის*.

ზღვისპირის ქვიშა სენ-მიშელის მთასთან მოძრავია და შუმჩინველად იცვლის ზედაპირს. მაშინ ჰუისნისა და არდევონის შუა ერთი ძალიან მაღალი ბორცვი იყო, რომელსაც შემდეგში ბუნიაობამ ჩაჰკრა და მიწასთან გაასწორა. იშვიათი სანახავი იყო ეს ბორცვი თავისი სიძველითა და მით კიდევ, რომ თხემზე ათასი წლის ქვა ჰქონდა, მეთორმეტე საუკუნეში დადგმული სახსოვრად კრებისა, რომელიც ავრანში ჰქონოდათ წმ. კანტორბერელ თომას მკვლევების საწინააღმდეგოდ. ამ ბორცვის კენწეროდან მშვენივრად ჩანდა მთელი ის მხარე და შეიძლებოდა მიმართულების და გზის ამორჩევა.

მოხუცებულიც ამ ბორცვისკენ გაემართა და ზედ ავიდა.

კენწერს რომ მიადწია, ჩამოჯდა ათასი წლის ქვაზე და დაუწყო სინჯვა იმ თვალგადაუწვდენელ გეოგრაფიულ რუკას, რო-

*) ხეოფსი — ეგვიპტის უძველესი მეფე, რომელმაც ააგო უზარმაზარი პირამიდა.

მელიც მის თვალწინ გადაშლილიყო. ეტყობოდა გზას ეძებდა ნაცნობ მხარეში. ამ ფართო ბინდმორეულ სივრცეში, გარკვეულად მარტო შავი ჰორიზონტი მოჩანდა თეთრ ცაზე.

ჯგუფებად მოჩანდა თერთმეტი სოფლის ბანები; მოჩანდა სამრეკლოები ზღვისპირის სოფლებისა, რომლებსაც ძალიან მაღალს აშენებენ. რომ შორს ზღვაში გასულთ ნიშანი ჰქონდეთ უკან დასაბრუნებლად.

რამდენიმე წუთის შემდეგ, თითქო იპოვა ამ ბნელ სინათლეში, რასაც ეძებდაო, დააცქერდა კედლებს, ბანს და ხეების ღობეს, რომელიც ძლივსა განირჩევოდა იქვე მდებარე ტყიდან. 'სოფლიდან დაშორებული, განცალკევებული სახლი იყო თავის კარმიდამოთი და სახნავსათესით, კმაყოფილებით დაიქნია თავი, როგორც ჩვეულება აქვს ადამიანს, როდესაც მიაგნებს ძნელად მისაგნებს, და — ის არისო, — იფიქრა. მერე სივრცეში თითის ქნევით დაიწყო იმ სახლამდე მისავალი გზის რჩევა ნათესებისა და ღობეების გადათვლით. ხანდახან რაღაცას დააცქერდებოდა ხოლმე მოძრავს და ბნელაში ძნელად გასარჩევს, რომელიც იმ სახლის ბანზე ჩანდა, თითქო თავის თავს ეკითხება, — ნეტავ რა არის ამართული იმ ბანზედო? რაღაც იყო უფერული ბინდის გამო. აფრა არ უნდა ყოფილიყო, რადგან ფრიალებდა; და არავითარი საბუთი არ იყო ეფიქრა, რომ იმ სახლზე ალამი ყოფილიყო.

დაღალული იყო და ეზარებოდა ქვიდან წამოდგომა. იჯდა ქვაზე ზურგმიყრდნობილი და ეძლეოდა იმ თავდავიწყებას, რომლითაც დასვენების პირველი წამი ატკობს დაქანცულ ადამიანს.

პატარა ხანია დღეში, რომელსაც შეიძლება უხმაური ვუწოდოთ; ეს არის მშვიდი საღამო ჟამი. სწორედ ასეთი საღამო ჟამი იყო და ისიც ტკებოდა ამ სიმშვიდით; გადასტკეროდა, ყურს უგდებდა, რას? სიმშვიდეს. მძვინვარიც რომ იყოს კაცი, იმასაც კი მოერევა ხოლმე ცოტა ხნით კმუნვა. და უტბათ ეს სიმშვიდე დარღვეულ იქმნა მიმავალთა ხმებით; ქალებისა და ბავშვების ხმა გაისმა. მოხდება ხოლმე, ღრმა დუმილში უტბად გაისმის მოულოდნელი ხარი. შეუძლებელი იყო მოლაპარაკეთა დანახვა, ბუჩქნარი ჰფარავდა. მაგრამ ცხადი იყო, ბორცვის ქვევით იყვნენ ქალები და შინისკენ მიდიოდნენ. ჩაფიქრებულ მოხუცს, გარკვევით ესმოდა ნაწი. ნორჩი ხმა; ისე ახლო იყვნენ, ეტყობოდა, რომ სიტყვა არ გამოჰპარვია.

ქალის ხმა იყო:

— ავჩქარდეთ, ფლეშარ, ასე გავიაროთ?

— არა, აი აქეთ.

და ორი სხვა ისმოდა, ერთი მაღალი, მეორე გაუბედავი.

— რა ჰქვია ჩვენ განცალკევებულ სახლს?

— ჰერბ-ან-პაილ.

— ჯერ კიდევ შორს ვართ?

— ერთი თხუთმეტი წუთით მაინც.

— ავჩქარდეთ, თორემ ვახშამი დაგვიგვიანდა.

— ჰო, ძალიან დავიგვიანეთ.

— ცოტა ჩქარა უნდა გველო, მაგრამ დაილაღნენ შენი ბაჭუყალები. სამი ბაიში როგორ ავიყვანოთ ორმა ქალმა? მერე ეგ ერთიც ძლივს მოგყავს, ფლეშარ, ისეა ჩასუქებული ეგ საძაგელი, ეგა! მძიმე, მძიმე, რომ ტყვია გეგონება. ძუძუ გააშევიბინე, მაგ ლორმუცელას მაგასა, მაგრამ მაინც სულ ხელში გიჭირავს. ცუდი ჩვეულებები გახლავთ. გაუშვი, იაროს, მუხლი გაიმაგროს. ეჰ, რა გაეწყობა, წვენი გაგვიცივდებოდა.

— რა კარგი ფეხსაცმელი მომეცით! თითქო სწორედ ჩემ ფეხზე იყო გამოჭრილი.

— კარგია თუ ავია, ფეხშიშველა სიარულს მაინც ეგა სჯობია.

— გამოიარე, რენე-ჟან!

— კიდევ მაგან დაგვაგვიანა? საცა პატარა გოგოს დაინახავდა, მაშინვე გამოიელაპარაკებოდა. ჯერ დედამიწას არ ასცილებია და...

— ხუთი წლისა გახდება მალე.

— ერთი მითხარ, რენე-ჟან, რად დაელაპარაკე იმ პატარა გოგოს სოფელში?

— იმიტომ, რომ ჩემი ნაცნობია.

— როგორ თუ ნაცნობი? სად გაიცანი განა?

— ნაცნობი არის, მაშ? ამ დილას საღამაშოები მაჩუქა.

— ამას უყურებთ? სულ სამი დღეა, რაც აქ ვართ, და ამ პატარას კი, მუშტის ტოლიც არ არის ჯერა, უკვე კურკური დაუწყია. გაიარეს და მიჩუმდა იქაურობა.

AURES HABET ET NON AUDIET *)

უძრავად იყო მოხუცებული. აღარ ფიქრობდა; იჯდა ისე მილულული. დამწვინებული იყო იქაურობა. დაწყნარებული, იმასავით მილულული, სანდო, განმარტოებული. ჯერ კიდევ სინათლე ადგა ზღვის პირს, მაგრამ უკვე ბნელოდა მინდორში, და წყვილი დასწოლოდა ტყეს. აღმოსავლეთით მთვარე ამოდიოდა. რამდენიმე ვარსკვლავი ციალებდა მკრთალ მოლურჯო ზენიტში. და ეს კაცი, საქვეყნო საქმეებით აღსავსე, სულით ხორცამდე შთაენთქა გამოუთქმელ სიმშვიდეს უსაზღვროისას. გრძნობდა, რომ გულში ეშლებოდა მკრთალი სინათლე, იმედი, თუ შეიძლება იმედი ვუწოდოთ ძმათა შორის ატეხილ ბრძოლაში გამარჯვებას. იმედი უღიმოდა იმ წამს — რაკი უღმობელ ზღვას გადაერჩი და სამშობლოს მოვალე, საშიში აღარა მაქვს რაო, ფიქრობდა. არავინ იცოდა იმის სახელი. მარტომარტო იყო, მტრისთვის დაკარგული; კვალიც კი არსად მოიპოვებოდა მისი ნავალისა, რადგან ზღვის ფართობმა კვალი არ იცის, დამალულია, უცნობი, ეჭვიც კი არავის აქვს, რომ აქ არის. უაღრეს სიმშვიდეს გრძნობდა და მოსვენებას. ცოტა კიდევ და დაეძინებოდა.

კაცი სულითხორცამდე ტანჯული იყო ქვეყნის ვაებით და იმ ღრმა დუმილს, რომელსაც აქ ქვეყანა მოეცვა და იქ ზეცა, ისიც მოეხიბლა და დაემშვიდებინა.

ქარის მეტი აღარა ისმოდა რა, რომელიც ზღვიდან ქროდა. ნაგრამ ქარი იმისთანა ხანგრძლივი ბოხია და ისე მიეჩვევა ხოლმე ყური, რომ აღარც კი ესმის იმისი ქროლვა.

უცბად ზეზე წამოდგა მოხუცებული.

რალაცა მოხვდა მის ყურადღებას. ჰორიზონტს გადაავლო თვალი. უცნაური შორსმხედველობა შეეტყო მის თვალს.

გაშტერებული შეპყურებდა კორმერეის სამრეკლოს, რომელიც მის პირდაპირ მოჩანდა მინდვრის ბოლოში. და მართლა რალაც საკვირველი სანახავი იყო ის სამრეკლო.

ბორცვიდან მშვენივრად ჩანდა სამრეკლო; გარკვევით ჩანდა მისი ციხე, ზედ პირამიდი და ციხისა და პირამიდის შუა მოთავსებული გალია ზარბისა, ოთხკუთხი, ქვემო გვერდებდაუფარავი, ისუ

*) ყური აქვს და არ ესმის.

რომ ყოველი მხრიდან შეიძლებოდა ზარების დანახვა. ბრეტანში ერთობ ასე აშენებენ სამრეკლოებს.

და ეს გალია ხან ღია ჩანდა, ხან დახურული; თანასწორ ხანგა-მოშვებით ხან. მთლად ნათლად ჩანდა, მისი ზემო სარკმელი, ხან შავად; ცა მოჩანდა იმ სარკმელში და რამდენიმე წამის შემდეგ ისევ ბნელდებოდა; ხან სინათლე, ხან წყვილიადი. დაფარვა სარკმლისა და ახდა იმისთანა წესიერებითა და თანამიმდევრობით წარმოებდა: როგორითაც ურო სცემს ხოლმე გრდემლს.

კორპერეის სამრეკლო ორი ეჯით იქნებოდა ბორცვიდან დაშორებული. ახლა სხვას გადახედა, მარჯვნივ ბაგე-პიკანის სამრეკლოს. მის თვალწინ ამართულს. სარკმელი ამ სამრეკლოს გალიისა ისევე ბნელდებოდა და ნათლდებოდა, როგორც კორპერეისა.

მარცხნივ გადაიხედა ტანის სამრეკლოსკენ. ხან ნათელი იყო ტანის სამრეკლოს სარკმელი, ხან ბნელი, ისევე, როგორც ბაგე-პიკანისა.

მერე ყველა სამრეკლოები გასინჯა, რაც მის წინ ამართულაყო. ჰორიზონტზე; რიგრიგად დააცქერდა ყველას. მარცხნივ სამრეკლოები კურტილისა, პრესეისა, კრონოლისა და კრუა-აგრანშენისა; მარჯვნივ რა-გესნონისა, მორდრეისა, პაზისა; პირდაპირ კიდევ პონტორსონისა. ¹⁾ ყველა ამ სამრეკლოების სარკმელი ხან ნათლად მოჩანდა, რიგრიგით, და ხან ბნელად.

რით აიხსნებოდა ეს უცნაური გარემოება?

მარტო იმით, რომ ყველგან აქანებდნენ ზარებს.

ასე თანამიმდევრობით სარკმლის განათება და დაბნელება მარტო მაშინ შეიძლებოდა, თუ ზარებს საშინელი ძალით, გაშმაგებით გააქანებდნენ.

მაშ რა მოხდა, რა იყო? ცხადი იყო, განგაშის ზარს რეკავდნენ.

განგაშის ზარი იყო. ზარს რეკავდნენ გაშმაგებით, გაცოფებით. ზარს რეკავდნენ ყველგან, ყველა სამრეკლოზე, ყველა სამწყსოში, ყველა სოფელში. და კი არა ისმოდა რა.

არ ისმოდა, რადგან საკმაოდ დაშორებული იყო ამ სამრეკლოებიდან მოხუცებულის ბორცვი, და გარდა ამისა ქარი ზღვადან უბერავდა და ყოველი ხმაურობა ხმელეთისა უკანვე მიჰქონდა ხმელეთისკენ.

იმდენი სამრეკლოების მძვინვარი ზარი და ზღვისპირას კი ეს დღემილი. რა იქნებოდა ამაზე მეტად ავბედითი?

¹⁾ ზემოთ ჩამოთვლილი სახელები ადგილებია ბრეტანში (საფრანგეთი).

გაპყურებდა მიდამოს მოხუცებული, ცდილობდა გაეგონა რამე. განგაშის ხმა არ ესმოდა, განგაშს ხედავდა. უცნაური გრძნობაა განგაშის დანახვა.

მიზეზი ზარის რეკვისა?

ვის წინააღმდეგ ატყდა განგაში?

III

სარგებლობა ღიდი ასომებისა.

ცხადი იყო, ვილაცას ეძებდნენ, გზას უკრავდნენ. ვის?

თრთოლა მოერია ამ გულფოლად კაცს.

იმის წინააღმდეგ არ უნდა ყოფილიყო. გულთმისნები ხომ არ იყვნენ. რომ მიმხდარიყვნენ მის მოსვლას. შეუძლებელი იყო, რომ რესპუბლიკის წარმომადგენელთ მოსვლოდეთ ცნობა იმის აქ ყოფნისა. ის იყო, გადმოვიდა ნავიდან. იმის გემი, ცხადია, დაილუპებოდა, ცოცხალი ვერავინ გადარჩებოდა: და გემზე ზუაბერტელოსა და ვიევილის გარდა არავინ იცოდა მისი ვინაობა.

ზარებს კი ისევ ისე საშინლად რეკავდნენ. გასცქეროდა სამრეკლოებს და თვლა დაუწყო თავისდა შეუშინევლად. ხან რა წარმოუდგებოდა, ხან რა. ფიქრი ფიქრს მისდევდა იმ მიმდინარეობით, რომელსაც გამოიწვევს უსაზღვრო მშვიდობიანობის მოულოდნელად გაუგებარ საშიშროებად შეცვლა. მაგრამ ხომ შეიძლებოდა განგაშის მიზეზი სხვა რამ ყოფილიყო? — არა, არავინ იცის ჩემი მოსვლა, არავინ იცის ჩემი ვინაობა, და თავს ტყუილად ვიწუხებო, — იმეორებდა თავის დასამშვიდებლად.

რამდენიმე წუთი იყო, რაღაც ოდნავი შრიალი ისმოდა მის ქვეშ და მის უკან, თითქო ხის ხმელ ფოთლებს ანძრევს ქარიო. ჯერ ყურადღება არ მიაქცია; მაგრამ მერე კი, რაკი ხმაურობა არ ისპობოდა, პირიქით, შეიძლება ვთქვათ, დაჟინებით ისმოდა, უკან მიიხედა. და მართლაც ფოთოლი კი არა, ერთი ფურცელი ქაღალდი იყო. ათასწლოვან ქვაზე ერთი ფურცელი ქაღალდი თურმე იყო ნიკრული, მოხუცებულის თავის ზემოდან, ქარს აეგლიჯა ცოტად და ის შრიალებდა. განცხადება იყო. ეტყობოდა, ღიდი ხნის მიკრული არ უნდა ყოფილიყო, რადგან ჯერ ისევ სველი იყო და ნებდებოდა ქარს, რომელსაც თავის სათამაშოდ გაეხადა და ახლამთლად აგლეჯას უპირებდა.

მოხუცებული მეორე მხრიდან ასულიყო ბორცვის მწვერვალზე და ვერ დაინახავდა ამ განცხადებას.

ავიდა ქვაზე და ხელი დაადგა განცხადების ნაწილს, რომელსაც ქარი აფრიალებდა. ცა მოწმენდილი იყო; ბინდი ხანგრძლივი იცის თიბათეფმ. ბორცვის ქვედა მხარე მთლად ბნელში გახვეულიყო, მაგრამ მწვერვალს კი ჯერ ისევ სინათლე ადგა. განცხადების ერთი ნაწილი დიდი ასოებით იყო დაბეჭდილი. და ჯერ კიდევ შეიძლებოდა მისი წაკითხვა. და წაკითხვა შემდეგი:

„საფრანგეთის რესპუბლიკა, ერთიანი და განუყოფელი.

ჩვენ, პრიორდემარნი,*) წარმომადგენელი ხალხისა, კოტ-დუ-შერბურგის ლაშქართან წარმოვლენილი, გაძლევთ ბრძანებას: ამასწინათ ყოფილი მარკიზ დე-ლანტენაკი, ვიკონტი დე-ფონტენეი, ეგრედწოდებული პრინცი ბრეტანისა, საიღუმლოდ შემოპარული გრანვილის მხრით, გამოცხადებულია კანონის გარეთ მყოფად. ჯილდო არის დანიშნული მის დასაჭერად: ვინც იმას მოგვეგვრის ცოცხალს, და თუნდა მკვდარს, მიიღებს სამოც ათას ფრანკს. ამ ფულს მიიღებს არა ასიგნაციებით, არამედ ოქროთი. კოტ-დუ-შერბურგის ლაშქრის ერთი რაზმი დაუყოვნებლივ იქნება გაგზავნილი ყოფილ მარკიზ დე-ლანტენაკის საპოვნელად და დასაჭერად. სოფლები ვალდებული არიან დაეხმარონ ამ რაზმს. შედგენილია გრანვილის საზოგადო სახლში 2 ივნისს 1793 წ. — ხელმოწერილია:

„პრიორ დე მარნი“.

ამ გვარის ქვემოდან კიდევ იყო მეორე ხელმონაწერი, მაგრამ ძალიან წვრილი ასოებით და სინათლის სიმციროს გამო შეუძლებელი იყო მისი წაკითხვა.

ქუდი თვალებზე ჩამოიცვა მოხუცებულმა, თავით ბოლომდე შეიკრა სახლევაო წამოსასხამის ღილები და ჩქარი ნაბიჯით ჩავიდა ბორცვიდან. საშიში იყო ამ განათებულ მალლობზე დარჩენა.

იქნება დიდ ხანსაც იყო იმ ბორცვზე. ერთადერთი ადგილი იყო მთელ ზღვისპირას, იმ ბორცვის მწვერვალი, რომელიც ნათლად ჩანდა.

ქვევით რომ ჩავიდა და ბნელს შეეფარა,, უკლო სიჩქარეს.

იმ მიმართულებით მიდიოდა, რომელიც წელან დაისახა, ფანცალკეებულ სახლისკენ, რადგან, ეტყობოდა, საფუძველი ჰქონდა იქ შეეფარებინა თავი.

*) პრიორ-დე-მარნი (1756 — 1827) — კონვენტის წევრი.

ჭაჭანება არსად იყო ადამიანისა. ის დრო იყო, როდესაც წყალსაც კი მოერევა ერთი პირი ძილი.

ბუჩქნარს ამოეფარა, გაჩერდა, მოიხსნა წამოსასხამი, გადააბრუნა თავისი ქურთუკი, ტყავით გარეთ, კისერზე ბაწრით ჩმოიკიდა თავისი დაბრანძული; თოკით შეკრული, წამოსასხამი, და გზას ვაუღდა.

მთვარიანი ღამე იყო.

მებოძირთან მივიდა, სადაც გაჯვარედინებულ იყო გზა, და ძველი ქვის ჯვარი იყო აგებული. ჯვრის კვარცხლბეკზე ცხადად შოჩანდა თეთრი ოთხკუთხი, რომელიც, ადვილი წარმოსადგენია, იმისთანავე განცხადება უნდა ყოფილიყო, როგორც ის იყო წაიკითხა. მივიდა, მიუახლოვდა.

— საით მიბრძანდებით? — ჰკითხა ვიღაც კაცმა.

მიბრუნდა.

ერთი კაცი იღვა ღობესთან, ისეთივე მაღალი, როგორც თვითონ იყო, ისეთივე ბებერი, ისეთივე ჭაღარა, როგორც თვითონ, და უფრო მეტად დაბრანძული ტანისამოსით, ვიდრე მოხუცებულს ეცვა. თითქმის მსგავსი იყო იმისი.

გრძელ ჯონს დაჰყუდებოდა ის კაცი.

კითხვა გაუმეორა:

— საით მიბრძანდებით-მეთქი, გეკითხებით?

— ჯერ ეს მითხარი, სად ვარ? — უპასუხა მოხუცებულმა და მშვიდებული, ოდნავ მედიდური კილოთი.

კაცმა პასუხი მისცა:

— თქვენ ბრძანდებით ტანის საბატონოში. მე აქაური მთხოვარი განსლავარ და თქვენ აქაურობის ბატონი და პატრონი.

— მე?

— დიახ, თქვენ, ბატონო მარკიზ დე-ლანტენაკ.

IV

კეჰანი

{ მარკიზ დე-ლანტენაკი, — ამის შემდეგ კი თავისი სახელით ვახსენებთ, — არ შეერთა და გულცივად უპასუხა:

— აგრე იყოს. მაშ გამეცი.

კაცმა ამაზე სულ სხვა უთხრა:

— ჩვენსა ვართ ორივე. თქვენ თქვენს ციხე-დარბაზში, მე ჩემ ბუჩქნარში.

— გავათავოთ. რაღას უყურებ? გამეცი.

ის კი თავისას გაიძახოდა:

— თქვენ ჰერბ-ან-პაილისკენ მიბრძანდებოდით, აზა?

— დიახ.

— ღმერთმა დაგიფაროს!

— რატომ?

— იმიტომ, რომ იქ ლურჯები არიან.

— დიდი ხანია?

— სამი დღე გახლავთ.

— წინააღმდეგობა გაუწიეს სახლის პატრონმა და მუშებმა?

— არა, კარლია დახვდნენ ყველანი.

— ეჰ! — ამოიოხრა მარკიზმა.

გლესმა ხელი გაიშვირა სახლისკენ. რომელიც უკვე მოჩანდა ხეების იქიდან.

— ხედავთ სახლის ბანს. ბატონო მარკიზ?

— დიახ.

— ბანზე რაღა არის?

— რომ ფრიალებს?

— დიახ.

— ალამი არის.

— სამფერი ალამი, — თქვა გლესმა.

სწორედ ის სავანი იყო, რომელმაც მიიპყრო მარკიზის ყურადღება. ბორცვის მწვერვალიდან რომ დასცქეროდა.

— განგაშის ზარიც უნდა იყოს? — ჰკითხა მარკიზმა.

— გახლავთ.

— რის გამო?

— თქვენ გამო, რაღა თქმა უნდა.

— და რომ არ ისმის?

— ქარს უკანვე მიაქვს.

მერე ჰკითხა:

— განცხადება ნახეთ?

— ვნახე.

— გეძებენ.

თვალი ვადაჰკრა ჰერბ-ან-პაილის სახლს და დაუმატა:

— ნახევარი ბატალიონი დგას იმ სახლში.

— რესპუბლიკელები?

— დიახ, პარიზელები.

— რაც არის, არის, — სთქვა მარკიზმა. — წავიდეთ.
და სახლსკენ წავიდა.

გლებმა ხელი სტაცა.

— იქ ნუ მიხვალთ!

— მაშ სად ჯანდაბას წავიდე?

— ჩემთან წამობრძანდით.

მარკიზი დააცქერდა გლებს.

— მომისმინეთ, ბატონო მარკიზ. კარგად არა ვარ ჩემსას მოწყობილი. მაგრამ შიში კი არაფრისა მაქვს. ჩემი ბუნავი უფრო ღრმად არის მიწაში, ვიდრე კარგი სარდაფი. იატაკად ზღვის მცენარე მაქვს დაგებული, ქერად — ხის ფესვები და ბალახი. წამობრძანდით. იმ სახლში დაგხვრეტენ. ჩემსას არხეინად დაიძინებთ. დალალული უნდა იყოთ, და ხვალ დილით, ლურჯები რომ თავის გზას გაუღებებინ, თქვენც წაბრძანდებით, საითაც მოისურვებთ.

მარკიზი გლებს შესცქეროდა.

— ძერე შენ საითკენა ხარ? — ჰკითხა მარკიზმა, — რესპუბლიკისკენ. თუ მეფისკენ?

— მე ლარიზ-ლატაკი კაცი ვარ.

— არც მეფის მომხრე, არც რესპუბლიკისა?

— არა მწამს.

— მეფისკენ ხარ, თუ მეფის წინააღმდეგ?

— მაგისტვის სად მცალია?

— ხომ ხედავ, როგორ აირია ქვეყანა. რა აზრისა ხარ, ჩვენ მომავალზე?

— ლუკმა პური მენატრება.

— და ჩემ შველას კი აპირებ?

— ვხედავ, რომ კანონის გარემყოფად ხართ გამოცხადებული. რა არის. ნეტავი, რალაც კანონია? მაშ კანონ-გარეთაც შეიძლება ცხოვრება? ველარა გამიგია რა... პირადად მე? კანონში ვარ, თუ კანონგარეთ? აბა, რა ვიცი?... კაცი, რომ შიმშილით კვდებოდეს, კანონში არის, თუ კანონგარეთ?

— დიდი ხანია, ამ გაკირვებაში ხარ?

— რაც ცოცხალი ვარ.

— და ჩემი ხსნა გინდა?

— დიახ.

— რაღა?

— იმად, რომ ვთქვი: აგერ კიდევ ერთი, უფრო ლარიზი, ვიდრე მე. მე მაქვს უფლება პაერით სუნთქვისა, იმას კი ესეც აღარ აქვს.



- მერე ის კი არ იცი, რომ ძვირად ვარ დაფასებული?
- ვიცი.
- საიდან იცი?
- განცხადება წავიკითხე.
- კითხვა იცი?
- კითხვაც, წერაც. რად უნდა ვიყო ოტროველა!
- ჰოდა, რაკი კითხვა გცოდნია და განცხადებაც წავიკითხავს, ისიც გეცოდინება, რომ ვინც გამცემს, სამოც ათას ფრანკს მიიღებს.
- ვიცი.
- ასიგნაციებით კი არა.
- დიახ, ვიცი, სულ ოქროთი.
- ისიც გეცოდინება, რომ სამოცი ათასი ფრანკი სიმდიდრეა და უზრუნველყოფა?
- ვიცი.
- და ვინც განცემს, გამდიდრდება და ბედს ეწევა?
- ძალიან კარგი. მერე?
- ბედს ეწევა:

— მეც სწორედ მაგას ვფიქრობდი, თქვენ რომ დაგინახეთ: --- ეს კაცი რომ გასცეს ვინმემ, — ვიძახდი ჩემ გუნებაში, — ჯილდოდ სამოცათას ფრანკს მიიღებს და ბედს ეწევა. მაშ წავალ და საჩქაროდ დავმალავ სადმე.

მარკიზი თან გაჰყვა იმ ლარიბს.

ტყიან ბუჩქნარში შევიდნენ. იქ ჰქონდა საწყალ კაცს თავისი ბინა. პატარა მიწური იყო. ბებერ, დაფულუროვებულ მუხას დაეთმო ლარიბი კაცისთვის. შესავალად მუხის ფულურო გვერდი ჰქონდა, ბანად მისი ტოტები, თითონ ბუნაგი კი მუხის ფესვების ქვეშ იყო გათხრილი. დაბალი სორო იყო, ბნელი, დამალული, შეუმჩნეველი. ორი კაცი კარგად მოთავსდებოდა.

— გულმა მიგრძნო, რომ სტუმარი მეყოლებოდა, — სთქვა გლენმა.

ამგვარი მიწური სახლი ისე იშვიათი არ არის ბრეტანში, ვიდრე ჩვენ გვგონია, და ადგილობრივ გლენსკაცურად კარნიშო ეწოდება. ესევე სახელი ჰქვია კედლის სისქეში მოწყობილ სამალავს.

რამდენიმე ქვაბ-ქოთანნი ამშვენებს იქაურობას, ჩალის, ან გარეცხილი და გამხმარი ზღვის მცენარის ტახტად დალაგებული საწყოლი, სქელი სარჯის საბანი, გაქონილი პატრუქი თავისი ტალკვესით და რამდენიმე ღრუ ღერი ბალახისა ასანთად სახმარად.

დაკუზული ჩაძვრენ მუხის მსხვილი ძირებით დაყოფილ მიწურში და დასხდნენ მკიდროდ შეკრულ გამხმარი ზღვის ბალახის ტახტზე. მუხის ფულურო და ორ ძირ შუა პატარა სივრცე, რომელიც კარად ჰქონდა მიწურს, ცოტაოდენ სინათლეს უშვებდა მია სიღრმისკენ. უკვე დაღამებულიყო, მაგრამ თვალი სინათლის ოდენობის შესაბამად ირჯება და ცოტა რამ სინათლეს ყოველთვის პოვებს წყვილიაღში. მთვარის სხივი ოდნავად ათეთრებდა მიწურში ჩაქვალს. კუნძულში ლიტრა იდგა წყლით, გამხმარი პური და წაბლი.

— ვივახშმოთ, — სთქვა მასპინძელმა.

წაბლი აიღეს. მარკიზმა თავისი პური შესთავაზა. მოიტეხეს გამხმარი პური, მოიწაფეს ერთი და იგივე სურა.

და ბაასი დაიწყეს.

მარკიზმა კითხვით მიმართა მასპინძელს:

— მაშ შენთვის არაფერია ეს არეულობა?

— არაფერი. თქვენ ბატონები ბრძანდებით. ეგ თქვენი საქმეა.

— ხომ ხედავ, რა ხდება?

— ეგ თქვენსა, ზევით ხდება.

და ცოტა ხანს უკან დაუმატა:

— დიანს. და ბევრი რამ არის, რომ უფრო ზევით ხდება, — მზის ამოსვლა, გაბადრული მთვარე და იმის კლება. მე ამას უფრო ვხედავ.

სურით წყალი მოიწაფა, — რა კარგი წყალიაო, — დაიძახა და განაგრძო:

— თქვენ მოგეწონათ, ბატონო, ეგ წყალი?

— რა გქვია? — ჰკითხა მარკიზმა.

— ტელმარში მქვია, მაგრამ კემანს მეძახიან.

— კემანსაო? ვიცი, ადგილობრივი სიტყვაა.

— დიანს, და მთხოვარსა ნიშნავს, გლახას. ბებერსაც მეძახიან.

და დაუმატა:

— აგერ ორმოცი წელიწადია, რაც ბებერს მეძახიან.

— ორმოცი წელიწადი? მაშინ ყმაწვილი ბიჭი იქნებოდი?

— მე ყმაწვილი ჩემ დღეში არ ვყოფილვარ. თქვენ ახლაც ყმაწვილი ბრძანდებით, ბატონო. ოცი წლის ჰაბუკის მუხლები გაქვთ. დიდ ბორცვზე აღიხართ, მე ძლივსა დაფვარფატებ. ათი ნაბიჯი რომ გადავდგა, ძლივსა ვქშინავ, და ერთი ხნისანი კი ვართ. რაც რამ მდიდარს დიდი უპირატესობა აქვს — მაძღრისადა სჭამს ყოველ დღე. ვინც სჭამს, ჯანსაღიც ის არის და სანგრძელიც.

ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე განაგრძო:

— ეს მდიდრებიო. ეს ღარიბ ლატაკეზიო, — საშინელებაა სწორედ. სწორედ ეს არის მიზეზი ქვეყნის არევე-დარევისა. რა ვიცი — მე კი ასე მეჩვენება და! ღარიბს გამდიდრება უნდა, მდიდარს გაღარიბება არა სურს. მე მგონია. რომ ცოტა არ იყოს, ეს უნდა იყოს — საფუძველი უთანხმოებისა და ბრძოლისა. მე განზე ვდგავარ, — რაც მოხდება, მოხდება. არც მევახშისკენ ვარ, არც მოვალისკენ. მე მარტო ის ვიცი, რომ ვალი ადევთ და ვალს იხდიან. მორჩა და მოისვენა! მე იმას ვირჩევდი, რომ არ მოეკლათ მეფე, მაგრამ ძალიან გამიჭირდება პასუხის მიცემა, რომ მკითხონ, რადაო? ის კი აღარ გახსოვსო, — მეტყვიან, — რომ წარსულში სულ უბრალო დანაშაულისთვის ტყავს გაძრობდნენ და ცოცხლივ გაწამებდნენ? ჩემი თვალთ ვნახე ერთი უბედური წვრილშვილის, შვიდი შვილას მამა რომ ჩამოახრჩევს, — როგორ გაბედე რომ მეფის სანადიროში შევლი მოჰკალიო. დიახ. ნურავინ იტყვის, სიკეთით მე გჯობივარ შენაო.

ცოტა ხანს კიდევ გაჩუმდა. და მერე სთქვა:

— ისე ვარ, დანამდვილებით ველარ გამიგია რა. მიდიან, ზოდიან, იბრძვიან. მე იქ ვარ, ვარსკვლავებში.

კიდევ გაჩუმდა, თითქო ფიქრებმა გაიტაცესო, და დაუმატა:

— ცოტა არ იყოს, წამლობაც ვიცი, ექიმობას ვეწევი. კარვად ვიცნობ ბალახებს, ვიცი მცენარეების გამოყენება. გლებკაცები ჩაფიქრებულს, გაშტერებულს დამინახავენ ხოლმე და ჯადოქრის სახელი მაქვს გავარდნილი. მე ჩემი ფიქრებითა ვარ გატაცებული და იმათ კი ჰგონიათ, რომ ბევრი რამ ვიცი.

— აქაური ხარ? — ჰკითხა მარკიზმა.

— ჩემს დღეში არ მოვშორებივარ აქაურობას.

— მაშ მიცნობ?

— გიცნობთ და აგრე! ამ ორი წლის წინათ გნახეთ, უკანასკნელად რომ გამოიარეთ. აქედან ინგლისის წაბრძანდით. წელან ბორცვის თავზე ერთი კაცი დავინახე. ახოვანი, მოსული ტანის კაცი იშვიათია ჩვენში. მომცრო ტანის ხალხის ქვეყანაა ჩვენი ბრეტანი. დაუფუყე ყურება. განცხადება წაკითხული მქონდა. დავაცქერდი და... ბიჭოს!

ქვევით რომ ჩამობრძანდით, მთვარე ანათებდა, მაშინვე უცხანით.

— და მე კი ვერ გიცნობ.

— რამდენჯერ გინახავართ, მაგრამ არ დავინახავართ.

და განმარტა თავისი ნათქვამი:

— მე კი გხედავდით. გლახა რომ ბატონს შესცქერის, ბატონი თვალს არიდებსო.

— მაშ რამდენჯერმე შეგხვედრივარ?

— ხშირად, რადგან მე თქვენი მთხოვარი გახლავართ. თქვენი ციხე-დარბაზის ასაჯალ გზაზე ვეგდე ხოლმე ხელგაწვდილი. რამდენჯერმე მოწყალეობაც მიმიღია თქვენგან. მაგრამ ვინც მოწყალეობას გაიღებს, არც კი უყურებს, და ვინც მოწყალეობას მიიღებს, უკვირდება და უფიქრობდა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, მთხოვარი მსტოვარიაო. მე კი, თუმცა ხშირად ვარ დაღონებულს, ვცდილობ ავი არა ჩავიდინო რა. მე ხელგამოწვდილი ვიდეგ; თქვენ ხელის მეტს ვერაჲ ხედავდით, და ხელში მიღებდით მოწყალეობას. რომელიც საჭირო იყო ჩემთვის დილით, რომ შამშილით არ მოეკედარიყავ იმ საღამოს. ხანდახან მოხდება ხოლმე, ულუკმაპურად გდია კაცი მთელი დღე და ღამე, და ხშირად ერთი სუ აღუდგენს. აიციცხლეს. მე თქვენით ვარ ცოცხალი და, — ვალს გადახდა უნდაო, — ვალს გიხდით, სიკვდილისაგან გიხსნით.

— მართალია, სიკვდილისაგან მიხსნა.

— დიახ, ბატონო, სიკვდილს გადაგარჩინეთ...

და ცოტაოდენი სიმკაცრე დაეტყო შემდეგ მის სიტყვას:

— ერთი პირობით.

— რა პირობით?

— იმ პირობით, რომ აქ ავი არა მოახდინოთ რა.

— მე აქ სიკეთის აღსადგენად ვარ, — მიუგო მარკიზმა.

— მაშ დავიძინოთ, — სთხოვა მთხოვარმა.

ერთად დაწვენენ ზღვის გამხმარ ბალახზე. მთხოვარს მაშინვე ჩაეძინა — მარკიზს კი, თუმცა ძალიან დაღალული იყო. ჯერ ძილი არ ეკიდებოდა და კარგა ხანს იყო ფიქრებით გართული. მერე იმ ბნელში ერთხელ კიდევ გადახედა მთხოვარს და გვერდით მიუწვა. მიწაზე წოლა იყო ამ ჩალაზე წოლა. ამით ისარგებლა, მიწაზე დასდვა თავი და სმენად გადაიქცა. რაღაც ზრიალი ისმოდა. ცნობილია, რომ დედამიწის სიღრმეშიც ვრცელდება ბგერა. ზარის რეკვა ისმოდა მიწიდან.

ისევ განგაში იყო.

მარკიზს ჩაეძინა.

V

გოვენის ხელმოწერილი

უკვე თენდებოდა, როდესაც გამოეღვიძა.

მთხოვარი ამდგარიყო, ოღონდ მიწურში კი არ იყო; შეუძლებელი იყო იმ დაბალ სოროში დგომა. გარეთ გასულიყო. თავის ჯოხს დაჰყუდებოდა, თავზე მზის სხივი ადგა.

— ეს არის, ოთხი საათი დაჰკრა ტანის სამრეკლომ. კარგად გავიგონე ოთხივე; მაშასადამე, ქარი შეცვლილა, დღეს ხმელეთიდან ქრის. ზარის ხნა აღარ ისმის. მაშ აღარც განგაშია. სრული სიმშვიდეა ჰერბ-ან-პაილის სახლში და მიდამოებში. ლურჯებს სძინავთ, ან წასულან. აღარ არის, რაც მართლა საშიში იყო. და, მგონია ეჯობინება, რომ გავშორდეთ ერთმანეთს. სწორედ დრო არის ჩემი წასვლისა.

და ხელი გაიშვირა მარჯვნივ.

— მე იქით გაიხლებით.

მერე მარცხნივ გაიშვირა ხელი და უთხრა:

— თქვენ აქეთ მიბრძანდით.

თან ზრდილობიანი სალამი მისცა ხელით.

წასვლის წინ ვახშმის ნახორხალი დაანახვა და შესთავაზა:

— წაბლი წაიღეთ, თუ გშიათ.

და გაქრა ბუჩქებში.

წამოდგა ნარკიზი და იქით წავიდა, საითაც ტელმარშმა მიუთითა.

ადამიანის მომსიბლავი დილა იყო. ის დრო იყო მზის ამოსვლისა, რომელსაც ძველი გლეხკაცური ენა ბრეტანელებისა „გულის-წარმტაცს“ უწოდებდა. ფრინველების გალობა ისმოდა ყველგან. მარკიზი იმ ბილიკით მიდიოდა. რომლითაც მთხოვარმა გამოატარა. ბუჩქნარიდან გავიდა და ისევ იმ ქვის ჯვარს მიაღწა. ამ ქვაზედაც განცხადება იყო გაკრული, თეთრი და ამომავალი მზით გაბრწყინებული. მაშინვე მოაგონდა, რომ რაღაც იყო განცხადების ბოლოში, რომელიც ვერ გაარჩია წუხელის, რადგან წვრილი ასოებით იყო დაბეჭდილი, და ბნელოდა კიდეც. ჯვრის კვარცხლბეკთან მივიდა და მართლაც განცხადებაში პრიორ-დე-მარნის ხელმოწერის წყვეტილად კიდეც იყო წვრილი ასოებით დაბეჭდილი ორი სტრიქონი:

„როგორც კი დამტკიცდება პაროვენება ყოფილ მარკიზ დე-

ლანტენაკისა, მაშინვე დასჯილი იქნება სიკვდილით. ხელმონაწე-
რი: მოწინავე რაზმის უფროსი გოვენი“.

— გოვენი! — განცვიფრდა მარკიზი.

და იდგა ღრმად ჩაფიქრებული, თვალს ველარ აშორებდა გან-
ცხადებას.

— გოვენი! — გაიმეორა კმუნვით მარკიზმა.

ოტა გაიარა, გაჩერდა, მობრუნდა ჯვრისკენ, დააქკერდა. მე-
რე დაბრუნდა და ერთხელ კიდევ წაიკითხა განცხადება.

მერე ნელი ნაბიჯით წავიდა თავს გზაზე. მის ახლოს რომ ყო-
ფილიყო ვინმე, გაიგონებდა მის ჩურჩულს. მიდიოდა და იძახდა:
განცვიფრებული: გოვენი!

ტყეში ჩამალული ბილიკიდან არ ჩანდა ჰერბ-ან-პაილი და იმი-
სი, შენობები. პატარა, ციცაბო მალლობს მისდევდა, აყვავებული
კვირინჩხით მოსილს, გრძელეკლიანს რომ უწოდებენ. ამ მალლობის
მწვერვალი ღორის თავს ჰგავდა, შუაზე გახეთქილს, და სახელიც
სწორედ შესაფერი ერქვა. მალლობის ძირიდან კაცი ვერას დაინა-
ხავდა, ხეების გარდა. ფოთლები მზის სხივში ამოვლებულს ჰგვან-
და. ბუნება ტკბებოდა დილის უსაზღვრო ნეტარებით.

და უცბად საშინელება დაერია ამ სურათს, თითქო საფარი იყო
და ერთბაშად იფეთქაო. რაღაც თერფი მოედვა მზის სხივით გაბი-
ბინებულ მდელოს და ტყეს საშინელი მხეცური ყვირილისა და თო-
ფის სროლისა. განმარტოვებული სახლის მხრივ კვამლი ავირდა
(ვაში, ცეცხლის ალით დასერილი, თითქო ის სახლი და მისი სხვა
შენობები ჩალის კონებად გამხდარიყოს და ცეცხლი წაჰკიდებო-
დეს. უეცარი იყო და საზარელი ეს მოულოდნელი შეცვლა სი-
ძშვიდისა, თითქო ქვესკნელით ცეცხლი ამოვარდა და გადაჰბუგა
ქვეყანაო.

ბრძოლა იყო ჰერბ-ან-პაილის სახლისკენ.

მარკიზი გაჩერდა.

კაცი არ იქნება, რომ ამგვარ შეძახვევაში არ აღგზნებოდეს
გრძნობა შიშზე უფრო ძლიერი, დაუჯაბნავი ცნობისმოყვარეობა.
უნდა ნახოს, გაიგოს, თუნდა დაღუპვასაც უქადდეს ცნობისმოყვა-
რეობა. მარკიზი ავიდა მალლობზე. მალლობზე გამოჩნდებოდა, მაგ-
რამ თვითონაც დაინახავდა. რამდენიმე წუთის შემდეგ „ღორის
თავზე“ იდგა და გადასცქეროდა ჰერბ-ან-პაილს.

მართლაც, ბრძოლა იყო, თოფის სროლა და ხანძარი. ყვირილი
ისმოდა, ცეცხლი ჩანდა. განცალკევებული სახლი რაღაც უბედურე-
ბის შუაგულად გამხდარიყო. მაგრამ რად? რისთვის? მტერი შემო-

სევოდა ამ სახლს და იერიშით ჰლუპავდა? ვინ მტერი? ბრძოლა იყო, თუ მხედრული დასჯა? ლურჯებს ბრძანება ჰქონდათ რევოლუციური დეკრეტით და სასტიკად ასრულებდნენ ამ ბრძანებას, — ცეცხლს უკიდებდნენ სახლკარს და ხშირად მთელ სოფელსაც, საცა კი წინააღმდეგობას დაინახავდნენ. ცეცხლს წაუკიდებდნენ სამაგალითოდ სახლკარს იმ კაცისას, ვინც ბრძანებისამებრ არ გასკრა ტყეში, ან ქალაში, რესპუბლიკელი ჯარის გასავლელი გზა. სწორედ ასევე დაჰსაჯეს ამასწინათ ბურგონის სამწყსო, ეტნეს მახლობლად. იქნება ჰერბ-ან-პაილსაც ამისთანა დანაშაული მიუძღოდა? ცხადი იყო, რომ არც ტყეში და არც სადმე ქალაში გზა არსად იყო გაკაფული და შეიძლება სწორედ ამიტომ იწოდა იქაურობა. მაშ სასჯელი იყო ეს ცეცხლი? იქნება ბრძანება მოუვიდა იმ სახლში მდგომ ჯარს? და ეს ჯარი? განა წინა ნაწილი არ არის იმ ლაშქრისა, რომელიც აქეთ იყო გამოგზავნილი და რომელსაც ჯოჯოხეთის ჯარს უწოდებდნენ?

ძალიან ხშირი. მაღალი ბუჩქნარით იყო მოსილი ყოველმხრივ ბორცვი, რომელზედაც მარკიზი იდგა და ზევრავდა იქაურობას. ამ ბუჩქნარს ჰერბ-ან-პაილის ქალაქს უწოდებდნენ, თუმცა ოდენობით კარგი ტყის სივრცე ჰქონდა, განცალკევებულ სახლამდე მიდიოდა, და, როგორც ყველა სხვა ტყე ბრეტანული, ჰფარავდა მთელ ქსელს ხეების, ბილიკებისა და გაუვალი გზებისას, მთელ ლაბირინტს, რომელშიც გზას ვერ იკვლევდა რესპუბლიკის ჯარი.

დასჯა დამნაშავეებისა, თუ მართლა სასჯელით იყო გამოწვეული ეს ხანძარი. მეტად სასტიკი უნდა ყოფილიყო, რადგან სწრაფად იქნა ასრულებული. მხეცური უნდა ყოფილიყო ბრძანება და მხეცურივე სისწრაფით ასრულება. სამოქალაქო ომის სიმძაფრეს თან ახლავს ეს ველურობა. მანამ მარკიზი ამ ფიქრებით იყო გატაცებული, ყოყმანობდა, ვერც ჩამოსვლა გადაეწყვიტა, ვერც იქ დარჩენა, ყურს უგდებდა და გადასცქეროდა, ეს უცნაური ყვირილი შეწყდა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, გაიბნა. მაშინ შენიშნა, რომ მთელ ქალას მოსდებოდა წვრილწვრილი გაშმაგებული, მაგრამ მხიარული რაზმები. საშინელი ღრიალი გაისმა ხეების ქვეშ. დამწვარი სახლიდან ახლა ტყეს შემოუხიენენ. გაგიჟებით უკრავდნენ იერიშის ნაღარას. თოფს აღარ ისროდნენ. გეგონებოდათ, მტერს მისდევნენ, მტერს ჯგზას უკრავნო: მოდიოდნენ, ჩხრეკდნენ ზუჩქებს, თითქო ნადირი ნოიღმწყვირდეს ბუჩქნარში და ახლა დამალულის პოვნას ცდილობენო. ცხადი იყო, ვიღაცას ეძებდნენ. ხმაურობა გაფანტულად ისმოდა, მაგრამ მძლავრად, გაცოფებული რისხვითა და გამარჯვებულის სიხარულით; ყვირილი იყო, ღრიალი, ვარკვეული სიტყვა არსად იყო.

და უბად. თითქო კვამლში სხივმა იელვაო; გარკვეული, შესაგნები სიტყვა გაისმა ამ ღრიალში; სახელი იყო, ათასი პირით: ამოძახილი, სახელი და შიგ გულში ეცა მარკიზს, როდესაც გაიგონა ძახილი!... ლანტენაკ! ლანტენაკ! მარკიზ დე ლანტენაკ!
მარკიზს ეძახდნენ!

VI

სამოქალაქო ომი.

მარკიზის გარეშემო, ყოველ მხრიდან ერთბაშად, ჯარით აიესო. იქაურობა. თოფებით, ხიშტებით, ხმლებით; ერთი სამფერი დროშა გამოვიდა ხის ტოტებიდან, ყვირილი — ლანტენაკ!.. ეცა ყურში, და ბუჩქებიდან გამოძვრნენ გააფთრებული სახეები.

მარკიზი მარტო იყო. მალლობის თავზე იდგა და კარგად ჩანდა. ტყის ყოველი მხრიდან ვერც კი ჰხედავდა იმ სალხს, რომელიც მის სახელს გაიძახოდა, მაგრამ თვითონ იმას კი ყველა ხედავდა. თუ ათასი თოფი იყო იმ ტყეში, მარკიზი იყო ერთადერთი მიზანი იმ თოფებისა. ვერას არჩევდა ხშირ ბუჩქებში, გარდა გაცეცხლებული თვალებისა, რომლებიც მას შესცქეროდნენ.

ქუდა მოიხადა, კალთა აუწია, კვრინჩხის ბუჩქს ჩამოჰგლიჯა ერთი გამხმარი ეკალი, ჯიბიდან თეთრი კაკარდა ამოიღო, ეკალით მიაკრა ქუდის აწეულ კალთას, ისევ დაიხურა, ოღონდ ისე, რომ კარგად გამოჩენილიყო მისი შუბლი და კაკარდა, და მაღალი ხმით, მთელი ტყის გასაგონად შესძახა:

— მე ვარ, ვისაც თქვენ ეძებთ! მე ვარ მარკიზ დე-ლანტენაკი, ვიკონტი დე-ფონტენეი, პრინცი ბრეტანისა, გენერალი მეფის ლაშქრისა! ახლა? აბა, დამიმინეთ! ცეცხლი!

ორივე ხელით გადაიღელა გული და ხალხს მიუშვირა.

თვალი დახარა, მისკენ დამინებულნი თოფების დანახვა უნდოდა, და მუხლმოყრილი ხალხი დაინახა.

და იგრიალა ხალხმა:

— ლანტენაკს გაუმარჯოს! ჩვენს ბატონს გაუმარჯოს! ჩვენს გენერალს გაუმარჯოს! ყვიროდნენ, თან ქუდს მაღლა ისროდნენ, ამოღებულ ხმალს იჭნევდნენ გახარებულები და მთელ ქალაში გამოჩნდნენ მაღლა ამართულ ჯოხებზე ჩამოცმული სელის მრეშე ქუდები.

მარკიზს გარს შემოხვეოდნენ ვანდელეები.

და რომ დაინახეს, მუხლი მოიყარეს მის წინაშე.

ძველი თქმულება დარჩენილა ხალხში, რომ ტურინგის ტყეები აღდესლაც უცნაური, ბუმბერაზის ჯიშის, ადამიანის მსგავსი ცხოველებით იყო საესე, რომლებსაც რომაელები საზიზღარ არსებად სთვლიდნენ, და გერმანელები — ღვთიურ განსახიერებად. და ვის შეხვდებოდნენ, ამაზე იყო დამოკიდებული მათი სიკვდილ-სიცოცხლე: რომაელები ხოცავდნენ, გერმანელები თაყვანს სცემდნენ.

მარკიზმაც დაახლოვებით იგივე გრძნობა განიცადა, რაც უნდა ეგრძნო ვისმე იმ ბუმბერაზთაგანს, ადამიანს რომ შეხვდებოდა: ურჩხულად მიმიღებს, მომკლავსო. და მისი თაყვანისმცემელი კი აღმოჩნდებოდა, მუხლმოყრილი მის წინაშე.

ცეცხლივით აღგზნებული თვალთ შესცქეროდა მარკიზს იმოდენა ხალხი, მაგრამ ამ თვლებში პირუტყვეული სიყვარული იყო და არა სიძულვილი.

შეიარაღებული იყო ეს ხალხი თოფით, ხმლით, ნამგლით, თონით. კომბლით. დიდი, კალთიანი ნაბდის ქუდები ეხურათ, ან სელიოსა — მრეში. და ზედ თეთრი კაკარდა; კრიალოსანი ჰქონდა ყველას და, — თვალი არავინ მკრას, ან ჯადო არ გამიკეთოსო, ლამა ყელზე, ან გულზე. განიერი შალვარი ეცვათ, მუხლამდე ტყავის ზედატანი. ტყავის პაიკი, გრძელი თმა. ზოგს მხეცური შეხედულება ჰქონდა. ერთობ ყველას — გლეხკაცური გულუბრყვილობა.

ერთმა ახოვანმა ყმაწვილმა კაცმა ჩქარი ნაბიჯით გამოიარა და ჩოქილ ხალხში და მარკიზთან მივიდა. იმასაც, როგორც გლეხკაცებს კალთააწეული კაკარდიანი ქუდი ეხურა ნაბდისა; ტყავი ეცვა, მაგრამ თეთრი ხელები ჰქონდა; წმინდა ტილოს პერანგი ეცვა, თეთრი, აბრეშუმის სარტყელი ეკრა და ზედ შეოქერილქარქაშიანი ჩხალი.

მარკიზთან რომ მივიდა, ქუდი იქით გადაადგო. სარტყელი მოიხსნა. ცალი ფეხით დაიჩოქა; მარკიზს მიაართვა სარტყელი და ხმალი და მოახსენა:

— თქვენ გეძებდით, ბატონო, და კიდეც გიპოვეთ. ინებეთ ხმალი მხედართმთავრისა.

— თქვენი გახლავთ ეს ხალხი. აქამდე მე გახლდით ამათი წინამძღოლი და ახლა წარმატება მეძლევა, რადგან თქვენს მორჩილად გნდები. გთხოვთ მიიღოთ ჩვენი თაყვანისცემა... თქვენს ბრძანებას ევლით, ჩემო გენერალო.

ნიშანი მისცა და ბუჩქებიდან გამოვიდნენ და მარკიზთან გამწკრივდნენ ბიჭები, რომელთაც სამფერი დროშა ეჭირათ. მერე მივი-

დნენ და ფეხქვეშ დაუდევს სამფერი დროშა, ის დროშა, რომელსაც თვალი მოჰკრა ხეებში ცოტა ხნის წინათ.

— ჩემო გენერალო, — მოასწენა ყმაწვილმა კაცმა, რომელმაც სარტყელი და ხმალი მიართვა. — ეს დროშა ლურჯებს წაეართვით ამ დილას, ჰერბ-ან-პაილის სახლში რომ იყენენ. მე, ბატონო, გავარჩი მქვია, მარკიზ დე-ლა-რუარის კაცი გახლავარ.

— ძალიან კარგი, — სთქვა მარკიზმა.

და მშვიდად, დარბაისლად შემოირტყა სარტყელი.

მერე ხმალი ამოიღო, მალლა აიქნია და შეჰყვირა:

— აღექით! ჩვენს მეფეს გაუმარჯოს!

ფეხზე წამოდგა ხალხი.

და მთელ ტყეს მოედვა აღელვებული, გამარჯვებული ძახილი:

— ჩვენს მეფეს გაუმარჯოს! ჩვენს მარკიზს გაუმარჯოს! გაუმარჯოს ლანტენაკს!

მარკიზი გავარს მიუბრუნდა:

— მაშ რამდენი ხართ?

— შვიდი ათასი, ბატონო.

მარკიზი ქვევით დაეშვა მალლობიდან. გზას ცლებკაცები უხსნიდნენ ბუჩქებში. გავარი თან მისდევდა მოხსენებით:

— სულ უბრალო საქმე გახლავთ, ბატონო, ახლავე მოგახსენებთ. მზად ვიყავით, ნაპერწკალსდა ველოდით. და სწორედ ამ ნაპერწკლად გამოდგა რესპუბლიკელების განცხადება. თქვენი მობრძანება გაიგო ხალხმა და მაშინვე აიშალა. გარდა ამ განცხადებისა ჩუმი ცნობაც გექონდა გრანვილის მამასახლისისაგან, მღვდელი ოლივიუ რომ გადაარჩინა. სულითხორცამდე ჩვენი გახლავთ ეს კაცი. ღამე განგაშის ზარი დავკარით.

-- რადა? რა მოხდა?

-- თქვენ საძებნელად.

-- ჰოო!

-- და ჩვენც მზად გახლავართ.

— შვიდი ათასი ხართ?

— დღეს. დიახ. ხვალ თხუთმეტი ათასი ვიქნებით. თხუთმეტი ათასი უნდა მოგვეცეს ჩვენმა მხარემ. ბ. ანრი დე-ლა-როშეაკლენი რომ კათოლიკეთა ჯარისკენ მიდიოდა. განგაში დაჰკრეს და ერთი ღამის განმელობაში ათი ათასი კაცი მიჰგვარა ექვსმა სამწყსომ: იზერნიემ, კორკემ, ეშობრუანმა, ობიემ, სენტ-ობენმა და ნუეილმა. მომარაგებული არა ჰქონდათ რა. ერთ ქვისმთლელს უპოვეს სამოცი გირვანქა თოფის წამალი. კლდის ასაფეთქებლად ჰქონოდა და ის

წაილო, სხვა არაფერი ჰქონია. დარწმუნებული გახლდით, რომ აქ სადმე გიპოვიდით, ამ ტყეში, და თქვენ საძებნელად წამოვედით.

— და ჰერბ-ან-პაილში ლურჯებს მიუხტით?

— ქარი დაგვეხმარა; ისე ქროდა, რომ უკანვე მიჰქონდა ზარის ხმა, და განგაშისა ვერა გაიკეს რა. იყენენ თავისთვის დამშვიდებულნი, მით უფრო, რომ სახლში ოტროველა გლენები იყენენ და კარგად დახვდნენ. ამ დილას შეეცვივდით სახლში. ლურჯებს ეძინათ და კაცი არ გადაგვრჩენია ცოცხალი. ცხენი მყავს, ბატონო, იქნება კეთილი ინებოთ და შებრძანდეთ?

— კარგი იქნება.

ერთმა გლენმა მიჰგვარა თეთრი, სამხედროდ შეკაზმული ცხენი. მარკიზი სხვის დაუხმარებლივ მოახტა ზურგზე.

— ვაჟა! — შეჰყვირეს გლენებმა, რადგან ინგლისური ყვირილი სწორად გაისმის ბრეტან-ნორმანდის ზღვისპირას, რომელსაც მუდმივი ვაჭრული დამოკიდებულება აქვს ლა-მანშის კუნძულებთან.

გაეარმა მხედრული სალამი მისცა და ჰკითხა:

— სად იქნება თქვენი მთავარი სადგომი, ჩემო გენერალო?

— ჯერჯერობით ფუჟერის ტყეში.

— ფუჟერი, ერთი თქვენი შვიდ ტყეთაგანი.

— მღვდელი დაგვჭირდება.

— გყავს, ბატონო.

— ვინ არის?

— შაპელ — ერბრეს მოძღვარი.

— ვიცნობ, ერსეიში იყო ამასწინათ.

ერთი მღვდელი გამოვიდა მწყობრიდან და მოახსენა:

— სამჯერ გახლდით, ბატონო.

— დილა მშვიდობისა, მამაო, მგონია, საქმე გექნებათ.

— მით უკეთესი, ბატონო მარკიზო.

— უნდა აზიაროთ ხალხი, ვინც მოისურვებს. ძალდატანება არ ივარგებს.

— გნემენეს მოძღვარი, ბატონო, რესპუბლიკელებსაც აზიარებს და...

— მოძღვარი კი არა, ვარსამი ყოფილა; სიკვდილი თავისუფალი უნდა იყოს.

გავარი რალაც ბრძანების გასაცემად წასულრიყო. დაბრუნდა, მარკიზს გამოეჭიმა:

— თქვენს ბრძანებას ველი, ბატონო.

— მაშ ფუჟერის ტყეში შევიკრიბებით. დავიშალოთ და იქით წავიდეთ.

— ბრძანება გაცემული გახლავთ.

— ჰერბ-ან-პაილის გლეხები კარგად დაუხვდნენ რესპუბლიკელებსაო. ასე მითხარით წელან, თუ არა ვცდები.

— დიახ, ბატონო.

— სახლი დასწვით?

— დიახ.

— დანარჩენი შენობები?

— არა, არ დაგვიწვავს.

— ისინიც დასწვით.

— ძალიან ცდილობდნენ ლურჯები თავის დაცვას, მაგრამ ისინი ასორმოცდაათი იყვნენ და ჩვენ შეიდიათასი.

— სადაური იყვნენ, თუ იცით?

— სანტერის¹⁾ ჯარისა.

— სანტერისა! ნალარა რომ დააკვრევინა იმ დროს, როდესაც თავს სჭირდნენ მეფეს! მაშ პარიზელები იქნებოდნენ?

— ნახევარბატალიონი.

— სახელი ამ ბატალიონისა?

— დროშაზე გახლავთ ამოქარგული: წითელქუდა ბატალიონი.

— სისხლისშსმელები!

— დაჭრილებს რა ვუყოთ?

— დახოცეთ.

— დაჭერილებს? დაპატიმრებული გახლავან...

— დახვრიტეთ.

— ოთხმოცამდე კაცია...

— დახვრიტეთ ყველანი.

— ორი ქალი გახლავთ.

— ისინიც.

— სამი ბაჭევი გახლავთ.

— თან წამოიყვანეთ. შერე ვნახავთ.

და მარკიზმა მუხლი ჰკრა თავის ცხენს.

1) ანტუან ჟოზეფ სანტერი (1752 — 1809) 1793 წელს ნაციონალური გვარდიისა და ვანდეს ომში რესპუბლიკელთა ღვივისის მეთაური.

VII

არავინ შეიზრალოთ — ბრძანება კოშუნიისა.

არავინ დაინდოთ — ბრძანება პრინცებისა.

იმ დროს, როდესაც ტანის ახლოს ლანტენაკი თავისი ძალით აღიჭურვებოდა, მთხოვარი კროლონისკენ მიდიოდა. ხევხევ მიდიოდა დაბურულ ტყეში, ყურადღებას არაფერს აქცევდა უფრო თავისი ოცნებით გატაცებული, ვიდრე ფიქრით, რადგან ფიქრს თავისი მიზანი აქვს და ოცნებას კი — არავითარი. დაეხეტებოდა ტყეში, აქიქ ჩერდებოდა, შეაფუნას ჭამდა, წყაროს წყალს ეწაფებოდა. სასწრაფო შინელების ნიშანი იყოს ხანძრისა. და მთელი ბედნიერება ადამიანებდა; მაგრამ ბუნების მშვენიერებით მოხიბლული, ისევ თავის ლანდს მისდევდა, თავის ბრანძების მზეზე გატანას ცდილობდა და, ლუმცა ესმოდა ხალხის ყვირილი, სმენით მარტო ფრინველთ გალობას ისმენდა.

მოხუცებული კაცი იყო, ნელი მოსიარულე. შორს წასვლა არ შეეძლო. მალე იღლებოდა, როგორც თვითონვე უთხრა ლანტენაკს. პატარა გზა გაიარა კრუა-ავრანშენისკენ და კიდევ დაბინდდა, უკან ვამობრუნება რომ დააპირა.

მასეის, ცოტა იქიდან ბილიკს რომ მისდევდა, პატარა მალლობზე ავიდა. უტყუოზე, საიდანაც კარგად ჩანდა დასავლეთი თვით ზღვის პირამდე.

რალაცა კვამლმა მიიქცია მისი ყურადღება.

არაფერია იმაზე ტკბილი, როგორც კვამლის დანახვა, და არაფერი იმაზე საზარელი. არის კვამლი მშვიდობიანი, არის კვამლი სისხლისმღვრელი. კვამლი, სისქე და ფერი კვამლისა, ეს შეადგენს სრულ განსხვავებას მშვიდობიანობასა და ომს, ძმობასა და მტრობას, მასპინძლობასა და აკლდამას, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის. ხეებშუდან რომ კვამლი ამოდის, შეიძლება იმის ნიშანი იყოს, რაც ნეტარებას შეადგენს. სიცოცხლისას, ნიშანი ოჯახისა; ან უუსაშინელების ნიშანი იყოს ხანძრისა. და მთელი ბედნიერება ადამიანისა, როგორადაც მთელი მისი უბედურება ხანდახან სწორედ ამ ქარით სანიავებელ კვამლში არის ხოლმე.

ტელმარში რომ კვამლს გასცქეროდა, საშიშარს ჰგავდა.

შავი კვამლი იყო, მაგრამ ხან გამომწვებით ალი მოედებოდა ხოლმე წამიერი, თითქო ჩამწვარ ნაგუზლებს დასაწვავა რამ ჩაეჩია და ალი ავარდაო. კვამლი ჰერბ-ან-პაილს ასდიოდა.

ტელმარშია ფეხი ააჩქარა და ცეცხლისკენ წავიდა. მეტად და-

ღალული იყო, მაგრამ უნდოდა გაეგო, რა უბედურება ეწია ამ სახლკარს.

პატარა დაღმართს მიაღდა, რომელსაც ჰერბ-ან-პაილი მიჰკროდა.

ალარც სახლი იყო და ალარც სხვა შენობები. შენობების ნანგრევი იწოდა ყველგან. ჰერბ-ან-პაილი დანგრეული იყო და გადამწვარი.

არის რამ სანახავად უფრო გულსაკლავი, ვიდრე სრა-პალატის ხანძარი — ეს განსაკლავთ მუშაკაცის სახლკარის დაწვა. გულსაწყლავი და საგლოვი. საწყალი კაცის სიღარიბეს აფორიაქება ემატება, მიწის მუშას მეხი ეცემა. ძნელი წარმოსადგენია ამაზე მეტი უბედურება.

დაბადების თქმულებას თუ დაეუჯერებთ, ვინც ხანძარს უცქერის, ქანდაკებად გადაიქცევა. ტელმარშიც ცოტა ხანს ქანდაკებად გადაიქცა. იმისთანა სანახავი გადაშლილიყო მის თვალწინ, რომ გაქვავებულივით იდგა უძრავად. იწოდა იქაურობა, მაგრამ უსახვრო დუმილი იდგა ყველგან. არა ერევოდა რა კვამლს ადამიანის არც ყვირილი, არც კვნისა... ცეცხლი ეკიდა ყველაფერს, ცეცხლი ანადგურებდა ადამიანის ნაამცარს და გამარჯვების ტკაცუნითა და ნაპერწყლის სროლით ჰბუგავდა, რასაც კი მოედებოდა. ხანდახან გაიხევიდა ხოლმე კვამლი და გადამწვარ ბანის ქვეშ მოჩანდა ჰერდამწვარი ოთახები, ალით გაწითლებული გლეხის ქურტკელი და ზოგან უკვე ნაღვერდალი თავისი უთვალავი ბალახში.

გულგახეთქილი გადასცქეროდა მთხოვარი ამ უბედურებას.

სახლის გვერდზე წაბლოვანის რამდენსამე ხეს მოჰკიდებოდა ცეცხლი და იწოდა.

ყურს უგდებდა, ცდილობდა გაეგონა ხმა ადამიანისა, ყვირილი, ტირილი. არა იძროდა რა, გარდა ცეცხლის ალისა, არა ხმაურობდა რა, გარდა ხანძრისა.

ნუთუ ყველანი გაიქცნენ?

ქვევით ჩაეიდა.

საზარელი გამოცანა იდგა მის თვალწინ. ნელნელა მიუახლოვდა ამ გამოცანას, ყურდაცქვეტილი და თვალდაჭყეტილი. ნელნელა უახლოვდებოდა, აჩრდილის ნაბიჯით. ლანდარ გრძნობდა თავის თავს ამ აკლდამაში.

მივიდა იქამდე, სადაც ალაყათის კარები იყო, და ეზოში შეიხედა. ლობეები მთლად გადამწვარიყო და ქალას უერთდებოდა კარშირდამო.

არაფერი იყო, რაც ნახა. ჯერ საშინელის მეტი არა ენახა რა. და ახლა საზარელი წარუდგა მის თვალს.

შუა ეზოში რაღაც იყო შავად დაგროვილი, მკრთალად განათებული ერთი მხრივ მთვარით, მეორე მხრივ ცეცხლით. ადამიანების გროვა იყო ეზოში, მკედრების გროვა. და აქვე, ამ გროვის ირგვლივ, დიდი გუბე მოჩანდა, რომელსაც ჯერ კიდევ ასლიოდა ორთქლი. ცეცხლის ალი ანათებდა და აწითლებდა ამ გუბეს, მაგრამ ალი რა საჭირო იყო, როდესაც უცეცხლოდაც წითელი იყო. სისხლის გუბე იყო, ადამიანის სისხლისა.

ახლო მივიდა ტელმარში. სინჯვა დაუწყო გვაძებს. ყველა გასინჯა. მკედრები იყვნენ ყველანი.

მთვარე დაჰკაშკაშებდა, ცეცხლი დასცილებდა სისხლის გუბეს.

საღდათები იყვნენ დახოცილი. ყველა ფეხშიშველი იყო, ფეხსაცმელი გაეხადათ მკვლელებს; იარაღიც მოეხსნათ; სამხედრო ტანისამოსი შერჩენოდათ, ლურჯი; აქა-იქ ადამიანის ხელფეხისა და თავების გროვაში სამფერი ქული მოჩანდა ტყვიით გახვრეტილი. რესპუბლიკელები იყვნენ, პარიზელები იყვნენ, რომლებიც ჯერ ისევ ცოცხალი იყვნენ გუშინ და ჰერბ-ან-პაილში გაჩერებულიყვნენ სადარაჯოდ.

დახვრეტილი იყვნენ უბედურები, რადგან ეტყობოდა მწყობრად ეშვებოდა მკვდარი ამ გროვაში. იქვე ეზოში დაეხვრიტათ ყველანი და ძალიან ბეჯითადაც, რადგან სიცოცხლის ნიშანი აღარავის ჰქონდა.

ტელმარშია რიგრიგად გასინჯა ყველანი, ერთი არ დარჩენია გაუსინჯავი. თოფის ტყვიით იყვნენ დახვრეტილი ყველანი.

იმოდენა ხალხი დახოცეს და ალბათ ძალიან ეჩქარებოდათ, რომ იქვე დატოვეს და არ დამარხეს.

ის იყო, წასვლას აპირებდა, რომ ეზოში დაბალ კედელს მოჰკრა თვალი და კედლის ბოლოს ოთხი გამოშვერილი ფეხი დაინახა.

ფეხსაცმელი ზედ ჰქონდათ, უფრო პატარები, ვიდრე სხვები იყო. ტელმარში ახლა იქით წავიდა. ქალებისა იყო ეს ფეხები.

ორი დედაკაცი ეგლო კედლის იქიდან, ორივე ერთად, ორივე დახვრეტილი.

დაიღუნა ტელმარში, სინჯვა დაუწყო. ერთს სამხედრო ტანისამოსი ეცვა; გვერდზე იქვე საღვინე ეგლო, ცარიელი. მიკიტანი უნდა ყოფილიყო. ოთხი ტყვია მოხვედროდა თავში. მკვდარი იყო. ახლა მეორეს დაუწყო სინჯვა. გლეხი დედაკაცი იყო. მკვდ

ფერი ედვა, პირლია ეგდო, თვალდახუტული. თავში არავითარი ჭრილობა. წაქცევისას ტანისამოსი, ძველისძველი კონკები, გადაჰლეოდა და გულმკერდი უჩანდა. უფრო მეტად გადაუწია გულისპირი ტელმარშმა და მხარზე მრგვალი ჭრილობა აღმოაჩინა ტყვიისა. ლაიწი ჰქონდა გატეხილი. ჩალურჯებულ ძუძუს დაჰხედა.

— დედა და მაწოვარი, — წაიდუღუნა ტელმარშმა.

ხელი შეახო. ცივი არ იყო.

სხვა ჭრილობა არა ჰქონდა რა გარდა გატეხილი ლაიწისა და დაჭრილი მხრისა.

გულზე დაადვა ხელი და იგრძნო სუსტი ცემა გულისა. მკვდარი არ იყო ქალი.

წამოვარდა ტელმარში და საშინელი ხმით შეჰყვირა:

— მაშ არაფერ არის აქ?

— შენ ხარ, კემან? — გამოსძახა ვილაკამ იმისთანა ნელი ხმით. რამ ძლიერ ისმოდა.

და ერთი თავი ამოძვრა ნანგრევებიდან.

მეჩე მეორე გამოჩნდა სხვა ნანგრევებიდან.

გლეხკაცები იყვნენ. დამალულიყვნენ, ეს ორა კაციღა. გადარჩენილიყო იმოდენა ხალხიდან.

ხმაზე იცნეს მთხოვარი, მაშ შიში აღარ არისო და გამოძვრნენ თავიანთი სამალავი ორმოებიდან.

ჯერ კიდევ თრთოდნენ უბედურები. ტელმარშთან მივიდნენ.

ტელმარშმა ყვირილი შესძლო, მაგრამ ლაპარაკი ვერ მოახერხა. ასე იცის ღრმა მღელვარებამ.

ქალი ანიშნა, მის ფეხთან განართხული.

— ნუთუ ცოცხალია? — ჰკითხა ერთმა გლეხმა.

თავი დაუქნია ტელმარშმა, — ცოცხალიაო.

— ის მეორე? ისიც ცოცხალია? — ჰკითხა მეორემ.

თავი გაიქნია, — არაო.

პირველად რომ გამოძვრა ნანგრევებიდან კაცი, იმან დაიწყო მოთქმა: — სხვანი ყველანა დახოცეს, განა? ჩემი თვალთ ვნახე. მე სარდაფში ვიყავ. რა მადლობას სწირავს ღმერთს ადამიანი ამგვარი განსაცდელის დროს, რომ არც კოლი ჰყავს, არც შვილი! იწოდა ჩემი ქონი! ღმერთო ძლიერო! ამოდენა ხალხი როგორ დახოცეს? ამ დედაკაცს ბავშვები ჰყავდა. სამი ჰყავდა. სულ პაწიები! ბავშვები — დედა, დედიკოო! — გაიძახოდნენ, დედა — ჩემი შვილებიო! — გაჰკიოდა. აჰა, ღმერთო! დედა მოუკლეს ბავშვებს და ბავშვები თან წაიყვანეს! ჩემი თვალთ ვნახე! ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!

ღმერთო ჩემო! ააოხრეს, მიწასთან გაასწორეს აქაურობა და წავიდნენ! მერე რა კმაყოფილი იყვნენ! ბავშვები თან წაიყვანეს და დედაკი მოუკლეს! მაგრამ ჯერ ცოცხალი უბედური, არა? ჯერ ცოცხალია? ხმა ამოიღე, კემან, იქნება უშველო რამე და სიკვდილს გადაარჩინო! აი, ჩვენ დაგეხმარებით, შენ მიწურამდე მიიყვანთ.

ტელმარშმა თავი დაუქნია ნიშნად თანხმობისა.

იქვე მოამტკრიეს ფოთლიანი ტოტები. საკაცე გამართეს, ზედ ჩადუნა გაშალეს, დააწვინეს ზედ დაქრილი, ჯერ ისევე გულწასული დედაკაცი და შეერივნენ ჭალას. ორ გლეხკაცს საკაცე მიჰქონდა: ერთს თავით, მეორეს ფეხთით. ტელმარშს დაქრილის ხელი ეჭირა და მაჯას უსინჯავდა.

მიდიოდნენ და ლაპარაკობდნენ გლეხკაცები.

— ამოულიტეს ხალხი!

— გადასწევს იქაურობა!

— ღმერთო დიდებულო! ეს არის შენი სამართალი?

— სულ იმის ბრალია, აი მაღალი კაცი რომ იყო, იმან ბრძანა.

— ჰოდა მხედართმთავარიც ის ბრძანდება.

— ველარ დავინახე, ხალხს რომ ხვრეტდნენ. ისიც იქ იყო?

— არა, წასული იყო. მაგრამ ეგ სულერთია. რაც მოხდა, სულ იმის ბრძანებით მოხდა.

— მაშ ღმერთმა ჰკითხოს!

— იმან ბრძანა: — დახოცეთ! დასწვით! არავენ დაინდოთო!

— მარკიზია, და!

— მარკიზია, ჩვენი ბატონია.

— ჰო? სახელად რა ჰქვია?

— მარკიზ დე-ლანტენაკი.

ტელმარშმა ზეცას აღაპყრა თვალები და დაიკვნესა:

— ეჰ, რა ვიცოდი?!

მეორე ნაწილი

პაროზი

ნიგნი პიჩველი

სიმუხლენი

I.

იმ დროის პარიზის ქუჩები.

სახალხოვან ცხოვრობდა პარიზი; ქუჩაში, კარებთან მაგიდას დგამდნენ და პურს იქ ჭამდნენ. ქალები ისხდნენ ეკლესიების სტოვაზე, დაჭრილთათვის ფილთას ამზადებდნენ და თან მარსელიოზას მღეროდნენ. მონსოსა და ლუქსემბურგის ბაღში სამხედრო მანევრებს აწარმოებდნენ. მებოძირებზე ყველგან მესაჭურველები ისხდნენ და იარაღს აკეთებდნენ, — თოფებს, ზიშტებს; ხალხი სიამოვნებით უყურებდა იმათ შრომას და ტაშს უკრავდა. ერთსა გაიძახოდა დიდი და პატარა „მოთმინება! რევოლუციის ხანაში ვართ.“ გმირულად იცინოდნენ. თეატრში ისე მიდიოდნენ, როგორც ათენელები პელოპონესი¹⁾ ომის დროს. ქუჩები აჭრელებული იყო აფიშებით: გარემოცვა ტიონვილისა. ხანძარს გადაარჩენილი დედა ოჯახისა. — უზრუნველთა კლუბი. უფროსი პაპი ჟანა. — ფილოსოფოსი სალდათები. — სოფლური სიყვარული. — საფრანგეთს გერმანელები მოსდგომოდნენ; ხმა დადიოდა, — პრუსიის მეფემ ლოჟა დაიკვეთა ოპერაშიო. საშინელი იყო ყველაფერი და არავინ იყო შეშინებული. ბნელად შედგენილი კანონი საეჭვოთა შესახებ, რომელიც ბრალად ედება შერლენ დე-დუეს, ქუდზე კაცს ემუქრებოდა გილოტინით. ერთი პროკურორი, სერანი, დაებეზღებინათ და არხეინად ელოდა დაპატიმრებას: საშინაო, ტანისამოსი ეცვა, ფეხზე — ფლოსტები. იდგა ფანჯარასთან და ფლეიტას უკრავდა. რალაცას ჩქარობდნენ ყველანი. ქუდს ვერ დაინახავდით, რომ ზედ კაკარდა არ ყოფილიყო. ქალები იძახდნენ, — ძალიან გვიხდება წითელი ქუდიო. ისე ირეოდა პარიზი, თითქო გასახიზნავედ ემზადებო. ძველძვეულის ვაჭრებს გატენილი ჰქონდათ მალაზიები სასახლეებიდან გამოტანი-

1) პელოპონესის ომი, მოხდა სპარტასა და ათენას შორის (431 — 404 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდის), რაიც დამთავრდა ათენას დამარცხებით.

ლი გვირგვინებით, მიტრებით, სკიპტრებით, — სულ შეოქრვილი ხისა, თეთრი შროშანით დამშვენიებული. ეს იყო ნგრევა მონარქიისა, მისი განადგურება. ძველი ტანისამოსის მალაზიები სავესე იყო ოლარებით, სამკლავეებით, ომფორებით, საკოსებით, მანტოებით.

პორშერონსა და რამპონოს მიკიტნებთან სასმელად ვირებით მიდიოდნენ ყმაწვილი ბიჭები; ვირები ენჭერით ჰყავდათ მოსილი, თითონ კვერთხი ეჭირათ, ან ჯვარი შეოქრვილი ხისა, ბეჭებზე მანტია, თავზე — ბარტყულა; და ბარძიმით სვამდნენ ღვინოს. სენ-ჟაკის ქუჩას ჰკირწყლავდნენ ფეხშიშველი მუშები; ვაჭარი დაინახეს, წაღები გამოეტანა გასასყიდად; ფული მოაგროვეს ერთმანეთში, თხუთმეტი წყვილი წალა იყიდეს და კონვენტს¹⁾ გაუფზავნეს სალდათებისთვის. ყველგან ფრანკლინის²⁾, რუსსოსი³⁾, ბრუტისა⁴⁾, და — როგორ არა ვთქვათ? — მარატის⁵⁾ ქანდაკებას ხედავდა კაცი. კლოშპერსის ქუჩაში მარატის ქანდაკების ძირში მიკრული იყო მინით დაფარული, შავ ჩარჩოში მოთავსებული ბრალდება მალუესი⁶⁾, დამამტკიცებელი საბუთებით, და შემდეგი მინაწერით განზე „ეს საბუთები გადმომცა სილვენ ბაილის საყვარელმა, გულწრფელმა პატრიოტმა, რომელსაც კარგი განწყობილება აქვს ჩემთან. შარატი“⁷⁾. პალე — როიალის⁷⁾ მოედანზე შადრევნის ქვაზე წარწერა *guantos effundit in usus* დაფარული იყო ორი დიდი სურათით. ერთზე დახატული იყო კაიე დე-ეგრევილი, — საერო კრებას განუმარტავდა არღელი შეთქმულების ანბანის საიდუმლო ნიშნებს, — და მეორეზე — მეფე ლუი XVI, ვარანიდან დაბრუნებული თავის სამეფო ეტ-

1) კონვენტი — წარმომადგენლობითი კრება, რომელიც მეფის ჩამოგდების შემდეგ (1792 წ. 10 აგვისტო) ჩამოყალიბდა. კონვენტმა რესპუბლიკა გამოაცხადა და მისცა მეფე პასუხისგებაში. მან ჩააქრო ვანდეს კონტრარევოლუციური აჯანყება. 1795 წლის 26 ოქტომბერს კონვენტმა დაუთმო ადგილი დირექტორიას.

2) ბენიამენ ფრანკლინი — (1706 — 1790) ამერიკელი პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე; იგი იბრძოდა ამერიკის დამოუკიდებლობისათვის.

3) ჟან-ჟაკ რუსო (1712 — 1778) გამოჩენილი ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი.

4) ბრუტი (86 — 42 ჩვენს წელთაღრიცხვამდის) — რომის გამოჩენილი რესპუბლიკელი იყო.

5) ჟან პოლ მარატი (1743 — 1793) — წერილი ბურჟუაზიის პოპულარული ბელადი. რევლუციური გაზეთისა „ხალხის მეგობარი“. იგი ქურდულად მოკლა კონტრარევოლუციონერმა ქალმა, შარლოტა კორდემ 1793 წელს.

6) პიერ მალუე (1740 — 1814) — ფრანგი რევოლუციონერი.

7) პალე-როიალი არის შესანიშნავი სასახლე პარიზში, რომელიც ააშენა რიშელიეს დაკვეთით ლემერსიემ 1629 წელს.

ლით, და ამ ეტლის ქვეშ, თოკით მიკრული ფიცრის თავში და ბოლოში — თითო გრენადერი¹⁾ ხიშტიანი თოფებით.

ძალიან ცოტა იყო დიდი მალაზიები. საწერილმანოსა და სათამაშოს ქალები დაატარებდნენ ქუჩებში ურიკით; დამე ქონის სანთელით ანათებდნენ და ზედ დასდიოდა სავაჭროს ქონის ნაღვენი. ფარდულებში ყოფილი მოლოზნები ვაჭრობდნენ, თეთრი პარიკით მოსილნი. აი, ის ქალი ქუჩაში რომ იჯდა და დახეული წინდების გამონემსვით ირჩენდა თავს, გუშინ დიდებული ქალბატონი ბრძანდებოდა. ბუფლერის მეუღლე ერთ ბალახანაში ცხოვრობდა და იქიდან გადაპყურებდა თავის სასახლეს.

ყვირილით დარბოდნენ ქუჩებში გაზეთის გამყიდველები და „ახალ ქალადს“ სთავაზობდნენ ხალხს. ყიყვიანს ეძახდნენ, ვინც მაღალ საყელოში იმაღავდა ნიკაპს. ქალაქი სავსე იყო მოყიადე მომღერლებით. ხალხს ეჯავებოდა და სტვენით აჯილდოვებდა მეფის მომხრე მოშიარეს, პიტუს, თუმცა ყოჩალი კაცი იყო, ოცდა ორჯერ დაჭერილი; ერთხელ რევოლუციურ სასამართლოს წარუდგინეს, — სიტყვა „მოქალაქე“ რომ წარმოთქვა, უკან წელქვეით იკრა ხელიო; — ხედავდა, რომ თავს გააგდებინებდნენ და შეპყვირა: — თავმა რა პქნას? სულ ამის ბრალიაო! — გაეცინათ მსაჯულებს და გადარჩა განსაცდელს. ეს პიტუ იყო, რომ თავისი შაირებით მასხარად იგდებდა მაშინდელ მოდას, ლათინური და ბერძნული სახელებით გატაცებდა; ძალიან გავრცელებული იყო იმისი ლექსი ერთი ხარაზის შესახებ, რომელიც Cuius ერქვა, და იმის ცოლს | Cuiusdam.

ქუჩაში მღეროდნენ და ცეკვავდნენ „კარმანიოლს“²⁾. „კავალერის და დამის“ მაგივრად „მოქალაქეს“ იძახდნენ. აკლებულ მონასტრებში თამაშობდნენ: საკურთხეველზე სანათი იდგა, ჭერში, ორ გაჯვარედინებულ ლატანზე, შანდლები, და ფეხქვეშ — მიცვალებულთა საფლავი. ლურჯ ტანისამოსს მტარვალურს ეძახდნენ. ქინთისთავს ხმარობდნენ საყელოს შესაკრავად „თავისუფლების ქუდიანს“, სამფერს, — თეთრ, ლურჯ და წითელ ქვიანს. რიშლეს ქუჩას ერქვა ქუჩა კანონიერებისა; სენტანტუანის უბანს — დიდების უბანი; ბასტილიის მოედანზე ქანდაკება იყო „ბუნებისა“. ერთმანეთს უჩვენებდნენ ხოლმე ზოგზოგ ცნობილ გამველეს, — შატლეს, დი-

1) გრენადირებს ეძახდნენ რჩეულ ჯარისკაცებს, ყუმბარის მსროლელებს.

2) „კარმანიოლს“ რევოლუციური სიმღერაა, რომლის შესრულების დროს ცეკვავდნენ.

დიეს, ნიკოლას და გარნიე დელონეის, რომლებიც ღამეს ათევდნენ ღურგალ ღუპლის კარებთან; აგრეთვე ვულანს, რომელიც ყოველდღე, უკლებლივ, გილოტინამდე მიჰყვებოდა მოსაკლავად განწირულთ, ტკბებოდა გილოტინის მოქმედებით და იძახდა: „წითელ წირვაზე ვიყავი; ან კიდევ მონფლაბერს, რევოლუციონერ მსაჯულს, რომელმაც „ათი აგვისტო“ დაირქვა სახელად. სამხედრო სკოლის მოწაფეებს კონვენტის დეკრეტით „მარსის სკოლის“ მოწაფეებს ეძახდნენ და ხალხი — „რობესპიერის პაეებს“. ფრენონის პროკლამაციებს კითხულობდნენ, რომელიც „საეკვივებს“ „ვაჭროვნობას“ აბრალებდა. „სალუქები“ იდგნენ ქალაქის თვითმართველობის კარებში და მასხარად იგდებდნენ მოქალაქურად შეუღლებულთ: შეგროვდებოდნენ მეფეადელოფლის გზაზე და გაჰყვიროდნენ, — „მუნიციპალურად დაქორწინებულნი“. ინვალიდების სასახლეში წმიდანებისა და მეფეების ქანდაკებას თავზე ფრიგიული ქუდეები ეხურათ. ქალღმერთთა მამაშობდნენ ქუჩაში; ქალღმერთთა მამაშიც რევოლუციას განიცდიდა: ხელმწიფის მაგივრად გენი შემოიღეს, ქალის მაგივრად, რომელსაც ფრანგები დამ-ს ქალბატონს ეძახოდნენ, შემოიღეს თავისუფლება; სალდათის მაგივრად — თანასწორობა და კიკოს წილ — კანონი. საზოგადო ბალებს ხენა დაუწყეს. ტულიერიში გუთანაი ჭრიალებდა. და ყველა ამას ემატებოდა, მეტადრე დამარცხებულ წრეებში, რალაც მედიდური შეძახება სიცოცხლისა. ერთი კაცი სწერდა ფუკიე-ტენვილს: „კეთილინებეთ და გამათავისუფლეთ სიცოცხლისაგან. აი ჩემი მისამართი...“ შანსენე დაიჭირეს, რადგან ხმამაღლივ დაიყვირა პალე-როიალის სასახლეში: „ოსმალეთში როდისღა მოხდება რევოლუცია? ვერ წარმოიდგენთ, როგორ მენატრება ოსმალეთის რესპუბლიკა!“ მრავალი გაზეთი იბეჭდებოდა. ვარსამის ქარგლები სახალხოდ უხუჭუჭებდნენ ქალებს პარიკს და თვით ვარსამი ამ დროს ხმამაღლივ კითხულობდა გაზეთ „მონიტორს“¹⁾. სხვები კიდევ ხმამაღლივ უკითხავდნენ ხალხს და განუმარტავდნენ მძლავრად ხელების ქნევით, ღუბუბა-კრანსეს „გეყურებათ“-ს, ან პერ-ბელროზის „საყვირს“. ხშირი იყო, დალაქი იმავე დროს ხორცილთაც ვაჭრობდა და კობტად მორთულ, ოქროსთმიან მღვდელს გვერდს უმშვენიებდა ღორის ღორი და ძეხვი. ქუჩებში სირაჯები „გახიზნულების ღვინოს“ ჰყიდდნენ; ერთი ვაჭარი განცხადებით აცნობებდა ხალხს, ორმოცდათორმეტნაირი ღვინო მაქვსო. სხვები ქნარის მსგავს საათებს აცხადებდნენ და მეფურ მერხებს.

1) „მონიტორი“ იყო ურნალი, რომელიც გამოიცა 1789 წელს.

ერთ ვარსამს წარწერა ჰქონდა კარებზე: „სამღვდელეობას ვპარსავ, თავადაზნაურობას ვვარცხნი, მესამე წოდებას ვკრეჭ“. მარტენთან დაიარებოდნენ, მკითხავთან, და ქალაქს აშლეიენებდნენ ანჟუს, ყოფილ დოფინის ქუჩაზე, № 173.

ძნელი საშოვარი იყო პური, ნახშირი, საპონი. სოფლებიდან მრავლად მოერეკებოდნენ მწველელ ძროხებს. ხბოს ხორცი თხუთმეტ ფრანკად ფასობდა გირვანქა. განცხადება იყო კომუნისა, რომლითაც ყოველ მოქალაქეს უფლება ჰქონდა ათ დღეში ერთხელ მიეღო ერთი გირვანქა ხორცი. მაღაზიებთან ხალხი იღვა „კუდში“, რომ ჯერი რგებოდა და შეეძინა რამე. ერთი ამგვარი კული დღესაც არ დავიწყებია ხალხს, იმდენად დიდი იყო და საზარელი: ბაყალის კართან იწყებოდა პტი-კაროს ქუჩაში და ტორგეილის ქუჩის ნახევრამდე გაგრძელებულიყო. კუდში თოკით იღგნენ: გრძელი თოკი იყო გაჭიმული ქუჩაში და ზელით ეჭირათ ერთმანეთის უკან. მეტად მხნედ და მოთმინებით იქცევოდნენ. ამ გაჭირებაში ქალები, მთელ ღამეს ათევდნენ ქუჩაში, რომ მეორე დღეს ჯერი რგებოდათ და ხაბაზთან შესულიყვნენ.

უნარიანად ახერხებდა საქმეს რევოლუცია; ორი საშიში საშუალებით ებრძოდა ამ გაჭირებას, ასიგნაციებით, და მაქსიმუმით; ასიგნაციას ბერკეტად ხმარობდა, მაქსიმუმს — საყრდნობ ფუძედ. ამ ემპირიზმმა გადაარჩინა საფრანგეთი. მტერი, როგორც გერმანია, ისე ინგლისი აჟიოტობდა ამ ასიგნაციებით. ყმაწვილი ქალები ტრიალებდნენ ქუჩაში, გასაყიდად დაჰქონდათ ლავანდის წყალი, წვივსაკრავები, თმის ნაწნავები და თან ზარაფობას ეწეოდნენ. პერონის და ვივიენის ქუჩა სავსე იყო ამ ზარაფებით; ქუჩაში იღგნენ ტალახიანი წაღებით, გაქონილი თმით, მელის კუდაანი ტყავის ქუდით; ვალუას ქუჩაში კი უფრო კობტად ჩაცმულები გაწმენდილ წაღებით, პირში კბილის საჩიჩქნით, ღამაში ქუდით; ამ ვაჟბატონებს შენობით ელაპარაკებოდნენ წვივსაკრავის გამყიდველი გოგოები. ისე სდევნიდა ხალხი ამ ზარაფებს, როგორც ქურდებს; მეფის მომხრენი კი იმათ „მოღვაწე მოქალაქეებად“ იხსენიებდნენ.

ასეთი გაჭირება და იმავე დროს თითქმის მოსპობა ქურდობი-
ლა! საშინელი გაჭირება და სტოიკური პატიოსნება! ფეხშიშველები და „შიმშილით ცოცხალმკვდარნი“ თავდალუნული, თვალდაშვებული გაუფლიდნენ ხოლმე ოქრომჭედლების მაღაზიებს. ბომარშეს სახელი გაუჩხრიკეს სენტ-ანტუანის უბანში; ამ დროს ერთმა დედაკაცმა ყვავილი მოჰვლიჯა იმის ბაღში და ხალხისაგან კარგი სილები მიიღო ამ ქურდობისთვის. შეშა ოთხასი ფრანკი ღირდა ოქროთი, და-

ახლოვებით საყენი; ქუჩაში გამოჰქონდათ დასახერხად სარეცელის ფიცრები და იმას წვავენენ. ზამთარში წყალსადენი გაყინული იყო, ფრანკად ფასობდა ორი გოვზა წყალი და დიდი და პატარა თვითონ გამხდარიყო მერწყულად. ლუიდორი სამიათას ცხრაას ორმოცდაათ ფრანკად ფასობდა. ეტლით გავლა ექვსასი ფრანკი იყო; რამდენიმე საათის სიარულის შემდეგ ამისთანა დიალოგი ჩნდებოდა:— „რამდენი გერგება, მეეტლევ? — ექვსიათასი ფრანკი! მწვანლის გამყიდავი დელაკაცი დღეში ოციათას ფრანკს იღებდა. ერთი მთხოვარი გაიძახოდა: „გამიკითხეთ, მოწყალება მოიღეთ! ორას ოცდაათი ფრანკი მაკლია ფეხსაცმელის საყიდლად“.

ხიდის თავში უზარმაზარი ალაღმები იდგა დავიდის ¹⁾ მიერ ნაქანდაკევი და დახატული, რომლებსაც მერსიე ²⁾ დაცინვით ხის ვეებერთელა მასხარებს ეძახდა; ეს ალაღმები გამოსახვა იყო დამარცხებული ფედერალიზმისა და კოჰლიციისა. არავითარი სისუსტე ხალხში. დაღონებული სიხარული, რომ ძირს დავამხეთ სამეფო ტახტებო. მრავლად მოდიოდნენ მოხალისეები, რესპუბლიკისთვის თავგანწირულნი. ქუჩა არ იყო, რომ თავისი ბატალიონი არ შეედგინა. უბნების დროშას ყველას თავისი დევიზი ჰქონდა ზედ წარწერილი და ისე დაფრიალებდა გამარჯვებული. ერთზე იყო გამოქარგული სიტყვები — „ჩვენ ველარავინ გაგვბტყვენის“, მეორეზე — „დიდებულება მარტო გულშია“. |კედლები აჭრელებული იყო აფიშებით, დიდებით, პატარებით, თეთრებით, ყვითლებით, მწვანეებით, წითლებით; ზოგი დაბეჭდილი იყო, ზოგი ხელნაწერია, და ყველგან ერთი და იგივე: „რესპუბლიკას გაუმარჯოს“. პატარა ბავშვები „წავა, წავას“ მღეროდნენ.

პატარა ბავშვები, ესე იგი დიდებული მომავალი.

შემდეგში ტრაგიზმი პარიზისა ცინიზმად შეიცვალა. ორი რევოლუციური სახე ჰქონდა პარიზის ქუჩებს, სრულიად განსხვავებული თერმიდორის ³⁾ ცხრამდე და მას შემდეგ. სენ-ჟუსტის პარიზი ტალიენის პარიზად გარდაიქმნა. ეს გახლავთ მუდმივი ანტითეზები ღვთისა: სინაის შემდეგ მაშინვე ქეიფი გაჩნდა.

მოხდება ხოლმე, რალაც სიგიჟე მოერევა საზოგადოებას. სწორედ ეს სიგიჟე დაემართა საფრანგეთს რევოლუციამდე ოთხმოც-

¹⁾ დავიდი იყო გამოჩენილი ფრანგი მხატვარი (1748 — 1825 წ.).

²⁾ მერსიე (1740 — 1814) იყო ფრანგი მწერალი.

³⁾ თერმიდორი იყო კონტრრევოლუციური გადატრიალების დღე: 9 თერმიდორი ანუ 27 ივლისი, 1794 წელი, რესპუბლიკის დაცემის დღე.

წლის წინათაც. ლუი XIV-ის, როგორც რომესპიერის, დროს ძლივს-
ლა სუნთქავს კაცი; და აქედან ლუი XV მცირეწლოვანობის დრო,
რომლითაც იწყება მეთვრამეტე საუკუნე და დირექტორია¹⁾, რომ-
ლითაც თავდება ეს საუკუნე. ორი სატურნული ლხენა ორი ტერო-
რიზმის შემდეგ. საფრანგეთმა თავი დააღწია როგორც პურიტა-
ნულ მონასტერს, ისე მონარქიულ ციხეს, და გულიანად დაეწაფა
თავისუფლებას.

ცხრა თერმიდორის შემდეგ გამხიარულდა პარიზი; რაღაც გი-
ჟურმა მხიარულებამ გაიტაცა, რაღაც ავადი სიხარული შეეყარა.
ვაგიჟებით ნატრობდა სიკვდილს, ახლა ვაგიჟებით ტკბებოდა სიცო-
ცხლით. და დაიჩრდილა დიდება.. ტრიმალსიონიც კი გაჩნდა, სახე-
ლად გრიმო დელარენიერი; დაიბეჭდა „ტკბილმუცელას აღმა-
ნახი“. პალე როიალში მუსიკით ჟამდნენ პურს, ქალების ორკეს-
ტრიით. გამეფებული იყო ლხინი და დროსგატარება. ვახშამს მეოსთან
მიირთმევდნენ აღმოსავლურად; — სასადილოში საპკურით სავსე
კოლოფები ელაგა. მხატვარმა ბოძმა თავისი შვილები დახატა, მშვე-
ნიერი, უმანკო, თექვსმეტი წლის ქალები როგორც გილოტინით და-
სასჯელნი, ესე იგი წითელი პერანგით, გულღიები. გუშინდელ გა-
ცხარებულ ცეკვას გაუქმებულ ეკლესიებში; დღეს საცეკვაო და-
მეგები მოჰყვა რუჯიერთან, ლუკესთან, ვენცელთან, მოდუსთან, მონ-
ტანსიესთან. დარბაისელ ქალებს, სამშობლოსთვის რომ ფილთას ამ-
ზადებდნენ, მოჰყვენ სულთან-ქალები, ველურები, ალები. ფენში-
შველი სალდათების მაგივრად, რომელთაც სისხლი, ტალახი და
მტვერი ედვათ, ახლა ფენშიშველი ქალები გამრავლდნენ. ძვირფას
თვალ-მარგალიტით დამშვენებულნი. ურცხვობასთან ერთად ავკა-
ცობაც გაჩნდა. ზევით საქონლის მომარაგეები იტენდნენ ჯიბეს, ქვე-
ვით ქურდ-ბაცაკები. პარიზს კალიასავით მოედვა ჯიბგირი და ქურ-
დი. და ყველა იმას ცდილობდა, — ჯიბიდან ქისა არ ამომაცალონო.
დროს გასატარებლად ჰქონდათ სასამართლოს მოედანზე გასვლა.
რომ ტაბურეტზე მჯდომი ქურდი ქალები ენახათ, შესარცხვენად
გამოყვანილნი; იძულებული გახდნენ ამ ქალებისთვის ისე შეეკრათ
კაბა, რომ აწევა ვერავის შესძლებოდა. თეატრიდან გამომავალ სა-
ზოგადოებას ბიკები ეტლებისკენ მიიწვევდნენ და თან გადაჰკრავ-
დნენ, — მარტო ორნი ჩაეტევით, ოლონდ ქალი და კაციო.

აღარ ყვიროდნენ გაზეთის გამყიდვეები „ბებერ კორდელიეს“, ან

1) დირექტორია იყო კონტრრევოლუციური მთავრობა, რომელმაც შესცვა-
ლა კონვენტი 1795 წელს.

„ხალხის მოყვარეს“; ამ განეთების მაგივრად „მასხარის წერილებსა“ ჰქონდა გასაჯალი და „ბიჭუტუკების სათხოვარს“. მარკიზი დე-სადა ქალაქის მოთამაშეთა საზოგადოების თავმჯდომარედ ბრძანდებოდა ვანდომის მოედანზე. გახარებული იყო რეაქცია და მძვინვარი. 92 წლის „თავისუფლების დრაგონების“ წილ „ხანჯლის რაინდები“ გამოჩნდნენ. იმავე დროს სცენაზე გამოჩნდა ეგრედწოდებული „დოკლაპია“. გაჩნდნენ გულისწარმტაცი, ტურფად მოკაზმული ქალები და აგრეთვე „მიუწვდომელი“. პატიოსანი სიტყვის მაგივრად „მსხვერპლოვან“ სიტყვით ფიცავდნენ. მირაბოდან უკან დაიწიეს მასხარა ბოზეშამდე.

ასე მიდის და მოდის პარიზი. პარიზი დიდი საათია ცივილიზაციისა, რიგრიგად სცემს მისი ქანქანა ხან ერთ პოლუსს, ხან მეორეს, ხან თერმოპილს¹⁾ და ხან გომორს²⁾. ოთხმოცდაცამეტე წლის შემდეგ უცნაური ბინდი მოერია რევოლუციას, თითქო დააეწიკდა საუკუნეს იმის გათავება, რაც თვითონ დაიწყო. ლხინი და დროს გატარება გამეფდა, უკუ აქცია საშინელი აპოკალიფსი³⁾, ფარდა გადააფარა გადამეტებულ ლანდს და ხარხარი დაიწყო საშინელების შემდეგ. ტრაგედია შთაინთქა პაროდიაში⁴⁾ და ჰორიზონტის ფუტუნზე კარნავალის სურათმა დააბნელა და წაშალა სურათი მედუნისა.

მაგრამ ჩვენ ჯერ ოთხმოცდაცამეტს ვართ. პარიზის ქუჩებს ჯერ ისევე ჰქონდათ დიდებული და სასტიკი იერი რევოლუციის დასაწყისისა. ქუჩებს თავისი ორატორები ჰყავდათ, — ვარღე, რომელიც გორგოლაკებზე ადგმულ ფარდულს მიაგორებდა ქუჩაში, რომ ზედ ასულიყო და ისე მიემართა ხალხისთვის; თავისი გმირება ჰყავდათ, რომელთაგან ერთს „დარკინული ჯოხის კაპიტანი“ ერქვა; თავისი ერთგულები, — ეოფრუა, დამწერი პამფლეტისა „რუეიფი“. ზოგი ამ სახელოვან კაცთაგანი მანებელი იყო. ზოგი სასარგებლო. ერთი ამ სასარგებლო, პატიოსან მოღვაწეთაგანი იყო სიმურდენი.

1) თერმოპილი იყო თესალიის (ძვ. საბერძნეთი) ცნობილი ადგილი „ცხელ კარებად“ წოდებული, სადაც მოხდა შეხვედრა სპარტელებსა და სპარსეთის მეფის ქსერქსეს ჯარებს შორის.

2) გომორი პალესტინის ძველი ქალაქის სახელია, რომელიც ებრაული ბიბლიის მიხედვით დაინგრა ზეციური ცეცხლით.

3) აპოკალიფსი ანუ „გამოცხადება“ ახალი აღთქმის წიგნს ნიშნავს; მის დაწერას მიაწერენ იოანე ღვთისმეტყველს.

4) პაროდია არის მხატვრულ ფორმებში მოცემული სატირა ან დაცინვა.

II

სიმურდენი.



სიმურდენი წმინდა სინიდისის კაცი იყო, მაგრამ დაღვრემილი, ჟალრესად თავისუფალი. წინათ მღვდლად ყოფილიყო, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში. ადამიანსაც შეუძლია, როგორც ზეცას, შავად იყოს მცხინვარი: საქიროა, რომ მოხდეს რამე და გული დაუბნელოს; მღვდლობამ გული დაუბნელა სიმურდენს. ვინც მღვდლად იყო, მღვდლად რჩება.

გულს გვიბნელებს ცხოვრება, მაგრამ შეიძლება ვერ დაგვიბნელოს გულის ვარსკვლავები. სიმურდენი აღსავსე იყო სათნოებითა და სიმართლით, მაგრამ ბნელში ბრწყინავენენ ეს ღირსებანი.

მოკლე იყო იმისი ისტორია. სოფელში მღვდლად ყოფილიყო და იქვე მასწავლებლად ერთ დიდებულ ოჯახში; მერე პატარა მემკვიდრეობა მიეღო და მოეპოვა თავისუფლება.

მეტად კერპი იყო თავის აზროვნებაში. ისევე ხმარობდა თავის ფიქრს, როგორც ღურგალი თავის მარწუხს; უფლებას არ აძლევდა თავის თავს მიენებებინა რაიმე ფიქრი, მანამ ძირისძირამდე არ ჩაპყვებოდა მის შედეგს. ფიქრობდა მძვინვარებით. ევროპული ენები ჯველა იცოდა და ცოტად სხვებიც. დაუღალავად სწავლობდა და ეს შრომა უადვილებდა უბიწოების ატანას; მაგრამ არაფერია იმისთანა საშიში, როგორც ბუნების მოთხოვნილებათა უარყოფა.

მანამ მღვდლად იყო, სიამაყე იყო, შემთხვევა, თუ სიდიადე სულისა, წმინდად იცავდა თავის აღოქმას; მაგრამ თავის მრწამსის დაცვა კი ვერ შესძლო; ცოდნამ აღგავა იმისი მრწამსი და გაანიავა მისი დებულებანი. და რომ დაუკვირდა ამ გარემოებას, ხეიბარივით დამახინჯებულად იგრძნო თავი და, რადგან მღვდლის გარდაქმნა ვერ შეეძლო, მკაცრად შეუდგა თავის ადამიანობის გარდაქმნას: შეილი არა გყავდესო, იმან სამშობლო იშვილა; ცოლი არა გყავდესო, იმან კაცობრიობა შეირთო. ეს უშველებელი სავსება ნამდვილად ცარიელება იყო.

მისმა მშობლებმა, გლენკაცებმა, მღვდლად აღზრდა მოინდომეს მისი, რომ ხალხიდან გასულიყო. ის ისევ ხალხს დაუბრუნდა.

აღტაცებით დაუბრუნდა ხალხს. მწვავე სიყვარულით შესცქეროდა ხალხის ტანჯვას. მღვდელი ფილოსოფოსად გარდაქმნილიყო და ფილოსოფოსი — ატლეთად. ჯერ ისევ ცოცხალი იყო ლუი XVI, რომ სიმურდენი ბუნდოვანად, მაგრამ მაინც გრძნობდა თავს რესპუბლი-

ველად. რა რესპუბლიკას ოცნებობდა? პლატონისას¹⁾, იქნება, და შეიძლება აგრეთვე დრაკონის²⁾ რესპუბლიკას.

სიყვარული აკრძალული ჰქონდა და სიძულელი გამოიყენა. სძულდა სიცრუე, მეფე-ხელმწიფე და ხელმწიფური წესწყობილება, სარწმუნოება, თავისი ანაფორა; სძულდა აწმყო და ყვირილით მოუწოდებდა მომავალს. წინასწარ ხედავდა მომავალს, გრძნობდა მის საშინელებასა და ბრწყინვალებას და მოუთმენლად მოელოდა თავისუფლებას. იცოდა, რომ ხალხის დამამონავებელი ჭირის განკურნებისთვის საჭირო იყო სისხლისმძიებელი და სისხლისძიება თავისუფლებით გათავდებოდა. შორიდანვე თაყვანს სცემდა რევოლუციას

1789 წელს დაიწყო რევოლუცია და მზადაც დაუხვდა სიმურდენი. სულითხორცამდე ჩაერია ამ ცხოვრების ძირიანად გადახალისების მოძრაობას; ჩაერია სრული ლოგიკით, ესე იგი თავის აზროვნების თავგანწირვითა და უღმობელობით. ლოგიკამ ღმობიერება არ იცის. მოქმედი პირი იყო რევოლუციის დიდებული წლებისა და გულს უტკებობდა მისი გამარჯვება; ოთხმოცდაცხრას — ბასტილიის ციხის აღება და ხალხის ტანჯვის მოსპობა; ოთხმოცდაათს, ცხრაშეცხვის — ფეოდალიზმის გაუქმება; ოთხმოცდათერთმეტს — ვარანი, ესე იგი გაუქმება მეფობისა; ოთხმოცდათორმეტს — დაარსება რესპუბლიკისა. ნახა და ხედავდა რევოლუციის ზრდას და გაშმაგებას, მაგრამ ის კაცი არ იყო, რომელსაც შეაშინებდა ეს ბუმბერაზი. პირიქით, ამ ზრდამ ბრძმედში გაატარა სიმურდენი და გააფოლადა; ხედავდა სახსოვთა ზრდას და თითონაც იზრდებოდა იმათთან ერთად. თავდაპირველად შიში მოერიბა, — კისერი არ მოიტეხოს რევოლუციამო, და თვალყურს ადევნებდა; მაგრამ გრძნობდა, იცოდა, რომ საფუძველიც ჰქონდა რევოლუციას, უფლებაც, და თავგამეტებით მიიღწეოდა გამარჯვებისკენ. და რამდენადაც უფრო მეტ საშისროებას აძლევდა რევოლუცია, იმდენად უფრო უმცირდებოდა შიში და ეჭვი: უნდოდა, რომ ეს მინერვა³⁾, მომავლის ვარსკვლავებით დაგვირგვინებული, პალადაც⁴⁾ ყოფილიყო და ფარად

1) პლატონი იყო გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსი.

2) დრაკონი იყო არქონტი (სახელმწიფოს მართველი). მისი კანონი ისეთი სისტიკი იყო, რომ ხალხი ამბობდა: „იგი სისხლითა დაწერილი“.

3) მინერვა ბერძნული მითოლოგიის მიხედვით იყო იუპიტერის ქალიშვილი, ღვთაება სიბრძნისა და ხელოვნებათა.

4) პალადა მინერვას ერთერთი სახელია, იგი წარმოდგენილია ომის ღვთაებად.

გველების ნილაბი ჰქონოდა. უნდოდა რამ მინერვას თავისი ღვთაური თვალთა ქვეყნის მტრებისთვის ჯოჯოხეთის ალი გადაესხა და ბოროტებისთვის ბოროტებავე მიეზლო.

ამგვარად მიაღწია ოთხმოცდაცამეტს.

ოთხმოცდაცამეტი ომია ევროპისა საფრანგეთის წინააღმდეგ და საფრანგეთისა პარიზის წინააღმდეგ. მაშ რა არის რევოლუცია? რევოლუცია არის დამარცხება საფრანგეთის მიერ ევროპისა და პარიზის მიერ საფრანგეთისა. აი, რით არის ბრწყინვალე ეს საშინელი ოთხმოცდაცამეტი, უაღრესად უფრო ბრწყინვალე და დიდებული, ვიდრე მეთვრამეტე საუკუნის მთლად დანარჩენი წლები.

აღარა იქნება რა ამაზე მეტად ტრაგიკული; ევროპა — იერიშით საფრანგეთზე, და საფრანგეთი — იერიშით პარიზზე. დრამა — ეპოსის შინაარსით.

სასწაულებრივია ეს წელიწადი. ქარიშხალი გრგვინავს შიგ მთელი თავისი მრისხანებით და მთელი თავისი სათნოებით. სიმურდენი მშვენივრად იყო ამ ჭექა-ქუხილში და ძველის ნგრევაში. *ეს მძვინვარე, ველური და თან ბრწყინვალე სტიქიონი სწორედ შესაფერი იყო იმისი გონებრივი მიმართულებისა. ამ კაცს, როგორადაც ზღვის ორბს, ღრმა შინაგანი სიმშვიდე ახასიათებდა და გარეგან უსაზღვრო გამბედაობა, ზოგი ფრთოსანი ქმნილება, საშინელი და მშვიდი, გაჩენილია მარტო ქარიშხლისთვის. არის აგრეთვე გრიგალით სულდგმული ადამიანიც.

სიბრალებლიც იცოდა, ოღონდ მარტო უბედურებისა და ტანჯულებისა. რაც უფრო საზიზღარი იყო სენი, მით უფრო თავგანწირვით იცოდა მოყვასის დახმარება. შველა შესძლებოდა, თორემ იმისთვის საზიზღარი არა იყო რა. ეს იყო მისი გულკეთილობის თავისებურობა. რაც უფრო მოსარიდებელი იყო სხვისი ტანჯვა, მით უფრო ღვთაებრივი იყო მისი დახმარება. დაწყლულებულს ეძებდა, რომ ეკოცნა. კეთილია, მოხდება ხოლმე, სიკეთით სავსეა ადამიანის საქციელი, მაგრამ სანახავად კი ავი. და ამიტომ საქმნელად მძიმე და ძნელი. და სწორედ ამგვარი დახმარების გაწევას ცდილობდა სიმურდენი. ერთხელ საავადმყოფოში მომაკვდავი კაცი ნახა; ყელი დასივებული ჰქონდა, ჩირქი მოჰგროვებოდა, მყრალი, საზიზღარი, იქნება გადამდებიც; ჩირქის ამოწურვა იყო საჭირო დაუყოვნებლივ, თორემ კვდებოდა კაცი. სიმურდენი იქ იყო. დაწაფა სიმსივნეს, გამოსწუწნა, გადმოაფურთხა რამდენჯერმე ჩირქი, როცა პირი ევსებოდა, და გადაარჩინა უბედური. იქ დროს ჯერ ისევ ანაფორით დადიოდა, და ეს რომ ნახა ვილაც კაცმა, უთხრა, — მეფისთვის რომ ოთხმოცდაცამეტი

გექნათ, ეფისკოპოზობას მოგანიჭებდათო. — მეფისთვის ამას არ ვიზამდიო, — უპასუხა სიმურდენმა. ამ ამბავმა და პასუხმა, რომელიც მაშინვე გავრცელდა ხალხში, დიდი სახელი მოუხვეჭა სიმურდენს პარიზის ბნელ უბნებში.

იმდენად სახელგანთქმული იყო მდაბიო ხალხში, რომ თავის ნებისად გამოიყენებდა ყველა იმით, ვინც იტანჯება, გოდებს და იმუქრება. ერთხანს ჩარჩები ბატონობდნენ პარიზში, მამასისხლად ჰყიდდნენ ყველაფერს. ხალხი სდევნიდა ჩარჩებს და ამ დევნაში ხშირი იყო შტეცდომა და უსამართლობა. სიმურდენმა ერთი სიტყვით შეაყენა ხალხი, რომელიც გაძარცვას უპირებდა საბნით დატვირთულ ნავს სენ-ნიკოლას ნავსადგურში, და იმანვე გაფანტა გაშმაგებული ხალხი, სენ-ლაზარის კართან რომ მიესია სანოვავით მომავალ ურმებს.

• სიმურდენი იყო, რომ ათ აგვისტოს შემდეგ, როდესაც მეფე და-აპატიმრეს, მეფეების ძეგლების სანგრევად გაიყვანა ხალხი. ვანდომის¹⁾ მოედანზე ერთი დედაკაცი დაიტანა და გასრისა მეფე ლუი XIV ძეგლმა, რეინ ვიოლე, რომელმაც ძეგლს კისერზე გამოსდვა თოკი და ძირს ეწევოდა წასაქცევად. ეს ძეგლი ლუი XIV-ისა სწორედ ასი წელიწადი იდგა მოედანზე. — 1692 წ. 12 აგვისტოს ამართეს და 1793 წ. 12 აგვისტოს დაამხეს. კონკორდის მოედანზე, ხალხი რომ ძეგლებს ანგრევდა, ვილაც კაცმა, გინგერლომ, — არამზადებოო — დაუყვირა, და ზედ ლუი XI-ის კვარხლბეკზე იქნა მოკლული, ძეგლი კი დამსხვრეული. შემდეგში ის ნამსხვრეევი შავ ფულად გადაადნეს. მარტო ერთი მკლავი გადარჩა, მარჯვენა მკლავი, რომელსაც ლუი XI რომაელი იმპერატორის მედიდურობით აიწვედა ხოლმე. სიმურდენმა სთხოვა ხალხს, ამოარჩევინა დეპუტაცია და ის მკლავი შიართვეს ლატულს, რომელიც ოცდაჩვიდმეტი წელიწადი დამწყვედელი იყო ბასტილიის ციხეში. რას წარმოიდგენდა ლატული, რკინის საყელურით კისერზე და ჯაჭვით წელზე, ცოცხლად მლაპობი ციხის ორმოში იმ მეფის ბრძანებით, რომლის ძეგლი ამშვენებდა პარიზს, რას წარმოიდგენდა, რომ ხალხი მიწასთან გაასწორებდა ამ ციხეს, დაამსხვრევდა ამ ძეგლს, თვითონ ლატული, გამოვიდოდა საფლავიდან და ახლა მონარქიას ჩაჰკლავდნენ ამ საფლავში? რას წარმოიდგენდა, რომ იმას, დიდი ხნის პატიმარს, მთარმევდნენ იმ ხელს ბრინჯაოსას, რომელმაც მისი ციხეში ჩასმა

¹⁾ ვანდომი მონუმენტალური შენობა იყო პარიზში, რომლის შუავულ ამართული იყო კოლონა არმიისა 44 მეტრის სიმაღლის.

დაამტკიცა და ამ მეფისა, ტალახის მეფისა, აღარა დარჩებოდა რა, გარდა ამ ბრინჯაოს მკლავისა?

სიმურდენი იმ კაცთაგანი იყო, რომელთ გულშიც ხმა ისმის წმიდა, და ამ ხმით იღვწიან. გართულს ჰგვანან, მაგრამ არა, ყურადმღები არიან.

ყველაფერი იცოდა სიმურდენმა და არა იცოდა რა. ყველაფერი იცოდა მეცნიერებისა, და არა იცოდა რა ცხოვრებისა. აქედან — იმის სიმკაცრე. თვალები ახვეული ჰქონდა, როგორც ჰომერის¹⁾ თემიდას²⁾ და ისრის ბრმა რწმენა ჰქონდა, რომელიც თავისი მიზნის მეტს ვერასა ჰხედავს და იქით მიისწრაფის. რევოლუციაში არაფერია ისეთი საშიში, როგორც სწორი ხაზი. სიმურდენი სწორი ხაზით მიიწევდა მიზნისკენ, ბედისწერისკენ.

ღრმად სწამდა, რომ სოციალურ გარდაქმნაში მყარ საფუძვლად უმაღლესი წერტილს მიღწევა უნდა იქნას დასახული, — შეცდომა იმ მოღვაწეებისა, რომლებიც გონების წილ ლოგიკით ხელმძღვანელობენ. კონვენტი არ აკმაყოფილებდა სიმურდენს; არ აკმაყოფილებდა კომუნა; ის ევეშვლებთან იყო.³⁾

ევეშვლებს ეძახდნენ, რადგან ერთ ძველ საეპისკოპოზო სასახლის დარბაზში იკრიბებოდნენ ეს ევეშვლები. კრება იყო ხალხისა და არა პარტია. იქ იკრიბებოდნენ, როგორც კომუნაში, ის ჩუმი და მნიშვნელოვანი მაყურებლები, რომლებსაც, გარას სიტყვით, იმდენი დამბაჩა ჰქონდათ თან წამოღებული, რამდენიც ჯიბე. ვინ გნებავთ. რომ იქ არ გენახათ, ევეშვლებში? ერთმანეთში ირევოდნენ კოსმოპოლიტი და პარიზელი, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან პარიზი ის ადგილია, საცა გული უცემს მთელ კაცობრიობას. ევეშვლებში ენთო ნამდვილი ცეცხლი პლებებისა. იმათთან შედარებით კონვენტი ცივი იყო და კომუნა ნელთბილი. ევეშვლები ქმნილება იყო რევოლუციისა; ვულკანური ქმნილების მსგავსი. ყველა მოიპოვებოდა ევეშვლებში — უფიცობაც, სისულელეც, პატიოსნებაც, სიგმირეც, ბრაზიც და პოლიციაც. ბრაუნ-შვეიგს იქ თავისი ჯაშუშები ჰყავდა. მრავალი იყო იქ ღირსი სპარტისა და მრავალი — ღირსი სახრჩობელისა. უმრავლესობა — გაშმაგებული და პატიოსანი. ჟირონდელმა ისინარმა, ერთი წამით კონვენტის თავმჯდომარედ მყოფმა, საზიზლა-

¹⁾ ჰომეროსი გამოჩენილი ბერძენი მწერალია (მე-11—10-ს ჩვენს ერამდე). იგი ავტორია ეპოპეის „ილიადა და ოდისეასის“

²⁾ თემიდა იყო მითური მსაჯული, მას თვალახვეულს ხელში სასწორი ჰქონდა, რომელიც სიმართლის სიმბოლოს ნიშნავს.

³⁾ ევეშვლები საეპისკოპოზოს წარმომადგენლები იყვნენ.

რი სიტყვა თქვა: — ჭკვიანად იუჯვით, პარიზელებო, ოორემ ქვა ქვაზე აღარ დარჩება თქვენი ქალაქისა და მომავალში იმ ადგილსაც ველარ იპოვიან, საცა პარიზი იყო. — ამ მუქარის შედეგი იყო ევე-შელების შექმნა. ყველამ იგრძნო, და უკვე ვთქვით, ფრანგებთან ერთად ყველა ერის შეიღმაც, რომ საჭირო იყო პარიზის დაცვა და დახმარება. სიმურდენიც ამ ჯგუფს მიემხრო.

რეაქციონერებს ებრძოდნენ ევეშელები. საზოგადოებრივ საჭიროებად ხდება რევოლუციის დროს გაშმაგება და ეს შეადგენს მის საშინელ და იღუმალ თვისებას. ამ საჭიროებას აკმაყოფილებდა ევე-შელების ჯგუფი და მით გამძლავრებულმა დაარსებისათანავე გამოიჩინა თავისი ძალი. პარიზის არეულობის დროს კომუნა ისროდა ზარბაზანს, მაგრამ განგაშის ზარს კი ევეში რეკავდა.

ურყევი უმანკოებით სწამდა სიმურდენს. რომ ხალხის თავისუფლების მოსაპოვებლად წმიდაა ყოველი საშუალება და მით უკიდურეს პარტიებსაც კი იმორჩილებდა. გაიძეერები პატიოსან კაცად იცნობდნენ და კმაყოფილი იყვნენ. ავკაცობას ნეტარებად მიაჩნია პატიოსანი თავმჯდომარე; არცხვენს, მართალია. მაგრამ იმას მაინც მოსწონს და პატივს სცემს. პატივს სცემდა სიმურდენს პალუა ხუროთმოძღვარი, რომელმაც თავისად გამოიყენა ბასტილიის ციხის დანგრევა და ჯიბე გაიფსო ნანგრევი ქვის გაყიდვით; პალუა, რომელსაც ლუი XVI-ის საპატიმროს კედლების დახატვა მიანდევს და რევოლუციონერების გულის მოსაგებად კედლებზე ბორკილები დახატა, რკინის საყელურები და ჯაჭვები; პატივს სცემდა გონშონი, საექვო ორატორი სენტ-ანტონის უბნისა. რომელსაც შემდეგში ქვითრები აღმოუჩინეს, — გაეფლანგა ხალხის ფული; პატივს სცემდა ფურნიე. ამერიკელი, რომელმაც 17 ივლისს დამბაჩა ესროლა ლაფაიეტს, და. როგორც ამბობდნენ, მოსყიდული იყო თვით ლაფაიეტის მიერ; აგრეთვე ანრიო, რომელიც ის იყო ციხიდან გამოუშვეს, წინანდელი მსახური, ჯამბაზი. ქურდი და ჯაშუში. ვიდრე გენერლობას მიანიჭებდნენ და ზარბაზანს დაუმიზნებდა კონვენტს; პატივს სცემდა ლა რეინი, წინანდელი შარტრის ეპისკოპოზის მოადგილე, რომელსაც თავისი ლოცვანის მაგივრად „ჰერ დუშენი“ — გახუთი ეკირა ხელში. ყველა ესენი დამორჩილებული ჰყავდა სიმურდენს და. მოხდებოდა ხოლმე, რომ სხვებს. უარესებს. სამარცხეინო არა ჩაედინათ რა, საკმარი იყო მოჰგონებოდათ, რომ წინ უღვათ ეს უმწიკვლო პატიოსნება. ასევე აშინებდა შნეიდერს სენ-ჟუსტი. იმავე დროს ევეშელების უმრავლესობას, რომელსაც ღარიბები და სასოწარკვეთილები, მაგრამ გულკეთილები შეადგენდნენ, სწ

და სიმურდენი და იმას მისდევდა. თანაშემწედ მეორე რესპუბლიკელი მღვდელი ჰყავდა, დანჯა, რომელიც ხალხს უყვარდა იმის ახოვანობისა გამო და მეტსახელით შეამგო — აყლაყულა მღვდელიო. სიმურდენი თან წაიყვანდა, საცა კი მოისურვებდა, ვაჟკაცობით განთქმულ ვაჟკაცს, რომელსაც შუბ-გენერალს უწოდებდნენ, და აგრეთვე მამაც ტრუშონს, დიდ წმ. ნიკოლოზად წოდებულს, რომელმაც პრინცის ლამბელის მეუღლეს მის გადასარჩენად ხელი გაუწოდა მოკლულებზე გამოსაყვანად, და კიდევ გადაარჩინდა. დალაქ შარლოს უწმაწური ნაკვესი რომ არ ყოფილიყო.

კომუნა ზვერავედა კონვენტს, ევეში ზვერავედა კომუნას. სიმურდენს ჭირივით სძაგდა ცბიერება და, ვინ იცის, რამდენი საიდუმლოდ მოწყობილი ვერაგობა ჩაუშალა პაშს, რომელსაც ბერნოვილი „შავკაცს“ ეძახდა. კარგი განწყობილება ჰქონდა ყველა ევეშელებთან. დობსანი და მიმორო იმას სთხოვდნენ რჩევას, როცა გაპირდებოდა საქმე. გუსმანს ესპანურად ებაასებოდა, პიოს იტალიურად, არტურს ინგლისურად, პერეირას ფლამანდურად, პროლის, ვილაც პრინცის ნაბიჭვარს, გერმანულად. თანხმობად გადააქცევდა ხოლმე უთანხმოებას. აქედან — საიდუმლო და მძლავრი მდგომარეობა. ჰებერტს ეშინოდა სიმურდენისა.

იმ დროს და იმ დროინდელ ტრაგიკულ ჯგუფებში სიმურდენის ხელთ იყო ძლიერება. ეს იყო უცოდველი, რომელსაც უღმობედლად მიაჩნდა თავი. ტირილი არ იცოდა, არავის ენახა მტირალი. სათნოება იყო მიუწლომელი და გაყინული. საზარლად მართალი კაცი იყო,

რევოლუცია მოსისხლე მტერია მღვდლებისა, და თუ ჩაერევოდა ვინმე მღვდელი მის მეტრძოლ ტალღაში, ან საზიზღარი რამ წადილი ექნებოდა. ან უუწმინდესი; ან გაწბილებული იქნებოდა, ან უმწიკვლოდ პატიოსანი. სიმურდენი პატიოსნებით აღსავსე კაცი იყო, მაგრამ განცალკევებული, კიცაბ კლდის წვერზე უფსკრულის პირად მარტო მდგომი. მარტო მალალ მთას აქვს ეს ავბედი უმანკოება.

იერი უბრალო კაცისა ჰქონდა. უბრალო ტანისამოსი ეცვა, შეხედულობა — ღარიბი კაცისა. ყმაწვილობისას აღკვეცილი, სიბერეში მელოტი იყო, და თუ თმა შერჩენოდა რამე. ისიც დაჰალარებული. დიდი, გაშლილი შუბლი ჰქონდა და შუბლზე, თუ დააკვირდებოდა კაცი, პატარა ნიშანი. სიტყვა მარტივი ჰქონდა, სწრაფი, ალგზნებული, დიდებული; ხმა — მოკლე, კილო — ბრძანებითი, პირი —

მწარე, დაღვრემილი, თვალი — მბრწყინავი და ღრმა, და სახისგამომეტყველება — აღშფოთებული.

ასეთი იყო სიმურდენი.

დღეს აღარავინ იცის იმისი სახელი. ისტორიას ბევრი ჰყავს ასეთი საშინელი უცნობი.

III.

„სტიქსს 1) გადაარჩენილი კუთხე“.

ადამიანი კი იყო ამგვარი ადამიანი? კაცობრიობის კეთილდღეობით გატაცებულს შეეძლო კი პირადი სიყვარული ჰქონოდა რამე? მარტო სული იყო სიმურდენი, თუ გულიც მოეპოვებოდა? ყველას რომ ეხვევოდა ეს კაცი, შეეძლო, თუ არა ვისმე ერთს მოჰხვევოდა იმავე გრძნობით? შეეძლო სიმურდენს სიყვარული?

აი, ვთქვათ: დიახ, შეეძლო.

ყმაწვილკაცობისას მასწავლებლად იყო ერთ დიდებულ, თითქმის პრინციულ ოჯახში. პატარა მოწაფე ჰყავდა, ერთადერთი შვილი და მემკვიდრე იმ სახლისა, და ის უყვარდა. ისეთი ადვილია ბავშვის შეყვარება! რას არ აპატივებენ ბავშვს? იმასაც კი დაივიწყებენ, რომ დიდებულია, რომ პრინცია, რომ მეფის შვილია. უმანკოება, უსუსურისა გვავიწყებს გვარის ავკაცობას, სისუსტე ჩვილისა გვავიწყებს დიდებულების ვერაგობას. ისეთი პატარაა ცუცუნა, რომ გვავიწყებს თავის დიდობას. მონა შეუნდობს მას ბატონობას, მოხუცებული ზანგი თაყვანს სცემს თავის ჩვილ, თეთრ ბატონის შვილს. და სიმურდენსაც გავაჟებთ უყვარდა თავისი მოწაფე. ბავშვი მით არის კარგი, რომ შეიძლება მას შეალიოთ მთელი თქვენი სიყვარული. რაც კი რამ ჰქონდა სიმურდენს შემძლე სიყვარულისა, სულ იმ ბავშვით ხარობდა. და ეს ტკბილი უმანკო არსება ერთადერთ ნუგეშად გამხდარიყო იმის მარტოობაში. უსაზღვროდ უყვარდა ბავშვი; მამაც ის იყო პატარისა, ძმაც, მეგობარიც, გამჩენიც. ბავშვი შვილი იყო იმისი; შვილი არა ხორციელი, არამედ სულიერი; მამა არ იყო, მისი ქმნილება არ იყო მოწაფე, მაგრამ მისი აღზრდილი იყო და მასასაღამე მისი ქმნილება. ადამიანად აღზარდა პატარა ბატონი. ვინ იცის? — იქნება დიდებულ ადამიანადაც, რადგან ასეთია ოცნება აღმზრდელისა. ბავშვის ოჯახის დაუკითხავად — საჭირო კი არის ნებართვა ოჯახისა, რომ გონებრივ სრული ადამიანი აღვზარდოთ,

1) სტიქსი მდინარეა ჯოჯოხეთში (ბერძნ. მით. მიხედვით).

მტკიცე ხასიათის და ზნეობისა? — ყმაწვილ ვიკონტს, თავის მოწაფეს, სიმურდენმა მთლად გადასცა თავისი გონებრივი განვითარება; იმასვე გადასცა თავისი უხეში სათნოება. ძარღვში და სისხლში ჩაუნერგა თავისი მრწამსი, თავისი ადამიანობა, თავისი იდეალი; არისტოკრატის გულს ხალხის სული ჩაუდგა.

მასწავლებელი გონებას აწოვებს ბავშვს, როგორც ძიძა თავის ძუძუს. ერთგვარობა მოიპოვება ძიძას, რომელიც თავის რძეს აძლევს ბავშვს, და მასწავლებელს შორის, რომელიც თავის აზრს აძლევს. ხანდახან მასწავლებელი უფრო მამაა, ვიდრე თვით მამა, როგორც ხშირად ძიძა უფრო დედა არის, ვიდრე მშობელი დედა.

ეს ღრმა სულიერი ნათესაობა აერთებდა სიმურდენს და იმის მოწაფეს. იმის დანახვაც კი სიხარულით უვსებდა გულს.

ესეც მიუღმატოთ: მამის მაგივრობის გაწევა ადვილი იყო, რადგან ბავშვს მამა აღარ ჰყავდა; ობოლი იყო, აღარც მამა ჰყავდა, აღარც დედა; პატრონად დიდება ჰყავდა, უსინათლო, და ბიძა, რომელიც სხვაგან ცხოვრობდა. მერე დიდებაც მოუყვდა; ბიძა, გვარის უფროსი, სამხედრო სამსახურში მეტად დიდებული კაცი იყო, სასახლის დარბაისელი, და გაურბოდა ძველებურ, მამაპაპეულ გალავანს და კოშკებს; ვერსალში ცხოვრობდა და მარტოდ სტოვებდა ობოლს განმარტოებულ ციხე-სიმაგრეში. მასწავლებელი სრულიად თავისუფალი იყო მოწაფის აღზრდაში.

ამასთან ისიც უნდა ვთქვათ, რომ სიმურდენმა ნახა დაბადება ბავშვისა, რომელიც მერე მის მოწაფედ გახდა. ობოლი ბავშვი, ჯერ უსუსური, ძალიან ავად გახდა ერთხან და დღესა და ღამეს ასწორებდა სიმურდენი, რომ სიკვდილისაგან გადაეჩინა; ექიმი სწამლობს, მომვლელი იხსნის განსაცდელისგან. და სიმურდენმაც სიკვდილს ხელიდან გამოჰგლიჯა ბავშვი. მოწაფეს მისგან ჰქონდა მიღებული არა მარტო აღზრდა, განვითარება და სწავლა, არამედ განკურნება და ჯანმრთელობა; მოწაფეს მისგან ჰქონდა მიღებული არა მარტო აზროვნება, არამედ სიტოცხლეც. აკი ჩვენზე მეტად გვიყვარს და ვაღმერთებთ, ვისაც ჩვენგან აქვს ყველაფერი; და სიმურდენიც აღმერთებდა იმ ბავშვს.

ცხოვრების მიმდინარეობამ გამოიწვია მათი განშორება. მოწაფე წამოიზარდა, უკვე ყმაწვილი კაცი იყო, სწავლა და ხელმძღვანელობა — გათავებული. რა საშინელი, შეუგნებელი სიცივით წარმოებს ხოლმე ეს განშორება! რა გულცივად დაითხოვენ ხოლმე ოჯახიდან მასწავლებელს, რომელიც თავის რწმენას სტოვებს მოწაფეში, და ძიძას, რომელიც თავის გულს სტოვებს ბავშვში. გაუს-

წორდნენ სიმურდენს, დაითხოვეს და იმანაც მიატოვა უმალღესი წრეები საზოგადოებისა, რომ დაბლა ხალხს შერეეოდა, დიდებულთ და მდაბიოთ შუა ძვიდე გამაგრდა. ყმაწვილი კაცი, დიდებული და ოფიცერი შთამომავლობით, კაპიტნად დანიშნეს სადღაც საგუშაგოში. დაბალი მასწავლებელი, გულით უკვე მღვდლობის წინააღმდეგი, იძულებული გახდა ჩარეულიყო სარწმუნოების იმ ბნელ წრეში, რომელსაც დაბალ სამღვდელოებას ეძახდნენ, და სიმურდენმა აღარა იცოდა რა თავისი მოწაფისა.

დაიწყო რევოლუცია. ხსოვნა იმ ბავშვისა, რომელიც მან ადამიანად აქცია, გულში უღვივოდა ყოველთვის, ფარულად მაინც, რადგან პოლიტიკურ გარემოებათა მძვინვარებასაც კი ვერ ჩაეჭრო ეს გრძნობა.

მიღწევა არის ქანდაკება ქვისა და მისი განსულიერება. და უფრო დიდი მიღწევა არის გაწრთვნა გონებისა და მის სიმართლეზე დაყენება. ქანდაკება შეჰქმნა პიგმალიონმა, და ადამიანი — სიმურდენმა.

შეიძლება სათნოებასაც ჰყავდეს შვილი.

ეს მოწაფე, ეს ბავშვი, ეს ობოლი — ეს იყო ერთადერთი არსება, რომელიც უყვარდა ამ ქვეყნად სიმურდენს.

მაგრამ შესაძლებელი იყო ამ უსაზღვრო სიყვარულის მოწყლევა იმ სიმაგრის კაცში, როგორიც სიმურდენი იყო?

ენახავთ.

წიგნი მეორე

პანის ქუჩის სამიკიტნო

I

მინოსი, მაკვი და რადამანტი

ერთი სამიკიტნო იყო პანის ქუჩაზე, რომელსაც კაფეს ეძახდნენ. ამ კაფეს უკანა ოთახი ჰქონდა, დღეს ისტორიულად გამხდარი. ამ ოთახში იკრიბებოდნენ მოსალაპარაკებლად, თითქმის საილუმლოდ, რევოლუციის ძლიერი მოღვაწენი, რომლებსაც კვალდაკვალ დასდევდნენ ჯაშუშები, და ამიტომ ყრიდებოდნენ სახალხოდ ერთმანეთთან შეხვედრას. ამ ოთახში იყო, რომ 1792 წლის ოქტომბრის ოცდასამს ერთმანეთი გადაჰკოცნეს მთამ და ჟირონდმა. ამ ოთახში შევარდა ცნობების მისაღებად გარა, თუმცა ამას არ იხსენიებს თავის მოგონებებში, იმ საზარელ დამეს, როდესაც კლავიერი დამალა ბონის ქუჩაში, და მეფის ხილზე გააჩერა თავისი ეტლი, რომ განგაში გაეგონა.

1793 წ. ივნისის 28. სამი კაცი იყო ამ უკანა ოთახში. მაგიდას შემოსხდომოდნენ, ერთმანეთისგან საკმარისად დაშორებით. საღამოს რვა საათი იქნებოდა, ქუჩაში ჯერჯერ დღე იყო, მაგრამ უკანა ოთახში უკვე ბნელოდა და ჰერზე ჩამოკიდებული კინკეს ლამპა, ფუფუნების ნიშანი იმ დროისა, ანათებდა იქაურობას.

ერთი ამ სამთაგანი ფერმკრთალი ყმაწვილი კაცი იყო, ჩაფიქრებული, თხელბაგიანი და ცივთვალიანი. ლაწვი ნერვულად უთრთოდა და სიცილს უძნელებდა. დაბუდრული იყო, კარგად გაწმენდილი ტანისამოსით, ხელთათმანებით, ლილებშეკრული. ისე ადგა ტანზე მოლურჯო ტანისამოსი, რომ ჰმუჭნი არსად უჩანდა. ნაშურის შალვარი ეცვა, თეთრი ფეხსაცმელი, მაღალი ყელსახვევი და მარმარის ჟაბო. ფეხსაცმელზე ოქროს ლილები ესხა.

ორი კიდევ სხვა იყო ამ პირველის გარდა. ერთი ბუმბერაზივით

1) მინოსი იყო კრეტის მეფე — ჯოჯოხეთის მსაჯული, ეაკვი იყო იუპიტერის ვაჟი, ეგინის მეფე — ისიც მსაჯული. ჯოჯოხეთის მესამე მსაჯული იყო რადამანტი (ბერძ. მით.).

ახოვანი, მეორე — ჭონდრის კაცი. ახოვანს უწნოდ ადგა თავისი განიერი, ძოწეულის ფერის მაუდის ტანისამოსი. ყელსახვევი გახსნოდა და უწნოდ ჩამოწეულიყო ეაბოს ქვევით. ღილები გახსნოდა, ზოგი სრულებით მომწყდარიყო. ყელგადმოწეული წაღები ეცვა. აბურძგნული ჰქონდა თმა, თუმცა ეტყობოდა ცოტა რამ დავარცხნისა. ფაფარივით ჩამოჰშვებოდა პარიკი. სახე დაკენკილი ჰქონდა, წარბებშუა — ბრაზის ღმეკი, გულკეთილი გამომეტყველება. სქელი ლაში, დიდი კბილები, ფალანის მუშტი და მცხინვარი თვალი.

ყმაწვილი კაცი იყო მესამე და, სკამზე რომ იჯდა, მახინჯს ჰგავდა. თავი უკან ჰქონდა გადაწეული, თვალები — სისხლმორეული, ჩალურჯებულღი ლაქები სახეზე; გაქონილ თმაზე თავსახვევი ჰქონდა მოჭერილი; შუბლი არ ჰქონდა, მაგრამ უშველებელი, საშინელი პირი. გრძელი შალვარი ეცვა, განიერი წაღები, ჟილეტი, რომელიც ოდესღაც თეთრი სატინისა უნდა ყოფილიყო, და ზემოდან სერთუკი, რომლის ნაკეცებში, ეტყობოდა, ხანჯალი უნდა ყოფილიყო ჩამალული.

პირველი ამ კაცთაგანი იყო რობესპიერი ¹⁾, მეორე დანტონი ²⁾, მესამე მარატი.

მარტონი იყვნენ ოთახში. დანტონს წინ ჰქია ედგა და ერთი მტვრიანი ბოთლი ღვინო, რომელიც ლუთერის ლუდის მტვრიან სასმისს მოგაგონებდათ; მარატს ერთი ფინჯანი ყავა ედგა წინ; რობესპიერს — ქალაღდები.

ქალაღდებთან ერთი მძიმე, ტყვიის სამელნე იდგა, მრგვალი, რომელიც კარგად ეხსომება ყველას, ვინც მეცხრამეტე საუკუნის დამდევს დაიარებოდა სასწავლებელში. იქვე სამელნესთან კალამი იდგა. ქალაღდებზე ერთი დიდი სპილენძის თეგი იდგა, რომელზეც ამოჭრილი იყო პატარა ზედმიწევნითი ნახჭი ბასტილიის ციხისა და ლათინური სიტყვებით — „პალლოუმ გააკეთა“.

მაგიდაზე საფრანგეთის რუკა იყო გაშლილი.

ოთახის შემოსავალ კართან, გარედან იდგა ერთგული ძალი მა-

1) რობესპიერი — (1758 — 1794) საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის გამოჩენილი მოღვაწე. იაკობინელთა ბელადი. რევოლუციური მთავრობის მეთაური (1793 — 1794). შეუბრალებლად მუსრავდა რესპუბლიკის მტრებს. 1794 წ. 9 თერმიდორს, როცა ხელისუფლება კონვენტის მემარჯვენე ჯგუფებმა ჩაიგდო ხელში, რობესპიერი სიკვდილით დასაჯეს.

2) დანტონი — (1759 — 1794) საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ცნობილი მოღვაწე, გამოჩენილი ორატორი. ის მომხრე იყო უირონდისტებთან — მსხვილი ბურჟუაზიის პარტიასთან, — შეთანხმების და წინააღმდეგი იყო რევოლუციის შემდგომი განვითარების. 1794 წ. დასჯილ იქნა შეთქმულებისათვის.

რატისა, ლორან ბასი, კორდელიეს ქუჩის № 18 დალალი, რომელ-
მაც ამ კრების შემდეგ, ჯერ ორი კვირაც არ გასულიყო, 13 იელისს,
სკამი ჩაჰკრა თავში ერთ ქალს, სახელად შარლოტ კორდეს. ლო-
რან ბასი ატარებდა „ხალხის მეგობრის“ საკორექტურო ფურცლებს.
იმ საღამოს მარატს თან წამოეყვანა და ებრძანებინა, — კარებს არ
მოშორდე, მანამ აქ ვარ, და არავინ შემოუშვა, გარდა საზოგადოებ-
რივი განრინების, კომუნის, ან ევეშის კომიტეტის წევრებისაო. ო

რობესპიერს არ უნდოდა კარი ჩაეკეტა სენ-ჟუსტისთვის¹⁾; დან-
ტონს არ უნდოდა კარი ჩაეკეტა პაშისთვის²⁾; მარატს არ უნდოდა-
კარი ჩაეკეტა გუსმანისთვის.

დიდი ხანი იყო უკვე ბჭობდნენ და კამათს ბოლო არ უჩანდა.
საგანი ამ ბჭობისა იყო ის ქალაღებში, რომლებიც რობესპიერმა
წაუკიფხა და წინ დაილაგა მაგიდაზე. ხმის ამაღლება ემჩნეოდა კა-
მათს. რალაც ბრაზი ერევოდა ამ სამ კაცს. გარედან ხანდახან ხმა
შემოდოდა ლაპარაკისა. იმ დროინდელმა ხალხისადმი სიტყვით მი-
მართვის ჩვეულებამ გამოიწვია, როგორც ეტყობა, უფლება ყურის-
გდებისა. ეს ის დრო იყო, როდესაც ქალაღების გადამწერი ფაბ-
რიციუს პარი კარის ქუჭრუტანაზე მიკრული ათვალეიერებდა კომი-
ტეტს საზოგადოებრივი განრინებისას, რაც, — ეს ისე, რაკი სიტყვამ
მოიტანა, — არ იყო უსარგებლო, რადგან სწორედ ამ პარიმ გააფრ-
თხილა დანტონი და 1794 წლის მარტის 30 ღამის განსაცდელს გა-
დაარჩინა. ლორან ბასსაც ყური მიედვა უკანა ოთახის კარისთვის,
სადაც დანტონი, მარატი და რობესპიერი კამათობდნენ, და ცდი-
ლობდა სიტყვა არ გამოჰპარვოდა. ლორან ბასი მარატს ემსახურე-
ბოდა, მაგრამ თვითონ ევეშელი იყო.

II

Magna testantur voce per umbras

წამოვარდა დანტონი, გაბრაზებით მისწია უკან სკამი და შეჰ-
ყვირა:

— გაიგონეთ. დაუყოვნებლივი საზრუნავი ერთადერთია. დღეს
განსაცდელში არის რესპუბლიკა! ერთადერთი ვალდებულება გვა-
წევს ჩვენ დღეს, — ვინხნათ საფრანგეთი მტერთაგან. ყველა საშუა-
ლება უნდა ვინმაროთ ამისათვის! ყველა! ყველა! ყველა! ყველა გან-

1) სენ-ჟუსტი იყო რობესპიერის მეგობარი. საზოგადოებრივი განრინების
კომიტეტის წევრი. მას თავი მოკვეთეს რობესპიერთან ერთად.

2) უან პაში იყო კონვენტის წევრი და სამხედრო მინისტრი.

საცდელი რომ მომადგება კარზე, მეც ყველა ღონისძიებას ვხმარობ, და როცა ყველაფრის შიში მაქვს, მეც ყველაფრით ვიბრძვი. ლომია ჩემი ფაქრი! რა დროს სიფრთხილეა და საშუალებათა ვარგისობის რჩევა ამ რევოლუციაში? სულელი კი არ იყო ნემეზისი! ჩვენც საშინელი უნდა ვიყოთ და სასარგებლო. განა სპილო ხედავს, რას ადგამს თავის ფეხს? გავსრისოთ მტერი!

/ რობესპიერმა უპასუხა ტკბილად:

— ძალიან კარგი.

და დაუმატა:

— მაგრამ საქმე ის არის, სად არის მტერი?

— მტერი გარეთ გვყავს, — თქვა დანტონმა, — მე განვდევნე საფრანგეთიდან.

— მტერი შინა გვყავს და თვალს არ ვაშორებ, — თქვა რობესპიერმა..

— და კიდევ განვდევნი, — წამოიძახა დანტონმა.

— შეუძლებელია შინაური მტრის განდევნა.

— მაშ რა ვქნათ?

— ამოვწყვიტოთ!

— ძალიან კარგი, — დაეთანხმა დანტონი.

და მაინც თავისი თქვა:

— რობესპიერ, გეუბნებით, მტერი განდევნილი გვყავს.

— დანტონ, გეუბნებით, მტერი შინ გვყავს.

— რობესპიერ, მტერი ჩვენს საწლებებს მოადგა.

— დანტონ, მტერი ვანდეში არის.

— დამშვიდდით, — წამოიძახა მესამე ხმამ, — მტერი ყველგან არის და დალუპული ხაროთ თქვენ!

მარატი იყო; რომ ასე ჩაერია კამათში.

რობესპიერმა მარატს გადახედა და მშვიდად უპასუხა:

— კმარა ეგ განყენებანი. საქმეს დაევბრუნდეთ. მე მოკლედ მოგახსენებთ.

— პედანტი! — წაიბურტყუნა მარატმა..

რობესპიერმა ხელი დაადვა მის წინ გაშლილ ქაღალდებს და განაგრძო:

— ეს იყო წაგვიკითხეთ პრიორ დე-მარნის დეპუტები. ეს იყო მოგახსენეთ ყელამბრის მიერ გამოგზავნილი ცნობები. გაიგონეთ, დანტონ, უცხოელებთან ომი არაფერია, სამოქალაქო ომი კი ქვეყნის დამლუპველია. უცხოელებთან ომი პატარა კაწრია იდაყვზე; სამოქალაქო ომი კი წყლულია, რომელიც ღვიძლს გილპობს, და ყო-

ველივე იმისგან, რაც მოგახსენეთ, გამოდის შემდეგი: თუ აქამდე ვანდე გაფანტული იყო და რამდენიმე მბრძანებელი ჰყავდა, ამჟამად უკვე ერთდება და ამიერიდან ერთი მხედართმთავარი-ლა ეყოლება.

— ერთი ქვეყნის მტერი ყაჩაღი, — ჩაურია დანტონმა.

— ეს გახლავთ, — განაგრძო რობესპიერმა, — ის კაცი, რომელიც პონტორსონის ახლო გამოვიდა ორ ივნისს, ხომ ნახეთ, ვინ არის ეს კაცი. ისიც იქონიეთ მხედველობაში, რომ ამ კაცის გამოსვლა სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც იქ დაჭერილი იყვნენ რესპუბლიკის წარმომადგენლები პრიორი დე-ლა-კოტ-დორი და რომში; დაჭერილები ბეიოში, სამშობლოს მოღალატე კალვადორის მხარეში, სწორედ იმავე დღეს, ორ ივნისს.

— და მათი გადაგზავნა კანის ციხეში, — ჩაუმატა დანტონმა.

რობესპიერს ჯერ არ გაეთაყვებინა.

— განვაგრძობ დებეშების ცნობებს. ომს ტყეში გვიპირებენ და ძალიან დიდ ფართობზედაც. იმავე დროს ინგლისი ემზადება, ჯარი უნდა გადმოსხას ვანდეში. ვანდელები და ინგლისელები, ეს გახლავთ ბრეტანი და ბრიტანია შეერთებული. ფინისტერელი ხეპრეები იმავე ენით ლაპარაკობენ, რა ენითაც კორნაილელი ოტროველები. წელან პუიზეს წერილი გაჩვენეთ, რომელშიც ნათქვამია: ოცი ათასი წითელი სამოსი დაეურიგეთ აჯანყებულებს და მით ასიათასს კაცს სხვას ავაჯანყებთო. და როდესაც მთლად ააჯანყებენ გლეხკაცობას, ინგლისელების ჯარიც შემოგვესევა. აი. გეგმა. ამ რუკაზე უფრო ნათლად დაინახავთ მათ განზრახვას.

რობესპიერმა თითი დაადვა რუკას და განაგრძო.

— ინგლისელებს ჯარის გადმოსასხმელად შეუძლიათ ამოიჩიონ რომელიმე ნავსადგური კანკალიდან პემპოლამდე. კრეგი, მგონია, სენ-ბრიესს ყურეს ირჩევდა, კორნვალისი — სენ-კასტისას. ევსულერთია. მარცხენა მხარე ლუარისა¹⁾ გამაგრებული აქვს აჯანყებული ვანდელების ჯარს, და რაც შეეხება ანსანისა და პონტორსონის შუა ასთორმეტ კილომეტრ ღია ადგილს, იმასაც ჰყავს თავისი მფარველი: ნორმანდელების ორმოც სამწყსოს აღუთქვამს მის დასაცავად ჯარის გამოყვანა. ინგლისელების ჯარი სამი ნავსადგურით მოგვადგება, — პლერენით, იფანიაკით და პლენეფით. პლერენიდან სენ-ბრიესკენ წავა და პლენეფიდან ლამბალისკენ; მეორე დღეს დინანს დაიჭერენ, სადაც ცხრაასი ინგლისელი გვეყავს დაპა-

1) ლუარა მდინარეა საორანჯეთში.

ტიმრებული. და იმავე დროს აიღებენ სენ-ჟუანს და სენ-მენს; იქ ცხენოსან ჯარს დასტოვებენ. მესამე დღეს დაიძვრის ორი რაზმი, — ერთი ჟუანიდან ბედესკენ, მეორე დინანიდან ბეშერელისკენ, რომელიც ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენს; ბეშერელს ბატარეებით გაამაგრებენ. მეოთხე დღეს რენში შევლენ. რენი — ღია კარია ბრეტანის დასაპყრობად. ვინც რენს აიღებს, მთელ ბრეტანს აიღებს. რაკი რენს აიღებენ, თავის თავად დანებდებიან შატო-ნევი და სენ-მალო. რენში ერთი მილიონი ფინდიხი გვაქვს და ორმოცდაათი ზარბაზანი საველე არტილერიისა.

— რომლებსაც ჩვენვე დაგვიშენენ, — წაიღულუნა დანტონმა.
რობესპიერმა განაგრძო:

— ვათავებ. რენიდან სამი რაზმი შემოგვესევა ერთდროულად: ერთი ფუჟერისკენ, მეორე ვიტრესკენ, მესამე რედონისკენ, და რადგან ხილები დანგრეულია, მტერს თან ექნება, — ხომ ნახეთ, რომ ამ მხრივაც კარგად არიან მომზადებული, — ფიცრები და ნახებილები. გზის მაჩვენებელიც მრავალი ეყოლებათ, რომ ფონი უჩვენონ და ისე გადაიყვანონ ცხენოსანი ჯარი. ფუჟერიდან ავრანშისკენ წავლენ, რედონისკენ, ანსენისკენ, ვიტრესკენ. ნანტი დანებდა, ბრესტი ¹⁾ დანებდება. რედონიდან გახსნილი გზა აქვთ ვილენისკენ, ფუჟერიდან — ნორმანდიისკენ, ვიტრედან — პარიზისკენ. ორი კვირის შემდეგ სამასი ათასი ყაჩაღი შემოესევა საფრანგეთს და მთელი ბრეტანი საფრანგეთის მეფეს დარჩება.

— ესე იგი ინგლისის მეფეს, — თქვა დანტონმა.

— არა, საფრანგეთის მეფეს.

და რობესპიერმა განმარტა:

— საფრანგეთის მეფე უარესია ჩვენთვის. უცხოელის განდევნას ერთი-ორი კვირა დასჭირდება, და საფრანგეთის მონარქიის დამხობას დასჭირდა თვრამეტი საუკუნე.

დანტონი ისევ დაჯდა. იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო, თავი დაუშვა, ჩაფიქრდა.

— ხომ ხედავთ, რა საშიშ მდგომარეობაში ვართ. ვიქრე შარაგზას აძლევს ინგლისელებს პარიზისკენ.

დანტონი წამოიწია. თავისი ტლანქი ხელები რუკას დაჰკრა, როგორც ბრძმედს, და შეჰყვირა:

— რობესპიერ, განა ვერდენი ²⁾ კი შარაგზას არ აძლევდა პრუსიელებს პარიზისკენ?

¹⁾ ნანტი და ბრესტი საფრანგეთის ქალაქებია.

²⁾ ვერდენი საოლქო ქალაქია.

— მერე რაო?

— მერე ისაო, რომ ინგლისელებსაც ისევე განვდევნით, როგორც პრუსიელები განვდევნით.

და ისევე წამოვარდა დანტონი.

რობესპიერმა თავისი გაყინული ხელი დაადვა დანტონის ცხელ მუშტს.

— დანტონ, შამპანი ¹⁾ პრუსიელებისკენ არ იყო და ბრეტანი კი ინგლისელებისკენ არის. ვერდენის ასაღებად უცხოელებთან გვექონდა ომი, ვიტრეს ასაღებად სამოქალაქო ომი უნდა დავიწყოთ.

და ცივად, ღრმა რწმენით წარდუღუნა:

— მნიშვნელოვანი განსხვავებაა.

მერე დანტონს მიმართა:

— დაბრძანდით, დანტონ. რა დავიშავათ ამ რუკამ, რომ აგრე დაჰკარით? აი, ინგლისელების გზა პარიზისკენ.

მაგრამ დანტონი თავის ფიქრს გაეტაცა, რუკას არ უყურებდა.

— უცნაურია სწორედ, — წამოიძახა დანტონმა. — განსაცდელს დასავლეთიდან ხედავენ, როდესაც აღმოსავლეთით მოიწევს. რობესპიერ, თანახმა ვარ, რომ ინგლისელი რაღაცას გვიქადის სახიფათოს ოკეანეზე; მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ესპანეთი პირენეში გვიმზადებს სახიფათოს, იტალია ალპებში, გერმანია რეინზე, და ზათთან ერთად დიდი დათვი — რუსი. რობესპიერ, განსაცდელი რგოლია და ჩვენ ამ რგოლში ვართ ჩამწყვედელი. გარედან კოალიცია, შიგნიდან ლაღატი. სამხრეთით სერვანი უღებს საფრანგეთის კარს ესპანეთის მეფეს; ჩრდილოეთით დუმურიე მტრისკენ გადადის, — მაგრამ ის ყოველთვის ორჭოფობდა და პარიზს უფრო ემუქრებოდა, ვიდრე პოლანდიას. ნერვინდის შემდეგ განა სახსენებელია ჟემაპი და ვალმი? ფილოსოფოსი რაბო სენტ-ეტიენი გვალატობს, როგორც პროტესტანტი, და მეფის ერთგულ მონტესკიუსთან აქვს მიწერ-მოწერა. ლაშქარი განახევრებულია. ბატალიონს ვერ ნახავთ, რომ ოთხას კაცზე მეტი ჰყავდეს; მამაცობით განთქმულ დე-პონის ბატალიონში ას ორმოცდაათი კაციღა დარჩენილა. პამარის ბანაკი მივატოვეთ. ჟივეში სულ ხუთასი ტომარა ფქვილი-ლა გვაქვს. უკან ვიწვეთ ლანდოსკენ. კლებერს საქმეს უჭირვებს ვერმსერი. მაიანსი გმირულად მარცხდება, კონდე ლაჩრულად, ვალანსიენიც აგრეთვე. და მიუხანდავად ამისა გმირად ვხდით ვალინსიენის დამცველს შანსელს, აგრეთვე კონდეს დამცველს, ბებერ ფეროს, და ამ ლაჩრებთან ერთად ვახსენებთ მართლა და გმირს, მაიანსის დამცველ მეუ-

¹⁾ შამპანი საფრანგეთის პროვინციაა.

ნიის. სხვები კი სულ მოღალატე არიან. დარვილი ექს-ლა-შაპელში გვლაატობს, მუტონი — ბრიუსელში, ვალანსი — ბრედაში, ნეუილი — ლიმბურგში, მირანდა — მაესტრიშტში. სტენგელი მოღალატეა, ლანუ მოღალატეა, ლიგონიე — მოღალატეა, მენუ მოღალატეა; დილონი მოღალატეა, — სულ თავლაფდასხმული მოწაფეები დუმურიესი! ჰოდა ჰკუა ვასწავლოთ! ვაჩვენოთ მაგალითი ჩვენებური სასჯელისა! მე საეკვოდ მიმაჩნია კუსტინის უთავბოლოდ წიალი; ეჭვი მერევა, რომ კუსტინს ნადავლით მდიდარი ფრანკფურტის¹⁾ აღება უფრო უნდა, ვიდრე ჩვენი გამარჯვებისთვის საჭირო კობლენცის²⁾ აღება. მართალია, ფრანკფურტს შეუძლია გადაგვიხადოს ომის ხარჯად ოთხი მილიონი, მაგრამ ნუთუ ეგ ფული უფრო საჭიროა, ვიდრე გახიზნული არისტოკრატების ბუნაგის აღმოფხვრა? ღალატი არის, ღალატი! მენიემ თქვენი ჭირი წაილო ცამეტ ივნისს და დარჩა მარტოდმარტო კლებერი. და ბრაუნშვეიგი კი ამრავლებს თავის ლაშქარს, წინ მოიწევს და გერმანულ დროშას აფრიალებს მის მიერ აღებულ საფრანგეთის ციხე-სიმაგრეებზე. ევროპის ბედისწერა დღეს ბრანდბურგის³⁾ მარკგრაფს დარჩენია და ისიც თავის სამფლობელოს უმატებს ჩვენ პროვინციებს. აი ნახავთ, ბელგიასაც ის დაისაკუთრებს! ისეა ჩვენი საქმე, თითქო ბერლინისთვის ვიღვწოდეთ, და თუ არა ვიზრუნეთ რა, საფრანგეთის რევოლუციამ თუ არგებს ვისმე, მარტო პოტსდამს⁴⁾ არგებს, და ერთადერთ შედეგად ფრიდრიხ მეორის პატარა სამფლობელოს გადიდება მოჰყვება. თითქო იმიტომ მოგვეკლას ჩვენი მეფე, რომ გავგვიღიერებინოს მეფე პრუსიისა.

და დანტონს, საშინელს, სიცილი წასკდა.

დანტონის სიცილმა მარატისა ღიმილი გამოიწვია.

— ეგ არის თქვენი! აიხირებთ რასმე და თან გადაჰყვებით ორივე! — დაიწყო მარატმა. — თქვენ, დანტონ, პრუსია; და თქვენ, რობესპიერ, ვანდე! ახლა მე მომისმინეთ. თქვენ ვერა ხედავთ ნამდვილ საშიშროებას. ჩვენ თუ დავგულუპავს რამე, კაფე დავგულუპავს და ქალღლის სათამაშო სახლები. შუაზელის კაფე იაკობელებისა არის, პატენის კაფე — მეფის მომხრეებისა; რანდე-ფუს კაფე მტერიეროვნული გვარდიისა, სენ — მარტენის კაფე — მომხრე ამ გვარ-

1) ფრანკფურტი გერმანიის ქალაქია.

2) კობლენცი ქალაქია, რომელიც 1792 წელს თავშესაფარი იყო ემიგრანტებისა.

3) ბრანდბურგი პროვინციაა პრუსიაში.

4) პოდსდამი ძველი საფეო ციხე-დარბაზია პრუსიაში.

დიისა; რეჟანსის კაფე წინააღმდეგია ბრისსოსი, ¹⁾ კორაზას კაფე — მომხრეა ბრისსოსი; პროკოფის კაფე დიდროს ²⁾ ჰფიცავს, ჩვენი თეატრის კაფე — ვოლტერს ³⁾; როტონდის კაფეში ასიგნაციებს ფხრეწენ; სენ-მარსოს კაფეები გაცოფებულა; მანურის კაფე ფქვილის საკითხს ამწვავებს; ფუას კაფეში — ჩხუბი და კრივი, პერრონის კაფეში — ფინანსების მონაჟარის ბზულილი! აი, რა არის საშიში.

დანტონი აღარ იცინოდა. მარატი სიცილით ამბობდა თავისას. ნაგალას სიცილი უფრო საზარელია, ვიდრე ბუმბერაზისა.

— რა? დაგვცინით, მარატ? — წაიბუზღუნა დანტონმა.

მარატს ბარძაყი აუკანკალდა. განთქმულ იყო თავისი ფილენჯის ქარით. სიცილი გაჰქრობოდა.

აჰ! ძლივს არა გპოვეთ, მოქალაქე დანტონ! მგონია თქვენ ბრძანდებოდით, რომ კონვენტში, კრებაზე, „ვილაც მარატი“ მიწოდეთ. ჰო და, მიპატიებია! გეყურებთ? საშინელ მდგომარეობაში ვართ! მაშ დაგვცინით? და მართლაც, ვინ ვვდივარ? ან რა ვარ? მე დავაბეზლე შაზო, მე დავაბეზლე პეტიონი, მე დავაბეზლე კერზენი, მე დავაბეზლე მორეტონი, მე დავაბეზლე ლუფრიშ-ვალაზე, მე დავაბეზლე ლიგონი, მე დავაბეზლე მენუ, მე დავაბეზლე ბანვილი, მე დავაბეზლე ჟანსონე, მე დავაბეზლე ბირონი, მე დავაბეზლე ლიდონი და შამბონი. მერე? ვტყუოდი, რომ დავაბეზლე? ავად მოვიქციე? მე ლალატს ვგრძნობ ხალხის მტერში და სასარგებლოდ მიმანია დროზე დავაბეზლო მოლაღატე, რომ არ განახორციელოს თავისი განზრახვა. მე ჩვეულებად მაქვს წინათვე ვთქვა ის, რასაც თქვენ ყველანი ნაგვიანევად ბრძანებთ ხოლმე. დიახ, მე ის განლაგარ, ვინც დამნაშავეთა სასჯელის სრული გეგმა მისცა კრებას. რა გავარიგე აქამდე? მე მოვიტხოვე გამოძიება სექციების მოქმედებისა, რომ უფრო დამორჩილებოდნენ რევოლუციის წარმატებას; მე ავახსნევენი ბეჭედი ოცდათორმეტი გასაუქმებლად ჩამალული საქმისა; მე ჩამოვართმევენი თვალ-მარგალიტი, რომელიც როლანისთვის ⁴⁾ მიებარებინათ დასამალავად; მე დავამტკიცე, რომ ბრისსოს ამხანაგებს საზოგადოებრივი განჩინების კომიტეტისთვის მიეცათ დაპატიმრების

¹⁾ ბრისო იყო კონვენტის წევრი — შემდეგ გახდა იგი უირონდისტი. რის გამოც თავი მოკვეთეს 1793 წელს.

²⁾ დიდრო მე-18 საუკუნის ფრანგი განმანათლებელი, ფილოსოფოსი, კრიტიკოსი და მწერალია. (1694 — 1774).

³⁾ ვოლტერი ფრანგი განმანათლებელი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, კრიტიკოსი და მწერალი-დრამატიკოსი იყო.

⁴⁾ როლანი იყო შინაგან საქმეთა მინისტრი რევოლუციის დროს, 1792 წელს. იგი მიემხრო უირონდელებს და მათი დამარცხების გამო თავი მოიკლა.

სუფთა ბლანკები; მე აღვნიშნე, რომ ლინდეს მოხსენებაში განზრახ იყო გამოტოვებული ლუი კაპეს დანაშაულებანი; მე ხმა მივეცი ლუი კაპეს ოცდაოთხ საათში სიკვდილით დასჯას; მე ვიცავდი ცილწამებულ მოკონსეილსა და რესპუბლიკის ბატალიონს; მე დავუშალე და არ წავაკითხვინე ნარბონისა და მალუეს წერილები; მე შევიტანე წინადადება, რომ დახმარება აღმოეჩინათ დაქრილი სალდათებისთვის; მე გავაუქმებინე ექვსის კომისია; მე წინასწარ ვიგრძენ მონსის საქმეში დუმურიეს ლალატი; მე მოვითხოვე, რომ დაეკირათ ასიათასი კაცი გახიზნულების ნათესავეები-და ჰყოლოდათ როგორც მძევლები იმ კომისრეტისწილ, რომლებიც მტერს ჰყავს დამწყვედეული; მე შევიტანე წინადადება, სამშობლოს მტრად იქნას გამოცხადებული ყველა წარმომადგენელი ხალხისა, ვინც ქალაქიდან გავა; მე ავხადე ნილაბი როლანის ამხანაგებს მარსელის არეულობაში; მე მოვითხოვე, რომ გამოეცხადებინათ, რა ჯილდოს მისცემდნენ, ვინც ფილიპე ეგალიტეს შვილს ჩაგვიგდებდა ხელში; მე ვიცავდი ბუშოტს; მე მოვითხოვე ისნარის გადასაყენებლად ყველასაგან ხმამაღლად თანხმობას, ან უარის თქმას; მე დავადგენინე, რომ პარიზელებმა დიდი ღვაწლი დასდევს სამშობლოს; და ამიტომ ლუვემ მასხარა მიწოდა; ფინისტერელები²⁾ ჩემს განდევნას მოითხოვენ და ქალაქი ლუდენი ჩემს გახიზვნას; ამიენი მოითხოვს, ალიკაპი ამოსდეთო, კობურგი მოითხოვს ჩემს დამწყვედევას და ლეკუანტ-პუირავო სთხოვს კონვენტს ჩემ გამოცხადებას შეშლილად. ჰო და, ერთი მითხარით, მოქალაქე დანტონ, რისთვის მომიწვიეთ თქვენს კრებაზე, თუ არა ჩემი აზრის მოსასმენად? რა, მე გეხვეწებოდით, დამიძახებთეთქი? გიჟი კი არა ვარ! ჰირივით მეჯავრება ფარული მოლაპარაკება იმისთანა კონტრრევოლუციონერებთან. როგორიც ბრძანდებით რობესპიერი და თქვენ. მაგრამ სხვას რას უნდა მოელოდეს თქვენგან კაცი? თქვენ ჩემი არა გესმით რა! არც თქვენ და არც რობესპიერს! არც რობესპიერს და არც თქვენ! მაშ არა გეყოლია სახელმწიფო საჭიროებათა შემგნები კაცი? მაშ პოლიტიკის ანბანი უნდა გადაგიშალოთ თქვენ კაცმა, რომ ავი და კარგი გავარჩევინოთ? აი, რის თქმაც უნდოდა ჩემს ნათქვამს: სცდებით ორივე! განსაცდელი ლონდონში კი არ არის, როგორც გვარწმუნებს რობესპიერი; განსაცდელი ბერლინში კი არ არის, როგორც გვარწმუნებს დანტონი. განსაცდელი პარიზში არის; განსაცდელი მოგველის, რადგან ერთო-

²⁾ ფინისტერელები იყვნენ ბრეტანში. ჩამოყალიბებული დეპარტამენტის წევრები. იაკობინელებმა მათ დაარქვეს ეს სახელი, რაც ლათინურად ნიშნავს მიწის გათავებას.

ბა არა გვაქვს; ყველა იმას გაიძახის, მე უფლება მაქვს თავისუფლები-
ბისაო; ყველა თავისკენ იწვევს, როგორც თქვენ ორივე. განსაცდელი
მოგველის, რადგან გათახსირებულია გონიერება და ვამეფებულია
ანარქია წადილისა.

— ანარქიაო! — შეჰყვირა დანტონმა, — მერე ვინ შეჰქნა ეგ ანა-
რქია, თუ არა თქვენ?

მარატს ჯერ არ გაეთაგებინა.

— რობესპიერ, დანტონ! განსაცდელი იფარება იმ კაფეებში,
ჩემ ქალაქის სათამაშო სახლებში, იმ კლუბებში, რომლითაც სავსეა
პარიზი. კლუბი შავებისაო, კლუბი ფედერალისტებისაო¹⁾, კლუბი
ქალებისაო, კლუბი უპარტიოებისაო, რომელიც კლერმონ-ტონნერის
დროისა არის და 1790 წლიდან მონარქისტების კლუბად გახდა. მე-
რე სოციალური წრე; გამოგონილი მღვდლის კლოდ ფოშეს მიერ;
კლუბი სელისქუდიანებისა, მეგაზეთე პრუდომის მიერ დაარსებუ-
ლი, და სხვა მრავალი; თქვენი იაკობელების²⁾ კლუბი კი არ ვახ-
სენე, რობესპიერ, და აგრეთვე თქვენი, კორდელიების კლუბი³⁾,
დანტონ. განსაცდელი მოგველის შიმშილისაგან, რომლის გამო მუ-
შა ბლენმა ქალაქის თვითმართველობის წინ ფარნის ბოძზე ჩამოა-
ხრჩო პურის ვაჭარი ფრანსუა დენისი, და იმ სამართალში, რომელ-
მაც მუშა ბლენს ჩამოხრჩობა მიუსაჯა ჩარჩის, ფრანსუა დენის, ჩა-
მოხრჩობისთვის. განსაცდელი მოგველის ქალაქის ფულისგან,
რომლის ღირებულება უფრო და უფრო მცირდება. ტანპლის ქუჩაზე
ვიღაცას ასფრანკიანი ქალაქი გაუეარდა ხელიდან და ერთმა გა-
მვლელმა, ღარიბმა კაცმა სთქვა: დახრად არა ღირსო. ჩვენი გან-
საცდელი ჩარჩებია და ჩარჩ-ზარაფები. ქალაქის თვითმართველო-
ბის შენობაზე შავი დროშა ააფრიალეთ! დიდი რამ გაარიგეთ, სწო-
რედ! ბარონი ტრენკი დაიჭირეთ, — ეგ არ კმარა! თავი უნდა გა-
ადებინოთ იმ ბებერს, პატიმრების მტანჯველს! თქვენი რევოლუ-
ციისადმი სამსახური იმით კმაყოფილდება, რომ თავზე მამულიშვი-
ლის გვირგვინს ადგამთ ლიბერტეშს, რომელმაც ემეპაში ორმოც-
დაერთი ჭრილობა მიიღო ხელჩართულ ბრძოლაში, და გვირგვინთან

1) ფედერალისტები ერქვათ 83 დეპარტამენტის წევრებს, რომელთაც 1790 წლის 14 ივლის ბასტილის აღება ილდესასწაულეს. ამ ზეიმს თვითონ ლუი მე-16-ც ესწრებოდა, რომელმაც მათ კონსტიტუციის დაცვა შეფიცა.

2) იაკობელების კლუბი რევოლუციონერთა თავშესაფარი იყო, რომელიც პარიზში სენტ-პონორეს ქუჩაზე მდებარეობდა. აქ იმართებოდა კრებები.

3) კორდელიების კლუბი დაარსეს დანტონმა, მარატმა და დემულენმა 1790 წელს.

ერთად — ანდრე შენიეს¹⁾ ხოტბა-დიდება! კომედია და ხალხის თვალის ახვევა! მაშ პარიზს არ უყურებთ? მაშ განსაცდელს სადღაც შორს ეძებთ, როდესაც ახლო გიდევთ ეგ განსაცდელი? ნეტავი, რას გიკეთებთ თქვენი პოლიცია. რობესპიერი? რადგან კარგად ვიცი, თქვენ თქვენი ჯაშუშები გყავთ, — პეიანი კომუნაში, კოფინალი რევოლუციურ სასამართლოში, დავიდი საზოგადო უშიშროების კომიტეტში, გუთონი — საზოგადოებრივი განრიგების კომიტეტში. ხომ ჰხედავთ, რომ ჩემთვის დამალული არა არის რა! მაშ ესეც იცოდეთ: განსაცდელი თავზე გადგათ, განსაცდელი ფეხქვეშ გიდევთ! ყველგან შეთქმულებაა, შეთქმულება და შეთქმულება! ქუჩაში გამვლელები ერთმანეთს გაზეთებს უთითებენ, — აი, წაიკითხეთო. და რაღაცას ანიშნებენ ხმის ამოუღებლად. ექვსი ათასი კაცი არის პარიზში უპასპორტო; უკან დაბრუნებული ემიგრანტები, სალუქები და ხალხის მტრები დამალული არიან სარდაფებში, ბალახანებში და პალე-როიალის ტალანებში. რიგში უნდა ჩადგეს კაცი, რომ ლუკმა პური იყიდოს. საწყალი დედაკაცები რომ შეხვდებიან ერთმანეთს, ხელაპყრობილი იძახიან: როდის გვეღირსება დამშვიდებაო? ხომ სულ კარჩაკეტილი ხართ, როცა საქმე გავქთ რამე აღმასრულებელ საბჭოში. გინდათ, რომ მარტო იყოთ, თქვენი ნათქვამი არაფერს გაიგოს. სუყველაფერი ვიცით. რასაც ამბობთ. დასამტკიცებლად, რობესპიერი, აი რა სიტყვით მიმართეთ წუხელის სენაუსტს: „ბარბარუს ღიბი ებერება და გაქცევას გაუძნელებს“. — ჰო და, განსაცდელი ყველგან არის, მაგრამ უმთავრესად პარიზში. ყოფილი დიდებულები კბილებს ილესავენ, ვერაგულად, ფარულად. პატრიოტები ფეხშიშველი დადიან. მარტის ცხრას დაჭერილი არისტოკრატები ისევ თავისუფლად დაძრწიან. გაბღინძულების ეტლების რაშები, რომლებიც ზარბაზანში უნდა ებნენ ბრძოლის ველზე, ტალახით გვსვრიან ქუჩაში, ოქროს ფასად იყიდება პური. თეატრებში უზნეო პიესებს თამაშობენ და რობესპიერი გილოტინით მოაკვლევინებს დანტონს.

— ეგ არის, დიახ! — წამოიძახა დანტონმა.

რობესპიერი რუკას დაჰყურებდა თავდაღუნულად.

— თუ გვიხსნის რამე, — წარმოთქვა უცბად მარატმა, — დიქ-

1) ანდრე შენიე (1762—1794) საფრანგეთის რევოლუციის პერიოდის ფრანგი პოეტი. იგი მიემხრო უირონდელებს. თავის ლექსებში კიცხავდა მარატს, დანტონს, რობესპიერს. მას თავი მოკვეთეს 1794 წელს, რობესპიერის განკარგულებით.

ტატორი გვიხსნის. რობესპიერ, ხომ იცით, რომ მე დიქტატორი მინდა?

წამოიწია რობესპიერი:

— ვიცი, მარატ. თქვენ, ან მე.

— მე, ან თქვენ, — თქვა მარატმა.

— დიქტატორიო? ეგ არის, დიას! — წაიღუდუნა წარბშეკმუხვილმა დანტონმა.

მარატმა თვალი შეასწრო.

— აი, ინებეთ, ერთხელ კიდევ ვცდი შეთანხმებას. უნდა მოგვირგდეთ როგორმე. თვით მდგომარეობა გვავალეებს ამას. ხომ მოვახერხებთ და შევთანხმდით მაისის ოცდათერთმეტისთვის? ჩვენი შეთანხმება და ერთობა უფრო დიადი საკითხია, ვიდრე ჟირონდიზმი, რომელიც წერილმანი ნაწილია უმთავრესი საკითხისა. მართალი არის თქვენი ნათქვამი; მაგრამ მართალი, ნამდვილი მართალი, მართლა მართალი არის ჩემი ნათქვამი. სამხრეთით — ფედერალიზმი, დასავლეთით — მეფობის აღდგენა; პარიზში კონვენტისა და კომუნის ბრძოლა; საზღვრებზე კუსტინის უკან დახევა და დუშურიეს ღალატი. ეს ყველაფერი უტყუარი ნიშანია ჩვენი რღვევისა და უთანხმოებისა. ჩვენ თუ გვიხსნის რამე, ერთობა. მხოლოდ ერთობა! ოღონდ დავჩქარდეთ! პარიზმა ხელთ უნდა იგდოს რევოლუციის გამგებლობა. ერთი საათითაც რომ დავიგვიანოთ, ვანდელები შეიძლება ორლუანს დაეპატრონონ და პრუსიელები — პარიზს. ამას თქვენ გითმობთ, დანტონ, და თქვენ გიძღვნით, რობესპიერ. ვიკისროთ დიქტატორობა. ჩვენ სამნი, ჩვენ ვართ რევოლუციის წარმომადგენელნი. ჩვენ ვართ სამი თავი ცერბერისა. ამ სამ თავთაგან ერთი ლაპარაკობს; ეს — თქვენ, რობესპიერ; მეორე გრგვინავს; ეს — თქვენ. დანტონ...

— მესამე ჰკბენს, — გააწყვეტინა სიტყვა დანტონმა. — ეს — თქვენ, მარატ.

— სამივე ჰკბენს, — თქვა რობესპიერმა.

ღუმილი ჩამოვარდა ცოტა ხანს და მერე კვლავ დაიწყო ბრაზიანი კამათი.

— ერთი მითხარით, მარატ... ჯერ ერთმანეთის გაცნობა და მერე ქორწინებაო. საიდან იცით, როდის და რა ვუთხარ სენ-ჟუსტს?

— ეგ ჩემი საქმეა.

— მარატ!..

— მე ვალდებული ვარ ყველაფერი ვიცოდე და, როგორ ვახერხებ ამას, ეგ ჩემი საქმეა.

— მარატ!

— უნდა ვიცოდე ყველაფერი და ვიცი.

— მარატ!

— რობესპიერ! მე ვიცი, რა უთხარით სენ-ჟუსტს, როგორც ისიც ვიცი, რაც დანტონმა უთხრა ლაკრუას. ვიცი, რა არის თეატენის ქუჩაზე ლაბრიფის სასახლე, სადაც იკრიბებიან ემიგრანტების ლამაზი ქალები. ვიცი, რა ხდება ვალმრანეის სახლში, — ფოსტის ყოფილი მოხელის სახლში, — სადაც წინათ მორი და კაზალე დაიარებოდნენ, და მერე სიეიესი და ვერნიო, და სადაც ამჟამად კვირაში ერთხელ იკრიბებიან...

ამ სიტყვების წარმოთქმის დროს მარატმა დანტონს გადაჰხედა. დანტონმა შეჰყვირა:

— საშინელება მოხდებოდნა, მე რომ ცოტა რამ უფლება მქონოდა!

მარატმა განაგრძო:

— ვიცი თქვენი ყველა სიტყვა, რობესპიერ, როგორც ვიცოდით და ვიცი ყოველივე, რაც ხდებოდა ტანპლის ციხეში, როდესაც იქ ასუქებდნენ ლუი XVI; ისე ასუქებდნენ, რომ ერთ თვეში, სექტემბერში, მგელმა, ძუქნა მგელმა და მგლის ლეკვებმა ოთხმოცდაექვსი კალათი ატამი შექამეს, იმ დროს, როდესაც ხალხი შიმშილით იხოცებოდა. ვიცი ეს ყველაფერი, როგორც ვიცი, რომ როლანი იმალებოდა ლაარპის ქუჩის ერთ უკანა ეზოს სახლში; როგორც ვიცი, რომ თოთხმეტ ივლისს შუბონებს ჰერცოგ დ-ორლეანის მჭედელმა გაუკეთა ექვსასი შუბი; როგორც ვიცი, რა ხდება სილერის საყვარელ ქალბატონ სენტ-ილერის სახლში; მეჯლისის დღეს თვითონ ბებერი სილერი წმენდს ცარციით ყვითელი დარბაზის პარკეტს, ნევე-დე-მატურენის ქუჩაში; ბიზო და კერზენი სადილად ეწვევოდნენ ხოლმე; სალადენი იქ იყო სადილად ოცდაშვიდს, ერთად...

— ვისთან, თუ იცით, რობესპიერ?. ერთად თქვენ მეგობარ ლასურსთან.

— ქორები, — წაიბუტბუტა რობესპიერმა, — ლასურსი ჩემი მეგობარი არ არის.

და დაუმატა, ჩაფიქრებულმა:

— და ამასობაში თვრამეტი ქარხანაა ლონდონში და ბეჭდავს და ბეჭდავს ყალბ ასიგნაციებს!

მარატი კი თავისას არ იშლიდა და დამშვიდებით, მაგრამ ხმის ოღნავ კანკალით, რაც საშინელი იყო, მიმართა რობესპიერს:

— თქვენ ხართ იმედი დარბაისლებისა. ჰო და, აკი ვამბობ, ყვე-

ლაფერი ვიცი, მიუხედავად იმისა, რომ სენ-ჟუსტის სიტყვით, ეს არის სახელმწიფოს საიდუმლოება.

მარატმა გამოთქმით ხაზი გაუსვა ამ სიტყვებს, გადახედა რობესპიერს და დაუმატა:

— ვიცი, რას ლაპარაკობენ თქვენსა, რობესპიერ, სუფრაზე იმ დღეს, როდესაც ლება მოიწვევს ხოლმე სადილად დავიდს, რომ ასიამოვნოს თავის დანიშნულს, ელისაბედ დუპლესის, მომავალში თქვენი ცოლისდის სამზარეულო ხელოვნებით. მე ვარ ყოვლად მხილველი თვალი ხალხისა და ყველაფერს ვხედავ ჩემი სარდაფის ძირიდან. დიახ, ყველაფერს ვხედავ! დიახ, ყველაფერი მეყურება და ყველაფერი ვიცი! თქვენ წვრილმანითაც კმაყოფილი ხართ. თქვენ თავიანისმცემელი ხართ თქვენი თავისა. რობესპიერი ტკბება მით, რომ მას გუნდრუკს უკმევს შალაბრის ქალი, ქალი იმ მარკიზ შალაბრისა, რომელიც ქალაქს ეთამაშებოდა ლუი XV დამიენის სიკვდილით დასჯის საღამოს. დიახ, ძალიან მალა ვიწვევთ თავს. სენ-ჟუსტი აღარც კი ჩანს თავის საყელოში! ლეჟანდრი¹⁾ ახალ არისტოკრატიაში მიძვრება, — საგანგებო პერანგი და თეთრი ჟილეტი, ზედ კოხტა ჟაბო, რომ ხსენებაც კი აღარ იყოს იმის მუშური კურტნისა. რობესპიერს ჰგონია, რომ ისტორია აღნიშნავს იმის ზეთისხილისფერ სერთუქს, რომელიც დამფუძნებელ კრებაში ეცვა, და ლურჯი ფერისას, რომლითაც კონვენტში დაიარება. თავისი სურათები უკიდია ოთახის ყველა კედელზე.

რობესპიერმა შეაწყვეტინა უფრო მშვიდი ხმით, ვიდრე მარატი ამბობდა:

— თქვენ, მარატ, საპირფარეშოშიც კი გიკიდიათ თქვენი სურათი.

და ამგვარად, უბრალო ბაასის კილოთი განავრძეს კამათი, რომლის ნელნელობა უფრო ამწვავებდა პასუხის სიმკაცრეს და მუჭარას რალაც ირონიას უმატებდა.

— რობესპიერ, თქვენ „კაცობრიობის დონ-კიხოტები“ უწოდეთ იმათ, ვისაც მეფის ტახტის დამხობა უნდოდა.

— თქვენ, მარატ, ოთხ აგვისტოს შემდეგ „ხალხის მეგობრის“ ხუთას ორმოცდამეცხრამეტე ნომერში, — დიახ. მე დავიხსომე ეს რიცხვი, რადგან ძალიან სასარგებლოა ამეების ხსოვნა—თქვენ მოითხოვდით, რომ დიდებულთათვის აღედგინათ მათი წოდება. თქვენ სწერდით: „ჰერცოგი ყოველთვის ჰერცოგად დაჩნდება“.

¹⁾ ლეჟანდრი იყო კონვენტის წევრი.

— რობესპიერ, შვიდ დეკემბერს კრებაზე თქვენ გამოხვედით როლანის ცოლის დამცველად ვიარის წინააღმდეგ.

— სწორედ ისევე, როგორც ჩემი ძმა გამოვიდა, მარატ, თქვენ დამცველად იაკობელების კლუბში. რა მნიშვნელობა აქვს მაგას? არავითარი.

— რობესპიერ, ტულიერიში ერთი ოთახი ვიცი, რომელშიც თქვენ შესწივლეთ გარას: „გული გამიწყალა ამ რევოლუციამაო“.

— მარატ, აი აქ, ამ ოთახში იყო, ოქტომბრის ოცდაცხრას, თქვენ რომ გადაჰკოცნეთ ბარბარუ¹⁾.

— რობესპიერ, თქვენ უთხარით ბუზოს: „რესპუბლიკა? რა არის რესპუბლიკა“?

— მარატ, აი, ამ ოთახში მოგყავდათ თქვენ საუზმეზე დაპატიუებული სამ-სამი მარსელელი ფედერალისტი.

— რობესპიერ, თქვენ ყოველთვის ერთი მოედნის მუშა გახლავთ კეტით შეიარაღებული.

— თქვენ, მარატ, აგვისტოს ათის წინა საღამოს ბუზოს სთხოვეთ დახმარება, რომ მარსელში გაპარულიყავით მეჯინიბის ტანი-სამოსით.

— სექტემბერში რომ ხალხის მტრებს ეხოცავდით, თქვენ დამალული იყავით, რობესპიერ.

— თქვენ კი ხალხს ეჩვენებოდით, მარატ.

— რობესპიერ, თქვენ მიწაზე დაანარცხეთ წითელი ქული.

— დიახ, როდესაც ქვეყნის მოლაღატემ დაიხურა წითელი ქული. რაც მოუხდება დუმურიეს, შეარცხვენს რობესპიერს.

— რობესპიერ, შატოვის სალდათების გავლის დროს, თქვენ ნება არ მიეცით, რომ ლუი XVI-სთვის თავზე რიდე დაეფარებინათ.

— მე უკეთ მოვიქეცე: რიდე არ დაეფარე და თავი გავაგდებინე.

დანტონი ჩაერია, მაგრამ ცეცხლში ნავთის ჩასხმა იყო მისი სიტყვა.

— რობესპიერ, მარატ! დამშვიდდით!

მარატს შეურაცხყოფად მიაჩნდა თავისი სახელის ვისიმე შემდეგ ხსენება; დანტონისკენ მიბრუნდა:

— დანტონს რაღა უნდა?

დანტონი წამოხტა.

— როგორ თუ რა უნდა? დანტონს ის უნდა, რომ ძმა არ შე-

1) ბარბარუ იყო კონვენტის წევრი, რომელსაც თავი მოკვეთეს 1794 წელს

მოაკედეს ძმას! რომ ერთმანეთს არ ებრძოდნენ ორი მოღვაწე, რომლებიც ხალხის კეთილდღეობას ემსახურებიან. უცხოელებთან და სამოქალაქო ომიც გვეყოფა, და დავიღუპებით, თუ ერთმანეთს აფუტებთ ომი. მე მოვასხდინე რევოლუცია და არ მინდა, რომ წაახდინონ. აი, რა მინდა და რად ვერვინ თქვენ კამათში.

მარატმა ხმის აუმაღლებლივ გასცა პასუხი:

— თქვენ თქვენი საქმეც ბევრი გაქვთ. ის გირჩევენიათ, ანგარიში წარმოადგინოთ.

— ანგარიში წარმოვადგინო? — შეჰყვირა დანტონმა, — წადით და ანგარიში მოსთხოვეთ არგონის მთებსა და ხეებს, გათავისუფლებულ შამპანს. საფრანგეთთან შემოერთებულ ბელგიას, ჩვენს ლაშქარს, რომელთანაც უკვე ოთხჯერ ვიყავ ბრძოლაში თავგანწირული! წადით და მოსთხოვეთ ანგარიში რევოლუციის მოედანს, ოცდაერთ იანვრის ეშაფოტს, მიწასთან გასწორებულ მეფის ტახტს, დაქვრივებულ გილოტინას...

მარატმა წაართვა სიტყვა:

— ქალწულია გილოტინა! ზედ წვანან, მაგრამ კი არ ანაყოფიერებენ.

— თქვენ რა იცით? — შეუტია დანტონმა. — მე გავანაყოფიერებ!

— ვნახოთ, — უპასუხა მარატმა.

და გაიცინა.

დანტონმა დაინახა.

— მარატ, — შეჰყვირა გაბრაზებით დანტონმა. — თქვენ ფარულად მოქმედებთ. მე კი ყველას დასანახავად, გარეთ ჰაერზე და სინათლეზე. ქირივით მძაგს ქვემძრომული ცხოვრება. მატლი კი არა ვარ, რომ ყველას ვემალებოდე. თქვენ ჯურღმულში ცხოვრობთ, მე ქუჩაში. თქვენ გულდახშული ხართ, ხმას არავის გასცემთ, მე კი ხალხში ვარ და ყველას შეუძლია ჩემი ნახვა და, თუ უნდა, ჩემთან ბაასიც.

— კონტა ბიკო, ერთ წამს ჩემთან ვერ ამოხვალ? — წარმოსთქვა მარატმა ქალის ხმით.

მერე შეიკავა სიცილი და გადაქრით უთხრა:

— დანტონ, წარმოადგინეთ ანგარიში ოცდაცამეტი ათასისა, მონმორენმა რომ მოგკათ მეფის წყალობით, ვითომდა შატელეში პროკურორის თანამდებობის ასანაზღაურებლად.

— მე წინ ვუძღოდი თოთხმეტ იელისს, მე ავადებინე ხალხს ბასტილიის ციხე, — თქვა მედიდურად დანტონმა.

- მეფის ავეჯი? ტახტის თვალ-მარგალიტი?
- მე გადმოვთრიე ლუი XVI ვერსალიდან პარიზში.
- და თქვენი ალტერეგოს¹⁾ ლაკრუას ქურდობა ბელგიაში?
- მე მოგიძღვენით ოცი ივნისი.
- მონტანსიეს რომ ფულები ჩაუჩხრიალეს?
- მე დავაბრუნებინე ხალხს გაპარული მეფე.
- ოპერის დარბაზი, თქვენგან მიღებული ფულით რომ ააშენეს.
- პარიზელ ხალხს მე შეეფუძინე იარაღი.
- ასი ათასი ლივრი მართლმსაჯულების საიდუმლო თანხიდან?
- მე დავაქერინე ხალხს მეფე და გამოვაცხადე მეფობის მოსპობა.

— და ორი მილიონი საერო კრების საიდუმლო დანახარჯი? მეოთხედი ხომ თქვენს მიიღეთ?

— საფრანგეთზე მომავალი მტერი შევაყენე და გზა შევუკარ.

— უნამუსო! — წარმოთქვა მარატმა.

გაცოფებული წამოვარდა დანტონი.

— დიახ, კახპა გოგო ვარ! გავყიდე ჩემი ტანი, მაგრამ ქვეყანა კი გადავარჩინე.

რობესპიერი ფრჩხილებს იღრღნიდა. არც სიცილი შეეძლო, არც ღიმილი. სიცილი დანტონისა იყო ჭექა-ქუხილი, და ღიმილი მარატისა იყო წვერმახვილი ნესტარი. რობესპიერს არც ერთი გააჩნდა, არც მეორე.

დანტონი გრგვინავდა:

— მე ოკეანე ვარ! მეც მაქვს ოკეანური მოქცევა და უკუქცევა. უკუქცევის დროს ჩანს ხოლმე ჩემი მეჩეჩი, და მოქცევის დროს ძღვევამოსილი ჩემი ტალღები.

მარტოოდენ ქაფი, — დაიძახა მარატმა.

— გრგვინვა და გრიგალი, — უპასუხა დანტონმა.

დანტონთან ერთად მარატიც წამოვარდა. ისიც გაცოფებული იყო. გველხოკერა უცბად გველეშაპად გადაქცეულიყო.

— აჰ! — ყვიროდა მარატი, — აჰ, რობესპიერ! აჰ, დანტონ! მაშ არა გნებაეთ ჩემი მოსმენა?! ჰო და, ამას ხომ მომისმენთ! წასულია თქვენი საქმე! გაუვალ ზღუდესთან მიგიყვანთ თქვენი პოლიტიკა და ველარას გააწყობთ, ძალიანაც რომ ახალოთ თავი. გასავალი აღარსად გექნებათ! თქვენ ისე იქცევით, რომ ყველგან დაკეტილი დაგზვდებათ კარი, გარდა საფლავისა.

1) ალტერეგო ნიშნავს მეორე „მე“-ს.

— ჩვენი დიდებაც ეგ არის, — უთხრა დანტონმა.
და მხრები აიჩეჩა.

მარატი კი აღარ იწლიდა:

— ფრთხილად დანტონ!. ვერნიოსაც დიდი პირი ჰქონდა შენ-
სავით, მსხვილი ლაში და გაშმაგებული თვალწარბი; ისიც აგრევე
იყო დაკენკილი, როგორც მირაბო და შენ, მაგრამ მაისის ოცდა-
თერთმეტს ვერ გადაარჩინა ამ სილამაზემ. აჰ, მხრები აიჩეჩე?! მხრე-
ბის აჩეჩა ხანდახან თავის მოჭრას მოასწავებს. გეყურება, დანტონ?
შენი ღრიალი, შენი გახსნილი საკინძე, შენი რბილი წაღები, შენი
პატარა ვახშმები და შენი დიდი ჯიბეები ლუიზეტს ჩაჰბარდება და
იმასლა გაახარებს.

გილოტინას ლუიზეტს ეძახდა მარატი, როცა ალერსით იხსე-
ნიებდა.

და ახლა რობესპიერს მიუბრუნდა:

— რაც შეგეხება შენ, რობესპიერ, შენ ზომიერი ხარ, მაგრამ ეგ
ზომიერება ვერას გიშველის. აგრე, ჩემო რობესპიერ, დაიყარე... ეგ
პულრი, კოხტად მოირთე თავი, იყავ ე მაგრე სალუქი, მორთულ-
მოკაზმული მშვენიერი თეთრეულით, დახუჭუჭებული თმით, მაგ-
რამ მაინც ვერ ასცდები გრევის¹⁾ მოედანს. წაიკითხე ბრაუნშვეი-
გის განცხადება. შენც ისეთივე მკვლეელი ხარ მეფისა, როგორც და-
მიანი. იყავ კოხტად-კოპწიად, რადგან მალე მიგაბრძანებენ გულ-
წარმტაც ლუიზეტთან.

— კობლენცს ვიმეორებთ, — წარმოთქვა რობესპიერმა.

— მე არაფერს ვიმეორებ, რობესპიერ, მე ხმა ვარ ხალხისა.
აჰ, თქვენ ყმაწვილები ხართ, განა? რამდენი წლისა ხარ, დან-
ტონ? ოცდაათოთხმეტისა! რამდენი წლისა ხარ, რობესპიერ? ოცდა-
ცამეტისა! ჰო და, მე, მე ყოველთვის ცოცხალი ვიყავ; მე ვარ ძვე-
ლი ტანჯვა ხალხისა, მე ექვსი ათასი წლისა ვარ.

— მართალს ამბობ, — უბასუხა დანტონმა, — ამ ექვსი ათასი
წლის განმავლობაში კაინი სუფევს მძულვარებაში, როგორც ჯო-
ჯო კლდეში. კლდე რომ გასკდება, კაინი გამოვარდება და ხალხში
ჩაერევა მარატად.

— დანტონ! — შეჰყვირა მარატმა და ლურჯად აუვარდა თავში
სისხლი.

— რაო? რა გნებაეს? — შეუტია დანტონმა.

¹⁾ გრევი იყო ადგილი პარიზში, სადაც სისრულეში მოყავდათ დამნაშავე-
თა სასჯელი.

ასე ლაპარაკობდა ეს სამი მძლავრი მოღვაწე: ქეკა და ქუხილი ჩხუბობდნენ ერთმანეთში.

III

შიდაქარღვევის თრთოლა

სამივე ჩაჩუმდა ცოტა ხანს. თავის ფიქრებს გაჰყვნენ ეს ბუმბერაზები.

ლომი ლომია, მაგრამ მაინც ერიდება ჰიდრას. რობესპიერი მთლად ფერმიხდილი იჯდა და დანტონი გაწითლებული. ორნივე შეთრთოლდნენ ერთ წამს. თვალი ჩაუქრა მარატს; სიმშვიდე, მედიდური სიმშვიდეა მოჩანდა ამ საშინელთა უუსაშინელესის სახეზე. დანტონი დამარცხებულად გრძნობდა თავს, მაგრამ არ უნდოდა დანებება და თქვა:

— მარატი ძალიან გაჰყვირის — დიქტატურა და ერთობაო, და ნამდვილად კი რღვევისა და შუღლის მეტი არა შეუძლია რა.

რობესპიერმაც, როგორც იყო, გააღო მაგრად მოკუმული პირი და დაუმატა:

— მე ანახარსის კლოტის აზრისა ვარ: არც როლანი, არც მარატი.

— მე კიდევ ჩემსას ვიძახი, — თქვა მარატმა, — არც დანტონი, არც რობესპიერი.

თვალი გადაავლო ორივეს და დაუმატა:

— ნება მიბოძეთ, პატარა რჩევა მოგცეთ, დანტონ. ჰო და, ნუღარ ჩაერევით პოლიტიკაში, ჰკუაზე მოდით.

კარისკენ გადადგა ერთი ნაბიჯი, წასვლას აპირებდა, და გამოეთხოვა მუქარით საესე სიტყვით:

— ნახვამდის, ბატონებო!

თრთოლა მოერიათ დანტონსა და რობესპიერს.

ამ დროს ვილაციის ხმა გაისმა კარის მხრიდან.

— სცდები, მარატ.

სამნივე კარისკენ მიბრუნდნენ. იმ დროს, როდესაც ბრაზმორეული ლაპარაკობდა მარატი, ვილაც შემოსულიყო ოთახში მათ შეუშინებლად.

— შენ ხარ, მოქილაქე სიმურდენ? — მიმართა მარატმა, — გამარჯობა შენი!

მართლა სიმურდენი იყო.

— მე ვარ, და ვიმეორებ, — სცდები, მარატ.

მარატი გამწვანდა; ისე მოუვიდოდა ხოლმე ფერმიხდილს.

— შენ სასარგებლო ხარ, რობესპიერი და დანტონი კი საჭირო. რას ემუქრები? ერთობა, ერთობა, ამხანაგებო! ხალხი მოითხოვს ჩვენს ერთობას.

ისეთი გავლენა იქონია სიმურდენის შემოსვლამ, თითქო ცეცხლს წყალი გადაასხესო; და როგორც უცხოს შესვლამ, როდესაც ჩხუბია ოჯახში, უცბად დაამშვიდა მოკამათენი, გარეგნად მაინც, თუ გულში არა.

სიმურდენი მაგიდასთან მივიდა.

დანტონი და რობესპიერი იცნობდნენ სიმურდენს: ხშირად შეუნიშნავთ კონვენტში, ხალხისთვის დანიშნულ ტალანში, ეს უცნობი ძლიერი კაცი, რომელსაც სალამს აძლევდა ხალხი. რობესპიერმა მაინც კითხვით მიმართა:

— აქ როგორ მოხვედით, მოქალაქე?

— ევეშელი არის, — უპასუხა მარატმა იმისთანა ხმით, რომ შიგ პატარა მორჩილებაც მოისმოდა.

მარატი არაფრად აგდებდა კონვენტს, წინ უძლოდა კომუნას და ეშინოდა ევეშისა.

ეს კანონია:

მირაბო¹⁾ გრძნობს, რომ სადღაც სიღრმეში იძვრის და ღონეს იკრებს რობესპიერი; რობესპიერი გრძნობს მარატის მოძრაობას; მარატი ჰებერისას, ჰებერი ბაბეფისას. მანამ უძრავად არის ფეხქვეშ ნიადაგი, თამამად იღვწის პოლიტიკის მოღვაწე; მაგრამ რაც უნდა დიდი რევოლუციონერი იყოს კაცი, მაინც მიწაზე უდგას ფეხი და ჰკარგავს თავის სიმშვიდეს, როგორც კი იგრძნობს ფეხქვეშ იმ ნიადაგის რყევას, რომელსაც თვითონ ამაგრებდა.

განსხვავება უნდა ედევას პირად ქუჩით და ჯიბით გამოწვეულ მოღვაწეობას, და იმ მოღვაწეობას, რომელიც მარტოოდენ პრინციპით არის გამოწვეული. პირველთან — ბრძოლა, მეორეს — დახმარება, აი სად გამოჩნდება რევოლუციონერის გენიოსობა და სათნოება.

დანტონმა ქედმოხრილი ნახა მარატი.

— ოჰ, ჩვენია მოქალაქე სიმურდენი, — თქვა დანტონმა, — და ზელი ჩამოართვა. მერე დაუმატა:

— მართლა და სწორედ დროზე შემოგვესწრო ეს დალოცვილი. ავუხსნათ მდგომარეობა მოქალაქე სიმურდენს. მე მთიელებს წარ-

¹⁾ მირაბო იყო ეკონომისტი და პოლიტიკური მოღვაწე. გარდაიცვალა 1789 წელს. მას ბრალი დასდეს სასახლესთან კომპრომისში.

მოვადგენ, რობესპიერი წარმოადგენს კომიტეტს საზოგადოებრივ ჯანრინებისას, მარატი წარმოადგენს კომუნას, სიმურდენი წარმოადგენს ევეშეს. ჩვენ ვერ შევთანხმდით, იქნება სიმურდენმა თქვას რამე და ჩვენც მივემხროთ.

— ძალიან კარგი, — თქვა თავმდაბლად სიმურდენმა, — რა შია საქმე?

— ვანდეში, — უპასუხა რობესპიერმა.

— ვანდეში, — გაიმეორა სიმურდენმა. — დიდ უბედურებას გვიქადის ვანდე. თუ დამარცხდა და ჩაიშალა რევოლუცია, ამის მიზეზი ვანდე იქნება. ჩვენი ვანდე უფრო საშინელია, ვიდრე ათი გერმანია. თუ გნებავთ, რომ ცოცხალი დარჩეს საფრანგეთი, ანდერძი უნდა ავეუგოთ ვანდეს.

ამ სიტყვებით მოიგო გული რობესპიერისა.

იმან კი მაინც შემდეგი კითხვით მიმართა სიმურდენს:

— თქვენ ყოფილი მღვდელი ხართ?

მღვდლის იერი არ გამოეპარა რობესპიერს. თავის გარეთ ადვილად სცნობდა, რაც თვითონ ჰქონდა გულში ჩამალული.

სიმურდენმა უპასუხა:

— დიახ მღვდლად ვიყავ.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს? — შეჰყვირა დანტონმა. — თუ კარგი არის, მღვდელიც ისეთივე კარგია, როგორც სხვა, ერის კაცის რევოლუციის დროს მღვდლები მოქალაქეებად გარდაიქცევიან, როგორც ზარები ფულად და ზარბაზნებად. დანუ მღვდელია, დონუ მღვდელია, თომა ლინდე ეპისკოპოზია დევრეისა. რობესპიერ, კონვენტში თქვენ გვერდით უზიხართ მასსიეს, ბოველ ეპისკოპოზს. ეპისკოპოზის მოადგილე ვოჟუა ათ აგვისტოს აჯანყების კომიტეტის წევრი იყო. შაბო ბერი არის, კაფუცინი. ბერი ჟერლის წინადადებით გაიფიცა საერო კრება ოც ივნისს 1789 წ. — არ დავიშლებით, ვიდრე კონსტიტუციას არ შევადგენთო. მღვდლის ოდრანის რჩევით იქნა გამოცხადებული საერო კრება მეტი უფლებებით აღჭურვილად, ვიდრე მეფე. მღვდელმა გუტმა მოსთხოვა კანონმდებელ კრებას — ლუი XVI ტახტს ბალდაზინი ახსენითო. მღვდელმა გრეგუარმა გამოიწვია გაუქმება მეფობისა.

— რომელსაც მხარი დაუჭირა მასხარა კოლლო დებრუამ, — წამოიძახა მარატმა. — ამ ორმა კაცმა დაამხო მეფობა: მღვდელმა ტახტი დაანგრია, მსახიობმა მეფე წააქცია.

— ვანდეს დავუბრუნდეთ, — თქვა რობესპიერმა.

— ძალიან კარგი, — დაეთანხმა სიმურდენი. — მაგრამ რა მოხდა, რას შვრება თქვენი ვანდე?

რობესპიერმა უპასუხა:

— რას შვრება და, მხედართმთავარი ჰყავს უკვე და საშინელებას გვიქადის.

— ვინ არის ეგ მხედართმთავარი, მოქალაქე რობესპიერ?

— ყოფილი მარკიზი, დელანტენაკი, რომელსაც ბრეტანელ პრინცად მოაქვს თავი.

სიმურდენი შეინძრა.

— ვიცნობ. მღვდლად ვიყავ იმათსას.

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დაუმატა:

— ქალების მოტრფიალე იყო, ვიდრე ხმაღს აიღებდა.

— როგორც ბირონი¹⁾, რომელიც ლოზენს არ დაუვარდებოდა, — თქვა დანტონმა.

სიმურდენი ჩაფიქრებული იყო და ისიც დაეთანხმა:

— ამოვნების კაცი იყო ჩემ დროს. დღეს საშინელი იქნება.

— საზარელი, — დაეთანხმა რობესპიერი. — სოფლებს სწვავს, დაჭრილებს ჰხოცავს, ტყვეებსა ხერეტს, ქალებსაც იმათთან ერთად.

— ქალებსაო?

-- დიახ, ამას წინათ სხვებთან ერთად დედაკაცი დაახვრეტიანა, სამი ბავშვის დედა. ბავშვებისა აღარა იცოიან რა. და გარდა ამისა გამოცდილი მხედარია, კარგად იცის ომი.

— მართალია, — დაემოწმა სიმურდენი. — ჰანოვერში იყო ჯარში და სალდათები იძახდნენ, — სადღაც მალლა რიშელიე და ჩვენთან დაბლა ლანტენაკიო! — ნამდვილი გენერალი ამ ომში ლანტენაკი იყო. თქვენ დიუსოლს ჰკითხეთ, ის გეტყვით დაწვრილებით.

რობესპიერი დაფიქრებული იყო ცოტა ხანს, მერე ისევ სიმურდენს მიუბრუნდა:

— ჰო, და მოქალაქე სიმურდენ, ეგ კაცი ვანდეში არის.

— დიდი ხანია?

— სამი კვირაა.

— კანონის გარეშე გამოვაცხადოთ.

— გამოცხადებულია.

— ჯილდო დავუნიშნოთ იმის მკვლელს.

— დანიშნულია.

— ჯილდო აღუთქვიათ, ვინც დაიჭერს. დიდი ფული შევთავაზოთ.

¹⁾ ბირონი იყო გენერალი, რომელსაც თავი მოკვეთეს 1793 წელს.

- ჯილდოც არის.
- ასიგნაციებით კი არა...
- უკვე არის.
- სულ ოქრო?
- დიახ, ოქრო.
- და მერე გილოტინით მოგკლათ.
- ეგ ხომ აგრე იქნება.
- ვინ იქნება ამის აღმსრულებელი?
- თქვენ.
- მე?

— დიახ, თქვენ იქნებით ვანდეში საზოგადოებრივი განრინების კომიტეტის მიერ სრულუფლებით აღჭურვილი.

— თანახმა ვარ, — თქვა სიმურდენმა.

ჩქარი ამორჩევა უყვარდა რობესპიერს, — სახელმწიფო კაცის თვისება. მის წინ დალაგებული ქალღლეზებიდან ერთი თაბახი თეთრი ქალღლეზი ამოიღო, რომელსაც ზემოდან დაბეჭდილი ჰქონდა სიტყვები: „საფრანგეთის რესპუბლიკა, ერთი და განუყოფელი. კომიტეტი საზოგადოებრივი განრინებისა“.

სიმურდენმა გაიმეორა:

— დიახ, თანახმა ვარ, საშინელი საშინელის წინააღმდეგ. ლანტენაკი სისხლით გაუმადლარია, მეც ისევე მოვიტყევი. ან მე, და ან ის ამ ომში! ამ მტერს ჩამოვაცლი რესპუბლიკას, თუ ღმერთი შემეწია.

გაჩუმდა, მერე ბოდიშით:

— მღვდელი ვიყავ. მაგრამ სულ ერთია. მე მრწამს ღმერთი.

— დაბერდა ღმერთი! — უთხრა დანტონმა.

— მე მრწამს, — თქვა მშვიდად სიმურდენმა.

თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია რობესპიერმა.

სიმურდენმა ჰკითხა:

— ვისთან ვიქნები წარმომადგენლად გაგზავნილი?

რობესპიერმა უპასუხა:

— ლანტენაკთან საბრძოლად გაგზავნილი მოწინავე ჯარის მხედართმთავართან. ოღონდ ახლავე გაფრთხილებთ, — დიდებულის შთამომავალი არის.

დანტონმა შეჰყვირა:

— რით ვერ გაიგეთ, რომ აღარ არის დიდებულება! რას ჩასციებისაწრთ წარსულს! დიდებულის შთამომავალი არის! მერე? დიდებულსაც ის მოუვიდა, რაც მღვდელს, — გარდაქმნა და აწინდე-

ლის შეგუება. თუ კარგია, საუცხოვოა. დიდებულება ცრუმორწმუნობადაა და რაჩენილა და საჭიროა არა მარტო ავს, კარგსაც ვხედავდეთ ამ სიტყვაში. რობესპიერ, განა სენ-ჟუსტი დიდებული არ არის? სახელს უყურეთ თქვენა, — ფროლელ დე-სენ-ჟუსტს. ანა-ხარსის კლოტი ბარონი არის. ჩენი მეგობარი შარლ ჰესი, რომელიც ერთ კრებას არ დააკლდება კორდელიერებისას, პრინცი არის და შმა ჰესს-როტენბურგის მეფისა. მონტო, გულითადი მეგობარი მარატისა, არის მარკიზი დე-მონტო. რევოლუციურ სასამართლოში მსაჯული გყავთ ერთი, ყოფილი მღვდელი, ვილაგი, და ერთი კიდევ დიდებული, ლერუა, მარკიზი დემონფლაბერი, ორივე — ერთგული მოღვაწე.

— ნურც რევოლუციურ სასამართლოს თავმჯდომარეს დაივიწყებთ, — მოაგონა რობესპიერმა.

— ანტონელს?

— რომელიც მარკიზ ანტონელი არის, — თქვა რობესპიერმა.

ისევე დანტონმა განაგრძო:

— დიდებულთაგანი არ იყო დამპიერი, რომ რევოლუციისათვის გასწირა თავი? ან ბორეპერი, რომელმაც თავი მოიკლა და პარუსიელებს კი არ გაულო ვერდენის კარი?

— და მიუხედავად მაგისა. — წაიბუზღუნა მარატმა, — კონდორსემ¹⁾ რომ სთქვა — „გრაკები დიდებულები იყვნენო“. — დანტონმა დაუყვირა: „ყველა დიდებული მოლაღატა, მირაბოდან რომ დავიწყოთ, შენამდე შიგ ჩართვითაო!“

სიმურდენის ხმა გაისმა მშვიდი, ოდნავ ამალღებული:

— მოქალაქე დანტონ, მოქალაქე რობესპიერ, იქნება მართალიც იყოთ, რომ მაგრე ნდობით უყურებთ დიდებულთ. მაგრამ ხალხი კი უნდობლად ექცევა და არცა სცდება, რომ ასე იქცევა. მღვდელს რომ დაავალებენ დიდებულის ზვერვას, ერთიორად მატულობს პასუხისგება და, მაშასადამე, უღმობელი უნდა იყოს მღვდელი.

— ცხადია, — დაეთანხმა რობესპიერი.

სიმურდენმა დაუმბატა:

— და ლოდივით უდრეკელი.

რობესპიერმა აუხსნა ვისთან ექნება საქმე სიმურდენს:

— სწორედ აგრე. მოქალაქე სიმურდენ. ყმაწვილ კაცს გაბარებთ. თქვენ ერთიორად უფროსი ხართ იმაზე და, მაშასადამე, გავლენაც გექნებათ. თქვენ უნდა ხელმძღვანელობდეთ, მაგრამ დიდი

¹⁾ კონდორსიე იყო მე-18 საუკ. ცნობილი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, აკადემიის მუღმივი მდივანი.

სიფრთხილით, რომ არაფრით შელახოთ მისი პიროვნება. როგორც ეტყობა, ძალიან ნიჭიერი მხედართმთავარია. ამ მხრივ ერთსა და იმასვე იწერებიან ყველა მოხსენებაში. რეინის ლაშქრიდან გამოჰყვეს ნაწილი და იმასთან ერთად გადაჰგზავნეს ვანდეში. ეს არის ბრძოლის ველიდან დაბრუნდა, სადაც საკვირველი მოხერხება და ვაჟკაცობა გამოიჩინა. საგანგებოდ სარგებლობს თავის ჯარით. აგერ ორი კვირაა, წინ უდგას და ყოველ განზრახვას ურღვევს იმ ბებერ მარკიზ ლანტენაკს. უკან ახევინებს და მისდევს, როგორც დამფრთხალ ნადირს. ბოლოს ზღვის პირთან მიიმწყვდევეს და ზღვაში ჩააყურყუმელაგებს. ლანტენაკს ბებერი გენერლის ვერაგობა აქვს, და იმას ყმაწვილი კაპიტნის სიმამაცე. ამ ყმაწვილ კაცს უკვე გამოუჩნდნენ მტრები და მოშურნენი. თვით გენერალი ლეშელიც კი ველარ ჰფარავს თავის შურს.

— ეგ თქვენი ლეშელი, — შეაწყვეტინა დანტონმა, — სულ იმის ცდაშია, რომ მხედართმთავრობა მიიღოს და ერთი კალამბურის მეტი არა გააჩნია რა ამის მისაღწევად: მე ლეშელი — კიბე ვარ შარეტზე ასასვლელიო და ამასობაში სცემს და სცემს შარეტი.

— და არ უნდა, რომ იმის გარდა ვინმე სხვამ დაამარცხოს ლანტენაკი. ვანდეს ომის უბედურებაც სწორედ აქ ქიშპობაში არის. სულ გამირები არიან ჩვენი სალდათები. მაგრამ რას იზამთ, რომ წინამძღვარნი არ უფარვათ? ერთი უბრალო კაპიტანი, შამბონი, შედის თავის პატარა რაზმით სომურში სა-ირას ძახილით. სომური აიღო; ძალიან ადვილად შეუძლია განაგრძოს წინსვლა და შოლეს აღებაც, მაგრამ ბრძანება არა აქვს, ბრძანებას ელის და ტყუილად ჰკარგავს დროს. სულ უნდა გამოცევალოთ, რაც ვანდეში ჯარის უფროსები გვყავს. სადარაჯო რაზმები გაფანტულია, გაფანტულია მებრძოლი ჯარი; — გაფანტული ლაშქარია საბრძოლველად წამხდარიო. ბრეს აადენს მტერი, თუ შემოუტია. პარიმეში ცარიელი კარვების მეტი აღარა არის რა. ტრევიეს და დინანის შუა ასამდე პატარა საგუშაგოა მოწყობილი, სრულიად უსარგებლო, რომლების შეერთებით შეიძლება მთელი დივიზიის შედგენა და ზღვისპირის დაცვა. ლეშელი უპატრონოდ სტოვებს ზღვისპირის ჩრდილოეთს, — სამხრეთს უფრო სჭირია დაცვა; ამაში პერრეინიც იმას ემხრობა და ამგვარად საფრანგეთის კარს უღებს ინგლისს. ნახევარ მილიონამდე აჯანყებული გლეხკაცი და ინგლისის ჯარის გადმოსხმა საფრანგეთში, — აი ლანტენაკის გეგმა. ყმაწვილი მხედართმთავარი, ვანდეში გაგზავნილი ლაშქრის მოწინავე რაზმისა, წინ უდგას ლანტენაკს, გულში სცემს ხმალს და უკან ახევინებს ლეშელის ნება-

დაურთველად. და ლეშელი კი უფროსია იმისი. ლეშელიც აბეზღებს და აბეზღებს! სულ სხვადასხვა აზრის არიან ამ ყმაწვილი კაცის შესახებ ჩვენი მეთაურები: ლეშელი ამბობს, — დასახვრეტი არისო, პრიორ დე-მარნი ამტკიცებს — მხედართმთავრად ის დავნიშნოთო.

— დიდი ღირსების ადამიანად მიმაჩნია მე ეგ ყმაწვილი კაცი, — თქვა სიმურდენმა.

— მაგრამ დიდი ნაკლულევანებაც სჭირს, — დაუმატა მარატმა.

— რა ნაკლულევანება? — ჰკითხა სიმურდენმა.

— ლმობიერება.

და განმარტა თავისი ნათქვამი.

— ტალივით მაგარია ბრძოლაში და ცვილივით ჩვილი ბრძოლის შემდეგ. ეს შებრალებათ, ეს შენდობა და შეწყალებათ! მოლოზნებს ეხმარება, არისტოკრატების ცოლსა და ქალს მფარველობას უწყევს, დაპატიმრებულს უშვებს, მღვდლებს ათავისუფლებს.

— დიდი შეცდომაა, — თქვა სიმურდენმა.

— დანაშაულია, — თქვა მარატმა.

— ხანდახან მხოლოდ, — თქვა დანტონმა.

— ხშირად, — თქვა რობესპიერმა.

— თითქმის ყოველთვის, — ოდნავ დაეთანხმა მარატი.

— ყოველთვის, თუ საქმე სამშობლოს მტრებს შეეხება, — გაუსწორა სიმურდენმა.

მარატი სიმურდენისკენ მიბრუნდა.

— მაშ რას უზამ, ამხანაგო სიმურდენ, რესპუბლიკის მართებ-
'ლობის წარმომადგენელს, თუ გაუწყრა შენი ღმერთი და მეფის მო-
მხრე გენერალი გაათავისუფლა?

— მეც ლეშელის აზრისად მოვიქცევი, დავახვრეტინებ.

— ან გილოტინით მოსჭრი თავს, — უთხრა მარატმა.

— თვითონვე აირჩიოს, — თქვა სიმურდენმა.

დანტონს სიცილი წასკდა:

— არჩევანი ძნელია: ორივე სანატრელია!

— დარწმუნებული ხარ, რომ ვერც ერთს ასცდები, ვერც მეორეს, — გადაჰკრა მარატმა.

მერე ისევ სიმურდენს მიუბრუნდა:

— მაშ, მოქალაქე სიმურდენ, თავს გააგდებინებ რესპუბლიკის მოღვაწეს, თუ ფეხი წაუსხლტა სადმე?

— ოცდაათს საათში.

— ჰოდა, მკაცრ ვეთანხმები რობესპიერს, — თქვა მარატმა, — ზღვის პირის ლაშქრის მოწინავე ჯარის მხედართმთავართან დავ-

ნიშნით საზოგადოებრივი განრინების კომიტეტის წარმომადგენლად მოქალაქე სიმურდენი. რა ჰქვია იმ გულჩვილ მამაცს?

პასუხი რობესპიერმა გასცა:

— დიდი გვარიშვილია.

და ქალაქებს ფურცვლა დაუწყო.

— მღვდელს მივანდოთ დიდებული, — თქვა დანტონმა. — მე მღვდლისა არა მწამს რა, როცა ის მარტო არის. არც დიდებული-სა მწამს რამე, თუ ისიც მარტო არის. მაგრამ, როცა ერთად არიან, საშიში აღარაფერია; ყურს უგდებენ ერთმანეთს და ველარას ჰბედავენ.

წარბი შეიქმუხნა სიმურდენმა, ეწყინა ეს სიტყვა, მაგრამ ეტყობოდა, საფუძვლიანად მიანჩნდა, და ისევ რობესპიერისკენ მიბრუნდა.

— თუ ჩაიდინა რამე რესპუბლიკის საზიანო, სიკვდილით იქნება დასჯილი.

რობესპიერი ქალაქებს დასცქეროდა და უთხრა:

— აი იმისი სახელი, მოქალაქე სიმურდენ. ჯარის უფროსი, რომელთანაც თქვენ მიხვალთ სრულუფლებით აღჭურვილი, არის ყოფილი ვიკონტი. ¹⁾ გოვენი ჰქვია.

სიმურდენი გაყვიტლდა.

— გოვენი? — შეჰყვირა თავისუნებურად.

მარატმა შენიშნა ეს მღელვარება.

— ვიკონტი გოვენი? — გაიმეორა სიმურდენმა.

— დიახ, — უპასუხა რობესპიერმა.

— მერე? — ჰკითხა მარატმა და დააცქერდა სიმურდენს.

დადუმდა ყველა. და ისევ მარატის ხმა გაისმა ცოტა ხანს უკან:

— მოქალაქე სიმურდენ, თანახმა ხართ იკისროთ ვალდებულება სრულუფლებიანი კომისრისა ჯარის უფროს გოვენთან იმ პირობით, რომელიც თქვენვე განაცხადეთ? თანახმა ხართ?

— თანახმა ვარ, — უპასუხა სიმურდენმა.

მთლად ფერმიხდილი იყო სიმურდენი.

რობესპიერმა კალამი აიღო და თავის ნელი, მაგრამ გარკვეული ხელით ოთხი სტრიქონი დასწერა ქალაქებს, რომელს თავში დაბეჭდილი იყო სიტყვები: „საზოგადოებრივ განრინების კომიტეტი“, ხელი მოაწერა და კალამთან ერთად გადასცა დანტონს. დანტონმა ხელი მოაწერა და წინ დაუდგა მარატს, რომელიც თვალს არ აშო-

¹⁾ ვიკონტი — აზნაურს ნიშნავს.

რებდა ფერმიხდილ სიმურდენს. დანტონის შემდეგ მარატმა მოაწერა.

რობესპიერმა აიღო ქალაღი, თარიღი დაუსვა და სიმურდენს მისცა. სიმურდენმა წაიკითხა:

„წელიწადი II რესპუბლიკისა.

სრული უფლება ეძლევა მოქალაქე სიმურდენს საზოგადოებრივი განრინების კომიტეტის მიერ ზღვისპირის ლაშქრის მოწინავე: ჯარის მხედართმთავარ გოვენთან კომისრად მივლინებულს.

რობესპიერი. დანტონი. მარატი.

და ზელმონაწერის შემდეგ, ქვემოთ:

28 ივნისს 1793“.

რევოლუციური კალენდარი, ეგრედწოდებული სამოქალაქო კალენდარი, იმ დროს ჯერ არ იყო კანონიერად შემოღებული; კონვენტმა ახალი კალენდარი დაამტკიცა, თანახმად რომის წინადადებისა, მხოლოდ ოქტომბრის ხუთს 1793 წ.

სიმურდენი რომ კითხულობდა, თვალს არ აშორებდა მარატი და ჩუმიდ წარმოთქვა, თითქო თავის თავს ელაპარაკებო:

— ჩვენი დადგენილება დამტკიცებული უნდა იქმნას კონვენტის დეკრეტით, ან კომიტეტის საგანგებო ბრძანებით. ცოტა რამ კიდევ არის გასარიგებელი.

— მოქალაქე სიმურდენ, — მიმართა რობესპიერმა, — სადა გაქვთ ბინა?

— კომერსის ეზოში.

— ოჰო! მეც იქვე ვარ, — წამოიძახა დანტონმა. — მეზობლები ვყოფილვართ.

რობესპიერმა მიმართა ისევ სიმურდენს:

— წამსაც კი ნუ დაეკარგავთ. ხვალ მიიღებთ თქვენს მივლინების წესისამებრ შედგენილ ბრძანებას, ხელმოწერილს კომიტეტის ყველა წევრების მიერ. ეს კი, საბუთი იმავე დავალებისა, მთავრობის იქ მყოფ წარმომადგენელებთან გამოგადგებათ; ფილიპო არის ამჟამად იქ, პრიორ დე-მარნი, ლეკუანტრი, ალკიე და სხვანი. ჩვენ ვიცნობთ; ვიცით, რაც ხართ. უსაზღვრო უფლებით ხართ აღჭურვილი. თქვენ შეგიძლიათ გენერლობა მისცეთ გოვენს, ან დაახვრეტინოთ. ბრძანებას ხვალ სამ საათზე მიიღებთ. როდის წახვალთ?

— ხვალ ოთხ საათზე, — უპასუხა სიმურდენმა.

და დაიშალნენ.

შინ რომ მივიდა მარატი, სიმონ ევარდს უთხრა, — ხვალ კონვენტში ვიქნებიო.

წიგნი პესაჲ

კონვენტი

I

კონვენტი

დიდ მწვერვალს ვუახლოვდებით.

აი კონვენი.

გაშტერებული რჩება თვალი, ამ მწვერვალს რომ დაინახავს.

ამაზე უმაღლესი თავის დღეში არა დაუნახავს რა აღამიანს ჰორიზონტზე.

არის ჰიმალაი და არის კონვენი.

კონვენი შეიძლება უმაღლესი წერტილი იყოს ისტორიისა.

მანამ ცოცხალი იყო კონვენი, რადგან ცოცხალი არსება არის კრება, აზრადაც არავის მოსდიოდა მისი სიდიადე. სწორედ მისი სიდიადე გამოუპარათ თანამედროვეთ; მეტად შეშინებული იყვნენ, რომ დიადის დანახვა შესძლებოდათ. რაც დიადია, რალაც წმინდა შიშს ჰგვრის აღამიანს. ადვილია აღტაცება საშუალოთი, ბორცვით, მაგრამ რაც მეტად მაღალია, — ნიჭი იქნება თუ მთა, კრება იქნება თუ ხელოვნების ნაწარმი, — განაცვიფრებს კაცს, თუ ახლო მივიდა მის სანახავად. გარდამეტებას მოგაგონებთ ყველა მწვერვალი. ასვლა გქანცავთ, სუნთქვა გეკვრით ციცაბზე, ფეხი გისხლტებათ დაღმართზე, ფეხს იტკენტ მის დამამშვენებელ კლდეებზე; აქაფებული ჩანჩქერი ჩაგძახით უფსკრული ხევის სიახლოვეს, ღრუბელი გიმაღავთ მწვერვალს; ისევე საზარელია ასვლა, როგორც მაღალ მთიდან ჩამოგორება. და აქედან — უფრო მეტი შიში, ვიდრე აღტაცება. რალაც უცნაურს განიცდის კაცი და ერიდება დიადს. საშინელ ხევს ბედავს და ველარ ამჩნევს მშვენიერებას; ბუმბერაზს ხედავს და ველარ ამჩნევს საკვირველებას. ასე იყო თავდაპირველად განხილული კონვენი. კონვენტს ბეცები ზომავდნენ, არწივების თაყვანსაცემად შექმნილ მზისდარს.

დღეს კონვენი წარსულშია, ბრწყინვალე, მაგრამ ტრაგიზმით სავეს წარსულში, დიადად ამართული უსაზღვრო ცაში. და ყოველმხრივ გვიხატავს საფრანგეთის რევოლუციის საოცარ სურათს.

II

მკათათვის. თოთხმეტს — ბასტილიის ციხის აღება და გათავისუფლება ხალხისა.

ავვისტოს ათს — ლუი XVI დაპატიმრება და ტახტის დამხობა.

სექტემბრის ოცდაერთს — რესპუბლიკის დაარსება.

სექტემბრის ოცდაერთს — ბუნიაობა, დღისა და ღამის გასწორება, თანასწორობა, წონასწორობა, სასწორო. და, რომის შენიშვნისა არ იყოს, — წონასწორობის და მართლმსაჯულების ზეციური ნიშნების დღეს იქნა დაარსებული რესპუბლიკა. თანავარსკვლავედმა მისცა მიმართულება.

კონვენტი წარმოადგენს პირველ გარდაქმნას ხალხისას. კონვენტი პირველი ნაბიჯია იმ განახლებისა, რომელსაც მომავლად მოჰყვება ჩვენი აწმყო.

ყველა აზრს თავისი გამოხატულება უნდა ჰქონდეს, დასაწახავი; ყველა პრინციპს — თავისი სამკვიდრო; საყდარი — ღმერთთა ოთხკედელში. ყოველ რწმენას — თავისი ტაძარი. კონვენტის შეკრებისათანავე აღიძრა კითხვა, — სად იქნებოდა იმის ტაძარი.

ჯერ მანუქში მოთავსდა, მერე ტუილერში. ჩარჩოები დასდგეს, მოკაზმულობა; ერთი დიდი სურათი, დავიდის მიერ დახატული; მწყობრად დალაგეს სკამები, ოთხკუთხი ტრიბუნა, პარალელურად ამართული სვეტები კუნძის მსგავსი კვარცხლბეკით; გრძელი მოაჯირები, სწორკუთხოვანი ტალანები, სადაც ყოველთვის ჰედვა იყო ხალხისა და სახელადაც სახალხო ტრიბუნა ერქვა; რომაული ფარდა, ბერძნული მოფარდაგება, და ამ სწორ ნაწებში მოათავსეს კონვენტი, ამ გეომეტრიაში ჩააყენეს გრიგალი. ტრიბუნის ზევიდან რომ წითელი ქუდი იყო, ლურჯად შეჭლებეს. მეფის მომხრეებმა მასხარად აიგდეს ეს წითელ-ლურჯი ქუდი; ეს უშნოდ მორთული დარბაზი, ეს კარტონის ძეგლი, ეს დამბალი ქალღმერთ აგებულ საკურთხეველი, ეს პანთეონი ტალახისა და ნაფურთხისა. და როგორ მალე უნდა შეცვლილიყო ეს ყველაფერი! სვეტები კასრის ტკეჩისა იყო, თაღები — ყავრისა, კვარცხლბეკი — კირისა, ლავგარდანი — ფიჭვისა, ძეგლები — მარმარილოდ შეღებილი თაბაშირისა, კედლები — ტილოსი. და ამ დროებითში საფრანგეთმა შეჰქნა მარადი.

მანუქის კედლები, როდესაც კონვენტმა გადაწყვიტა, იქ ჰქონოდა თავისი კრებები, მთლად დაფარული იყო აფიშებით, რომლებიც მრავლად იბეჭდებოდა პარიზში ლუი XVI ვარენიდან დაბრუნების შემდეგ. ერთზე დაბეჭდილი იყო: მეფე უკანვე მოდის. გავ-

ლახოთ, ვინც ტაშს დაუკრავს; ჩამოვახრჩოთ, ვინც შეურაცხყოფს. მეორეზე: მშვიდად იყავით! ქუდი არ მოუხადოთ! წინ გაუვლის თავის მსაჯულებს. ერთზე კიდევ: მეფე ხალხს უმიზნებდა და ახლა ხალხმა ესროლოს. ან კიდევ: კანონიერება! კანონიერება! ამ აფიშებით დაფარულ კედლებში განიხილა კონვენტმა მეფე ლუის დანაშაული.

ტულიეროში კონვენტი გადავიდა 10 მაისს 1793 წ. და სახელიც შეუცვალა, საერო პალატი უწოდა. ამ პალატაში კონვენტის საბჭო დარბაზს ჰქონდა მთელი ფართობი საათის დარბაზის, რომელსაც ერთობის დარბაზი უწოდეს, და მარსანის დარბაზს შუა, რომელსაც თავისუფლების დარბაზი დაარქვეს, ფლორის დარბაზი თანასწორობის დარბაზად იქცა. კონვენტის საბჭო დარბაზში ეჟან ბულანის დიდი კიბით ადიოდნენ. მეორე სართული კონვენტს ჰქონდა და მის ქვეშ, პირველში, ერთი უშველგებელი გრძელი დარბაზი იყო, დარაჯებით, თოფის ჯოჯგინითა და მხედრობის ყოველგვარი რაზმის ლოგინებით გატენილი. კონვენტს ირგვლივ ეხვია მოდარაჯე ჯარი. კრებას საპატრიოდ მიჩენილი რაზმი ჰყავდა, რომელსაც „კონვენტის გრენადერებს“ უწოდებდნენ.

გრძელი, განიერი სამფერი ლენტი იყო კონვენტის სასახლესა და მის ბაღს შუა. ბაღი ყოველთვის სავსე იყო ხალხით.

III

ახლა კრების დარბაზი. ვნახოთ. ღირსშესანიშნავია ყველაფერი ამ საშინელ პალატაში. დარბაზში შესვლისთანავე თვალში ეცემოდა კაცს ერთი მაღალი ქანდაკება თავისუფლებისა, მოთავსებული ორ განიერ სარკმელს შუა.

ორმოცდაორი მეტრი სიგრძე. ათი მეტრი სიგანე, თერთმეტი მეტრი სიმაღლე — ეს იყო სივრცე იმ დარბაზისა, რომელიც გუშინდლამდე მეფის თეატრი იყო და ახლა რევოლუციის თეატრად გამხდარიყო. კოხტა, დიდებულად მოკაზმული დარბაზი, აშენებული ვიგარანის მიერ მეფის მუქთახორა მლიქვნელებისთვის, გაქრა იმ ტილანქ ფიცრებში, რომლებსაც ოთხმოცდაცამეტი წელს უნდა დასწოლოდა ხალხის სიმძიმე. ამ ფიცრებზე იყო ამართული სახალხო ტრიბუნები, და თვითონ ფიცრებს, — ამ წვრილმანსაც აქვს თავისი მნიშვნელობა, — ერთადერთი ბოძი ჰქონდათ ძირიდან შედგმული. ეს ბოძიც მთლიანი ხისა იყო, გათლილი და ათი მეტრის ფართობი აწვა თავზე. ბევრი არ უნდა იყო სვეტი, რომ ამოდენა სიმძიმე

აეტანოს. რამდენიმე წლის განმავლობაში ზედ აწვა საშინელი წნევა. რევოლუციისა. ზედ გაისმოდა ალტაცება, აღფრთოვანება, ლანძღვა, ღრიალი, გრგვინვა, უშველებელი ქაოსი ბრაზისა, აჯანყება. მაგრამ არ შედრკა. კონვენტის შემდეგ ნახა ჭარბადთა საბჭო. ბრუმერის თვრამეტს¹⁾ გამოსცვალეს.

მაშინ პერსიემ ხის ბოძის წილ მარმარილოს სვეტები შეუდგა დარბაზს, მაგრამ ბოძის ოდენი იმათ ვერ შესძლეს.

უცნაური არის ხანდახან ხუროთმოძღვრის იდეალი. რივოლის ქუჩის ხუროთმოძღვარს იდეალად ზარბაზნის ტყვიის სასრბოლი ჰქონდა; კარლსრუის ხუროთმოძღვარს იდეალად მარაო ჰქონდა. და ერთი უზარმაზარი უჯრა კომოდისა უნდა ჰქონოდა იდეალად იმ ხუროთმოძღვარს, რომელმაც ააგო კონვენტის ახალი დარბაზი. ამ ახალ დარბაზში გადავიდა კონვენტი 1793 წ. ათ მაისს, გრძელი იყო დარბაზი, მაღალი და ბრტყელი.

პარალელოგრამის ერთ გრძელ მხარეს მოჰყუდებოდა ფართო ამფითეატრი და იქ ელაგა კონვენტის წევრების სკამები, ოღონდ უმაგიდოდ, გარან-კულონი, რომელიც ბევრს სწერდა, იძულებული იყო მუხლზე დაედვა ქალაღი. ამ სკამების პირდაპირ ტრიბუნა იყო ამართული; ტრიბუნის წინ ჰანდაკება ლეპელუტიე-სენ-ფარჟო-სი; ტრიბუნის უკან სავარძელი თავმჯდომარისა.

ჰანდაკების თავი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ზემო ნაწილი ტრიბუნისა და ამიტომ შემდეგში სხვაგან გადაიტანეს ლეპელუტიე-სენ-ფარჟო.

ამფითეატრში ცხრამეტ ერგროლად ეწყო გრძელი სკამები, წინა რიგთან შედარებით უკანები თანდათანობით ამალეებული; სკამები ელაგა აგრეთვე ამფითეატრის ორივე მხარეს დარბაზის კუთხემდე.

ქვემოთ, ტრიბუნის ცხენისნალის მსგავს ნაწილში იყვნენ იასაულეები.

ტრიბუნის ერთ მხარეს, შავ ხის ჩარჩოში იყო მოთავსებული დიდი, სამი მეტრის სიმაღლე ქალაღი — ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, — რომელიც ორ სვეტად იყო დაბეჭდილი; ორ სვეტ შუა კვერთხი იყო დახატული. ტრიბუნის მეორე მხარეს ცარიელი ადგილი იყო, რომელშიც შემდეგში ამისთანავე ჩარჩო მოათავსეს და შიგ კონსტიტუცია II წლისა, ისევე ორ სვეტად დაბეჭდილი; ამ ორ სვეტს შუა კი ფარი იყო დახატული: ტრიბუნის ზემოდან,

¹⁾ ბრუმერის თვრამეტი არის დღე, როცა ბონოპარტემ ეგვიპტიდან დაბრუნებულმა დირექტორია დაშალა (9 ნოემბერი 1799 წელი).

ორატორის თავს დაჰფრიალებდა ხალხით გაქედნილი, ორ ლოჟად გაყოფილი ტალანიდან გამომავალი, თითქმის ჰორიზონტალურად დაწყობილი სამი უზარმაზარი სამფერი დროშა. ეს დროშები ერთგვარ საკურთხეველს ეხებოდნენ, რომელზეც ეწერა „კანონი“. ამ საკურთხეველის უკან ამართულიყო რომაელების ჩვეულებისამებრ, თითქო დარაჯი იყოს თავისუფალი სიტყვისაო, ერთი დიდი კონა წნელი, მაღალი, როგორც სვეტი. კონვენტის წევრების პირდაპირ კედელთან მრავლად იდგა დიდი ქანდაკებები; თავმჯდომარეს მარჯვნივ ლიკურგი¹⁾ უდგა და მარცხნივ — სოლონი²⁾ ამფითეატრის უმაღლესი სკამების უკან, სადაც ეგრედწოდებული მთიელები ისხდნენ, იყო, ქანდაკება პლატონისა.

კვარცხლბეკად ამ ქანდაკებებს ჰქონდათ გათლილი ოთხკუთხი ქვები, რომლებიც გრძელ, წინ გამოწეულ ლავგარდანზე ეწყო. ეს ლავგარდანი ირგვლივ უვლიდა მთელ დარბაზს და საზღვრად იდგა კონვენტის წევრებსა და ხალხს შორის. მაყურებლები ამ ლავგარდანზე იყვნენ დაყრდნობილი.

შავი ხის ჩარჩო, რომელშიც „ადამიანის უფლებები“ იყო მოთავსებული, ლავგარდანამდე აღიოდა, შლიდა კედლის ზემო ნაწილის მხატვრობას, სტეხდა სწორ ხაზს. ამაზე იყო, რომ — საზიზლარიაო, — უთხრა შაბომ ვადიეს.³⁾

ყველა ქანდაკებას თავზე გვირგვინი ედგა, რიგრიგით ზოგს მუხისა და ზოგს დაფნისა.

გვერდითა ლავგარდანიდან ძირს იყო ჩამოშვებული ერთი დიდი მწვანე ფარდა, რომელზეც მუქი მწვანით იყო დახატული იგივე გვირგვინები; მსხვილ, სწორი ნაკეცებით ეშვებოდა საბჭოს დარბაზში და ჰფარავდა კედლის ქვემო ნაწილს; მის ზემოდან კი კედელი თეთრი იყო და უამური. ამ კედელში შეთხრილიყო ორსართულიანი სახალხო ტრიბუნა, ოთკუთხი ქვევით და მრგვალი ზევით. თანახმად მოდისა, რადგან ვიტრუვი ჯერ ისევ მეფობდა ხეროთმოდვრებაში, არქივოლტები არქიტრავებზე იყო მოქცეული. სახალხოდ ათ-ათი ტრიბუნა იყო დარბაზის ორივე მხარეს, და ორ-ორიც უფრო დიდი, დარბაზის ბოლოში; სულ ოცდაოთხი. იქ იკრიბებოდა ხალხი.

ქვემო ტრიბუნებიდან ხალხი ძვრებოდა, საცა კი კედლებზე აცოცება შეიძლებოდა. რკინის ძელი იყო გრძელი, მაგრად გადებული-

¹⁾ ლიკურგი იყო ათინელი ორატორი, ცხოვრობდა მე-4 ს. ჩვენს ერამდე.

²⁾ სოლონი იყო ათინელი (ძვ. საბერძნეთი) კანონმდებელი და პოეტი.

³⁾ შაბო და ვადიე იყვნენ კონვენტის წევრები.

ლი ზემო ტრიბუნების წინ, ადამიანის დასაყრდნობ სიმალღეზე, რომ არავინ გადმოვარდნილიყო, რადგან მაყურებლებს უკანიდან მრავლად აწევებოდა კიბეებით ამავალი ხალხი. მაგრამ მაინც მოხდა ერთხელ და ერთი კაცი ჩაეარდა ძირს, ცოტად მასსიეს დაეცა, ბოვეს ეპისკოპოსს; გადარჩა სიკვდილს და წამოიძახა: „ხედავთ, ხანდახან ეპისკოპოზიც ვარგა რადმე!“.

კონვენტის დარბაზში ორი ათასი კაცი ეტევოდა და აჯანყების დროს სამი ათასი.

კონვენტი დღეში ორჯერ იკრიბებოდა; ერთი კრება დღე იყო, მეორე ღამე.

თავმჯდომარის საეარძლის ზურგი მრგვალი იყო, შოქრეილი ლურსმნებით. თავმჯდომარის მაგიდას ფეხად ოთხი ფრთიანი ცალფეხა ურჩხული ჰქონდა, თითქო აპოკალიფსიდან გამომძვრალიყვნენ, რომ რევოლუციას დაესწრონო. ეზეიელის ეტლიდან გამოშვებულს ჰგვანდნენ, რომ ახლა ჯალათის სანსონის ეტლში შებმულიყვნენ.

მაგიდაზე თავმჯდომარეს ერთი კარგა დიდი ზარი ედვა, თითქმის საყდრის ზარის ტოლი, განიერი სპილენძის სამელნე და ერთი დიდი, ეტრატის ყდიანი წიგნი — ოქმები კონვენტის კრებებისა.

შუბის წვერზე აგებულ მოჭრილ თავებს რომ შეიტანდნენ ხოლმე კონვენტში, სისხლის წვეთები დაჩჩენილიყო თავმჯდომარის მაგიდაზე.

ტრიბუნაზე ასასვლელად კიბე იყო, ცხრა საფეხური. მაღალი იყო ეს საფეხურები, ციცაბად დაწყობილი და ძნელი სავალი. ერთხელ ფენი წაუსხლტა ყანსონეს, ტრიბუნაზე ამავალს, და წამოიძახა:

— რაღა ეს და რაღა ეშაფოტის კიბე!

— მიეჩვიე, დაგჭირდება! — დაუძახა კარრიემ.

საცა კედელი მეტად ტიტვლად მოჩანდა, დარბაზის კუთხეებში ხუროთმოძღვარს დასამშვენებლად წნელის კონები დაედგა და შიგ გალესილი ცული ჩაერქო.

ტრიბუნის მარჯვნივ და მარცხნივ ზეძირკველზე ორი ჰალი იყო ამართული, სამი მეტრის სიმალლისა, და ოთხი წყვილი კინკეს ღამბა ერთო თითოზე. სახალხო ლოყებშიც ამგვარი ჰალები იყო. ამ ჰალების ზეძირკველზე რგოლები იყო გამოქანდაკებული, რომელსაც ხალხი „გილოტინის შიშთვილს“ უწოდებდა.

კონვენტის წევრების უკანა სკამები თითქმის ეხებოდა სახალხო ტრიბუნებს; წარმომადგენლებსა და ხალხს შორის ხშირი იყო გაბაასება.

სახალხო ტრიბუნებიდან ტალანების ლაბირინტში იყო გასაველი და ყოველთვის საშინელი ხმაურობა გაისმოდა ამ ტალანებში.

მეფის სასახლე მთლად დაეჭირა კონვენტს და, რადგან ვერ ეტყევოდა, მეზობელ სასახლეებსაც დაჰპატრონებოდა; კონვენტში მისული ხალხით სავსე იყო სასახლე ლონგვილისა, სასახლე კონისა. აგვისტოს ათის შემდეგ ამ კონის სასახლეში გადაზიდეს. თუ ვერ წმუნეთ ლორდ ბრადფორდის წერილს, მეფის სასახლის ავეჯეული; ორივე თვე დასჭირდათ ტუილერიდან ბარგის გასატანად.

კომიტეტებიც საბჭო დარბაზის ახლო მოეწყოთ. თანასწორობის დარბაზში იმყოფებოდა კომიტეტი კანონმდებლობისა, მიწათმოქმედებისა და ვაჭრობისა; თავისუფლების დარბაზში — მეზღვაურობისა, ახალშენებისა, ფინანსებისა, ასიგნაციებისა და საზოგადოებრივი განრინებისა; ერთობის დარბაზში — სამხედრო კომიტეტი.

საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტს უშუალო დამოკიდებულება ჰქონდა საზოგადოებრივი განრინების კომიტეტთან ერთი ბნელი ტალანით, რომელშიც ლამპა ენთო დღეცა და ღამეც. ეს ტალანი ყოველთვის სავსე იყო ყველა პარტიის ჯაშუშებით. აქ ყოველთვის ჩურჩულით ლაპარაკობდნენ.

კონვენტის დარბაზის მოაჯირს წშირად უცვლიდნენ ადგილს, ერთობ კი თავმჯდომარის მარჯვნივ იდგა.

დარბაზის ორსავე ბოლოში ორი ტიხარი იყო ამართული. რომლებითაც ბოლოვდებოდა მარჯვენა და მარცხენა მხარეს თავმოყრილი ერგროვლები ამფითეატრისა. ტიხარებსა და კედლებს შუა გრძელ ვიწრო ტალანს კარები ჰონდა დატანებული და ამ კარებით შედიოდა და გამოდიოდა კონვენტში ხალხი.

კონვენტის წარმომადგენლები პირდაპირ დარბაზში შედიოდნენ კარით, რომელიც ბალში გადიოდა.

დარბაზს ცუდად გამჭვირვალე ფანჯრები ჰქონდა და დღეც ვერ იყო საკმაოდ განათებული; საღამო ჟამს და ღამე სანთლებს ანთებდნენ. დღეც ღამეს მოგაგონებდათ იქაურობა. ეს ოდნავი სინათლე ემატებოდა ღამის სიბნელეს და სანთლითა და ლამპით ბჭობას რალაცას სამწუხაროს ჰმატებდა. ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, დარბაზის ერთი მხრიდან მეორისკენ, მარჯვნიდან მარცხნივ ერთმანეთს ლანძღავდნენ თითქმის უჩინარი ჯგუფები. ერთმანეთს ვერ სცნობდნენ, რომ შეხვდებოდნენ. ერთხელ იყო, ტრიბუნისკენ მიეჩქარებოდა ლენლო და ვილასაც დაეჯახა ბნელაში. — უჟაცრავად, რობესპიერ! — მოიხადა ბოდიში. მაგრამ შეურაცხყოფად მიიღო და; —

— აბესპიერი რად ვიქნებო? — შეუტია ხრინწიანი ხმით ვილაყამ. —
 — ააქრავად, მარატ! — ახლა იმას მიმართა ბოდიშით ლენლომ.

ქვემოთ. თავმჯდომარის მარჯვნივ და მარცხნივ კიდეც იყო ორი
 რიბუნა წარჩინებულთათვის. დიახ, უცნაურია, მაგრამ მართალი —
 — ანვენტს წარჩინებული მაყურებლებიც ჰყავდა. ამ ტრიბუნებს კი,
 — ამ ამ ტრიბუნებს მარტო ჰქონდათ ორი, ოქროს კრკოთი მიმაგრე-
 — ული ფარდა. სახალხო ტრიბუნები ტიტვლებად დაეტოვებინათ.

ერთობ კი კონვენტის მოწყობილობას მძვინვარე, ველური, მაგ-
 — ამ რიგიანი სახე ჰქონდა. რიგიანი საშინელებაში — აი მოკლე
 აახასიათება მთელი რევოლუციისა. კონვენტის დარბაზი წარმოად-
 ენდა უსრულეს ნიმუშს იმისას, რასაც ხელოვნებმა მას შემდეგ
 უწოდეს „მესსიდორის არქიტექტურა“. მეტად დიდი მასივი და თან
 ჩაატე. იმ დროის მშენებლებს მშვენიერებად მიაჩნდათ სიმეტრიუ-
 ლი. უკანასკნელი სიტყვა XV და XVI საუკუნის მიმართულებისა
 სარმოთქმულ იქნა ლუი XV დროს და მას მიჰყვა რეაქცია. ბრწყინ-
 — ცალე უხამსამდე მიიყვანეს და სიწმინდე — მოსაწყენამდე. სიმკაცრე
 — უნებრივი თვისება არის არქიტექტურისა. მეთერამეტე საუკუნის
 ოვალის წარმტაცი ფერებისა და მისი შემდეგ ხელოვნებამ ფა-
 — ნები ირჩია და სწორი ხაზებისა. ალარას ჰბედავდა. ამგვარა
 — რორგრესი ბოლოს დუხჭირში შედო. ხელოვნებას ჩონჩხის მეტი ალა-
 — რა სწამს რა და ეს არის ამ მიმართულების ბოლო. ეს მოსდევს ამ-
 კვარ სიფრთხილეს და მოკრძალებას. სტილი იმდენად ფრთხილი და
 ხომიერია, რომ უვარგისად ხდება.

ყურადღება რომ არ მივაქციოთ პოლიტიკურ მნიშვნელობას ამ
 დარბაზისას და მარტო არქიტექტურა ვსინჯოთ. მაინც აგვიტოროლ-
 — ღება გული. მოგვაგონდება მკრთალად ძველი თეატრი. თაიგუ-
 — ლებით მორთული ლოჟები, ცისფერი მეწამული ქერი, ხელოვნური
 ქაღები, ტოტებიანი, ალმასივით შექმფრქვევი შანდლები, მტრედის
 კულის ფერი ფარდები, ხელოვნურად ამოქარგული სიყვარული და
 ნიმფები ფარდებზე და დგამის ზესაფარზე — მთელი იდილია მე-
 — ვური, — ზრდილობა და თავაზიანობა — დახატული, დაქანდაკებუ-
 — ლი, და შეოქრვილი, რომელიც მშვენიერებით ავსებდა ამ უშნო შე-
 — ნობას, და ახლა კი ყველგან ირგვლივ ეს მოტიტვლებული კედლები
 და სწორხაზიანი, ფოლადივით. ცივი და ბასრი კუთხეები. სწორედ
 — უგივე მოხდა იმ დროს ხელოვნებაში, — დავიდმა ანდერძი აუგო
 ბუშეს.

IV

ვინც კრებას დაინახავდა, დარბაზს აღარ ხედავდა. ვინც ღრამას უყურებდა, თეატრი აღარ აგონდებოდა. არაფერი იქნება ასე არეულა ასე ღიადი. ჯგუფი გვირებისა და ბრბო ლაჩრებისა, არწივები მთაზე და ქვემძრომები ჭაობში. აქ ფუსფუსებდნენ, ირევიდნენ, ერთმანეთს ეძიებდნენ, ალიზიანებდნენ, ემუქრებოდნენ, ებრძოდნენ სიცოცხლით აღსავსე მოღვაწენი, რომელნიც დღეს ლანდალთა გვეჩვენებიათ.

აღრიცხვა ბუმბერაზებისა.

მარჯვნივ უირონდა — რაზმი ფიქროვანებისა; მარცხნივ მთა — ჯგუფი ბუმბერაზებისა.

ერთმხრივ ბრისსო, რომელმაც მიიღო გასაღები ხალხის მიერ აღებული ბასტილისა; ბარბარუ, რომელსაც ემორჩილებოდნენ მარსელელები; კერველეგანი, რომელსაც ყოველთვის მზად ჰყავდა ბრესტის ბატალიონი, სენ-მარსის უბანში დაბინავებული; ჟანსონე, რომელმაც გენერლები კონვენტის წევრებს დაუმორჩილა; ავბედითი გაღე, რომელსაც ერთ ღამეს სილიერის სასახლეში დედოფალმა ტახტის მემკვიდრე აჩვენა მისი გაღე შუბლში ემთხვია ბავშვის და თავი მოაგდებინა მის მამას, რომელმაც რაღაც დამოკიდებულება დასწამა მთას ავსტრიასთან და დააბეზდა; სილერი — კოჭლი მარჯვენა მხრისა, როგორც კუთონი იყო ხეიბარი მარცხენა მხრისა; ლოზ-დეპერე, რომელმაც იმით გადაუხადა ერთ მწერალს, გაზეთში მის ავკაცად მხსენებელს, რომ სადილად დაჰპატიჟა და უთხრა, — საწყენი არაფერია, რადგან დღეს ავკაცად ის მიგვაჩნია, ვინც ჩვენებურად არა ფიქრობს; რაბო სენტ-ეტიენი, რომელმაც თავისი 1790 წლის კალენდარი დაიწყო ამ სიტყვებით: რევოლუცია გათავებული არის; კინეტი, ერთი იმათგანი, რომლებმაც ტახტიდან ჩამოაგდეს ლუი XVI; ჟანსენისტი კამუ, რომელიც ადგენდა საერო წესდებას სასულიერო წოდებისთვის, სწამდა დიაკვნის პარისის სასწაულთმოქმედება და მუნღმოყრილი ეგდო ყოველ ღამე ერთ უზარმაზარი ქრისტეს წინაშე, რომელიც მილურსმული ჰქონდა თავის ოთახში; ფოში, მღვდელი, რომელმაც კამილ დემულენთან ერთად ბასტილის ციხე ააღებინა ხალხს; ისარარი, რომელმაც ის დააშავა, რომ დაიძახა — პარიზი დანგრეული იქნებაო, სწორედ იმ დღეს, როდესაც ბრაუნშვეიგი იძახდა, — პარიზი გადამწვარი იქნებაო; იაკობ დუპონი, რომელმაც პირველმა გაბედა და დაიყვარა, მეათეისტი ვარო, და პასუხი მიიღო რომბესპიერისაგან, — ათეიზმი

პრისტოკრატობა არისო; ლანჟუინე — მაგარი, ჭკვიანი და მხნე ბრეტანელი; დუკო ევრიალ დე ბუაიე-ფონფრედი; რებეკი — პილადი შარბარუსი; რებეკმა უარი განაცხადა, — კონვენტის წევრობა ალარ შემიძლია, რადგან ჯერ სიკვდილით დასჯილი არ არის რობესპიერიო; რიშო, რომელიც ებრძოდა საფრანგეთის ამომრჩევი ნაწილების „მუღმივობას“; ლასურსი, რომელსაც ეკუთვნის ეს მომაკვდინებელი ნაკვესი, — ვაი გულკეთილ ერებსაო! და რომელმაც, ეშაფოტთან რომ მიიყვანეს, ამ სიტყვით მიმართა მთიულებს: ჩვენ ვიზოცებით, რადგან ხალხს სძინავს. და თქვენ დაიხოცებით, როდესაც გაიღვიძებს ხალხი; ბიროტო, რომელმაც გამოაცემინა დეკრეტი, — გაუქმებულ იქნეს შეუხებლობა კონვენტის წევრისაო, და ამგვარად თვითონვე გამოსქედა თავისი მკვლეელი მახვილი და გაიკეთა ეშაფოტი; შარლ ვიეტი, თავისი სვინიდისი რომ შეათარა შემდეგ სიტყვებს: მე არ შემიძლია ხმის მიცემა, როდესაც დანას მიღერებენ; ლუვე, ავტორი „ფობლა“-სი, რომელმაც შემდეგში წიგნებით ვაქრობა დაიწყო, და ნოქრად გრაფის მეუღლე ლოდოისკა ჰყავდა; მერსიე, ავტორი „პარიზის სურათებისა“, რომელმაც სთქვა: მეფეებმა ყველამ იგრძნო თავის კისერზე ოცდაერთი იანვარი; მარეკი, რომელსაც საზრუნავად ჰქონდა „ძველი საზღვრების პარტია“; მწერალი კარა, რომელმაც, ეშაფოტთან რომ მიიყვანეს, უთხრა ჯალათს: ძალიან მეზარება სიკვდილი, მაშინდოდა მენახა, რა მოჰყვებოდა რევოლუციას; ვიჟე, რომელიც იძახდა, — მაიენ-დე-ლუარის მეორე ბატალიონის გრენადერი ვარო; ერთხელ მუქარა დაუწყეს სახალხო ტრიბუნიდან, და შეჰყვირა: დავადგინოთ, რომ როგორც კი მუქარა გაისმის სახალხო ტრიბუნიდან, გავალთ ყველანი და ხმალამოღეზულნი გავწევთ ვერსალისკენ! ბუზო, შიმშილით რომ მოკვდა: ვალაზე, ცოტა ხანს შემდეგ თავი რომ მოიკლა ხანჯლით; კონდორსე, რომელმაც თავი მოიწამლა ბურგ-თანასწორობაში, წინანდელ ბურგლარენში, რომ ეშაფოტს ასცდენოდა: ჰორაციუსს თხზულება ედვაჯიბეში, იმით იცნეს და დაიჭირეს; პეტიონი, უცნაური ბედისწერის ადამიანი: 1792 წ. თავიანს სცემდა ხალხი და 1794 წ. მგლებს შესაქმელად ეახლა: ოცი კიდეე სსვა, პონტეკულო, მარბო, ლიდონი, სენ-მარტენი, დუსსო — მთარგმნელი იუვენალისა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ჰანოვერის ომში; ბუალო¹⁾, ბერტრანი, ლესტერ-ბოვე, ლესაჟი²⁾,

1) ბუალო იყო მე-17 ს. ფრანგი კლასიკოსი მწერალი.

2) ლესაჟი — ფრანგი მწერალია მე-17 ს.

გომერი, გარდიენი, მენვეილი, დუპლანტიე, ლაკაზი, ანტიბული და სათავეში — ბარნავე¹⁾, რომელსაც ვერნიოს ეძახდნენ.

მეორე მხარეს ანტუან-ლუი-ლეონ ფლორელ დე სენ-ჟუსტი — ფერმკრთალი, შუბლდაბალი, კარგი ხნისა, იდუმალი თვალისა, ღრმად დაღონებული ყმაწვილი კაცი ოცდასამი წლისა; მერლენ დე ტიონვილი; რომელსაც გერმანელები „ცეცხლის ქაჯს“ უწოდებდნენ; მერლენ დედუე, რომელმაც დიდი ცოდვა ჩაიდინა, რომ დაამტკიცებინა თავისი „კანონი საეკვოთა შესახებ“; სუბრანი, თავის გენერლად რომ მოითხოვა ხალხმა პირველ პრერიალს; წინანდელა მღვდელი ლებონი, რომელსაც ჯერის მაგივრად ახლა ხმალი ეჭირა ხელში; ბიო-ვარანი, რომელმაც წინასწარ იცნო მომავლის მართლმსაჯულება, — საჭირო არ არის მსაჯული, შუთაკაციც იკმარებდნო; ფაბრ დ-ეგლანტინი, რომელმაც საგანგებო რამ შეჰქნა — რესპუბლიკური კალენდარი; რუჟე დე-ლისლი ზეშთავონებით რომ დასწერა მარსელოზა; ერთიკა და მეორეც ამით დაკმაყოფილდა და მას შემდეგ აღარ შეუქნიათ რა; მანუელი, პროკურორი რესპუბლიკისა, რომელმაც სთქვა; — მეფე რომ კვდება, ადამიანთა რიცხვს არა აკლდება; რაო: გუფონი, რომელმაც ტრიბუნადტი აიღო, ნეგმტადტი, სპარო და პრუსიელების ჯარი გააქცია; ლაკრუა, გენერლად შეცვლილი ვეჟილი, ექვსი დღის წინათ ათ აგვისტომდე სენ-ლუის რაინდის წოდებით დაჯილდოვებული; ფრერონ-ტერსიტი, შვილი ფრერონ-ზო-ოლისა; რული, დაულალავი მხრეკი რკინის განჯინისა, რომელმაც რესპუბლიკის გაუქმების დღეს მოიკლა თავი; ფუშე — სულით დემონი, სახით კი მკვდარი; კამბულა — მეგობარი გაზეთისა „პერ-დუ-შენ“; მან უთხრა გიოტენს: შენ ფეიანტების კლუბისა ხარ, მაგრამ შენი ქალი კი იაკობელების კლუბისა არის; ჟაგო, რომ გაიგო ხალხის საყვედური, პატიმრები შიშველ ტიტვლები ყრიანო, — სთქვა, — ქვის ტანისამოსი ხომ აცვიათ, სხვა რაღა უნდათო? ჟაეოკი, საზარელი მთხრელი მეფეების აკლამისა სენ-დენიში; ოსლენი, სამშობლოდან განმდევნი, რომელიც თავის სახლში ჰმალავდა განდევნილ შორრის ცოლს; ბესტაბოლი, — თავმჯდომარედ რომ გამოიჭიმებოდა ანიშნებდა სახალხო ტრიბუნას, ტაში დაჰკარით, ან ღრიალი და სტვენა დაიწყეთო, მწერალი რობერი, ქმარი კერალიოს ქალისა, რომელიც სწერდა: „არც რობესპიერი დაიარება ჩემთან; არც მარატი; რობესპიერი მობრძანდეს, როცა ნებადდეს, მარატი კი თავის დღეში“

¹⁾ ბარნავი — ცნობილი ორატორი და პუბლიცისტი იყო. მას თავი მოკვეთეს 1793 წელს.

არა; გარან-კულონი, რომელმაც ამაყად მიმართა კრებას, როდესაც ესპანეთი ჩაერია ლუი XVI საქმის გარჩევაში, — ნუ დავიმცირებთ თავს და ნუ წავიკითხავთ მეფის წერილს მეორე მეფის დასახმარებლად; გრეგუარი, ეპისკოპოსი, დასაწყისში ღირსი პირვანდელი ეკლესიის ეპისკოპოსობისა, შემდეგში კი, ხელმწიფობის აღდგენის შემდეგ, ეპისკოპოსი გრაფ გრეგუარად გარდაქმნილი; ამარი, რომელიც სწერდა: მთელმა ქვეყნიერებამ გაამტყუნა ლუი XVI. მაშ ვიღასთან გაასაჩივროს ეს განაჩენი? ცთომილ ვარსკვლავებთან? რუიე, რომელიც ამტკიცებდა — იანვრის — ოცდაერთს, — საჭირო არ არის ზარბაზნის სროლა: მეფის თავი რომ დაეცემა მიწაზე, მეტი სმა არ უნდა ამოიღოს, ვიდრე სხვა ვისიმე თავმაო; შენიე, ძმა პოეტის ანდრე შენიესი; ვადიე, ერთი იმათგანი, რომლებიც დამბაჩას სდებდნენ ტრიბუნაზე და სიტყვას ისე ამბობდნენ; ტანი, რომელმაც უთხრა მომოროს: მინდა მივიწვიო რობესპიერი და მარატი ჩემ ზუფრაზე, რომ ერთმანეთს ეხვევოდნენ. მერე სად დგახარ? — ჰკითხა მომორომ. — შარანტონის საგიჟეთში მე იმათ სხვაგან ვერსად მივადებ; ლეჟანდრი, სახელოვანი ყასაბი საფრანგეთის რევოლუციისა, როგორადაც პრიდი იყო სახელოვანი ყასაბი ინგლისის რევოლუციისა: მოდი, ყელი გამოგჭრა! — უყვიროდა ლანჟუინეს; და ლანჟუინემ უპასუხა: ჯერ დააკანონებინე, რომ მე ხარი ვარ! კოლო დერბუე დაღვრემილი მსახიობი, რომელსაც პირზე ძველებური ორპირიანი ნიღაბი ჰქონდა და ერთად გაიძახოდა ჰოსა და არას. — ამტკიცებდა ერთი იმას, რასაც მეორით ჰგმობდა, ლაფს ასხამდა ნანტში კარრიეს და აღმერთებდა ლიონში შალიეს, რობესპიერს ეშაფოტზე ჰგზავნიდა და მარატს: პანთონში; ეენისსიე, რომელიც მოითხოვდა, — სიკვდილით დავსაჯოთ ყველა, ვისაც კი შევამჩნევთ მედალს — „ლუი XVI წამებული“; ლეონარ ბურდონი, სკოლის გამგე, რომელმაც თავისი სახლი შესთავაზა მოხუცებულ მონ-ჟურელს; ტოპსანი — მეზღვაური, გუპით — ვეჟილი, ლორან ლეკუანტი — ვაჭარი, დუემი — ეჟიმი, სერჟანი — ქანდაკი, დავიდი — მხატვარი, ჟოზეფ-ეგალიტე — პრინცი და კიდევ სხვანი: ლეკუანტ-პუირავო, რომელიც მოითხოვდა. მარატი შეშლილად გამოვაცხადოთ დეკრეტითაო; რობერ ლინდე — შემქმნელი იმ ობობისა, რომლის: თავი იყო კომიტეტი საზოგადოებრივი უშოშროებისა და ფეხებით — რევოლუციური კომიტეტებით — ზედ დაჰკროდა მთელ საფრანგეთს; ოცდაერთი ათასი კომიტეტი

იყო მაშინ; ლებეფი, რომლის შესახებ ჟირეი-დუპრემ თავის „სრულ პატრიოტების შობაში“ დასწერა ლექსში.

ლებეფმა ლეჟანდრი ნახა და ბლავილი დაიწყო.

თომა პენი, ამერიკელი და გულკეთილი; ანახარსის კლოტი, პრუსიელი, ბარონი, მილიონერი, ათეისტი, ჰებერისტი, უმანკო; პატიოსნებით აღსავსე ლება, მეგობარი ღუპლეებისა; როვერი, ერთი იმ იშვიათთაგანი, რომლებიც ავკაცობენ ავკაცობისთვის, რადგან ხელოვნება ხელოვნებისთვის უფრო მეტად არის გავრცელებული, ვიდრე ჩვენ გვგონია; შარლე, რომელიც ამტკიცებდა, არისტოკრატებს თქვენობით უნდა ველაპარაკოთო; ტალენი, დაღონებული და მკაცრი, რომელიც მოაწყობს ცხრა ტერმიდორს; კამბასერე, პროკურორი, რომელიც პრინცად გახდება; კარრიე, პროკურორი, რომელიც ვეფხვად იქცევა; ლაპლანში, რომელმაც შეჰყვირა: მე მოვითხოვ, უპირატესობა მიეცეს საგანგაშო ზარბაზანს; ტურეო, რომელიც ამტკიცებდა, რევოლუციურ სამსჯავროს მსაჯულებმა კენჭისყრით კი არა; მამადლა გამოსთქვეან თავისი დასკვნაო; ბურდონ დე-ლუაზი. რომელიც ღუელში იწვევდა შამბონს, აბეზღებდა პენს და დაბეზღებული იყო ჰებერის მიერ; ფეიო, რომელმაც წინადადებით მიმართა კონვენტს, — ხანძრის ამნთები ჯარი გავგზავნოთ ვანდეშიო; ტავო, რომელიც აპრილის ცამეტს შუა კაცად იყო „ჟირონდის“ და მთიელებს შორის; ვერნიე, რომელიც ამტკიცებდა, ჟირონდის და მთიელების მეთაურები ისევე უნდა მსახურებდნენ ჯარში, როგორც სხვა ყველა, უბრალო სალდათებადაო; რეგბელი, მაიანსი რომ გაამაგრა, ბურბოტი, სომურის აღების დროს რომ იბრძოდა და ცხენი მოუკლეს მებრძოლს; გიმბერტო, შერბურგის ჯარის ხელმძღვანელი; ჟარპანვილიე, ლაროშელის ჯარის ხელმძღვანელი; ლეკარპანტიე კანკალის ესკადრის ხელმძღვანელი; რობერტო, რომელსაც ჩასაფრებული ჯარის მახე მოელოდა რაშტადში; პრიორდე-ლა-მარნი, რომელსაც ბრძოლის დროს მხარზედ ჰქონდა თავისი ძველი ეპოლენტი ესკადრონის უფროსისა; ლევასერ დე-ლა-სარტი, რომელმაც ერთი სიტყვით შთააგონა სერანს, სენტ-ამანის ბატალიონის უფროსს, საჭიროება თავგანწირვისა; რევერშონი, მორი. ბერნარ დე-სენტე, შარლ რიშარი, ლეკინიო, და ამ ჯგუფის მეთაური — ერთი შირაბო, რომელსაც დანტონი ერქვა.

ამ ორ ჯგუფის გარეთ ბუმბერაზივით ამართულიყო რობესპიერი, რომელსაც მოკრძალებით ექცეოდნენ ჟირონდელებიც და მთიელებიც.

Y

ქვემოთ მოღუნულიყო ელდა, რომელიც შეიძლება პატიოსნება იყოს, და შიში, რომელიც სიმდაბლე არის. იქ ვნებათა ღელვა, გმირობა, თავის განწირვა, ცოფი და გრგვინვა; აქ დაღვრემილი ალიაქოთი ანონიმებისა. ამ ნაწილს კონვენტისას ვაკე ერქვა. აქ მოგროვილიყო ყველა, ვინც კი ირყევა. აქ იყო ყველა გაუბედავი, ექვიანი, უკანდამხევი, სამერეოდ გადამდები, უშეშინებული და ამიტომ ყველას მზევრავი. მთიელები — რჩეული იყვნენ; ჟირონდელები — რჩეული იყვნენ; ვაკეში ბრბო მოგროვილიყო. ვაკე ისახებოდა და აზროვნებოდა სიეიენით.

დიდი კაცი იყო სიეიესი¹⁾ მაგრამ ქალე დაფულუროვდა. მესამე წოდებამდე მივიდა და იქ გაჩერდა, ხალხამდე მისვლა ვერ შესძლო. ასე იცის ზოგმა, — იღვწის, მიიწევს მწვერვალისკენ და შუა გზაში კი გაჩერდება. სიეიესი რომესპიერს ვეფხვს ეძახდა და რომესპიერი სიეიესს — თხუნელას. მეტაფიზიკოსი²⁾ იყო და სიბრძნეს კი არა, სიფრთხილეს მიაღწია. რევოლუციისა მლიქვნელი იყო და არა? ...ამსახურე. აიღებდა ხოლმე ნიჩაბს და ხალხთან ერთად მუშაობდა მარსის მოედანზე, ხელით მიაქანებდა ხელძარს ალექსანდრე ბოარნესთან ერთად. — გამხნევედითო, — ურჩევდა სხვას და თვითონ არა გააჩნდა რა ამ მხნეობისა. ჟირონდელებს ურჩევდა — ზარბაზანი უნდა გქონდეთ, რომ მძლავრი იყოთო. არის ბრძენი, მარტო ბრძოლით სულდგმული; ასეთები იყვნენ კონდორსე და ვერნიო, ან კიდევ კამილ დუმულენი და დანტონი. არის ბრძენი, რომელსაც ტკბილი ცხოვრების მეტი არა სწამს რა; ასეთი იყო სიეიესი.

რაც უნდა კარგი იყოს ქვევრი, მაინც ნაძირალი აქვს. ვაკის ძირში ჭაობი იყო ჩამყაყებულნი, უძრავი ჭაობი, რომელშიც ეგოიზმის მეტი არა ჩანდა რა. იქ თრთოდა მუნჯი მოლოდინი მშიშარებისა. იმაზე საზიზლარი სხვა აღარა იქნებოდა რა, — ყოველგვარი ბიწი და არავითარი სირცხვილი; გულში ჩამალული ცოფი; აჯანყება, მორჩილებით დაფარული. ურცხვად შიშმორეული იყვნენ და ლაჩრული ვაჟაკობით აღსავსე; ჟირონდელებისკენ იყვნენ და მთიელებს ირჩევდნენ; იმათზე იყო დამოკიდებული გადაწყვეტა კითხვისა და ხმას იმას აძლევდნენ, ვისკენაც ძალას გრძნობდნენ. ლუი

¹⁾ სიეიესი იყო ცნობილი პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე საფრანგეთის რევოლუციის დროს. იყო კონვენტის წევრი.

²⁾ მეტაფიზიკოსი არის მოაზროვნე, რომელიც განიხილავს საგნებს „მათს უძრავ მდგომარეობაში, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად“. (ენგელსი).

XVI-ზე ვერნიო გაამარჯვეს, ვერნიოზე — დანტონი, დანტონზე — რობესპიერი, რობესპიერზე — ტალიანი. თავზე ლაფს ასხამდნენ მარატს ცოცხალს და ღვთაებრთაყვანს სცემდნენ მარატს მკვდარს. მხარს უჭერდნენ ყველაფერს იმ დღემდე, ვიდრე თვითონვე დაანგრევდნენ ყველაფერს. ალლო ჰქონდათ და გადამჭრელ მუშტს ჰკრავდნენ, ვისაც წაუბოროძიკდებოდა ფეხი. ძლიერის მონები იყვნენ, იმ პირობით, რომ ძლიერად ყოფილიყო და პირად ლალატად მიიჩნდათ ძლიერის უმცირესი რყევა. რიცხვმრავალი იყო ჭაოზი და ამიტომ ძალოვანი და საშიში. აქედან — თავხედობა ღნიოშისა.

აქედან ოცდათერთმეტი მაისი — აჯანყება ჟირონდელების წინააღმდეგ; თერთმეტი ჟერმინალი ¹⁾ — აჯანყება ხალხისა კონვენტის წინააღმდეგ; ცხრა ტერმიდორი — დამარცხება რობესპიერისა; ტრაგედია, შეკრული ბუმბერაზების მიერ და გახსნილი კნიების მიერ.

VI

ამ ვნებით სავსე კრებაში ოცნებით გატაცებულნიც ერივნენ, ყოველგვარად მოიპოვებოდა აქ უტოპია; ზოგი ძალით ოცნებობდა ბრწყინვალე მომავლის დამყარებას, და სწამდა ეშაფოტი; ზოგი — სწავლით, შთაგონებით, და უარყოფდა სიკვდილით დასჯას; ლანდი ტანტისთვის, ანგელოზი ხალხისთვის. ამათთან ერთად, ვინც იბრძოდა, იყვნენ ისეთებიც, ვინც გონებრივად ჰქმნიდა მომავალს. ზოგს ომისა და ბრძოლის მეტი არა ჰქონდა რა გულში, ზოგს — მარტო მშვიდობა. ერთი კაცის გონებამ, კარნოს გონებამ, შეჰქმნა თოთხმეტი ლაშქარი; მეორის გონება, ჟან დებრისა, ოცნებობდა ერთი დემოკრატიულ ფედერაციად მთელი კაცობრიობის შეერთებას. ამ გაშმაგებულ მქვერმეტყველებაში, ღრიალში და ყიჟინში ნაყოფიერი დუმილიც ერია. ლაკანალი ჩუმად იყო და გონებით აწყობდა ხალხის საზოგადოებრივ აღზრდას; ლანტენა ჩუმად იყო და ჰქმნიდა პირველ დაწყებით სკოლებს; რევიერ-ლეპო ჩუმად იყო და ოცნებობდა ფილოსოფიის იქამდე ამაღლებას, რომ სარწმუნოების ღირსება ჰქონოდა. სხვანი სხვას ფიქრობდნენ, უფრო წვერილმანს და უფრო ხელსაყრელს. გუიტონ მორვო ცდილობდა საავადმყოფოების განუსენადობას; მერი — სხვადასხვა გადასახადების მოსპობას; ჟან-ბონ-

1) ჟერმინალი საფრანგეთის სარეგულაციო კალენდრის პირველი თვეა, რომელიც გაზაფხულს იწყება (21 მარტიდან 19 ივნისამდე) 11 ჟერმინალს, 1795 წელს პარიზელები აჯანყდნენ კონვენტის წინააღმდეგ.

სენტ-ანდრე — ვალის გადაუხდელობის გამო დაპატიმრების გაუქმებას; რომში ცდილობდა შაპის გამოგონების — ტელეგრაფის განხორციელებას; დუბოე — არქივების მოწესრიგებას; კორან-ფუსტიე — ანატომიური კაბინეტებისა და ბუნებისმეტყველების მუზეუმების დაარსებას; გუთომარი — მდინარეებზე ნაოსნობასა და მდინარე ესკოს საგუბარს.

ხელოვნებასაც ჰყავდა თავისი ფანატიკოსები და მონომანები¹⁾ ოცდაერთ იანვარს, იმ დროს, როდესაც რევოლუციის მოედანზე დაეცა მოჭრილი თავი მონარქიისა, ბეზარი, უაზის წარმომადგენელი, მიეშურებოდა რუბენსის ერთი ნახატის სანახავად, რომელიც სენ-ლაზარის ქუჩაში ერთ ბალახანაში ეპოვათ. არტისტები, ორატორები, წინასწარმეტყველები, ბუმბერაზ-კაცები, როგორც დანტონი, და ჩვილკაცები, როგორც კლოტი, გლადიატორები და ფილოსოფოსები ერთი მიზნისკენ მიისწრაფოდნენ ყველანი, პროგრესისკენ. არ იყო იმისთანა ძალა, რომ შეეყენებინა იმათი შრომა. კონვენტი იმით იყო დიადი, რომ ეძებდა, რაც შეიძლება, მეტ სინამდვილეს იქ, რაც ადამიანს შეუძლებლად. მიაჩნია. კონვენტის ერთი მხრიდან რომესპიერი თვალს არ აშორებდა კანონიერებას; მეორე მხრიდან კონდორსე თვალს არ აშორებდა მოვალეობას.

კონდორსე ბრწყინვალე გონებისა და ოცნების კაცი იყო; რომესპიერი კაცი იყო აღსრულებისა, და ხანდახან მოხდება ხოლმე, დაბერებულ საზოგადოებათა საბოლოო კრიზისში აღსრულება ნიშნავს ამოჟლეტას. ორი ფერდობი აქვს რევოლუციას, აღმართი და დაღმართი, და ამ ფერდობებზე სართულებად დაწყობილს მიეზიდება ყველა არეს, ყინულიდან აყვავებულ წალკოტამდე. ყოველი სარტყელი ამ ფერდობებისა ჰქმნის თავისი ჰავის შესაფერ მოღვაწეებს, ზოგს იმისთანას, რომელიც მზეშია ცოცხალი, და ზოგს იმისთანას, რომელიც ჭექა-ქუხილში არის ცოცხალი.

VII

ერთმანეთს უჩვენებდნენ მარცხენა ტალანის კუნჭულს, სადაც რომესპიერმა ჩუმად ჩასჩურჩულა ყურში გარას, კლავიერის მეგობარს, ეს საზარელი სიტყვა: — კლავიერი შეთქმულებას გვიმზადებს. საცა

¹⁾ მონამანები არიან აკვიატებული აზრის ადამიანები.

²⁾ კლავიერი იყო ფინანსთა მინისტრი ნეკერის შემდეგ. მან თავი მოიკლა გილოტინაზე გასვლის წინ, 1793 წელს.

კი გაიჭაჭანებს. — იმავე კუნჭულში, განცალკევებულში ჩუმად მოსალაპარაკებლად და ჩუმი ხმით საჩხუბრად, ფაბრ. დეგლანტინი უკმეხად უსაყვედურებდა რომმს, თავის კალენდარის წარყენას, „ფერვიდორ“ სიტყვის „ტერმიდორად“ გადაკეთებას. ერთმანეთს უჩვენებდნენ იმ კუთხეს, სადაც ერთად ისხდნენ ჰოტგარონის შვიდივე წარმომადგენელი, რომლებსაც ყველაზე უწინ ხვდათ პასუხის გაცემა კითხვაზე, — რით დაისაჯოს ლუი XVI? — და ასეთი პასუხის მისცა შვიდივე: მაილმა — სიკვდილით. დელმა — სიკვდილით. პროჟანმა — სიკვდილით. კალუმ — სიკვდილით. ეიხალმა — სიკვდილით. ჟულიენმა — სიკვდილით. დეზასიმ — სიკვდილით. — მარადი ანარეკლი, რომლითაც სავსე არის ისტორია. მას შემდეგ, რაც ადამიანთა შორის მართლმსაჯულება არსებობს, ეს ანარეკლი აკლდამის გამომდინარე შედის სასამართლოს დარბაზში.

თითო უჩვენებდნენ აყაყანებულ კონვენტში იმ წევრებს, რომლებმაც მეფის სიკვდილით დასაჯას მისცეს ხმა. პაგანელმა დაიძახა, — მოჰკალით! მეფე სიკვდილით არის სასარგებლო. მილომა სთქვა: — მოჰკალით! სიკვდილი რომ არა ყოფილიყო, დღეს უნდა შემოგვედლო მეფის დასასაჯელად. — მოხუცებულმა რაფონ დე-ტრუემ — სიკვდილი დღესვე! გუპილომ — ეშაფოტი, საჩქაროდ! დაყოვნება ანელებს სიმწარეს. — სიეიესმა მოკლედ მოსჭრა — სიკვდილი! — ბუზომ წინადადება შეიტანა, — ხალხს ვკითხოთ, რას იტყვისო. ამაზე გაშმაგებულმა ტურიომ უპასუხა: — როგორ? ახლა ხალხის კრებები?! ორმოცდაოთხი ათასი კრება? ბოლოს ველარ ველირსებით! მთლად გაუთეთრდება ლუი XVI თავი, მანამ სიკვდილით დატკებმა. — ოგუსტენ ბონ-რობესპიერმა თავის ძმის შემდეგ წამოიძახა, — ლმობიერება კარგია, მაგრამ ვერ წარმომიდგენია იმისთანა ლმობიერება, რომ ხალხს უღეტდეს და მეფეს კი შეუნდობდეს. მოკვდეს! საქმის გადადება ხალხისადმი მიმართვა კი არა, მტარვალთადმი მიმართვა იქნება. ფუსლუარმა, მოადგილემ ბერნარდენ სენ-პიერისამ, — საშინლად მეზარება ადამიანის სისხლის დაღვრა, მაგრამ მეფის სიკვდილი ადამიანის სისხლი არ არის, და მოკვდეს. — ჟან ბონ-სენტ-ანდრემ — შეუძლებელია, თავისუფალი იყოს ხალხი, თუ მტარვალი ცოცხალია; ლავიკონტერმა სთქვა, — თავისუფლება სულთმობრძავია, მანამ სული უდგას მტარვალს, — სიკვდილი! შატონევი-რანდონმა შეჰყვირა — მოვკლათ ლუი უკანასკნელი! — გიარდენმა მოითხოვა მეფის მოკვლა, ოღონდ მეფისავე გადაბრუნებულ ტახ-

ტზე; — ტელიემ დაიძახა, — მტრების შესამუსრავად ზარბაზნები ჩამოვასხათ მეფე ლუი XVI-ის თავის ყალიბისა! —

მაგრამ ყველა არ იყო ასე სასტიკი. ჟანტილმა სთქვა — დაბატმირება, მანამ მოკვდებოდეს. რომ მოვკლათ, შარლ პირველად ჯავხდით და, მაშასადამე, კრომველი დაგვაჯდება კისერზე. — ბანკალმა მეფის განდევნა მოითხოვა: — მინდა მუშად ვნახო უდიდებულესი ამ ქვეყნად მეფე, რომ თავისი შრომით მოულოდლეს ლუკმა პურს. — ალბუმ განდევნა მოითხოვა, — წავიდეს და იწიანოს ამ ცოცხალმა აჩრდილმა მეფეების ტახტებს შორის; — ზანჯია კომმა სთქვა, — დავამწყვდიოთ, მეფე ცოცხალი შევინახოთ, როგორც საფრთხობელა; შელონმა წარმოსთქვა, — ნუ მოვკლავთ, თორემ რომში მაშინვე წმინდა წამებულად გამოაცხადებს.

და იმ დროს, როდესაც ამგვარი მომაკვდინებელი, და ხან ლმობიერი მსჯავრი ისმოდა კონვენტში და ისტორიაში იფანტებოდა, ტრიბუნებში კეკლუსად მორთულ, გულმკერდ გაღელილ ქალებს წვერთა სია ეჭირათ ხელში და ქინძისთავით ნიშნავდნენ ყოველ ჯვართან, — ვინ რა მიუსაჯა მეფეს, სიკვდილი, თუ სიცოცხლე.

საცა ტრაგედია შევა, იქ შიში და სიბრაღულიც რჩება. /

რა დროსაც უნდა გადახედოთ კონვენტს, მანამ იღვწოდა და მეფობდა, მაშინვე უკანასკნელი მეფის განსჯა და სასჯელი დაგიდგებათ თვალწინ, თითქო კონვენტის ყოველ დებულებაში ჩარეულიყოს ლეჯენდა ოცდაერთი იანვრისა. მრისხანე კრება სულით-ხორცამდე გაყდენთილი იყო იმ ქროლოვით, რომელმაც დაჰკრა და საუკუნოდ ჩააქრო ძველი. თვრამეტი საუკუნის განმავლობაში მოკაშკაშე ჩირალდანი მონარქიისა. გადამწყვეტი განსჯა მეფე ლუი XVI-ისა იყო განსჯა ყველა მეფეების საქმისა და დასაწყისი იმ ბრძოლისა, რომელსაც ხალხი უმზადებდა წარსულს. რა კრებასაც უნდა დასწრებოდა დადამიანი, რა საგანზედაც უნდა ყოფილიყო კამათი, მაინც უდგა ლუი XVI-ის ეშაფოტის აჩრდილი.

ერთმანეთს უამბობდნენ მაყურებლები, რომ კერზენმა და როლანმა, რა ნახეს, რომ უმრავლესობამ სიკვდილით დასჯას მისცა წმა, უარი განაცხადეს, — კონვენტის წვერებად აღარ ვრჩებითო. დღუშატელი, სევრის დეპუტატი, ავად იყო და გადაწყვიტა, უთუოდ დასწრებოდა კრებას; თავისი სარეცელით მისვენეს დარბაზში და შომაკვდავმა სიცოცხლე გადაუწყვიტა მეფეს, რამაც გულიანად გააყინა მარატი. ეძებდნენ თვალთ აგრეთვე ერთ დეპუტატს, დღეს ისტორიისგან დავიწყებულს, რომელმაც ვერ გაუძლო ამ ოცდაჩვი-

დმეტი საათის კრებას, დაღალულ-დაქანცულს ჩაეძინა თავის სკამზე, და რომ გააღვიძეს, — აბა, რას იტყვი? შენი რიგიაო, — ერთ წამს გაახილა თვალი, — სიკვდილიო! — დაიძახა და ისევ ჩაიძინა.

ლუი XVI რომ სიკვდილი მიუსაჯეს, რობესპიერს თვრამეტი თვის სიცოცხლედა რჩებოდა, დანტონს — თხუთმეტი თვისა, ვერნოს — ცხრა თვისა, მარატს — ხუთი თვისა და სამი კვირისა, ლეპელეტიე სენ-ფარჟოს — ერთი დღისა. მოკლე და საშინელი სუნთქვა-აღამიანისა!

VII

ხალხს ღია ფანჯრები ჰქონდა კონვენტში საყურებლად, სახალხო ტრიბუნები, და როდესაც ეს ფანჯრები არ ჰყოფნიდა, კარსაც აღებდა და ქუჩა შედიოდა კრების დარბაზში. განსაცვიფრებელი მოვლენაა ეს შესევა ბრბოისა სენატში. ერთობ ხალხი რომ შევარდებოდა დარბაზში, ამხანაგურად ექცეოდა კონვენტს და იმის წევრებს. ქუჩისა და კურულის ძმობა. მაგრამ საშიში არის ძმობა ხალხისა, რომელმაც ერთ დღეს, სამ საათში, ხელთ იგდო ზარბაზნები და ორმოცი ათასი თოფი. წამდაუწუმ შედიოდა დარბაზში. ხალხი და აწყვეტინებდა ბჭობას; ხან რისამე სათხოვრად გამოგზავნილი დეპუტატები შევიდოდნენ, ხან ქებისა და მადლობის გამოსაცხადებლად, ხან რისამე მისართმევად. სენტ-ანტუანის უბნის დიდებული შუბი ქალებმა შეიტანეს კონვენტში. ინგლისელები ოციათას წყვილ წალას სთავაზობდნენ კონვენტს ფეხშიშველი ჯარებისთვის; „მოქალაქე არნუ, — სწერდა გაზეთი მონიტორი, — ობინიანის მღვდელი, დრომის ბატალიონის უფროსი, სთხოვს კონვენტს, საბრძოლველად გაჰზავნოს საზღვარზე, ოღონდ მისადვე დარჩეს მისი სამწყსო“. უბნების წარმომადგენლნი მოდიოდნენ და ტახტრევანით მოჰქონდათ ძვირფასი ლანკნები, ფეშხუმები, ბარძიშები, ოქროს, ვერცხლის და შეოქრვილი ვერცხლის ნამტკრევი, რომელსაც სამშობლოს სწირავდა დაფლეთილი ტანსაცმელით მოსილი ხალხი და ერთს მოითხოვდა სამაგიეროდ, — ნება გვიბოძეთ კარმანიოლი ვიცეკვოთ კონვენტის წინაშეო. შენარი, ნარბონი და ვალიერი კონვენტში მღეროდნენ მთიელების პატივსაცემად. მონბლანის¹⁾ მხრიდახ ლეპელეტიეს ძეგლი მოართვეს. ერთმა ქალმა წითელი ქუდი დახურა თავმჯდომარეს; ისიც მოეხვია და გადაჰკოცნა ნიშნად მადლობისა. მაილის მხრიდან ქალები მოვიდნენ და ყვავილებით მოჰფინეს

1) მონბლანი მთაა შეეძარიაში.

„კანონმდებელი“. „სამშობლოს მოწაფენი“ მიდიოდნენ მუსიკით და მადლობას სწირავდნენ კონვენტს, რომ „მოამზადა კეთილდღეობა საუკუნისა“. „სამშობლოს დამცველი ქალები“ ვარდებს სთავაზობდნენ კონვენტის წევრებს. ელისეს მოედნის უბნის ქალებმა მუხის გვირგვინი მიაართვეს. ტანპლის უბნელი ქალები მოვიდნენ კონვენტში და ფიცი დასდევს, — მეუღლედ არავე გვინდა, თუ არა რესპუბლიკელიო. მოლიერის¹⁾ უბნელებმა მიაართვეს მედალი ფრანკლინისა, რომლითაც, თანახმად გამოცხადებული დეკრეტისა, თავისუფლების ქანდაკება დაამშვენეს. მიგდებული ბავშვები, რესპუბლიკის შვილებად იყენენ გამოცხადებული და ეროვნული ფორმის ტანისამოსით შედიოდნენ კონვენტში მწყობრად. ოთხმოცდამეთორმეტე განყოფილების ქალები გრძელი თეთრი კაბებით ეწვივნენ კონვენტს და მეორე დღეს „მონიტორში“ შემდეგი ეწერა: „თავჯდომარეს თაიგული მიაართვე ერთმა ტურფა უმანკომ“. კონვენტის ორატორებიც მიესალმებოდნენ ხოლმე ხალხს, ეფერებოდნენ, ხანდახან მლიქვნელობასაც კადრულობდნენ და ეუბნებოდნენ: — თქვენ ხართ უცოდველი უმწიკვლო, დიდებული. — ხალხს ბავშვური ხასიათი აქვს, ძალიან უყვარს ეს სიტყობება. მაგრამ მოხდებოდა ხოლმე, უკმაყოფილება, აჯანყება შეიჭრებოდა კონვენტში; აღშფოთებული შევარდებოდა დარბაზში და გამოდიოდა დაწყნარებული, როგორც მდინარე რონა, რომელიც ლემანის ტბაზე გადის: ტბაში შესვლამდე ცარიელი ტალახია, და კამკამი, წმინდა, ტბიდან რომ გამოვა.

მაგრამ ყოველთვის მშვიდობიანად არა ბოლოვდებოდა ზალხის შესევა და ამიტომ კონვენტს საკმაო დამცველი ჯარი ჰყავდა და იარაღიც ჰქონდა.

IX

რევოლუციას მიუძღვოდა კონვენტი და იმავე დროს განათლებასაც ემსახურებოდა. ცეცხლი იყო, მაგრამ ბრძმედი. ქვაბში დულდა ტერორი და ჰქმნიდა დადულებულ პროგრესს. ამ ჩრდილების ქაოსიდან და ამ ახმაურებულ ღრუბელთ სრბოლიდან გამოდიოდა უსაზღვრო, მარად კანონების მნიშვნელობის, სხივები. ჰორიზონტზე დარჩნენ ეს სხივები, სამარადისოდ ანათებენ ხალხთა ცას და წარ-

1) მოლიერი მე-17 საუკუნის ფრანგი კლასიკოსი მწერალია. იგი სწერდა კომედიებს, რომელშიც დასცინოდა გადაგვარებულ არისტოკრატებსა და თავდაზნაურებს. (1622 — 1673).

მოადგენენ ერთი — მართლმსაჯულებას, ერთი — სხვის მრწამსის პატივისცემას, ერთი — გულკეთილობას, ერთი — განსჯას, ერთი — სიმართლეს, ერთი — სიყვარულს. კონვენტმა გამოაცხადა ეს დიდებული აქსიომა: მოქალაქის თავისუფლება ბოლოვდება იქ, სადაც იწყება თავისუფლება მეორე მოქალაქისა; ეს დებულება მოკლე, ორ სტრიქონიან დასკვნას წარმოადგენს მთელი კაცობრიობის საზოგადოებრივობისას. კონვენტმა წმინდად გამოაცხადა სილარიბე; წმინდად გამოაცხადა უძლურება უსინათლოსი და ყრუ-მუნჯისა, რომლებსაც სახელმწიფო უნდა ინახავდეს; წმინდად გამოაცხადა მშობიარობა გასათხოვარი ქალისა, რომელსაც ნუგეშს სცემდა და ეხმარებოდა; წმინდად გამოაცხადა ობლის ბავშვობა და სამშობლოს შვილობილად ყველა ობოლი; წმინდად გამოაცხადა უბრალობა სასამართლოს მიერ გამართლებულისა, რომელსაც სამაგიეროს უხდიდა უსაფუძვლო წამებისათვის. კონვენტი არცხვენდა თეთრების მიერ ზანგების დამონებას; კონვენტმა მოსპო მონობა, კონვენტმა გამოაცხადა მოქალაქეთა ურთიერთობრივი ვალდებულება. კონვენტმა შემოიღო უსასყიდლო სწავლა; ეროვნული განვითარებისათვის შემოიღო „ნორმალური სკოლა“ პარიზში, „ცენტრალური სკოლები“ ქალაქებში და პირველდაწყებითი სკოლები — სოფლებში; გახსნა კონსერვატორიები და მუზეუმები. კონვენტმა შემოიღო საერთო, მთელი საფრანგეთისთვის, კანონები, საერთო წონა და ზომა და საერთო თვლა ათობითი სისტემით. კონვენტმა დაარსა ფინანსები საფრანგეთისა და მონარქიის ხანგრძლივი კოტროლის წილ დაამყარა საზოგადოებრივი ნდობა. მიმოსვლასა და მიმოზიდვას ტელეგრაფი გაუჩინა, სიბერეს — თავშესაფარი და უზრუნველყოფა, ავადმყოფობას — გაწმენდილი საავადმყოფოები, სწავლას — პოლიტექნიკური სკოლა, მეცნიერებას — გეოგრაფიული სიგარძედი, ადამიანის გონებას — აკადემია. ეროვნული იყო კონვენტი და იმავე დროს კოსმოპოლიტი. თერთმეტი ათას ორასათი დეკრეტი გამოსცა კონვენტმა; ერთ მესამედს აქვს პოლიტიკური დანიშნულება და ორ მესამედს — კაცობრიული, ზნეობა საზოგადოების საფუძვლად გამოაცხადა და სვინიდიის — კანონის საფუძვლად. და ყოველივე ეს, — მონობის მოსპობა, ძმობის გამოცხადება, მოყვასის დანმარება, ხალხის შეგნებულობის განვითარება, შრომის ვალდებულების უფლებად გარდაქმნა და საზარალო შრომის მაგივრად სასარგებლოს შემოღება, საერთო ქონების დამკვიდრება, ბავშვობის დანმარება და განათლება, მწერლობისა და მეცნიერების გავრცელება, ყველა მწვერვალზე სინათ-

ლის გაშუქება, ყველა გაჭირვებულის დახმარება, გამოცხადება დიდებული პრინციპებისა, ყოველივე ეს კონვენტმა შესძლო იმ დროს, როდესაც გულში უჯდა და გულს უღრღნიდა ჰიდრა¹⁾-ვანდე, და ყარს მრავლად ეხვია ვეფხვი — ევროპის მეფეები.

X

უსაზღვრო მოედანი იყო კონვენტი. ყოველგვარი კაცი მოიპოვებოდა იქ, — ადამიანი, არაადამიანი და ზეადამიანი. ეპიკური გროვა — ქიშპობისა. გიოტენი დავიდს ერიდებოდა, ბაზირი შაბოს ლანძღავდა, ვადე სენ-ჟუსტს დასცინოდა, ვერნიოს ეჯავრებოდა დანტონი, ლუვე არ ასვენებდა რობესპიერს, ბუზო აბეზღებდა ვგალიტეს, შამპონი მიწასთან ასწორებდა ჰაშს, და ყველას ჭირივით სძულდა მარატი. და რამდენი კიდევ სხვა არის მოსახსენებელი! არმონვილი, წითელქუდად წოდებული, რადგან კრებაზე ყოველთვის ფრიგიული წითელი ქუდათ იჯდა, მეგობარი იყო რობესპიერისა და ძალიან უნდოდა „ლუი XVI შემდეგ რობესპიერი აებრძანებინა გილოტინაზე“, თანასწორობის ასასრულებლად. მასსიე, ამხანაგი და გამოჭრილი ასლი გულკეთილი ლამურეტისა; ეს ლამურეტი ეპისკოპოსი იყო და სიყვარულს უანდერძა თავისი სახელი. ლეარდი დემორბიან, რომელმაც ლაფი გადაასხა ბრეტანელ მღვდლებს. ბასერი — უმრავლესობის მომხრე, თავმჯდომარე იმ კრებისა, რომელიც არჩევდა ლუი XVI საქმეს; მერე ვაჭრობა დაიწყო და ისე ჰყავდა ნოქრად პამელა, როგორც ლუვეს ლოდოისკის ცოლი. ორატორი დონუ, რომელიც სულ იმას გაიძახოდა, — მოვითმინოთ, ნუ აეჩქარდებიოთ. დებუ-კრანსე, რომელსაც სულ ყურში ჩასჩურჩულებდა მარატი. მარკიზი დე-შატონევი, ლაკლო, ეროლ დე-სეშელი, რომელიც ანრიომ შეაშინა ყვირილით — „მზად იყავით, მეზარბაზნენო“. ჟულიენი, რომელიც თერმოპილის გმირებს ადარებდა მთიელებს. გამონი, რომელიც მოითხოვდა სახალხო ტრიბუნას ცალკე ქალებისთვის. ლალუა, რომელმაც კრების მადლობა უძღვნა ეპისკოპოს გობელს, როდესაც მან კონვენტს მიართვა თავისი მიტრა და წითელი ქუდი დაიხურა. ლეკონტი, რომელმაც სთქვა, — რაღას უყურებენ მღვდლები, რატომ არ გაიკრიჭებიან? ფერო, რომლის მოჭრილ თავს თავყვანი სცა ბუასსი დანგლამ და ისტორიას მიანდო გამორკვევა: რას სცა თავყვანი ბუასსი დანგლამ, — თავს, ესე იგი

1) ჰიდრა მითიური შვიდთავიანი გველია.

მოკლულს, თუ მახვილს, ესე იგი მკვლელებს? ორი ძმა ღებრა, — ერთი მთიელი, მეორე უირონდელი, რომელთაც ისე სძულდათ ერთმანეთი, როგორც პოეტ შენიესა და იმის ძმას.

მრავალი სიტყვა იყო წარმოთქმული კონვენტის ტრაბუნდან თავზარდამცემი, რომელსაც ხშირად წინასწარმთხრობი რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა შეიძლება ამას ვერ გრძობდა თვით სიტყვის მთქმელი; ამგვარი სიტყვის შემდეგ კონვენტის მოქმედებას რაღაც გაჯავრება და ვნებილობა ემჩნევა, თითქო ცუდად მიიღო კრებამ წარმოთქმული სიტყვაო. მოქმედებას მოსმენილის ბრაზი ერევა; მოულოდნელი არეულობა მოდის ზედიზედ მოსმენილი სიტყვით გაშმაგებული და იმედმიხდილი. ასეა, ერთი ხმა ემარა მთაში, რომ ზევაი ჩამოაწვინოს. ერთი სიტყვაც რომ იყო მეტი, შეიძლება ერთმა სიტყვამ გამოიწვიოს აღშფოთება და ნგრევა. სიტყვა რომ არ თქმულიყო, იქნება არც ავი მომხდარიყო, თუმცა ხანდახან თვით ცხოვრების მიმდინარეობამაც იცის გაცოფება.

სწორედ ამგვარად მოხდა, ორატორის შემთხვევით ცუდად გაგებული სიტყვის გამო, რომ თავი მოსჭრეს დედოფალ ელისაბედს. ავი სიტყვა ჩვეულებად იყო კონვენტში და ორატორის უფლებად.

მუქარა ისმოდა ყოველი მხრიდან და ისევე ხშირი იყო, როგორც ნაპერწყალი ხანძარში. პეტიონი:¹⁾ საგანს დაუბრუნდით, რობესპიერ. — რობესპიერი: საგანი თქვენ ხართ, პეტიონ. დაუბრუნებოდა მაშინ ნახავთ! — ვილაც ყვირის: სიკვდილი მარატს! — მარატი: იმ დღეს, როდესაც მოკვდება მარატი, აღარც პარიზი იქნება; და იმ დღეს, როდესაც დაილუპება პარიზი, აღარც რესპუბლიკა იქნება. — ბლიოვარანი დგება და იძახის: ჩვენ გვინდა... — ბარერი აწყვეტინებს: — რა შეფესავეთ ლაპარაკობ მრავლობითად! ერთხელ კიდევ, ფილიპო: — ერთმა წევრმა ხმალი იშიშვლა და ისე მოიწვედა ჩემზე. — ოდუანი: თავმჯდომარე, მოაგონეთ წესიერება იმ კაცის-მკვლელს! — თავმჯდომარე: — მოითმინეთ... პანო: თავმჯდომარე, ძძულელებული ვარ მე მოგაგონოთ წესიერება.

სიცილი და ხარხარიც ხშირად ისმოდა კონვენტში. ლეკუანტრი: — შან-დე-ბუს მღვდელი უჩივის ფოშეს, თავის ეპისკოპოსს, ცოლის შერთვის ნებას არ მამღვდესო. — ერთი ხმა: ვერ წარმომიდგენია, რად დაუშლის ვისმე ფოშე ცოლების შერთვას, როდესაც

1) პეტიონი იყო კონვენტის თავმჯდომარე, 1791 წელს — პარიზის მერი გაიქცა პარიზიდან, როგორც უირონდისტი.

თვითონ საყვარლები ჰყავს? — მეორე ჰხმა: მღვდელი, დედაკაცი ვერსად იპოვე?

სახალხო ტრიბუნებიც ჩაერევოდნენ ზოლმე კონვენტის წევრების კამათში და შენობით ელაპარაკებოდნენ. ერთხელ, კონვენტის წევრი რუანი აღიოდა ტრიბუნაზე; ერთი კუნთი მეტად დიდი ჰქონდა მეორესთან შედარებით, და ერთმა მაყურებელმა დაუყვირა სახალხო ტრიბუნიდან: — მარჯვნივ მისწიე ეგ გამობერილი! — ასე თავისუფლად ექცეოდა ხალხი კონვენტს, მაგრამ ერთხელ მოხდა, 1793 წ. აპრილის თერთმეტს იმისთანა ალიაქოთი ასტეხა სახალხო ტრიბუნამ, რომ თავმჯდომარემ დააჭერიანა ერთი მაყურებელი, რომელიც სატყვას აწყვეტინებდა ყველას.

ერთხელ ამ კრებას მოხუცებული ბუონაროტი დაესწრო მოწმედ; რობესპიერმა ითხოვა სიტყვა და ორი საათი ლაპარაკობდა; თან დანტონი შესცქეროდა დაშტერებით, რაც საშიშროებას მოასწავებდა, და ხანდახან მარტო თვალს გადაავლებდა, რაც საშიშროებაზე უარესი იყო; გრგვინავდა და შიგ პირში სცემდა დანტონს; ცოფს ჰყრიდა, როცა ათავებდა საშინელი მუქარით აღსავსე; — ვერაგებსაც კარგად ვიცნობთ და ცბიერებსაც; ვიცნობთ წამბილწველებსაც და წაბილწულებსაც; ვიცნობთ სამშობლოს მტრებს და რევოლუციის მოღალატეებსაც; სულ აქვე ბრძანდებიან, ამ კრებაზე; ჩვენი სიტყვა ეყურებათ: ჩვენც ვხედავთ ყველას და თვალს არ ვაშორებთ; ცოტა ზევით რომ აიხედონ, თავზევით, კანონის მახვილს დაინახავენ; თავიანთ სვინილისში რომ ჩაიხედონ, ბიწიერების მეტს ვერას იპოვიან; მაშ ფრთხილად იყონ!.. და რომ გაათავა, დანტონმა თვალეები მოჰუტა, ჰერისკენ აიღო თავი, ერთი ხელი ძირს დაუშვა, სკამზე გადაწვა და ლულუნი დაიწყო ყველას გასაგონად:

კადე რუსიელი მეტად გრძლად ამბობს,

მოკლედ ვერ იტყვის, რადგან თავს იმკობს.

ლანძღვაც ხშირად გაისმოდა კონვენტში. — მოღალატე! — სისხლით გაუმადლარო! — კაცისმკვლელო! — ქვეყნის მტერო! — ერთმანეთს აბეზლებდნენ ბრუტის ძეგლის წინაშე, რომელიც დარბაზში იდგა. ლანძღვა, შეურაცხყოფა, მუქარა, ცოფიანი თვალების ბრიალი, მუშტის მოღერება, დამბაჩის ქნევა, ხანჯლის ნახევრად ამოღება. ცეცხლის ალში იდგა ტრიბუნა. ზოგი ისე ლაპარაკობდა, თითქო გილოტინაზე წევსო. ღელავდა ყველა, ფეიანელები, გულგახეთქილი და თან საშინელი. მთიელები, ჟირონდელები, ზომიერები, ტერორისტები, იაკობელები, კორდელიერები; თვრამეტი მღვდელი — მეფისმკვლელი.

ყველა ესენი! დიდი კვამლი ქარით ქვეყნად მოფენილი.

XI

ქარის ხვედრად გამხდარიყო აზრი.

მაგრამ სასწაულმოქმედი იყო ეს ქარი.

კონვენტის წევრი იგივე იყო, რაც ოკეანის ზვირთია. სწორედ ოკეანის ზვირთები იყვნენ უდიდესი წარმომადგენლები ხალხისა. ძალი შემოქმედებისა ზემოდან მოდიოდა. ერთი წადილი იყო კონვენტში, რომელიც ეკუთვნოდა ყველას, და პირადად — არავის. ეს წადილი იყო ერთი იდეა, იდეა დაუცხრომელი და უსაზღვრო, რომელიც მალლა ცაში ციალებდა. ამ ციალა იდეას ჩვენ რევოლუციას ვუწოდებთ. რომ გაურბენდა კონვენტს ეს იდეა, ზოგს ძირს დასცემდა, ზოგს აამაღლებდა; ზოგს ქაფს გადაავლებდა და წაღეკავდა, ზოგს კლდეს მიახლიდა. ამ იდეამ იცოდა საით მიდიოდა, და თავის წინ მიაქროლებდა უფსკრულს. შეუძლებელია, ადამიანს მიაწეროთ რევოლუცია, როგორც შეუძლებელია ზვირთს მიაწეროთ ზღვის მოქცევა და უკუქცევა.

რევოლუცია რალაც უცნობის მოქმედებაა. გნებავთ, კეთილი უწოდეთ ამ მოქმედებას, გნებავთ — უკეთური. ეგ იმაზე არის დამოკიდებული, სად დაგისახავთ თქვენ იდეალი, წარსულში, თუ მომავალში. მაგრამ თვით რევოლუცია კი მის შემოქმედს აკუთნეთ. რევოლუცია დიადი სახსოვებისა და დიადი მოღვაწეების შეერთებულ ქმნილებას ჰგავს, მაგრამ ნამდვილად მარტო სახსოვების შედეგი არის. სახსოვები ხარჯავენ, ადამიანი იხდის ამ ხარჯს. სახსოვები ბრძანებენ, ადამიანი ხელს აწერს. ივლისის თოთხმეტს — ბასტილის ციხის აღება — ხელს აწერდა კამილ დემულენი; აგვისტოს ათს — ლუი XVI დაპატიმრება და მეფობის დამხობა — ხელს აწერდა დანტონი; სექტემბრის ორს — დაჭერილების ხოცვა — ხელს აწერდა მარატი; სექტემბრის ოცდაერთს — რესპუბლიკის დაარსება — ხელს აწერდა გრეგუარი; იანვრის ოცდაერთს — მეფის მოკვლა — ხელს აწერდა რობესპიერი. მაგრამ დემულენი, დანტონი, მარატი, გრეგუარი და რობესპიერი — ოქმის შემდგენელები იყვნენ. ყოველად ძლიერსა და ავბედით რედაქტორს ამ დიდებულ ფურცლებისას აქვს თავისი სახელი — სახსოვები, და თავისი ნიღაბი — ბედი. ამ რედაქტორს რობესპიერი ღმერთს ეძახდა. დიახ, რებოსპიერს სწამდა ღმერთი.

რევოლუცია არის მოთხოვნილება იმ მოვლენებისა, რომლებსაც მაგრად ჩავუბოქივართ ყოველ მხრივ და რომლებსაც ჩვენს საჭიროებას ვუწოდებთ.

იღუმლად გართულებული კეთილდღეობისა და ტანჯვის მოვლენათა წინაშე აღიძვრის ისტორიული საკითხი: რააღ?

იმიტომ. ეს არის პასუხი იმისი, ვინც არა იცის რა, და აგრეთვე პასუხი იმისი, ვინც ყველაფერი იცის.

ეს საზარელი, დროგამოშვებითი კატასტროფები აფორიაქებენ და ასულდგმულებენ ცივილიზაციას. წვრილმანების კვლევასა და ძიებას აქ დიდი მნიშვნელობა არა აქვს. შედეგის მიხედვით რომ მოღვაწენი ვლანძლოთ, ან ვადიდოთ, იგივე იქნება, ჯამის მიხედვით რომ ციფრებს დავუწყოთ ლანძღვა და ქება, რამაც უნდა გაიაროს, გაივლის: რამაც უნდა დაჰქროლოს, დაჰქროლავს. მარად სიმშვიდეს ვერას ავენებს ეს გრიგალი. რევოლუციებს ზემოდან დაჰყურებს ჭეშმარიტება და სამართლიანობა, როგორც მოღრუბლულ ქვეყანას ვარსკვლავებით მოკრიალებული ზეცა.

XII

ასეთი იყო ეს უზომიერო კონვენტი, შემოზღუდული ბანაკი ხალხისა, რომელზეც ერთად მიდიოდა იერიშით, რაც ქვეყანაზე ავირის და უმეცარი; იდეების ლაშქარი შეკრებილიყო და მთიებრ ანათებდა ქვეყნიერებას, მიუხედავად გარემოცვისა; უსაზღვრო ბანაკი აზროვნებისა უფსკრულის ფერდობზე. არაფერი მოიპოვება ისტორიაში იმისთანა, რომ შეედრებოდეს ამ ჯგუფს, ერთ და იმავე დროს სენატსა და ხალხურს, კრებასა და ქუჩას, არეოპაგსა¹⁾ და მოედანს, სასამართლოსა და ბრალდებულს.

კონვენტს ყოველთვის ხრიდა ქარი. მაგრამ ქარი ხალხის ამონასუნთქი იყო და ხალხის კეთილდღეობისკენ მიმქროლი.

და დღეს, ოთხმოცი წლის შემდეგ, ვისაც კი წარმოუდგება კონვენტი, ვინც უნდა იყოს, ისტორიკოსი, თუ ფილოსოფოსი, ღრმად ჩაფიქრებული დარჩება დიდ ხანს. შეუძლებელია ჩვენი ყურადღება არ მიიპყრას ამ აჩრდილთა წარსულმა.

მარატი კულისებში

როგორც უთხრა სიმონ ევარას მარატმა, მეორე დღეს, დანტონთან და რობესპიერთან კამათის შემდეგ, კონვენტისკენ წავიდა.

ერთი მარკიზი იყო კონვენტში, მარატის მომხრე, ლუი დე მონ-

¹⁾ არეოპაგი იყო უზენაესი სასამართლო ათენში (ძვ. საბერძნეთი).

ტლ, რომელმაც შემდეგში კონვენტს კედლის საათი მიაართვა მარათის ქანდაკებით.

მარატი რომ შევიდა დარბაზში, შაბო ელაპარაკებოდა მონტოს.

— შენ ეი! ყოფილო!

მონტომ თვალი გადაავლო.

— ყოფილს რად მეძახი?

— იმიტომ რომ იყავ.

— მე?

— მარკიზი იყავ.

— ჩემს დღეში არა!

— ამას უყურეთ!

— მამა ჩემი სალდათი იყო, პაპა ჩემი ფეიქარი.

— რას მიედმოედები, მონტო?

— მე მონტო არა ვარ.

— მაშ ვინ ბრძანდები?

— მარიბონი მქვია და მარიბონი ვარ.

— ვინც ვინდა, იყავ! რა მენალვლება, — უპასუხა შაბომ და წაიღულუნა:

— ბედნიერი ის არის, ვინც მარკიზი არ არის.

მარატი გაჩერდა და მონტოსა და შაბოს დაუწყყო ცქერა.

მარათის შემოსვლა კონვენტში ყოველთვის ხმაურობას გამოიწვევდა ხოლმე, ოღონდ ხმაურობას — მოშორებითს. მის ირგვლივ კი დუმილი სუფევდა. ამ ხმაურობას ყურადღებას არ აქცევდა მარატი. ეზიზღებოდა „ჭაობის ყიყინი“.

ქვემოთ, ბნელ სკამზე კუბე დე ლ-უაზი, პრუნელი, ეპისკოპოსი ვილარი, შემდეგში საფრანგეთის აკადემიის წევრი, ბუტრუ, პეტრი, პლეშარი, ბონე, ტიბოდო, ერთმანეთს თითოთ აჩვენებდნენ მარატს.

— აგერ მარატი!

— მაშ ავად არ არის?

— ეტყობა, ავად არის, რომ საშინაო ტანისამოსით მობრძანდება.

— საშინაო ტანისამოსით?

— მაშ! ვერა ხედავთ?

— რა თაეხედი კაცია!

— კონვენტში აგრე მოდის?

— თუ კი დაფნის გვირგვინით მორთული მობრძანდა ამას წინათ, რატომ საშინაო ტანისამოსით კი არ მოვა?

— სპილენძის პირი და ჟანგის კბილი!

— საშინაო ტამისამოსი ახალს ჰგავს.

— რისაა?

— რეფსისა.

— ზოლიანი.

— წაღების ყელს შეხედეთ.

— ტყავისაა.

— ვეფხვისა.

— არა, ყარყუმისა.

— ისიც ყალბი.

— წინდებიც რომ ჩაუცვამს!

— მარატი და წინდები?

— წალის ყელზე ღილები.

— ვერცხლის ღილები!

— რას აპატივებს მაგას კამბულას ხის ქოშები!

სხვა სკამებზე ისე ისხდნენ, თითქო მარატს ვერ ხედავენო.

იქაც საუბარი იყო. სანტონა ეკითხებოდა ამხანაგს:

— გაიგეთ დუსსო?

— რა?

— ყოფილი გრაფი ბრიენი?

— რომელიც ფორსში¹⁾ იყო ვილუარსთან?

— დიახ.

— ორივეს ვიცნობდი. მერე?

— ისე იყვნენ დაშინებული, რომ საცა წითელ ქუდს შეხვდებოდნენ, მაშინვე სალამს აძლევდნენ. ერთხელ ქალაღდი არ ითამაშეს, რადგან საფამაშო ქალაღლზე ძველებურად ხელმწიფე იყო გამოსახული და დედოფალი.

— მერე?

— გუშინ მოჰკლეს ორივე, გილოტინით.

— ორივე?

— ორივე.

— ნეტავი, ციხეში როგორ იქცეოდნენ?

— ლაჩრად.

— ეშაფოტზედაც აგრევე?

— პირიქით, ვაჟკაცურად.

და დუსსომ ამ ნაკვესით დააბოლოვა საუბარი:

— ზოგჯერ სიკვდილი უფრო ტკბილია, ვიდრე სიცოცხლე.)

1) ფორსი იყო ძველი ციხე-დარბაზი.

ბარერი მოხსენებას კითხულობდა. ვანდეს სკამზე ბჯობდა კონვენტი. ცხრაასი კაცი წასულიყო მორბიანიდან ზარბაზნით ქალაქ ნანტის საშველად. რედონს გლეხკაცები ემუქრებოდნენ. პემბეფს. გარსშემორტყმოდა მტერი. მენდრენში გემები დაცურავდნენ, რომ მტერს ჯარების გადმოსხმა არ შესძლებოდა. ინგრანდიდან მორამდე მთელი მარცხენა ნაპირი ლუარისა როიალნსტების არტილერიათ იყო გამაგრებული. პორნიკს სამი ათასი გლეხკაცი დაჰპატრონებოდა. და — ინგლისელებს გაუმარჯოსო! — გაჰყვიროდნენ. სანტერის წერილი იყო კონვენტისადმი, რომელიც ხმამაღლივ წაუკითხა კრებას ბარერმა. წერილი ასე იყო დაბოლოებული: „შვიდი ათასი გლეხკაცი მოადგა ვანს. მოვიგერიეთ, გავრეკეთ და ოთხი ზარბაზანი წავართვით“.

— ტყვეები? რამდენი ტყვე არის? — შეაწყვეტინა ვილაცამ.

ბარერმა განაგრძო... წერილის ბოლოში ნათქვამია: „ტყვეები არა გყავს, რადგან არ ვატყვევებთ“.

ისევ ისე უძრავად იჯდა მარატი, ყურს არ უგდებდა; ეტყობოდა, რაღაც აწუხებდა საშინელი და იმიტომ იყო იმის ფიქრი გატაცებული.

ქალაღი ეკირა და სკმუქნიდა. რომ წაერთმიათ და გაეშალათ, მომოროს ხელით დაწერილ ბარათს ნახავდნენ, ალბათ პასუხს მარატის მიერ დასმული კითხვებისას:

„ — ყოვლად ძლიერად მიაჩნიათ თავი მოვლინებულ კომისრებს, მეტადრე საზოგადოებრივი განრინების კომიტეტის კომისრებს, და ვერას გავაწყობთ ამათთან. ხომ თქვა ექვს მაისს კრებაზე ენისსომ, — კომისარი უფრო ძლიერია, ვიდრე მეფეო, — მაგრამ ეგ მართო სიტყვა იყო; საქმით კი ამათ ხელშია ადამიანის სიკვდილსიცოცხლე. მასადი ანჟერში, ტრულარი სენტ-ამანდში, ნიონი გენერალ მარსესთან, პარენი საბლის ჯარში, მილიერი ნიორის ჯარში ნამდვილ ხელმწიფურად ბრძანებლობენ. იაკობელების კლუბი იქამდე გაკადნიერდა, რომ პარენს გენერლობა მისცა. გარემოება ამართლებს ყველაფერს. ერთს საზოგადოებრივ განრინების კომიტეტის კომისარს აბუჩად ჰყავს აგდებული თვით მხედართმთავარი ჯარისა“.

დაკმუქნა წერილი მარატმა, ჯიბეში ჩაიდვა და ნელი ნაბიჯით წაეიდა მონტოსა და შაბოსკენ, რომლებიც განაგრძობდნენ ბაასს და მარატის დარბაზში შესვლა ვერ შეამჩნიეს.

— მარიბონი ხარ, თუ მონტო, გაიგონე, რას გეუბნები: ეს არის, საზოგადოებრივი განრინების კომიტეტიდან მოვდივარ.

— მერე რაო?

— ერთი დიდებული ჩააბარეს მღვდელს, — შენ იცო და მაგანაო.

— ჰოო?

— დიდებული, როგორც შენ...

— მე დიდებული არა ვარ, — თქვა მონტომ.

— მღვდელს ჩააბარეს.

— მღვდელს, როგორც შენ...

— მე მღვდელი არა ვარ, — თქვა შაბომ.

და სიცილი წასკდა ორივეს.

— იგავებით ნუ მელაპარაკები, რაშია საქმე?

— აი, რაშია. ერთი მღვდელი, სახელად სიმურდენი, დანიშნეს სრულუფლებიან დელეგატად ერთ ვიკონტ გოვენთან. ეს გოვენი მოწინავე ჯარის უფროსია ზღვის პირის ლაშქარში. უნდათ ისე მოაგვარონ საქმე, რომ დიდებულმა არ ივერაგოს და მღვდელმა არ გვილაღატოს.

— მაგაზე ადვილი რა იქნება, — უპასუხა მონტომ, — სიკვდილი უნდა ჩავერიოთ საქმეში.

— მეც მაგიტომ მოვდივარ, — უთხრა მარატმა.

წამოიწია ორივე.

— დილა მშვიდობისა, მარატ, — მიესალმა შაბო. — ხშირი სტუმარი არა ხარ ჩვენი კრებებისა.

— სულ აბანოში ვყავარ ჩემ ექიმს, — უთხრა მარატმა.

— ნურც აგრე ენდობი მაგ აბანოებს, — ურჩია შაბომ. — სენეკა აბანოში მოკვდა.

მარატმა ჩაიციინა:

— შაბო, აქ ნერონი არ არის.

— აქ შენ ხარ, — გაისმა უკმეხი ხმა დანტონისა, რომელიც თავის სკამისკენ მიეშურებოდა და ყური მოჰკრა მარატის ნათქვამს.

მარატი არც კი მიბრუნდა.

მონტოსა და შაბოს შუა ჩადგა, დაიხარა და ჩუმად უთხრა:

— ყური მიგდეთ. ძალიან დიდი საქმეა და მეც ამიტომ მოვედა. დღეს ერთი ახალი დეკრეტი უნდა მივალეზინოთ კონვენტს. ჩვენში ერთერთმა უნდა წარადგინოს და დაასაბუთოს საჭიროება ამ დეკრეტისა.

— ოღონდ მე არა! — წამოიძახა მონტომ. — მე ყურს არ მიგდებენ, რადგან მარკიზი ვარ.

— არც მე, — თქვა შაბომ. — მე ყურს არ მიგდებენ, რადგან მღვდელი ვარ.

— და მე კი, მე ყურს არ მიგდებენ, რადგან მარატი ვარ.
და გაჩუმდნენ.

მარატი თავისი ფიქრით იყო გატაცებული და სახიფათო იყო ამ დროს რისამე კითხვა; მაგრამ მაინც გაბედა მონტომ:

— მარატ, რა დეკრეტია, რომ აგრე ცდილობ მიაღებინო?

— მინდა გამოვაცემინო ბრძანება, რომ სიკვდილით იქნება დასჯილი ყველა სამხედრო პირი, ვინც გააპარებს დაჭერილ აჯანყებულს.

შაბო ჩაერია ბაასში:

— ეგ დეკრეტი უკვე არსებობს. აპრილის დამლევეს მიიღო კონვენტმა.

— ჰო და, ისეა დღეს საქმე, თითქო არცკი არსებობდეს, — თქვა მარატმა, — ყველგან, მთელს ვანდეში კარს უღებენ დაჭერილებს, თითქო ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, — ვინ უფრო მეტს გააპარებს, — და დაუსჯელად რჩება გაპარულების მფარველი.

— მარატ, მაშ დეკრეტს არ ასრულებენ.

— შაბო, მეც ის მინდა, რომ დეკრეტს ასრულებდნენ.

— სასტიკად უნდა ასრულებდნენ!

— და, მაშასადამე, უნდა მივმართოთ კონვენტს.

— მარატ, რა საჭიროა კონვენტი? საზოგადოებრივი განრინების კომიტეტიც კმარა.

— ჩვენ ჩვენსას გავიტანთ, — თქვა მონტომ, — თუ საზოგადოებრივი განრინების კომიტეტმა გასცა ბრძანება, რომ დეკრეტი გამოკიდულ იყოს ვანდეს ყველა კომუნაში და გარდა ამისა ორ-სამ კარგ მაგალითსაც ვაჩვენებთ მის ასრულებისას.

— სამაგალითოდ მეტად დიდი თავები ავიღოთ, გენერლებისა. მარატმა წაიღუდუნა:

— მართლა და ეგეც იკმარებს.

— მარატ, — მიმართა შაბომ — მოდი, შენვე მოახსენე ეგ მოსაზრება საზოგადოებრივი განრინების კომიტეტს.

თვალი თვალში გაუყარა მარატმა, რაც არ იყო სასიამოვნო თვით შაბოსთვისაც კი.

— შაბო, — უთხრა მარატმა, — საზოგადოებრივი განრინების კომიტეტში მისვლა რომესპიერთან მისვლა იქნება, და მე კი რომესპიერთან არ დავიარები.

— შე წავალ, — თქვა მონტომ.

— კარგი, — მოუწონა მარატმა.

მეორე დღეს ბრძანება გაჰგზავნეს საზოგადოებრივი განრინების

კომიტეტისა, რომ ვანდეში ყველგან ქალაქებში, დაბებში, სოფლებში — გამოეკიდათ კონვენტის დეკრეტი, რომლითაც სიკვდილით ისჯებოდა, ვინც დაჭერილ აჯანყებულს და ყაჩაღს გააპარებდა, ან ხელს შეუწყობდა მის გაპარვას, და თან ზრძანება, რომ სასტიკად ყოფილიყო ასრულებული ეს დეკრეტი.

ეს პირველი ნაბიჯი იყო. კონვენტი იძულებული იყო უფრო-შორსაც წასულიყო. რამდენიმე თვის შემდეგ თერთმეტ ბრუმერს (1793 წ. ნოემბერს), როდესაც ქალაქმა ლავალმა კარი გაუღო გამოქცეულ ვანდელებს, კონვენტმა დაადგინა, რომ დანგრეული იქნება და მიწასთან გასწორებული ქალაქი, რომელიც თავშესაფარს მისცემს აჯანყებულებს.

ევროპელი მეფეებიც არა ცხრებოდნენ და ბრაუნშვეიგის მანიფესტით გამოაცხადეს, რომ დახვრეტილ იქნება ყველა ფრანგი, ვინც დაჭერის დროს იარაღი აღმოაჩნდება, და გარდა ამისა პარიზი-აღვცილი იქნება მიწისპირიდან, თუ გაბედეს და მეფეს ავნეს რამე. მანიფესტი გახიზნულების შთაგონებით იყო შედგენილი პრინც ორლენანის მუჯირის მარკიზ ლენონის მიერ.

დიდებული მხეცები თანასწორობისთვის მებრძოლ ხალხის წინააღმდეგ.

მესამე ნაწილი

ვ ა ნ ღ ე

წიგნი პირველი

I

ტყეები

საშინელი ტყეები იყო იმ დროს ბრეტანში. ვანდე, მღვდლების მიერ სულდგმული აჯანყება არის. ამ აჯანყებას ხელს უწყობდა ტყე, ერთმანეთს ეხმარებოდა ბნელი.

შვიდი შავი-ტყე იყო ბრეტანში. ფუჟერის-ტყე, რომელიც გზას სჭრის დოლიდან *) ავრანზისკენ მიმავალს; პრენსის ტყე, კარგად მოზრდილი; პენპონის-ტყე, ხეებითა და მდინარეებით სავსე, თითქმის მიუვალი ბენონის მხრიდან, მაგრამ ადვილად გადაწყვანი კონკორნესკენ, რომელიც მეფის მომხრეების დაბა იყო; რენის-ტყე, სადაც კარგად ისმოდა ქალაქის ახლოს მდებარე სამწყსოების რესპუბლიკური განგაში; ამ ტყეში იყო, რომ პუისემ დაამარცხა ფოკარი; მაშკულის-ტყე, რომელშიც ეფეზივით იყო გამაგრებული ერთი მეთაურთაგანი ვანდელებისა, შარეტი; გარნაშის-ტყე, საკუთრება ტრემუალეზისა, გოვენებისა და როჰანებისა; ბროსელჟიანდის-ტყე, საკუთრება ალებისა.

ერთ დიდებულ ბრეტანელს ჰქონდა წოდება შვიდი-ტყის ბატონისა. ეს იყო ვიკონტი დე ფონტენე, პრინცი ბრეტანისა.

დიახ, არსებობდნენ ბრეტანელი პრინციებიც, გარდა საფრანგეთის პრინციებისა. როჰანები ბრეტანელი პრინციები იყვნენ. გარნიე დე სენტი თავის მოხსენებაში კონვენტს, რესპუბლიკის მეორე წელს, თხუთმეტ ნივოზს ასე ახასიათებდა პრინცი ტალმონს: „ეს კაპე ყაჩაღებისა, მეფე ბენისა და ნორმანდიისა“.

ბრეტანული ტყეების ისტორია 1792-დან 1800 წლამდე შეიძლება ცალკე იქნეს დაწერილი და ლეგენდად ჩაერიოს ვანდელების ბრბოს აჯანყებას.

ისტორიას თავისი სიმართლე აქვს, ლეგენდას — თავისი. ლეგენდური სიმართლე ზღაპარია, რომელსაც სინამდვილე მოსდევს შედე-

*) დოლი საფრანგეთის ქალაქია.

ვად. ბოლოს და ბოლოს ერთი და იგივე მიზანი აქვს ისტორიასაც და ლეგენდასაც; — წამიერი ადამიანით გამოსახონ მარადი ადამიანი.

შეუძლებელია სრული შეგნება ვანდელების ბრძოლისა, თუ ლეგენდამ არ შეავსო ისტორია; საერთოსთვის საჭიროა ისტორია და წერილმანებისთვის — ლეგენდა.

უნდა ვთქვათ, რომ ღირსია ამისი ვანდე. საკვირველება არის ვანდე.

ამ ბრძოლამ ხეპრეებისამ, ასე რეგვენულმა და თან ბრწყინვალემ, სამარცხვინომ და თან სახელოვანმა, დააწყულა საფრანგეთი და თან დიდებაც შესძღვნა. ვანდე წყლულია საფრანგეთისა და იმისი დიდება.

ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დადგება ხოლმე ხანდახან გაუგებრობის, ხვალინდელის ამოცანის დრო, და ამ ამოცანის მომავლისას ბრძენი სინათლით ირკვევს გზას, უვიცი — წყვილით, — ძალმომრეობითა და ბარბაროსობით. ფილოსოფოსი ყოყმანობს ვისიმე ან რისიმე ბრალდებას; მხედველობაში აქვს ის არეულობა, რომელიც ბუნებრივი შედეგია ამ ამოცანებისა. საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ აღძრულ ამოცანებსაც თავისი ჩრდილი აქვთ, როგორც ღრუბელს.

ვანდეს შესაგნებად საჭირო არის გავიხსენოთ ორი მოურიგებელი ძალის არსებობა, — ერთი მხრივ საფრანგეთის რევოლუცია და მეორე მხრივ ბრეტანელი გლეხი კაცი. წაუყენეთ ამ შეუღარებელ მოძრაობას, რომელიც საშინელი ძალით, ცივილიზაციის ზრახით ემუქრებოდა წარსულის ყველა სიკეთეს, და გაშმაგებული სისწრაფით ცდილობდა განათლების, უსაზღვრო და მიუწვდომელი სათნოების მიღწევას, წაუყენეთ მას ეს ტყის ნადირი — ტლანქი და თავისებური, ეს უმანკო თვალისა და გრძელი თმის ადამიანი, რძითა და წაბლით მცხოვრები, რომელსაც თავის ქოხის, თავის ღობის და თავის ორმოს იქით თავისდღეში არა ენახა რა, მეზობელ სოფლებს ზარის ხმითა სცნობდა, წყალს მხოლოდ სასმელად ხმარობდა, ტანზე აბრეშუმის ძაფით ამოქარგული გამხმარი ტყავი ეცვა ისევე აკრელებული დაღმით, როგორც მისი წინაპარი კელტები პირის სახეს იჭრელებდნენ; თავყანს სცემდა თავის ჯალათს — ბატონს, ლანარაკობდა რალაც მკვდარ ენას, რაც აზროვნებაში აკლდამის შეტანას მოასწავებს, ერეკებოდა თავის ხარებს, ლესავდა თავის ნამგალს, მარგლავდა თავის ნათესს, ზელდა უგრეხელის ცოშს, აღიდებდა ჯერ თავის გუთანს, მერე თავის დიდედას, სწამდა წმიდა მარიამი და ალი და მაჯლაჯუნა, ღეთის მოშიში იყო საკურთხევე-

ლისა და აგრეთვე მინდორში ამართულ საიდუმლო ქვის წინაშე. მიწის მუშა იყო სოფელში, მეთევზე — ზღვის პირას, ქურდულად მონადირე ბატონის ყორულში; ხეპრე, რომელსაც უყვარდა თავისი მეფეები, თავისი ბატონები, თავისი მღვდლები, თავისი ტილები; ჩაფიქრებული ხწირად უძრავად მდგომი მთელი საათობით უდაბური ზღვისპირის ქვიშნარზე, დაღვრემილი მსმენელი ზღვის ხმაურობისა.

წაუყენეთ ერთმანეთს რევოლუცია და ვანდე და ბრძანეთ, — განა შეიძლებოდა ბრწყინვალე სინათლე მიეღო ამ ბრძამს?

II

ხ ა ლ ს ი

ორი სახსარი აქვს ცხოვრებისა გლეხს: მიწა, რომელიც აცხოვრებს, და ტყე, რომელიც ჰმალავს.

ძნელი წარმოსადგენია, რა იყო იმ დროს ბრეტანული ტყე. ტყე ქალაქი იყო. არა იქნება რა იმისთანა მიყრუებული, მიჩუმებული და იმისთანა ველური, როგორიც იყო ეს წიწვოვანისა და ფოთლოვანის გადაბმული ტყეები, — სამეფო უძრავობისა და დუმილისა; ერთი შეხედვით, არა იქნება რა ასე განშორებული ადამიანისაგან, ასე მიმკვდარებული და აკლდამური; მაგრამ რომ ყოფილიყო იმისთანა ძალა, რომ ერთი დაკვრით, ელვასავით სწრაფი დაკვრით, ძირს დაეცა ეს ტყერი, უცბად მრავალი ხალხი გამოჩნდებოდა ამ უდაბურ ტყეში.

ორმოებით იყო სავსე იქაურობა, ვიწრო, მრგვალი ორმოებით; ზემოდან ქვებითა და ხის ტოტებით იყო დაფარული და ისე ეშვებოდა ძირს; იქ კი, პატარა სიღრმეზე, ძაბრივით განივრდებოდა, ჰორიზონტალურ მიმართულებას იღებდა და შედიოდა პატარა, ბნელ ოთახში; აი, რა ჰპოვა კამბიზმა¹⁾ ეგვიპტეში და ვესტერმანმა ბრეტანში. ეგვიპტეში ეს ქვესკნელი უდაბნოში იყო, ბრეტანში კი — ტყეში; ეგვიპტის ქვესკნელში ადამიანისა ძვლები და ეყარა, ბრეტანის ქვესკნელში ცოცხალი ადამიანი იმალებოდა. მისდონის ტყეში პატარა ველობი იყო, სრულიად ქსუვი, მის ქვეშ იყო გათხრილი მრავალი ტალანი და ბუზივით ირევოდა იქ მიმალული ხალხი; „დიდი ქალაქი“ ერქვა ამ სამალავს. ერთი კიდევ მეორე ველობი

1) კამბიზი იყო სპარსეთის მეფე, რომელმაც დაიპყრო ეგვიპტე. ის მეფობდა მე-6 ს. ჩვენს ერამდე.

იყო, ასევე ქსუვი და ზემოდან ასევე უდაბური, მაგრამ ხალხით საესე; სახელად „მეფის მოედანი“ ერქვა.

ძველისძველი იყო ეს მიწაში ცხოვრება ბრეტანში, იმ დროინდელი ალბათ, როდესაც ადამიანი იქ ემალებოდა ადამიანს. დათვის ბუნაგებით იყო სავსე მიწა ხეების ძირის ქვეშ და ქვემძრომების სოროებით. დრუიდების¹⁾ დროისა უნდა ყოფილიყო ეს ნათხარი და ზოგი ამ სამარეთაგანი ისეთივე, ხანმოკმული იყო, როგორც აყუდებული კლდის აკლდამა-ლოლმენები. ამ ქვესკნელზე დათარეზობდა ლეგენდური დევიც და ისტორიული საშინელება — გალლების მამად წოდებული ღმერთი ტევტატესი, ცეზარი, ჰოელი, ნეომენი, ჟოფრუა ინგლისელი, ალენ-ხელ-რკინა, პიერ მოკლერი, ფრანგი ბატონები დე-ბლუა, ინგლისელი ბატონები დე მონფორი, მეფეები და პრინციები, ცხრა ბარონი ბრეტანისა, დღესასწაულის მსაჯულეში, ერთმანეთის სისხლისმსმელი ნანტელი და რენელი გრაფები, ყაჩაღები, ავაზაკები, დიდი ჯარები, რენე მეორე, ვიკონტი დე როჰანი, მეფის მოხელეები „გულკეთილი პრინცი დემოლნი“, რომელმაც ქალბატონ სევინიეს²⁾ ფანჯრებიდან დაადგმევინა სახრჩობელია გლენკაცების სასჯელად, მეთუთმეტე საუკუნეში ბატონების მიერ ხალხის ქლეტა, მეთუქვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეში სარწმუნოებრივი ომები, მეთვრამეტე საუკუნეში — ოცდაათი ათასი ძალი დაგეშილი ადამიანზე მეძებრადა და სანადიროად. ამოდენ ვაი-ვაგლახს თუ გაუძლო ხალხმა, მარტო იმიტომ, რომ გადასწყვიტა და მოახერხა დამალვა — ხან ტროგლოდიტები³⁾ იყვნენ, რომ კელტებს ვადარჩენოდნენ, ხან კელტები, რომ რომაელებს ვადარჩენოდნენ; ბრეტანელები, რომ ნორმანებს ვადარჩენოდნენ, ჰუგენოტები⁴⁾ რომ კათოლიკებს ვადარჩენოდნენ, მარილის კონტრაბანდად მზიდავნი, რომ მეფის საბაჟოს ვადარჩენოდნენ. და ვადარჩენა დამალვით შეიძლებოდა, ჯერ ტყეში, მერე მიწის ქვეშ ხვრელებში. ნადირივით მოიქცა ადამიანი. აი, სადამდე მიჰყავს ერი მტარვალობას, ორი ათასი წლის განმავლობაში ზედ აწვა ამ ყურმოჭრილ მონას ბატონისას სისხლისღვრა, ფეოდალიზმი, ფანატიზმი, ხარჯი და გადასახადი,

¹⁾ დრუიდები იყვნენ ძველი გალების რელიგიის მესვეურნი. მათ არ ჰქონდათ ტაძრები და ტყეებში იკრიბებოდნენ.

²⁾ ქ-ნი სევინიე იყო გრაფის ცოლი, ცხოვრობდა მე-17 საუკუნეში.

³⁾ ტროგლოდიტები იყვნენ ხალხი, რომლებიც ცხოვრობდნენ ხეობებში.

⁴⁾ ჰუგენოტები ფრანგი პროტესტანტები (კალვანისტები) მე-16 საუკუნის. ისინი მიმართული იყვნენ საფრანგეთის მეფისა და კათოლიკების წინააღმდეგ ფეოდალებისა და მსხვილი ბურჟუაზიის საკეთილდღეოთ.

აწამებდა უბედურს, ტყავს აძრობდა, საცა მოასწრებდა, და ისიც ძალმიხილი და სასოწარკვეთილი უფრო და უფრო ღრმად ძვრებოდა მიწაში, ცოცხალი იფლობოდა.

შიშმა აღშფოთება იცის და ბრეტანელებს შიშით სავსე ჰქონდათ გული, როდესაც იფეთქა რევოლუციამ. დასამალავად მზად ჰქონდათ ტყეებში გათხრილი საფრები და აიშალა, აჯანყდა ბრეტანი. დამზარავად ეჩვენა რევოლუცია და შეშინებული აღშფოთებით შეებრძოლა თავის გამათავისუფლებელს, — ჩვეულებრივი უნდობლობა მონისა!

III

ადამიანისა და ტყის მართობა

ბრეტანის ტრაგიკულ ტყეებს მიმართა ისევ ხალხმა და ისევვე გამოიყენა ამ აჯანყებაში, როგორც უწინ გამოიყენებდა ხოლმე თავის გაჭირებაში.

მიწა ტყის ძირში გათხრილი იყო ყოველი მიმართულებით მიმავალი ხერგლებით, ტალანებით, ოთახებით, საფრებით. თითო პატარა, უსინათლო სენაკში ხუთი-ექვსი კაცი იმალებოდა. სუნთქვა ეკვროდათ, ჰაერი არა ჰყოფნიდათ. ცოტა რამ ცნობები მოგვეპოვება, რომლების დახმარებით შეიძლება გავიცნოთ ამ გლენჯაკების აჯანყების მძლავრი შემადგენლობა. ილ-ე-ვილენში, პერტრის ტყეში, ტალმონის პრინცის თავშესაფარში, კრინტი არ ისმოდა ადამიანისა, კვალი კი არა; ნაფეხური არსად ჩანდა, და ექვსი ათასი კაცი კი იმალებოდა, და იმათი მოთავე ფოკარი; მორბიანში მელაკის ტყეში, ადამიანი არსად ჩანდა, და რვა ათასი კაცი იყო მოგროვილი. და ეს ორი ტყე, პერტრისა და მელაკისა, არც ისე დიდ ტყეებად ირიცხებოდა ბრეტანში. საშინელება იყო იქ გავლა. ზემოდან ტკბილი წალკოტი იყო და ქვემოდან კი მიუვალი საფარი, დიდი ჯარით სავსე ლაბირინტი, რომლიდან ისევ სწრაფად გამოდიოდა ხალხი, როგორც გაუღნთილი ღრუბლიდან წყალი, თუ ზედ ფეხი დაადგეს. ბუმბერაზის ფეხი დაადგა რევოლუციამ ბრეტანის წყვილადს და ძველ საფრებში ჩარეკა სამოქალაქო ომის ამტეხი ხალხი.

უხილავი ბატალიონები დარაჯობდნენ მიწისქვეშ. ზემოთ რესპუბლიკის ჯარები ტრიალებდნენ, მიწაში, ტყის ქვეშ ვანდელები: უცბად, მოულოდნელად ამოდიოდნენ ქვევიდან და, თუ საჭირო იყო, უცბადვე ქრებოდნენ, თითქო მიწამ ჩაყლაპაო; საკვირველი უნარი ჰქონდათ ყველგან ყოფნისა და მეყვსეულად არსად ყოფ-

ნისა; ზევაით მოდიოდნენ, მტვერით იფანტებოდნენ; ბუმბერაზი იყო ეს ხალხი, უცნაური ნიჭის — დაკნინების — პატრონი; დევი იყო, როდესაც იბრძოდა, და ჯუჯა, როდესაც იმალებოდა, თხუნელასავით მოხერხებული ვეფხვი.

ტყეს ქალა ეხმარებოდა. როგორც ქალაქს გარს ახვევია სოფლები, ისე ტყეებს შორის ქალები იყო ყოველგან და თვით ტყეშიც გაუვალი ბუჩქნარი. ტყე ქალით თავდებოდა და ქალითვე უერთდებოდა სხვა ტყეებს. ძველებური სასახლეები მოჩანდა ყველგან თავისი ციხეებითა და გალავნით; სოფლები, რომლებიც ბანაკს წარმოადგენდნენ; და სოფელში — სახლები თავისი კარმიდამოთი; რომლებიც ჭათანგად დახვდებოდა მტერს; განცალკევებული სოფლის გარეთ სახლები თავისი რუებით გათხრილი ეზოებითა და ჩრდილოვანი ხეივნებით ცალ-ცალკე დაგებული მახე იყო, რომლებშიც ჩაცვივდნენ რესპუბლიკის ჯარები.

ტყეები, ციხეები, სოფლები, ყველა საბრძოლველად იყო მომზადებული და წარმოადგენდა იმას, რასაც ვანდეს ტვერი ეწოდება. იყო მისდონის ტყე, რომლის შუა ნაწილში დიდი ტბა იყო; ეს უან შუანისა იყო, აჯანყებული მაიანსელების წინამძღვრისა; იყო უანის ტყე — ტაილფერისა; იყო ჰუისერის ტყე — გუჟ ლე ბრუანისა; იყო შარნის ტყე — კურტიე-ლე-ბატარისა, ნაბიჭვარისა, რომელსაც წინასწარმეტყველს წმ. პავლეს ეძახდნენ, და გამგე იყო ვაშ-ნუარის ბანაკისა; იყო ბურგოს ტყე — ბატონ ჟაკისა, უცნაური კაცისა, რომლის საიდუმლო დაღუპვა ჟუვარეელის მიწურში ჯერაც არ არის გამოჩვენებული; იყო შოროს ტყე, სადაც თავი ისახელეს პიმუსმა და პტიპრენსმა: შატონეველი ჯარი იერიშით რომ მივიდა ვანდელებზე, ჩაერივნენ ორივენი; შევარდებოდნენ რესპუბლიკელებში, აიტაცებდნენ გრენადერს და ტყვედ აძლევდნენ თავისიანებს; იყო ტყე ერიოზერისა, მოწამე ლონგფეის რაზმის დამარცხებისა: იყო ოლნის ტყე, საიდანაც თვალს ადევნებდნენ რენიდან ლავალისკენ მიმავალ ვაზს; გრაველის ტყე, რომელიც ბურთის თამაშში მოიგო პრინცმა დე-ლაატრემუალმა; ლორჟის ტყე, რომელშიც შარლ დე-ბუიარდი მეფობდა ბერნარ დე-ვილნევის შემდეგ; ბანიაარის ტყე, ფონტენეის ახლო, სადაც ლესკურმა საბრძოლად გაიწვია შალბო, და თუმცა ერთი იყო ხუთის წინააღმდეგ, შალბო მაინც არ შეშინდა; დურონდეს ტყე, რომელსაც ოდესღაც ერთმანეთს ედავებოდნენ ალენ ლე-რედრუ და ჰერისპუ, შვილი შარლ ლე-შოვისა; კროკლუს ტყე — ზღვისპირის ახლოს, სადაც კოკერო ტყავს აძრობდა ტყვეებს; კრუა-ბათაილის ტყე, რომელში ჰომერულად ლანძღეს

ერთმანეთი უამბ-დ-არყარმა და მორიერმა; სოდრეს ტყე, რომელშიც პარიზელების ბატალიონი შესულიყო მტრის საძებნელად, როგორც უკვე ვთქვით. და მრავალი კიდეც სხვა ტყეები.

ზოგან ამ ტყეებში და ქალებში მიწაში ჩათხრილი ტალანებისა და ოთახების გარდა, რომლებიც გარს ეხვევოდნენ წინამძღვრის სენაკს, პატარა დაბალი ქოხები იყო ბუჩქნარში და ხეების დაშვებულ ტოტებში ჩამალული. ზოგი ტყე საესე იყო ამ ქოხებით. არსად ჩანდა ქოხი, მაგრამ კვამლი ამხილებდა დამალულ ადამიანს. სახელგანთქმული იყო ორი ბუჩქებში ჩამალული მოსახლეობა მისდონის ტყისა: ერთი ტბის ახლოს იყო, ლორიერი, და მეორე სენტ-უენ-ლეტუას მხრივ, სახელად რუ-დე-ბო.

ქალები ქოხებში ცხოვრობდნენ და კაცები მიწურებში. ომიანობა იყო და ომის საწარმოებლად პირვანდელ ღვიმეებსაც ხმარობდნენ და კელტების მიერ გათხრილ საფრებსაც. მიწაში ჩამალულ კაცებს საკმელს ქალები უზიდავდნენ. მოხდებოდა ხოლმე, შიმშილით კვდებოდა დავიწყებული; მაგრამ ასე უხეიროები ილუპებოდნენ, რომლებიც ორმოდან ამოძრომას ვერ მოახერხებდნენ. ერთობ კი ისე ხელოვნურად ჰფარავდა მიწურში ჩასავალ ორმოს სარკველი, ხის ტოტებითა და ხავსით გაკეთებული, რომ გარედან შეუძლებელი იყო მისი პოვნა, და ქვემოდან კი ძალიან ადვილი იყო სარკველის ახდაც და დახურვაც. თხრილი ყველგან ხელოვნურად იყო გაყვანილი. ქვემოდან ამოღებულ მიწას მაშინვე ტბაში ყრიდნენ. სენაკში ძირიც და კედლებიც მოფენილი იყო ხავსით და ჩადუნით. ამგვარ მორთულ მიწურს ლოქას ეძახდნენ. კარგად იყვნენ ჩამალული, რომ არ ჰკლებოდათ სინათლე, ცეცხლი, პური და ჰაერი.

დიდი განსაცდელი უნდა ყოფილიყო, რომ ასე ქვესკნელში ჩაემალა ხალხი, და დიდი სიფხიზლე უნდოდა იქიდან ამოძრომას; შეიძლება ამოსულიყო კაცი და ფეხქვეშ მოჰყოლოდა ტყეში მიმავალ მტრის ჯარს. საშინელება იყო ეს ტყეები — ორპირიანი მახე: ლურჯები ვერ ბედავდნენ შიგ შესვლას, თეთრები ვერ ბედავდნენ იქიდან გამოსვლას.

IV

მიწურში ცხოვრება

გული ელევოდა ადამიანს ამ სოროში, ტყისნადირის ბუნაგში. მოიწყენდა იქაურობას, ველარ მოითმენდა და ხანდახან, ღამით, გაბედავდა ამოსვლას. ერთს მეორე მიჰყვებოდა, მესამე, გავიდოდნენ

ახლო ქვიშარზე და გაჩაღდებოდა ცეკვა, ან არა და ლოცულობდნენ დროს მოსაკლავად. ბურღუაზო სწერს, ჟან შუანი ყოველდღე წირვას გვიყვებდაო.

ზაფხულში, მკის დრო რომ დადგა, შეუძლებელი გახდა ხალხის მიწაში დარჩენა, მატადრე ბა-მენელებისა, რომლებსაც მკის-დღეობაზე წასვლა ენატრებოდათ. ზოგი მოხერხებული იყო და ბედავდა ცოცხლებში გარევას. ტრანშ-მონტანი¹⁾ ამბობს, — დენია²⁾ ქალის ტანისამოსს იცვამდა და ისე მიდიოდა ლავალის თეატრში; დატკებ-ბოდა კომედით და ისევ თავის სოროში ძვრებოდაო.

უცბად ეტაკებოდნენ მტერს, თავს შეაქლავდნენ, რომ ცოცხლივ დამარხული მკვდრად დამარხულიყვნენ.

ხანდახან ამოსწევდნენ ქვემოდან თავის ორმოს საჩქველს და ყურს უგდებდნენ, — ბრძოლის ხმა ხომ არ ისმისო, — და ყურიან სცნობდნენ ბრძოლის მიმდინარეობას; რესპუბლიკელები მწყობრად ისროდნენ თოფს, მეფის მომხრენი — არეულად. ეს იყო იმათი ნიშანი: თუ უცბად შეწყდებოდა მწყობრი სროლა, დამარცხებული იყვნენ ვანდელები; თუ არეული სროლა ნელნელა შორდებოდა იქაურობას, ეს გამარჯვება იყო ვანდელებისა. თეთრები ყოველთვის მისდევდნენ დამარცხებულს, ლურჯები კი არა, რადგან მათ წინააღმდეგ იყო ეს ქვეყანა.

ძალიან კარგად იცოდნენ ომის ვითარება ამ მიწაში ჩამალულმა მეომრებმა. არა იქნება რა ისეთი სწრაფი, როგორც ვანდელების მიერ ერთმანეთისადმი ცნობების გადაცემა, და არა იქნება რა ამაზე საკვირველი. თვითონვე დაანგრიეს, საცა ხიდი იყო, თვითონვე დაამტვრიეს, საცა კი პატარა, ჩქარმავალი ეტლი იყო, და მაინც საშუალება ჰქონდათ, რომ უცბად ეთქვათ ერთმანეთისთვის, რაც საჭირო იყო, და უცბად გაეგოთ ყველაფერი. საჯინბოები ჰქონდათ მიმალული ტყეში, სოფელში, და შიკრიკები დაფრინავდნენ ყველგან და ყოველთვის.

ხებრე გლეხი გეგონებოდათ კაცი, ხეტიალით მიმავალი, და გამოფულრული ჯოხით კი ტელეგრამები მიჰქონდა.

საერო კრების ერთი წევრი, ბოტილიუ, რესპუბლიკის პასპორტებს აძლევდა ყველას, მთელ ბრეტანში სასიარულოდ; ახლად შემოდებული პასპორტის ბლანკები ჰქონდა მთელი საპალნე, ცარიე-

1) ტრანშ-მონტანი ტრამაზა კაპიტნის ტიპია კომედიაში.

2) დენისი იყო გაღების (ძვ. ფრანგების მოღმის). მოციქული, პარიზის პირველი ეპისკოპოსი — I საუკუნეში.

ლი სტრიქონით მიმავლის გვარის ჩასაწერად, და ხელს უმართავდა, ვისაც კი დასჭირდებოდა. შეუძლებელი იყო ვისიმე დაჭერა. პუიზე¹⁾ ამბობს, — ოთხასათას კაცზე მეტმა იცოდა, რაც საიდუმლო იყო, და ერთიც არ იყო, რომ გაემხილებინა ეს საიდუმლო.

დიდი ქვეყანა იყო ვანდე, ოთხკუთხი ფართობი, რომლის საზღვარს სამხრეთით საბლიდან ტუარამდე²⁾ ხაზი შეადგენდა, აღმოსავლეთით — ტუარიდან სომურამდე და მერე ტუეს-წყალი, ჩრდილოეთით — ლუარი და დასავლეთით — ოკეანი, და ისე იყო მოწყობილი საქმე, თითქო ერთად ერთი ნერვის ცენტრით ყოფილიყოს აღჭურვილი ეს ოთხკუთხი ფართობი, და ამ სივრცის არც ერთი წერტილი არ აკანკალდებოდა, რომ მთელ ვანდეს არ მოსდებოდა იგივე კანკალი. თვალის დახამხამების უმალ მთელ ქვეყანას მოედებოდა საჭირო ცნობა ნუარმუტიედან³⁾ ლუსონამდე, და ლუეს ბანაკმა ყოველთვის კარგად იცოდა, რას აპირებს კრუა-მარინოს ბანაკი. იტყოდით, ფრინველები ეხმარებიანო. ჰოში⁴⁾ სწერდა მესამე წელს. შეიდ მესსიდორს:⁵⁾ ისე იციან ყველაფერი, თითქო ტელეგრაფი ჰქონდეთო.

თემებად იყვნენ დაყოფილი, როგორც შოტლანდიელები. თავისი სამხედრო წინამძღვარი ჰყავდა ყველა სამწყსოს. მამაჩემი მონაწილეობას იღებდა ამ ომში და მეც შემიძლია ამის მბობა.

V

ო მ ი ა ნ ო ბ ა

ბევრს შუბის მეტი სხვა იარაღი არა ჰქონდა რა. ბევრი იყო კარგი სანადირო თოფი. საკვირველი მსროლელები იყვნენ აკრძალულ ტყეში ჩუმად მონადირე ბოკაელები⁶⁾ და ლორუელი კონტრაბანდის მზიდველები. უცნაური მეტრძოლი იყვნენ — საშინელი და თან უშიშარი. დეკრეტი რომ მიიღეს, — სამასი ათასი კაცი გამოიყვანეთ

1) პუიზე იყო ვანდეს ბელადის, შორეტის ადიუტანტი.

2) საბლი და ტური უბნებია ვანდეში.

3) ნუარმუტიე პატარა კუნძულია ატლანტის ოკეანეში, რომელიც ვანდეს ოლქს შეადგენდა.

4) ლიზარ ჰოში (1768—1787) ფრანგი გენერალი იყო რევოლუციის დროს.

5) გი იბრძოდა ვანდეს ომში რესპუბლიკის მხარეზე.

6) მესსიდორი იყო თვე რესპუბლიკის წლისა საფრანგეთში.

7) ბოკაეი — სოფელია ორი პატარა მხარისა საფრანგეთში. ერთი — ვანდეს და შეორე — ნორმანდიისა. ვანდეს ბოკაეი გადაიქცა ომის ასპარეზად.

სამხედრო სამსახურისთვისაო, — ექვსასმა სოფელმა ერთდროულად დარეკა განგაშის ზარი, თითქო ხანძარი მოედვა და ერთიანად ალში არის მთელი ქვეყანაო. ერთ და იმავე დღეს აჯანყდნენ პუატუ¹⁾ და ანჟუ²⁾. მაგრამ ისიც ვთქვათ. რომ პირველი გრგვინვა ჯერ ისევ 1792 წელს გაისმა ვანდუში, მკათათვის რვას, ერთი თვის წინათ მეფობის დამხობამდე, სახელდობრ კერბადერში. ალენ რედელერი, დღეს დავიწყებული, წინამორბედი იყო ლა-როშეაკლენისა³⁾ და ჟან შუანისა. მეფის მომხრენი ძალას ატანდნენ ხალხს და ჯარში გაჰყავდათ, ვისაც კი იარაღის ხმარება შეეძლო. სიკვდილით სჯიდნენ, ვინც არ დაემორჩილებოდა; ართმევდნენ ხალხს საქონელს, ურმებს, სანოვანებს. აჯანყების დაწყებისთანავე საპინოს სამი ათასი კაცი ჰყავდა, კატელინოს — ათი ათასი, სტოფელს — ოცი ათასი და შარეტმა დაიჭირა ნუარმუტიეს კუნძული. ვიკონტმა, დე-სკეპომ აშალა ზემო-ანჟუა, რაინდმა დიეზიმ — ვილენისა და ლუარის შუა მხარე, ტრისტან ლ-ერმიტმა — ქვემო მანი, დალაქმა გასტონმა — ქალაქი გემენე და მღვდელმა ბერნიემ — დანარჩენი. ბევრი არაფერია საჭირო ამოდენა ხალხის ასაჯანყებლად. მღვდელს, რომელმაც ერთგულება შეჰფიცა რევოლუციას, დაფიცებულ მღვდელს, დიდ შავ კატას ჩაუსვამდნენ ხოლმე სანაწილეში, და წირვის დროს გამოუშვებდნენ, როცა ხალხით სავსე იყო საყდარი. — ეშმაკია, ეშმაკი! — ყვიროდა ხალხი და აჯანყებას ეხმარებოდა დიდი და პატარა. აღსარების სათქმელად მისულთ რევოლუციის მტრობით აღსაყდელ უშვებდნენ მღვდლები. ლურჯების საყლეტად და ხევებზე საბტომად გრძელი კეტები ჰქონდათ ვანდელბს, ხალები, — შეუღარებელი იარაღი მტრის საკლავად, და თუ საჭირო იყო, მტრისაგან გასაჭეცევად. რაც უნდა გაცხარებული ყოფილიყო ბრძოლა, როდესაც გლეხები იერიშით მიდიოდნენ რესპუბლიკელებზე, თუ სადმე ჯვარს დაინახავდნენ, ან საყდარს, მუხლს მოიყრიდნენ მაშინვე და თავის ლოცვას ამბობდნენ იმ დროს, როდესაც ზუზუნი გაჰქონდა ტყვიას; კრილოსანით სთვლიდნენ ლოცვებს; რომ გაათავებდნენ, წამოვარდებოდა, ვინც გადარჩებოდა და ცოფიანივით ეცემოდა მტერს. დეგები იყვნენ სწორედ! გარბოდნენ და თან თოფს სტენიდნენ; მეტად ნიჭიერი იყვნენ ამ მხრივ. გულწრფელად სწამდათ ყველაფერი, რასაც კი მღვდელი ეტყოდა. კისერზე თოქს მოუჭერდნენ მღვდლები

1) პუატუ პროვინციაა. აქ იყო ვანდეს დეპარტამენტი.

2) ანჟუ საფრანგეთის ერთერთი ძველი პროვინციის სახელია.

3) ლა-როშეაკლენი იყო როიალისტი, ვანდეს ერთერთი ბელადი; რომელიც წინ გაუძღვა აჯანყებულ გლეხებს.

ერთს თავისთავანს, კარგად გაუწითლებდნენ და მერე ხალხს აჩვენებდნენ, — გილოტინით მოჰკლეს ღვთისმოსავი და აღდგა მკვდრეთითაო. რაინდული პატიოსნებით აღსავსე იყო ეს ხალხი; დიდ პატივს სცემდნენ ფესკს, რესპუბლიკის ჯარისკაცს, რომელმაც ხელიდან არ გაუშვა დროშა. თუმცა აკუწული იყო ვანდელების ხმლით. ხუმრობა და ოხუნჯობა უყვარდათ და რესპუბლიკის მომხრე ცოლიან მღვდლებს უნიფხვოს ეძახდნენ. ჯერ ძალიან შეაშინა ზარბაზანმა, მერე კი მისცვივდნენ თაეიანთი კეტებით და ხელთ იგდეს. ეს საშინელი ცეცხლის მფრქვევი. ჯერ ერთი ლამაზი ბრინჯაოს ზარბაზანი წაართვეს რესპუბლიკელებს, რომელსაც „მისიონერი“ დაარქვეს; მერე კიდევ მეორე, საარწმუნოებრივი ომის დროინდელი, რომელზეც რიშელიეს სახელი იყო ამოჭრილი და ღვთისმშობელი; ამას მარი-ჟანა უწოდეს, ფონტენეი რომ წაართვეს რესპუბლიკელებმა, იქვე დაჰკარგეს ეს ზარბაზანიც; რომლის დასაცავად ექვსასმა გლეხკაცმა გასწირა თავი. მერე თვითონ მივიდნენ ფონტენეიზე, წაართვეს რესპუბლიკელებს. წაართვეს აგრეთვე ის ზარბაზანიც, დროშებითა და ყვავილებით მორთეს და ისე წამოიღეს; საცა ქალები შეხვდათ, ყველას ეუბნებოდნენ. — ემთხვეით, წმ. მარი-ჟანასაო. მაგრამ რას ეყოფოდით ორი ზარბაზანი? მარი-ჟანა სტოფლემ წაიღო; კატელინო. შურიანი, დაეცა ჟალღის და ხელთიგდო მესამე ზარბაზანი. ფორე იერიშით მივიდა სენ-ფლორანზე და მეოთხე იშოვა. ორი სხვა წინამძღვარი, შუპი და სენ-პოლი უფრო ხერხიანად მოიქცა; ხის ზარბაზნები გააკეთეს. გვერდზე შეზარბაზნის ტანისამოსით თოჯები დააყენეს და ამ არტილერიით, რომელიც გულთანად აცინებდა ვანდელებს, მარკილამდე უკან დაახევინეს ლურჯებს. ეს იყო დრო გამარჯვებისა. შემდეგში კი, როდესაც შალბომ მარსონიერი დაამარცხა. გლეხკაცებმა ბრძოლის ველზე თავის სამარცხვინოდ დასტოვეს ინგლისიდან მიღებული ოცდათორმეტი ზარბაზანი. მაშინ ინგლისი ფულთი შევლიდა საფრანგეთის პრინციებს. ნანცია სწერდა 1704 წ. 10 მაისს. რომ ინგლისი ფულს უგზავნიდა საფრანგეთის დიდებულთ. რადგან პიტს. ინგლისის მთავრობის მეთაურსა და რევოლუციის მოსისხლე მტერს. მოახსენეს. რომ ამაში საძრახი არაფერიაო. მელინე სწერდა 31 მარტის პატაკში. — აჯანყებულები სულ იმას გაიძახიან. — გაუმარჯოს ინგლისსაო! ჯერ ძარცვას ვერ ბედავდნენ გლეხები. თუმცა ქურდები იყვნენ მიუხედავად ღვთის შიშისა. თავისი ბიწი აქვს ველურს და ამ ბიწიერებით სარგებლობს ჩვენი ცივილიზაცია. მერე კი დაიწყეს და — პუიზეი სწერს მეორე ტომში გვ. 187, — რამდენჯერმე გადავარჩინე დაბა

პლელანი გაძარცვასაო. და ცოტა ქვევით, გვ. 434, — მონფორში არ შევედი, გარს შემოვუარე. რადგან გაიძარცვებოდა იაკობელების სახლებიო. შოლე აიკლეს, შალანი¹⁾ აგრეთვე. გრანვილი რომ გაძარცვეს, ვილდიეს მიეისივნენ. იაკობელების ბრბოს უწოდებდნენ, ვინც რესპუბლიკას მიემხრო, და დედაბუდიანად ხოცავდნენ. სისხლის ღვრა უყვარდათ, როგორც ჯარისკაცებს, — და ძარცვა, როგორც ყაჩაღებს. ძალიან უყვარდათ „პატო“-ს, ესე იგი ბურჟუის დახვრეტა; მოჰკლავდნენ კაცს და — გაეხსნილეთო, — იძახდნენ. ერთმა ვანდელმა მღვდელმა, ბარბოტენმა, ფონტენეში ხმალი დაჰკრა მოხუცებულს და შუაზე გააპო. სენ-ჟერმენში ერთმა ვანდელმა წინამძღვარმა თოფით მოჰკლა კომუნის მუჯირი და საათი ამოაცალა ჯიბიდან. მაშკულში²⁾ რიგრიგად ჰხოცავდნენ რესპუბლიკელებს, ოცდაათ კაცს ყოველდღე, ხუთი კვირის განმავლობაში; დასახვრეტად დამწყრივებულ ოცდაათს კრიალოსანს ეძახდნენ: ორმოს პირას დააყენებდნენ, ზურგით ორმოსკენ, და დაუწყებდნენ სროლას; ორმოში ცვივოდნენ, ხშირად ჯერ ისევ ცოცხლები; მკვდარსა და ცოცხალს ერთად აყრიდნენ მიწას. თვალი გადავავლეთ ამ საქციელს. ეუბერს, ოლქის თავმჯდომარეს, ხელები მოაჭერხეს, ლურჯ ტუსალებს საგანგებოდ გაკეთებულ, მჭრელ ბორკილს ადებდნენ. მოსაკლავად რომ გაიყვანდნენ მოედანზე, სულ — ჰალლალიო! — გაიძახოდნენ, გამარჯვება ჩვენიოა. შარეტმა, რომელიც ასე აწერდა ხელს — „ძმობა! რაინდი შარეტი“ — და რომელსაც თავზე მარატსავით თავსახვევი ჰქონდა წარბამდე ჩამოფხატული, დასწვა ქალაქი პურნი და მცხოვრებნი თავთავიანთ სახლებში. ამ დროს, საშინელებას სჩადიოდა კარიე, რომელმაც თავისი ავკაცობით შეარცხვინა რესპუბლიკა. ტერორმა ტერორი გამოიწვია. ბრეტანელ აჯანყებულს აჯანყებული ბერძენის იერი ჰქონდა: მოკლე ტყავი ეცვა, თოფი ჰქონდა მხარზე ჩამოკიდებული, ქალის კაბასავით განიერი მუხლამდე შალვარი. ანრი დე ლა როშეაკლენი, ამ ომში რომ ჩაერია, ოცდაერთი წლისა იყო, ერთი ჯოხი ჰქონდა და ორი დამბაჩა. ვანდელების ლაშქარში ასორმოცდათოთხმეტი დივიზია ირიცხებოდა. წესიერად აწარმოებდნენ გარემოცვას. ბრესუირს გარს შემოერტყენ და სამი დღე ჰყავდათ ქალაქი დამწყვდეული. წითელ პარასკევს ათი ათასი გლეხი მიადგა ქალაქ საბლს და წითლად გავარგარებული ყუმბარის სროლა დაუწყო. ერთ დღეს რესპუბლიკელების თოთხმეტა

1) შალანი — ოლქია ვანდემში.

2) მაშკული ქ. ნანტის ოლქია.

ზანაკი აიკლეს მონტინედან კურბვილამდე. ტუარში შემდეგი დიალოგი გაისმა. მაღალ კედელთან:

— კარლ!

— ბატონო!

— შენი მხარი, რომ ამ კედელზე ავძვრე.

— ინებეთ.

— შენი თოფი.

— ინებეთ.

აძვრა ლა რომეაქლენი კედელზე, გადახტა ქალაქში და ვანდელემა კიბეების დაუხმარებლად აიღეს ის ციხე-სიმაგრე, რომელსაც ამაოდ ებრძოდა დუგესკენი.

ოქროზე ძვირად აფასებდნენ ვანდელეები ზარბაზნის ყუმბარას. ტიროდნენ, როდესაც ისე შორს იყვნენ, რომ თავიანთ სამრეკლოს ველარ ხედავდნენ. უკან დახვევა და გაქცევა ჩვეულებად ჰქონდათ; საჭირო იყო წინამძღვრის ბრძანება, — გადაჰყარეთ საბო, გაუფრთხილდით თქვენს თოფებს — თოფისწამალი რომ შემოაკლდებოდათ, რესპუბლიკელების საჭურველს მიესევოდნენ ლოცვითა და იარაღით; შემდეგში კი დელბე ინგლისელებს სთხოვდა ხოლმე. მტრის მოახლოებისას, თუ დაჭრილები ჰყავდათ, ყანებში მალავდნენ, ან მაღალ გვიმრაში, და ბრძოლა რომ გათავდებოდა, მაშინვე დაჭრილებს მიხედავდნენ. სამხედრო ერთგვარობა ტანისამოსისა — არავითარი. ზედვე შემოაცვდებოდათ, რაც ეცვათ; გლეხი იყო, თუ დიდებული, ყველა ჯღანებით დაიარებოდა, სადაც რას იშოვიდა, იმას იცვამდა. როჟე მულინეს რაღაც ყაუხი ეხურა და მანდილი, დელა ფლეშის თეატრის ტანსაცმელის განჯინიდან წამოდებული. რაინდ ბოვილეს ბრალმდებელის ხალათი ეცვა და ვანდური სელის ქუდზე ქალის შაპო ეხურა. ყველას თეთრი ყელსახვევი და ქამარი ერტყა; ხარისხი კვანძებით გაირჩეოდა. სტოფლეს¹⁾ წითელი კვანძი ამშვენებდა, ლა რომეაქლენს — შავი; ვიმფენი, თანამგრძნობი ჟირონდელებისა, რომელიც არ მოშორებია ნორმანდიას, ტყავის სახელურებით დადიოდა. აჯანყებულებში ერივნენ ქალებიც: ლესკურის²⁾ ცოლი, რომელიც შემდეგში ლა რომეაქლენის მეუღლედ გახდა; ტერენზა მოლიენი, ლა-რუერის საყვარელი, რომელმაც სამწყსოების წინამძღვრების სია დასწვა; ლაროშფუკოს³⁾ ცოლი, ყმაწვილი, ლამაზი ქალი, რომელიც ხმალამოდებული აგროვებდა გლეხკაცებს

1) სტოფლე იყო ვანდეს გენერალი.

2) ლესკური იყო ვანდეს გენერალი — მოკლეს ომში 1793 წელს.

3) ლაროშფუკო ძველი წარჩინებული გვარია საფრანგეთში.

პუი-რუსსოს სასახლის ციხესთან; და ანტუანეტ ადამი, რაინდ ადამად წოდებული, იმდენად პატივცემული, მტერთაგანაც კი, რომ ტყვედ დაჭერილი მდგომიარედ დახვრიტეს, როგორც კარგი ვაჟაკი.

საშინელი იყო ეს ეპიკური დრო. გაცოფებული იყო ხალხი. ლესკურის ცოლი განძრახ მიერეკებოდა თავის ცხენს იქითკენ, სადაც დაჭრილი რესპუბლიკელები ეყარნენ ბრძოლის ველზე: მკვდრები არიანო, იძახდა, თუმცა დაჭრილებიც იქვე იყვნენ. მოხდებოდა ხოლმე, უღალატებდა საქმეს კაცი, ქალი კი არასდროს. მსახიობი ფლერი ჯერ რუსთან იყო, მერე მარატთან გადავიდა, მაგრამ ეს სიყვარულით მოუვიდა.

წინამძღვარი ხშირად ისეთივე უვიცი იყო, როგორც ჯარისკაცი. ზოგი ძლივს არჩევდა ანბანს. ერთმანეთი ეჯავრებოდათ უფროსებს: ქვემოურებს არაფრად მიაჩნდათ ზემოურები. ცხენოსანი ჯარი ცოტა ჰყავდათ და ძნელიც იყო მისი შედგენა. პიუზე სწერს; „სიხარულით მაძლევს კაცი თავის ორ შვილს და უარზე არის; თუ ერთი ცხენი ვთხოვე, თუმცა რამდენიმე ჰყავს“. კეტი, შუბი, ცული, ნამგალი, თოფი ახალი და ძველი, ხანჯალი, შამფური, ლურსმან-მიკედილი კომბალი, — აი ვანდელების იარაღი. ზოგს გულზე ჯვარედინად ჰქონდა ორი ძვალი მკვდარი ადამიანისა. საშინელი ყვირილით მიესეოდნენ ხოლმე მტერს. მოულოდნელად გაჩნდებოდნენ ყველგან; გამოხტებოდნენ უცბად ტყიდან, ბორცვის უკნიდან, ხევიდან, მივარდებოდნენ მტერს, ხან ჯგუფად, ხან გაფანტულად, ებრძოდნენ, ხოცავდნენ და ისევ ისე სადღაც მიიმალებოდნენ. რესპუბლიკის მომხრე დაბაში რომ გაივლიდნენ, მოსჭრიდნენ თავისუფლების ხეს, დასჭრიდნენ, ცეცხლს წაუკიდებდნენ და გარს უვლიდნენ ცეკვით. მტრისთვის მოულოდნელი იყო ვანდელების საქციელი. წესად ჰქონდათ დადებული, — მტერს ძალით კი არა, შიშის ზარით აჯობებო, მთელი დღის სავალს გაივლიდნენ ჩუმად, ხმას არ ამოიღებდნენ, კვალს არ დასტოვებდნენ ნავალისას. საღამოზე მოილაპარაკებდნენ წინამძღვრები და სამხედრო საბჭო, დანიშნავდნენ, სად უნდა დასცემოდნენ ხვალ დილით რესპუბლიკელებს, გასტენიდნენ თოფს, წაიდუღებდნენ მამაო ჩვენოს, გაიხდიდნენ საბოს და ფეხ-შეშვლები მიეშურებოდნენ ტყეში და ღრეში. მიდიოდნენ ჩუმად, კრინტს არ დასძრავდნენ, არც კი ქშინავდნენ. ბნელში მავალი კატა!

VI

მიწის სული ერთვის ადამიანს.

აჯანყებულთა რიცხვი, სულ მცირე რომ ვთქვათ, ხუთასი ათასი იქნებოდა, — კაცი, ქალი და მოზარდები. ნახევარი მილიონი მებრძოლი, ამ რიცხვს იძლევა ტუფენ დე ლა რუერი. ფედერალისტებიც ეხმარებოდნენ, ვანდეს თანაუგრძნობდა აგრეთვე ყირონდაც. ლა ლოზერმა ოცდაათი ათასი კაცი გაპყვავა ბოკაჟში. რვა ოლქი შეთანხმებულიყო, ხუთი ბრეტანში და სამი ნორმანდიაში. ქალაქი ევრე და კენი შეთანხმებულიყვნენ და აჯანყებულების კრებაში თავის წარმომადგენლად შომონი ჰყავდათ, ქალაქის თავი, და გარდანბადიდებულნი; ბიზო, გორსა და ბარბარუ კენში, ბრისსო მულენში, შანსანი ლიონში, რაბო სენტ-ეტიენი ნიმში, მეილანი და დუშატელი ბრეტანში, — ყველა იმას ცდილობდა, რომ მთელ საფრანგეთს მოსდებოდა ეს ხანძარი.

ორი ვანდე იყო ამ ბრძოლაში: დიდი ვანდე, რომელიც ტყით იბრძოდა, და პატარა, რომელიც ჭალით იბრძოდა. ამაში მდგომარეობს განსხვავება, რომელიც ცალკალკე აყენებს შარეტსა და ჟან შუანს. პატარა ვანდე გულუბრყვილო იყო, დიდი — ცბიერი; პატარა სჯობდა. დიდვანდელი შარეტი შემდეგში მარკიზი ბრძანდებოდა მეფის ლაშქრის გენერალი და წმ. ლუის ჯვრით დამშვენებული; ჟან შუანი კი ჟან შუანად დარჩა. ბარეტს ყაჩაღის სული ედგა, ჟან შუანს — რაინდისა.

რაც შეეხება იმ დიდსულოვან წინამძღვართ, როგორც იყვნენ ბონშანი, ლესკური, ლაროშჟაკლენი, ისინი შესცდნენ, უაზრო და უსაფუძვლო იყო კათოლიკების დიდი ლაშქრის შედგენა: ამაოდ უნდა დარჩენილიყო ეს ცდა და ასეც მოხდა. წარმოსადგენლად კი საშინელება არის გლუხაკების გრიგალი, პარიზზე მიმავალი, შეერთებული სოფლები პანტეონის დასანგრევად, მამაო ჩვენოს, ქრისტე-აღსდგას მგალობლები მარსელოზის ამოსაკვეთად, ოტროველა ბრბოს იერიში გონებრივ ბრწყინვალეზე. ლემანმა და სავენემ დასაჯეს ეს უბადობა. შეუძლებელი იყო ვანდელებისათვის მდინარე ლუარის გადალახვა. ბევრი რამ შეეძლო ვანდეს, მაგრამ ამოდენა ნაბიჯს კი ვერ გადასდგამდა, სამოქალაქო ომმა დაპყრობა არ იცის. რეინზე გადასვლა ადიდებს ცეზარს, ასახელებს ნაპოლეონს; ლუარზე გადასვლა ჰლუპავს ლაროშჟაკლენს.

ძალოვანი ვანდე მარტო თავისას იყო, ვანდეში. იქ ვანდე მიუვალა და მიუწდომელი. შინ რომ არის ვანდელი, კონდრაბანდასაც

ეზიდება, მიწასაც მუშაობს. სალდათიც არის, მწყემსიც, ყორულში მონადირეც, მეცხვარეც; გლეხიც არის, ჯაშუშიც; მნათეც არის, ყაჩალიც; ნამდვილი ტყის ნადირია.

ლაროშუქაკლენი აქილესი იყო, ჟან შუანი ცვალებადი პროტე-დამარცხდა ვანდე. სხვაგან გაიმარჯვა აჯანყებამ, შვეიცარიაში მაგალითად — აჯანყებული მთიული, შვეიცარიელი, მით განსხვავდება ტყიურისაგან, როგორც ვანდელი იყო, რომ თითქმის ყოველთვის საბედისწერო გავლენას ახდენს მათზე მათი სამშობლო. მთაული იდეალისთვის იბრძვის, ვანდელი ცრუმორწმუნეობისთვის. ერთი ციალებს, მეორე ცოცავს. ერთი კაციბრიობისთვის იღვწის, მეორე მარტო თავისთვის. ერთს თავისუფლება ენატრება, მეორეს თავისი სარო. ერთი კომუნას იცავს, მეორე სამწყსოს! — კომუნა! კომუნა! გაპყვირის მორას გმირებთან ერთად მთელი შვეიცარია. ერთს ცი-ცაბი კლდეები ახვევია და უფსკრული ხევები, მეორეს კი ქვიშნარი. ერთი დიდებული ჩანჩქერის შვილია, მეორე ჭაობად მდგარი წყლისა, რომელიც ცივების მეტს არაფერს იძლევა; ერთს ცა ახურია თავზე, მეორეს — დაბურული ტყე. ერთი მზის სხივში არის, მეორე სიბნელეში.

ერთი და იგივე არ არის აღზრდა მონიჭებული მწვერვალისა და ორმოს მიერ.

მთა მიუვალი ციხე არის, ტყე კი — საფარი. ერთი ვაჟაკობას გვავალებს, მეორე-მახის დაგებას. უწინდელები ღმერთებს მთის მწვერვალზე უდგამდნენ ტახტს, და ღმერთკაცებს, სატირებად წოდებულებს, ჭალაში. სატირი ველური იყო, ღვთის სახელი ჰქონდა, თვითონ კი მხეცი იყო. თავისუფალ ქვეყნებს აქვთ აპენინი, ალპი, პირენეი, ოლიმპი. პარნასი მთა არის — ვილჰელმ ტელს თუ უშველა ვინმემ, მარტო მონბლანის მთამ უშველა. დიდი ბრძოლა წარმოებდა და წარმოებს განათლებისა წყვედიადის წინააღმდეგ, რომლითაც სავე-სე არის ინდური პოემები, და ამ უსაზღვრო ბრძოლას თავიდან ბოლომდე აშუქებს ჰიმალაის მთა. საბერძნეთს, ესპანეთს, იტალიას, შვეიცარიას მთა ასახიერებს; კიმერეთს, გარმანიასა და ბრეტანს — ტყე. და ტყე ბარბაროსი არის.

ბევრს რასმე ურჩევს ადამიანს ზედაპირი დედამიწისა და უფრო ხშირია იმისი ბრალი, ვიდრე გვეონია. ხანდახან, საშინელ რამ სურათს რომ დაგინახავთ დედამიწისას, გაგვივლის ფიქრი გავამართლოთ ადამიანი და ბრალი დაესდვათ ბუნების უხიაკობას, — ჯიბრში უდგას, ცხოვრებას უძნელებსო; — უდაბნო მავნებლად მოქმედებს ადამიანის შეგნებულებაზე; მეტადრე გაუნათლებელ შეგნებულება-

ზე. შეგნებულება შეიძლება დიდებული იყოს — ეს ჰქმნის სოკრატეს და იესოს, მაგრამ შეიძლება კნინი იყოს, — ეს ჰქმნის სისხლით გაუმადლარ ატრესა და იუდას. კნინი შეგნებულება ადვილად ხდება ქვემირომად: დაბურული ტევრი, უღნარი ბუჩქნარი, ტოტებქვეშ ქაობი ავბედად მოქმედებენ ადამიანზე, რომელიც თავისდაუნებურად განიცდის მათ საიდუმლო გავლენას. ოპტიკური ლანდები, აუხსნელი წირები, შეშლა დროისა ან ადგილისა იმ საშიშროებაში აგდებს ადამიანს, ერგსარწმუნოებრივში, ერგმხეცურში, რომელიც მშვიდობიანობის დროს ჰქმნის ცრუმორწმუნეობას და აღშფოთების დროს — გამხეცებას. ლანდს უჭირავს ის მაშხალა, რომელიც გზას უნათებს სისხლისმღვრელს. შეშლილობა აძლიერებს ყაჩაღს. სასწაულმოქმედ ბუნებას ორმაგი გავლენა აქვს ადამიანზე: თვალს უხელს გონებას და აბრმავებს უგუნურობას. როდესაც უფიცი არის ადამიანი, როდესაც ლანდიანია უდაბნო, წყვდიადი მარტოობისა ერთვის წყვდიადს გონებისას, და აქედან უფსკრულის გრძობა ადამიანში. აგერ ის კლდე, აგერ ის ხევი. ქალა, პატარა ველობი საშინელ ტყეში საღამო ჟამს ახელებს და ამხეცებს ადამიანს. შეიძლება ვთქვათ, რომ ბოროტებით სავეს ადგილები მოიპოვება ბუნებაში.

რამდენი რამ ნახა ტრაგიზმით სავეს, დაბურულმა ბორცვმა, რომელიც ბენიონსა და პლელანს შუა ძევს! ფართო ჰორიზონტი სულს უდგამს საზოგადოებრივ აზრებს, ვიწროდ შემოფარგლული ჰორიზონტი — კერძობითსა და პირადს. ამიტომ არის, რომ ხშირად გულით დიდებული ადამიანი გონებით სუსტი არის. ამის მოწამეა ჟან შუანი.

საზოგადოებრივი აზრები ვერ ურიგდება კერძოს, პირადს, და აქედან — ბრძოლა პროგრესისა.

ქვეყანა, სამშობლო, ამ ორი სიტყვით ამოიწურება მთელი ომი, ვანდლები მთელი წარმოებული; ბრძოლა ადგილობრივი აზრისა საზოგადოებრივთან, ბრძოლა გლეხკაცებისა პატრიოტებთან.

VII

ვანდემ ბოლო მოულო ბრძანს

დიდხნის მოჯანყე არის ბრეტანი. ყოველთვის მართალი იყო ეს ქვეყანა, როცა კი აჯანყებულა ამ ორი ათასი წლის განმავლობაში: და უკანასკნელად კი მტყუანი გამოდგა. რომ ჩაუკვირდეთ ბრეტანის ბრძოლას, ვნახავთ, რომ რევოლუციას ებრძოდა თუ მონარქიას, რესპუბლიკის წარმომადგენლებს თუ ძველი მთავრობის მო-

ხელე პრინციებს, ასიგნაციებს თუ მარილის ბაჟს, ვინც უნდა ყოფილიყვნენ მებრძოლნი — ნიკოლა რაპენი, ფრანსუა დე ლანუ, კაპიტანი პლუვიო და ქალბატონი ლა გარნაში, თუ სტოფლე, კოკერო და ლეშანდიე დე პიერვილი, როჰანების დროს მეფის საწინააღმდეგოდ იყო, თუ ლა როშეაკლენის დროს მეფის გასამაგრებლად. ამ ბრძოლას ყოველთვის ერთი და იგივე საფუძველი ჰქონდა, — ადგილობრივი ებრძოდა საზოგადოებრივს.

ტბა იყო ეს ძველი მხარე, სირბილი ეზიზღებოდა ამ მძინარე წყალს; ქარი რომ დაუბერავდა, ვერ აცხოველებდა, მარტო აღიზიანებდა. ფინისტერი — ბოლთა მიწისაო... ფინისტერში თავდებოდა საფრანგეთი, იქ თავდებოდა ადამიანის მაცხოვრებელი დედამიწა და თავდებოდა წინსვლა ახალთარბათა. — დადეგ! — უბრძანებდა ოკეანე დედამიწას და ბარბაროსობა განათლებას. ყოველთვის ასე იყო, როცა კი რამე ბიძგს მისცემდა ცენტრი, პარიზი, ვისგანაც უნდა ყოფილიყო ეს ბიძგი. მეფისგან თუ რესპუბლიკისგან, დესპოტიზმის გასაძლიერებლად იქნებოდა თუ თავისუფლების დასამყარებლად, მაინც ახალი იყო ბრეტანისთვის და ისიც ყალყზე დგებოდა. — თავი დაგვანებეთ! რა ვინდათ ჩვენგან? რას ჩაგვციებიხართ? — წამოიშლებოდა ჭაობი, აიღებდა თავის ორთითს, ჭალა კიდევ თავის თოფს და იღვრებოდა სისხლი, ყველა ჩვენი ცდა, ყველა ჩვენი საშუალება კანონმდებლობითა და სწავლით ბრეტანის გულის მოსაგებად, ჩვენი ენციკლოპედია, ჩვენი ფილოსოფია, ჩვენი ნიჭი; ჩვენი დიდება მიუღებელი იქნა ხეპრეებისთვის. ბაზუგის განგაში ემუქრება საფრანგეთის რევოლუციას, ფაუს ქვიშნარი იარაღს ისხამს ჩვენი სახალხო კრებების საწინააღმდეგოდ და ჰო-დე-პრეს ზარი ომს უცხადებს ლუვრის ციხეს საზარელი გამოყრუება!

გულსაწყლავი შეცდომა იყო ვანდელების აჯანყება!

საშინელი აღტაცება, ბუმბერაზული ბრძოლა; საზღვარს ვადაცილებული თავგანწირვა, რომელსაც წილად ხვდა ერთად ერთი სიტყვის მეტი არა დაუტოვოს რა ისტორიას, — ვანდე, — სიტყვა ბრწინვალე, მაგრამ საგლოვი; თავგანწირული შორს მყოფთათვის, თავდადებული ეგოიზმისთვის. ერთია მთელი იმის წარსული, — უსაზღვრო ვაჟაკობით ემსახურება თავის დამმონავებელს! ერთია, მთელი ომი ვანდელებისა, — იბრძვიან დაუფიქრებლად, უვიცად, უგებმოდ, უმიზნოდ, უწინამძღვროდ, პასუხისუგებლად. იბრძვის ვანდე, და მით გვაჩვენეს, რომ შეიძლება მეტად თვისნება იყოს ადამიანი, მაგრამ სრულიად უძლური. ვანდე რაინდია და თან ველური, მძუნავი სიბრყვე.

სინათლის წინააღმდეგ ბნელეთის მოაჯირის ამგები; ხეტო, რომელიც დაულაღადა, დიდი ხნის განმავლობაში მამაცად ებრძვის ქეშმარიტებას, სამართლიანობას, განათლებას, თავისუფლებას. რვა წლის სისხლის ღვრა, თოთხმეტი ოლქის აოხრება, ყანების გათელვა, სოფლების დაწვა, ქალაქების ნგრევა, სახლების აკლება, ქალებისა და ბავშვების ხოცვა, ცეცხლის ალი ხალხის ნამუშევარში და ბასრი ხმალი გულღვიძლში, უარყოფა განათლებისა და სასოება ბატონ პიტისა და ინგლისისა: ასეთი იყო ეს ომი, შეუფენებელი გმობა თავისი სამშობლოსი.

მაგრამ მაინც პროგრესს ემსახურება ვანდე: ამ ბრძოლამ გამოიწვია მოთხოვნილება ყოველმხრივ გაგვესინჯა და გაგვეცნო ძველი ბნელეთი ბრეტანისა და სინათლის სხივმოსილი ისრებით გაგვეპრა მისი დაბურული ტყე და დამყაყებული ჭაობი, რომ იქაც სინათლე დაგვემყარებინა. უბედურება ეწევა ქვეყანას, მაგრამ ხანდახან უბედურებაც სასარგებლო ნაყოფს სტოვებს.

ნიგნი პოეზია

სამი ბავშვი

I

Plus quam civilia bella ¹⁾

ძალიან წვიმიანი იყო 1792 წლის ზაფხული; ძალიან ცხელი იყო 1793 წლის ზაფხული. სამოქალაქო ომის გამო ბრეტანში მთლად წამხდარიყო გზები. მაგრამ გაჭირვება იყო, თუ ზაფხულის მშვენიერება, გაუვალ გზებზე დადიოდა ხალხი. ოღონდ გამხმარი აყოს მიწა და უგზოდაც გაივლის კაცი.

მკათათვე იყო. ერთ მშვენიერ საღამოს, შშის ჩასვლის დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, ერთი ცხენიანი კაცი, აერანშის ²⁾ მხრიდან მომავალი, მიადგა კრუბრანშარის პატარა სამიკიტნოს პონტორსონის შესავალში, რომლის კარზეთ. სხვილი ასოებით ეწერა სიტყვები: — „კარგი სიღრით გაისველეთ ყელი“. სამიკიტნოც და ეს წარწერაც ისევ ისევ იყო ამ რამდენიმე წლის წინათ. ძალიან სიციხე იდგა მთელ დღეს, მაგრამ გრილი სიო მოჰყვა საღამოს.

გრძელი წამოსასხამი ესხა მგზავრს, იმდენად გრძელი, რომ ჰფარავდა ცხენის გავას. თავზე განიერი ქუდი ეხურა, სამფერკაკარდიანი, რაც საშიში უნდა ყოფილიყო ამ ჩასაფრებულებით სავსე ქვეყანაში, რომლის თოფისთვის სანატრელ მიზნად ითვლებოდა რესპუბლიკური ნიშანი. წამოსასხამი შეკრული ჰქონდა ყელზე, მაგრამ გულზე გახსნილი იყო და წელზე სამფერი სარტყელი უჩანდა და ორი დამბაჩა. ხმლის ბოლო გამოჩანდა წამოსასხამიდან.

ცხენის ფეხის ხმაზე კარი გააღო მიკიტანმა და გამოვიდა, ხელში სანათი ეჭირა. გარდამავალი დრო იყო, ჯერ არ დაბნელებულაყო გზაზე და სახლში კი ბნელოდა.

დააცქერდა მიკიტანი კაკარდას და ჰკითხა:

— აქ ჩამოხტებით, მოქალაქე?

1) სამოქალაქო ომზე მეტი.

2) აერანში მანშის საოლქო ცენტრია.

— არა.

— მაშ სად მიბრძანდებით?

— დოღს.

— მაშ ავრანში დაბრუნდით. ან აქ დაჩიით, პონტოროსონში.

— რად უნდა დავრჩე?

— იმიტომ, რომ დოღში იბრძვიან.

— ჰოო! — წარმოთქვა ცხენოსანმა.

მერე უბრძანა:

— შვრია აკამეთ ჩემს ცხენს.

მიკიტანმა გამოიტანა პატარა ვარცლი, შიგ ჩაჰყარა შვრია, აღვირი ახსნა ცხენს, რომელიც ქშინვით მივარდა თავის საკმელს.

ბაასი განახლდა.

— რეკვიზიციისა გახლავთ, მოქალაქე, ეს ცხენი?

— არა.

— თქვენია?

— დიახ. მე ვიყიდე და კაი ფასიც მივეცი.

— საიდან მობრძანდებით?

— პარიზიდან.

— პირდაპირ ჩვენკენ?

— არა.

— შე კი არ ვიცი! შეკრულია გზები, მაგრამ ფოსტა კი დაიარება.

— დიახ, ალანსონამდე. ალანსონიდან ცხენით მოვედივარ.

— ეეჰ! ხვალ-ზეგ იქნება ფოსტაც აღარ იყოს საფრანგეთში! ცხენები ვერ გვიშოვია. მამასისხლად ფასობს სამას ფრანკიანი ცხენი. ახლა თივა ბრძანეთ და შვრია! ფოსტის უფროსად გახლდით აქ, სოფელში და ხედავთ, მედუქნედ გავხდი. ათას სამას ცამეტა ვიყავით ჩემი თანამდებობის მოხელეები და ორასმა თავი დაანება საშსახურს. აქვენ, მოქალაქე: ახალი ტარიფით მოგზაურობდით?

— დიახ, პირველ მაისს რომ შემოიღეს.

— ოცი სუ ფოსტიდან ფოსტამდე ეტლით, თორმეტი სუ კაბრიოლით, ხუთი სუ ფურგუნით. ეს ცხენი ალანსონში იყიდეთ?

— დიახ.

— დღეს შთელი დღე გზაში ხართ?

— ინათლა და წამოვედი.

— გუშინაც?

— და გუშინწინაც.

— ვხედავ და! დონფრონზე გამოიარეთ, მორტენზე.

— და ავრანშზე.



— ჰო და დამიჯერეთ, მოქალაქე, დაისვენეთ. ძალიან დაღალული უნდა იყოთ თქვენცა და თქვენი ცხენიც.

— ცხენს აქვს დაღალვის უფლება, ადამიანს კი არაო.

და სელახლად დააცქერდა მასპინძელი თავის სტუმარს. დარ-

ბაისელი კაცი იყო ცხენოსანი, მშვიდი, მკაცრი, ჭალარა წვერ-
ულვაშიანი.

მიკიტანმა თვალი გადაავლო გზას, მაგრამ ადამიანი არსად ჭაჭა-
ნებდა, სადამდეც კი თვალი მისწვდებოდა. მერე ჰკითხა:

— და ავრე მარტო დადიხართ?

— ებგური თან მყავს.

— სად არის?

— ჩემი ხმალი და დამბაჩა.

წყალი გამოიტანა მიკიტანმა, ცხენს დაუდგა, და მანამ ცხენი
სვამდა, ის თავის სტუმარს შესცქეროდა და ფიქრობდა, — თუნდა
დავიფიქრავ, რომ გაკრეჭილი მღვდელი არისო.

მგზავრმა ჰკითხა.

— რა თქვით წელან, დოღში ბრძოლა არისო?

— დიახ, სწორედ ეხლა უნდა დაწყებულიყო.

— მერე ვინ არიან ეგ მებრძოლნი.

— ყოფილი ბატონი ყოფილი ბატონის წინააღმდეგ.

— რაო? რა თქვით?

— მე ის მოგახსენეთ, რომ ყოფილი ბატონი, რომელიც რეს-
პუბლიკას მიემხრო, ებრძვის ყოფილ ბატონს, რომელიც მეფის ერთ-
გულად დარჩა.

— და შეფე რომ აღარ არის?

— ის პატარა რომ არის, ბატონიშვილი! უცნაური ის არის,
რომ ერთმანეთს რომ ებრძვიან ყოფილები, ახლო ნათესავეები არიან.

ყურადღებით უსმენდა მგზავრი. მიკიტანმა განაგრძო:

— ერთი ჭაბუკია, მეორე მოხუცებული. პატარა ბიძაშვილი
ებრძვის დიდ ბიძას. ბიძა მეფისმომხრე გახლავთ, ბიძაშვილი — პა-
ტრიოტი. ბიძა თეთრი ჯარით იბრძვის, ბიძაშვილი — ლურჯით. აჰ,
არ დაინდობენ ერთმანეთს, მერწმუნეთ! ან ერთი, მოკვდება, ან მე-
ორე, ნახავთ.

— არ დაინდობენ ერთმანეთს?

— არა, მოქალაქე, არა! გენბავთ გაჩვენოთ, რა თავაზიანი ქა-
თინაურებით ამკობენ ერთმანეთს? აი, ბატონო, განცხადება ბიძისა.
როგორღაც ახერხებს მოხუცებული და, საცა კი გაიხედავს კაცა,
ყველგან იმისი განცხადებაა გაკრული. ყველა სახლებზე და ყველა
ხეებზე. აი, ჩემ კარსაც რგებია თავისი წილი.

მასპინძელმა კარისკენ მიმართა თავისი სანათი, რომელზედაც
თეთრი ქალაღი იყო მიკრული მსხვილასოებიანი განცხადებით და
ცხენოსანმა შესძლო წაკითხვა:

„ — მარკიზ დე ლანტენაკი თავის ბიძაშვილს, ბატონ ვიკონტ გოვენს: თუ ღმერთი შემეწია და ხელთ ვიგდე ღვთისა და სამშობლოს მტერი — ჩემი ბიძაშვილი, მაშინვე მოვაკვლევინებ ჩემს მარცხენელს“.

— და, აი, ბატონო, თუ გნებავთ, მაგის პასუხიც.

მიბრუნდა და სანათი ახლა მეორე განცხადებისკენ მიმართა. მგზავრმა წაიკითხა:

„ — გოვენი აფრთხილებს ლანტენაკს, რომ დაახერხებინებს, თუ დაიჭირა“.

— გუშინ, — განაგრძო მიკიტანმა, — ლანტენაკის განცხადება იყო მიკრული ჩემ კარებზე; დღეს კიდევ მეორეც დამხვდა, რომ ავდექი. პასუხის დაგვიანება არა სცოდნია გოვენს.

მგზავრმა ჩუმად, თითქო თავის თავს ელაპარაკებოდა, მაგრამ მიკიტნის გასაგონად წარმოსთქვა, თუმცა კარგად ვერ შეიგნო იმან ნათქვამის აზრი:

— საშინელებაა! სამშობლოში კი არა, ოჯახში არის ბრძოლა! რა გაეწყობა, დაე მოხდეს, რაც უნდა მოხდეს. ალბათ ამ ფასით შეიძლება ხალხის გადახალისება.

თვალს ველარ ამორებდა მეორე განცხადებას, მაგრამ ეჩქარებოდა და სალამი მისცა მიკიტანს.

გამოსალმების მაგივრად მიკიტანმა ფრთხილება დაუწყო:

— უნდა მოგახსენოთ, მოქალაქე, რომ ცოტა არ იყოს საშიშია თქვენი მოგზაურობა. ქალაქებში და დიდ დაბებში რევოლუციის მომხრენი გახლავართ, სოფლებში კი რევოლუციის მტრები არიან; ან, სხვაფრივ რომ ვთქვათ, ქალაქში ფრანგები ვართ და სოფელში — ვანდელები. ამ ომში ბურჟუა ებრძვის გლეხს. ჩვენ ისინი გაქნლს გვეძახიან, ჩვენ იმათ — ტეტისა ვეძახით. დიდებულები და მღვდლებიც იმათკენ არიან.

— ყველა არა, — შეაწყვეტინა მგზავრმა.

— ცხადია, ყველა არა, რადგან სწორედ აქ ებრძვის ვიკონტი მარკიზს.

მერე თავისთვის წაიბურტყუნა:

— და ვიცი, რომ მღვდელს ველაპარაკები.

მგზავრმა ჰკითხა:

— მერე რომელი სჯობნის?

— აქამდე ვიკონტი სჯობნიდა, მაგრამ დიდი გაჭირვებით. ბებერი მგელია მარკიზი. გოვენის შთამომავალი არიან ორივე, აქაური დიდებული ბატონებისა. ორ შტოდ არის დაყოფილი ეს გვარო. მთა-

ვარი შტოს წარმომადგენელი გახლავთ მარკიზ დე ლანტენაკი; მეორე, მომცრო შტოს წარმომადგენელი არის ვიკონტ გოვენნი. და დღეს ერთმანეთს ებრძვის ეს ორი შვილი ერთი გვარისა. ხეებში ვერსად ნახავთ ამგვარ რასმე და ადამიანებში კი ხშირია. მარკიზ დე ლანტენაკი ყოველად ძლიერი კაცია ბრეტანში; გლეხებისთვის ლანტენაკი მარკიზი კი არა, მეფეა. იმის გადმოსვლუ და რვა ათასი კაცის შეკრება ერთი იყო, იმდღესვე. ერთი კვირა არ გასულა, სამასი სამწყსო აჯანყდა. რომ შესძლებოდა და ზღვისპირი დაეკირა სადმე, ინგლისელების ლაშქარი შემოგვესევოდა. კიდევ კარგი, რომ წინ გოვენნი უდგას, იმისივე ბიძაშვილი. რას არ ნახავს ამ ქვეყნად ადამიანი! გოვენმა რესპუბლიკის ჯარით გზა შეუკრა თავის ბიძას. ჩვენი ბედი, რომ ლანტენაკმა, როგორც კი ფეხი შემოსდგა ვანდეში, მრავალი ხალხი დახოცა, ტყვედ დაჭერილი რესპუბლიკელები და მათთან ერთად ორი ქალი დაახვრეტინა. ერთს ამ უბედურთაგანს სამი ბავშვი ჰყავდა. პარიზელი ბატალიონის შვილობილები. გაშმაგებულთა ის ბატალიონი, სულ ცოფს ჰყრის. წითელქუდა ბატალიონი ჰქვია. ბევრი არავინ გადარჩა ამ ბატალიონიდან ცოცხალი, მაგრამ ვინც გადარჩა, სისხლისაღებითა არის ცოცხალი. ეს ბატალიონიც გოვენის რაზმისა, არის და სხვა აღარა ახსოვთ რა, — ქალების მოკვლა უნდა გადაუხადონ და ბავშვები წაართვან. არავინ იცის, რა უყო ბებერმა იმ ბავშვებს და ეს უფრო გულს უკლავს პარიზელ გრენადერებს. ის ბავშვები რომ არ ყოფილიყვნენ, იქნება არც ასე გამწვავებულიყო ომი; დღეს ომი კი არა, სისხლის ძიებაზე შივარდა საქმე. მეტად გულკეთილი და მართლა ვაჟკაცი გახლავთ ყმაწვილი გოვენი, და მარკიზი კი ცბიერებით და ვერაგობით სავსე ბებერი. იცით, რას იძახიან გლეხები? ბელზებუთს ებრძვის წმ. მიხეილილი — იქნება იცოდეთ, რომ ვანდელებს ყველაზე მეტად წმ. მიხეილი სწამთ. შუა ზღვაში კუნძულზე ერთი მთა აქვთ თავისი მფარველის, წმ. მიხეილის, სადიდებლად. წმ. მიხეილმა სატანა ჩამოაგდო მთიდან და დასასაფლავებლად აქ მოიტანა, ტომბლენის მთისძირში დამარხაო — აქვე ახლო გახლავთ ტომბლენის მთა.

— დიახ, — თქვა მგზავრმა, — „ტუმბა ბელენი“ — საფლავი ბელენუსისა, საფლავი ბელენისა, ბელუსისა, ბელისა, ბელიალისა, ბელზებუთისა.

— დიახ, სწორედ აგრე.

და გულში თავისი გაიმეორა:

— მღვდელია, მღვდელი! ასე ლათინური სხვას ვის ეცოდინება? მერე მგზავრს მიმართა:

— იმას მოგახსენებდით, მოქალაქე, გლახაკებისთვის ახლა ხელახლად იწყება ომი. იმათთვის, რაღა თქმა უნდა, წმ. მიხეილი მეფისთვის მებრძოლი ლანტენაკი არის, და ბელზებუთი — პატრიოტი გოვენი. მაგრამ, თუ მართლა არის სადმე ქაჯი და ეშმაკი, ეს ლანტენაკი არის, და თუ არის სადმე ანგელოზი, მართლდა ანგელოზია გოვენი. მაშ არაფერს ინებებთ მოქალაქე?

— აყირო მაქვს და ერთი ნაჭერი პური. ეგ ყველა კარგი, მაგრამ რატომ დოლისას არას მეუბნებით?

— აი, ბატონო. ზღვისპირის, მოწინავე ჯარის უფროსად გახლავთ გოვენი. ლანტენაკის განზრახვა იყო, აეჯანყებინა მთელა ქვეყანა, ქვემო ბრეტანი ქვემო ნორმანდიით გაემაგრებინა, ნავსადგური გაეღო პატისთვის და ვანდელების ლაშქარს დახმარებოდა ოცი ათასი ინგლისელით და ორასი ათასი გლახით. გოვენმა თავით ბოლომდე ჩაუშალა ეს გეგმა. ზღვისპირი მთლად იმას უჭირავს, ლანტენაკს ზღვისკენ არ უშვებს და ინგლისელებს ხმელეთისკენ. აქ ბრძანდებოდა ლანტენაკი, მაგრამ გოვენმა გააგდო; პოტ-ობო წაართვა, ავრანშიდან განდევნა, აგრეთვე ვილიოდან; გრანვილში არ შეუშვა. ახლა იმას ცდილობს, რომ ფუჟერის ტყეში შეაგდოს და იქ მოიმწყვდილოს. ძალიან კარგად მიდიოდა საქმე. გუშინ გოვენი აქ იყო თავისი ჯარით. და უცბად — განგაში! გაიძვერა კაცია ბებერი და აქაც ეშმაკობა გამოიჩინა: დოლისკენ დაიძრა უცბად. თუ როლი აიღო, და დოლის-მთაზე ზარბაზანი აიტანა, — უნდა იცოდეთ, რომ ლანტენაკს ზარბაზნებიც აქვს. — დიახ, თუ ზარბაზანი აიტანა, მაშინ იმას დარჩება დოლის ზღვისპირი, ინგლისელები გადმოსხამენ თავის ჯარს და წასულია ჩვენი საქმე! და რადგან შეუძლებელი იყო სულ უმცირესი დაყოვნება, გოვენი, — უნდა მოგახსენოთ, ძალიან ჭკვიანი ბიჭია, — მხედართმთავარს არ დაეკითხა. ლოდინი არ დაუწყო იმის ბრძანებას, — ლოდინი რესპუბლიკის საბოლოო დამარცხება იქნებოდა, — საყვირით გასცა ბრძანება, საჩქაროდ გააწყო მხედრობა, არტილერია, ქვეითი რაზმი, იშიშვლა ხმალი და, ლანტენაკი რომ დოლს დაჰკრავს, გოვენი ლანტენაკს დაჰკრავს. დოლში დაჰკრავენ ერთმანეთს და ძალიანაც დაჰკრავენ. ახლა უკვე დოლში არიან ერთიცა და მეორეც.

— რამდენი ხანი უნდა აქედან დოლამდე?

— ჯარს, თუ თან ულამიცა აქვს, სამი საათი მაინც. უკვე აქ არიან და იბრძვიან.

მგზავრმა ყური მიუგდო შორეულს და მერე თქვა:

— მართლა და, მგონია, ზარბაზნის სროლა მესმის.

ყური მიუგდო მიკიტანმაც.

— დიახ, მოალაქე, სროლაა უკვე. მე რომ თქვენ ვიყო, ამდღამ აქ დაერჩებოდი. სიფრთხილეს თავი არა სტკივო.

— არ შემიძლია. მეჩქარება და უნდა წავიდე.

— საშიშია, მოქალაქე. მე თქვენი საქმეებისა არ ვიცი. რა, მართალია, მაგრამ მაინც გაფრთხილებთ, თავგანწირვა იქნება ახლა იქ მისვლა, თუ, მართლა არაფერია იქ იმისთანა, რომ სიცოცხლეზე მეტად გიღირდეთ.

— სწორედ აგრეა. — თქვა მგზავრმა, — სიცოცხლეზე მეტად მიღირს.

— ღვიძლი შვილივით საყვარელი?

— თითქმის აგრე. — უპასუხა მგზავრმა.

ერთხელ კიდევ დააშტერდა მიკიტანი მგზავრს და გაიფიქრა:

— მე მღვდლად მიმანია ეს მოქალაქე და შვილი საიდანაც უნდა ჰყავდეს? მოდი შენა და! მღვდელი და შვილები?

— ალვირი გაუკეთეთ ჩემ ცხენს. რამდენი გერგებათ?

და გაუსწორდა.

მიკიტანმა კედლისკენ მიაწყო შვრიის ტომარა და ვარცლი. მერე ისევ მგზავრს მიმართა:

— რაკი აგრე გესაჭიროებათ წასვლა, ჩემი რჩევაც მოისმინეთ. ცხადია, თქვენ სენ-მალოს მიბრძანდებით. ჰო და, დოღზე ნუ წახვალთ. ორი გზა არის აქედან სენ-მალოსკენ: ერთი დოღზე, მეორე ზღვის პირად. მანძილით ერთი და იგივეა ორივე. ზღვისპირის გზა ბრენის სენ-ჟორჟზე გადის. შერუეზე, ირელ-ლე-ვივიეზე. ისე რომ დოღი სამხრეთით დაგრჩებათ და კანკალი — ჩრდილოეთით. ამ გზას რომ გაჰყევთ, აქვე ახლო მებოძირს მიადგებით. მარცხნივ დოღისკენ მიდის გზა, მარჯვნივ — სენ-ჟორჟისკენ. თუ დოღისკენ წახვედით, გარწმუნებთ ბრძოლის ველში მოჰყვებით. ჰო და, მარცხნივ ნუ წახვალთ, მარჯვნივ მიბრძანდით.

— გმადლობთ. — უთხრა მგზავრმა.

და დეზი ჰკრა თავის ცხენს.

უკვე ბნელოდა და ისიც მაშინვე მიიმალა ბნელში.

მიკიტანი თავის მგზავრს გაჰყურებდა, მაგრამ ველარას ამჩნევდა. მიაღწია მგზავრმა მებოძირს, სადაც ორ მიმართულებას იღებდა გზა, და შორიდან მოესმა მიკიტანის ხმა: რომელიც უყვიროდა.

— მარჯვნივ! მარჯვნივ!

იმან მარცხნივ გააქენა ცხენი.

II

დოლო

დოლო, საფრანგეთის ესპანური ქალაქი ბრეტანში, — ასე იხსენიებდა ამ ქალაქს მონასტრის გუჯარი, — ქალაქი კი არა, დიდი ქუჩა არის, ერთი დიდი, ძველი გუთური ქუჩა, მარჯვნივ და მარცხნივ სვეტიანი სახლებით მოღობილი. სახლები სწორ ხაზად არ არის გამწკრივებული, ზოგი წინ არის გამოწეული, ზოგი უკან არის შეწეული. თვით ქუჩა მაინც ძალიან განიერია. დანარჩენი ქალაქი წვრილ-წვრილი ქუჩებია და ყველა ამ დიდ, დიამეტრულ ქუჩას ერთვის, როგორც პატარა მდინარეები დიდს. ქალაქს არც კარები აქვს, არც გალავანი, ღია არის, ზედ დასცქერის დოლის მთა და ვერ გაუმაგრდება მტრის შემოსევას. მაგრამ დიდი ქუჩა კი ასე ადვილად ასაღები არ არის. წინწაწეული ნაწილები სახლებისა, რომლებიც ჯერ ისევ ძველებურად დარჩენილიყო ამ ორმოცდაათი წლის წინათ, და სვეტებშუა დატოვებული ტალანები მეტად ძნელ ასაღებ სიმაგრეს წარმოადგენდა. რამდენიც სახლი იყო, იმდენი ციხე და ცალცალკე ასაღები იყო ყოველი სახლი. ძველი სავაჭრო მოედანი დაახლოვებით შუა ქალაქში იყო, დიდ ქუჩაზე.

დე ლა კრუა — ბრანშარის მიკიტანმა მართალი თქვა. დიდი ბრძოლა იყო ქალაქში სწორედ იმ დროს, როდესაც ის მგზავრს ებასებოდა. დუელი ჰქონდათ, ღამის დუელი, იმ დილით მისულ თეთრებს და საღამო ხანს მისულ ლურჯებს. ბრძოლა შიგ ქალაქში იყო. ძალით თანასწორი არ იყვნენ მებრძოლნი: თეთრებს ექვსი ათასი კაცი ჰყავდათ, ლურჯებს — ათას ხუთასი, მაგრამ თანასწორი იყვნენ გაშმაგებით. შესანიშნავი ის იყო, რომ იერიშით ათას ხუთასი მივიდა ექვს ათასზე.

ერთ მხარეს — ბრბო, მეორე მხარეს — გაწრთენილი ჯარი. ერთ მხარეს ექვსი ათასი ტყავით მოსილი გლეხკაცი, ტყავზე ამოკერილი იესო ქრისტეს გულით, მრგვალ ქუდზე თეთრი ლენტებით, ქრისტიანული ნიშნებით სახელურზე, კრილოსნით ქამარზე, რომლებსაც ორთითი უფრო მეტი ჰქონდათ, ვიდრე ხმალი, და უხიშტო თოფებ; ზარბაზნებს თოკებით მიათრევდნენ; საჭურველი თითქმის არავითარი, დისციპლინის უვიცნი, მაგრამ გაშმაგებულნი. მეორე მხრივ ათას ხუთასი სალდათი, სამფერა კაკარდით ქუდზე, ჯვარედინი ყაბიწით, თითბრისტარიანი ერგხმლითა და გრძელხიშტიანი თოფით; გაწრთენილი, მწყობრი ჯარი, საშინელი, რადგან კარგად იცის მორჩილება, თუ კარგი უფროსი ჰყავს. მოხალისენი იყვნენ ესენიც, მაგ-

რამ მოხალისენი სამშობლოსი, დაგლეჯილი ტანისამოსითა და ფეხ-შიშველები. მონარქიისთვის გლეხი იბრძოდა რაინდი, რევოლუციის-თვის — გლეხი გმირი. ერთსაც და მეორესაც სულს უდგამდა თავისი მხედართმთავარი, მეფის მომხრეებს — მოხუცებული, რესპუბლიკე-ლებს — ყმაწვილი კაცი. ერთ მხარეს — ლანტენაკი, მეორე მხარეს — გოვენი.

ბუმბერაზ ყმაწვილ კაცებთან ერთად, როგორც იყენენ დან-ტონი, სენ-ჟუსტი და რობესპიერი, რევოლუციას ჰყავს აგრეთვე იდეალური ყმაწვილობაც, როგორც ჰოში და მანსო გოვენიც ამ იდეალურ ყმაწვილკაცობას ეკუთვნოდა.

ოცდაათი წლისა იყო გოვენი, ჰერკულესივით ახოვანი, დინჯი... თვალი ჰქონდა წინასწარმეტყველისა და სიცილი ბავშვისა. არ სეაჟ-და, თამბაქოს არ სწევდა, გინება არ იცოდა. ამ ომიანობაში ყოველ-თვის თან ჰქონდა თავისი ჩანთა და დაწმუნდილი ჰქონდა ფრჩხი-ლები, კბილები და ლამაზად დავარცხნილი შავი თმა. რომ გაჩერ-დებოდა ჯარი, თვითონვე ჰბერტყავდა თავის სამხედრო ტანისამოსს, ტყვიით დახვრეტილს და მტვერიანს. თავდავიწყებით ჩაერევოდა ხოლმე ბრძოლაში, თვით ხელჩართულშიც კი, მაგრამ დაჭრილიც არსად ყოფილა. ტკბილი ხმის კაცი იყო, მაგრამ მკაცრი ბრძანებაც იცოდა, როდესაც საჭირო იყო. ის აძლევდა მაგალითს მიწაზე ძი-ლისას ქარში, წვიმაში, თოვლში; გაეხვევოდა თავის წამოსასხამში, ქვაზე დასდებდა მომხიბლავ თავს და ისე ეძინა, თითქო ლოჯინში წევსო. სულით გმირი იყო, უმანკოებით — ბავშვი. ხმლის ამოღება... მთლად შესცვლიდა ხოლმე კაცს: საშინელი იყო ბრძოლაში და გა-მარჯვებული.

და ამასთან ერთად ჰქვიანი იყო და ფილოსოფოსი, ბრძენი: ალკიბიადი¹⁾ იყო მაყურებლებისთვის და სოკრატი მსმენელების-თვის.

იმ დიდებულ იმპროვიზაციაში, რომელიც არის საფრანგეთის რე-ვოლუცია, გოვენი მაშინვე მხედართმთავრად ჩაერია.

გოვენის ჯარი, მის მიერვე შედგენილი, როგორც რომაელების ლეგიონი, წარმოადგენდა პატარა, ყველაფრით სრულ ლაშქარს; ქვეით უმრავლესობას საკმარისი ცხენოსანიც ჰყავდა: ჰყავდა თავისი მსტოვრები, მიწის მთხრელები, მესანგრეები, ნავბონდის გამ-ყვანები; და როგორც რომაელების ლეგიონს ოწინარი, გოვენის

¹⁾ ალკიბიადი ათენის გამოჩენილი გენერალი იყო, ცხოვრობდა მე-5 საუ-კუნეში ჩვენი ერამდე.

ჯარს ზარბაზანი ჰქონდა; სამი პატარა ზარბაზანი ამაგრებდა ჯარს და არაფრით აბრკოლებდა მის მოძრაობას.

ლანტენაკიც მხედართმთავარი იყო, გოვენზე უარესი. ის უფრო მეტად ხერხიანი იყო და უფრო გამბედავი. მოხუცებულ ნამდვილ გმირს უფრო მეტი გულცივობა აქვს, ვიდრე ყმაწვილს, რადგან განთიადს დაშორებია, და უფრო მეტი გამბედავობა, რადგან სიკვდილს შიახლოვებია. რაღა შერჩენია, რომ უფროთხილდებოდეს? თითქმის აღარაფერი! და ამიტომ საშინელი მოხერხებული კარგად მოფიქრებული მოძრაობა ლანტენაკისა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მოხუცისა და ყმაწვილის ამ გამწვავებულ, ხელჩართულ ბრძოლაში, თითქმის ყოველთვის გოვენი იყო გამარჯვებული. ბედი სწყალობდა უფრო, ვიდრე საკუთარი ძალა. სიყმაწვილის ხვედრია ყოველი ნეტარება, თვით საშინელი ნეტარებაც კი. ცოტა არ იყოს, ყმაწვილ ზოგოს ჰგავს გამარჯვება.

ცოფს ჰყრიდა ლანტენაკი, გოვენი რომ მოაგონდებოდა: ჯერ ამიტომ, რომ გოვენი სჯობნიდა, და მერე იმიტომ, რომ იმისი ნათესავი იყო. რა ღმერთი გაუწყრა, რომ იაკობელებში ჩაერია იმისი გოვენი? ის საძაგელი, ისა! იმისი მემკვიდრე, რადგან მარკიზს შვილი არ ჰყავდა და გოვენი იყო იმის ბიძაშვილი, თითქმის შვილი! აჰ! — გმინავდა მოხუცებული, თითქმის პაპა. — თუ ხელში ჩამივარდა, ისე მოვეკლავ, როგორც ცოფიან ძაღლს!

რევოლუციას მოსვენებას არ აძლევდა ლანტენაკი. იმის ვანდეში მისვლა და ხალხის აშლა ერთი იყო. ისე სწრაფად მოედდა იქაურობას იმისი სახელი, თითქო იელვა და ყველას თვალში ეცაო. აჯანყების ცენტრად იქცა ლანტენაკი. ამგვარ მოძრაობაში, სადაც ერთმანეთს ეჯიბრებიან და ექიშპებიან მოთავენი, სადაც ყველას თავისი ბუჩქნარი აქვს, ან თავისი ხევი, ზემოდან რომ გამოჩნდება ვინმე, მაშინვე გარს შემოიკრებს და აერთიანებს გაფანტულ ძალებს. ვანდელების თითქმის ყველა წინამძღვარი შეუერთდა ლანტენაკს და ერთად იყვნენ, თუ ცალცალკე, იმას ემორჩილებოდნენ.

ერთად ერთი გვარი იყო, რომ მოვიდა თუ არა ლანტენაკი, პირველად იმან დაუკრა თავი და აღიარა თავის უფროსად; მაგრამ მერე კი მიანება თავი და ბონშანთან გადავიდა. რად მიანება? ნდობით აღჭურვილი კაცი იყო გვარი. დაწვრილებით იცოდა ყოველი საიდუმლოება აჯანყებისა და მიზანშეწონილად მიაჩნდა სამოქალაქო ომის ძველი გეგმა, რომელიც ლანტენაკმა დაიწუნა და შესცვალა. ნანდობს ვერ უღალატა გვარმა; ლარუარის ნაცვამი არ იკადრა ლანტენაკმა.

ომს ლანტენაკი მეფე ფრიდრიჰ მეორის სკოლის მიხედვით აწარმოებდა და ცდილობდა დიდისა და პატარა ომის შეერთებას. არ უნდოდა შეუგნებელი ბრბოს სიმრავლე, როგორც შედგენასაც: ოცნებობდნენ კათოლიკების ლაშქრის მომხრენი, რადგან უსარგებლოდ, ამოდ გაიჟლიტებოდა მრავალი ხალხი; არც ის უნდოდა, რომ იმისი ჯარი გაფანტული ყოფილიყო ქალებში და ტყეში, რომ მტრისა მარტო გალიზიანება შესძლებოდა და არა ხოცვა. შეთქმულების ბრძოლას მალე ავიწყდება თავისი საბოლოო მიზანი: თავდაპირველად რესპუბლიკაზე მივა იერიშით და მერე კი მგზავრების ძარცვას მოჰყვება. და ლანტენაკიც ვერა და ვერ შეჰჭუბოდა ამ ბრეტანულ ომიანობას; არც ლა როშეაკლენის ველად გასვლა მოსწონდა, არც ჟან შუანის ტყეში მტრის ლოდინი; არც ვანდეური.. არც შუანური. ლენტენაკს ნამდვილი ომი სწყუროდა. გლახაკობას გამოიყენებდა, მაგრამ მებრძოლ ძალად სალდათი უნდოდა. მტრსკენ მიმავლად ბრბოს სიმრავლე უნდოდა. და საბრძოლველად კი გაწრთვნილი რაზმები. აჯანყებული სოფლელები. უცბად რომ ამოძვრებოდნენ, საიდანღაც და უცბადვე გაქრებოდნენ, თითქოს მიწამ ჩაპყლაპაო, უნდოდა იერიშის მისატანად და სიმრავლით მტრის შესაშინებლად, მოულოდნელი მისევით ელდის საკრავად და ჩასასაფრებლად; მაგრამ გრძნობდა, რომ მეტისმეტად სუსტი იყო ეს ძალა, რომ მას დაჰყრდნობოდა, — ამ წყალს, რომელიც დღეს ხელში უდგას და ხვალ კი ადვილად აორთქლდება. ამ მერყევ და გაფანტულ ომში გასამარჯვებლად საჭირო იყო ნამდვილი წესიერი ჯარი, რომ ველურ ვანდელებს ჩარევოდა და მის დედაბოძად გამხდარიყო. ღრმა და თან საშინელი აზრი: ამ აზრის განხორციელება და ვანდეს გამარჯვება ერთი იქნებოდა.

მაგრამ ვინ მისცემდა ნამდვილ, წესიერ ჯარს? ვინ მისცემდა სალდათებსა და სალდათებისგან შემდგარ რაზმს? ვინ მისცემდა მზამზარეულად შედგენილ და აღჭურვილ ლაშქარს? ინგლისი. და აქედან ერთად ერთილა აგონდებოდა ლანტენაკს, დაეჭირა სადმე ნავსადგური, რომ თავისუფლად დაჰრევოდნენ საფრანგეთს ინგლისის ჯარები. ასე ნებდება გარემოებას პარტიული სინდისი. თეთრიკაკარდა ჰქონდა ლანტენაკს და მის იქით ველარას ხედავდა. საჭირო იყო, რაც შეიძლებოდა მალე დაეჭირა სადმე ნავსადგური და პიტისთვის ჩაებარებინა ჯარის გადმოსასხმელად. და ამიტომ იყო, ნახა თუ არა, რომ დოლში რესპუბლიკელების ჯარი არ იდგა, მაშინვე იქით გაეშურა, რომ დოლის-მთით დოლს დაჰპატრონებოდა და დოლით — ზღვისპირს და ნავსადგურს.

საგანგებოდ იყო ამორჩეული ეს ადგილი. დოლის-მთიდან ზარ-
ბაზანი მთლად აღგვიდა ერთი მხრით ფრესენუას, მეორე მხრით სენ-
ბრელადს, ახლო არ მოუშვებდა კანკალში მგომ სადარაჯო გემებს
და ჯარის გადმოსაყენად უშიშრად ჰქმნიდა მთელ ზღვისპირს გე-
ნონიდან სენ-მელუარ-დე-ზონდამდე.

ამ გადამჭრელი განზრახვის განსახორციელებლად ლანტენაკმა
თან წაიყვანა ექვსი ათასზე ცოტა მეტი, საგანგებოდ ამორჩეული
ლონიერი და ყოჩალი კაცი და მთელი თავისი არტილერია; ათი ზარ-
ზარბაზანი თექვსმეტ სანტიმეტრიანი იყო, ერთი — რვიანი და ერ-
თიც — უფრო პატარა. არტილერიას დოლის მთაზე დაალაგებდა და
იქიდან დაუწყებდა სროლას, თანახმად იმ პრინციპისა, რომ ათი
ზარბაზნიდან ნასროლი ათასი ყუმბარა უფრო სასარგებლოა, ვიდრე
ხუთი ზარბაზნიდან ნასროლი ათას ხუთასი.

გამარჯვება უეჭველად ეჩვენებოდა. ექვსი ათასი კაცი ჰყავდა.
საშიში თუ იყო რამე, მარტო გოვენი, აგრანშის მხრიდან, თავის
ათასხუთასი კაცით, და ლეშელი დინანის მხრიდან მართალია, ლე-
შელს ოცდახუთი ათასი კაცი ჰყავდა, მაგრამ მეტად შორს იყო, და
ამიტომ სრულიად დამშვიდებული იყო ლეშელის მხრივ, რადგან
დიდ რიცხვთან ერთად დიდი მანძილი ჰქონდა გამოსავლელი; და გო-
ვენის მხრივ კიდევ — მცირე მანძილთან ერთად სულ მცირე რიც-
ხით... ისიც მივუმატოთ, რომ ლეშელი სულელი იყო და შემდეგში,
კრუა-ბატაის ბრძოლაში მთლად გააჟღეტიანა მტერს თავისი ოცდა-
ხუთი ათასი კაცი და სამარცხვინოდ დამარცხებულმა თავის მოკ-
ვლით გადაიხადა შეცდომა.

სრული გამარჯვება მოელოდა ლანტენაკს, მით უფრო, რომ
უცბად შევარდა დოლში და მეტად მკაცრადაც. სასტიკი კაცის ხმა
ჰქონდა გავარდნილი: გულქვად და უწყალოდ იცნობდა ქვეყანა. და
დოლმაც არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწია. თავზარდაცემული
ბალხი თავთავის სახლებში შეიმალა და გაამაგრა შესავალი. ექვსი
ათასი ვანდელი შევიდა ქალაქში და სოფლურად მოეწყვენენ ყველანი
თითქო დღეობაზე მისულიყვნენ. არც თივა ჰქონდათ და ბალახი,
არც დანიშნული ბინა; ეყარნენ, ვისაც სად მოეწონა. საქმელს გა-
რეთ ხარშავდნენ, ქარში, და დაეხეტებოდნენ ეკლესიების სანახა-
ვად და სალოცავად. თოფი ვილას ახსოვდა, როდესაც კრიალოსნის
მარცვლებით უნდა დაეთვალათ ჩუმად წარმოთქმული ლოცვა? თვი-
თონ ლანტენაკი და რამდენიმე არტილერიის აფიცერი საჩქაროდ
დოლის მთისკენ წავიდნენ.

თავის მოადგილედ გუჟ-ლე-ბრუანი დასტოვა ლანტენაკმა.

ამ გუჟ-ლე-ბრუანმა ფარტო კვალი დასტოვა ისტორიაში. მეტი სახელი ჰქონდა ორი: ლურჯისმელეტი, რადგან მართლა ულეტდა, საცა რესპუბლიკელებს მოასწრებდა, და იმანუსი, რადგან ამ კაცში განხორციელებულიყო რაღაც წარმოუდგენელი საშინელება. იმანუს-წარმოსდგება ძველი ქვემო-ნორმანდელი სიტყვიდან იმმანის, რომელიც აღნიშნავს ზეადამიანურ სიღუბჭირეს უფრო ღვთაებრივს, ვლდანაკრავისას, ქაჯს, ბახუსის ამხანაგ სატირს, ჭინკას. ერთ ძველ-ხელნაწერში სწერია; — ჩემი თვალთ ვნახე იმანუსიო, ბოკაჟელმა მოხუცებულებმა დღეს აღარც კი იციან, ვინ იყო გუჟ-ლე-ბრუანი, ან რას ნიშნავს ლურჯისმელეტი; მაგრამ იმანუსი კი კარგად ახსოვთ. იმანუსი ჩარეულია ადგილობრივ ხალხურ ცრუმორწმუნეობაში. ორ სოფელში, ტრემორელში და პლუმოგაში დღესაც ლაპარაკობენ იმანუსზე, რადგან იქ გამოეჩინა იმანუსს თავისი მხეცური ავკაცობა. ვანდეში სხვები ხეპრეები იყვნენ. გუჟ-ლე-ბრუანი მხეცა იყო სისხლით გაუმძღარი. მექსიკელი კასიკივით სახეზე ჯვარი ჰქონდა გამოდაღული და შროშანის ყვავილი. საზარლად უელავდა თვალები, თითქმის ზებუნებრივად. ტანით იყო, თუ სულით, საშინელ საზიზღროებას წარმოადგენდა ეს არაადამიანი. ბრძოლაში მამაცი იყო, ცეცხლს აფრქვევდა ჯოჯოხეთისას, ბრძოლის შემდეგ — მძვინვარე. სულითა და გულით ჰგომბდა რევოლუციას, იმაზე უსაშინელესი აღარაფერი გააჩნდა და უსაზღვროდ ერთგული თავის მრწამსისა უსაზღვრო მძვინვარებით ებრძოდა რესპუბლიკას. შეეძლო ფიქრი? დიახ, მაგრამ ხვეულად, როგორც გველი გლინავს. გმირობას ცდილობდა და კაცისმკვლელად დარჩა. შეუძლებელია წარმოდგენა, როგორ აღედროდა ფიქრი და გარდაწყვეტილება, ხანდახან დიდებულიც თავის წარმოუდგენელი მძვინვარებით. საშინელებისა და საზიზღროების განმხორციელებელი იყო და ეპიკური კაციკამია.

ამიტომ იყო, რომ მეტსახელად იმანუსი უწოდეს.

და მარკიზ ლანტენაკს სწორედ ამ კაციკამიას იმედი ჰქონდა.

სისხლის ღვრაში, მართალი არის, ვერავინ შეედრებოდა იმანუსს; მაგრამ ბრძოლის მოწყობაში და წარმოებაში ბევრი არაფერი იყო, და იქნება კიდევ შესცდა მარკიზი, რომ ის დასტოვა თავის მაგივრად. ასეა, თუ ისე, იმანუსს მიანდო მთელი თავისი ჯარი და დროებით მხედართმთავრობა.

გუჟ-ლე-ბრუანმა კაცის კვლა უფრო იცოდა, ვიდრე ბრძოლის. გაძლოა, ხალხის დედაბუდიანად ამოჟლეტა უფრო ეხერხებოდა, ვიდრე ქალაქის დაცვა, მაგრამ მაინც დააყენა დარაჯები.

ბინდისას, როდესაც მარკიზ ლანტენაკმა დაიარა დოლის მთა, ამოიჩინა ადგილი ზარბაზნების დასაწყობად და უკვე ქალაქისკენ მიდიოდა, ზარბაზანი გავარდა უცხად. დადგა, თვალი გადაავლო დოლს. დიდი ქუჩიდან ამოდიოდა გაწითლებული კვამლი. მოულოდნელად — თავდასხმა, იერიში; ბრძოლა იყო გაჩაღებული ქალაქში.

ძნელი იყო გაკვირვება ლანტენაკისა, მაგრამ აქ კი გაშტერებული დარჩა. ყველაფერს წარმოიდგენდა შეუძლებელს, და ამას კი არა. მერე ვინ უნდა ყოფილიყო ეს მებრძოლი? ცხადი იყო, რომ გოვენი არ იქნებოდა. გიჟიც არ შეეგბის ერთიათად უფრო მძლავრს. მამ ლეშელი? მაგრამ როგორ გამოივლიდა ასე სწრაფად იმოდენა ვზას? არა, ეს ლეშელი არ უნდა ყოფილიყო. არც გოვენი.

და გააქენა ცხენი. წინ ქალაქიდან გამოქცეული ხალხი შეხვდა. კითხვა დაუწყო, მაგრამ გაგიჟებული იყვნენ შიშით და ერთსლა გაიძახოდნენ: ლურჯები! ლურჯები! და ქალაქს რომ მიატანა, მაშინ ნახა, რომ ცუდად იყო საქმე.

აი, რა მოხდა.

III

პატარა ლაშქარი და დიდი ბრძოლა

დოლში რომ შევიდნენ ვანდელები, როგორც უკვე ვნახეთ, თავისუფლად დაიფანტნენ ქალაქში, ყველა თავის გუნებისად, რაც ყოველთვის მოხდება ხოლმე, როდესაც „მეგობრობით იღვწის კაცი“, როგორც თვით ვანდელები ამბობდნენ. ეს არის ერთგვარი მოღვაწეობა, რომელიც ჰქმნის გმირებს, მაგრამ ჯარისკაცს კი ვერა. თავიანთი არტილერია და ბარგი მოედანზე დასტოვეს, ძველი სავაჭროს ფარდულების ქვეშ. თვითონ კი კარგად სჭამეს, სვეს და, რადგან დაღალულიც იყვნენ, „კრიალოსნით“ ილოცეს და მიეყარნენ, სადაც მოხვდათ, იქვე დიდ ქუჩაში, ისე რომ ქუჩა მძინარეებით იყო სავსე, და არა დარაჯებით. ღამე იყო, უმრავლესობას გუდა ამოედვა თავქვეშ და ჩასძინებოდა; ზოგს თან ჰყავდა თავისი ცოლი, რადგან დედაკაცები ხშირად თან მისდევდნენ თავიანთ ქმრებს; ორსული დედაკაცები ჯაშუშებად ჰყავდათ ვანდელებს. მკათათვის ღამე იყო, სიტკბოებით სავსე. ვარსკვლავები ბრწყინავდნენ მოკაშკაშებულ ცის სივრცეში. ტკბილად და მშვიდად დასძინებოდა მთელ ჯარს. დაქანცული მგზავრების დასვენება იყო და არა სამხედრო ბანაკი. და უცხად სამი ზარბაზანი დაინახეს იმათ, ვისაც ჯერ არ

ეძინა. სამი ზარბაზანი დაინახეს ქალაქის შემოსავალში. კარებში. დიდ ქუჩაზე.

გოვენისა იყო ეს ზარბაზნები. მიეპარა დარაჯებს და შევიდა ქალაქში. გოვენისა იყო დიდი ქუჩის თავი — ქალაქში შესავალი.

წამოიწია ერთი გლენი, — ვინ არისო? — დაიყვირა და თოფი გაისროლა. პასუხი გოვენის ზარბაზანმა გასცა. და ატყდა სროლა თოფისა. გიყებივით წამოცვივდნენ ვანდელეები. საშინელება იყო: დაიძინეს. ვარსკვლავები დასცქეროდნენ, და გაიღვიძეს, თოფის ტყვიები დაჰზუზუნებდნენ.

საზარელი იყო პირველი წამი. თავზარდაცემულ ბრბოსთანა უძლური და მხდალი სხვა არა იქნება რა. ტრაგიკული იყო ვანდელების არეულობა. იარაღს მისცვივდნენ, ყვიროდნენ, დარბორნენ, ძირს ეცემოდნენ. — გარს მტერი შემოგვეხვიაო — ფეთიანებივით დარბოდნენ, აღარ იცოდნენ, რას შერებოდნენ, ერთმანეთს ხოცავდნენ თოფით. ნამძინარევი ხალხი გამოობოდა სახლებიდან, გამოცვივდებოდნენ, ისევ შინ შევარდებოდნენ, მერე ისევ გარეთ, და გიყებივით ტრიალებდნენ სროლაში. ერთმანეთს ეძახდნენ. საზარელი რამ იყო ეს ბრძოლა, რომელშიც ქალები მოჰყოლოდნენ და ბავშვები. სტენით მოქროლავდა ტყვია და ნათელ ზოლს ავლებდა სიბნელეს, ყველგან ისროდნენ, საცა კი ბნელოდა. ქალაქს კვამლი აწვა და ღრიანცელი. ფურგონები ეყარა გზაში. ცხენები ყალყზე დგებოდნენ. ყველანი გარბოდნენ, დაჰრილებს სთელავდნენ. ფეხქვეშიდან უბედურების გმინვა ისმოდა. სალდათები და აფიცრები ერთმანეთს დაეძებდნენ. და ამოდენა ვაივავლახში — სრული სიმშვიდე ერთი ქალისა, რომელიც ძუძუს აწოვებდა თავის ბავშვს, კედელთან მიკუთნული, და გვერდით ქმარი უწვა ფეხმოტეხილი; ფეხიდან თქრიალით სდიოდა სისხლი, ის კი სტენიდა თოფს და ისროდა და ისროდა, თითქოს ბნელის მოკვლას ცდილობდაო. ზოგი ფურგონების ქვეშ ჩაწოლილიყო და იქიდან ისროდა. და ამ ღრიანცელს ზედ ერთვოდა ზარბაზნის ქექა.

საშინელება იყო, ცელვა იყო ყანისა, ძირს ვარდებოდა ყველა ერთი მეორის შემდეგ.

გოვენი ჩასაფრებული იყო, კარგად სცემდა ზარბაზნით და თვითონ ძალიან ცოტას ჰკარგავდა თავისებს.

მაგრამ პირველმა შიშმა გაუარა გლესკაცებს და იმითაც ბრძოლა დაიწყეს თავის დასაცავად. შეკრბენ ფარდულების ქვეშ; ბნელ, ფართო ქვის სვეტებიან მოედანზე. იქ ფეხი მოიკიდეს. იმედს აღუძრავდა ამ ხალხს ყოველივე, რაც კი ტყეს მოაგონებდა. იმანუსი.

კდილობდა, რამდენადაც კი შეეძლო, ლანტენაკის მაგივრობას. ზარბაზანი ჰქონდა, მაგრამ, — განცვიფრებული იყო გოვენი, — მარტო თოფს ისროდა, ან რას იზამდა, როდესაც არტილერიის აფიცრები მარკიზს წაეყვანა თან დოლის მთის დასათვალეიერებლად, ბიკებმა კი ზარბაზნისა არ იცოდნენ რა და გოვენის ზარბაზანს ისინი ხშირი შეუწყვეტელი თოფის სროლით უპასუხებდნენ. ერთი მხრით სამი ზარბაზანი იყო. მეორე მხრით — ათასობით თოფი. ახლა უკვე ვანდელეები იყვნენ საფარში. მოეგროვებინათ და წინ დაეყარათ ფურგონები, ურმები, კასრები, ყველაფერი, რაც კი ხელთ ეგდოთ ძველ ზარბაზნი. მალალი ბარიკადი გაეკეთებინათ, იმას ამოჰფარებოდნენ და იქიდან ისროდნენ. ახლა კი საზარალო გახდა გოვენისთვის ეს სროლა.

მეტად სწრაფად მოხდა ეს ცვლილება. თხუტმეტი წუთი არ დასჭირებია ფარდულების გამაგრებას.

სახიფათო იყო გოვენის მდგომარება. მოედნის ასე სასწრაფოდ სიმაგრედ გადაკეთება მოულოდნელი იყო და საბედისწერო: იქ მოგროვილიყვნენ ვანდელეები და სიმრავლით დიდ ძალას იჩენდნენ. გოვენმა მოახერხა მიპარვა და ჯობნა, მაგრამ ის კი ვერ მოახერხა, რომ გაექცია, იარაღი დაეყრევინებინა დამარცხებულისთვის. ცხენიდან ჩამოხტა, ამოღებული ხმალი ეჭირა გულხელდაკრებილს, იდგა ზარბაზნის მსროლელებისთვის საჭირო მაშხალის სინათლეში და ვასცქეროდა მოედანს.

მალალი ტანის კაცი იყო და ასე, სინათლეში მდგომი, საუცხოვო მიზანს წარმოადგენდა მოედნიდან მსროლელებითვის. ის იყო ერთადერთი მიზანი, მაგრამ, ამას ყურადღებას არ აქცევდა, სულ სხვას საზრავდა იმისი ფიქრი.

მოედნიდან კი ფუტკარივით მოზუზუნებდა ტყვია.

თოფის საწინააღმდეგოდ გოვენს ზარბაზანი ჰქონდა. თოფის მსროლელებს ყუშბარა გაჰფანტავს. გამარჯვება იმისია, ვისაც არტილერია აქვს. და სამი ზარბაზანი რომ კარგად მოეხმარა, გამარჯვებული გოვენი დარჩებოდა.

მაგრამ ზნელ ბარიკადებში რალაცამ იელვა უცბად. გაისმა გრგვინვა, თითქო მეხი ჩამოვარდაო.

ერთმა ყუშბარამ გადაუარა თავზე გოვენს და სახლს ეცა მის უკან.

ბარიკადიდან ზარბაზნით უპასუხებდნენ ზარბაზანს.

რა მოხდა? რალაც იყო, რომ შესცვალა მდგომარეობა, იღარ ჰქონდა გოვენს უპირატესობა, რომელსაც არტილერია აძლევდა.

პირველს მეორე ყუმბარა მოჰყვა და იქვე, გოვენის გვერდით, შეანგრიო სახლი. მესამემ თავზე გადაუარა და ძირს დასცა გოვენის ქული.

.მსხვილი ყალიბისა იყო ეს ყუმბარა, თექვსმეტსანტიმეტრიანი ზარბაზნისა.

— თქვენ გომიზნებენ, — შეჰყვირეს მეზარბაზნეებმა.

და გააქრეს მაშხალა. გოვენი ჩაფიქრებული იდგა. ქული აიღო.

მართლა და გოვენს უმიზნებდნენ. ლანტენაკი მართავედა ზარბაზნის და მიზნად გოვენი ჰყავდა.

ის იყო დაბრუნდა მარკიზი დოლის მთიდან და უკნიდან შევიდა ბარიკადში.

წინ მიეგება იმანუსი.

— შემოგვეპარნენ, ბატონო.

— ვინ შემოგვეპარა.

— რა მოგახსენოთ, არ ვიცი.

— დინანის გზაზე ხომ არ არიან?

— არა მგონია.

— მაშ დინანისკენ დავიხიოთ.

— უკვე დავიწყეთ. ბევრნი გაიქცნენ დინანისკენ.

— გაქცევა კი არა, უკან დახევა გვინდა. რად გიყრიად ასე უსარგებლოდ ზარბაზნები?

— რომ აღარა გვახსოვდა რა! და არც აფიცრები იყვნენ აქ

— მაშ მე მივალ.

— ფუჟერისკენ გავგზავნე, ბატონო, ბარგი, ქალები, რაც უსარგებლო გექონდა, იმ პატარა ბავშვებს რა ვუყოთ, სამი რომ წამოვიყვანეთ?

— აჰ! ის ბავშვები?

— დიახ.

— ბავშვები მძევლად გვყავს. ტურგში გავგზავნე.

ეს ბრძანა მარკიზმა და ზარბაზნებისკენ წავიდა. მხედართმთავრის მისვლამ უცბად შესცვალა მდგომარეობა. ბარიკადი ცუდად იყო მოწყობილი, სულ ორი ზარბაზანი დაეტევოდა. მაშინვე შეატანინა ორი თექვსმეტსანტი ზარბაზანი, პირი გაუღო საფარს და შიგ მოაქცია ლულები. დაღუნული იყო ზარბაზანზე, რესპუბლიკელების არტილერიას შეჰყურებდა და გოვენი დაინახა.

— ის არის! — შეჰყვირა სიხარულით.

და ხელი სტაცა სარცხს და ზუმბას, თვითონ გასტენა ზარბაზანი, გაამაგრა სამიზნო და ესროლა.

სამჯერ ესროლა გოვენს და სამჯერვე ააცლინა. მესამედ რომ ესროლა, ქუდი გადაუგდო.

— უხეირო! — წაიდუღუნა ლანტენაკმა. — ცოტა დაბლა რომ დამეჭირა, შიგ თავში ვტკიცავდი.

და უცბად ჩააქრეს მაშხალა. ველარას ხედავდა ლანტენაკა წყვილიადის მეტს.

— რა გაეწყობა! — წამოიძახა გამწარებულმა; — მერე გლეხებს მიუბრუნდა და უბრძანა:

— აბა, ფინდიხით!

გოვენი კი თავისას ფიქრობდა. უფრო და უფრო მწვავედებოდა მდგომარეობა. ახალ იერს იღებდა ბრძოლა. ახლა ის კი არა, ზარბაზნის იმას ესროდნენ. ერთიც ვნახოთ, თავდაცვა არ იკმაროს და თვითონ შემომიტიოს, მერე? სულ ნაკლები რომ ვთქვათ, გაქცეულები და მოკლულები, რომ გამოვაკლოთ, მტერს ხუთი ათასი კაცი მაინც ჰყავდა; იმას კი სულ ათას ორასი გამოსადეგი. რაღა ეშველებათ რესპუბლიკელებს, თუ შენიშნა მტერმა მათი სიმცირე? მთლად შეიცვლება მდგომარეობა, აქამდე გოვენი სცემდა, ლანტენაკი თავს იცავდა, ახლა ლანტენაკი დაუწყებს ცემას. ბარიკადს რომ იერიში გაებღა, დაიღუპებოდნენ რესპუბლიკელები.

საშინელი განსაცდელში იყო გოვენი. იერიშით მისვლა ბარიკადზე ყოვლად წარმოუდგენელი იყო, რადგან თავს შეაკლავდნენ ამოდ. ათასორასი კაცი საფრიდან ვერ განდევნის ხუთ ათასს. აჩქარება შეუძლებელი იყო, დაყოვნება — საზარელი. საჭირო იყო, რა-მე ღონისძიება. მაგრამ რა?

გოვენი იქაური იყო და კარგად იცნობდა ქალაქ დოლს. იცოდა, რომ ძველ მოედანს; სადაც გამაგრებულიყვნენ ვანდელები, გვერდით ვიწრო, დაკლაკნილი ქუჩებით სავსე უბანი ედვა.

თანაშემწედ კაპიტანი გეშანი ჰყავდა, ყოჩალი კაცი, რომელმაც შემდეგში ძალიან ისახელა თავი, როდესაც კონსიზის ტყიდან გარეკა ვანდელები და ამ ტყის შვილი ჟან შუანი, და გარდა ამისა აჯანყებულებს შენის ტბის გზა შეუკრა და მით გადაარჩინა ბურგნეფი ამოხოცვასა და აკლებას.

— გეშან, — მიმართა გოვენმა, — თქვენ გაძლევთ მეთაურობას. არ შეაყენოთ სროლა. რაც მეტი იქნება მით უკეთესია. შეანგრიეთ როგორმე ზარბაზნით რაღაც სანგარი აქეთ. ისე მოახერხეთ, რომ თავისი ბარიკადის მეტი სხვა არა ახსოვდეთ რა.

— გავიგე, — უპასუხა გეშანმა.

— მზად გყავდეთ ყველანი, მწყობრად, ხმალამოლებულნი იერიშისთვის.

და რამდენიმე სიტყვა შიგ ყურში ჩასჩურჩულა თავის თანაშემწეს.

— გავიგე, — უთხრა გეშანმა.

— მედლოლე ხომ არავეინ გეაკლია? — ჰკითხა გოვენმა.

— არა.

ცხრა კაცი გვყავს. ორი თქვენ, შვიდი მე.

შვიდი მედლოლე გამოვიდა გაჩუმებული და წინ გამოეჭიმა გოვენს.

— წითელქუდა ბატალიონი! — დაიყვირა გოვენმა, — ჩემკენ!

თორმეტი კაცი გამოვიდა ჯარიდან. ერთი იმათგანი ათისთავი იყო.

— მთელი ბატალიონი მინდა. — თქვა გოვენმა.

— სულ აქ გახლავართ.

— თორმეტი კაცი?

— თორმეტნილა გახლავართ.

— ძალიან კარგი.

ათისთავი ის გულკეთილი და უხეში რადღები იყო, ბატალიონის შვილობილად რომ აიყვანა სამი პატარა ბავშვი, სოდრეს ტყეში ნაპოვნი ბურქნარში.

ნახევარი ბატალიონი დაჰხოცეს, როგორც უკვე იყო ნათქვამი, ვანდლებმა ჰერბ ან-პაილში, და ბედი ეწია სწორედ, რომ იმ დროს სხვაგან იყო გაგზავნილი.

იქვე ფურგონი იდგა თივით.

— ათისთავო, თივა შემოახვიეთ თქვენ თოფებს, რომ წკარუნი არ ისმოდეს რკინისა.

ერთი წამი კმაროდა ამ ბრძანების ასასრულებლად. თავით ბოლომდე თივა შეახვიეს თოფის ლულებს.

— მზად გახლავთ, — მოახსენა ათისთავმა.

— ბიჭებო, წაღები გაიხადეთ, — უბრძანა გოვენმა.

— დიდი ხანია, ფეხშიშველი დაედივართ, — მიუგო რადღებმა.

შვიდი ნალარა და მთელი ბატალიონი სულ ცხრამეტს შეადგენდა, მეოცე თვითონ გოვენი იყო.

და ბრძანება გასცა:

— ცალხაზად! მომყევით! მედლოლეები ჩემ უკან, მერე ბატალიონი. ათისთავო, ბატალიონს თქვენ უფროსობთ.

წინ გაუძღვა ცალხაზად გამწყრივებულ ცხრამეტ კაცს. და იმ დროს, როდესაც საშინელი სროლა იყო ორივე მხრივ, ჩრდილივით

შევიდნენ ვიწრო ქუჩაში და ფეხაკრებით მიიპარებოდნენ მოედნისაკენ.

ასე იარეს ცოტა ხანს ვიწრო ქუჩებში დიდი სიფრთხილით. ამოწყვეტილს ჰგავდა ქალაქი. მცხოვრებნი სარდაფებში ჩამალულიყვნენ. კარი არსად იყო, რომ კარგად არა ყოფილიყო გამაგრებული; ფანჯარა არსად იყო, რომ ფარდები, ან დარაბა არ ჰქონოდა აცარებული. სინათლე არსად მოჩანდა.

მიმკვდარებული იყო ქალაქი და ქექა-ქუხილი გაჰქონდა დიდ ქუჩას. გრიალებდნენ ზარბაზნები ორივე მხრივ. რესპუბლიკებისა და ვანდელების არტილერია გაცოფებულიყო. გაეარვარებულ ფინდის აფურთხებდნენ ერთმანეთს.

ოცი წუთი იარეს ჩამობნელებულ ქუჩებში. გოვენმა კარგად იცოდა ეს უბანი. იცოდა, საით მიდიოდა, და ერთ დაკლაკნილ ვიწრო ქუჩაში გავიდა, რომელიც მოედანში შედიოდა, ოღონდ ბარიკადის მეორე მხარეს.

მდგომარეობა შეიცვალა. ვანდელებს მარტო წინა მხარე გაემაგრებინათ მოედნისა, — ეს არის მუდმივი შეცდომა ბარიკადის ამგებისა, — ამ მხრიდან სრულიად ღია იყო იქაურობა და სრულიად თავისუფლად, შეუქმნევლად შეიძლებოდა სვეტებს შუა შესვლა. რამდენიმე ფურგონი იდგა ბარგით სავსე, წასასვლელად გამზადებული. გოვენს და იმის ცხრამეტ კაცს წინ უდგა ხუთი ათასი, ოღონდ თვითონ გოვენი გვერდიდან მიეპარა ვანდელებს.

ჩუმად ბრძანება მისცა ათის თავს და თივა ჩამოაცალეს თოფებს. თორმეტი გრენადერი იქვე სახლის კუნჭულთან გამწკრივდა და მედოლეები ბრძანებასლა ელოდნენ, რომ დაეკრათ.

არტილერიის სროლა ხანდახან შეწყდებოდა ხოლმე და უცბად, როდესაც გაჩუმდა ზარბაზნები, მანამ გასტენიდნენ, გოვენმა ხმალო ამოიღო და მჭექარე ხმით, თითქო საყვირი დაუკრესო, დაიძახა:

— ორასი კაცი მარჯვნივ! ორასი მარცხნივ! დანარჩენი — პირდაპირ!

ამას შვიდი ნალარა მოჰყვა და თორმეტი თოფის სროლა.

და ერთხელ კიდევ გააგონა მტერს საზარელი სიტყვა რესპუბლიკელებისა:

— ხიშტიო! დაჰკარით!

მეხი დაეცათ ვანდელებს.

— მოგვეპარა, მოგვიმწყვდია მტერიშო, — და აირია იმოდენა ხალხი. გოვენის ნალარას ელოდა ქალაქის შესავალში, დიდი ქუჩის

თავისი ჯარი და სირბილით წავიდა ბარიკადისკენ. — ორ ცეცხლშუა ვართო, — ანაზღეული შიში მოერია ხალხს. ზარდაცემულადამიანს მელა ლომად ეჩვენებოდა, — სწორედ ასე მოუვიდათ იმათაც. დამბაჩის სროლა არტილერიის გრგვინვად ელანდებოდათ. და თორმეტი კაცის თოფი — მთელ ლაშქრისად. ამასთან ისიც გაეიხსენოთ, რომ გლებს ერევა შიში, როგორც ჩალას ცეცხლის ალი, და როგორც ცეცხლწაკიდებული ჩალა ხანძრად იქცევა, ისე გლების შიში — იარაღის დაყრად და სამარცხვინო გაქცევად.

და მართლაც, სამარცხვინოდ გარბოდნენ ვანდლები.

სწრაფად მოხდა ყველაფერი. მოედანზე აღარავინ დარჩა. თავ-ზარდაცემული რაზმები დაიშალნენ და დაიფანტნენ მარტოდ მარტონი დარჩნენ აფიცრები. ორი-სამი კაცი მოჰკლა იმანუსმა, — რად გარბიხართო? — მაგრამ ამოდ; ერთიღა ისმოდა მთელ ქალაქში: — თავს უშველეთ! — და უცბად გაქრა ეს ლაშქარი, უფრო მეტი სისწრაფით, ვიდრე გრივალი მიაქანებს ცაზე ღრუბელს; ისე გაძვრა ქალაქის ვიწრო ქუჩებში და დაიფანტა მინდორში, თითქო გააცხავესო.

ზოგი შატონეისკენ გარბოდა, ზოგი პლერგესკენ, ზოგი ოტრენისკენ.

მარკიზ ლანტენაკმა ნახა ეს გაქცევა. თავისი ხელით მოჰქლონა ზარბაზნები და წავიდა მარტოდ მარტო, უკანასკნელი იმოდენა ჯარიდან. მიდიოდა ნელა, გულმოკლული და ჩუმად გაიძახოდა: — არა, არად ვარგან გლებები, ჩვენ თუ გვიშველის ვინმე, ისევ ინგლისელები.

IV

ეს მეორედ

სრული გამარჯვება იყო.

წითელქუდა ბატალიონს მიუბრუნდა გოვენი და უთხრა:

— თორმეტნი ხართ, მაგრამ ათასად ღირხართ!

უფროსის ქება იმ დროს ჯვარით დაჯილდოვებას უდრიდა.

გემანი გოვენის ბრძანებისამებრ გაქცეულთ გაეკიდა და მრავალი დაიჭირა.

მამხალეები აანთეს. ქალაქი გაანათეს.

ვინც დარჩენილიყო. მაშინვე დანებდა. ჩაუარეს განათებულ დიდ ქუჩას. ქუჩა მოფენილი იყო მკვდრებითა და დაქრალეებით. აქა-იქ

კიდევ იყვნენ განცალკევებული, გაცოფებული მებრძოლნი; გარს შემოეხვივნენ, იარაღი აჰყარეს.

და ამ საშინელ არეულობაში, სადაც გაქცევის მეტი აღარა ახსოვდა რა ხალხს, ერთი გულადი კაცი დაინახა გოვენმა, დევივით ბრგე და მოძრავი. იღვა, თავისიანებს შეელოდა, რომ გაქცეულიყვნენ, და თვითონ კი არ გარბოდა. საგანგებოდ ხმარობდა ეს გლეხი თავის თოფს, ხან ტყვიით სცემდა; ხან კონდახით; ბოლოს თოფი გაუტყდა და ახლა ხმალი იძრო; ერთ ხელში ხმალი. მეორეში დამბაჩა. ახლო მისვლას ვერავინ ბედავდა. უცბად წაბარბაცდა და კედელს მიეყრდნო. დაჭრილი იყო, მაგრამ ისევ მაგრად ეჭირა ხმალიც და დამბაჩაც. გოვენმა ილღიაში ამოიღვა თავისი ხმალი და იმ კაცისკენ წავიდა.

— დაჰყარე იარაღი.

— დააცქერდა დაჭრილი. სისხლი სდიოდა ტანისამოსის ქვეშედან და გუბედ უდგა ფეხქვეშ.

— დაგვნებდი მეტქი, არ გეყურება?

ხმას არ იღებდა ის კაცი.

— რა გქვია შენ?

— დანს-ა-ლომბრ.

— ყოჩალი ბიჭი ხარ, — უთხრა გოვენმა.

და ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

პასუხად იმ კაცმა თავისი დაიძახა:

— ჩვენს მეფეს გაუმარჯოს!

მოიკრიბა, რაც ძალი და ღონე შერჩენოდა, წამოიწია. ორივე ხელით ერთად შიგ გულში ჰკრა გოვენს დამბაჩა და ხმალი დაუქნია თავზე.

ვეფხვის სისწრაფისა იყო იმისი მოძრაობა: მაგრამ ვილაც იყო უფრო მარჯვე და მოსწრებული. ის იყო მისულიყო ცხენიანი კაცი და ყურს უგდებდა შეუმჩნეველად ამ ბაასს. ვანდელმა რომ ხმალი აიქნია და დამბაჩა, ის გოვენისა და ვანდელის შუა შეეარდა. ის რომ არ ყოფილიყო, გოვენი ვერ გადარჩებოდა. დამბაჩის ტყვია ცხენს მოხვდა და მოღერებული ხმალი — კაცს, და ორივე წაიქცა. საკვირველი სისწრაფით მოხდა ეს ყველაფერი, ხმის ამოღებას ვერ მოასწრებდა ადამიანი.

ვანდელიც მისუსტებულიყო და მიწაზე დაეშვა.

ხმალი ცხენოსანს პირისსახეში მოხვედროდა. გულწასული ეგდრა მიწაზე. ცხენი მკვდარი იყო.

— ვინ არის ეს კაცი? — იკითხა გოვენმა.

მივიდა, დააცქერდა. სახე მთლად სისხლში ჰქონდა, თითქო ნი-
ლაბი აუფარებიაო. შეუძლებელი იყო მისი პირისსახის გარჩევა. ჰა-
ლარა თმა შერჩენოდა სისხლმოურეველი. — სიკვდილს გადამარჩინა
ამ კაცმა, — თქვა გოვენმა. — ხომ არავინ იცნობთ?

ერთი სალდათი წადგა წინ და მოახსენა:

— ეს არის ახლა შემოვიდა ქალაქში. წინ გამოიარა. პონტორ-
სონის გზით მოდიოდა.

ჯარის დოსტაქარი უკვე მისულიყო თავისი აბგით. დაჭრილი
ჯერაც გულწასული იყო. გასინჯა ექიმმა და დაამშვიდა გოვენი.

— უბრალო ქრილობა გახლავთ, საშიში არაფერია. შევიდი-რეა
დღე და ფეხზე იდგება კაცი. ძალიან კი გადარჩენილა.

დაჭრილს წამოსასხამი ჰქონდა, სამფერი სარტყელი; ხმალი, ორი
დამბაჩა, საკაცეზე დააწვინეს, ტანთ განადგეს, წყალი მოიტანეს, ქრი-
ლობა ჩამოჰბანა დოსტაქარმა. სახე გამოჩნდა. განცვიფრებული დას-
ცქეროდა გოვენი, თვალს ველარ აშორებდა.

— ქალაქლები ხომ არა აქვს რა? — ჰკითხა გოვენმა.

ხელი მოუსვა დოსტაქარმა უბეზე, პატარა ჩაღთა ამოიღო და
გოვენს გადააწოდა.

ამასობაში დაჭრილიც მოსულიერდა, ცივი წყალი რომ მოხვდა
სახეზე. წარბები დაახამხამა, თვალის განელას ცდილობდა.

გოვენი ჩაღთას სინჯავდა. ოთხად დაკეცილი ქალაქი იყო შიგ-
ამოიღო; გაშალა და წაიკითხა:

„კომიტეტი საზოგადოებრივი განრინებისა. მოქალაქე სიმურ-
დენი...

და შეჰყვირა:

— სიმურდენ!

ამ ყვირილმა მოასულიერა დაჭრილი. თვალი გაახილა.

განცვიფრებული იყო გოვენი.

— სიმურდენ! თქვენ ხართ? სიკვდილს გადამარჩინეთ, ეს
მეორედ!

სიმურდენი სიყვარულით შესცქეროდა გოვენს. სიტყვით უთქმე-
ლი ნეტარება უბრწყინავდა დაჭრილ სახეზე.

მუხლებზე დაეცა დაჭრილთან გოვენი და შეჰყვირა:

— ჩემო მასწავლებელო!

— ჩემო შვილო, — უპასუხა სიმურდენმა.

V

ცინი წყლის წვეთი

რამდენიმე წელიწადი იყო, არ ენახათ ერთმანეთი, მაგრამ გულთ ყოველთვის განუყრელი იყვნენ, და ისე შეხვდნენ ერთმანეთს, თითქო გუშინ ყოფილიყვნენ ერთად.

დოლის ქალაქის თვითმართველობის შენობაში მოაწყვეს საავადმყოფო. სიმურდენი ერთ პატარა ოთახში დააწვინეს, დიდი ოთახის გვერდით, სადაც დაჭრილები მოათავსეს.

დოსტაქარმა ჭრილობა შეუხვია და — დაჭრილს მოსვენება უნდაო, — შეაწყვეტინა ბაასი. და არც სცალოდა გოვენს საბაასოდ. ათასი საკითხი ჰქონდა გადასაჭრელი; ათასი ბრძანება ჰქონდა გასაცემი. გამარჯვებასაც მრავალი საზრუნავი აქვს და სიმურდენი მარტო დარჩა. მაგრამ ძილი არ ეკიდებოდა. ორგვარი ცხელება მორევოდა ერთად: ცხელება ჭრილობისა და ცხელება სინარულისა.

არ ეძინა, მაგრამ სიზმრად ეჩვენებოდა ყველაფერი. ნუ თუ აუსრულდა ნატერა? სიმურდენი იმ კაცთაგანი იყო, რომელთაც არა სწამთ ღუფანჯი, და ღუფანჯი კი მოუვიდა. ყმაწვილი დაეტოვებინა გოვენი და ვაჟკაცი ჰპოვა, ახოვანი, ძლიერი, მამაცი. გამარჯვებული ჰპოვა და გამარჯვებული — ხალხისთვის. გოვენი იყო ვანდეში დედაბოძი რევოლუციისა და სიმურდენმა შესძლვნა რევოლუციას ეს სვეტი. იმისი მოწაფე იყო გამარჯვებული. თავის ფიქრების ბრწყინვალეობას ხედავდა, თავისი ოცნების განხორციელებას გოვენში, რომელმაც დღეს-ხვალ შეიძლება რესპუბლიკური პანთეონიც¹⁾ დაამშვენოს. იმისი მოწაფე, შვილი იმისი აზროვნებისა დღეიდან გმირი იყო და ცოტა ხანს შემდეგ დიდებასაც მოიხვეჭდა. განა სულ ერთი არ იყო, თვითონ სიმურდენი იქნებოდა მისი ოცნების აღმსრულებელი, თუ მისი სულიერი მოწაფე? თავის თვალთ ნახა, რა იყო გოვენი ბრძოლაში. აქილესის ბრძოლა იმისმა აღმზრდელმა ნახა, კირონმა, და გოვენისა — სიმურდენმა. რალაც საიდუმლო მსგავსება უნდა ყოფილიყო თხა-კაც კირონსა და მღვდელ სიმურდენს შორის, რადგან მღვდელიც ისეთივე ერგაკაცია, როგორადაც ზღაპრული თხა-კაცი.

ძილი აღარ ეკიდებოდა, ყოველი წვრილმანი თავის თავგადასავლისა თვალწინ უდგა დაჭრილს და რალაც ტკბილი ნეტარებით უვ-

1) პანთეონი იყო შესანიშნავი ტაძარი ძველს რომში. იგი ააშენეს ქ. რომის შუაგულ — მაროსის მინდორზე. იგი მიძღვნილი იყო ყველა ღმერთებისადმი. პარიზში არის პანთეონი.

სებდა გულს. დიდებული მზე ამოდიოდა, ჯერ კაბუკი, მაგრამ ქვეყნის მანათებელი, და ის ახარებდა სიმურდენს, რომ მის ხელთ იყო ამ მზის მომავალი. ერთი გამარჯვება კიდევ იმისთანავე, რომელიც თავის თვალთ ნახა, და სიმურდენის ერთი სიტყვაც იკმარებს, ერთად ერთი სიტყვა, რომ რესპუბლიკამ გოვენს მიანდოს თავისი ლაშქრების მხედართმთავრობა. არ აბრმავებს რა ადამიანს ისე ძალიან, როგორც თავისი გამარჯვებით აღტაცება. ეს ის დრო იყო, როდესაც ყველას თავისებური მხედართმთავარი ენატრებოდა. დანტონს ვესტერმანი უნდოდა, მარატს—როსინიოლი, ჰებერს¹⁾—რონსენი, რობესპიერს კიდევ ყველას გადაყენება. — რატომ გოვენს არა? — ეკითხებოდა თავისთავს სიმურდენი და ყოველმხრივ სინჯავდა საგანს. უსაზღვროება გადაწლილიყო მის წინ. ერთ მოსაზრებას მეორე მისდევდა. ქარით გატაცებული ღრუბელივით ჰშორდებოდა ყოველი დაბრკოლება. ამ კიბეზე რომ ფეხს ასდგამს კაცი. გაჩერება ძნელიდა და მიდის და მიდის დაუსრულებრად. ადამიანთაგან წავა და ვარსკვლავებს მიაღწევს. კარგი გენერალი მარტო უფროსი არის ლაშქრისა; კარგი მხედართმთავარი იმავე დროს უნდა იყოს გამარჯვების მომხვეჭიცი — და სწორედ ამისთანა მხედართმთავრად ესახებოდა სიმურდენის ოცნებას გოვენი. და რადგან ოცნებისთანა სწრაფი არა არის რა ამ ქვეყნად, ხან ოკეანეზე ეჩვენებოდა გოვენი. — ინგლისელებს მიერეკებოდა საფრანგეთიდან; ხან რეინზე, — ჭკუას ასწავლიდა ჩრდილოეთის მეფეებს; ხან პირინეში, — საფრანგეთის საქმეებში ნუ ერევით ესპანელებო; ხან კიდევ ალპის მთებზე. — ნიშანს აძლევდა იტალიელებს, — რალას უყურებთ, რატომ თქვენც არ აჯანყდებითო? — ორი ადამიანი მოიპოვებოდა სიმურდენში: ერთი გულჩვილი და მეორე სასტიკი; ორივე კმაყოფილი იყო, რადგან მის იდეალს უღმობელობა შეადგენდა და ადამიანური ღირსებით აღსავსეს ხედავდა გოვენს და იმავე დროს ააშინელს. — ბევრი რამ ეჩვენებოდა სიმურდენს მოსასპობი და დაზანგრევი, ვიდრე ახლის მშენებლობა დაიწყებოდა. — დღეს ჯერ ისევ ნგრევას უნდა ვცდილობდეთ და ჯერ დრო არ არის ღმობიერებისაო, — ფიქრობდა და სრულიად ღირსეულად მიაჩნდა გოვენი ამ ნგრევის დროისთვის. თვალწინ უდგა გოვენი, რომელიც სხივმოსილი, ბრწყინვალე, ფეხით სთელავდა წყვიდადს, გზას აძლევდა იდეალურ მართლმსაჯულებას. გონიერებასა და პროგრესს,

¹⁾ ჰებერი ცრანვი პოლიტიკური მოღვაწეა. მას თავი მოკვეთეს 1797 წელს მის მომხრეებს ჰებერისტები ეწოდებოდათ.

თუმცა ბასრი ხმალი ეჭირა ხელში. ანგელოზი, მაგრამ მანის მმუსრაღი.

და ამ ტკბილი ოცნებით რომ იყო გატაცებული, მეორე ოთახიდან ლაპარაკი შემოესმა, ღია დარჩენოდან კარი. ლაპარაკობდნენ დიდ ოთახში, სადაც დაქრილები ჰყავდათ. გოვენის ხმა იცნო. ეს ხმა, თუმცა რამდენიმე წელიწადი იყო აღარ გაეგონა, მაინც სულ ყურში უდგა და ვაჟაკის ხმაშიც დარჩენილიყო ცოტა რამ ბავშვური, ტკბილი. ყური მიუგდო. ფეხის ხმა ისმოდა. სალდათმა მოახსენა:

— ეს კაცი გახლავთ, წელან დამბაჩა რომ გესროლათ. მანამ ჩვენ დაქრილს ვუვლიდით, სარდაფში ჩამძვრალიყო და იქიდან ამოვართიეთ.

მერე შემდეგი დიალოგი მოახსენა გოვენისა და იმ კაცისა:

— დაქრილი ხარ?

— იმდენად კარგად ვარ, რომ თუნდ ახლავე დამხვრიტეთ.

— ლოგინში ჩააწვინეთ. კრილობა შეუხვით. მოუარეთ და მოარჩინეთ.

— მე სიკვდილი მირჩეენია.

— ცოცხალი დარჩები. შენ ჩემი მოკვლა გინდოდა მეფის სასახელოდ, მე გაპატივებ რესპუბლიკის სასახელოდ.

შეიკმუნა სიმურდენი. მეტად ტკბილი იყო სიზმარი და მეტად მწარე მეყვსეული გამოღვიძება. ლახვარივით ეცა გულში გოვენის სიტყვები და მწარედ წარმოთქვა:

— მართლა ლმობიელი ყოფილა.

VI

ქუჩუ განკურნებული, გული დაწყლულებული

კრილობა მალე განიკურნება; მაგრამ სხვაც იყო ვინმე უფრო მეტად დაქრილი, ვიდრე სიმურდენი. ის დედაკაცი იყო, რომელიც დახვრიტეს ლანტენაკის ბრძანებით, მთხოვარმა ტელმარშმა რომ ამოიყვანა სისხლის გუბიდან ერბ-ან-პაილის ეზოში.

მიშელ ფლემარი უფრო დიდ განსაცდელში იყო, ვიდრე ტელმარშს ეგონა, გულწასული რომ იპოვა დახვრეტილებთან. ტყვია ძუძუს ზემოდან მოხვედროდა და ბეჭში გასულიყო; მეორე კიდევ — მხარში, მაგრამ ფილტვს არ მოხვედროდა და გადარჩა უბედური. ტელმარში „ფილოსოფოსი“ იყო, — ეს სიტყვა გლეხკაცურად ნიშნავს ცოტად ეჭიმს, ცოტად დოსტაქარს და ცოტად ჯადო-

სანსაც. დააწვინა დაქრილი თავის ბუნაგში გამხმარ ჩადუნაზე, უწამლა თავისი საიდუმლო წამლებით, რომლებსაც „ხალხურს“ უწოდებენ.

მოუარა, უწამლა, კრილობა განუკურნა და რამდენიმე კვირის შემდეგ ადგომა შესძლო ავადმყოფმა.

ერთ დილას სოროდგანაც ამოვიდა ტელმარშის დახმარებით. ხის ძირში დაჯდა მზეზე. ტელმარშმა ცოტა რამ იცოდა იმისი გული რომ დაქრილია, ავადმყოფს არ ალაპარაკებენ, და, ვიდრე თითქმის სულთმობრძავე იყო, სულ გაჩუმებული იწვა. ხმის ამოღების ნებას არ აძლევდა ტელმარში, მაგრამ რაღაც აწუხებდა ფლეშარს და ეტყობოდა საშინელი რამ იყო მისი მწუხარება, რადგან წამიერა ღიმილიც კი დაევიწყებინა. ამ დილას კი კარგად იყო, მარტოც შესძლებდა სიარულს, თუ გაქირდიბოდა. ავადმყოფის მოვლა მამაშვალობა არის და ტელმარში ბედნიერი იყო თავისი ნაღვაწით: მზიარულად შესცინა ფლეშარს და ლაპარაკი დაუწყო.

— ეგეც ეგრე! ფეხზე ვდგავართ, კრილობა გაგვიმთელდა.

— გული კი ვერა, — შეაწყვეტინა ფლეშარმა.

და კითხვით მიმართა:

— მაშ არ იცით, სად არიან?

— ვინ? — გაიკვირვა ტელმარშმა.

— ჩემი პაწიები.

ამ სიტყვაში „მაშ“ შეკრებილი იყო ყველა ის ფიქრი, რაც ფლეშარს აწუხებდა ავადმყოფობის დროს. აზრი ამ სიტყვისა იყო შემდეგი: „რადგან არ მელაპარაკებოთ; რადგან ამოდენა ხანია თქვენთან ვარ და სიტყვა არ გათქვამთ ჩემთვის; რადგან პირში ბურთს მიდებთ, როგორც კი ხმის ამოღებას დავაპირებ; რადგან, გეტყობათ, გეშინიათ, რომ მე არა გკითხოთ, რაც მაწუხებს, ცხადია, რომ არ იცით და ჩემთვის სათქმელი არა გაქვთ რა“. სიცხე რომ ჰქონდა და თავდავიწყებული ბოდვას მოჰყვებოდა, ხშირად უძახდა თავის ბავშვებს, და ძალიან კარგად იცოდა, — ბოდვასაც აქვს მეხსიერება, — რომ ტელმარში მის ძახილს პასუხს არ აძლევდა.

ან რა პასუხს მისცემდა. რომ არა იცოდა რა? ადვილი კი არ არის დაკარგული ბავშვების დედასთან საუბარი. რა უნდა ეთქვა, რომ არა იცოდა რა. იცოდა, რომ დახვრეტილი იყო ერთი დედა; რომ ეს დედა იმან მიწაზე განართხული იპოვა სისხლის გუბებში, და სინჯვა რომ დაუწყო, მკვდარს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალს; იცოდა, რომ უბედურს სამი ბავშვი ჰყავდა, და დედა რომ დაახვრეტინა, მარკიზ ლანტენაკმა თან წაიყვანა ბავშვები. ეს იყო და ეს;

ამის მეტი არც იცოდა, არც გაეგონა. რა მოუვიდათ ბავშვებს, რა ბედი ეწიათ? ცოცხალი კი იყვნენ ჯერ ისევ? გაეგონა აგრეთვე რომ ორი ბიჭი იყო და ერთი გოგო, პატარა, რომელსაც ის იყო ძუძუ გააშვებინეს. სხვა არაფერი. თვითონაც ბევრს ეკითხებოდა თავის თავს, უნდოდა გაეგო რამე იმ უბედურებისა, მაგრამ ამოდრიკაურებს ბევრს ჰკითხა ბავშვების ამბავი, მაგრამ პასუხი არავინ აღირსა, — თავს დალუნავდნენ და ისე გაუვლიდნენ ხოლმე ხმის ამოუღებლად. არც ისე სახეირო იყო ბატონ ლანტენაკის ხსენება.

ერიდებოდნენ ლანტენაკის ხსენებას და ერიდებოდნენ აგრეთვე ტელმარშთან საუბარს — გლეხკაცი, რაღაც თავისებური ეჭვით ექცევა ადამიანს. და ტელმარშსაც უნდობლად უყურებდნენ ყველანი. ტელმარში — მთხოვარი საშიშად მიაჩნდა დიდსა და პატარას. რა ეგულებოდა ცაში, რომ თვალზედაქუცტილი სულ ზეცას შესცქეროდა? რას აკეთებდა და რას ფიქრობდა, რომ დაწვებოდა და ეგდო ისე გაუნძრევლად მთელი დღეობით? ცხადია, უცნაური კაცი იყო. ქვეყანა ბრძოლის ველად გამხდარიყო; ქვეყანას ცეცხლი და მახვილი მოსდებოდა, აშლილი აწიოკებული იყო დიდი და პატარა; ადამიანს ძარცვისა და დარბევის მეტი სხვა საფიქრებელი აღარა ჰქონდა რა, და სისხლის ღვრის მეტი — სხვა საქმე; ყველა იმას ცდილობდა. ცეცხლი წაეკიდებინა მტრის სახლისათვის, ამოეწყვიტა მტრის ოჯახი, გაეძარცვა ფოსტა, აეკლო მტრის სოფელი, ჩასაფრებოდა მტერს, ხაფანგში მოემწყვდია და იმისი სისხლით გამძღარიყო. და ამ დროს განდევილივით მარტო იყო ტელმარში, ბუნებით გატაცებული; თითქო შთანთქმულიყო ბუნების ნეტარი სიმშვიდით; მარტო იყო ტყეში, ბალახს ჰკრეფდა, ყვავილებს და ამ ყვავილებს, ფრინველებისა და ვარსკვლავების მეტი აღარა აგონდებოდა რა. ცხადი იყო, რომ საეჭვო უნდა ყოფილიყო ეს კაცი, საშიში. ეტყობოდა, თავის ჭკუაზე არ იყო, არც ჩაუსაფრდებოდა ვისმე, არც თოფს ესროდა. აქედან იყო, რომ ეშინოდათ ამ კაცისა და უნდობლად უყურებდნენ.

— შეშლილია, უბედური, — იძახდა ხალხი.

ტელმარში უფრო მეტი იყო, ვიდრე განდევილი, — მოსარიდე-ბელი იყო.

კითხვით არავინ მიმართავდა, მაგრამ პასუხსაც არავინ აღირსებდა. ამიტომ იყო, რომ ძალიან უნდოდა ბავშვებისა გაეგო რამე, მაგრამ ვერაფერი გაიგო. ბრძოლის ველმა წინ წაიწია და ახლა სხვაგან იყო ომი; მარკიზ ლანტენაკი გაქრა ჰორიზონტიდან და ისე

იყო ტელმარში გატაცებული თავის ფიქრებით, რომ ომისას ველარას განიცდიდა, ვიდრე ზედ არ დააწვებოდა ბრძოლის ვარამი.

ჩემი პაწიებიო, — რომ უთხრა ფლეშარმა, გული მოუკლა ტელმარშს და თვითონაც აღარა სთქვა. რა; იჯდა ისე ჩაფიქრებული. რა წამებაში უნდა ყოფილიყო უბედური დედის გული! უფსკრულის ძირში იყო, სადაც სინათლე ველარ ჩადიოდა. და რომ ველარ გაუძლო წამებას, დააცქერდა ტელმარშს და შეჰყვირა ცოტაოდენი გაბრაზებით:

— ჩემი პაწიები?

თავი დაჰკლუნა ტელმარშმა, თითქო დამნაშავე ყოფილიყოს.

მოაგონდა მარკიზ ლანტენაკი, რომელსაც, რაღა თქმა უნდა. სიზმარშიც არ მოაგონდებოდა ვილაც ტელმარში. ეს ძალიან კარგად იცოდა მთხოვარმა და იძახდა თავისთვის, ჩემად: ბატონს მაშინ ვახსოვართ, როცა გაუჭირდება. გადარჩება განსაცდელს, გლეხიც დაევიწყდება.

და თავის თავს ეკითხებოდა:

— მან რაღად გადავარჩინე სიკვდილს ის ბატონი?

და პასუხიც მზად ჰქონდა:

— იმიტომ რომ აღამიანია.

ცოტა ხანს იყო ჩაფიქრებული და კიდევ ჰკითხა თავის თავს:

— დარწმუნებული კი ვიყავ, რომ აღამიანია ის ბატონი?

და გაიმეორა თავისი მწარე სიტყვა: — ეჰ, რა ვიცოდი!

გულს უწყლავდა ეს ამბავი, რადგან რაღაც გამოცანად ეჩვენებოდა თავისი საქციელი, და მწარედ იყო ჩაფიქრებული. ასეა: კეთილს რომ სჩადის კაცი, ბოროტებად ექცევა; ქორს რომ ფრთას გაუმთელეებ, ბრჭყალებსაც გაიღესავს. მაშ ორფეხა მგელი გადაარჩინა სიკვდილს, რომ ცხვარი გაეუღიტა?

მართლა დამნაშავედ იცნო თავი. დამსახურებული ჰქონდა ამ დედაკაცის რისხვა.

და გულის ქენჯას — რად გადავარჩინე სიკვდილს მარკიზიო, — ნუგეშს სცემდა გრძობა, რომ ეს უბედურიც გადაარჩინა.

მაგრამ ბავშვები?

დედაც რაღაცას ჩაჰფიქრებოდა. იქნება ერთმანეთს ხედებოდნენ მათი ფიქრები ნატვრის წყველიადში?

და ერთხელ კიდევ დააშტერა ფლეშარმა თავისი გლოვით საესე თვალი ტელმარშს:

— ასე ხომ არ იქნება?

— სუ! — წასძახა ტელმარშმა და თითი მიიღვა პირზე.

ის კი არ იშლიდა:

— ძალიან დააშავეთ, რომ გადამარჩინეთ, და არა ვარ თქვენი მადლიერი. მე რომ ახლა მკვდარი ვიყო, დარწმუნებული ვარ, ვნახავდი ჩემს შვილებს. მეცოდინებოდა, სად არიან. ისინი ვერ დაშინახავდნენ, მაგრამ მე იმათთან ვიქნებოდი. მკვდარი ვიქნებოდი, მაგრამ ყოველ განსაცდელს ავაცდენდი ჩემ ანგელოზებს.

მთხოვარმა ხელი აუწია და მაჯა გაუსინჯა.

— დამშვიდდით, თორემ სიცხეს მოგცემთ კიდევ.

ამას არავითარი ყურადღება არ მიაქცია ფლეშარმა და ჰკითხა თითქმის უკმეხად:

— როდის შემეძლება წასვლა?

— წასვლაო?

— დიახ. როდის შევძლებ სიარულს?

— არც როდის, თუ ჰკვიანად არ იქნებით. ხვალ, თუ ჰკვიანად ხართ.

— რას ეძახით თქვენ ჰკვიანად ყოფნას?

— არ დაივიწყოთ სასოება ღვთისა.

— ღვთისაო?! სად დამიშალა ჩემი შვილები?

შეშლილს ჰგავდა. უტბად მოლბა, ხმა დაუტკბა:

— თქვენც კარგად იცით, რომ აღარ შემიძლია ასე დარჩენა. თქვენ შვილები არა გყოლიათ. მე კი მყავდა და დედა ვარ. ეს ჰქმნის განსხვავებას. როგორ შეიძლება განსჯა იმის, რაც ჩვენ თვითონ არ განგვიცდია. თქვენ შვილები არა გყოლიათ, ხომ მართალია?..

— მართალია, არა მყოლია.

— მე კი შვილების მეტი არა მყოლია რა, და რა ვარ, რად მინდა სიცოცხლე, თუ ჩემი შვილები აღარ მეყოლება? ჰო და, მეც ის მინდა, რომ ამიხსნან, რატომ აღარ მყავს ჩემი შვილები? ვგრძნობ, რომ რაღაც მოხდა, მაგრამ ვერა და ვერ გამიგია, რა მოხდა, ან რა ხდება? ქმარი მომიკლეს, მე დამხვრიტეს, მაგრამ, სულ ერთია, ვერა გამიგია რა.

— ჰო და აგერ, გიმატათ სიცხემ, — გააჩუმა ტელმარშმა. — დამშვიდდით, ნულარ ილაპარაკებთ.

გადახედა დედამ და გაჩუმდა.

და იმ დღიდან მუნჯივით იყო გაჩუმებული.

უფრო მეტად დაემორჩილა ამ ბრძანებას, ვიდრე თვითონ მთხოვარს უნდოდა. მთელი საათობით იჯდა ხის ძირში გაშტერებული-დუმდა და ოცნებობდა. წარმოუდგენელ შეებას აძლევს დუმილი დაწყულულებული გულისა, რომელმაც განიცადა საშინელი ნესტარო

განუშორებელი სევდისა. შეგნებას აღარ ცდილობდა. ხანდახან იქამდე მძლავრია სასოწარკვეთილება, რომ თვითონ სასოწარკვეთილსაც კი უჭირდება მისი შეგნება.

ტელმარში თვალს არ აშორებდა. იმისთანა სულიერ ტანჯვას ხედავდა თავის ავადმყოფობისას, რომ ქალური ფიქრები მოერია მოხუცებულს. — ჰო და რა? — ფიქრობდა ტელმარში, — ენით არას ამბობს, მაგრამ თვალები უფრო მეტყველი აქვს, ვიდრე ენა. კარგად ვხედავ, რომ ერთი ფიქრით არის გართული და იმით არას გახელეული. დედა ყოფილიყოს ქალი და დედა აღარ იყოს! თავისი ძუძუთი გამოეზარდოს შვილები და ველარ ხედავდეს; როგორ გავამტყუნო საცოდავი? თვალწინ უდგას პატარა გოგო, რომელსაც ძუძუს აწოვებდა, მანამ ეს უბედურება შეემთხვევოდა. სულ იმათთან არის უბედური, იმათთან, სულითაც და გულითაც... რა ტკბილა უნდა იყოს, მართლა, პატარა, ვარდის კოკობივით ნაზი ბაგე რომ დაგეწაფება, სწოვს შენს სულს და შენი სულითა და გულითა ქმნის თავის მომავალს.

ისიც გაჩუმებული იყო, რადგან გრძნობდა, რომ სრულიად უმნიშვნელო იქნებოდა სიტყვა ამ უსაზღვრო ვაების სანუგეშოდ. ერთი ფიქრით გაგივებულის დუმილი საშინელია და განა შეაგნებინებთ რასმე შვილების ფიქრით გატაცებულ დედას? წმიდათა წმიდაა დედა, და თავისი სიწმიდით არის ძლიერი, სხვისი არაფერი ესაჭიროება. და წმიდა იმით არის, რომ ერთგვარ ნადირად ხდება დედა. ღვთაებრივ ნადირულია დედის ალლო. დედაკაცი აღარ არის დედა, დედალიდაა.

ბავშვები პაწაწიები არიან.

და ამიტომ დედაში რალაც ჩნდება უფრო დაბალი; და იმავე დროს უფრო მაღალი, ვიდრე გონება. დედას თავისი ალლო ამძლავრებს. დედაში არის შეკრებილი უსაზღვრო, ბნელი სურვილი შექმნისა და ეს ალლო არის მისი წინამძღვარი. სიბრმავე, შორსმჭვრეტელობით აღსავსე.

ახლა თვითონ ტელმარში ცდილობდა ხმა ამოეღებინა უბედურისთვის, მაგრამ ამოოდ და ერთხელ უთხრა:

— ჩემდა საუბედუროდ ბებერი კაცი ვარ და სიარული მიმძიმს. მე ჩემი ძალღონე უფრო მალე დავხარჯე, ვიდრე ჩემი გზის ბოლოს მივალწვედი. თხუთმეტი წუთი რომ ვიარო, ფეხი მეღლება და იძულებული ვარ გავჩერდე. ეს რომ არა ყოფილიყო, მეც თან გამოგყვებოდით. მაგრამ იქნება კარგიც იყოს, რომ მე არ წამოგყვეთ. რგებით, მგონია ვერას გარგებთ და ვნებით კი, ვაი თუ გავნოთ, რა-

დგან აქ მარტო მერიდებიან და სხვაგან კი რესპუბლიკებისთვის გლეხი ვარ და გლეხებისთვის — ჯადოქარი.

შეჰყურებდა, ელოდა, რას მიპასუხებსო. იმან არც კი შეხედა. ერთი ფიქრი რომ გაიტაცებს ადამიანს, ან გააგიჟებს, ან ვმირად გახდის. მაგრამ რა გმირობას შესძლებდა საწყალი გლეხის დედა-კაცი? არავითარს, თავგანწირულ დედობას და სხვას არაფერს. და ღლითი დღე უფრო და უფრო ღრმად იფლობოდა თავის ლანდებში. ტელმარში თვალს აღარ აშორებდა.

უნდოდა საქმით გაერთო. ნემსი და ძაფი მიუტანა, სათითოე, და მართლაც კერვა დაიწყო ფლეშარმა და ამით დიდად ასიამოვნა საწყალი მთხოვარი. თავისი ფიქრებით იყო გართული, მაგრამ ჰკერავდა, მაშასადამე, ავად აღარ იყო; ნელნელა იკრებდა ძალღონეს; დაიკერა თავისი თეთრეული, თავისი ტანისამოსი, თავის ფეხსაცმელი. მაგრამ თვალი კი ისევ ისე სევდიანი ჰქონდა. ჰკერავდა და ჩუმი ხმით მღეროდა რაღაც სიმღერებს. სახელებს ბუტბუტებდა, ალბათ ბავშვების სახელებს, მაგრამ ისე ზუმად, რომ ტელმარში ვერა გაეგო რა. მღეროდა, უცბად შესწყვეტდა სიმღერას და ყურს უგდებდა ჩიტების ჭიკჭიკს, თითქო იმათგან ელოდა სანატრელი ამბების გაგებას. თან ცას შესცქეროდა, — ნეტავ ასე კარგი დარი იყოს კიდევო. ტუჩები ეძროდა, რაღაცას ეუბნებოდა თავის თავს ჩუმიად. პარკი შეიკერა და წაბლით გაივსო. და ერთ დილას წამოდგა და გზას გაუდგა ტყისკენ თვალგაშტერებული.

— სად მიხვალთ? ჰკითხა ტელმარში.

და მიიღო პასუხი:

— ჩემი პაწიების საძებნელად.

მთხოვარმა აღარცკი სცადა მისი შეყენება.

VII

ორი მხარე ჭეშმარიტებისა

რამდენიმე კვირის შემდეგ ამ სამოქალაქო ომით გამოწვეულ არეულობაში ერთად ერთილა ჰქონდათ ფუჟერელებს სალაპარაკოდ, — ორი; ერთმანეთის წინააღმდეგი კაცი, რომლებიც მიუხედავად ამისა ერთს, და იმავე საქმეს ემსახურებიან გულწრფელად. ესე იგი რევოლუციას.

მხეტური დღეული ვანდლებიანა ჯერაც არ გათავებულებოდა, მაგრამ უკვე ნიადაგს ჰკარგავდა ვანდე, მეტადრე ლილ-ე-ვილენში, დოლის შემდეგ, სადაც ისე მარჯვედ წაართვა გოვენმა ქალაქი ლან-

ტენაკს და ათასხუთასი კაცით სამარცხვინოდ გააქცია ექვსი ათასი. ეს გამარჯვება იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ აქ აჯანყება საბოლოოდ ჩამქრალად თუ არა, შემცირებული მაინც იყო. ამ გამარჯვებას რამდენიმე სხვა მოჰყვა და ძირიანად შესცვალა მდგომარეობა.

მდგომარეობა შეიცვალა, მაგრამ ამავე დროს აღმოჩნდა ერთი უცნაური გართულება.

ვანდეს ამ ნაწილში გამარჯვებული რესპუბლიკა იყო, ეს ცხადი იყო ყველასთვის; მაგრამ რაგვარი რესპუბლიკა იყო გამარჯვებული? აჯანყების შემცირების სიხარულში რესპუბლიკა ესახებოდა ყველას, მაგრამ ორგვარი; ზოგს — ტერორით გამაგრებული, და ზოგს — ლმობიერი; ზოგს უნდოდა მტრის დაუნდობლად ამოჟლეტა, ზოგს — მტრის გულის მოპოვება რომელი ეჯობინებოდა? ამ ორ მიმართულებას, დაუნდობელსა და ლმობიერს, წარმოადგენდა ორი მოღვაწე, რომლებსაც სახელიც დიდი ჰქონდათ და გავლენაც. ერთი მხედართმთავარი იყო, მეორე — ერის კაცი, მთავრობის წარმომადგენელი, და ერთი კითხვით იყო ყველა გატაცებული: რომელი მიმართულება უფრო სასარგებლო იყო. ამ ორ მიმართულების წარმომადგენლები, ერთი, მთავრობის კომისარი, დიდი ძალით იყო აღჭურვალი; პარიზის კომუნის ბრძანება ჰქონდა სანტერის¹⁾ ჯარისადმი, — არავითარი შებრალება რესპუბლიკის მტრებისაო. კონვენტის დეკრეტი ჰქონდა, რომლითაც სრულუფლებიანი წარმომადგენელი იყო მთავრობისა და შეეძლო თავისი ბრძანებისამებრ ეწარმოებინა ყველაფერი და სიკვდილით დაესაჯა, თანახმად კონვენტის დეკრეტისა, ყველა, ვინც გაათავისუფლებდა, ან გააპარებდა აჯანყებულ ხალხის წინამძღვარს. იმასვე ჰქონდა საზოგადოებრივი განჩინების კომიტეტის მოწმობა, ხელმოწერილი რობესპიერის, დანტონის, მარატის მიერ. ამ მოწმობით რესპუბლიკის ყველა მოხელეს ეძლეოდა ბრძანება დაუყოვნებლივ აესრულებინა კომიტეტის დელეგატის ყოველი განკარგულება. მეორე მხედარი იყო, მეთაური ჯარისა და სახელოვანი იყო თავისი ვაჟკაცობითა და გულჩვილობით.

მძლავრი მკლავი ჰქონდა, რომლითაც დაუნდობლად ებრძოდა მტერს, და ლმობიელი გული, რომლითაც იცოდა ადამიანის შებრალება. გამარჯვებით იბრძოდა, მაგრამ რა გაიმარჯვებდა, მითცვე ჰპოვებდა უფლებას დამარცხებულის შებრალებისას.

1) სანტერი (1752 — 1809) იყო პარიზის ნაციონალური გვარდიის მეთაური 1793 წელს. ვანდეს ომის დროს იყო დივიზიის მეთაური.

და აქედან ფარული, მაგრამ ღრმად გულსაწყლავი უთანხმოება ამ ორი მოღვაწისა. სხვადასხვა ღრუბელში ჰპოვებდნენ რესპუბლიკის გასამარჯვებელ ძალას და სხვადასხვა მებს სცემდნენ რევოლუციის მტრებს, — ერთი გამარჯვებით იბრძოდა, მეორე — ტერორით.

სხვა სალაპარაკო აღარა ჰქონდათ რა მთელ ბიკაქში. კმუნვით შესცქეროდნენ ყველანი ორ მეგობარს, რადგან იცოდნენ, რომ მიმართულებით ასე განსხვავებულნი, გულითადი მეგობრები იყვნენ და უსაზღვროდ უყვარდათ ერთმანეთი. წარმოსადგენადაც კი შეუძლებელია მეტი და ღრმა სიყვარული და თანაგრძნობა, ვიდრე იმათ ჰქონდათ ერთმანეთისადმი. ტერორის მომხრემ სიკვდილს გადაარჩინა ლმობიერი, და ჯერ კიდევ ჰრილობა ჰქონდა სასეზე. განხორციელებას წარმოადგენდნენ ეს ორნი, ერთი სიკვდილისას, მეორე სიცოცხლისას; ერთი საშინელების პრინციპი იყო, მეორე მშვიდობიანობისა და გაგიჟებით უყვარდათ ერთმანეთი. უცნაურ ამოცანებს გვაძლევს ცხოვრება. წარმოვიდგენიათ ორესტი ლმობიერი და პილადი ულმობელი? წარმოვიდგენიათ ძმებად ყრიმანი და ორმუზნი?

ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ამ ორთაგანი, რომელსაც ულმობელად სთვლიდნენ, ძმური სიყვარულით იყო გატაცებული მოყვასისადმი; ავადმყოფებს უვლიდა, დაჭრილებს ჰრილობას უხვევდა, დღესა და ღამეს ასწორებდა საავადმყოფოში. გულწრფელად სწუხდა, ფეხშიშველ ბავშვებს რომ შეხვდებოდა, თავისი არა ჰქონდა რა. და რაც ჰქონდა, სულ ღარიბებს ურიგებდა, საცა ბრძოლა იყო, ისიც იქ იყო. წინ მიუძღვოდა ჯარს შეიარაღებული, — წელზე ხმალი ერტყა და ორი დამბაჩა, — მაგრამ უიარაღოდ, რადგან მის დღეში არავის უნახავს, რომ ხმალი ამოეღოს, ან ხელი ეხლოს თავისი დამბაჩებისათვის. წინ მიუძღვოდა მებრძოლთ, არ ერიდებოდა საფრთხეს, მაგრამ თვითონ საფრთხეს არავის მიაყენებდა. ამბობდნენ, მღვდლად იყო წინადაო.

ერთი ამ ორთაგანი გოვენი იყო, მეორე — სიმურდენი.

სიყვარული აერთებდა ორ მოღვაწეს, მაგრამ ორ მიმართულებას შორის კი სიძულვილი მძვინვარებდა; ერთი სული ედგათ ორივეს, მაგრამ ორად გაჭრილი და გაყოფილი; და მართლაც, გოვენს სიმურდენმა ჩაუდგა სული, მაგრამ მთლად კი არა, ნახევარი მისცა თავისი სულისა, ტკბილი ნახევარი. ისე იყო, თითქო გოვენს მარტო თეთრი სხივი გადასცა სიმურდენმა და შავი და ბნელი კი თავისთვის დაიტოვა. და აქედან — სულიერი უთანხმოება. ფარული იყო ეს უთანხმოება, მაგრამ ძირითადად პრინციპული და დღეს იქნე-

ბოდა, თუ ხვალ, შეუძლებელი იყო, არ ეფეთქა. და კიდეც იფეთქა ერთ დილას.

სიმურდენმა დაიწყო:

— როგორ არის ჩენი საქმე?

გოვენმა იუცხოვა ეს კითხვა:

— ჩემზე უკეთ თქვენ იცით. ლანტენაკს მთლად დავუფანტეთ, რაც ხალხი ჰყავდა. რამდენიმე კაცილა შერჩა. ფუჟერის ტყეშია შემწყვდეული და ამ ერთ კვირაში მივაგნებთ სადმე.

— და ორ კვირაში?

— დავიჭერთ კიდეც.

— მერე?

— ჩემი განცხადება წაიკითხეთ?

— წაიკითხე. მერე რაო?

— ჰოდა, დახვრეტილი იქნება.

— აქაც შენი გულჩვილობა! გილოტინა და იმისი თავი!

— არა, — მიუგო გოვენმა, — მე მხედრული სიკვდილის მომხრე ვარ.

— და მე კი, — მიუგო სიმურდენმა, — მე რევოლუციური სიკვდილის მომხრე ვარ.

თვალი თვალში გაუყარა გოვენს და ჰკითხა:

— რად გაათავისუფლებინე ის მოლოზნები, სენ-მარკ-ლებლანის მონასტრისა?

— მე ქალებს არ ვეომები, — უპასუხა გოვენმა.

— მაგ ქალებს სძულთ ხალხი. და სიძულვილში ათ კაცს აჯობებს ქალი. ლუვინიეში რომ ბებერი მღვდლები დაიჭირე. ფანატიკოსები, რევოლუციური სასამართლოსთვის უნდა გადაგეცა. რად იყავი ამის წინააღმდეგი?

— მე მოხუცებულებს არ ვეომები.

— ბებერი მღვდელი უფრო საშიშია, ვიდრე ახალგაზრდა. საშინელია ამბობება, როდესაც მას ქალარა თმა ღალადებს, და ისიც მღვდლისა. ხალხს ყოველი სიტყვა სწამს სიბერიით გატეხილი კაცი-ქალი. კმარა ეგ გულჩვილობა, გოვენ, ქვეყანას ვერ გაათავისუფლებდნენ, ეგრე გულჩვილები რომ ყოფილიყვნენ მეფის მკვლელები. გახსოვდეს ტანპლის ციხე.

— ტანპლის ციხე? რომ შემეძლოს, დღესვე გამოვუშვებდი მეფის შვილს. მე ბავშვებს არ ვეომები.

ბრაზი დაეტყო სიმურდენს.

— უნდა მოგაგონო, ჩემო გოვენ, რომ შენ ეომები ქალს, რო-

დესაც იმას დედოფალი მარი-ანტუანეტი¹⁾ ჰქვია; ეომეები მოხუცე-ბულს, როდესაც იმას პაპი პი VI ჰქვია; და ეომეები პატარა ბავშვს, როდესაც იმას ბატონიშვილი ლუი კაპე ჰქვია.

— არა, ბატონო, ეგ პოლიტიკის საქმეა და მე პოლიტიკისა არა ვიცი რა.

— ჰოდა ეცადე, არა ავნო რა რევოლუციას, იერიშით მიგყავ-და ჯარი კოსსეზე. დაამარცხე, გააქციე. ერთმალა, ჟან-ტრეტონმა, გაგიბედა ბრძოლა, და ხმალამოლებული წამოვიდა შენკენ, ერთადერთი თავდადებული მთელი შენი ჯარის წინააღმდეგ. აჯანყებულნი იყო, უნდა მოგეკლა, და შენ კი ბრძანება გაეცი, — „გახსენით ნწყობრი, გაატარეთ!“ მტერს მტრულად უნდა მოექციე.

— ათას ხუთასი კაცი მიმესია ერთის მოსაკლავად?

— ასტილეს; კაილტერეში ვანდელ ჟოზეფ ბეზეს მოგაგონებ ახლა. ბრძოლა იყო, დასჭრეს კაცი, შენი ბიჭები მოკვლას უპირებდნენ. შენ კი ბრძანება მიეცი, — „წინ წადით, ამას მე მოვუვლი“. და ჰაერში აისროლე შენი დამბაჩა. რატომ არ მოაკვლევინე ის ხალხის მტერი?

— იმიტომ, რომ წაქცეულს არა ჰკლავენ.

— ჰოდა ეცადე, არა ავნო რა რევოლუციას, იერიშით მიგყავ-აჯანყებულების მეთაურებად არიან. ჟოზეფ ბეზეი დღეს მუსტაში არის და ჟან ტრეტონი — ჟამბ-დარჟანია... სახელები გამოიცვალეს, სიკვდილს გადაარჩინე შენ ეს ორი კაცი და მით მტერი გაუმძლავრე და გაუმრავლე რესპუბლიკას.

— მე კი სულ იმას ვცდილობ, მოყვარე შევიძინო რესპუბლიკას და არა მტერი.

— ლანტენაკის დამარცხების შემდეგ სამასი კაცი დაგრჩა ტყვეები, რატომ არ დაახვრეტინე? ზომ აჯანყებული გლეხები იყვნენ?

— იმიტომ რომ ბონშანსაც დაეჭირა ჩვენები, ტყვედ წაიყვანა რესპუბლიკელები და ლმობიერად მოჰქცევოდა. მე არ მინდა სთქვას ვინმემ, რომ რესპუბლიკა უფრო ულმობელია, ვიდრე აჯანყებული ბრბო.

— ლანტენაკი რომ დაიჭირო? მაშ იმასაც დაინდობ?

— იმას არა.

— რატომ? თუ კი სამასი გლეხი დაინდე?

1) მარი ანტუანეტი იყო ავსტრიის მეფის, ფრანსუა I-ის ქალი. იგი ცოლად შეირთო ლუი მე-16-მ. სიკვდილით დასაჯეს 1793 წელს.

— გლახები უფიცი არიან, სხვის მიერ გაბრიყვებული. ლანტენაკმა კი კარგად იცის, რას სჩადის.

— ლანტენაკი რომ ნათესავია შენი?

— ჩემი ნათესავი საფრანგეთია.

— ლანტენაკი მოხუცებული კაცია.

— ლანტენაკი ჩემთვის უცნობა. სულ ერთია, მოხუცებული, თუ ყმაწვალის. ლანტენაკი ინგლისელებს მოიწვევს, ლანტენაკი მტრის შემოსევა არის. ლანტენაკი მტერია საქმობლოსი. მე და იმისი დეული სხვაფრთხი ვერ დაბოლოვდება, ან ის უნდა მოკვდეს, ან მე.

— ეგ სიტყვა არ დაივიწყო, გოვენ.


— ვთქვი და კიდევ ავასრულებ.

ცოტა ხანს იყვნენ ასე გაჩუმებული და ერთმანეთს შესცქეროდნენ.

ახლა გოვენმა დაიწყო:

— სისხლისღვრის წლად დარჩება ოთხმოცდაცამეტი.

— ჰოდა, ფრთხილად იყავ, — შეჰყვირა სიმურდენმა. — საშინელი ვალდებულება გვაწევს დღეს რევოლუციის ერთგულებს. ნუ გაამტყუნებ, რაც არ არის გასამტყუნარი. ვინ იტყვის, ექიმის ბრალია ავადმყოფობაო? მართალია, წლევანდელს, მომავლისთვის დიდშედეგიან, წელს უღმობლობა და სისხლისღვრა ახასიათებს, მაგრამ რად არის ასე? ამიტომ, რომ ეს არის დიდებული წელიწადი რევოლუციისა. წლევანდელი წელიწადი განხორციელება არის რევოლუციისა. ერთი მტერი ჰყავს რევოლუციას, — ძველი ქვეყანა, და დაუნდობლად ებრძვის თავის მტერს, როგორც დაუნდობლად ებრძვის ღოსტაქარი სრსვილს და სისხლისღვრით ჰკურნავს სნეულს. რევოლუცია ძირიანად აღმოფხვრის მეფობას მეფეში, დიდებულობას — თავად-აზნაურობაში, მტარვალობას — სალდათში, ცრუმორწმუნობას მღვდელში, ბარბაროსობას — მსაჯულში, — ერთი სიტყვით, აღმოფხვრის ყველაფერს, რაც კი მტარვალობაში მოიპოვება. საშინელია ეს ოპერაცია, სისხლისღვრით სავსე, და რევოლუცია მედგრად აწარმოებს ამ ოპერაციას, ხელი არ აუკანკალდება. რაც შეეხება დაღვრილ სისხლს, ხშირად წმინდა, უდანაშაულოდ განწირულ სისხლს, ეს ბოერავსა ჰკითხე; ვნახოთ, რას გეტყვის. როგორ შეიძლება, ისე მოიქრას სიმსიენე, რომ საღი სისხლიც არ დაიქცეს? როგორც შეიძლება ისე ჩააქრო ხანძარი, რომ ცეცხლმა არა შეიწიროს რა? საშინელებაა, მაგრამ აუცილებელი საჭიროება რევოლუციისა. ურომლისოდაც ყოვლად შეუძლებელია გამარჯვება და ოთხმოცდაცამეტი



იდეალური მომავლის მიღწევა. დოსტაქარი ყასაბს ჰგავს და შეიძლება სნეულის განმკურნებელი ჯალათად და სისხლის მღვრელად ეჩვენოს კაცს. თავისი უნდა გაიტანოს რევოლუციამ, თავისი უნდა დაასრულოს. ბევრს ატყენს, მაგრამ განკურნავს და იხსნის — რა! ნუ თუ შეიძლება, თქვას ვინმემ, ჰირს ლმობიერად უნდა ეექცეოდეთო? ნუ თუ შეიძლება, თქვას ვინმემ, უნდა გვებრალებოდეს ისიც კი, რაც გადამდები და ზომწამლავე არისო? და კიდევ რომ თქვან, რევოლუციას ყურთასმენა არა აქვს. მაგრად ჩაბოქილი ჰყავს წარსული და არ მოისვენებს, მანამ ბოლოს არ მოუღებს. მაგრად დასჭრის ჩვენს ცივილიზაციას და ამ ღრმა ჰირსობის შედეგი იქნება განკურნება და ჯანსაღობა კაცობრიობისა — იტანჯებით? ვიცი, რომ იტანჯებით. რამდენ ხანს გასტანს ეს ტანჯვა? დაავადებულის ოპერაციის გათავებამდე. და მერე კი დატკბით სიცოცხლით! რევოლუცია ამჟუტავს ქვეყანას. და ამჟუტავს ყოველთვის სისხლის დენა მოსდევს. ამიტომ არის სისხლისღვრისა წლებანდელი წელიწადი.

— დოსტაქარი მშვიდად მოქმედებს, — თქვა გოვენმა. — და ჩვენი რევოლუციონერები კი სულ ცოფს ჰყრიან.

— რევოლუციას თავის დასახმარებლად მუშები სჭირია, — უბასუხა სიმურდენმა? — და გულმაგარი, მკაცრი მუშები. ახლო არ მიიკარებს, ვისაც მკლავი უთრთის. ნდობა მარტო სასტიკი სიმკაცრისა აქვს და სხვისი — არავისი. დანტონი საშინელი არის, რომესპიერი გულფოლადი, სენ-ჟუსტი — გულქვა, მარატი — უღმობელი. მაშ ფრთხილად, გოვენ! საჭირო არიან რევოლუციისთვის ეს სახელები. მთელ ლაშქარს უდრის ყოველი ამ სახელთაგანი, და შიშის ზარს სცემს ევროპას.

— და იქნება აგრეთვე მომავალსაც. — უთხრა გოვენმა.

ცოტა ხანს გაჩუმებული იყო და მერე განაგრძო:

— მაგრამ თქვენ სცდებით, ბატონო, — მე არავის ვამტყუენებ. მე რომ მკითხოთ, რევოლუციის ნამდვილი თვალსაზრისი პასუხისუცხელობა არის, — უდანაშაულო არავინ არის და დამნაშავეც — არავინ. ლუი XVI ცხვარია, ლომებში მომწყვდეული. ცდილობს გაიქცეს სადმე, თავი დააღწიოს განსაცდელს, საშუალებას ეძებს თავის დასაცავად; კბენას დაიწყებდა, რომ შესძლებოდა. მაგრამ ყველა კი ლომი არ არის, ვისაც ლომობა ნებავეს, და თავდაცვა საზიზღარ ცოდვად ხდება. ის ცხვარიც, ცხვარია, მაგრამ ისიც ცხარდება. და — ის მოღალატე ისაო! — იძახიან ლომები და სჭაპუნ ცხვარს. ცხვარს შესჭამენ და მერე ერთმანეთს დაეტაკებიან.

— პირუტყვია ცხვარი.

— და ლომები რაღა არიან?

ერთ წამს ჩაფიქრდა სიმურდენი. მერე წამოიწია და თქვა:

— ეს ლომები წარმოადგენენ შეგნებულებას. ეს ლომები წარმოადგენენ იდეობას, ეს ლომები წარმოადგენენ პრინციპიანობას.

— ეგ ლომები წარმოადგენენ და ჰქმნიან ტერორს.

— მოვა დრო და რევოლუციის შედეგი გაამართლებს მაგ ტერორს.

— მე კი მეშინია, რომ შედეგი რევოლუციისა თავის მარცხვენელად მოიხსენიებს ტერორს.

და განმარტა თავისი აზრი:

— თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა, — ეს არის დებულებანი მშვიდობისა და თანხმობისა. თქვენ კი საშინელებად ხდით ამ წმინდა მცნებებს. რისთვის ვიბრძვით, რისთვის ვიღვწით ასე თავგანწირულნი? გვინდა ყველა ხალხები შევეაერთოთ და შეექნათ ერთი ქვეყნიური რესპუბლიკა. მაშ რაღად ვაშინებთ? რად ვუხეცავთ გულს? რა საჭიროა აქ შეშინება? როგორც მტრედებს ვერ მოიზიდავთ საფრთხობელით, ისე ხალხს ვერ მოიზიდავთ თქვენი ტერორით. ავს ნურას იზამთ კარგის დასამყარებლად. განა იმიტომ დაამსხვრევენ ტახტს, რომ ეშაფოტი ააგონ? მეფის მოკვლა ხალხის სიცოცხლეა. დავამსხვრიოთ ტახტები, მაგრამ ნუ ვხოცავთ ხალხს. რევოლუცია ძმობა არის, სიყვარული და არა საშინელება. ნეტარ დებულებას, რევოლუციისას ღირსეულად ვერ აასრულებს გულქვა მოღვაწე-ადამიანის ლექსიკონში სხვა სიტყვა არ არის იმისთანა ტკბილი, როგორც არის შენდობა. მე რომ ვიბრძვი და სისხლს ვაქცევ, სამაგიეროდ ჩემსას ვაქცევინებ. მე ბრძოლის მეტი არა ვიცი რა. მე ჯარის კაცი ვარ და სხვა არაფერი. მაგრამ თუ ლმობიერება არ იქნება და შენდობა, მაშინ გამარჯვებესაც ეკარგება ყოველი მნიშვნელობა. ბრძოლის დროს მოსისხლე მტრები ვიყოთ ჩვენი მტრებისა, და გამარჯვების შემდეგ — იმათი ძმები.

— ფრთხილად! — შეჰყვირა მესამედ სიმურდენმა. — გოვენ! შენ ჩემთვის უფრო ნეტი ხარ, ვიდრე შვილი. ფრთხილად იყავ!

და დაუმატა ჩაფიქრებულმა:

— ჩვენი დროის ბრძოლაში ეგ ლმობიერება და დანდობა შეიძლება ლალატად იქცეს.

რომ გაეგონა ვისმე ამათი კამათი, იტყოდა, — ხმალსა და ცულს მოსვლიათო უთანხმოება.

VIII

Dolorosa ¹⁾

დელა მაინც თავის შვილებს დაეძებდა.

მიდიოდა და მიდიოდა, თვითონაც არ იცოდა, სად და საით. როგორ ცხოვრობდა? შეუძლებელია ამის თქმა, თვითონაც ვერას-გეტყოდათ. გზას ადგა დღე და ღამე. ლუკმა პურს თხოულობდა; ბა-ლახს სკამდა, მიწაზე ეგდო, ცის ქვეშ ეძინა, ვარსკვლავების ქვეშ; ბუჩქებში და ხანდახან წვიმაში და ქარში.

სოფლიდან სოფელში გადადიოდა, სახლიდან სახლში. შესავალ-კართან გაჩერდებოდა და კითხვას დაუწყებდა, კაბა დაფლეთილია ეცვა. ხან შეიბრალებდნენ, სახლში შეიყვანდნენ, ხან კარს უკეტავ-დნენ. და როცა სახლში არსად უშვებდნენ, ის ტყისკენ მიეშუ-რებოდა.

ამ მხარეს თავის დღეში არა ყოფილიყო, აქაურობისა არა იცოდა. რა. ერთობ არა იცოდა რა, გარდა სისკუნარისა და აზეს სამწყსოსი. სად მიდიოდა, არ იცოდა, და ხშირად დაბრუნდებოდა ხოლმე, ხელ-მეორედ გაივლიდა გავლილ გზას და იქანცებოდა ამოოდ. ხან გზას-მისდევდა, ხან ურმის კვალს, ხან ბილიკს სადმე ტყეში და ამ ხეტიალ ში მთლად შემოხვეოდა ტანისამოსი. ჯერ თავისი ფეხსაცმელით: და-დიოდა, მერე ფეხშიშველი, მერე დასისხლებული ფეხით.

და მიდიოდა; ბრძოლის ველს გაივლიდა, ზარბაზნის სროლას; არც რასმე ხედავდა, არც რამე ეყურებოდა, არც რასმე ერიდებოდა, — თავის შვილებს ეძებდა. აჯანყებული იყო ქვეყანა, აღარც უანდარმები იყვნენ, აღარც მამასახლისი, აღარც მთავრობა. სადაც ვის შეხვდებოდა. ყველას ეკითხებოდა, გამელელსა და გამომელელს. ერთსა და იმავეს ჰკითხავდა ყველას:

— ხომ არსად შეხვედრიხართ სამ პატარა ბავშვს?

თავს იქნევდა გამელელი, — არაო.

— ორი ბიჭია და ერთი გოგო, — მოთქვამდა დედა.

და სახელებს ეუბნებოდა:

— რენე-ჟანი, გრო-ალენი და ჟორჟეტი. ხომ არ გინახავთ ეს ბავშვები?

და უმატებდა:

— უფროსი ოთხი წლისა და ნახევრისა არის, პატარა — ოცო თვისა.

¹⁾ მწუხარე.

მერე ცრემლმორეული:

— ხომ არ იცი, სად არიან? მომტაცეს ჩემი პაწიები.

შესტკეროდნენ და პასუხს არ აძლევდნენ.

— არა, მე ამათ ჩემი ვერ გაეგონეო,— და განმარტავდა ხოლმე:

— ჩემი შვილები არიან და ამიტომ გკითხავთ. იმათ დავეძებ.

გადახედავდნენ და თავის გზას გაუდგებოდნენ. ისიც დადგებოდა მწუხარე და ძუძუებს ილაღრიდა ფრჩხილებით.

მაგრამ ერთხელ ერთი გლენჯაკი შეხვდა და მოუსმინა. მერე ჩაფიქრდა, რაღაც აგონდებოდა, ეტყობოდა.

— მოითმინე, მოითმინე. სამი ბავშვი იყო?

— დიახ.

— ორი ბიჭი?

— და ერთი გოგო.

— და იმათ დაეძებ?

— დიახ.

— რაღაცას ლაპარაკობდნენ, — ბატონმა სამი ბავშვი მოსტაცა დედას და თან წაიყვანაო.

— მერე სად არის ის ბატონი? — შეჰყვირა დედამ. — სად არიან ბავშვები?

გლენჯმა უპასუხა:

— ტურგში მიდი.

— და იქ ვიპოვი ჩემ პაწიებს?

— შეიძლება იქ იპოვო.

— მაშ ტურგში?

— ჰო, ტურგში.

— რა არის ეგ ტურგი?

— იმ მხარეს ტურგი ჰქვია.

— მერე რა არის ტურგი? სოფელია, მებატონის სასახლე, თუ რა?

— მე იქ ჩემ დღეში არ ვყოფილვარ.

— შორს არის?

— არც ახლოა.

— საითკენ არის?

— ფუჟერისკენ.

— საით წავიდე?

— აქ ვანტორტში ხარ, — აუხსნა გლენჯმა, — ავრე წახვალ; ერნეს მარცხნივ ჩაუვლი, კოქსელს — მარჯვნივ. ლორშანზე გაივლი, ლერუზე.

და ხელი გაიშვირა დასავლეთისკენ.

— აგრე იარე, სულ პირდაპირ, აი, მზე რომ ჩადის, იქითკენ. ჯერ ხელი არ დაეშვა გლახკაცს, რომ მწუხარე დედა უკვე დასავლეთისკენ მიეშურებოდა.

— ოღონდ, გეყურება? ფრთხილად იყავ. ბრძოლა არის იმ მხარეს.

არც კი მიბრუნდა, თითქო არც კი გაუგონიაო, და ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა ტურგისკენ.

IX

პროვინციული ბასტილია

I

ბ უ რ გ ი

ამ ორმოცი წლის წინათ ფუჟერის ტყეში რომ შესულიყო მგზავრი ლენელეს მხრიდან და პარინიეს მხრიდან გამოსულიყო, როგორც კი თავს დააღწევდა დაბურულ ტევრს, მოულოდნელი სურათი ეცემოდა თვალში, — უცბად აიშარებოდა მის თვალწინ ტურგი.

ცოცხალი ტურგი კი არა, ძველი, მკვდარი ტურგი, დამსკდარი, დახეთქილი, ალაგ-ალაგ ჩამონგრეული, დაშლილი. ძველი შენობის ნანგრევი იგივეა, რაც მოჩვენება არის ადამიანისთვის. სამწუხარო სანახავი იყო ეს მოჩვენებაც. ძველიდან ერთი მაღალი ჰრგვალი კოშკი დარჩენილიყო, მარტოდ მარტო აწოწილი ტყის პირას, თითქო ყაჩაღობას ლამობდესო. კოშკი აშენებული იყო ციკაბ კლდეზე, მეტად მაღალი იყო და ძალიან ჰგავდა რომაულს, იმდენად სწორი იყო და მაგარი, და ამ სიმაგრეში ცხადად ისაბებოდა ერთმანეთში არეული დიდება და იმისი ხანმოკლეობა. რომაულს ჰგავდა, რადგან რომანული იყო ეს კოშკი. მეცხრე საუკუნეში დაეწყოთ მისი შენება და მეთორმეტეში გაეთავებინათ, მესამე ჯვაროსნობის შემდეგ. თაღების მოწყობილობა მოწმობდა მის ხნიერებას. მიუახლოვდებოდა კაცი. ავიდოდა ციკაბ კლდეზე, ნაპრალს ნახავდა კედელში, შევიდოდა და. — ცარიელი იყო იქაურობა. ქვის ბუკს მოგაგონებდათ, მიწაზე აყირავებულს. ისეთ მაღალ კოშკში არ დარჩენილიყო ალარც სართულები, ალარც ბანი, ალარც ქერი, ალარც იატაკი; თაღებისა და ბუხრის ნანგრევი, საზარბაზნე დოლაბები სხვადასხვა სიმაღლეზე, გრანიტის ბრჯენი აქა-იქ და რამდენიმე ძელი, რომლებზედაც ოდესღაც სართულები იყო მოწყობილი. ძელებზე — სქელი ფენი და-

მურების სკინტლისა. კედლების სისქე მეტად დიდი. თხუთმეტი ბიჯი ძირში და თორმეტი ჭერთან. აქა-იქ ნაპრალი. სადაც კარი უნდა ყოფილიყო და ამ ნაპრალიდან შიგ კედელში, ბნელში დატანებული კიბე. საღამოზე რომ შესულიყო ვინმე, ჭოტის ჭყვივლს გაიგონებდა. ასიდამისას, ღამის აკაურისას და მფრინავ ჯოჯოებისას. ფეხქვეშ კვრინჩხს დაინახავდა, ქვებს, ქვემძროკებს და ზემოთ, თითქო ღრმა ჭისძირიდან, ცაზე ვარსკვლავებს.

ხალხში ტრადიციად დარჩენილიყო თქმულება, რომ ამ კოშკის ზემო სართულებში საიდუმლო კარებია დატანებული, როგორც ურიასტანის მეფეების აკლდამას ჰქონდა, მთელი ქვისა, რომელიც ღერძზე არის მიბმული და ზედ ტრიალებს; როცა მიხურულია ქვა-კარი, ყოვლად შეუძლებელია კედელში მისი აღმოჩენა. ისე კარგად არის ჩართული კედლის ქვებში. ამგვარი ქვაკარის კედელში ფარულად დატანება ჯვაროსნებმა გადმოიტანეს აღმოსავლეთიდან. დღესაც შეიძლება ამ კარების ნახვა წინა ღიბანის მიწისძვრით დანგრეულ დაბებში, რომელიც ტიბერის დროს მოხდა.

II

ნ ა კ რ ა ლ ი

ნაპრალი, რომლითაც კოშკში შესვლა შეიძლებოდა, იყო შედეგი ნაღმისა. გამოცდილი კაცი, ერარის, სარდისა და პაგანის მცოდნე, წუნს ვერ დასდებდა ამ ნაღმს. საფეთქის სადები, მღვდლის ქუდისებური, ტოლფარდი იყო კედლის სისქისა, რომელიც უნდა შეენგრია. სულ ნაკლები რომ ვთქვათ, ორას კილოგრამ თოფისწამალს მაინც დაიტევედა. სადებამდე მისასვლელად დაკლაკნული ხვრელი იყო გაყვანილი, რაც უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე სწორი ხაზით მიმავალი. ნაღმის ძალით დანგრეულ ნაპრალში ერთ ქვის ნაკლდომში კვალი დარჩენილიყო თოფის წამლით სავსე პარკისა, რომლის დიამეტრი საჭირო სიგრძისა უნდა ყოფილიყო, ესე იგი ქათმის კვერცხის დიამეტრის ტოლი. აფეთქებას იმდენად ფართო ჭრილობა წივდა კედლისთვის, რომ სრულიად თავისუფლად შეცვივდებოდნენ გამარჯვებული მტრები. როგორც ეტყობოდა, საუკუნეთა განმავლობაში ამ კოშკს მრავალჯერ შემორტყმიან ალყით მტრები; გაცხავეტილი იყო ფინდიხით და ეს ფინდიხიც სულ ერთგვარი არ იყო; ყველა თავისებურად სცემს სანგრევს და თავისებურ კვალს ამჩნევს მის კედლებს, ადრინდელ მეთოთხმეტე საუკუნის ქვის ფინდიხით სულ სხვას, ვიდრე მეთვრამეტე საუკუნის თუჯის ფინდიხით.

ნაპრალოთ ქვემო სართულში შეიძლებოდა შესვლა. ამ შესავლის პირდაპირ კოშკის კედელში პატარა კარი იყო დატანებული კლდეში მოწყობილ აკლდამაში შესასვლელად, რომელიც ჩატანილი იყო თვით კოშკის საძირკვლისა და მის ქვემო სართულას ძირში.

აკლდამა თითქმის მთლად მიწით ამოვსებულ იყო და 1835 წ. იქმნა გაწმენდილი ბ. ოგუსტ რებრევის, სიძველეთა მკვლევრის, თაოსნობით.

III

დ ი ლ ე ბ ი

დილეგი იყო ეს აკლდამა. ციხე-სიმაგრეს ყოველთვის ჰქონდა დილეგი. აკლდამას, როგორც იმდროინდელ ყველა დილეგს, ორი სართული ჰქონდა: პირველ სართულში კოშკის ქვემო სართულიდან ჩადიოდნენ; ერთი დიდი ოთახი იყო თალიანი, კოშკის ქვემო სართულის დონეზე. ამ ოთახის კედელზე ჩაქდებული იყო ორი ხაზი სწვრივად მიმავალი. კედლიდან ჰერზე და იქიდან მეორე კედელზე; ეს ხაზები ღრმად იყო ჩაქდებული კედელშიც და ჰერშიც და ურმის თვლების ნაკვალევს მოგაგონებდათ. და მართლაც თვლების ნაკვალევი აჩნდა კედელს; ოღონდ არც ურმისა იყო, და არც რაიმე ეტლისა. უწინდელ, ფეოდალიზმის დროს, ამ ოთახში წარმოებდა ტანჯვა ადამიანისა, მის ოთხად გაწყვეტა, რაღა თქმა არის საჭირო, უფრო ჩუმად და ფარულად, ვიდრე გარეთ, უბედურის ოთხ ცხენზე მიბმით. ორი ჩარხი ტრიალებდა ამ ოთახში; იმდენად დიდი და მაგარი, რომ კედლებსაც ეხებოდნენ და ხედავდნენ, და ჰერის თაღსაც ერთ ჩარხს ადამიანის ერთ ხელს და ერთ ფეხს ააქრავდნენ, მეორე ჩარხს — მეორე ხელსა და ფეხს, და დაატრიალებდნენ ორივეს, ერთს წალმა; მეორეს უკუღმა, და მჩვარივით ჰგლეჯდნენ უბედურს. ჩარხების ტრიალს იმისთანა ძალით აწარმოებდნენ, რომ კლდის კედელსაც კი ამჩნევდნენ მის კვალს. ამგვარი ოთახის ნახვა დღესაც შეიძლება ვიანდანში.

ამ ოთახის ქვემოდან კიდევ მეორე იყო, უფრო საშინელი. იქ შესვლა კარით კი არა, ჰერის ნახვრეტით შეიძლებოდა. ზემო ოთახის იატაკი გახვრეტილი იყო. გაატიტვლებდნენ კაცს, ილღებში თოკს მოაბამდნენ და ამ ხვრეტილით ჩაუშვებდნენ ქვემო ოთახში. იუ გაკერპდებოდა და არ კვდებოდა. პურს ჩაუგდებდნენ ზემოდან. ამის ნახვაც შეიძლება დღეს ბუიონში.

ამ ნახვრეტით ამოდიოდა ქარი. ქვემო ოთახი, კოშკის ქვემო სართულის ქვეშ შეთხრილი, ჭა იყო და არა ოთახი. შიგ წყალი დიოდა და გაყინული ჰაერით იყო სავსე. ძალიან საჭირო იყო ეს ქარი: ქვემო ოთახის პატიმარს ჰკლავდა, ზემო ოთახის პატიმარს ჰაერს აძლევდა სასუნთქავად. დილეგში ჰაერი შეჰქონდა. ზემო ოთახის პატიმარი. წყვდიადში ჩამწყვდეული, ჰაერს მარტო ამ ნახვრეტით იღებდა. მაგრამ ვისთვის რა საჭირო იყო ეს ჰაერი? ვისაც შეიყვანდნენ, ან ჩაადგებდნენ დილეგში. ველარ გამოვიდოდა იქიდან. ზემო ოთახში სიფრთხილეზე იყო დამოკიდებული, რომ იმ სიბნელეში ხვრეტის მორიდებოდა პატიმარი და ისიც არ ჩავარდნილიყო ქვემო სართულში. ფეხი რომ წასხლტომოდა ზემო ოთახის პატიმარი ქვემო ოთახის პატიმრად ხდებოდა, — დაუყოვნებლივ სიკვდილის წილად. ეგ თვითონ იცოდა: თუ კიდევ სწყუროდა სიცოცხლე, მოერიდებოდა ნახვრეტს; თუ მწარე სიცოცხლეს სიკვდილი უჯობდა, ნახვრეტი აუსრულებდა სურვილს. ზემო სართული საჯაჯავი იყო, ქვემო სართული — ცოცხალთ საფლავი. ზედამდებარეობა, რომელიც ფუძედ ედგა, მაშინდელ საზოგადოებრივ წყობილებას.

ამას ეძახდნენ ჩვენი წინაპრები „ორმო-ხვრელის უკანტანს“, ეს დილეგი აღარ არსებობს და მაშ ამ სახელსაც აღარა აქვს რაიმე მნიშვნელობა. რევოლუციის წყალობით სრულიად გულგრილად ვისვენთ დღეს ამ სიტყვას.

კოშკის კედელში, ცოტა ზევით, ვიდრე შესავალი ნაპრალი იყო, ერთი დოლაბი იყო, უფრო დიდი, ვიდრე სხვები, და ზედ რკინის ნოაჯირი ეფარა, დამტვრეული და დარღვეული.

IV

ც ი ხ ე-ს ი მ ა ზ რ ე

ამ კოშკის უკანა კედელი ქვის ხიდზე იყო აგებული. ხიდისა სამი უმტვრევი თალიბა დარჩენილიყო. ხიდზე იყო აშენებული ნაწილი სასახლისა, რომლის რამდენამე ნანგრევილა მოწმობდა წარსულს. ამ შენობის ნაშთს ცხადად ეტყობოდა, რომ ნგრევამდე ხანძრით ყოფილა გადაშვარი; რადგან მთლად გარუჯული ჰქონდა ბოძები, რომლებიც ისე მოჩანდნენ კოშკთან, როგორც ჩონჩხი მოჩვენებასთან.

დღეს აღარაფერი დარჩენილა ამ ნანგრევებისა, კვალიც კი აღარსად არის. საუკუნეთა განმავლობაში მრავალი თაობის ნაშენებს ერთ დღეს ანგრევს და მიწასთან ასწორებს გლეხი.

ტურგი გლეხკაცური გამოთქმა არის ორი სიტყვისა ტურ — კოშკი — გოვენებისა, როგორც ერთი კუზიანის, ბრბოს მოთავის, სახელი პერსონ-ლე-ტორტუ პერსონ-ლე-ტორად გადააკეთეს.

ტურგის ამ ორმოცი წლის წინათ ნანგრევებილა იყო, დღეს ნატამალიც აღარსად არის იმისი, და 1793 წ. კი დიდ მიუვალ სიმაგრეს წარმოადგენდა. ეს იყო ძველი ციხე სიმაგრე გოვენებისა; და ვუჟერის ტყეში შესავალ გზას ამაგრებდა დასავლეთით, იმ ტყისას, რომლისა დღეს წვრილი ბუჩქილა დარჩენილა.

ციხე-სიმაგრე აშენებული იყო ერთ დიდ ფიქალ კლდეზე, როგორც მრავლად მოიპოვება მაიანისა და დინანის შუა ქალებში დაფანტული, თითქო დევები ყოფილიყვნენ იქ ოდესღაც და ეს კლდეები ესროლათ ერთმანეთისათვის.

სიმაგრისთვის კოშკი იყო; კოშკის ქვემოდან — კლდე და კლდის ძირს — ღრმა ხევი, რომელშიც, რა გაზაფხულდება, დიდი მდინარე მოზხუის და ზაფხულში კი ცვარი წყალი ძლივს იპოვება.

ქართველ იყო აშენებული ეს სიმაგრე, მაგრამ თავის დროს, საშუაალ საუკუნეებში, თითქმის მიუვალი იყო. მერმედ აშენებული ხიდი ასუსტებდა სიმაგრეს. გუთელმა¹⁾ გოვენებმა უხიდოდ ააგეს ეს შენობა და იმ ფარფატა ბონდით დადიოდნენ, რომლის გასატეხად ერთი კულის დაკვრაც კმაროდა. მანამ ვიკონტებად იყვნენ, ძალიან მოსწონდათ ეს მოწყობილობა და სხვას არა ზრუნავდნენ; მაგრამ როგორც კი მარკიზის წოდება გაიკრეს და მამა-პაპეული ბუნაგის შემდეგ²⁾ ნახეს, რომ მეფის კარზე ისინიც ბრძანებულიყვნენ, სამი თაღი გადაავლეს ხევს, ხიდი ააშენეს და მინდვრიდანაც ადვილად მისავალად გახადეს თავიანთი სიმაგრე, როგორც თვითონაც ადვილად მისაღებად ეახლნენ მეფეს. მეჩვიდმეტე საუკუნის მარკიზი, და მარკიზ-ქალბატონი მეთვრამეტე საუკუნისა აღარ ცდილობდნენ მიუვალი ყოფილიყვნენ და აულბელი. მამაპაპეულის განგრძობის წილ ახალი მცნება გამეფდა, — მიბაძვა ვერსალისა.

კოშკის პირდაპირ დასავლეთით, საკმაოდ ამაღლებული ფერდობი იყო, რომელიც ნელნელა თითქმის შეუმჩნევლად ერთვოდა მინდორს, და თითქმის ეხებოდა თვით კოშკსაც, — ხევი ჩაქრილიყო მათ შუა პატარა მდინარისა, რომელიც ქვემოთ გენსონს უერთდებოდა. შენობებისა და ფერდობის შესაერთებლად ხიდი იყო აშენებული მაღალ, ფართობიან ბურჯებზე და ამ ბურჯებზე იდგა, რო-

1) გუთები ძველი გერმანელი მოდგმის ხალხები იყვნენ.

2) მერსალი პატარა ქალაქია პარიზთან ახლოს;

გორც შენონსოში, მანსარისებური¹⁾ შენობა, უფრო სასარგებლო საცხოვრებლად, ვიდრე კოშკი. მაგრამ ჯერ მეტად მკაცრი იყო ცხოვრება და ბატონებს დილეგის მაგვარი კოშკი უფრო მოსწონდათ საცხოვრებლად, ვიდრე მოწყობილი ოთახები. ხიდზე აგებული სახლიც სიმაგრეს წარმოადგენდა; ქვემოთ შინაყმანი იყვნენ და იქიდანვე იყო ასავალი მეორე და მესამე სართულში; მეორე სართულში ბიბლიოთეკა იყო, და სულ ზემოთ, მესამეში — ბეღელი. გრძელი ფანჯრები ჰქონდა, წვრილ წვრილი ბოკემური²⁾ შუშებით და კედლებზე — ამოკრილი მედალიონები, — სამი სართული; ქვემოთ — ოფიარალი, შუაზე — წიგნები, ზემოთ — შვრიით სავსე ტომრები, ყველა ეს, ცოტა არი იყოს, ველური იყო, მაგრამ დროის მიხედვით — ძალიან დიდებული.

ეს შენობა და გვერდით — საშინელი კოშკი.

კოშკი ზედ დასცქეროდა ამ კოხტა სახლს. კოშკიდან შეიძლება ზოდა ხიდისკენ მომავალი მტრის მოგვირეება თოფის სროლით.

ორი შენობა, ერთი სიციხე, მეორე კოხტა, სრულებით არ შეეფერებოდა ერთმანეთს. არ იყო შეთანხმებული ამ შენობების სტილი. თუმცა ძნელია წარმოდგენა, რომ ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს ორი ერგთალი, მაგრამ მაინც რომელიც რკალთაღი სულ სხვაა, ვიდრე კლასიკური თამასა. კოშკი ტყეში სადმე უნდა მდგარიყო და არა ამ კოხტა ხიდის ყურზე, რომელიც ვერსალსაც დაამშვენებდა. წარმოიდგინეთ აბურძგნული, ტურტლიანი ალენ-ბარბტორტი ლუი XVI გვერდით. რა საშინელი სანახავი იქნებოდა! კარგი იყო ორივე შენობა ცალცალკე, მაგრამ ერთად რაღაცა უხამს წარმოადგენდა.

სამხედრო თვალსაზრისით ხიდი გამცემი და დამღუპველია კოშკისა. ხიდი ამშვენებდა კოშკს და ამავე დროს სიმაგრეს აცლიდა, ალამაზებდა და თანაც ასუსტებდა. ხიდი შარავზას აძლევდა შინდვრით მომავალ მტერს. მიუვალი იყო იქაურობა ტყის მხრიდან, და კარლია — მინდვრის მხრიდან. წინათ კოშკი ბატონობდა მთელ იქაურობაზე; ახლა კი მინდორი გაბატონებულიყო და მინდვრით მომავალი ბატონი იყო ხიდისა და მთ კოშკისაც. თუ მტერი მიადგებოდა. მეტად ხელსაყრელ მასალად გამოიყენებდა ბიბლიოთეკას და ბეღელს, როგორც საგანგებო საწვავ მასალას. და ბრძოლით მიმავლისთვის, რომელიც ხანძარს ხმარობს. გამარჯვების საშუალებად,

1) მანსარი იყო მე-17 ს. გამოჩენილი ფრანგი ხუროთმოძღვარი.

2) ბოკემია პროვინციაა ავსტრო-ჰუნგრეთის შუაგული.

სულ ერთია ჰომერს დასწავეს, და ერთ კონა ჩალას, ოღონდ კი წაეკიდოს ცეცხლი. ეს დებულება კარგად დაუმტკიცეს ფრანგებმა გერმანელებს, ჰაიდელბერგის ¹⁾ ბიბლიოთეკა რომ დასწვეს, და გერმანელებმა ფრანგებს, სტრასბურგის ²⁾ ბიბლიოთეკა რომ დასწვეს. ეს ხიდი, ტურგის კოშკთან მიშენებული, სამხედრო თვალსაზრისით შეცდომას წარმოადგენდა; მაგრამ მეჩვიდმეტე საუკუნეში, კოლბერისა ³⁾ და ლუევუსა ⁴⁾ დროს, გოვენები, როგორც როჰანები ⁵⁾ და ლატრემუალები, ⁶⁾ დარწმუნებული იყვნენ, რომ იმათ ბრძოლას ველარავან გაუბედავდა. მაგრამ ხიდის ამშენებლებმა მაინც გამოიჩინეს ცოტა რამ სიფრთხილე. ხანძრის შიშით სამი ფანჯრის ზემოდან მდინარის მხრივ ჩამოჰკიდეს ბოძებზე, — ჯერ კიდევ შეიძლებოდა ამ ორმოცდაათი წლის წინათ იმ ბოძების ნახვა, — ერთი კარგი კიბე, რომლის სიგრძე უდრიდა ორ ზემო სართულის სიმაღლეს, და მიწაზე ეშვებოდა; გარდა ამისა, მტრების შემოსევაც იგულისხმეს და კოშკისა და ხიდის განსაცალკავებლად ერთი მძიმე, დაბალი, მაგარი რკინის კარი გააკეთეს. კარი ერგრგოლური იყო. ერთობ დაკეტილი იყო და გასაღები, ერთი მძიმე, ტლანქი გასაღები დამალული ჰქონდათ. სამალავი მარტოდ მარტო ბატონმა იცოდა. იმდენად მაგარი იყო ეს კარი, რომ აზარმაცსაც გაუძლებდა და თითქმის ზარბაზნის ყუმბარასაც.

ხიდზე უნდა გამოეველო, ვინც კოშკისკენ მოდიოდა, და რკინის კარს მიაღებებოდა. მერე ეს კარი უნდა გამოეველო, რომ კოშკში შესულიყო.

1

რკინის კარი

ხიდის ბურჯზე ამშენებული სახლის მესამე სართული იმავე სიმაღლისა იყო, რაც კოშკის მესამე სართულს ჰქონდა, და სწორედ ამ სიმაღლეზე იყო გაკეთებული რკინის კარი.

1) ჰაიდელბერგი ქალაქია გერმანიაში.

2) სტრასბურგი გერმანიის ქალაქია.

3) კოლბერი - იყო ლუი მე-14 ს. ფინანსთა მინისტრი. მისი მოღვაწეობის წყალობით საფრანგეთში განვითარდა სავაჭრო ვაჭრობა.

4) ლუევუა იყო სამხედრო მინისტრი ლუი მე-14 ს. დროს.

5) როჰანი იყო კალენისტების (პროტესტანტები) ბელადი ლუი მე-13-ს დროს.

6) ლატრემუალი იყო კარლოს მე-7-ს მინისტრი.

ხიდის მხრივ ეს კარი ბიბლიოთეკაში შედიოდა და კოშკის მხრივ ერთ დიდ, თალიან დარბაზში, რომელსაც სვეტი ჰქონდა შუაზე. ეს დარბაზი, უკვე ვთქვით, მეორე სართული იყო დილეგისა. მრგვალი იყო, როგორც თვით კოშკი. სინათლე მინდვრისკენ მიმართული გრძელი დოლაბებით შედიოდა. კედელი, სრულიად უწნო და ულაზათო, გაუღესავი იყო და არაფერი ჰფარავდა მის სიმეტრიულად დაწყობილ ქვას. ამ დარბაზში ასასვლელად ვიწრო კიბე იყო დატანებული კედელში, რაც არავეითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, რადგან კედელი თხუთმეტი ბიჯის სისქისა იყო. საშუალო საუკუნეებში ქალაქის ასაღებად საჭირო იყო ცალცალკე აღება ყველა ქუჩისა, ქუჩის ასაღებად საჭირო იყო ცალცალკე აღება ყველა სახლისა, და სახლის ასაღებად საჭირო იყო ცალცალკე აღება ყველა ოთახისა. ციხე-სიმაგრეს რომ მიაღებოდნენ, ცალცალკე იღებდნენ ყოველ სართულს. ტურგი ამ მხრივ ძალიან კარგად იყო აშენებული, მაგარი იყო და ძნელი დასამარცხებელი. ერთი სართულიდან მეორეში ასასვლელად კედელში დატანებულ კიბეს ხმარობდნენ და მეტად ძნელი და სახიფათო იყო ამ კიბეში შესავალი, — დაბალი და ვიწრო, შიგ ადამიანი ვერ გაიმართებოდა. უნდა დაღუნულიყო და ისე შემძვრალიყო. და ბრძოლის დროს თავდაღუნული თავგატეხილია, რადგან ყოველ კართან, შიგნიდან იდგა ალყაშემორტყმული და ელოდა ალყის შემომრტყმელს.

ამ მრგვალი დარბაზის ქვემოთ ორი ოთახი იყო პირველი სართულისა, და ზემოთ, მესამეში — სამი; კოშკს ქვიტკირის ბანი ჰქონდა და ზედ — პატარა საგუშაგო ფარდულზე.

თხუთმეტი ბიჯის სისქის კედელი უნდა დაემტვრიათ, რომ შიგ რკინის კარი გაემაგრებინათ შიგ შუაში, და ამიტომ, როდესაც დაკეტილი იყო, კოშკის მხრივ, თუ ხიდის მხრივ, შევიდგოჯიანი თალი აწვა ზემოდან; და თუ ღია იყო, ერთდებოდა ორივე თალი და ჰქმნიდა თალიან შესავალს.

ხიდის მხრივ კარიბჭე იდგა და მის ქვეშ კედლის სისქეში — დაბალი ხრახნიანი კარი, რომელიც მეორე სართულის ოთახში შედიოდა, ბიბლიოთეკის ქვეშ. ესეც დიდ სიმაგრეს წარმოადგენდა. ხიდზე აგებულ შენობას მინდვრის მხრივ კედლის მეტი არა ჰქონდა რა და ხრდიც იქვე წყდებოდა. მინდორში გადასასვლელად მოძრავი ბონდი იყო, რომლითაც შეიძლებოდა შესვლა ქვემო სართულის დარბაზში. ეს ოთახიც რომ დაეჭირა მტერს, რკინის კარს ვერ მიაღებოდა, მანამ ხრახნიან კარს არ შეამტვრევდა, რომ მეორე სართულში ასულიყო.

VI

ბიბლიოთეკა

მოგძო ოთახი იყო ბიბლიოთეკისა, ზიდის სიგრძისა და სიგანისა, და ერთად ერთი კარი ჰქონდა შესავალი, რკინის კარი. კედელს დატანებული ჰქონდა აგრეთვე პატარა კარი, მწვანე მაუდით დაფარული, კოშკში ასავალი. კედლებს იატაკიდან ჰქრამდე ამშვენებდა განჯინები შუშისანი კარებით, მეჩვიდმეტე საუკუნის ღურგლობის ხელოვნებისა. ექვსი ფანჯარა ანათებდა ამ დარბაზს, სამ-სამი ორივე მხრივ.

გარედან მშვენიერად ჩანდა ბიბლიოთეკის მოწყობილობა. ფანჯრების შუა ნაქანდაკე მუხის კვარცხლბეკზე ექვსი ძეგლი იდგა მარმარისა, — ბიზანტიელი ჰერმოლაუსისა, ნავკრატელი გრამატიკოსის ათენესი, სვიდისა, საფრანგეთი მეფის კლოვისისა და იმის კანცლერის ანაკალისა, რომელსაც ისევე არაფერი გაეგებოდა კანცლერობისა, როგორც მეფე კლოვისს მეფობისა.

ბევრი ღირსშესანიშნავი წიგნი მოიპოვებოდა ამ ბიბლიოთეკაში, მეტადრე ერთი სახელოვანი. ძველი ოთხადური იყო. დასურათებული; ყდაზე მსხვილი ასოებით ეწერა „წმ. ბართოლომე“ და მის ქვემოდან „სახარება წმ. ბართოლომეს თვალსაზრისით და წინასიტყვაობა პანტენუსისა, ქრისტიანი ფილოსოფოსისა გამოსაკვლევად საკითხისა — აპოკრიფი ხომ არ არის ეს სახარება და ნათანაელის ხომ არ არის წმ. ბართოლომე“.

— ამ წიგნისა სხვა ასლი აღარსად მოიპოვებოდა, — ცალკე მაგიდაზე იდგა შუა ბიბლიოთეკაში. წარსულ საუკუნეს ცნობისმოყვარენი დაიარებოდნენ მის სანახავად.

VII

ბ ე ლ ე ლ ი

მოგძო ბელელსაც იგივე სიგრძე-სიგანე ჰქონდა, რაც ბიბლიოთეკას. დიდი ოთახი იყო, ჭირნახულითა და თივით სავსე, ექვსი ფანჯრით განათებული, ბელელს მშვენება არ ესაჭიროებოდა, მაგრამ იქაც, კარზე, გამოქანდაკებული იყო წმ. ბარნაბა და ქვემოდან წარწერა ლექსად:

Barnabus sanctus falcem jubet ire per herbam

ამგვარად ერთი დიდი კოშკი იყო, მალალი და განიერი, მრავალ-

სართულიანი, აქა-იქ დოლაბებით დახვრეტილი, რომლის ერთად ერთი შესავალი რკინის კარი იყო: ამ კარით ხიდზე შეიძლებოდა გასვლა და ხიდის ბოლოს — ბონა: კოშკის უკან ტყე იყო; კოშკის წინ მწვანე ფერდობი, უფრო მაღალი, ვიდრე ხიდი და უფრო დაბალი, ვიდრე კოშკი. ხიდის ქვეშ, კოშკისა და ფერდობის შუა — ღრმა, ვიწრო ხევი, ბუჩქნარით სავსე, — მდინარე გაზაფხულზე გამშრალი; კლდოვანი სიციხეში, — აი, რას წარმოადგენდა გოვენების კოშკი; კოშკ-გოვად — ტურგად წოდებული.

VIII

მ ძ ე ვ ა ლ ი

ივლისი გავიდა, დადგა აგვისტო. რალაც გმირული და თან საშინელი დაერია საფრანგეთს. ორმა აჩრდილმა გადაიარა ჰორიზონტზე, მარატისამ, დანით განგმირულმა, და შარლოტ კორდესამ, თავმოკრილმა. საშინელი დრო დადგა. რაც შეეხება ვანდეს, ვანდეს უკვე დამარცხებულს დიდ ომში, ლაშქრით ბრძოლა მიეტოვებინა და ტყეს შეჰფარებოდა. ტყით იბრძოდა, და აქ კი უფრო ძნელი იყო, როგორც წინათაც ვთქვით, მასი დამარცხება. ერთ ადგილს, აღარსად იყო, ტყეში — ყველგან. სამეფო, კათოლიკეების ჯარად წოდებული ლაშქარიც დამარცხებული იყო. მაიანსის ჯარი იქ საჭირო აღარ იყო და დეკრეტით ვანდეში იყო გადაყვანილი. ანსენში რვა ათასი ვანდელი იქნა მოკლული; ნანტიდან ¹⁾ გარეკეს ვანდელები, მონტეგის ჭალებიდან, თუარიდან, ნუარმუტიეიდან, შოლიდან, მონგანიდან, სომურიდან ²⁾; ბარიენეი თვითონვე მიატოვეს ვანდელებმა, აგრეთვე კლისონი. შატილიონიდან გაიქცნენ, სენტ-ალერში ერთი დროსა დაჰკარგეს; პორნიკაში დამარცხდნენ, საბლში, ფონტენეიში, დუეში. შატო-დ-ოში, პონ-დე-სეში; განდევნილ იქმნენ ლუსონიდან, შატნერედან და იონიდან. მაგრამ იარაღის დაყრას არ ვიჭრობდნენ და ლაროშელს ემუქრებოდნენ; იმავე დროს ჟერსეიში ინგლისელების გემები იდგა გენერალ გრეგის მეთაურობით და მარკიზ ლანტენაკის ნიშანსლა ელოდა, რომ საფრანგეთისკენ წამოასულიყო. ინგლისელ ჯარს და მეზღვაურებს საფრანგეთიდან გაქცეული ოფიცრები და საუკეთესო მეზღვაურები ერივნენ. ამ გემების საფრანგეთში მოსვლასა და ჯარის გადმოსხმას შეიძლებოდა მეფის

1) ნანტი საფრანგეთის ჭალაქია.

2) ზემოდასახელებული სახელები ადგილებია ვანდეში.

მომხრეებისთვის მიეცა გამარჯვებული პიტი განაგებდა, ვერაგი პოლიტიკოსი. მაგრამ ლ. ი და ვერაგობა ისეთივე აუცილებელი ნაწილია პოლიტიკისა, როგორც ხანჯალი აღქურველობისა. პიტი შიგ გულში სცემდა ხანჯალს ჩვენ ქვეყანას და ჰლალატობდა თავისას. რადგან მოლაღატეა თავის ქვეყანა. ვინც სამარცხვინოდ იქცევა. პიტის დროს და პიტის წყალობით სწორედ პუნიკურ ომს აწარმოებდა ინგლისი საფრანგეთის წინააღმდეგ. — ჯაშუსები ჰყავდა ყველგან, ყალბობდა, ცრუობდა. კონტრაბანდის შიდიველსა და ყალბი ასიგნაციებით შემოიარს საძრახისად აღარ მიაჩნდა რა და სიძულვილით გახელებული ყველაფერს კადრულობდა. საფრანგეთში ქონი გააწყო, თავის კაცებს შეასყიდინა ლივრი ხუთ ფრანკად. ლილში ერთი ინგლისელი დაიპირეს, რომელსაც პრიგანის, ვანდეში გამოგზავნილ პიტის მოხელის, წერილი აღმოაჩნდა და შიგ შემდეგი ბრძანება:

„ყაირათი და ფულის დაზოგვა საქირო არ არის. დარწმუნებული ვართ, რომ ფრთხილად მოაწყობთ საქმეს და ისე მოაკვლევინებთ ღვთისა და ქვეყნის მტრებს. ამ საქმეში გადაცემულ მღვდლებსა და ქალებსავით კარგათ ვერავინ დაგეხმარებათ. სამოცი ათასი სტერლინგი გაჰგზავნეთ რუანში და ორმოცდაათი ათასი კანში“.

ეს წერილი ბარერმა წაუკითხა კონვენტს პირველ აგვისტოს. ამ საზიზღარმა საქციელმა ინგლისისამ გამოიწვია მხეტური სისხლის ღვრა პარეინისა და მერე კიდევ მძვინვარება კარიესი. მეცელი რესპუბლიკელები და აგრეთვე სამხრელები კონვენტს სთხოვდნენ. — ნება გვიბოძეთ აჯანყებულების ამოსაწყვეტად წავიდეთო. კონვენტის დეკრეტით ოცდაოთხი რაზმი უნდა შემდგარიყო პიონერებისა, რომ ბოკაეში მთლად გადაეწვათ ლობეები. საშინელ გაქირვებას განიცდიდა საფრანგეთი. ერთგან, რომ გათავდებოდა ომი, გათავდებოდა მხოლოდ იმისათვის, რომ სხვაგან დაწყებულიყო. — არავინ დაინდოთ! არავინ დაატყვევოთ! — აი, რას გაჰყვიროდა რევოლუციისა და აჯანყებას. საშინელი აჩრდილებით ივსებოდა ისტორია.

და სწორედ ამ დროს მოამწყვდიეს რესპუბლიკელებმა მტერი ტურგში და ალყა შემოარტყეს.

ერთ ღამეს, როდესაც ის იყო ვარსკვლავთ ციალით დამშვენდა ზეცა და ღრმად მისძინებოდა ბუნებას, სიოც კი აღარსად იძვროდა, რომ ფოთოლი შეენძრია ტყეში და ბალახი გაეჩუჩუნებინა მინდორში, საყვირის ხმა გაისმა უცბად. ტურგის კოშკის ბანიდან ისმოდა საყვირი.

საყვირს, რა გაჩუმდა, ქვემოდან იმითვე უპასუხეს.

ზემოთ. კოშკის ბანზე ერთი კაცი იდგა, შეიარაღებული; ქვემოთ, ტურგის გარშემო ბანაკი იყო რესპუბლიკელებისა.

ტურგის სიმაგრის გარშემო ბუნდოვნად ჩანდა ბანაკის მოპარაობა. აქა-იქ ხეების ქვეშ და ფერდობის ბალახებში ცეცხლი გაჩნდა და თავის სინათლით ალაგ-ალაგ გაარღვია ღამის სიბნელე, თითქო დედამიწას შეშურდა ცის ვარსკვლავები და თვითონაც კაშკაშს აპირებდა, — სამხედრო, სისხლისმღვრელი და საგლოვი ცეცხლითაო! ფერდობის მხრივ ბანაკი მინდვრამდე გაჭიმულიყო და ტყის მხრივ შიგ ტყეში შესულიყო. ალყა შემოერთყათ ტურგისთვის.

ბანაკის ვრცელი ფართობი ცხადპყოფდა რესპუბლიკელების ჯარის სიმრავლეს.

შიგ შუაში მოემწყვდიათ ტურგი; კოშკის მხრივ კლდემდე და ხიდის მხრივ ხევამდე დაბანაკებულიყო ჯარი.

მეორედ გაისმა საყვირი კოშკის ბანიდან და მის პასუხად ბუკის ხმა ქვემოდან.

საყვირით კოშკი ეკითხებოდა ბანაკს, — მოლაპარაკება გვინდა თქვენთან. მოგვისმენთო? — და ბუკით პასუხი იყო საყვირისა, — ბრძანეთო.

ვანდელებს კონვენტი აჯანყებულებად სთვლიდა და არა მეომრებად და აკრძალული იყო ამ ყაჩაღებთან შუაგაცების დანმარებით მოლაპარაკება. და ამიტომ იძულებული იყვნენ ყოველგვარი სხვა საშუალება ეხმარათ, ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რომლებიც ნებადართულია ომში და აკრძალულია სამოქალაქო ომში და აქედან — ერთგვარი შეთანხმება, შუაგაცების მაგივრად, საყვირისა და ბუკის ხმარება. პირველი ხმა — დაძახება იყო; მეორე — შეკითხვა, მოგვისმენთ, თუ არაო? საყვირის მეორე ხმას თუ ქვემოდან პასუხს არ გასცემდნენ, ეს უარის ნიშანი იქნებოდა; და თუ საყვირს მეორეჯერაც პასუხს მისცემდნენ, ეს თანხმობის გამოცხადება იქნებოდა და, მაშასადამე, დროებითი ზავი, მოლაპარაკების განმავლობაში.

საყვირის მეორედ დაკვრას რომ ქვემოდან თანხმობის ნიშანი მისცეს, კოშკის ბანზე მდგომმა შემდეგი სიტყვით მიმართა რესპუბლიკელებს:

„ — ხომ გეყურებათ ჩემი? მე გუჟ-ლე-ბრუანი ვარ, მეტ სანელოდ ლურჯების მკვლელს მეძახიან. რადგან მუსრი გავავლე თქვენებს, და კიდევ იმანუსს მეძახიან, რადგან ჯერ არ გავმძლარე ვარ თქვენი სისხლით და ერთი-ასად მეტს დაგხოცავთ, ვიდრე აქამდე დამიხოციხართ. გრანვილს რომ შევესიეთ, თქვენ თითი მომავდე-

ბრნეთ ხმლით, ჩახმახის აწევას რომ ვლამობდი, და ლავალში გილო-
ტინით თავი მოაგდებინეთ მაჰაჩემს, დედაჩემსა და ჩემს დას, ჟაკ-
ლინს, თვრამეტი წლის გოგოს. ახლა ხომ გაიგეთ ვინ ვარ?

„მე ბატონის, მარკიზ გოვენ-ლანტენაკის სახელით გელაპარა-
კებით, რომელიც ფონტენის ვიკონტი ბრძანდება, პრინცი ბრეტა-
ნისა. ბატონი შვიდი ტყისა და ჩვენი მხედართმთავარი.

„იკოდეთ, რომ დიდებულმა ბატონმა მარკიზმა, ვიდრე გამაგრ-
დებოდა ამ კოშკში, რომელსაც თქვენ ალყად შემოხვევიხართ, ექვს
მხედართმთავარს მიანდო ომის განგრძობა, თავის თანაშემწეებს.
დალიერს ბრესტის გზიდან ერნეს გზამდე; ტრეტონს ლაროედან ლა-
ვალამდე; ჟაკეს, რკინის მდრეკს, ზემო მენის საზღვარი, გოლიეს-
სალ-კლდედ წოდებულს, გონტიეს ციხე-სიმაგრე; ლეკონტს გრაონი;
ბატონ დებუა-გის ფუჟერი და ბატონ როშამბოს მთელი მიანსი. ისე
რომ. კიდევ რომ აიღოთ ეს სიმაგრე, ამით ომს ბოლოს ვერ მოუ-
ღებთ და, თუნდა კიდევ მიიცვალოს ბატონი მარკიზი, უპატრონოდ
არ დარჩება ღვთისა და მეფის ხვედრი ვანდე.

„რაც გითხარით, ეგ იმისთვის, რომ გაგაფრთხილოთ; დიდებუ-
ლი ბატონიც აქვე ბრძანდება, ჩემ გვერდით. მე პირი ვარ და ენა.
რომელიც მის სიტყვას გამცნობთ. ჰო და, გაჩუმდით და მოგვის-
მინეთ.

„ნუ დაგავიწყდებათ. რომ ყოველად უსაფუძვლო არის და უმარ-
თებულო თქვენი აქ შემოსევა. ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ვართ, ჩვენს
ქვეყანას ვიცავთ და პატიოსნად ვიბრძვით. გულწრფელები ვართ და
წმინდები ღვთისა წინაშე, როგორც უმანკო მდელო, ცერით და-
ნამული. ჩვენ კი არა, რესპუბლიკამ შემოგვიტია. შემოგვესია და
აიკლო აქაურობა. ყანები გაგვითელა, სახლები დაგვიწვა, მოსავლა
წაგვიხდინა, ზარბაზნის ტყვია დაგვიშინა და ჩვენი ცოლშვილი
ტყისკენ გააქცია სწორედ იმ დროს, როდესაც ჯერ ისევ თოვლი
იდვა მიწაზე.

„ვინც მანდ ხართ და მისმენთ. ტყეებში შეგეყარეთ ყველა და
აქაც მოგვაგენით, ამ სიმაგრეში, და დამწყვდეული გყავართ. და-
ხოცეთ და გაძუანტეთ, ვინც ჩვენკენ იყო. თქვენ ზარბაზნები გაქვთ.
თქვენს ჯარს საგულშაგო რაზმები მიუმატეთ მორტენისა, ბარანტო-
ნისა, ტელეისა, ლანდივისა, ევრანისა, ტანტენიაკისა და ვიტრესი,
ისე რომ ოთხიათას ხუთასი კაცი მაინც ხართ ჩვენთან საბრძოლ-
ველად. და ჩვენ კი, სულ ცხრამეტი კაცი ვართ თავის დასაცავად.

„საქმელ-სასმელიც საკმარისი გვაქვს და იარაღიც.

„ხომ მოახერხეთ და ნაღმი ჩაგვიდევით. ხომ ააფეთქეთ ნაწილა ჩვენი კლდისა და კედელიც დაგვინგრიეთ.

„კოშკის ძირში დაგვინგრიეთ კედელი და ამ ნანგრევით შეგიძლიათ შემოგვიცვივდეთ. თუმცა არც თუ ძალიან ადვილი იქნება ჩქიდან შემოსვლა, მით უფრო, რომ იმ ნანგრევს თავს ადგას და დაჰყურებს ტალივით მაგარი კოშკი.

„და ახლა იერიშით შემოტევას გვიმზადებთ.

„ჩვენ კიდევ, სახელდობრ დიდებული ბატონი მარკიზი, რომელიც ბრეტანის პრინცი ბრძანებდა და ამასთანავე საერო წინამძღვარი ლანტენაკების წმ. მარიამის ეკლესიისა, რომელშიც დედოფლის ჟანას შეწირულებით ყოველ დღე გაისმის წირვა-ლოცვა. დიან, ჩვენ, დიდებული ბატონი ლანტენაკი და სხვა დამცველები ამ კოშკისა, რომელთა შორის დავასახელებ მღვდელს ტურმოს, ბრძოლაში გულმაგრად წოდებულს, ჩემ ამხანაგს ნუიზოს, კაპიტანს პუვანე ბანაკისას, ჩემ ამხანაგს შანტ-ან-იეერს, კაპიტანს დავუანის ბანაკისას, ჩემ ამხანაგს მუზეტს, აგრედვე კაპიტანს, და მე ბურგ-დედაონელ გლეხკაცს. მორიანდრის წყალზე რომ არის, ჩვენ ყველას ცოტა რამ სათქმელი გვაქვს თქვენთვის.

„მაშ ყური დამიგდეთ, ვინც მანდ ხართ, ამ კოშკის ძირში.

ჩვენ აქ სამი ბავშვი გვყავს, ტყვეები. ეს ბავშვები შეილობილად აიყვანა ერთმა თქვენმა ბატალიონმა და, მშასადაძმე, თქვენები არიან. ჰო და, წინადადებას გაძლევთ, მიიღოთ ეს ბავშვები.

„ოღონდ ერთი პირობით.

„იმ პირობით, რომ ჩვენც ყველას თავისუფლად გაგვიშვებთ აქედან.

„თუ არ მიიღებთ ჩვენს წინადადებას, კარგად მოისმინეთ ჩემი სიტყვა, იერიშით მოსვლას შესძლებთ, ან დანგრეული კედლით, ტყიდან, ან ხილით, მინდვრიდან. ხიდზე აგებულ შენობას ოთხი სართული აქვს; ქვემო სართულში მე დავაწყობინე, მე იმანუსმა, თქვენ რომ გელაპარაკებით, მე დავაწყობინე ექვსი ტონა ფისი და ასი კონა კარგად გამხმარი ფიჩხი, ზემო სართულში თივა არის და შუა სართულში — წიგნები და ქალაღები. რკინის კარი, რომლითაც ხიდიდან კოშკში უნდა შემოხვიდეთ, დაკეტილია და გასაღები ბატონ მარკიზს უდევს ჯიბეში. მე კიდევ იმ ქარისქვეშ პატარა ჩვრელი გაეთხარე და ამ ჩვრელში გვაეტარე გოგირდიანი პატრუქი. ამ პატრუქის ბოლო ერთ ტონა ფისშია ჩართული და თავი კი მე მიქირავს ხელში, რომ უცბად წაუეკიდო ცეცხლი შიგ კოშკში, და, მშასადაძმე, ავაფეთქებ აქაურობას, როდესაც კი მოვიპრიანებ. თუ

წებას არ მოგვეცემთ, რომ თავისუფლად გავიდეთ, სამ ბავშვს ხილზე აგებულ შენობაში ავიყვანთ, მესამე სართულში, რომელსაც ზემოდან ჩალით გატენილი ოთახი ადგას, და ქვემოდან — ფისითა და ფიჩხით სავსე ოთახი, და კარს ჩაუჭკეტავთ. თუ ხილიდან შემოგვესიეთ, შენობას თქვენ გაუჩინთ. ხანძარს და ბავშვებსაც თქვენ დასწვავთ. თუ გატენილი კედლით გვიპირებთ, სახლსაც ჩვენ ავაჯუტებთ. ბავშვებსაც ჩვენ დაგწვავთ. თუ ორივე მხრივ მოიტანეთ იერიში, ხილიდანაც და კოშკის ნანგრევიდანაც, ცეცხლს ერთდროულად გააჩინთ თქვენცა და ჩვენც. ასე იქნება თუ ისე, თქვენი ბავშვები დაილუპებიან.

„და ახლა მიიღეთ ჩვენი პირობა, ან უარი გვითხარით.

„თუ მიიღებთ, ჩვენ მივდივართ.

„თუ არა და, დაილუპებიან თქვენი ბავშვები.

ვთქვი და გავათავე“.

გაჩუმდა კოშკის ბანიდან მოლაპარაკე.

ქვემოდან ხმა გაისმა;

— ვერ მივიღებთ მაგ წინადადებას.

მოკლედ მოკრილი იყო პასუხი, მკაცრი კილოთი. და მას თან მოჰყვა მეორე, სიმკაცრეს მოკლებული, მაგრამ მაგარი და კითხვის საბოლოოდ გადამწყვეტი:

— მოგვიცია თქვენთვის ოცდაოთხი საათი, რომ იარაღი დაჰყაროთ და დაგვენბდეთ ჩვენ ნებისად.

მიჩუმდა ყველა. და იმავე ხმამ განაგრძო ცოტა ხანს უკან:

— ხვალ, ამდროსვე, თუ არ დაგვენბდით, ბრძოლას დაუწყებთ თქვენს სიმაგრეს.

და კვლავ გაისმა პირველი, მკაცრი ხმა:

— და მაშინ კი არავითარი შებრალება!

ამ სიტყვებს, სასტიკად წარმოთქმულს, სულ სხვა ხმით უპასუხა კოშკის ბანიდან ვილაცა სხვამ, და არა იმანუსმა; კოშკის ბანის ორ ქონგურს შუა ვილაც მაღალი ტანის კაცი გამოჩნდა დალუნული; მთვარე არ იყო, მაგრამ ვარკვლავები ანათებდნენ ცას და ბუნდოვან სინათლეში ყველა იცნობდა. თუ ოდესმე ენახა სადმე, მარკინ ლანტენაკს. დაკვირვებით დასცქეროდა ქვემოებს, თითქო ვილაცას ეძებსო, და ჩამოჰყვირა:

— ოჰო! და შენა ხარ, მღვდელი!

— მე ვარ, მე, მხეცო! — უპასუხა ქვემოდან მკაცრმა ხმამ.

IX

ქველევურივით საშინელი.

და მართლაც, მკაცრი ხმით ქვემოდან პასუხს სიმურდენი აძლევდა, და მეორე ბრძანებით, მაგრამ სიმკაცრეს მოკლებული ხმით, გოვენო.

არ შესცდა მარკიზ დე-ლანტენაკი, რომ ქვემოდან მოლაპარაკეში სიმურდენი იცნო.

რამდენიმე კვირის განმავლობაში დიდი სახელი გაითქვა სიმურდენმა ამ სამოქალაქო ომით აფორიაქებულ ქვეყანაში. მაგრამ სამო არა იყო რა ამ სახელოვნობაში. — მარატი პარიზშიო. — იძახდა ხალხი, — შალიე ლიონში და სიმურდენი ვანდეში. დიდ პატივს სცემდნენ ოდესღაც მღვდელ სიმურდენს და ახლა კი თავზე ლაფსასხამდნენ, — პატიოსანი კაცი რომ ყოფილიყო, ანაფორას არ გაიხდიდაო. საშინელებად გარდაქმნილიყო სიმურდენი. და მართლაც უბედურია მკაცრი: ამტყუენებს ყველა, ვინც ხედავს მის საქციელს, მაგრამ რომ შეეძლოს მის გულში ჩახედვა, იქნება კიდევ გაამართლოს. ლიკურგს რომ შეხედავთ, თუ არ გაიცანით, ტიბერად გეჩვენებათ. ასეა, თუ ისე, ხალხს საზიზღრად მიაჩნდა ორივე; მარკიზ ლანტენაკიც და სიმურდენიც ერთნაირად სძულდა ორივე. მეფის მომხრეები სიმურდენს ლანძღავდნენ და სწყევლიდნენ, რესპუბლიკელები — ლანტენაკს. სიმურდენი ურჩხულად ეჩვენებოდა აჯანყებულებს და ლანტენაკი — არა ნაკლებ საზიზღრად რესპუბლიკელებს. იმდენად მძლავრი იყო ორივესადმი ზიზღი და სიძულვილი, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც პრიორ დე-ლა-მარნი გრანვილში დიდ ჯილდოს ჰპირდებოდა განცხადებით, ვინც ლანტენაკს დაიჭერდა, ან მოჰკლავდა, სწორედ იმ დროსვე შარეტი ნუარმუტიეში განცხადებითვე დიდ ჯილდოს ჰპირდებოდა სიმურდენის დამკერს, ან მოკვლელს.

უნდა ვთქვათ, ეს პოლიტიკურად ერთმანეთის მტრები, მარკიზი და სიმურდენი, ნაწილობრივ ერთსა და იმავე ადამიანს წარმოადგენდნენ. ბრინჯაოს ნიღაბს სამოქალაქო ომისას ორი გვერდი აქვს; ერთი წარსულისკენ არის მიბრუნებული, მეორე მომავლისკენ იყურება, მაგრამ საშინელი და ტრაგიკულია ერთიც და მეორეც. ლანტენაკი წარსულისკენ მიბრუნებული გვერდი იყო ამ ნიღბისა, სიმურდენი — მომავლისკენ; ოღონდ მწარე პირი ლანტენაკისა. წყვილადს მოეცვა და სიმურდენის შუბლზე კი განთიადი ბრწყინავდა.

ალყაშემორტყმულ ტურგს დღეს საშიში არა ჰქონდა რა.

გოვენის წყალობით, როგორც ვნახეთ, ერთი დღელამის ვადა მის-
ცეს მოსაფიქრებლად.

იმანუსმა ძალიან კარგად იცოდა, რომ სიმურდენის ბრძანებით ახალი ძალები მიემატა გოვენს და დღეს უკვე ოთხიათას ხუთასი კაცი ჰყავდა, როგორც ეროვნული გვარდიელები, აგრეთვე მოხაზე ჯარები, და ამ ძალით ემუქრებოდა ტურგს. იცოდა აგრეთვე, რომ ტურგის სიმაგრის სანგრევად თორმეტი ზარბაზანი იყო გატენილი, ექვსი კოშკისკენ მიმართული ტყისპირიდან, დამალულ ბატარიად, და ექვსიც ფერდობიდან. გარდა ამისა გოვენმა ნაღმი ააფეთქა კოშკის ძირს და უკვე ნაპრალი ჰქონდა კოშკის კედელს.

და ამგვარად, როგორც კი გაივლიდა დანიშნული ოცდაოთხი სა-
ათის ვადა, ხელახლად დაიწყებოდა ბრძოლა.

აი, რა მდგომარეობაში იყვნენ მეომარნი:

ფერდობზე და ტყეში ოთხიათას ხუთასი კაცი იყო მო-
ვროვილი.

ტურგში — ცხრამეტი.

ამ ცხრამეტი კაცის ვინაობა შეიძლება ისტორიამ გამოაკვლიოს იმ განცხადებებით, რომლებითაც კანონის გარეთ მყოფად იყვნენ გამოცხადებული ეს ვანდელები. იქნება ჩვენც შეგვხვდეთ სადმე.

ამ ოთხიათას ხუთასი კაცის, თითქმის ლაშქრის, მეთაურისთვის სიმურდენს უნდოდა გენერლობა მიეცა, მაგრამ უარი განაცხადა გოვენმა: — ლანტენაკი დავიჭიროთ და მერე ვნახოთ. ჯერ კი არა-
ფრით დამიმსახურებია ეგ წარმატებაო.

მაგრამ რესპუბლიკელებში ხშირი იყო და ჩვეულებად ხდებოდა ამგვარი მდგომარეობა: ხარისხით პატარა მოხელე იყო კაცი და თანამდებობით კი დიდი. შემდეგში იყო, ბონაპარტი არტილერიის ეს-
კადრონის მეთაურად ირიცხებოდა ხარისხით და იტალის ლაშქარს კი მხედართმთავრობდა.

უცნაური ბედი ეწია გოვენების კოშკს. ერთი გოვენი დანგრე-
ვას უქაღდა, მეორე გოვენი დაცვას ცდილობდა. ამიტომ იყო, რომ სინანულს გრძნობდა გოვენი, მარტო გოვენი, რადგან ლანტენაკი იმ კაცთაგანი იყო, რომლებსაც ქვა უდევთ გულის მაგივრად, და ეგეც რომ არა ყოფილიყო, ის სულ ვერსალში ცხოვრობდა და არავითარი სიყვარული არა ჰქონდა ამ ციხე-სიმაგრისა, რომელსაც არც კი იც-
ნობდა. სხვა გზა არა ჰქონდა და თავი შეაფარა ამ ციხეს. მიწის-
პირიდან აღგვიდა, თუ საჭირო იქნებოდა, წარბსაც არ შეიხრიდა. გოვენი კი პატივისცემით შესცქეროდა მამაპაპეულს.

სუსტი მხარე სიმაგრისა ხიდი იყო; მაგრამ სწორედ ამ ხიდზე იყო ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკაში — საგვარეულო არქივი. აქედან რომ დაეკრა გოვენს, ხანძარი აუცილებელი იქნებოდა, და არქივის დაწვა შიგ გულში სცემდა გოვენს. — ნუ თუ იარაღს ვიხმარ მამა-პაპაზედაო? მამაპაპეული ციხე-სიმაგრე და ბინა იყო გოვენების ტურვის კოშკი; ამ კოშკს ემორჩილებოდნენ ყველა დიდებულები ბრეტანისა. როგორც ყველა დიდებულები საფრანგეთისა ემორჩილებოდნენ ლუერის სამეფო კოშკს. იქ გაეტარებინა ბავშვობა, სიყმაწვილე. იქ დაბადებულ იყო. გველივით შხამიანი ბედისწერა აიძულებს ადამიანს იარაღითაც მივიდეს იმ კედლებზე, რომლებიც მისი მფარველები იყვნენ, როდესაც ჩვილი ბავშვი იყო და აქ იზრდებოდა. ნუ თუ ისე გულქვა იქნება, რომ ცეცხლს წაუკიდებს და ნაცრად აქცევს თავის აღმზრდელ სახლს? იქნება. თვითონ იმისი აკვანიც იქ არის სადმე მიმალული, ბელელში, ან ბიბლიოთეკაში. გულსაწყლავია ზოგი ფიქრი! შესცქეროდა გოვენი თავის საგვარეულო, ძველისძველ სახლს და გული უთრთოდა.

ამიტომ იყო, რომ დაინდო ხიდი. ისე მოაწყო საქმე, რომ ყოველად შეუძლებლად გახადა ხიდის მხრივ გამოსვლა, ან გაპარვა ლანტნაისა და იმის კაცებისა. ხიდს ექვსი ზარბაზანი დაუმიზნა, მაგრამ საიერიშოდ კი სიმაგრის მეორე მხარე დანიშნა, კოშკი. ამის შედეგი იყო ხვრელი კოშკის კედლის ქვეშ. ნაღმით კედლის მიწისპირითან დანგრევა და მის ზევით — ნაპრალი.

სიმურდენმა გოვენს მიანება ეს საქმე, მაგრამ ნანობდა, რადგან მის სიმკაცრეს არაფრად მოსწონდა ეს გუთური სიძველენი, და ისევე დაუნდობლად დაანგრევდა, როგორც დაუნდობლად ხოცავდა რესპუბლიკის მტრებს. დიდებულების ბუნაგის დანდობა იმას გულჩვილობის ნიშნად მიაჩნდა და გოვენსაც ხომ სულ ამ გულჩვილობას, მის სუსტ მხარეს, უსაყვედურებდა. ამ მხრივ თვალს არ აშორებდა გოვენს, უფსკრულისკენ დაქანებულ დაღმართზე მდგომად მიაჩნდა და სულ იმას გაფრთხილებაში იყო.

მაგრამ თვითონ სიმურდენიც, თუმცა გაბრაზებით ჰგმობდა ამ გრძნობას, გულის კანკალით შეჰყურებდა ტურგს. სიამით აგონდებოდა დიდი დარბაზი, რომელშიც მამაშვილურად ასწავლიდა გოვენს კითხვას. იქვე ახლო მღვდლად იყო, სოფელ პარინიეში, და როგორც გოვენის მასწავლებელი, ისიც ამ სიმაგრეში ცხოვრობდა, ხიდის ბურჯზე აგებულ შენობაში. მოაგონდა პირველდაწყებითი მეცადინეობა, კალთაში რომ უჯდა პატარა გოვენი და ანბანის ასოებს არჩევინებდა. ამ ძველი შენობის კედლებში იყო, რომ

მის თვალწინ იშლებოდა და ყვაეოდა მისი საყვარელი მოწაფე, სულიერი მისი შვილი, იზრდებოდა გონებრივ და ზნეობრივ სრულადამიანად. აქ, ამ ბიბლიოთეკაში, ამ კედლებში გაატარა თავისი ყმაწვილკაცობა. უმანკო ბავშვის სიყვარულით დამტკბარი, და ახლა თვითონვე უნდა დაანგრეოს და გადასწვას? არა, თვითონვე ხედავდა, რომ ამას ვერ იზამდა, თუმცა ძალიან უკმაყოფილო იყო თავისი თავისა.

გოვენს მიანება ბრძოლის წარმოება, ხილით კი არა, სიმაგრის მეორე მხრივ, კოშკის მხრივ დაკვრა. ტურგს თავისი ველური მხარე ჰქონდა, კოშკი, და თავისი განათლებული მხარე — ბიბლიოთეკა. სიმურდენმაც ნება მისცა გოვენს დასანგრევად ველური მხარე გაემეტოთო.

გოვენი უპირებდა დანგრევას ამ ციხე-სიმაგრეს. გოვენივე ცდილობდა თავის დაცვას ამ ციხე-სიმაგრით. რევოლუციის ხანა იყო, მაგრამ ტურგს კი ძველი, ფეოდალური დრო დასდგომოდა. საშუალო საუკუნეების ისტორია სავსეა ნათესავეების ერთმანეთთან ბრძოლით. ეთოკლი და პოლინიკე ბერძნები იყვნენ, მაგრამ გუთებშიც იგივე ომი ჰქონდათ ძმებს ერთმანეთთან. და ჰამლეტი სწორედ ისევე მოიქცა ელსენერში, როგორც ორესტი — არგოსში.

X

ბავშვების გადასარჩენად

ხვალისთვის ემზადებოდნენ ორივე მხრივ. ღამე მზადებაში გაატარეს, როგორც კი გათავდა იმანუსისა და სიმურდენის მოლაპარაკება, გოვენმა მაშინვე გეშანი დაიბარა.

გეშანი, — საჭიროა, ცოტად მაინც გავიცნოთ გოვენის თანამემწე, — პატიოსანი კაცი იყო, მამაცი. უფრო კარგი აღმასრულებელი, ვიდრე მბრძანებელი, ჭკვიანი, ადვილად შემგნები ბრძანებისა და ასევე არშემგნები, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვდა, ულმობელი და თავისი მოვალეობით გატაცებული. არ უღალატებდა თავის მოვალეობას, რაც უნდა დიდი ყოფილიყო ცთუნება, რომ არ წარყვინილიყო სინიდისი, და არ უღალატებდა თავის მოვალეობას. რაც უნდა საბრალო ყოფილიყო მის ხელთ ჩავარდნილი, რომ არ წარყვინილიყო მართლმსაჯულება. გულზე და სულზე ორი შუქფარი ეფარა. როგორც ცხენს დაათარებენ ხოლმე ორსავე თვალზე. — დისციპლინა და მოვალეობა, და ისიც ისე იქცეოდა, ამ ორ

მცნების შუა მომწყვედელი, რომ არცერთს ასცდენოდა. არც მეორეს. ნაბიჯი დიდი ჰქონდა, მაგრამ სავალი ვიწრო, თავის შუქვარების იქით ვერას ხედავდა.

ერთობ სანდო კაცი იყო, მკაცრი, როდესაც მეთაურობდა, და სასტიკი აღმასრულებელი, როდესაც ბრძანება ჰქონდა.

გეშანის მისვლა და გოვენის კითხვა ერთი იყო:

- გეშან. კიბე გვჭირია.
 - კიბე არა გვაქვს.
 - უნდა ვიშოვოთ სადმე.
 - აძვრომას ვაპირებთ?
 - არა, ბავშვების გადარჩენას.
- ჩაფიქრდა გეშანი. მერე მოახსენა:
- ძალიან კარგი, მაგრამ მაგისტვის მეტად გრძელი კიბე დაგვიჭირდება.
 - სამივე სართულის სიმაღლე.
 - დიახ, კოშკის სიმაღლე.
 - და ცოტა მეტიც, რომ მოულოდნელი არა შეგვემთხვეს რა.
 - მართალს ბრძანებთ.
 - როგორ მოხდა, რომ კიბე არ იზრუნეთ?
 - თქვენი ბრძანება მაქვს, სიმაგრის ფერდობიდან კი არა, კოშკის მხრიდან მივადგეთო, იერიში ხილზე კი არა კოშკზე მივიტანოთო, და ჩვენც ნაღმისთვის თხრილის გაყვანას მოვუნდით, აქეთა მხრისა აღარა ვიზრუნეთ რა.
 - ეხლავე გააკეთებინეთ, სასწრაფოდ.
 - სამი სართულის სიმაღლის კიბეს აგრე სწრაფად ვერ გააკეთებენ.
 - რამდენიმე კიბე მიაბმევიანეთ ერთმანეთზე.
 - რომ არც პატარები გვაქვს?
 - უნდა იშოვოთ.
 - აქ ვერსად ვიშოვით. გლეხკაცები ამტვრევენ და სწვავენ კიბეებს, ამტვრევენ ურმებს, ანგრევენ ხიდებს...
 - რომ ხელფეხი შეუკრან რესპუბლიკას. მართალია.
 - დიახ, რომ ველარც რისამე ზიდვა შეგვეძლოს, ველარც წყალში გასვლა, ველარც კედელზე აძვრომა.
 - ეგ აგრე, მაგრამ მე მაინც კიბე მინდა.
 - მეც მაგას ვფიქრობ. ყავენეში, ზუუყერის ახლოს, დიდი ქანაა სადღურგლო. იქნება იქ ვიშოვოთ.
 - აბა, ჩქარა!

— როდისთვის გნებავთ ეგ კიბე?

— ხვალ, ამ დროსთვის. მაგრამ რაც მალე იქნება, მით უკეთესა.

— ახლავე გავგზავნი, ცხენით. რეკვიზიციის ბრძანებას გავატან. უკუნეში ცხენოსანი რაზმი დგას და ისინი გამოაყოლებენ მცველებად ბიჭებს. მგონია, რომ ხვალ მზის ჩასვლამდე კიბე აქ იქნება.

— ძალიან კარგი. აბა, ჩქარა.

ათი წუთიც არ გასულიყო, გეშანი წინ გამოეჭიმა გოვენს და მოახსენა:

— ასრულებული გახლავთ თქვენი ბრძანება. კაცი წავიდა.

გოვენი ფერდობზე ავიდა და თვალი ვედარ მოაშორა თავის სახლს. იდგა და შესცქეროდა. კედლის კურტანს სახლისას არა ჰქონდა არავითარი მანძი, გარდა შესავალი კარისა, და იმისთვისაც მოძრავი კიბე დაეფარებინათ. ხევი უნდა გადაეგლოთ, სხვა გზა არ იყო. ფერდობიდან ხიდის ბურჯებთან მისასვლელად ხევში უნდა ჩამძვრალიყო კაცი, ძალიან ფრთხილად, ბუჩქიდან ბუჩქამდე ცოცვით. მაგრამ ჩავიდოდი და ვაი იმისი ბრალი! სეტყვასავით დაატყდებოდა სამივე სართულის ფანჯრებიდან გამოსროლილი თოფი და დამბაჩა. უყურა, უყურა გოვენმა და დარწმუნდა, რომ ერთად ერთი გზა გამარჯვებისა კოშკზე მისვლა იყო.

ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ მომწყვედეულთაგანი არავინ გაჰპარვოდა. უფრო ახლო და მჭიდროდ შემოახვია ტურგს ჯარი. ერთმანეთს დაუახლოვა თავისი ბატალიონები, რომ მათ შორის მანძიში გავლა შეუძმნევლად არავის შესძლებოდა. სიმურდენმა და გოვენმა გაინაწილეს სიმაგრის გარემოცვა: ტყისპირი გოვენმა ჩაიბარა და ფერდობის მხარე — სიმურდენმა. შეთანხმდნენ იმაზე, რომ გოვენი თავისი თანაშემწის გეშანის დახმარებით კოშკის კედლის ნანგრევით შეესევა აჯანყებულებს, და სიმურდენი ცეცხლმოკიდებული პატარუქით გატენილ ზარბაზნებთან იქნება და ყურს უგდებს ხილსა და ხევს.

XI

რას აკეთებდა მარკიზი

გარეთ რომ ყველა იერიშის მისატანად ემზადებოდა, სიმაგრეში ყველა იერიშის მოსაგერიებლად ემზადებოდა.

საფუძველს მოკლებული არ არის, რომ კოშკს კასრს ეძახიან და კოშკსაც ისე აფუჭებენ პატარა ნაღმით, როგორც კასრს პატარა

რა ლურსმნით. კედელიც ისევე იხვრიტება. როგორც კასრის ტყე-
ჩი, და სწორედ ეს დაემართა ტურგს.

ორი, თუ სამი ცენტნერის წონა თოფის წამალმა ისე მედგრად
ატაკა სადგისი კოშკს, რომ კარი შეაღო ისეთ სქელ კედელში. გა-
რედან, კედლის ძირიდან იწყებოდა ნაპრალი, გამსკდარ თაღს ჰქმნი-
და და მეორე მხარეს, კოშკის ქვემო დარბაზში შედიოდა. გარედან
კიდევ, რომ ადვილად შესასვლელი გაეხადა ეს ნაპრალი. გოვენმა
ხარბაზანი დაუშინა და შესამჩნევად გააგანიერა.

ქვემო სართულის ეს ნაპრალიანი დარბაზი დიდი, მთლად ცა-
რიელი ოთახი იყო; შუაზე სვეტი ჰქონდა დატანებული თაღის ქვის
სამაგრად. ყველაზე დიდი ეს ოთახი იყო მთელ შენობაში; სულ
ნაკლები რომ ვთქვათ, ორმოცი ბიჯის დიამეტრი მაინც ექნებოდა.
სხვა სართულების ოთახებიც ამ დარბაზის მსგავსი იყო, მაგრამ
ნაკლები სივანისა, დოლაბებითა და დოლაბებში მოწყობილი საფ-
რით. ამ ქვემო სართულის დარბაზს არც დოლაბი ჰქონდა, არც
სარკმელი, არც სანიავე, და სწორედ იმდენივე ჰქონდა ჰაერი და
სინათლე, რამდენიც საფლავში მოიპოვება.

ამ დარბაზშივე იყო დილეგში ჩასავალი კარი, თავისი მასალით
უფრო რკინისა, ვიდრე ხისა. ერთი კიდევ სხვა კარი იყო, კედელში
დატანებულ კიბეზე შესავალი ზემო სართულებში ასასვლელად. კი-
ბეები კედლის სისქეში იყო ჩამალული.

თუ შესძლებდნენ. ამ დაბალ დარბაზში შეცვივდებოდნენ შენ-
გრეული კედლით რესპუბლიკელები. აიღებდნენ ამ დარბაზს და მე-
რე კოშკი უნდა აეღოთ.

სუნთქვა შეუძლებელი იყო ამ ოთახში. ოცდაოთხ საათს ვერ
სძლებდა იქ ადამიანი. სუნთქვა ეკვროდა და იხრჩობოდა. და ახლა
კი, დანგრეული კედლის წყალობით, იქაც შეიძლებოდა სიცოცხლე.
და ამიტომ არც დახშეს კოშკში მყოფებმა ეს შესავალი.

ან რა მნიშვნელობა ექნებოდა მის დახშვას? ერთი-ორი ყუმ-
ბარა და კვლავ ღია იქნებოდა კარი.

კედელში მაშხალის მანდალი შეარტყვეს, ზედ მაშხალა აანთეს
და გაჩაღდა დარბაზი.

მაგრამ როგორ მოეგერიებიათ მტერი?

კედლის ამოშენება ადვილი იყო, მაგრამ უსარგებლო. საფრის
გაკეთება სჯობდა, საკუთხი ბარიკადი მოხერხდებოდა ბოძებით. ამ
საფრიდან სულ ნაპრალისკენ იქნებოდა მიმართული ტყვია; კოშკის
გარედან ნაპრალი ღია რჩებოდა, შიგ კოშკში კი საფარს წააწყდე-
ბოდა, ვინც შევიდოდა. საჭირო მასალა არ აკლდათ. საფარი გაიკე-

თეს, თოფის ლულისთვის ნახვრეტები დაატანეს. საფრის გარეკუთხე დაბაზის შუა ამართულ სვეტზე დააყრდნეს, გვერდები აქეთ-იქით კედლებს მიამაგრეს, და ეს რომ გაათავეს, წვრილ-წვრილი ნაღმი — ფუგასები — დააწყვეს მტრის შემოსავალ გზაზე.

მარკიზის ბრძანებით კეთდებოდა ყველაფერი. ის იყო ყველას სულის ჩამდგმელი, მბრძანებელი. წინამძღვარი და ბატონი, სულით და გულით საშინელი.

ლანტენაკი მეთვრამეტე საუკუნის იმ ჯურის მხედართ ეკუთვნოდა, რომლებიც ოთხმოცი წლისაც მამაცად იბრძოდნენ და ქალაქს იცავდნენ მტრისაგან; გრაფ დ-ალბერგს ჰგავდა. რომელმაც ასი წლისა იყო თითქმის, პოლონეთის მეფე და იმისი ჯარი გარეკა რიგიდან.

— ნუ გეშინიათ, მეგობრებო. — ამხნეებდა მარკიზი თავისებს, — ამ საუკუნის დასაწყისში, 1713 წელს, შარლ XII მოიმწყვდიეს ბენდერში ერთ სახლში; თან სულ სამასი სვედელი ჰყავდა და ამ ძალით ოცა ათასი ოსმალთ მოიგერია.

კარგად გაამაგრეს ორი ქვემო სართული. ვაამაგრეს ოთახები. წალოები და განჯინები, რომ თუ გაჰირდებოდა, იქიდან დაეწყოთ სროლა. კარებს ბოძები მიადგეს, ოღონდ კედელში დატანებული კიბის შესავალი კი ისე დასტოვეს. რადგან მარტო ამ კიბით შეიძლებოდა სხვა სართულებში ასვლა, და ის რომ დაეზმოთ, მტერს გაუჭირებდნენ კოშკის აღებას. მაგრამ დამწყვედელივით იქნებოდნენ ქვემო სართულში. ციხის დაცვას ყოველთვის თან ახლავს ეს სუსტი მხარე.

დაუღალავად ირჯებოდა მარკიზი, ყმაწვილკაცივით ღონიერი; ბოძებს სწევდა, ქვას ზიდავდა. მისაბამავად უხდებოდა თავის ამხანაგებს, არაფერს უკადრისობდა. ბრძანებდა, ეხმარებოდა. ძმურად ექცეოდა ყველას, იცინოდა. ხუმრობდა, მაგრამ ყველაფერში, თვით სიცილშიც კი რაღაც თავისებურება ემჩნეოდა, თავისებურება დიდებული ბატონისა, მედიდურისა, სალუქად მბრძანებელისა.

სიტყვის შებრუნებას ვერავინ უბედავდა, რაც უნდა ეთქვა. ხშირად ეტყოდა ხოლმე თავისებს: თუ ღმერთი გაგიწყრათ რევოლუციისკენ გადახვედით, სანახევროდაც რომ გაიყოს ჩემი ძალი, ცოცხალი არავინ გადაშირჩება: ჯერ მოლაღატეებს ამოვხოცავ და იერე, დანარჩენი ძალით. რევოლუციონერებს. ამგვარი სიტყვა თავყანსაცემად ჰქმნის მეთაურს.

XII

რას აკეთებდა იმანუსი

მანამ მარკიზი კოშკის კედლის ნაპრალს ამაგრებდა, იმანუსი ხიდის გამაგრების ზრუნვაში იყო. როგორც კი დაიწყო ბრძოლა, ლანტენაკის ბრძანებით ჩამოხსნეს და იმანუსის ბრძანებით ბიბლიოთეკის დარბაზში დასდვეს მოძრავი კიბე, რომელიც სახლის გარედან იყო ჩამოკიდებული ფანჯრების ზემოდან. იქნება სწორედ ამ კიბის იმედი ჰქონდა გოვენს. პირველი სართულის, დარაჯების დარბაზის, ფანჯრებს გარედან სამ რიგად ჰქონდა მიკრული რკინის მოაჯირი, კედლის ქვებში ჩარქმული, და ფანჯრებით ვერც შესვლა შეიძლებოდა, ვერც გამოსვლა.

ბიბლიოთეკის ფანჯრებს მოაჯირი არ ეკრა, მაგრამ მეტად მაღლა იყვნენ.

სამი კაცი წაიყვანა იმანუსმა, იმისავით ყველაფრის გამბედავი და ყველაფრის შემძლე. ერთი უასნარი იყო, ბრანშ-დ-ორად წოდებული, და ორი კიდევ ძმები იყვნენ, პიკ-ან-ბუა. სანათი აიღო იმანუსმა, გააღო რკინის კარი და დაწვრილებით გასინჯა ხიდზე აგებული შენობის სართულები. უასნარი ისევე უწყალო იყო, როგორც იმანუსი. რადგან იმისი ძმა მოეკლათ რესპუბლიკელებს.

დაათვალიერა იმანუსმა ზემო სართულის ოთახი, რომელშიც თივისა და ჩალის მეტი არა იყო რა, და ქვემო სართულის დარბაზი. ამ დარბაზში შეატანინა რამდენიმე ფისით სავსე ქოთანნი და ფისის კასრებს ჩაუმატა. ფიჩხის კონები ჩააწყო და ჩასჭედა კასრების შუა, ისე რომ ფისს ეხებოდა ფიჩხი. გასინჯა, ივარგებს, თუ არაო, გოგირდიანი პატრუქი, რომლის ერთი წვერი ხიდში იყო, და მეორე კოშკში. იატაკზე კასრებისა და ფიჩხის ქვეშ ფისი დაღვარა და შიგ ჩასდვა გოგირდიანი პატრუქის წვერი. მეორე ბიბლიოთეკის დარბაზში შევიდა, რომლის ზემოდან თივით და ჩალით სავსე დარბაზი იყო, და ქვემოდან — ფისითა და ფიჩხით სავსე დარბაზი. ბიბლიოთეკის ოთახში შეატანინა სამი ბავშვის. რენე-ჟანის, გრო-ალენის და ჟორჟეტის აკვნები. ტკბილად ეძინა სამივეს და ძალიან ფრთხილად შეიტანეს, რომ არ გაეღვიძებინათ.

სოფლური პატარა კალათები იყო ტირიფისა ეს აკვნები. ძირს სდგამენ ამ კალათებს, რომ ბავშვს სხვის დაუხმარებელივაც შეეძლოს აკნიდან ჩამოსვლა, და ამიტომ მეტად დაბალს აკეთებენ; გრძელი ხახალის მსგავსს. სამივე აკვანს იმანუსის ბრძანებით თითო ჯამა შექამანდი მიუღდგეს და თითო კოვზი ხისა. გარედან ჩამოხსნილა

მოძრავი კიბე იატაკზე დასდევს, კედელთან. მეორე კედელთან სამააკვანი გაამწკრივეს, კიბის ჰორდაპირ. შერე მოიაზრა იმანუსმა, რომ ზაფხულის ღამეში გრილი ნიავეც საჭირო იყო ბავშვებისათვის, და ექსივე ფანჯარა გააღო ბიბლიოთეკისა. ზაფხულის ღამე იყო თბილი და ტკბილი.

პიკ-ან-ბუა ორივე ძმა ფანჯრების გასაღებად გაჰგზავნა ქვემო და ზემო სართულში. შენიშნა, რომ შენობის აღმოსავლეთ, წინამხარეს, კედელს ერთი დიდი, უკვე გამხმარი, აბედის ფერი ფათალო ჩამოჰკიდებოდა ბანიდან მიწამდე და გარს შემოვლებოდა ფანჯრებს. — ეს ფათალო ჩვენ არაფერს გვავენებსო, — იფიქრა, ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი ყველაფერს, გამოვიდა სახლიდან და თავის ამხანაგებთან ერთად კოშკისკენ წავიდა. მძიმე რკინის კარი მაგრად ჩაკეტა. დაკვირვებით გასინჯა უზარმაზარი საშინელი კლიტე. გასინჯა თავის კმაყოფილებით ქნევით გოგირდიანი პატრუქი, მის მიერ გახვერტილ კედელში გაყვანილი; ეს პატრუქილა აერთებდა ამიერიდან კოშკსა და ხიდს: მრგვალი ოთახიდან გამოყვანილი რკინის კარის ქვეშ გადიოდა, ხიდზე აგებული შენობის ქვემო სართულში შედიოდა, გველივით იკლაკნებოდა კიბეზე და თავისი წვერით შედიოდა იატაკზე დაქცეულ ფისში და ფიჩხში. იმანუსის ანგარიშით საჭირო იყო თხუთმეტი წუთი, რომ კოშკში ანთებულ პატრუქს გაჰყოლოდა. ცეცხლი და ბიბლიოთეკის ქვეშ ოთახში ფისს მოჰკიდებოდა. როდესაც ყველაფერი თავის სურვილისამებრ მოაწყობდა და შეამოწმა, რკინის კარის გასაღები მარკოზ ლანტენაკს მიართვა და იმანაც ჯიბეში ჩაიღვა.

საჭირო იყო თვალყური ედევნებინათ რესპუბლიკელების ყოველი მოძრაობისთვის. იმანუსი კოშკის ბანზე გავიდა და ფარდულიდან გასცქეროდა მტერს. ქამარზე თავისი საყვირი ეკიდა. გადასცქეროდა იქაურობას, ცალი თვალი ტყეზე ეჭირა, ცალი ფერდობზე და თან ხელებს არ აყენებდა: ფარდულის სარკმელში ქოთნით თოჟის წამალი ედგა, პარკით ტყვია, გვერდზე ძველი გაზეთებისა და ქალადის პატარა პარკებს ავსებდა ვაზნებად.

მზე რომ ამოვიდა, ტყეში რვა ბატალიონი იდგა საბრძოლველად გამზადებული. გალესილი ხმლით, საესე ფალასკით, ხიშტიანი თოფით; ფერდობზე მთელი ბატარეა ზარბაზნებისა თავისი საარტალერიო ურმებით, ყუმბარითა და ფინდიხით საესე ყუთებით; კოშკში ცხრამეტი კაცი იყო გატენილი თოფებითა და დამბაჩებით, და ბიბლიოთეკაში სამ აკვან-ხახალში სამი მძინარე ბავშვი.

წიგნი მესამე

წმ. ბართოლომეს სახარების ფხარება

I

ბავშვებმა გაიღვიძეს.

ჯერ ვოგონამ გააღვიძა თვალები.

კოკობი ვარდის გაშლას ბავშვის გაღვიძება. სურნელებას აფრ-
ჭვევს თავისი უმანკო სულით.

ოცი თვის ჟორჟეტმა, უმცროსმა, ძუძუს რომ სწოვდა ჯერ
კიდევ მაისში, გაიღვიძა ყველაზე უწინ. წამოიწია თავის კალათში,
ტიტველ ფეხებს შესცინა და ლულუნი დაიწყო.

დილის მზის სხივი სცემდა მის აკვანს. ძნელი გამოსაცნობი იქნე-
ბოდა, რას უფრო ჰქონდა ვარდისფერი, პაწიას ფეხს თუ მზის სხივს.

ორ ბიჭს ჯერ ისევ ეძინა — ბიჭს უფრო ღრმად ეკიდება ძილი.
მხიარულად იყო ჟორჟეტი, დამშვიდებული და ჭიკჭიკებდა.

რენე-ჟანი შევეგვრემანი იყო, გრო-ალენი — მრეში. ჟორჟეტი —
თოვლივით თეთრი. ეს ფერსხვაობა თმისა, ბავშვის ხნიერების შე-
დეგი, შეიძლება შეიცვალოს მომავალში. რენე-ჟანი ჰერკულესი-
ვით ახოვანი იყო: პირდაღმა ეძინა. ხელები თვალქვეშ დარჩენოდა.
გრო-ალენს დასცხობოდა და ფეხები გამოეყო აკვნიდან.

დაგლეჯილი ეცვათ, რაც ეცვათ, წითელქუდა ბატალიონმა რომ
ტანისამოსი მისცა თავის შვილობილებს. მთლად შემოჰფხრეწო-
დათ. და რაც ზედ ეცვათ, ნაფხრეწებილა იყო, და არა პერანგი.
ბიჭები თითქმის ტიტველი იყვნენ. ჟორჟეტი რაღაც ნაფხრეწებში
იყო გახვეულა; წინათ ეს ნაფხრეწები ალბათ კაბას ეგვანებოდნენ
და ახლა კი კაბისა აღარა ჰქონდათ რა. ან ვინ რას იზრუნებდა! აწ-
ყალი ბავშვებისთვის? ვინ იყო იმათი პატრონი? დედა არსად იყო.
ველური გლეხკაცების ამარად დარჩენილიყვნენ, ომითა და ბრძოლით
წოუტლელ ვანდებლებთან. და ტყიდან ტყეში გადადიოდნენ იმათ-
თან ერთად. კიდევ კარგი, რომ შეჭამანდი ყოველთვის ჰქონდათ.
სხვა კი არაფერი. მომვლელი არავინ ჰყავდათ.

იმათი მბრძანებელი იყო ყველა, და მამობას კი არავინ უწევდა,

მაგრამ დაფლეთილიც რომ ეცვას ბავშვს, მიინც საამო არის. და ესენიც სამნივე მშვენიერი იყენენ.

ჟორჟეტი ტიკტიკებდა.

რასაც ბულბული გალობს, იმას ბავშვი ტიკტიკებს. იგივე საგალობელია. საგალობელი გამოურკვეველი, ნაღულუნევი, გულის სიღრმიდან ამოძახილი. ბავშვი უფრო გრძნობს, ვიდრე მგალობელი ჯრინველი, მწარე ბედისწერას ადამიანისას. ამიტომ არის, რომ პატარა ბავშვის მხიარულ გალობას. ქმუნვით ისმენს მოზრდილი. დედამიწაზე ვერას გაიგონებს კაცი იმისთანა ტკბილსა და წმინდას, როგორც არის ადამიანის სულის ღლინი ბავშვის ბაგეზე. შეუვნებელი განცდა აზრისა. რომელიც ჯერ მარტო ალღო არის და ტკბილად შეჰლადადებს მარად სიმართლეს. იქნება მომავალი ცხოვრების სამსალის შიში იყოს ამ გალობაში. ცხოვრებაში შესვლამდე თქმული. და მღურება ფარული და გულსაწყლავი. ბავშვის უვიცობა შესცინის უსაზღვროს და ემღურის წუთისოფელს იმ სიმწარისთვის, რომელსაც გვიმზადებს ცხოვრება.

ბავშვის ღულუნე უფრო მეტია და ნაკლები, ვიდრე სიტყვა. ნოტები არ არის. მაგრამ გალობაა; სიტყვის მარცვლები არ არის, მაგრამ სიტყვაა. ამ ღულუნს ზეცაში ჰქონდა დასაწყისი და აღარ გაქრება ამ ქვეყნად; ბავშვის გაჩენამდე იყო და ბავშვით არის მისი განგრძობა. ბავშვის ტიკტიკი გამეორება არის იმისა. რასაც ამბობდა. როდესაც ანგელოზი იყო. და რასაც იტყვის, როდესაც ადამიანად გაიზრდება. აკვანს თავისი წარსული აქვს, როგორც კუბოს აქვს თავისი მომავალი. ეს წარსული და მომავალი ბავშვის ღულუნში აერთებენ თავიანთ იმედსა და შიშს. და არაფერი გვიმტკიცებს ასე კარგად ღმერთს. მარადობას, პასუხისმგებლობას, ორმაგობას ბედისწერისა, როგორც ეს საშინელი ჩრდილი ბავშვის ტკბილ ღულუნში.

ტიკტიკებდა ჟორჟეტი და ეტყობოდა, სამწუხარო არა იყო რა იმის ტიკტიკში, რადგან სიაჰოვნება უბრწყინავდა სახეზე. პირი უცინოდა. თვალი უცინოდა, ღაბაბი უცინოდა. სულითა და გულით შესცინოდა დილის; ნეტარებას. სულს სწამს სინათლე. მოწმენდილი იყო ზეცა, თბილოდა. ჯერ არა იცოდა რა ჩვილმა არსებამ. არაფერს იცნობდა. არაფერი გაეგებოდა, და მიინც რალაცას შესტრჯოდა ოცნებით. რადგან ჯერ ფიქრი არ შეეძლო. დამშვიდებული იყო პაწია ამ საამურ ბუნებაში. ამ მწვანედ დაჩრდილულ ხეებში, ამ მოზიბინე მდელოში, ამ მშვიდობიან მინდორში. ამ ფრინველთ გალობაში; წყლის მზუილში, ფუტკრის ზუილში, ფოთლების მზუილში,

რომელთა ზემოდან გადაშლილიყო უსაზღვრო სამფლობელო მზისა.

ჟორჟეტის წემდეგ უფროსს, რენე-ჟანს გამოედვიდა, ოთხი წლისას. წამოდგა, ვაჟაკურად გადმოსდგა კალათიდან ფეხი, დაინახა თავისი ჯამი, სრულიად ბუნებრივად ჰპოვა ეს მოვლენა, დაჯდა რატაკზე და ჰამა დაიწყო.

ჟორჟეტის ჰიკჰიკმა ვერ გამოაღვიდა გრო-ალენი, მაგრამ კოვზის ჯამში ფხაკუნნი მოესმა, უცბად გადმობრუნდა და თვალები გააჭყიტა. სამი წლის ბიჭი იყო. სტაცა ჯამს ხელი, იქვე თავის აკვანშა წამოჯდა, ჯამი მუხლებზე დაიდგა და მადიანად შეუდგა კოვზის სმარებას.

ჟორჟეტს იპათი არა ესმოდა რა და თავისას ღიღინებდა, თითქო მისი ხმის რწევას მისდევს ოცნების სიტკბოებთაო. თვალი ზევით ჰქონდა მიპყრობილი და ღვთიურს უგავდა. რაც უნდა იყოს ჰერი; ან თალი, ბავშვი რომ შესტქერის, მის თვალში მაინც ზეცა ციალებს.

რომ გაათავა რენე-ჟანმა თავისი საკმელი, კარგად მოფხიკა კოვზით ჯამი, აშოიოხრა და წამოიძახა: — დავცალე ჯამი.

ამ სიტყვამ გამოაფხიზლა ლანდით გატაცებული ჟორჟეტი.

— მეც, მინდა, — წამოიძახა გოგონამ.

და რომ დაინახა რენე-ჟანის მოტვლებილი ჯამი, და გრო-ალენის კოვზის სრიალი. მიიწია თავისი კერძი, ჩაჰყო შიგ კოვზი და დაიწყო ჰამა, ოღონდ საძაგელი რამ იყო კოვზი და ყურებისკენ უფრო მიიწევდა, ვიდრე პირისკენ.

ხანდახან სულაც დაჰგმობდა ხოლმე ცივილიზაციას და ხელით მიირთმევდა, უკოვზოდ.

გრო-ალენმაც თავისი ძმასავით გულმოდგინედ მოფხიკა ჯამი და მერე რენე-ჟანს გამოუდგა.

II

გარეთ, ტყისპირიდან უცბად გაისმა ბუკის ხმა. ამ ხმას ზემოდან, კოშკია ბანიდან პასუხი მისცა საყვირმა.

ამჟამად ბუკი იხმობდა და საყვირი უპასუხებდა.

გაისმა მეორედ ბუკის ხმა და მაშინვე მისი პასუხიც.

ტყისპირიდან შორეული, მაგრამ გარკვეული, სიტყვა მოისმა ვილაციისა, რომელიც ყვიროდა:

— თქვენ, ეი, ყაჩაღებო, დაგვენბდით, რაღას აყოვნებთ? მზის ჩასვლამდე გელით. თუ არ დაგვმორჩილდით, დავანგრევთ აქაურობას!

ზემოდან, კოშკის ბანიდან, ვილაციის ხმა მოისმა, თითქო დაი-
კუნხო:

— დაანგრიეთ.

ქვემოდან პირობა დაუდევს;

— ვიდრე ბრძოლას აგიტეხდეთ, ნახევარი საათის წინათ გავის-
ვრით ერთხელ ზარბაზანს.

არ დაგვენბდებით, და შემოგიტევთ.

ზემოდან იგივე პასუხი მისცეს:

— შემოგვიტიეთ!

ამ ხმებისა ვერა გაიგეს რა ბიჭებმა; მაგრამ ბუკისა და საყვი-
რის ხმა კი უფრო შორს მიდიოდა, უფრო მალლა იწევდა, და პა-
ტარა ჟორჟეტმა, როგორც კი შემოესმა ბუკის ხმა, ყურები სცქევი-
ტა და ჭამას თავი დაანება. მერე, საყვირის ხმა რომ მოესმა, კოვზი
ჯამში ჩასდვა; მეორედ რომ გაიგონა იგივე ხმა, მარჯვენა ხელის
სალოკი თითი ზევით აიშვირა და თითის ქნევით მიჰყვა საყვირის
ხმის მიმდინარეობას. მერე, როდესაც ბუკიც გაჩუმდა და საყვირიც,
ცოტა ხანს ჩაფიქრებული იყო, თითი ჰაერში დარჩა გაშვერილი და
ჩუმი ხმით წარმოთქვა: — ტვილი.

სტვირის თქმა უნდოდა პაწიას.

ორი ბიჭი, რენე-ჟანი და გრო-ალენი ყურადღებას არ აქცევდნენ
გარედან შემოვარდნილ ხმაურობას. სულ სხვას მიექცია მათი ყუ-
რადღება: აბანოს ჭია დაენახათ ბიბლიოთეკაში.

— გიკიჭავს! — შეჰყვირა გრო-ალენმა.

რენე-ჟანი მაინც მისდევდა.

— გიკიჭავს, ბიჭო!

— რომ არ გავაჯავრებ, — უპასუხა რენე-ჟანმა.

და თვალს არ აშორებდნენ ჭიას.

ამასობაში ჟორჟეტმაც დასცალა თავისი ჯამი და თვალით ძებ-
ნა დაუწყა თავის ძმებს. რენე-ჟანიც და გრო-ალენიც ფანჯარასთან
ჩაცუტქულიყვნენ და აბანოს ჭიას დასცქეროდნენ. შუბლით სცემ-
დნენ ერთმანეთს, სუნთქვა ეკვროდათ, ისე იყვნენ გაკვირებული და
ხმის ამოუღებლად, უძრავად უყურებდნენ ჭიას. ის კი, თითქო ძალიან
რამა ბავშვების აღტაცებო, გაჩერებულიყო და იდგა თავისთვის
მშვიდად.

— ნეტავ, რა იპოვეს იქ ჩემმა ძმებმაო, — ჟორჟეტმა მოინდო-
მა იმათთან მისვლა. ადვილი არ იყო ეს მოგზაურობა, მაგრამ მაინც
გაბედა. მრავალი რამ ეყარა იატაკზე სახიფათო: გადამრუნებული
ტაბურეტები, ქალალდების გროვა, სალაგი ყუთები — დაცლილი და

დაშლილი. გიდელები, — მთელი არქიპელაგი, მეჩჩებით სავსე. არ შეუშინდა ამაჲს ჟორჟეტი. ჯერ თავისი აკენიდან გამოძრომა დაიწყო, — პირველი ძნელი ნაბიჯი; მერე გზას გაუდგა ბარგის ხროვაში. ზოგან გვერდი აუარა საფრთხეს, ზოგან აქეთ-იქით მისწია ტაბურეტები. გაძვრა ორ ყუთს შუა, ქალაღის მთაზე გადაიარა. ხან მიძირებოდა. ხან მიცოცავდა, თავისი სიტიტველეს არ იფარავდა და, როგორც იყო. მიაღწია სამშვიდობოს, მეზღვაურის ენით — შუაზღვას. ესე იგი საკმაოდ ფართო სივრცეს იატაკისას, რომელზედაც აღარადერი ეყარა და აღარც რამ სახიფათო მოიპოვებოდა. და გაჰკრა. სწრაფად გადაიარა თვალგადუწვედენელი მანძილი — მთელი დიამეტრი დარბაზისა. — ოღონდ ციცასავით ოთხით დადიოდა, და მიაღწია. ფანჯარას. იქ კი საშინელი რამ აიმაართა მის თვალწინ. გარდაუვალი. კედელთან მიედგათ გარედან ჩამოხსნილი მოძრავი კიბე და დოლაზში შესვლას უღობავდა პაწიას: მთელი კონცხი იყო გადასაველი. გაჩერდა და ჩაფიქრდა. შინაგანი თავისი მონოლოგი რომ ვაათავა. გაბედვით შეუდგა ნაფიქრალის ასრულებას: კიბის ერთ საფეხურს მოექიდა თავისი პატარა. ვარდისფერი თითებით: კიბე ისე დაედვით. რომ საფეხურები მდგომიარედ დარჩენოდა და არა წოლილად. წამოიწია ჟორჟეტი. ადგომას ლამობდა, და წაიქცა: კედელე სცადა, მაგრამ მეორედაც უღალატეს ფეხებმა. მესამედ კი მოახერხა. და რაკი ფეხზედ იდგა. ნელნელა მიჰყვა კიბეს. კიბის ბოლოს რომ მიაღწია და საყრდნობი აღარა ჰქონდა. წაბარბაცდა, მაგრამ კედელს მიეყრდნო, გადაჰხედა თავის ძმებს და სიცილი დაიწყო.

III

ამ დროს წამოიწია რენე-ჟანი და თავისი დაკვირვებით კმაყოფილმა დაიძახა:

— თავის შვილებთან მიდის.

ჟორჟეტი კი ისევ ისე იცინოდა. იმას რენე-ჟანი აჰყვა, იმათ კიდევე გრო-ალენი.

გადამქრა ჟორჟეტი თავის ძმებთან და პატარა წრე შეადგინეს, იატაკზე დასხდნენ.

აბანოს ჰია კი მიიმალა.

ბავშვების სიცილით ისარგებლა და იატაკის ნახვრეტში ჩაძვრა. აბანოს ჰიას სხვა მოჰყვა.

ჯერ მერცხალი დაინახეს. იქვე მფრინავი. ალბათ ბანზე ჰქონდა ბუდე. მერე იმ ერთს სხვებიც მიემატნენ და ახლო ფრინავდნენ ფან-

ჯარასთან, წრეს ავლებდნენ ჰაერში და რაღაცას გაიძახოდნენ ტკბი-
ლი ხმით. ეტყობოდათ, ეუცხოვათ ბავშვების ნახვა ასე ახლო თავი-
ანთ ბუდესთან. ბავშვები მერცხლებს შესცქეროდნენ და ჭია ალაჩ.
აგონდებოდათ.

ჟორჟეტმა თითი გაიშვირა მერცხლისკენ და დაიძახა:

— გლიტი!

რეჟე-ჟანმა გაუსწორა:

— გვრიტი კი არა, ქალბატონი, მერცხალი.

— მელქალი, — წარმოთქვა ჟორჟეტმა.

თვალს არ აშორებდნენ მერცხლებს.

მერე ერთი ფუტკარი შემოფრინდა.

არაფერი ჰგავს ისე სულს, როგორც ფუტკარი. ყვავილიდან ყვა-
ვილზე გადადის, როგორც სული ვარსკვლავიდან ვარსკვლავზე. და-
თავლს გვიმზადებს, როგორც სული — სინათლეს.

დიდი ძახილით შეფრინდა ფუტკარი. — სმამაღლად ბზუოდა.
თითქო უნდა ამცნოს ბავშვებს. — ვარდით დატკბი და ახლა თქვენ
სანახავად მოვედი. აქ რა გინდათ, რას აკეთებთო?

ფუტკარი დიასახლისია, სულ ჯავრობს, კიდევ რომ მღეროდეს.
და მანამ აქ ტრიალებდა ფუტკარი და თავისას ბზუოდა, თვალ-
ველარ მოაშორეს ბავშვებმა.

დაწვრილებით გასინჯა ფუტკარმა მთელი ბიბლიოთეკა. და-
ათვალიერა ყველა კუთხე, თითქო თავისას ყოფილიყოს, სკაში.
ღზუილით შეამოწმა ყველა განჯინა, განჯინის შუშებს დააკვირდა.
იტყოდით, — ცდილობს ნახოს, რა წიგნები ალაგია ამ განჯინებშიო.
მოვიდა, ნახა, მოიკითხა ბავშვები და გამოეთხოვა.

— შინ მიდის, — თქვა რენე-ჟანმა.

— ოთხფეხი არის, — თქვა გრო-ალენმა.

— არა, — გაუსწორა რენე-ჟანმა, — ბუზია, ბუზი.

— ბუზი, — გაიმეორა ჟორჟეტმა.

ამ დროს გრო-ალენმა პატარა ბაწარი იპოვა, იატაკზე. ბაწარს
ბოლოზე გორგალი ება. ბაწარი დაიჭირა ხელში, გორგალი ძირს
დაუშვა და გააქანა და გამოაქანა.

თავის მხრივ ჟორჟეტმაც იპოვა საყურადღებო საგანი. ისევ ოთხ-
ფეხად გამხდარიყო და ცოცხვდა იატაკზე, ბოლოს ერთ ძველ სა-
ვარძელს მიაგნო. ჩრჩილით დაქმულ ზესაფრიანს, ცხენის ბალნით.
გატენილს. გაჩერდა ამ სავარძელთან, მიჰყო ხელი და ძირს გად-
მოიღო ბალანი.

და უცბად მაღლა აიშვირა თითი, — ყური დაუგდეთო.

ბიჭებიც გაჩერდნენ.

საზარელი ხმაურობა მოდიოდა შორიდან. რესპუბლიკელი ჯარები იყვნენ ტყეში და ალბათ საიერიშოდ ვარჯიშობდნენ; ისმოდა ცხენების ჭიხვინი, ნალარის ხმა, საარტილერიო ურმების ჭრიალი, სამხედრო საყვირი, რომლითაც ზოგი ეკითხებოდა, ზოგი უპასუხებდა. სხვადასხვა ხმები იყო, ირევოდა ერთმანეთში და რალაც უცნაურ ჰარმონიას ჰქმნიდა.

აღტაცებული იყვნენ ბავშვები.

— ფუფალა მღერის, — თქვა რენე-ჟანმა.

IV

მიწყდა ეს ხმაურობაც.

რენე-ჟანი ჩაფიქრებული დარჩა.

როგორ აღიძვრის აზრი ამ პატარა ტვინში? როგორ ერთდებიან და კვლავ იშლებიან ამ პაწიების გონებაში? რა არის ის საიდუმლო ძალა, რომელიც ჰქმნის ბავშვის მეხსიერებას, ჯერ კიდევ ასე სუსტს და ხანმოკლეს? უცბად მოაგონდა ფუფალა, ხელგაწვდილი ლოცვა, ტკბილი ღიმილი დედისა, რომელიც ყოველთვის უტკბობდა გულს და ახლა კი აღარა ჰყავდა, და გულის სიღრმიდან ამოხდა კენესა;

— დედა!

— დედიკო! — დაიძახა გრო-ალენმა.

— დედა! — დაიკვნესა ჟორჟეტმა.

მაგრამ დედაც მალე დაავიწყდათ და რენე-ჟანმა ხტომა დაიწყო. გრო-ალენიც იმას მიჰყვა.

გრო-ალენი თავის უფროს ძმას შესცქეროდა და რენე-ჟანის ყოველ მოძრაობას იმეორებდა. ჟორჟეტი ასეთი წამბაძავი არ იყო. სამი წლისა ოთხიწლის მიმბაძავია და ოცითვისას კი თავისი დამოუკიდებლობა აქვს.

არ აპყვა თავის ძმებს გოგო. იჯდა და ხანდახან თითო სიტყვას წამოიძახებდა. ჯერ წინადადებად ვერ აერთებდა სიტყვებს. მოაზროვნე იყო და ნაკვესებით ლაპარაკობდა, ოღონდ ცალმარცვლოვანიო.

მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ძმების ხტომამ ისიც გაიტაცა და წამოიწია. დარბოდნენ, ხტოდნენ, ცეკვავდნენ, წაიქცევოდნენ ხოლმე ძველი მუხის მტვრიან პარკეტზე, მარმარის ნაქანდაკევი ძეგლების წინ, რომლებსაც შეშინებული თვალით გადახედავდა ხოლმე ჟორჟეტი და წაიბუტბუტებდა: — ძია.

ჟორჟეტის ენით ძია იყო ყველა, რაც ადამიანს ემსგავსებოდა.

ისიც თავის ძმებს მისდევდა, მაგრამ უფრო ხშირად მტვერში ეგდო, ვიდრე ფეხზე იდგა.

ბოლახს მიუახლოვდა როგორღაც რენე-ჟანი, გარეთ გაიხედა და შეშინებულმა თავი დალუნა უტბად, და იქვე კედელთან აიტუზა ისე, რომ გარედან ვეღარ დაენახათ. ვილაც კაცი დაინახა, რომელიც ბავშვებს შეიოსცქეროდა. ფერდობზე გაშლილი ჯარის სალდათი იყო, რესპუბლიკელი. ჯერჯერობით ზავი იყო დროებითი და ამით ისარგებლა. იქნება ცოტად კიდევ დაარღვია ამ ზავის წესები. ხევის პირას იდგა. საიდანაც კარგად ჩანდა მთელი ბიბლიოთეკა და იქიდან იყურებოდა. შეშინებული რენე-ჟანი რომ დაინახა, გრო-ალენიც მიიმალა თავის ძმის გვერდით და ჟორჟეტს უკან დაუდგა ბიჭებს. ცოტა ხანს იდგნენ ასე, გაჩუმებულნი, უძრავად; პატარა გოგოს თითი მიედვა ტუჩებზე, — ხმა არ ამოიღოთო. მაგრამ დიდხანს ვერ გაუძლო რენე-ჟანმა, გაბედა და ფანჯრისკენ წაიწია. სალდათი ისევ იქ იყო. შეეშინდა და ისევ მიიმალა. ახლა უფრო შეშინდნენ ბავშვები, სუნთქვა ეკეროდათ. კარგა ხანს იყვნენ ასე კედელთან ატუზული. მაგრამ ვეღარ გაუძლო ამ მდგომარეობას ჟორჟეტმა. წინ წაიწია, გადაიხედა. სალდათი იქ აღარ იყო, ბავშვებმა ისევ სირბილი დაიწყეს.

გრო-ალენი ყველაფერში თავის ძმას ჰბაძავდა, მართალია, მაგრამ თავისი ნიჭიც ჰქონდა, ის მიაგნებდა ხოლმე, სადაც რამ იყო მიჩქმალული. პატარა, ოთხთვლიანი სათამაშო ეტლი ეპოვა სადღაც და იმას მიაქანებდა.

დიდი ხნის დაეიწყებული იყო ეს ბავშვის სათამაშო, მტერიანი, გენიოსურ წიგნებთან და ბრძენთა ძეგლებთან მიგდებული. იქნებამ სათამაშოთაგანაც იყო, რომლითაც პატარა გოგენს ართობდნენ.

გრო-ალენიც თავის ბაწარს ახლა შოლტად ხმარობდა, ატყლაშუნებდა და ძალიანაც ამაყობდა თავისი ნაპოვრით და მოხერხებით. ასეა ყველა აღმოჩენი: თუ ამერცა ვერ აღმოაჩინა, პატარა სათამაშოს მაინც აღმოაჩენს. საქმე აღმოჩენაა!

მაგრამ აღმოჩენილით სარგებლობა გასაყოფი იყო. რენე-ჟანს უნდოდა ცხენად შებმულიყო ეტლში, ჟორჟეტს შიგ ჩაბრძანებანებავდა.

- სცადეს კიდევ რენე-ჟანი შეაბეს, გრო-ალენი მეეტლედ დანიშნეს.

მაგრამ მეეტლემ არ იცოდა თავისი ხელობა და ცხენმა ასწავლა — აჩუ-თქო. დამიძახე, — შეუტია რენე-ჟანმა გრო-ალენს.

— აჩუ! — დაჰყვირა გრო-ალენმა.

და გადაბრუნდა ეტლი: ჟორჟეტი გადმოვარდა. ანგელოზმა ციცი ყვირილი. ჟორჟეტმა დაიყვირა.

მერე ტირილი მოუხდა.

— ქალბატონო. — უთხრა რენე-ჟანმა, — ძალიან დიდი ხარო.

— მე დიდი. — დაეთანხმა გოგონა.

— ღიდი ხარო. — უთხრეს, იამა და უცბად გაუქრა ტარილის სურვილი.

ფანჯრის ლავგარდანნი ძალიან განიერი იყო. მინდვრიდან შემობერილი მტვერი დასდებოდა სკლად, ზედ წვიმა დასდებოდა. მოერწყო, ქარს თესლი შემოეთანა და ლავგარდანზე მაყვალი გაზრდილიყო. მეტად გამძლეა ეს გვარი მაყვლისა, ხალხისაგან მელისთუთად წოდებული. აგვისტო იყო. კარგად ესხა პატარა ბუჩქს და ერთი ტოტი შიგ ფანჯარაში შედიოდა, თითქმის იატაკამდე დაშვებულყო.

ჯერ ბაწარი იპოვა გრო-ალენმა, მერე ეტლი, და ახლა მაყვალს შიავნო. დაინახა და მიუახლოვდა.

მოგლიჯა ერთი მარცვალი და პირში ჩაიდვა.

— მეც მინდა, — დაიძახა რენე-ჟანმა.

წამოდგომა ველარ მოახერხა ჟორჟეტმა და ცოცვით გაეშურა ხილისკენ

მაშინვე გაკრიბეს მთელი ტოტი და შესჰამეს მაყვალი. სიხარულით აღარ ახსოვდათ რა, მთლად მოისვარეს მაყვლის წვნით პირისაზე. ანგელოზები ალებად გადაიქცნენ. დანტეს რომ ენახა, იუკადრიისებდა, ვირჯილი აღტაცებული იქნებოდა. ბავშვები კი სიხარულით კისკისებდნენ.

ხანდახან სჩხვლეთდა კიდეც მაყვალი. მაგრამ ხილი უფრო ტკბილი იყო და ამასაც ურიგდებოდნენ. ან რა გერგება გაურჯელად?

ჟორჟეტს თითზე ერთი წვეთი სისხლი გამოსვლოდა. თითი გაუშვირა რენე-ჟანს, მერე მაყვალი ანიშნა და შესჩივლა.

— მიკიკა!

გრო-ალენსაც შერქობოდა ეკალი, გაჯავრებით გადახედა პატარა ბუჩქს და წარმოსთქვა:

— ბუა არის.

— არა. — გაუსწორა რენე-ჟანმა, — ჯოხი არის.

— ჯოხი სასაგელია, — განმარტა გრო-ალენმა.

ერთხელ კიდეც მოუხდა ჟორჟეტს ტირილი, მაგრამ სიცილი წასკდა.

V

იქნება შური მოერია რენე-ჟანს, რომ იმდენი რამ აღმოაჩინა იმისმა ძმამ, და ახლა იმანაც შეადგინა თავის სასახელოდ დიადი გეგმა. რამდენი ხანია, იმ დროსაც კი, როდესაც მაყვალს შეეჭკვეოდა და თითებს იჩხვლეტდა, ხშირად გადახედავდა ხოლმე ბიბლიოთეკის შუა, ძეგლივით ამართულ, მაღალ საწიგნეს, ამ საწიგნეზე იღვა სახელოვანი სახარება წმ. ბართოლომესი.

მართლაც მშვენიერი და ძვირფასი ოთხადური იყო ეს სახარება. წმ. ბართოლომე დაბეჭდილი იყო კოლონში დაბადების სახელგანთქმული გამომცემლის ბლევის, ლათინურად ცეზიუსის მიერ, 1682 წელს. დაბეჭდილი იყო არა ჰოლანდიურ ქალაღზე, არამედ იმ საგანგებო არაბულ ქალაღზე, რომელიც საკვირვლად მიაჩნდა ედრიზის. არაბული ქალაღი მით არის შესანიშნავი, რომ აბრეშუმისა და ბამბისა არის და, ყოველთვის თეთრად რჩება. წიგნის ყდა შეოქრვილი ტყავისა იყო და ბალთები ვერცხლისა ჰქონდა. ყდის ქვედა ფურცელი წიგნის თავში და ბოლოში იმ ეტრატისა იყო, რომლის გამო პარიზელი მეეტრატეები ფიცს სდებენ, — საეტრატო ტყავი წმ. მათურენის მონასტერში ვიყიდეთ და სხვაგან არსადაო. წიგნი სავსე იყო ხისა და ფოლადის კლიშეებით დახატული სურათებით და მრავალი მხარის გეოგრაფიული რუკებით. წიგნის შინაარსს წინ უძღვოდა მესტამბეთა, რექალაღდეთა და მეწიგნეთა პროტესტი წინააღმდეგ 1635 წელს გამომცემული ბრძანებისა, რომელიც ხარჯს ადებდა „ტყავს, ლუღს, ჩლიქიან საქონელს, ზღვის თევზსა და ქალაღს“. მთავარი ფურცელის მეორე კაბადონზე მიძღვნა იყო გრიფებისადმი, რომლებიც ისეთივე სახელოვანი გამომცემლები იყვნენ ლიონში, როგორიც ელზევიერები ამსტერდამში. ამისა გამო წმ. ბართოლომეს სახარება ისეთივე იშვიათი წიგნი იყო, როგორც მოსკოვს „სამოციქულო“.

მშვენიერი იყო ეს წიგნი და ამიტომ შესცქეროდა რენე-ჟანი. წიგნი გადაშლილი იყო და დიდი სურათი ჩანდა. წმ. ბართოლომე იყო დახატული, თავისი ტყავით ხელში. სურათი ქვემოდან ჩანდა და როდესაც მთლად გაკრიბეს მაყვალი, რენე-ჟანმა ახლა ამ წიგნისთვის მოიცალა. საშინელი აღტაცებით გადახედა სურათს. ყორეტიმა თვალი გაადევნა ძმის თვალის მიმართულებას, დაინახა სურათი და შეჰყვირა:

— ზიზია!

დანარჩენი ამ სიტყვის შედეგი იყო. განცვიფრებული შესცქე-

როდა გრო-ალენი თავის ძმას, რომელმაც საკვირველი მოხერხება გამოიჩინა.

ერთი საეარქელი იდგა მუხისა ბიბლიოთეკის კუნჭულში. იმ სავარძელს მიაფრინდა რენე-ჟანი, სტაცა ხელი და მარტოდ მარტომ საწიგნემდე მიათრია. და როდესაც გვერდზე მიუყენა, ზედ ავიდა და ორივე ხელი გახსნილ სახარებას დაადგა.

რაკი თავისას მიაღწია. იგრძნო, რომ ქველობის გამოჩენაც კარგი იქნებოდა. ასწია „ზიზია“ და ფრთხილად ჩამოახაა ნახევარი, ზემოდან ქვევით. ახლა რა? სულ ხომ არ ამოუხვევია? წმ. ბართოლომეს ნახევარი, მარცხენა მხარე. იქვე დარჩა, ცალი თვალით და ცოტაოდენი წმიდანის სხივით თავზე. მოხეული ნახევარი ჟორჟეტს უთავაზა. ჩამოაოთვა პაწიამ წმ. ბართოლომე და წამოიძახა: — ძია!

— მე? — შეჰყვირა გრო-ალენმა.

პირველი ფურცლის ამოხვევა ისეთივე ძნელია, როგორც პირველი სისხლის დაღვრა. პირველს მოსდევს სისხლისღვრა.

გადაშალა რენე-ჟანმა ფურცელი. წმ. ბართოლომეს სურათს განმმარტებლის პანტენის სურათი მოსდევდა. პანტენი გრო-ალენს ერგო.

ამასობაში ჟორჟეტმა შუაზე გაჭნია თავისი წილი, მერე ეს ნახევები შუაზედ გადაჭნია და მთლად დააქუცმაცა, ისე რომ ისტორიას შეუშლია თქვას სრული სიმართლით — წმ. ბართოლომე გატყავებული იქმნა სომხეთში და შემდეგ დაგლეჯილი ბრეტანში.

VI

თავისი რომ დახია ჟორჟეტმა, ხელი გაუშვირა რენე-ჟანს და სთხოვა: — მომე.

წმიდანისა და პანტენის შემდეგ სხვა განმმარტებლების სურათები. იყო. პირველი, თარიღის მიხედვით, გავანტისა იყო. ამოხია რენე-ჟანმა და თავის დას მისცა გავანტი.

უპირატესობაც კმარა საჩუქრის გამცემისთვის. რენე-ჟანმა თავისთვის არა გადასდგა რა; გრო-ალენი და ჟორჟეტი აღტაცებით შესცქეროდნენ. და ამით იყო კმაყოფილი, — ჩემი მაცურებლების აღტაცებაც მეყოფათა.

მერე ამ სიმდიდრით უღეველმა და უხვმა გრო-ალენს ფაბრიკიო პინატელი მისცა და ჟორჟეტს — მამა სტილტინგი; გრო-ალენს ალფონს ტოსტა და ჟორჟეტს კორნელი; გრო-ალენს ერგო ანრი ამონი, ჟორჟეტს მამა რობერტი და მისივე, სამშობლო ქალაქი

დუე, — იქ დაბადებულიყო 1619 წელს; გრო-ალენმა მიიღო მექა-
ლალდების პროტესტი და ჟორჟეტმა გრიფებისადმი მიძღვნა. ეთიო-
პია მთლად გრო-ალენს ერგო და ლიკაონია — ჟორჟეტს. მერე. რა-
კი ისინი დააკმაყოფილა, ასწია წიგნი და ძირს გადმოაგდო.

საშინელება მოხდა. სიხარული და თან შიში მოერიათ გრო-
ალენს და ჟორჟეტს, როდესაც ნახეს, როგორ შეიქმუნა რენე-ჟანმა.
წარბები, დაეჭიდა წიგნს, ძლივსძლივობით ასწია და საწიგნიდან
ძირს დასცა მძიმე სახარება. ტრაგიზმს მოკლებული არ არის ძველი
წიგნის დაცემა: ერთ წამს ჰაერში იყო შემკრთალი, თითქო ვერ ბე-
დავს ძირს დაშვებასაო; მერე დაეშვა და დაგლეჯილი, დაშლილი,
ბალთებგახსნილი, ყდიდან გამოვარდნილი, საცოდავად დაეცა ია-
ტაკზე. კიდევ კარგი, რომ ბავშვებს არ დაეცა.

განსაცდელს გადაარჩნენ. მაგრამ გაშტერებული იყვნენ. ასე მშვი-
ლობიანად არ თავდება ხანდახან გამარჯვებულის განზრახვა.

როგორც შეეფერება ყოველ დიდებას, ამ გამარჯვებამაც დიდი-
ხმა გაიღო და საშინელი მტვერი აშალა.

ძირს დასცა სახარება და სავარძლიდან ჩამოვიდა რენე-ჟანი.

ცოტა ხანს გაჩუმებული იყვნენ, შეშინებული. გამარჯვებამაც
იცის შიში. ხელები დაუჭირეს ერთმანეთს, განზე გადგნენ და დაშ-
ლილ წიგნს შესცქეროდნენ.

მაგრამ შიშმა გაუარათ. გრო-ალენი ვაბედვით მივარდა სახარე-
ბას და წიხლი ჩაჰკრა.

ესლა აკლდა! მოსრვასაც ეხსნება მადა. თავის ძმის შემდეგ რე-
ნე-ჟანმა ჩაჰკრა წიხლი, მერე ჟორჟეტმა და ისე კარგად, რომ თვი-
თონაც ძირს დაეცა; და რაკი იქვე იყო, ამით ისარგებლა და ორივე
ხელით ეცა წმ. ბართოლომეს; მივარდა რენე-ჟანი, გრო-ალენი და
გახარებულნი, გამარჯვებულნი. ჟწყალონი, თავდავიწყებით, გაფა-
ციციებით ფხრიწავდნენ სურათებს, სკმუჭნიდნენ და ხევდნენ ფურც-
ლებს, აძრობდნენ შიგ ჩადებულ ნიშნებს, ფხაჭნიდნენ ყდას, აძრობ-
დნენ შეოქრვილ ტყავს და ბალთების ვერცხლის ლურსმნებს, სტეხ-
დნენ ეტრატს; შრომობდნენ ხელებით. ფეხებით, ფრჩხილებით, კბი-
ლებით და თან იცინოდნენ ბედნიერნი და ულმობელნი. სამი ნადავ-
ლის მოყვარე ანგელოზი შეხვდა უიარაღო ბართოლომეს და ანდერ-
ძი აუგეს უბედურს.

მოსპეს სომხეთი, ურიასტანი, ბენევანი, სადაც შენახულია ნაშთი
წმ. ბართოლომესი, ნათანაელი, რომელიც შეიძლება თვით ბართო-
ლომეც ყოფილიყოს; მოსპეს პაპი გელაზი, რომელმაც აპოკრიფად
გამოაცხადა ბართოლომე. დაფხრიწეს სახარება, ყველა სურათები,

უველა რუკები და ისე იყენენ გართული ამ ძველი წიგნის ფხრეწით, რომ თავგმა გაურბინა გვერდით და ვერც კი დაინახეს.

მოსაქს ბავშვებმა წმ. ბართოლომე.

დაშლა და დარღვევა ისტორიისა, ლეგენდისა, მეცნიერებისა, წამდელი ან ყალბი სასწაულისა, ეკლესიური ლათინურისა, ცრუ-ძორწმუნოებისა, ფანატიზმისა, ეკლესიური საიდუმლოებებისა, თავიდან ბოლომდე აღმოფხვრა სარწმუნოებისა არის ღვაწლი სამი გმირისა, ან სამი ბავშვისა. დადი ხანი მოანდომეს ხევას და ფხრეწას, მაგრამ კეთილსინდისიერად აისრულეს წადილი, — აღარა დარჩა რა წმ. ბართოლომესი.

როდესაც გაათავეს, როდესაც ამოხიეს უკანასკნელი ფურცელი, როდესაც ძირს დასცეს უკანასკნელი სურათი და წიგნიდან ყდაზე მიკრული ნაფხრეწები და დარჩა და ყდის ჩონჩხი, წამოვარდა რენე-ჟანი, წელში გაიჭიმა, თვალი გადააელო იატაკზე მოფენილ დაფხრეწილ ფურცლებს და ტაში დაჰკრა.

გრო-ალენიც არ ჩამორჩა თავის ძმას.

ჟორჟებმა ერთი ფურცელი აიღო იატაკიდან, წამოდგა. ფანჯარას მიეყუდა. რომელიც ნიკაპამდე ადგა, წვრილ-წვრილად დახია და გარეთ გადაჰყარა.

ეს რომ დაინახეს, რენე-ჟანმა და გრო-ალენმაც დაუწყეს ფურცლებს ხევა. მოაგროვებდნენ, დააქუცმაცებდნენ და ფანჯარადან ჰყრიდნენ. როგორც ჟორჟეტი. და ამგვარად ფურცელი ფურცელს მიჰყვა პატარა ბეჯითი თითებით დაგლეჯილი და თითქმის მთელი ძველი წიგნი წაიღო ქარმა. გადაჰყრიდა ჟორჟეტი წვრილ ნაფხრეწებს. გასცქეროდა ჩაფიქრებული, როგორ ტრიალებდნენ და იფანტებოდნენ ჰაერში და იძახდა:

— პეპელა.

ასე დამთავრდა ფხრეწა სახარებისა.

VII

ამგვარად ხელმეორედ აწამეს წმ. ბართოლომე, რომელიც ერთ-ხელ უკვე წამებულ იქნა 49 წელს.

ბინდდებოდა, სიცხე ერეოდა იქაურობას. დასვენებას მოითხოვდა გარჯილობა და თვალები ებლიტებოდა ჟორჟეტს. რენე-ჟანი მივიდა თავის აკვანთან, გადმოიღო თივით გატენილი პარკი — თვისი ლეიბი, ფანჯარასთან მიიტანა, გაშალა, დაწვა და თქვა:

— მოდით, დაეწვეთ.

გრო-ალენიც დაწვა და ბალიშად რენე-ჟანი იხმარა. ჟორჟეტმა თავი გრო-ალენზე დასდვა და ტკბილად ჩაეძინათ იმოდენი ავკაცობის შემდეგ.

გრილი სიო შედიოდა ფანჯრებიდან ბიბლიოთეკაში. ფერდობიდან და მინდვრიდან ქარით მოტაცებული ყვავილების სუნნელება ერევოდა და ატკობდა ჰაერს. დამშვიდებული იყო ბუნება და უხვად ქველი. ბრწყინავდა ყველაფერი, ერთობითა და ერთმანეთის სიყვარულით გახელებული. მზე უხვად უგზავნიდა ქვეყნიერებას თავის ალერსს — სინათლეს. ქმნილებათა ყველა ფორებიდან გამოსქვივოდა თანხმობა და გამტანლობა ერთმანეთისა, დედობრივობა იყო უსაზღვროში. სასწაულია ქვეყნიერების შექმნა, ვარდივით გაშლილი ქვეყნიერებისა, რომელიც სათნოებით ავსებს თავის უსაზღვროებას. რაღაც უხილავი ელანდებოდა ადამიანს, სიფრთხილით საიდუმლო ღონისძიების მიმღები, რომ ქმნილებათა უთანხმოებაში არსად ყოფილიყო მძლავრის მიერ სუსტის დაჩაგვრა. მშვენიერი იყო ქვეყანა და უსაზღვროდ ქველი. მიძინებული იყო ველ-მინდორი: ზედ ჩრდილისა და სინათლის ბრძოლა ადგა და ეს უფრო ამკობდა მის მშვენიერებას. ორთქლი მიიწევდა ზევით ღრუბლისკენ. როგორც ოცნება ლანდისკენ. ტურგს თავს დასტრიალებდა ფრინველთ გუნდი. მერცხლები იჭყიტებოდნენ ფანჯარაში, თიაქო უნდათ ნახონ, დაიძინეს ბავშვებმა; თუ ჯერ არაო. ეძინათ ბავშვებს. ლამაზად დაწოლილიყვნენ სამნივე ერთად: უძრავად იწვნენ, თითქმის ტიტვლები და ცოცხალ სურათს წარმოადგენდნენ სიყვარულისას. გულისწარბტაცი იყვნენ სამნივე თავისი უმანკოებით. ცხრა წლისა არ იქნებოდა სამივე ერთად. ეძინათ, სამოთხესავით ტკბალ სიზმარს ხედავდნენ და ტკბილი ღიმილი უბრწყინავდათ ბაგეზე. იქნება რასმე ჩასჩურჩულებდა შიგ ყურში ღმერთი. ბავშვები იყვნენ. და ბავშვებს ქვეყნიერების ყველა ენით სუსტი და კურთხეული ჰქვიან, რადგან მარტო ბავშვები არიან უმანკონი. მიჩუმებულიყო ყველაფერი, თითქო მათი ტკბილი გულის სუნთქვა ძვირად უღარდა ქვეყნიერებას, ყურს უგდებდა და მით ტკბებოდა. ფოთოლი არსად ირბოდა, ბალახი არ ინძრეოდა, ვარსკვლავიან სივრცეს შეეჩერებინა თავისი სუნთქვა, რომ ძილი არ გაეფრთხო ამ ჰატარა ანგელოზებისთვის. და არა იქნება რა ისეთი წმინდა, როგორც იყო სიყვარული ბუნებისა ამ პაწია ადამიანებისადმი.

მზე ჩადიოდა, თითქმის ეხებოდა ჰორიზონტს.

და უცბად, ამ ტკბილად მიძინებულ სიმშვიდეში, რაღამაც იელვა ტყიდან და თან ქექა მოჰყვა. ერთხელ გაისროლეს ზარბაზანი.

მთას ეცა ზარბაზნის ხმა, იქიდან მეორისკენ იქმნა გატყორცნილი,
და საშინელი გრგვინვა მოედვა იქაურობას.

გამოელვია ჟორჟეტს. ცოტად წამოიწია, თითი აიშვირა მაღლა,
ყური მიუგდო და წამოიძახა:

— ბუჰ!

მიწყდა ზარბაზნის ხმა. ისევ გამეფდა ღუმილი.

ჟორჟეტმა გრო-ალენზე დასდვა თავი და ჩაეძინა.

წიგნი მეოთხე

დ ე დ ა

I

სიკვდილი მოდის

როგორც ყოველთვის, დღევანდელი დღეც უგზო-უკლოდ სიარულში დააღამა მიშელ ფლეშარმა. ერთი და იგივე ყოველდღე. — მიდიოდა და მოდიოდა, არსად გაჩერდებოდა. დაიღლებოდა, წაიქცევოდა, თვალს მოატყუებდა ერთ წამს და ისევ გზას გაუდგებოდა, მოშივდებოდა. შესქამდა, საცა რასმე იპოვიდა, საჩქაროდ აკენკავდა, ჩიტივით, და ისევ გზას გაუდგებოდა. დასვენება, ძილი, საკმელი; — აღარა ახსოვდა რა. სკამდა და, ისვენებდა, თუ იძინებდა, მხოლოდ იმდენს, რომ სიარული შესძლებოდა.

ერთ უპატრონო მინგრეულ საბძელში გაატარა წუხანდელი ღამე. სამოქალაქო ომმა იცის ამგვარი ნანგრევების გამრავლება. მიტოვებულ მამულში ნაწილობრივ დანგრეული საბძელი დაინახა, შევიდა და იქ დაეგდო ჩალაზე ბანანგრეულ ნანგრევში. ჩალაში თავების წრუწუნი ისმოდა. ზემოდან ვარსკვლავები დაჰყურებდნენ. ერთი პირი ძილი წყალსაც მოერევიაო, ისე იმას მოუვიდა, და ჯერ 'მორს' იყო გათენება, როდესაც გამოელვია. წამოვარდა და გაჰყვა თავის გზას. უნდოდა; რაც შეიძლება მეტი გაეარა ღამის სიგრილეში და, თუ დასვენება იყო, დღე დაესვენა, სიცხის დროს. ზაფხულში ფეხით მავალისთვის შუაღამე უფრო ხელსაყრელია, ვიდრე შუადღე.

ვანტორტელმა გლენმა უთხრა. — დასავლეთისკენ წადიო; და ისიც, რამდენადაც შეიძლებოდა, მისდევდა მის რჩევას. ახლო რომ მიჰყოლოდა ვინმე, გააკვირვებდა უბედურის წამდაუწუმ ჩუმბინით წამოძახილი სიტყვა: — ტურგი. — თავისი სამი შვილის სახელები იცოდა და ეს ტურგი, სხვა აღარა ახსოვდა რა.

მიდიოდა და ფიქრობდა. აგონდებოდა თავისი თავგადასავალი, თავისი ტანჯვა-წვალება და თან შეურაცხოფა; აგონდებოდა, სად ვინ შეხვდა, მათი გულქვაობა, მათი პურადქვირობა, მათი კრიჟანგობა და ლუკმა-პურისთვის, ან ერთი ღამის ბინისთვის ფასის თხოვა,

და ვაპრობა დაჩინებდა. გზას რომ ჰკითხავდა ვისმე, ხშირად გაუგონია, — რას მომცემ, რომ გზა გასწავლო? ბედით ჩაგრული ქალი უფრო უბედურია, ვიდრე კაცი, იმიტომ რომ ქალი საშუალება არის სიამოვნებისა. საშინელი იყო იმისი მგზავრობა! მაგრამ ყურადღებას აღარას აქცევდა, აღარ სწყინდა რა, თავისი შევლები მეტი აღარა აწუხებდა რა.

დღეს ჯერ არავინ შეხვედროდა და ბოლოს ერთ სოფელს მიადგა. რიჟრაჟი იყო; ჯერ ყველაფერს ღამის სიბნელე აწვა და ჰვარავდა; მაგრამ აქა-იქ ზოგან კარი უკვე გაეღოთ დიდ ქუჩაზე და ფანჯრებიდან ცნობისმოყვარეებს გამოეყოთ თავი. სახლებს რაღაც არეულობა ეტყობოდა, როგორც შეშინებულ ფუტკრის სკას შორიდან მძიმე დატვირთული თვლების ქრიალი ისმოდა და რკინეულის წკარუნნი.

საყდართან მოედანზე გაქვავებულივით იდგა ხალხი და ფერდობს გასცქეროდა. სოფლისკენ მომავალ გზაზე ერთი უშველებელი ოთხთვლიანი ეტლი მოჩანდა. შიგ ხუთი ცხენი იყო ჯაჭვებით შემბული. ეტლზე გრძელი ბოძები ეწყო და ამ ბოძებზეა რაღაც იდგა, ჯერ უნახავი; ზემოდან დიდი სახურავი ჰქონდა სუდარასავით გადაფარებულთ. წინ ათი ცხენოსანი მიუძღვოდა და ათი კიდევ უკან მოსდევდა. ცხენოსნებს სამყურა ქუდი ეხურათ და მხარზე ამოღებულ ხმლის წვერი უჩანდათ. მიდიოდნენ ნელი ნაბიჯით და განთიადის სინათლეში შავად მოჩანდნენ ჰორიზონტზე. ეტლი შავს ჰგავდა, ცხენები აგრეთვე, ცხენოსნებიც კი შავად მოსჩანდნენ, უკან ფერმიხდილი დილა მოსდევდათ.

ბოლოს სოფელში შემოვიდნენ და მოედნისკენ გამოემართნენ.

ინათლა. მანამ სოფელს მოაღწევდნენ და უკვე შეიძლებოდა ამ უცნაური ტვირთის დანახვა. ხმის ამოუღებელივ, აჩრდილავით მიასვენებდნენ ცხენოსნები რაღაც საშინელებას.

ცხენოსნები ჟანდარმები იყვნენ. ხმალამოლებულნი იყვნენ მართლა ყველანი. სახურავი შავი ეფარა ტვირთს.

უბედური დედაც შევრდა თავის მხრივ სოფელში და მოედანზე მდგომ ხალხს მიუახლოვდა სწორედ იმ დროს, როდესაც ცხენოსნები შევიდნენ მოედანზე და შავი სუდარით მოსილი ტვირთი შეიტანეს. განცვიფრებული შეჰყურებდა ამ ტვირთს ხალხი. ჩუმი ჩურჩულით გაისმოდა კითხვა-პასუხი.

— ეს რა არის?

— გილოტინა.

— საიდან მოდის?

— ფუჟერიდან.

— სად მიაქვთ?

— აბა რა ვიცი? ამბობენ პარინიესკენ მიაქვთ, იქ რალაც ციხე-სიმაგრე არისო.

— პარინიესკენ?

— ჯანდაბისა და დოზანისკენ წაიღონ, ოღონდ აქ კი არ დარჩეს! აჩრდილს წარმოადგენდა ეს დიდი ეტლი თავისი დასუდრული ტვირთით, მგლოვიარესავით დაღვრემილი ჟანდარმებით, ჯაჭვის ზრიალით.

გაიარა დასუდრულმა მოედანი, გავიდა სოფლიდან. სოფელი არ ფერდობს შუა იყო გაშენებული და რამდენიმე ხნის შემდეგ მოედანზე დარჩენილმა გლეხკაცებმა, რომელთა ჯერაც ვერ მოეპრუნებინათ სული, კვლავ დაინახეს საზარელი სანახავი დასავლეთ ფერდობის აღმართზე. ავი გასავალი იყო ეს გზა და შორიდანაც კი იმყოფდა თვლების კრიალი და ცხენების ჯაჭვის ზრიალი. ამოღებულ ხმალს სცემდა ამომავალი მზის შუქი და ზედ ბრწყინავდა. გზამ მიუხვია და მიმალა თავისი მგზავრი.

სწორედ ის წამი იყო, როდესაც თვალი გააჰქვიტა ჟორჟეტმა ბიბლიოთეკის დარბაზში, თავის მძინარე ძმებთან მწოლარემ, და ისე ტკბილად შესცინოდა თავის ვარდისფერ ფეხს.

II

სიკვდილი ბრძანებს

კარგა ხანს უყურა ამ ტვირთს დედამ, მაგრამ ვერა გაიგო რა იმისა და არც ცდილა გაეგო რამე; იმას თავისი აწუხებდა და თავისი შეილების მეტი აღარა აგონდებოდა რა.

გამოვიდა სოფლიდან და ისიც იმ გზას მიჰყვა, საითაც ჟანდარმები წავიდნენ თავისი ტვირთით; ცოტა დაშორებით უკან მისდევდა გილოტინას. და უცბად მოაგონდა ეს სიტყვა. — ნეტავ რა უნდა იყოს „გილოტინაო“? — ფიქრობდა მიშელი. ან საიდან ეცოდინებოდა ტყის ნადირივით ცხოვრებას განშორებულს? მაგრამ ალლომ აგრძნობინა და თავისდაუნებურად თავითფეხამდე აათრთოლა. საზარლად ეჩვენა იმავე გზაზე, გილოტინის უკან, სიარული და მარცხნივ შეუხვია. მიატოვა გზა და ტყეში შევიდა, ფუჟერის ტყეში.

ცოტა ხანს იარა და შორს სამრეკლო დაინახა და სახლების ბანა. შიოდა კიდევ და სოფლისკენ წავიდა.

ეს სოფელი ერთი იმ დაბათაგანი იყო, სადაც რესპუბლიკელებს სამხედრო საგუშაგო მოეწყოთ.

სამამასახლისო სახლთან მივიდა, მოედანზე.

აქაც რალაც მღელვარება იყო და შიში. სამამასახლისოს შესავალს პატარა კიბე ჰქონდა, რამდენიმე საფეხურიანი, და ირგვლივ შემოხვევოდა ხალხი. კიბის თავზე ერთი კაცი იდგა, თან სალდათები ახლდნენ, და ხელში დიდი გაშლილი განცხადება ეჭირა. მის წარჯვნივ მდოლოე იდგა და მარცხნივ განცხადებების გამკვერელი კოქობით, რომელშიც მოხარშული სახამებელი ჰქონდა და ბეწვის კალამი.

ანვანზე, სამამასახლისო შესავლის ზემოდან იდგა მამასახლისი თავისი გლენკატური ტანისამოსით და ზედ სამფერი სარტყლით. განცხადება რომ ეჭირა, ის შიკრიკი იყო.

იმასაც ჰქონდა სამგზავრო ტყავის ნიშანი რესპუბლიკისა და ზედ აბგა. რაიც აღნიშნავდა, რომ სოფელ-სოფელ უნდა ევლათ და შეეტყობინებინა ხალხისთვის მთავრობის ბრძანებანი.

იმ დროს, როდესაც მიშელ ფლეშარი მიუახლოვდა, იმას უკვე გაეშალა განცხადება და იწყებდა კითხვას.

მალალი ხმით გასძახა ხალხს:

— „რესპუბლიკა საფრანგეთისა ერთი და განუყოფელი!“

მედოლემ დოღს დაჰკრა. შეინძრა ხალხი. ზოგმა ქუდი მოიხადა. ზოგმა თვალებზე ჩამოიჩეჩა. იმ დროს და იმ ქვეყანაში თითქმის უცდომლივ შეიძლებოდა ქუდით ცნობა ადამიანის პოლიტიკური მიმართულებისა: კალთიანი ქუდი მეფის მომხრეებს ეხურათ, უკალთო — რესპუბლიკელებს. ჩუმი, ჩურჩულით ლაპარაკი ხალხისა მიწყდა. სმენად გადაიქცა ხალხი.

შიკრიკმა კითხვა დაიწყო:

— „...თანახმად საზოგადოებრივი განრინების კომიტეტის...“ ერთხელ კიდევ აახმაურა მედოლემ თავისი დოღი.

შიკრიკმა განაგრძო:

— „თანახმად კომიტეტის მიერ ჩვენდამი მიღებული ბრძანებისა და ჩვენდამი მონიჭებული უფლებისა და აგრეთვე საერო კონვენტის დეკრეტის ასასრულებლად, რომლითაც კანონის გარეთ არიან გამოცხადებული აჯანყებულნი, თუ დაჭერის დროს აღმოაჩნდათ იარაღი, და რომლითაც სისხლის სამართლით იქნება დასჯილი, ვინც ბინას მისცემს აჯანყებულებს, ან დაეხმარება, რომ გაიპარონ“.

ერთმა გლენმა ჰკითხა ჩუმად თავის მეზობელს:

— სისხლის სამართალი რა არის?

მეზობელმა უპასუხა:

— ღმერთმა ნუ იცის მაგათი თავი!

შიკრიკმა შეანძრია განცხადება.

— „...თანახმად ოცდაათი აპრილის კანონის მეჩვიდმეტე მუხლისა, რომელიც სრულ უფლებას ანიჭებს მივლინებულთ და მათ თანაშემწეებს აჯანყებულებთან საბრძოლველად...“

— გამოცხადებულ არიან კანონის გარეთმყოფად...

გულიანად ამოისუნთქა და განაგრძო:

— „ქვემოთ ჩამოთვლილი თავის სახელით და მეტსახელით სამშობლოს მტერი ყაჩაღები:

სუნთქვა ეკვროდა ხალხს.

შიკრიკის ხმამ გრგვინვა დაიწყო და დაასახელა:

— „ლანტენაკი, ქვეყნის მტერი“.

— დიდებული კაცია, — წასჩურჩულა ერთმა გლეხმა მეორეს.

და ხალხშიც გაისმა ჩუმი ხმით: — დიდებული მებატონეა.

შიკრიკმა გაიმეორა:

— „...ლანტენაკი ყოფილი მარკიზი, ხალხის მტერი. — იმანუსი, ყაჩაღი“.

ერმთანეთს გადახედა ორმა გლეხმა.

— გუჟ-ლე-ბრუანი არის.

— ჰო, ლურჯების მკვლელს რომ ეძახიან.

შიკრიკმა კიდევ კითხვა დაიწყო:

— „გრაფ-ფრანკორი, ყაჩაღი“.

ხალხში ჩურჩული გაისმა:

— მღვდელია.

— ჰო, მამა ტურმო.

— აქ სადღაც, შაპელის ტყისკენ არის იმისი სამწყსო. მღვდელია. მღვდელი.

— და თან ქვეყნის მტერი, — უთხრა ერთმა გლეხმა.

შიკრიკმა წაიკითხა:

— „...ბუანუვო, ყაჩაღი. ორი ძმა პიკ-ან-ბუა, ყაჩაღები. ჰუზარი, ყაჩაღი...“

— ეგ ბატონი კელენია, — თქვა ერთმა გლეხმა.

— „პანიე, ყაჩაღი...“

— ესე იგი ბატონი სეფერი, — თქვა გლეხმა.

— „...პლას-ნეტი, ყაჩაღი...“

— ეგ კიდევ ბატონი ჟამუა არის.

შიკრიკმა განაგრძო კითხვა, ყურადღება არ ათხოვა ამ შენიშვნებს:

„...გინუაზო. ყაჩალი. — შატნე, მეტსახელად რობი, ყაჩალი...“
ერთმა გლეხმა აუხსნა თავის ამხანაგს:

--- გინუაზო იგივე ბლონდი არის და შატნე სენტ-უენი.

— „უასნარი, ყაჩალი,“ — განაგრძო კითხვა შიკრიკმა.

და ხალხში ხმა გაისმა:

— რუილიდან არის.

— ჰო, ბრანშ დ-ორს რომ ეძახიან.

--- ძმა რომ მოუკლეს პონტორსონის ბრძოლაში.

ჰო, უასნარ-მოლონიერი.

— კოხტა ბიჭი იყო, ცხრამეტი წლისა.

— ჩუმად! — დაუყვირა შიკრიკმა, — აი, ვათავებ სიას:

— „...ბელ-ვინი, ყაჩალი. ლამუზეტი, ყაჩალი. საბრ-ტუ, ყაჩალი.

ბრენ დამურ, ყაჩალი“.

ერთმა ბიჭმა იდაყვში ხელი წაჰკრა გოგოს. იმას სიცილი მოერია.

შიკრიკმა განაგრძო:

--- „...შანტ-ან-ივერ. ყაჩალი. ლეშა, ყაჩალი...“

გლეხმა წაიდუღუნა:

— ეგ მულარი არის.

— „...ტაბუზი, ყაჩალი.

ახლა მეორემ თქვა.

— ეგ კიდევ გოფრი არის.

— გოფრები ორნი არიან, — დაუმატა ერთმა დედაკაცმა.

— ორივე პატროსანი, — ჩაერია ვილაციის ხმა.

შიკრიკმა შეანძრია განცხადება. მედოლემ დოლს დაჰკრა.

და კვლავ გაისმა შიკრიკის ხმა:

„დასახლებული ყაჩაღება, როგორც კი იქნებიან დაჰკერილი და დამტკიცებული იქნება მათი ვინაობა, დაუყოვნებლივ იქნებიან სიკვდილით დასჯილი“.

მღელვარება დაეტყო ხალხს.

შიკრიკმა წაიკითხა:

— „ვინც კი იმათ ბინას მისცემს. თავშესაფარს. ან უშველის, რომ გაიპარონ, სიკვდილით იქნება დასჯილი. ხელს აწერს...“

დუმდა იმოდენა ხალხი.

— „ხელს აწერს: საზოგადოებრივი განრინების კომიტეტის მიერ შოვლინებული კომისარი სიმურდენი.“

— მღვდელი, — წამოიძახა ერთმა გლეხმა.

— პერინიეში რომ იყო, — დაუმატა მეორემ.

ერთმა ბურჯუამ თავისი თქვა:

— ტუმრო და სიმურდენი. ერთი თეთრი მღვდელია და მეორე ლურჯი.

— ორივე შავი, — შეუსწორა მეორე ბურჯუამ.

მამასახლისი აივანზე იდგა. ქული მოიხადა და შეჰყვირა:

— რესპუბლიკას გაუმარჯოს!

დოლის ხმა გაისმა ნიშნად იმისა, რომ შიკრიკს ჯერ არ გაეთავებინა კითხვა; და მართლაც, ხელით ანიშნა ხალხს. — კიდევ მაქვს სათქმელიო:

— „მოისმინეთ! აი, უკანასკნელი ოთხი სტრიქონი მთავრობის ბრძანებისა, ხელმოწერილი მოწინავე ჯარის მხედართმთავარ გოცენის მიერ.

— გაჩუმდით! მოისმინეთ! — დაიძახეს ხალხში.

და წაიკითხა შიკრიკმა.

— „ამ ბრძანებაში ჩამოთვლილი ცხრამეტი კაცი, სამშობლოს შოღალატეები და ხალხის მტრები, დღეს მომწყვდეული გვეყავს და ამავე ბრძანების ძალით სასტიკად იქნება დასჯილი, ვინც მათ დაზმარებას გაუწევს. მომწყვდეულები გვეყვანან ტურგში“.

— ტურგშიო? — გაისმა ვილაცის ხმა.

ქალის ხმა იყო, დედის ხმა.

III

გლახკაცების შაჰანი

ხალხში იდგა მიშელ ფლეშარი. ყურს არაფერს უგდებდა. მაგრამ შაინც გვეყურება. რასაც არ ვუსმენთ. არა გაუგონია რა, მაგრამ ტურგი კი ყურში ეცა და გაცოცხლდა ადამიანი.

— რაო? ტურგიო? — გაიმეორა გახარებულმა.

შემოხედეს შეშლილს ჰგავდა. დაფლეთილი ტანისამოსი ეცვა.

ხალხში ხმა გაისმა. — მაწანწალას ჰგავსო.

ერთი დედაკაცი მიუახლოვდა, კალათით მჭადი ეჭირა ხელში და ჩუმად უთხრა:

— გაჩუმდი.

განცვიფრებული შეჰყურებდა ამ ხალხს მიშელ ფლეშარი. ვერა ზაეგო რა. ამ სახელმა, ტურგმა, ელვასავით გაანათა წყვილიადი. მაგრამ წამიერი იყო ეს ნათელი დ ისევ ჩამოზნელდა ყველაფერი.

ნუ თუ უფლება არა ჰქონდა, კითხვით მიემართა ხალხისთვის და თავისი შვილებისა გაეგო რამე? რად უყურებენ ასე უნდობლად?

ერთხელ კიდევ დაჰკრეს დოღს. შიკრიკმა იქვე მიაკრა განცხადება, მამასახლისი შინ შევიდა.

ახლა სხვა სოფლისკენ წავიდა შიკრიკი და ხალხიც დაიშალა.

პატარა ჯგუფი დარჩა განცხადებასთან. მიშელ ფლეშარიც იმათში ჩაერთა.

მოსმენილს სჯიდნენ, დასახელებულებს ამართლებდნენ, ან ამტყუენებდნენ.

გლებკაცებიც იკვნენ ჯგუფში, ბურჟუებიც, ესე იგი თეთრებიც და ლურჯებიც.

— ეგ არაფერი. ქვეყანა დიდია. ცხრამეტი კაცი ცხრამეტია და არა მთელი ვანდე. ჯერ ხომ არსად მოუმწყვდევიათ პრიუ, არც ბენჟამენ მულენი, არც გუპილი, ანდუილეს სამწყსოელი.

— არც მონჟანელი ლორიელი, — თქვა მეორემ.

მერე სხვებმა დაუმატეს:

— არც ბრის დენი.

— არც ფრანსუა დუდუე.

— არც ლავალელი.

— არც ლონეი-ვილიელი ჰუე.

— არც გრეჟი.

— არც პილონი.

— არც ფილელი.

— არც მენისანი.

— არც გეჰარე.

— არც სამი ძმა ლოჟერე.

— არც ბატონი ლეშანდელიე, პიერვილელი.

— რა სულელები ხართ! — უთხრა შეტევით ერთმა ჭაღარა კაცმა, — რაკი ლანტენაკი დაიჭირეს, სხვების დაჭერაც აღარ გაუჭირდებათ.

— ჯერ არ დაუჭერიათ, — წამოიქანა ერთმა ყმაწვილმა კაცმა. მოხუცებულმა განუმარტა:

— ლანტენაკის დაჭერას აჯანყების სულისჩამდგმელის დაჭერას უდრის. ლანტენაკის მოკვლა ვანდეს სიკვდილი იქნება.

— ვინ არის ეგ ლანტენაკი? — ჰკითხა ბურჟუამ.

ერთმა ბურჟუამვე მისცა პასუხი:

— ყოფილი დიდებული.

მეორემ დაუმატა:

— ერთი იმათგანი, ვინც თოფით ახვრეტინებს ქალებს.
ეს კი გულში ეცა მიშელ ფლეშარს და დაემოწმა:

— მართალია.

მობრუნდნენ, შემოხედეს.

და დაუმატა — მეც თოფით დამხვრიტეს.

გაუგებარი იყო ეს სიტყვა. სიტყვა ცოცხლისა, რომელსაც
მკვდრად მიაჩნია თავი. დააცქერდნენ, თვალთ შიშველებდნენ.

და მართლაც, საზარელი სანახავი იყო საწყალი დედაკაცი.
თრთოდა, კანკალებდა, რალაც აწუხებდა და იმდენად იყო შეშინე-
ბული, რომ თვითონაც საშინელი გამხდარიყო. რალაც სუსტი და სა-
შინელი მოიპოვება ქალის სასოწარკვეთილებაში, თითქო ქვეყ-
ნიერების კიდურზე იყოს ჩამოკიდებული ძე-სულიერი. მაგრამ გლებ-
კაცობა უფრო უნდობლად უყურებს სხვის მწუხარებას და ერთმა
კიდევ წაიდუღუნა სხვების გასაგონად, — ჯაშუში არ იყოს, ვილაც
არისო.

— გაჩუმდი, ადამიანო! წადი აქედან, — ჩუმად უთხრა იმ დე-
დაკაცმა, წელან რომ დაელაპარაკა.

— მერე ვის რას ვუშაგებ? მე ჩემ შვილებს დავეძებ.

გულკეთილმა დედაკაცმა გადახედა იმ ჯგუფს, ასე უნდობლად
რომ უყურებდნენ ფლეშარს, შუბლზე თითი მიადვა, თვალი მოხუ-
ჭა და თქვა:

— ტეტერია, ეს უბედური.

მერე ხელი დაუქირა, იქით გაიყვანა და ერთი მქადი მისცა.

მადლობაც არ უთხრა მიშელ ფლეშარმა და ხარბად ჩაჰკბინა
მქადი.

— ტეტერია, ტეტერი, — სთქვეს გლებკაცებმა, — მხეცივით ილ-
მურძლებმა.

დაიშალა ჯგუფი. აქეთ-იქით წავიდა ყველა.

რომ გაათავა, შესქამა თავისი მქადი, ისევ იმ დედაკაცს მიმართა:

— ძალიან კარგი, შიმშილი მოვიკალ. ახლა ტურგი?

— აგერ, ისევ მოუარა ამ საწყალს! — შეჰყვირა დედაკაცმა.

— ტურგში უნდა მივიდე. ტურგის გზა მასწავლე.

— ღმერთმა დამიფაროს, — უპასუხა დედაკაცმა. — სიცოცხლე
მოგებურებია, რომ ტურგში მისვლა გინდა? მე არ ვიცი ტურგის
გზა. აჰა ღმერთო! შენ ძალიანა შეძლილი ხომ არა ხარ? რა გითხრა,
იცი, შე უბედურო? დაღალულ-დაქანცული ხარ და მოდი, ცოტა
ხანს ჩემსას დაისვენე.

— მე დასასვენებლად არა მკალია, — უთხრა ფლეშარმა.

— დასისხლიანებული აქვს ფეხები, — დუღუნებდა დედაკაცი.
მიშელ ფლეშარსაც დაეკარგა მოთმინება:

— ხომ გეუბნები, შვილები მომპარეს მეთქი! ერთი პატარა გოგო და ორი პატარა ბიჭი. იცი, რა შორი ტყიდან მოვდივარ? ჩემი ამბავი, თუ გინდა. ტელმარშს ჰკითხე, კემანს რომ ეძახიან. და კიდევ იმ კაცს, მინდორში რომ შემხვდა. სიკვდილს კემანმა გადამარჩინა. მგონია, რალაც მქონდა ვატეხილი. ბევრი რამ გადამხდა. ან კიდევ ათისთავს რადუბს ჰკითხე. ის ყველაფერს აგინსნის, იმიტომ რომ ის შეგვხვდა ტყეში. სამი პაწია ბავშვი, ჩემი სამი შვილი! ისე რომ უფროსს რენე-ჟანი ჰქვია. ამას ყველაფერს დავამტკიცებ, თუ გაპირდა. მეორეს გრო-ალენი ჰქვია და მესამეს კიდევ ჟორჟეტი. ქმარი მომიკვდა. მომიკლეს. მამული გვქონდა სისკუნარში. გულკეთილი ადამიანი უნდა იყო, გეტყობა. მასწავლე ტურგის გზა. მართლა შეშლილი კი არ გეგონო, დედა ვარ, დედა! შვილები დავკარგე და იმით დავვიძებ. სხვა არაფერი. დანამდვილებით არც კი ვიცი, საიდან მოვდივარ. წუხელ ერთ დანგრეულ საბძელში მეძინა. ტურგს უნდა შვიდი, ტურგს. ქურდი კი არ გეგონო. ხომ ხედავ, რომ სრულ სიმართლეს გეუბნები. ნუ თუ არ მიშველი, რომ ვიპოვო ჩემი შვილები? აქაური არა ვარ, გზა არ ვიცი. ამას წინათ დამხვრიტეს, მაგრამ სად, რა სოფელში, ეგ კი არ ვიცი.

თავი დაღუნა დედაკაცმა, დარიგება დაუწყა:

— ფრთხილად იყავ. ქალო! რეკოლუციის დროს არაფერი სთქვა ისეთი, რაც არ გაგეგება, თორემ დაგიჭერენ და ვაი შენი ბრალი!

— ტურგი საით არის, ტურგი? — შეჰყვირა დედამ.—ღვთის გულისათვის, თუ გწამს ღვთისმშობელი, წმინდა უმანკო ქალწული სამოთხისა, ნითხარ, გევედრები; მითხარ, საით არის ტურგის გზა? ბრაზი მოერია გლეხის დედაკაცს:

— არ ვიცი, არა! და კიდევ რომ ვიცოდე, მაინც არ გეტყვი-სახიფათოა იქაურობა. შეუძლებელია იქ მისვლა.

— მე კი მივალ!

უთხრა ფლეშარმა და გზას გაუდგა.

უყურა, უყურა დედაკაცმა და წამოიძახა:

— მშიერი მოკვდება ეს დედამკვდარი ესა!

გამოუდგა, დაეწია და ერთი მჭადი ჩაუდვა ხელში.

— დაიჭი, სადილად გამოგადგება!

მჭადი გამოართვა მიშელ ფლეშარმა, მადლობა არ უთხრა, არც კი შეხედა გულკეთილს და გაჰყვა თავის გზას.

სოფლიდან გადიოდა გზა. უკანასკნელ სახლებთან რომ მივიდა, სამი პატარა ბავშვი შეხვდა ფეხშიშველები, დაგლეჯილი ტანისამოსით. მივიდა ბავშვებთან და თქვა:

— ესენი.... ორი გოგოა ერთი ბიჭი.

ბავშვები თვალთ სჭამდნენ იმის მკადას. აიღო და ისიც იმათ შისცა.

მჭადი გამოართვეს ბავშვებმა და გაიქცნენ შეშინებული.

მიშელი ტყეში შევიდა.

IV

შეცდომა

იმავე დღეს, ვიდრე ირაყრახებდა, დაბურული ტყის გზაზე, ქვევნიდან ლებუსისკენ მიმავალზე, მოხდა შემდეგი:

საძაგელი, ძნელი გასავლელია ბოკაეში გზები და მეტადრე ქვევნიდან პარინიესკენ ლესკუსზე მიმავალი, დათხრილი და ხევში ვიწროდ ჩაქედლილი. ამასთან საშინლად დაკლანკილი. ღრმა ხევის ძირია უფრო, ვიდრე გზა. ეს გზა ვიტრედან მოდის და ერთხელ ღირსიქნა და კარგა ლაზათიანად ანჯღრია ქალბატონ სევენიეს ეტლი. მარჯვნივ და მარცხნივ ღობესავით ტყე ახვევოდა და ჩასასაფრებლად უკეთესს ვერსად იპოვიდა ვანდელი.

იმ დილას, ერთი საათით უფრო ადრე, ვიდრე მიშელ ფლეშარი ტყის მეორე მხრიდან შევიდოდა სოფელში, სადაც სუდარა დაჯარებულ გილოტინას მიასვენებდნენ ჟანდარმები, ხალხი ირევეოდა ბუჩქებში იმ გზის ორივე მხრივ, გესნონის ხიდიდან ჟავენესკენ რომ მიდის. ხალხი ირევეოდა ბუჩქებში და დანახვით კი, დანახვა არაგისი შეიძლებოდა, ისე ეფარათ ზედ ხის ტოტები. გლეხკაცები იყვნენ ტყავის ტანისამოსით, როგორც იმოსებოდნენ ბრეტანის მეფეები მეთექვსმეტე საუკუნეში და გლეხკაცები მეთვრამეტეშიც. შეიარაღებული იყვნენ ზოგი თოფით, ზოგი ცულით. ცულიანებს ველობზე ფიჩხი მოეგროვებინათ და ისე დაეწყოთ კოცონი, რომ ცეცხლის წაკიდებალა უნდოდა. თოფიანები გზის ორივე მხარეს ჩასაფრებულ იყვნენ ვილაკის მოლოდინში. იმ ხშირ ბუჩქნარში რომ შესძლებოდა ვისმე მათი დანახვა, მაშინვე შენიშნავდა სასროლად გაშვერილ თოფებს და ჩანმახზე მსროლელის თითებს. ვილაკას ელოდნენ. თოფები ხევის ორივე მხრით გზისკენ ჰქონდათ მიმართული, რომელიც ოდნავ მოჩანდა განთიადის სინათლეში.

და ჩუმად ბაასობდნენ.

- დარწმუნებული კი ხარ?
- მაგას რა თქმა უნდა.
- აქეთ გამოივლის?
- ამბობენ, აქ არის და აქეთ გამოივლისო.
- აქ არის და აქ დარჩეს. სხვაგან ნუღარ გაუშვებთ.
- დავწვად და მაშინ წავიდეს!
- სამი სოფელია მაგისტვის წამოსული. სად წავივია!
- თან რომ მცველები მოსდევენ?
- თოფის ტყვია და იმათი ჯანი!
- მერე, ამ გზით კი გაივლის?
- ამბობენ, ამ გზითაო.
- თუ აგრეა, მაშ ვიტრედან მოდის?
- ეგეც შეიძლება.
- და ხომ იძახდნენ, ფუჟერიდან მოდისო?
- ფუჟერიდან მოდის, თუ ვიტრედან, ეშმაკის მანქანაა და ვწმაკებთან მიდის.
- ჰო და გავახაროთ ის ეშმაკები.
- დამტვრულით და დამწვარით!
- ჰო და აგრე!
- მაშ პერინიეშივე უნდა გავგზავნოთ.
- პერინიეში.
- რალას წავა?
- არ წავა და ჩვენ გავგზავნოთ!
- ჯანი გავაგდებინოთ!
- ჩუმაღ!

საჭირო იყო გაჩუმება, რადგან მზე ამოდოდა, სინათლე ეფინებოდა იქაურობას.

და უცბად სუნთქვა შეიკრეს ჩასაფრებულებმა: შორიდან თვლების პრიალი მოესმათ და ცხენის ფეხის ხმა. გამოიხედეს მალულად ბუჩქებიდან და შორიდან მომავალი გრძელი ეტლი დაინახეს, ზედ რალაც ტვირთი, რომ ჯერ ვერ ხედავდნენ და თან ცხენოსანი მცველები.

ეტლი ჩასაფრებულებისკენ მოდიოდა.

- აგერ, მოდის, — თქვა ერთმა, — მეთაური იყო ალბათ.
- ჰო, ის არის ის თავისი მცველებით.
- რამდენი არიან მცველები?
- თორმეტი კაცია.
- რომ ამბობდნენ, ოცი კაციაო?

— თორმეტია, თუ ოცი. განა ერთი არ არის? თორმეტსაც მოგვლავთ; ოცსაც.

— ჯერ კარგად მოგვიახლოვდნენ.

ცოტა ხანს უკან გამოჩნდა გზაზე ეტლი და ცხენოსანი კაცები.

— ჩვენ მეფეს გაუმარჯოს! — შეჰყვირა მეთაურმა.

და ასი თოფის ტყვია ეცა მიმავალთ:

კვამლი რომ გაიფანტა, მცველებიც გაფანტულიყვნენ; შეიდი მიწაზე ეგდო, ხუთი გაქცეულიყო. ეტლს ეცნენ გლეხები.

— აი გამიწყრა ღმერთი! — შეჰყვირა მეთაურმა, — გილოტინა არა ყოფილა. კიბეა, ერთი უბრალო კიბე!

და მართლაც ერთი გრძელი კიბის მეტი იქ არა იყო რა.

ორი ცხენი მიწაზე ეგდო დაქრილი. მეეტლეს მკვდარი იყო.

— ეგ არაფერი, — თქვა მეთაურმა, — რა მცველები უნდა კიბეს, თუ აქ ნაქვაცობა არ არის განზრახული? პერინიეს მხრიდან მოდიოდა. ცხადია, ტურგის ციხე-სიმაგრეში გადასაძრომად მოჰქონდათ.

— მაშ კიბე(ო) დაეწვათ! — შეჰყვირეს გლეხკაცებმა.

და, კოცონი მზად ჰქონდათ, დასწვეს კიბე.

რაც შეეხება სულარაწაფარებულ გილოტინას, რომელსაც ისინი ჩაჰსაფრებოდნენ, ის სულ სხვა გზით წასულიყო და იმ სოფელში იყო უკვე, სადაც მიშელ ფლეშარმა ნახა მზის ამოსვლისას.

ყ

ხმა უღაბნოსა შინა

ბავშვებს რომ შჰადი მისცა ფლეშარმა, ტყეში შევიდა და თვითონაც არ იცოდა, საით მიდიოდა.

რაკი არავინ იყო ღვთისნიერი, რომ გზა ესწავლებინა, მაშ თვითონვე უნდა ცდილიყო და ეპოვა ტურგი. ძალიან დაღალული იყო. ვეღარ უძლებდა სიარულს, წამდაუწუმ დაეშვებოდა ხოლმე მიწაზე. მაგრამ მალევე წამოვარდებოდა, სიარულს ცდილობდა, რომ კვლავ დამკვდარიყო ღონემიხდილი. დაღალული იყო და დაღალვა კუნთებიდან ძვლებსაც მოსდებოდა; დაღალვა შონისა. და მართლაც შონა იყო, შონა თავისი დაკარგული შვილებისა. უნდა ეპოვა თუ დედა იყო. ვინ იცის, რა განსაცდელს უმზადებდა პაწაებს ყოველი წუთი დედის დაგვიანებისა. ამისთანა მოვალეობა რომ აწევს ადამიანს; უფლება აღარა აქვს რა. უბედური დედისთვის აკრძალული

იყო დასვენება. მაგრამ მეტად დაქანცული იყო, იქამდე, რომ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად უხდებოდა ყოველი ნაბიჯის გადადგმა. შესძლებდა თუ არა? დილიდან გზაში იყო, აღარც სოფელი იყო სადმე მის გზაზე, აღარც ადამიანი. ჯერ კვალს გაჰყვა ტყეში, ტურგისკენ მიმავალს, მერე სხვაზე გადავიდა და უფრო და უფრო შორდებოდა თავის გზას. ბოლოს ეს კვალიც დაჰკარგა და გზადაკარგულად დარჩა ტყეში. სად იყო? ახლო იყო თავის მიზანთან? თუ. პირიქით, აქვე დაეცემოდა და ბოლო მოეღებოდა მის წამებას? ერთ წამს ყოვლად შეუძლებლად ეგონა ფეხის გადადგმა. მზე ჩადიოდა. ტყეში ბნელოდა. კვალი აღარსად ჩანდა ადამიანის ნავალისა, და არ იცოდა, რა მოელოდა ამ უდაბურ ტყეში. ღმერთი და ჰყავდა ზღარველი. ძახილი დაიწყო, პასუხს არავინ აძლევდა.

ადგა, მიახედ-მოიხედა და ტოტებში სინათლე შენიშნა, სინათლეს მიჰყვა და მოულოდნელად გავიდა ტყიდან.

მის წინ ვიწრო ვაკე გადაშლილიყო, რომლის ქვემოდან ქვებში პატარა მდინარე მიკამკამებდა. წყალი რომ დაინახა, მაშინ იგრძნო ცხარე წყურვილი. მივიდა, დაეწაფა და გულიანად დალია წყალი.

ღაჩოქილი იყო და ამით ისარგებლა, იქვე წარმოთქვა თავისი ლოცვა.

მერე წამოდგა და ეცადა მოეფიქრა, საით წასულიყო.

მდინარეზე გადავიდა, ზევით ავიდა.

იქიდან კი დიდი მინდორი იყო გადაშლილი, სადამდეც კი თვალი მისწვდებოდა, დაბალი ბუჩქებით მოსილი. მდინარის პირიდან ნელ-ნელა ზევით იწევდა და ჰორიზონტამდე მიდიოდა. ტყეში მარტოობა იყო; აქ, ამ მინდორში — სრული უდაბნო. ტყეში ყოველი ბუჩქის უკან შეიძლებოდა შეხვედროდა ვისმე; ამ მინდორზე კი, სადაც კი მისწვდებოდა თვალი, არა ჩანდა რა. ჩიტები დაფრინავდნენ ბალახებზე, სხვა არაფერი.

ასე მარტოდმარტო დარჩენილს ამ უდაბნოში მუხლი ეკეცებოდა, თავს ვეღარ იმაგრებდა, და თითქო მართლა შეიშალაო, ღონემიხდილმა დედამ საშინელი ხმით შეჰკივლა ტყესა და მინდორს:

— არავინ არის აქ ძე-ხორციელი?

— პასუხს ელოდა.

და პასუხიც მიიღო:

რალაც ყრუ და ღრმა ხმა გაისმა შორიდან, ჰორიზონტის სიღრმიდან მომავალი; ჯერ ერთ ქედს ეცა, იქიდან მეორეს და მოედგა იქაურობას. ეს ხმა შორეულ ქუხილს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამია-

ნისას, თუ ზარბაზნისა არ იყო. ისე გაისმა, თითქო დედის კვილს მისცეს პასუხად, — აქა ვართო.

ისევ მიდუმდა იქაურობა.

გამოცოცხლდა დედა, წამოვარდა: ადამიანი იყო იქ, სადღაც ახლო; ადამიანი იყო, რომელიც ეტყოდა რასმე, ურჩევდა რასმე. წყურვილი მოეკლა, ლოცვა უკვე ეთქვა, ყოჩაღად იყო და აჰყვა მინდორს, იმ მხრივ წავიდა. საიდანაც თავისი კითხვის პასუხი მიიღო.

და შორს, შორს, ჰორიზონტის კიდურზე მაღალი კოშკი დაიანახა. ამ კოშკის მეტი არა ჩანდა რა უდაბურში, ჩამავალი მზის სხივი სცემდა და აშუქებდა; კოშკის უკან მწვენიოთ მოსილი ფართობი გადაშლილიყო, — ფუჟერის ტყე.

კოშკიც იმ მხრიდან ეჩვენებოდა, საიდანაც რაღაც ქუხილით მისცეს პასუხი იმის ძახილს. იქნება ეს კოშკი იყო მისი შემბრალებელი და მხსნელი?

ფერდობზე ავიდა მიშელ ფლეშარი და მის თვალწინ გაშლილ მინდორს გადახედა. კოშკისკენ წავიდა.

VI

მღვთმარეობა



დადგა გადამწყვეტი წუთი.

ულმობელს ხელთეგდო უწყალო.

სიმურდენს მომწყვდეული ჰყავდა ლანტენაკი.

მანზეში გააბეს ბებერი აჯანყებული მომხრე მეფისა. ცხადი იყო, რომ ველარ გაეპარებოდათ და გადაწყვეტილი ჰქონდა სიმურდენს, — ლანტენაკს თავს გაეადგებინებთ თავის მამულში, მოედანზე თავის სახლთან, რომ ფეოდალურმა ციხე-სიმაგრემ და ხალხმა თავისი თვალით ნახოს დიდებული ფეოდალისა და მებატონის დასჯა და გულში დარჩეს ეს მაგალითი, რომ სხვამ აღარა გაბედოს რა ამგვარიო.

ამიტომ იყო, რომ ფუჟერში გაჰგზავნეს კაცი გილოტინის ჩამოსატანად. ისიც ხომ ვნახეთ გზაში თავისი სუდართა და ჟანდარმებით.

ლანტენაკის მოკვლა ვანდეს მოკვლა იქნებოდა და ვანდეს მოკვლა საფრანგეთის ხსნა. სიმურდენს საბოლოოდ ჰქონდა ეს გადაწყვეტილი. თავისი საზარელი მოვალეობის ასრულებაში ყოყმანი არ იკოდა.

წასული იყო მარკიზის საქმე. ამ მხრივ დამშვიდებული იყო სიმურდენი, მაგრამ ერთი გარემოება იყო და ის უწყლავდა გულს. ბრძოლა, ცხადი იყო, საშინელი იქნებოდა. ბრძოლის მეთაურად გოვენი იქნებოდა და მეთაურობის გარდა, ვაი თუ თვითონაც ჩარეულიყო; ყმაწვილი იყო, გული ურჯოდა და მხედართმთავარში ჭაბუკისა და მამაცი სალდათისაც ბევრი რამ შერჩენოდა; შეიძლებოდა სრულიად მოულოდნელად ჩარეულიყო ხელჩართულ ბრძოლაში. მერე ვინ იცის, ჯოცხალი გადარჩებოდა? გოვენი, იმისი შვილი! ერთადერთი მისი საყვარელი ამ ქვეყნად! ბედი სწყალობდა გოვენს: აქამდე დაჰკრილიც კი არსად ყოფილა; მაგრამ ბედმაც იცის დაღალვა და კანკალებდა სიმურდენი. ესეც ბედი! იმაში იყო სიმურდენის უბედურება, რომ ორ გოვენს შუა ჩავარდნილიყო: ერთისა სიკვდილი ენატრებოდა და მეორისა სიცოცხლე.

ზარბაზნას, ჰატარა ჟორჟეტი რომ გამოაღვიძა თავის აკვანში და გამოაფხიზლა სასოწარკვეთილი ფლეშარი, სხვა შედეგიც ჰქონდა. შემთხვევით იყო თუ დამმიზვნელის განზრახვით, ამ სროლას უნდა ეცნობებინა კოშკში შემწყვედულებსთვის, რომ ნახევარი საათის შემდეგ დაიწყებოდა ბრძოლა; ყუმბარა კი კოშკის მეორე სართლის დარბაზის ფანჯრის რკინის მოაჯირს ეცა, გასტენა და ნახევარი აავლიჯა. კოშკში მყოფთ დრო აღარ ჰქონდათ, რომ შეეკეთებინათ ეს მოაჯირი.

ძალიან დაიკეხეს კოშკელებმა, თოფ-იარაღი და თოფის წამალი ბევრი გვაქვსო. იარაღი არა და თოფის წამალი კი ძალიან ცოტა ჰქონდათ. იმათი მდგომარეობა, ამას ნუ დავივიწყებთ, გაცილებით უფრო ცუდი იყო, ვიდრე სიმურდენსა და გოვენს ეგონათ. თოფის-წამალი რომ საკმაოდ ჰქონოდათ, მთლად ააფეთქებდნენ ტურგს, როგორც კი რესპუბლიკელები შევიდოდნენ კოშკში და თვითონაც თან აჰყვებოდნენ; ეს იყო იმათი ფიქრი და ოცნება; მაგრამ თოფისწამალი არა ჰქონდათ, და რაც ჰქონდათ, ძალიან ცოტა. ოცდაათი სროლა ძლივს შეხვდებოდა თითოს. თოფები და დამბაჩები, — რამდენიც გნებაეთ, და ვაზნა კი — ძალიან ცოტა. სულ გასტენეს თოფი და დამბაჩა, რომ შეუწყვეტლივ შესძლებოდათ სროლა; მაგრამ დიდხანს ეყოფოდათ ეს იარაღი? საჭირო იყო გასროლილის გატენა და გასატენად კი მასალა აკლდათ. აქ იყო იმათი გაჭირვება. საბედნიეროდ, ხანდახან საშინელებაშიც ჩნდება ბედნიერება, — საბედნიეროდ ბრძოლა უმთავრესად ხელჩართული იქნება, ხმლითა და ხანჯლით, მკვეთი იარაღით; ერთმანეთს ყელში სწვდებიან მებრძოლ-

ნი, აპკუწავენ, დაახრჩობენ. და ესლა დარჩენოდათ საიმედოდ და სანუგეშოდ.

შიდა მხარე კოშკისა მიუვალს ჰგავდა. პირველ სართულში რომ ზარბაზნით კედელი შეუნგრიეს რესპუბლიკელებმა და შესავალი კარი გააღეს, კარგად მაგარი ბარიკადი იყო ლანტენაყის ხელმძღვანელობით აგებული. ბარიკადის უკან დიდი მაგიდა იდგა და ზედ ელაგა გატენილი თოფი და დამბაჩა, ხმალი, ხანჯალი და მკრელი ცული. რადგან კოშკის აფეთქება შეუძლებელი იყო და ამ დარბაზის ქვეშ გათხრილი დილეგის გამოყენება აღარაფრით შეიძლებოდა მარკიზმა ჩააკეტინა ქვემოთკენ მიმავალი კარი. ბარიკადიანი დარბაზის ზემოდან მრგვალი დარბაზი იყო, რომელშიც ასვლა შეიძლებოდა მარტო ე.წ.რო, კედელში დაყოლებული კიბით. ეს ოთახიც ისევე იყო მოწყობილი: როგორც პირველი სართულის დარბაზი, — დიდი მაგიდა იდგა და ზედ ელაგა უკვე გატენილი იარაღი. დიდი დოლაბით შედიოდა ოთახში სინათლე, რომლის მოაჯირი, ის აყო, წაეხდინა ყუმბარას. ამ ოთახის ზემოთ, იმავე კედელში დატანებული ვიწრო კიბით შეიძლებოდა ასვლა იმ დარბაზში, რომელსაც რკინის კარი ჰქონდა, ხილზე გამავალი. ამ ოთახს ხან რკინისკარიანს ეძახდნენ, ხან სარკიანს, რადგან მრავალი წვრილ-წვრილი სარკე ჰქონდა გაულესავი კედლის ქვებზე მიკრული ჟანგისანი ლურსმნებით, — უცნაური კაზმვა ველურობისა. ზემო სართულების ოთახების გამაგრება და დაცვა არავეითარ სარგებლობას არ წარმოადგენდა და ეს სარკიანი დარბაზი წარმოადგენდა იმას, რასაც მანესონ-მაღლემ, ციხისა და კოშკის გამაგრების კანონმდებელმა, უწოდა „უკანასკნელი წერტი, სადაც გარემოცულნი ჰყრიან იარაღს და მტერს ნებდებიან“. მაშასადამე, საჭირო იყო, ამ ოთახამდე არ მიეშვათ რესპუბლიკელები.

მესამე სართულის დარბაზში სინათლე დოლაბებით შედიოდა; მაგრამ მაშხალაც ანთებული იყო, სწორედ ისევე, როგორც ქვემო სართულში; მაშხალა იმანუსს აენტო და გვერდზე დაედვა როჯირდიანი პატრუქი. კოშკში ხანძარი კარგად იყო მომზადებული.

ქვემო სართულის დარბაზის უკანა მხარეს გრძელ ხონჩაზე საჭმელ-სასმელი იყო დალაგებული, როგორც ჰომერისებულ მღვიმეში. გობებზე იყო მოხარშული ბრინჯი და ხორბალი, ხბოს ხორცი, პური, წყალში მოხარშული ხილი და დოქებით — სიდრი. სვამდა და სკამდა, ვისაც სწყუროდა, ან შიოდა.

ზარბაზანი რომ ვავარდა, ფეხზე წამოვარდა ყველა. ნახევარი საათის სიცოცხლეა დარჩენოდათ.

იმანუსი კოშკი! ბანზედ იყო და თვალს აღევნებდა რესპუბლიკელების მოძრაობას. ლანტენაკმა უბრძანა, — ნუ ესვრით, მანამ აქ არ შემოვლენო, და ასე განმარტა: — ოთხიათას ხუთასი კაცია, კოშკის გარეთ ბევრიც რომ დავხოცოთ, ტყუილად დავინარჯებით. ვესროლოთ მაშინ, როდესაც კოშკში შემოვლენ. მარტო კოშკში გვექნება ძალის თანასწორობა.

და დაუმატა სიცილით: „თანასწორობა და ძმობა-ერთობა“.

შეთანხმებული იყვნენ: როგორც კი ღაიძროდა მტერი, მაშინვე საყვირით მისცემდა ნიშანს იმანუსი.

გაჩუმებული ყვენენ ყველანი, ზოგი ბარიკადის უკან, ზოგი კიბის საფეხურებზე, და ელოდნენ. ერთი ხელი ჩახმახზე ეღვათ, მეორით კრიალოსანი ეჭირათ.

უკვე გარკვეული იყო მდგომარეობა:

რესპუბლიკელები უნდა შესულიყვნენ შენგრეული კედლით კოშკის ქვემო დარბაზში, აელოთ ბარიკადი, აელოთ კედელში დატანებული ორი კიბის საფეხურები, ყველა ცალკე, რომ ზემო სართულში ასულიყვნენ და დაეძლიათ როგორმე ჩამალული ვანდელების თოფის სროლა.

ვანდელები უნდა დახოცილიყვნენ.

VII

წინასწარი მზადება

თავის მხრივ გოვენიც ემზადებოდა საბრძოლად. უკანასკნელი განკარგულება მისცა სიმურდენს, რომელსაც იყო ნათქვამი, ბრძოლაში მონაწილეობა არ უნდა მიეღო, მაგრამ ფერდობი კი დაეცვა. გეშანი ჯარების უმთავრესი ნაწილით ტყეშივე რჩებოდა და თვალი უნდა ედევნებინა მტრისთვის. დაადგინეს, რომ ტყეში მყოფი ზარბაზნები დაიწყებდნენ სროლას და აგრეთვე ფერდობზე დალაგებულები მარტო იმ შემთხვევაში, თუ ვანდელები სიმაგრიდან გამოსვლას და გაქცევას სცდიდნენ. კოშკის ასაღებად დანიშნული რაზმის მეთაურობა გოვენმა ისურვა. — და სწორედ ეს უწყლავდა გულს სიმურდენს.

მზე ის იყო ჩავიდა.

გაშლილ მინდორში რომ კოშკი დგას, შუა ზღვაში მავალ გემს ჰგავს; მტერი ერთნაირად მიუდგება ერთსაც და მეორესაც; აქ კი უფრო მიახლოებება, ვიდრე იერიში. რა საჭიროა აქ ზარბაზანი და

ამოდ სროლა? ან რას შეგვეძენს, კიდეც რომ დავუშინოთ ყუმბარა ამ თხუთმეტბიჯიანი სისქის კედლებს? პატარა ნანგრევი არის კედელში, რომელშიც ერთნი შესვლას ცდილობენ და მეორენი შიგნიდან შესავალს იცავენ ცულით, დანით, ხანჯლით, დამბაჩით, მუშტითა და კბილით. ეს იყო იმ დღეს ტურგის კოშკში.

გოვენი კარგად ხედავდა, რომ სხვა გზა არ იყო ტურგის აღებისა. ერთადერთილა დარჩენოდა: კოშკში შევარდნოდა მტერს და ყელში დაეჭირა ხელი. გარდა ამისა, კარგად იცნობდა კოშკის შინაგან საშიშროებას, რადგან იქ გაეტარებინა თავისი სიყმაწვილე. ღრმადჩაფიქრებული იყო გოვენი.

იქვე რამდენიმე წაბიჯის მანძილზე იღვა იმისი თანაშემწე და კოგრით გასცქეროდა პერინიეს მხარეს. და უცბად შეჰყვირა:

— ძლივს!

ჩაფიქრებულ გოვენს რალაც საიმედო მოესმა ამ სიტყვაში.

— რა იყო, გეშან?

— კიბე მოდის, კიბე.

— ჩვენ რომ დავიბარეთ?

— დიახ.

— მაშ აქამდე არ ჩამოუტანიათ? ახლა მოაქვთ?

— არა და ძალიან მოუსვენრალაც გახლდით. ჟავენეში გაგზავნილი კაცი დაბრუნდა და კიბე კი არსად იყო.

— ვიცი რომ დაბრუნდა.

— დიახ, მოვიდა, შითხრა, — სწორედ საჭირო სიგრძის კიბე ვიშოვე სადურგლოში, რეკვიზიტის წესით გამოვართვი, ჩემთანვე დავადებინე, თორმეტი კაცი დავუნიშნე წამომყოლად და მე იქ ვახლდით, რომ წამოვიდნენო. გამოვგზავნე და გამოვასწარ. წინ წამოვედიო.

— მოვიდა და ეგ მოგვასხენა. ისიც თქვა, კარგი ეტლი არის კარგი ცხენები აბია და ორი საათი იქნებოდა, როდესაც წამოვიდა, მზის ჩასვლამდე აქ იქნებო. ეგ ყველაფერი ვიცი, მერე?

— მერე, მზე ჩავიდა და კიბე არსად იყო.

— მოდი შენა და!.. ჩვენ კი იერიშით უნდა მივიდეთ. უკვე გადის დაპირებული ნახევარი საათი. იცით, რას იფიქრებენ კოშკელები, თუ იერიში დავუგვიანეთ? — ეშინიათ და უკან იწევენო.

— მე მგონია რომ შეიძლება დავიწყოთ.

— კიბეა საჭირო.

— აუცილებლად.

— ჰოდა, კიბე კი არსად არის.

— არის?

— სად ეშმაკებშია, თუ არის?

— სწორედ მაგაზე წამოვიძახე წელან, — ძლივს მეთქი, რომ ველარა და ველარ მოაღწია ჩვენამდე, ავიღე ქოგრი, დავათვალიერე პერინიედან ტურგისკენ მიმავალი და ძლივს დამიმშვიდდა გული, — აგერ გვიახლებათ, ფერდობზე ჩამოდის. აი, შეხედეთ.

გოვენმა გამბართვა ქოგრი და ფერდობს ახედა.

— მართლა და მოდიან. აგერა, მოჩანს. ცოტად ჩამობნელდა და ძნელია ყველაფრის გარჩევა, მაგრამ ცხენოსნები კი კარგად ჩანან. ოლონდ იცით, გეშან, ეს ცხენოსნები მე უფრო მეტი მგონია, ვიდრე თქვენ მითხარით.

— მეც აგრეთვე.

— აგერ გვიახლოვდებიან.

— ერთი ან უთმეტი წუთის შემდეგ აქ იქნება ჩვენი კიბე.

— მაშ იერიშის დაწყებაც შეიძლება.

მართლა, აგერ მოდიოდა რალაც, მაგრამ ის კი არ იყო, რაც იმათ უნდოდათ.

ამ დროს ათისთავი რადუბი მოვიდა და წინ გამოეჭიმა გოვენს. მხედრული სალამით.

— რას იტყვით, რადუბ?

— მოქალაქე მეთაურო, ერთი სათხოვარი გვაქვს წითელქუდა-ბატალიონის ბიჭებს.

— სახელდობრ?

— გვინდა თავი გაეწიროთ.

— აჰ! — წარმოთქვა გოვენმა.

— აგვისრულებთ ამ თხოვნას?

— კი... თუ საქმემ მოითხოვა.

— საქმეც ეგ არის, და! დოლის ბრძოლის შემდეგ ისე გვიფრთხილდებით... ჯერ კიდევ თორმეტნი გახლავართ ბატალიონში.

— მერე?

— გვამცირებთ, მოქალაქე მეთაურო.

— თქვენ რეზერვში ხართ.

— ჩვენ წინა რაზმში გვინდა ბრძოლა.

— გაჭირვებისთვის მინდისხართ, რომ დაჰკრათ უკანასკნელ წამს და უზრუნველყოთ გამარჯვება. გაჭირვებისთვის გინახავთ.

— მეტისმეტად.

— წინა ხართ, თუ უკან, სულ ერთია. თქვენც მებრძოლ რაზმში ხართ.

— დიახ, ყველაზე უკან. პარიზს უფლება აქვს ყველაზე წინ იყოს.

— მოვიფიქრებ, ჩემო რადუბ.

— მოიფიქრეთ, ოღონდ დღეისთვის, თუ შეიძლება. ამაზე უკეთესი შემთხვევა იქნება აღარც კი გველირსოს. ცხარი ზელჩართული მოგველის, ნამდვილი კრივი. თითებს გაილოკავს, ვინც ტურგს შეეხება დღეს და გვინდა გთხოვოთ, ჩვენც გვაგემოთ ამ კოშკის სიტკბობა.

გაჩუმდა ათისთავი, უღვაში გაისწორა და განაგრძო აღელვებულის ხმით:

— და ეგეც რომ არ იყოს, ჩვენი მეთაურო, ჩვენი პაწიები გახლავან ამ კოშკში, ჩვენი შვილები, ჩვენი ბატალიონის შვილები, სამი უსუსური ბავშვი. იქვე გახლავთ უშვერი და უჯიათო მხეცი, ლურჯის მკვლელს რომ ეძახიან, იმანუსად წოდებული ეშმაკის კერძი და სიკვდილს უქადის ჩვენ შვილებს, ჩვენ პაწიებს, ჩვენ ანგელოზებს. მიწა რომ ინძრას და ქვეყანა ინგრეოდეს, ჩვენ მაინც ვეცდებით ჩვენი შვილების გადარჩენას. არ გვინდა, არა, რომ უბედურება რამე ეწიოს ბავშვებს. აი, რას გეხვეწებით! არ გვინდა! აი წელან, რაკი არ ვიბრძოდით, ზავით ვისარგებლე, ფერდობზე ავედი და ფანჯარაში დავინახე ჩვენი პაწიები. ვიდექ და შევეყურებდი! დიახ, იქ გახლავან. სახლში. ხევისპირიდან დაინახავს, ვისაც უნდა, როგორც მე დავინახე წელან და ცოტად შევაშინე კიდეც. დიახ, მოქალაქე, ერთი თმა, ერთადერთი თმა რომ ჩამოაგლიჯოს ვინმემ ჩვენ ანგელოზებს. ვფიცავ ათას წმინდას და უწმინდურს, შიგ წვერში ეწედები გადაყრუებულ ღმერთს და იმის გამხმარ უტვინო ჩონჩხს! ამას მარტო მე, ათისთავი რადუბი კი არ მოგახსენებთ, ამას მოგახსენებთ და გთხოვთ მთელი ბატალიონი. სახელდობრ რას? ჩვენ გვინდა გადავარჩინოთ ბავშვები, ან არა და ჩვენც დავიხოცოთ. დალახერა ჩემმა მახვილმა! ნუთუ ამის უფლება არა გვაქვს?! დიახ, გადავარჩინოთ ბავშვებს, ან თუ ვერა, ყველანი დავიხოცებით, ყველანი! და ახლა, — თქვენი ბრძანება და თანხმობა.

გოგენმა ხელი ჩამოართვა რადუბს და უთხრა.

— ყოჩალი ხართ, ვაჟაკობით აღსავსენი! თქვენ იქნებით ერთ-ერთი მიმავალი რაზმის თავში. ორად გავყოფ თქვენს ბატალიონს — ექვსი კაცი წინ გაუძღვება რაზმს, რომ წინსვლა არსად შეჩერდეს და ექვსიც წინა რაზმის ბოლოში იქნება, რომ უკან დახევა არავინ ვაზბედოს.

— და მაინც მე ვრჩები, ორივე ნაწილის ათისთავად?

— ღიახ.

— მაშ. გმადლობთ. ჩვენო მეთაურო, რადგან რაზმის თავში მე გახლდებით.

სამხედრო სალამი მისცა რადუბმა და თავის ბატალიონთან მივიდა.

საათს დახედა გოვენმა. რამდენიმე სიტყვა წასჩურჩულა გეშანს და შეუდგა იერიშით მიმავალი რაზმის წყობას.

VIII

სიტყვა და ღრინვა

ამ ბაასის დროს სიმურდენი გვერდზე ედგა გოვენს, ჯერ არ წასულიყო თავის დანიშნულებისამებრ ჯარისკენ. მეტუქესთან მივიდა.

— აბა, ბუკი! — უბრძანა სიმურდენმა.

ბუკს ზემოდან საყვირი მოჰყვა.

ერთხელ კიდევ გაისმა ბუკისა და იმის ჰასუხად საყვირის ხმა.

ეს რაღაა?—ჰკითხა გოვენმა გეშანს.—რა უნდა სიმურდენს? სიმურდენმა წინ წაიწია, კოშკისკენ. ხელში თეთრი ცხვირსახოცი ეჭირა.

და ხმისამაღლებით შესძახა:

— კოშკში მყოფნო! მიცნობთ თუ არა?

პასუხი იმანუსმა მისცა. კოშკის ბანიდან:

— გიცნობთ.

და ჯარმა გაიგონა შემდეგი ბაასი სიმურდენისა და იმანუსისა:

— მე რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ვარ.

— პერინიელი მღვდელი ხარ, გაკრეჭილი.

— მე მოვლინებული ვარ საზოგადოებრივი განრინების კომიტეტისგან.

— მღვდელი ხარ, ღვთის უარმყოფი.

— წარმომადგენელი ვარ მთავრობისა.

— ქვეყნის მტერი ხარ და მოლაღატე.

— კომისარი ვარ რევოლუციისა.

— სარწმუნეობის მგმობი.

— სიმურდენი ვარ.

— ქაჯი და ეშმაკი.

მაშ მიცნობთ?

- ჰირივით გვძულხარ.
- კმაყოფილი იქნებით, რომ ხელში ჩაგივარდეთ?
აქ ცხრამეტნი ვართ. ცხრამეტნივე გავეწირავთ თავს. ოღონდ-
ხელთ ვივადოთ შხამიანი გველი.
- ჰოდა, აი მოვედი, თქვენი ვარ.
- საშინელი, მხეცური სიცილი გაისმა კოშკის ბანიდან.
- მოდი რალა!
- მიჩუმებული იყო მთელი ჯარი, ამ ბაასის ბოლოს ელოდა.
- სიმურდენმა შესძახა:
- ერთი პირობით.
- რა პირობით.
- აი, მომისმინეთ.
- თქვი, თქვი!
- მაშ აგრე გეჯავრებით?
- აკი გითხარით.
- შე კი გულითადად მიყვარხართ, მე ძმა ვარ თქვენი.
- და პასუხი მიიღო ზემოდან:
- დიახ, კაინი.

სიმურდენმა განაგრძო მღელვარე ხმით, რომელშიც სიმკაცრეც
ისმოდა და ერთდროულად სიტკბოებაც:

მლანძღეთ, მაგრამ მომისმინეთ. მე აქ შუაქაცად გელაპა-
რაკებით. დიახ, თქვენ ძმები ხართ ჩემი. გზადაკარგული ცხვარნი-
ხართ, საბრალონი. მე მეგობარი ვარ თქვენი და კეთილის მოსურ-
ნე. მე სინათლე ვარ და უვიცობასა და სიბნელეს ვებრძვი. სინათლე-
ში ყოველთვის არის ძმობა-ერთობა და ვგეტყვით რომ არ იყოს, ვანა-
ერთი დედის შვილნი არა ვართ ჩვენ ყველანი? ერთი სამშობლოს-
შვილნი? მაშ მომისმინეთ. ერთხელც იქნება, შეიგნებთ, ან თქვენა-
შვილები შეიგნებენ, ან თქვენი შვილისშვილები, რომ სულ ყველა:
რაც კი დღეს იცვლება და არსდება, არსდება და მყარდება ზეციური
კანონების ასასრულებლად და რევოლუციის სულისჩამდგმელი
თვით ღმერთი არის. და მანამ მოვა დრო და თქვენ ცნობიერებასაც
ელირსება სინათლის სხივი და ძირიანად აღმოიფხვრება ყოველი
ცრუმორწმუნოება, დიახ, მანამ მოვა ეს ნეტარი დრო და წყვედიადის
წილ შუქი მოეფინება ქვეყანას, ჩვენ უნდა ვეცადოთ თქვენს დახ-
მარებას, რადგან ძმები ხართ ჩვენი, დაბრმავებულნი და მით უფრო
საბრალონი. და აი, მოვდივარ. თქვენთვის მომიძღვნია ჩემი სიცოც-
ხლე. აი, ხელგამოწვდილი გთხოვთ, — თუ თქვენდა სახსნელად ჩემი
სიკვდილი არის საჭირო. აჰა, მომკალით. მე სრული უფლებებით ვარ

აღჭურვილი და კიდევ ავასრულებ, რასაც ვამბობ. აგერ, დადგა ჟამი აღსასრულისა. მერე შეუძლებელია იქნება. თქვენ რომ გელაპარაკებით, სამშობლოს წელი გელაპარაკებით, მოქალაქე, და ამ მოქალაქეში ღრმად ჩარჩენილა მღვდელი. მოქალაქე გებრძვით, მღვდელს ებრალებით და თქვენს ხსნას ცდილობს. მომისმინეთ. ბევრს თქვენთაგანს ცოლიც ეყოლება, ცხადია, და შვილებიც. თქვენი ცოლშვილის დახმარება მინდა, თქვენი წვრილშვილის დახმარება. თქვენს ახირებასა და უჯიათობას ვებრძევა, რომ მამა შევარჩინო თქვენს შვილებს. ძმანო...

— ჭადაგებს ჩვენი მღვდელი, — ჩამოსძახა სიცილით იმანუსმა.

— ძმანო, ავირიდოთ ჟამი განსაცდელისა. რად უნდა ამოვხეცოთ ერთმანეთი? ბევრი ჩვენგანი ველარ ნახავს მზის ამოსვლას, ბევრნი დავიღუპებით ამალამ და თქვენ კი ყველანი, ყველანი უკლებლივ. შეიბრალეთ თქვენი ცოლშვილი რად გინდათ ასე ამაოდ, უსარგებლოდ ამოდენა სისხლის დათხევა? რათ გინდათ ამოჟლიტოთ ამოდენა ხალხი, როდესაც ორიც იკმარებს?

— ორიო? — წამოიძახა იმანუსმა.

— დიახ. ორი იკმარებს.

— ვინ და ვინ?

— ლანტენაკი და მე.

და უფრო ხმამაღლად განმარტა სიმურდენმა:

— ორა კაცი გყავს მეტი: ჩვენთვის ლანტენაკია მეტი და თქვენთვის მე, სიმურდენი. აი, რა წინადადებას გაძლევთ, თუ გნებავთ, რომ ცოცხალი დარჩეთ ყველანი: მოგვეცით ლანტენაკი და სამაგიეროდ სიმურდენი მიიღეთ. ლანტენაკს თავს მოვსპირით გილოტინით და სიმურდენს თქვენ თქვენებურად დასჯით.

— მღვდლო, — დაიღრიალა იმანუსმა, — სულ ნელ ცეცხლზე დაწვავდით, რომ დაგიჭერდე სადმე.

— თანახმა ვარ, — უპასუხა სიმურდენმა.

და განაგრძო:

— სასიკვდილოდ განწირული ხართ ყველანი, ვინც მაგ კოშკში ხართ, და თუ მოისურვებთ, საათი არ გავა, ცოცხალი გამოხვალთ მანდედან ყველანი და თავისუფალი. თქვენში ხსნა მინდა. მიიღებთ ჩემ წინადადებას?

იფეთქა იმანუსმა:

— არა მარტო დეთის მტერი, ვიყიც ყოფილა ეს ბილწი, ესა! არა, რა გინდა, რისთვის გვაწუხებ შენი ჭადაგებით? ვინ გეხვეწება,

მოდი და გაგვანათლო? რაო? ჩვენ და ჩვენი ბატონი გავცეთ?! რა გინდა, რა ჩვენგან?

— ლანტენაკის თავი. და სამაგიეროდ გაძლევით...

— შენს ტყავს, განა? რადგან ძალსავეთ გაგაძრობთ ტყავს, მღვდელი სიმურდენს!. ჰოდა, არ გვინდა, არა! იმის ფრჩხილადაც არა ღირს შენი ტყავი! გასწი, გაგვეცალე!

— საშინელება მოგვლით. ერთხელ კიდევ, უკანასკნელად,—დაფიქრდით.

ღამდებოდა ამ სამწუხარო მოლაპარაკების დროს, რომელიც კარგად ესმოდათ, როგორც კოშკში მყოფთ, ისე რესპუბლიკელებს. მარკიზი ლანტენაკი გაჩუმებული იყო და არ უშლიდა, — დაე, გული მოიჯერონო. მეთაურებს სჭირთ ეს უცნაური ეგოიზმი. ეს არის ერთი უფლებათაგანი პასუხისმგებლობისა.

ამ დროს იმანუსის ხმა გაისმა, რომელმაც დაჰფარა სიმურდენის ხმა:

— თქვენ, ეი! მანდ რომ მოგროვილხართ და ამოწყვეტას გვიპირებთ! ჩვენ უკვე გაცნობეთ ჩვენი წინადადება. ჩვენი პირობები იცით და იქ შესაცვლელი არა არის რა. მიიღეთ, თორემ ვაი თქვენი ბრალო! თანახმა ხართ? ჩვენ ახლავე დაგიბრუნებთ სამ პატარა ბავშვს, აქ რომ არიან, ამ კოშკში, და თქვენ გაგვიშვებთ და თავისუფლად გაგვატარებთ ყველას.

— ყველას, — შეაწყვეტინა სიმურდენმა, — გარდა ერთისა!

— სახელობრ?

— გარდა ლანტენაკისა.

— გავცეთ ჩვენი ბატონი?! ღმერთმა დაგვიფაროს!

— ლანტენაკი გვინდა.

— არა და არა!

— მარტო ამ პირობით შეიძლება ჩვენი მორიგება.

— მაშ ბრძოლა? დაიწყეთ რაღა!

მიჩუმდა ყველა.

იმანუსმა საყვირს ჩაჰბერა და ძირს ჩავიდა. მარკიზმა ხმალი აშოიღო. კოშკში მყოფნი ცხრამეტნივე ხმისამოუღებელივ მოგროვდნენ ქვედა დარბაზში, ბარიკადის უკან, და დაიჩოქეს; კარგად ესმოდათ საიერიშო რაზმის ზომიერი ფეხის ხმა; ბნელაში კარგად გრძნობდნენ მის კოშკთან მოახლოვებას და აგერ, იქვე, თავიანთი გვერდით იგრძნეს მტერი, კედლის ნაპრალის პირში. დაჩოქილებმა მხარზე მიიღეს თოფები, ლულა ბარიკადის ნახვრეტებში გაჰყვეს და ერთი იმათგანი, გრან-ფრანკორი, ტურმოელი მღვდელი, ადგა:

მარჯვენა ხელში ხმალი ეჭირა, მარცხენაში ჯვარცმა და წარმოთქვა ლოცვით:

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!..

ყველამ ერთად გაისროლა თოფი. ბრძოლა დაიწყო.

XI

ბუმბეაკაზებისა და დევების ბრძოლა

საშინელება იყო ეს ბრძოლა.

ხელჩართულად სცემდნენ ერთმანეთს და იმისთანა საზარელი სურათი იყო, რომ წარმოსადგენადაც კი შეუძლებელია.

ამგვარი სიმხეცის სანახავად წარსულს უნდა დაეუბრუნდეთ, გავიხსენოთ ესქილის დრელები, ან ფეოდალური დროის ჟღერა ხალხისა; ან ძველქუჩური „მოკლე იარაღით“ ბრძოლა, რომელმაც მეჩვიდმეტე საუკუნემდე მოაღწია: შეეპარებოდნენ როგორმე ციხესიმაგრეში და იწყებოდა ტრაგიკული ბრძოლა, — ერთი მხრივ გახურებული სროლა და მეორე მხრივ შეცვივებულები, რომლებსაც წინ თეთრი თუნუქით გაკრულა განიერი ფიცარი ეჭირათ, იარაღად გრძელი შუბი და წინ მიიწევდნენ ნელნელა. ამოხოცავდნენ, განდეენიდნენ პატრონს და თავი მოჰქონდათ ვაჟაკობითა და რაინდობით, — როგორც სწერს ერთი „ბებერი ალენტიეოელი ათისთავი“.

მეტად სახიფათო იყო იერიშის მისატანი ადგილი. ვიწრო ნაპრალი იყო კედელში, რომელსაც საქმის მცოდნენი „თალიან ნაპრალს“ უწოდებენ, ესე იგი შენგრეული კედელი, ზემოდან დანგრეული კედლის ქვებით დაფარული. ნაღმის თოფის წამალს აქ ბურღის დანიშნულება აესრულებინა. ნაღმი იმდენად მძლავრა ყოფილიყო, რომ აფეთქებით კოშკის კედელი გაეხვრიტა და გარდა ამისა, კედელიც გამსკდარიყო ნაღმის ბუდის ზემოდან თითქმის ორმოცი ბიჯის სიმაღლემდე, მაგრამ მეტად ვიწროდ, ისე რომ კოშკში შესასვლელად მარტო ქვედა სართულის ნაპრალი იყო, უფრო შუბით შექრილსა ჰგავდა, ვიდრე ცულით გაპობილს.

ეს ნაპრალი მიწის პირად არღვევდა კედელს, დაბალ შესავალს უკეთებდა, თითქო მიწაზე დაწოლილი ჰა ყოფილიყოს, გველავით დაკლავნილი, ვიწრო ნასკდომად ამავალი ზევით თხუთმეტბიჯიანი სისქის კედელში და წარმოადგენდა რაღაც უფორმო ცილინდრს, ნაღმითმოფენილ ხაფანგს, რომელშიც თავში კედლის ქვა სცემდა შემაველს, ფეხებში ღორღი და თვალებში წყვდიადი.

იერიშით მიმავალს ეს ხვრელი ედვა წინ, ბნელი პირი ჯურღმულისა, დამტვრეული ქვების ყბებით ზევით და ქვევით, რადგან ნალმის აფეთქებას არც ერთი ქვა არ გადარჩენოდა მთელი. კაციჭამია ზვიგენს არ ექნება იმდენი და ისე მჭრელი კბილი, რაც ამ ნაპრალს ჰქონდა, და ამ ხვრელით უნდა შესულიყვნენ და გამოსულიყვნენ რესპუბლიკელები.

შევიდოდნენ და წინ მაგრად ამართული ბარიკადი დახვდებოდათ და ბარიკადის უკანიდან თოფისა და დამბაჩის ტყვია.

საფარელები რომ შეხვდებიან ერთმანეთს სადმე მიწაში, ნალმისთვის ხვრელის გათხრის დროს და იქვე, ვიწრო თხრილში იბრძვიან, ან კიდევ ზღვაზე ომში მტერი რომ აუვარდება გემზე და ვიწრო, დაბალ გემბანებს შუა ატყდება ხმლითა და ხანჯლით ბრძოლა, სწორედ ასეთივე და უფრო საშინელი მოელოდათ კოშკზე მიმავალთ. ორმოში ჩავარდეს კაცი და იქ ებრძოდეს მტერს, ამაზე საშინელი არა იქნება რა. და აქ კი ამ ორმოს დაბალი ქვიანი თალი აწვა თავზე. რესპუბლიკელების რაზმის ბიჭების შესვლა და ბარიკადის უკანიდან სროლის პტება ერთი იყო და ისეთი ქექა-ქუხილი მოედვა იქაურობას, თითქო მიწა ინძრა და კოშკი ინგრევაო. ასეთივე ქექა-ქუხილით უპასუხეს რესპუბლიკელებმაც. სროლას სროლა მოჰყვა. გოვენის ბრძანება გაისმა, — დაჰკათ! — ამას ლანტენაქის ბრძანება მოჰყვა, — მაგრად იდექით! — მერე იმანუსის ყვირილი — ჩემკენ, ბენელებო! და ამასთან ხმლის ცემა და ხმლის წკრიალი, თან ზედიზედ სროლა ორივე მხრივ. კედელზე ჩამოკიდებული მაშხალავერც კი ანათებდა იქაურობას; შეუძლებელი იყო რისამე გარჩევა, გაწითლებულ სიბნელეში იყო ეს ბრძოლა. ვინც კი შევიდოდა კოშკში, მაშინვე ყრუვდებოდა და ბრმავდებოდა; ყურს უყრუებდა სროლა და ყვირილი და თვალს უბრმავებდა კვამლი და ქვარტლი. დაჭრილები იქვე ეყარნენ მიწაზე; მკვდრებზე და დაჭრილებზე დადიოდნენ, ფეხით თელავდნენ, გულმკერდს უმტვრევდნენ მომაკვდავთ და საზარელი გმინვა ერეოდა მებრძოლთა ყვირილსა და სროლას. რომ ველარას ახერხებდნენ, ფეხში ჰკბენდნენ დაჭრილები მებრძოლ ამხანაგებს. ხანდახან, ერთ წამს მიჩუმდებოდა ხოლმე ბრძოლის ყოვინა და ეს დუმილი უფრო საზარელი იყო, ვიდრე ხმაურობა. ყელში სწვდებოდნენ ერთმანეთს, ერთმანეთის ნასუნთქს ჰყლაპავდნენ, კბილებს აკრაჭუნებდნენ, ხრიალებდნენ, ილანძლებოდნენ, იგინებოდნენ; სისხლის ღვარი გადიოდა კოშკის ნაპრალით გარეთ, მიწაზე იშლებოდა და ორთქლს უშვებდა იმ სიბნელეში.

იტყოდით, თვით კოშკს სდის სისხლი, ძალიან დაქრილი ყოფილა ეს ბუმბერაზიო.

მაგრამ უცნაური ის იყო, რომ იქვე კოშკში წყდებოდა ეს ხმაურობა. და ვარეთ თითქმის არა ისმოდა რა. ძალიან ბნელი ღამე იყო და მინდორშიც და ტყეშიც კოშკის გარშემო გლოვის სამშველდე იდგა. კოშკში ჯოჯოხეთი იყო და გარეთ აკლდამური სიჩუქე. ბნელაში ხოცავდნენ. ერთმანეთს; თოფის სროლა, ყვირილი, ღრიალი. ცოფი, — ყოველივე ეს იქვე, კოშკის კედლებში და თაღებში რჩებოდა; ჰაერი აკლდა ხმაურობას, რომ თან გაპყოლოდა და სული ეხუთებოდათ მებრძოლთ. კოშკის გარეთ თითქმის არა ისმოდა რა. პატარა ბავშვებს ტკბილად ეძიათ ამ ბრძოლის დროს.

მწვავდებოდა ბრძოლა. მაგრად ედგა რესპუბლიკელებს ბარიკადი. კოშკელებს სიმრავლით აჯობებდნენ რესპუბლიკელები, მაგრამ საფარი კი მეტად მაგარი ჰქონდათ ვანდელებს. მრავალი ხალხი დააკლდა გოვენს. რაზმი კოშკის შესავალთან იდგა გამწკრივებული. ნელნელა შედიოდა ნანგრევში და მცირდებოდა თავისი სიგრძით. როგორც თავის სოროში შემავალი გველი.

ყმაწვილი კაცი იყო გოვენი, უშიშარი და ამასთან წარსულით დარწმუნებული, რომ უნებლად გადარჩებოდა ბრძოლას. ისიც იქვე იყო, ბარიკადთან მებრძოლ რაზმთან.

უკან მიიხედა ბრძანების მისაცემად და ამ დროს გასროლილი თოფის ალმა იქვე, იმის გვერდით მდგომის სახე გაანათა.

— სიბურდენ, — შეჰყვირა განცვიფრებულმა, — აქ რა გინდა?

მართლა სიმურდენი იყო.

— მინდა შენთან ვიყო.

— მოსაკლავი გაქვთ თავი?

— კარგი და, შენ რაღა გინდა აქ?

— მე საჭირო ვარ, თქვენ კი არა.

— მეც შენთან ვარ.

— არა, ბატონო, არა!

— ჰო, შეილო, ჰო!

და ფეხი არ მოიცვალა. სიმურდენმა.

ქვედა სართულის დარბაზს მოკლულები და დაქრილები აესებდნენ.

ბარიკადი ჯერ დანგრეული არ იყო, მაგრამ, ეტყობოდა, სიპრავლე სჯობნიდა სიმაგრეს. ვანდელები ბარიკადს ეფარებოდნენ, რესპუბლიკელებს არავითარი საფარი არ ჰქონდათ, მაგრამ ათი რომ წაქცეულიყო ლურჯი, ერთს მაინც დასცემდა თეთრს. და გარდა

ამისა სულ ახალ-ახალი მებრძოლი ემატებოდა გოვენს. რესპუბლიკელებს ემატებოდათ ძალა, ვანდელებს უმცირდებოდათ.

ვანდელები ცხრაშვიტივე ბარიკადების უკან იყვნენ. იერიში ბარიკადს ხედებოდა. დაჭრილებიც იყო ვანდელებში და დახოცილებიც. სულ ბევრი რომ ეთქვათ, თხუთმეტი კაცილა იქნებოდა მებრძოლი. ერთი გამხეცებულთაგანი, შანტ-ან-ივერი საზარლად იყო დამახინჯებული. ჯმუხი ბიჭი იყო, ხუჭუჭთმიანი ბრეტანელი, ტანდაბალი და მაგარი; თვალი გამოთხრილი ჰქონდა და ყბა ჩამტვრეული; მაგრამ ჯერ ფეხზე იდგა. კედელში დაყოლებულ კიბეში შეძვრა და მეორე სართულის დარბაზში ავიდა. — იქ დამშვიდებით ვილოცავ და სულს განვეუტევებო.

დოლაბთან კედელს მიეყუდა, რომ სუნთქვა შესძლებოდა.

ქვევით უფრო და უფრო. მწვავდებოდა ბრძოლა. ერთ წამს შეწყდა სროლა და გაისმა სიმურდენის ძახილი:

— ვანდელებო! რა საჭიროა ამოდენა სისხლის-ღვრა? დაჭერილი ხართ! დაჰყარეთ იარაღი! ოთხიათას ხუთასი კაცი ვართ. იქნება გგონიათ, სულ ამოგვწყვიტოთ ცხრაშვიტმა? ორასი კაცი უნდა მოგვიკლას თითო თქვენგანმა. მოდიოთ, დაგვენბდით!

— კმარა. ეგ აძღა-უბდა, — გამოსძახა ლანტენაკმა.

და ზედ მოაყოლა ტყვია.

ბარიკადი ჰერის თალამდე არ იყო აყვანილი, ისე რომ რესპუბლიკელები ზემოდანაც ესროდნენ, მაგრამ ასევე ისროდნენ ვანდელებიც.

— დავანგრიოთ ბარიკადები! — შეჰყვირა გოვენმა. — ვინ არის ყოჩალი ბიჭი!

— მე გაიხლებით, — უპასუხა ათისთავმა რადუბმა.

X

რ ა დ უ ბ ი

განცვიფრებული დარჩნენ რესპუბლიკელები. რადუბმა წელანვე შემოიყვანა ექვსი კაცი თავის ბატალიონისა; ოთხი უკვე დაჭრილი ჰყავდა და ახლა რომ დაიძახა, — მე გაიხლებითო, — იმის მაგივრად რომ ბარიკადს სცემოდა, დაიკუზა, თითქმის დაეშვა მიწაზე, მებრძოლთ ფეხებში გაუძვრა და უკან-უკან გაცოცდა. კედლის ნანგრევს რომ მიაღწია, წამოვარდა, გარეთ გაექანა. ნუთუ გაექცა ბრძოლას? რადუბი და გაქცევა? რას ნიშნავდა იმისი გასვლა? რას აპირებდა?

გარეთ რომ გავიდა კვამლისგან დაბრმავებული. ჯერ თვალების მოწმენდას და გახილვას ეცადა. თითქო კოშკის სიბნელის საშინელების დავიწყებას ცდილობსო; მერე, თვალი რომ გააჩილა, ვარსკვლავების სინათლით ისარგებლა და შენანგრევის ზემოდან გამსკდარ კედელს დააკვირდა. უყურა კარგა ხანს, გასინჯა, კმაყოფილების ნიშნად თავი დაიქნია და წაიღუდუნა: — სწორედ ასე მეგონა.

შეენიშნა რადუბს. რომ ქვედა სართულში შესავალი ნაპრალის ზემოდანაც გამსკდარი იყო კედელი მეორე სართულის დოლაბამდე, რომელსაც რესპუბლიკელების ყუმბარამ ჩამოაგლიჯა მოაჯირის ნაწილი. დანარჩენი იქვე ეკიდა კედლიდან აყრილი და ადამიანი ადვილად გადაძვრებოდა ამ დოლაბით მეორე სართულში.

გადაძრომა შეიძლებოდა. მაგრამ აძრომაც შეიძლებოდა? აძრომაც შეიძლებოდა ნამსკდარით. ოღონდ თუ ადამიანი კატად იქცეოდა.

ვეფხვიც იყო და კატაც რადუბი. იმ კაცთაგანი იყო, რომელთაც პინდარი¹⁾ მკვირცხლ გმირებს ეძახდა. შეიძლება დიდი ხნის სალდათი იყოს კაცი და თან მკვირცხლი და ჩაუქი. რადუბი ჯარისკაცი იყო, დიდი ხნის მოსამსახურე, მაგრამ ჯერ ორმოცი წლისა არ იყო. გმირი იყო და თანაც მეტად მკვირცხლი.

თოფი მიწაზე დადვა, გუდა მოიხსნა, ზედატანი გაიხადა, ორი დამბაჩა ქამარში ჩაირჭო, ამოიღო ხმალი და პირში დაიჭირა კბილებით, დამბაჩების კონდახი ამოშვერილი ჰქონდა ქამარის ზემოდან.

მოიშორა. რაც კი უსარგებლოდ დაამძიმებდა. და იმ დროს, როდესაც გაშტერებული შესცქეროდნენ ის რაზმელები. რომელნიც იქვე იდგნენ. კოშკში შესასვლელად მომზადებულნი, შესცქეროდნენ. — ხომ არ გაგიჟდა ეს კაციო, — ავიდა ნანგრევზე და დაიწყო ზელნელა კედელზე ძრომა; ფეხს კედლის ნასკდომში იმაგრებდა, როგორც საფეხურებში. ფეხშიშველი იყო და ესეც უადვილებდა ძრომას. საცა ფეხს ვერ შესტევდა, იქ ფეხის ცერს შეჰყოფდა, ხელეებით ეჭიდებოდა, საცა, კი ხელმოსაკიდებელი იყო რამე, მუხლებით იმაგრებდა ფეხებს. ძნელი ასაძრომი იყო ეს გამსკდარი კედელი. ისეთივე ძნელი, როგორც ხერხის კბილებზე ცოცვა. მიცოცავდა და ფიქრობდა:

— კიდევ კარგი, რომ არავინ. არის ზემო სართულში, თორემ რას ამიშვებდნენ ამ კედელზე!

1) პინდარი იყო ცნობილი ბერძენი პოეტი, ხორული პოეზიის (ხორიკის) წარმომადგენელი. ცხოვრობდა მე-5—6 საუკ. ჩვენი ერამდე.

სულ ცოტა რომ ვთქვათ, ორმოცი ბიჯის სიმაღლეზე უნდა აცუ-
ცებულიყო ამგვარად. მიიწევდა ზევით და შეტად აწუხებდა თავისი
დამბაჩების კონდახი. რაც უფრო ზევით იყო, მით უფროდაუფ-
რო ვიწროვდებოდა ნამსკდარი და უფროდაუფრო ძნელდებოდა
კედელზე ძრომა. ამასთან შიში. — ცოცხალი ვერ გადაარჩებოდა,
რომ ჩამოვარდნილიყო.

ერთი ხელის მიწლომალა რჩებოდა. რომ დოლაბში გადაძ-
ძვრალიყო.

და ვიღაც მოეჩვენა სწორედ ამ დოლაბში.

რალაც საშინელება მოეჩვენა უცბად თავის პირდაპირ. თვალგა-
მოთხრილი, ყბაჩამტვრეული, თავპირდასისხლიანებული.

ნილაბი იყო სისხლისა. ერთადერთი თვალიღა შერჩენოდა ადა-
მიანისა და ამ თვალით დაჰყურებდა რადუბს.

მაგრამ ამ ნილაბს ხელებიც ჰქონდა. და ორივე ხელით წაიწია
რადუბისკენ ნილაბმა. ერთმა ხელმა უცბად ამოაცალა ორივე დამ-
ბაჩა ქამრიდან, მეორე ხელმა ხმალი გამოჰგლიჯა პირიდან.

უიარაღოთ დარჩა რადუბი, ფეხი უსხლტებოდა კედელზე. ორი
ხელით ჩასჭიდებოდა დოლაბს და ძლივსღა იმაგრებდა თავს. წინ
ეს ნილაბი მოსჩვენებოდა, უკან დიდი სიმაღლიდან დაცემა და სი-
კვდილი.

სისხლის ნილაბი და ორი ხელი შანტ-ან-ივერი ბრძანდებოდა.

შანტ-ან-ივერს სული ეხუთებოდა ქვედა სართულიდან ამომავა-
ლი კვამლით. მიაღწია. როგორც იყო. დოლაბამდე. ჰაერი ჩაყლაპა,
ლამის სიგრილით მოსულიერდა. სისხლი შეაშრა და ცოტა ლო-
ნე მოიკრიბა. და უცბად რადუბი დაინახა დოლაბში. მივარდა. რა-
დუბს ხელები კედელზე ჰქონდა შექედილი და სხვა გზა არ იყო,
ან ძირს უნდა ჩავარდნილიყო. ან უიარაღოდ დარჩენილიყო, საში-
ნელი იყო შანტ-ან-ივერი, საზიზღარი და თან სრულიად დამშვიდე-
ბული; ხელი სტაცა. დამბაჩები ამოართვა. მეორე ხელით ხმალა.

დაიწყო დუელი, დუელი უიარაღოსი და დაჭრილისა.

ცხადი იყო, გამარჯვებული დაჭრილი დარჩებოდა. ერთი ტყვია,
ერთადერთი ტყვია კმაროდა. რომ ძირს ჩავარდნილიყო რადუბი და
ველარ ამდგარიყო.

მაგრამ სწორედ ბედი ეწია. ორი დამბაჩა ეჭირა ერთი ხელით
სისხლის ნილაბს და ვერც ერთს ვერ გაისროდა. ხმლის ხმარება სცა-
და თავისდაუნებურად და მხარში ატაკა წვერი. დასჭრა მხარში
რადუბი და მით გადაარჩინა განსაცდელს.

უიარაღო რადუბმა ყურადღებაც არ მიაქცია თავის ქრილობას,

რომელმაც ძვლამდე ვერც კი ჩაატანა, გაქირვებით გამხნეებულმა ძალი მოიკრიბა, ისკუპა და დოლაბში შევარდა.

აქ კი პირისპირ ედგა შანტ-ან-ივერი; ხმალი გადაეგდო და დამბაჩები ეკირა ორივე ხელში.

დაჩოქილი იყო ვანდელი. შიგ გულში დაუმიზნა დამბაჩა, მაგრამ ხელი მისუსტებული ჰქონდა დაქრილს, უკანკალებდა და ჩახმახისთვის ვერ მიეგნო.

ამ წამით ისარგებლა რადუბმა და ხარხარი დაიწყო:

— შენ ეი! შე საზიზღარო, უშვერო! იქნება გგონია, რომ მე-შინია მაგ დასისხლიანებული ღორის დინგისა! ვინ დაგამშვენა აგრე, შე უბედურო, შენა?

შანტ-ან-ივერი მაინც უმიზნებდა.

რადუბი კი თავისას არ იშლიდა:

— კი ნუ მიწყენ და, ძალიან დაუქმუქნია ფინდისხს შენი ლამაზი დაწვი! ჰა, რაღას უყურებ? გამოაფურთხე რაღა ჩემი დამბაჩის დორბლი!

დამბაჩა გავარდა და ნახევარი ყური მოაგლიჯა რადუბს. ვანდელმა კიდევ მეორე ხელი მოიმარჯვა დამბაჩით, მაგრამ აღარ დააცალა რადუბმა:

— ერთი ყურიც მეყოფა მოგლეჯილი! ორჯერ დამქერი, არა? ახლა მე მიყურე!

მივარდა შანტ-ან-ივერს, მალლა აუწია ხელი, ჰაერში აასროლინა დამბაჩა.

და ხელი სტაცა ჩამტვრეულ ყბაში.

საზარლად დაიღრიალა ვანდელმა და გულწასული დაეშვა იატაკზე.

ის იქვე დასტოვა რადუბმა, გადაალაჯა და დარბაზში შევიდა.

— და ახლა, რაკი ვაგაგებინე ჩემი ულტიმატუმი, მანდ ეგდე და აღარა გაიჩუჩნო. მანდ ეგდე, შე. მყარლო, შენა! ეს ხომ იცო, რომ მე შენ მოსაკლავად თავს არ შევიწუხებ, ბაყაყეთის მოქალაქე-კარგს იზამ, თუ შენვე გაფშეკ ფეხებს! რაც მალე, მიო უკეთესი! იქნება მაშინ მაინც დარწმუნდე, შე ყეყეჩო, რომ შენი მღვდელი სისულელისა და სიცრუის მეტს არას ჩაგძახოდა. აბა, წადი, შავ მიწაში სძებნე შენი საიჭიო.

და კიბეზე შედგა, ქვედა სართულში ჩასასვლელად.

— არაფერი ჩანს ამ საოხროში, — ბუზღუნებდა რადუბი.

შანტ-ან-ივერი კი მოსულიერებულყო, ბობდავდა და გმინავდა სულთმობრძავი.

— ჩუმად! — შეჰყვირა რადუბმა, — არ შეიძლება, გაჩუმდე და ამით მაინც გადამიხადო ამოდენა სიკეთე, საიქიოს მოქალაქევე! მე ხომ შენ საქმეებში არ ვერევი და არ ვაჩქარებ შენს სიკვდილს. მოდი, შენც გაჩუმდი.

მოაგონდა, რომ დამბაჩები აღარ ჰქონდა და მწუხარებით თმაში იტაცა ხელი. თან შანტ-ან-ივერს უყურებდა.

— ახლა რა მეშველება? ეს ყველაფერი კარგად მოვაგვარე, მაგრამ აღარც თოფი, აღარც დამბაჩა! ორად ორი სროლა მქონდა და ისიც იმან დამიხარჯა; ამ ძაღლისგვარმა! ახლა ეს კვამლი, რომ ბრმასავით ვარ და თვალი ვერ გამიხელია.

ხელი მოისვა ყურზე და შეჰყვირა:

— ვაიმე!

მერე ისევ სიცილი წასკდა და მომაკვდავს მიმართა:

— არა, რა გეგონა ჩემი ყური, შე ტყის დათვო, შენა, რომ კონფისკაცია უყავი? მაგრამ, იცი, ყურის დაკარგვა მიჩვენია რისიმე სხვის დაკარგვას. ყური მარტო დამამშვენებელია ადამიანისა და სხვა კი აუცილებელი საჭიროება. მხარიც გამიკაწრე განა? ეგეც არაფერი! ჰა, მოკვდი რალა, თუ კვლები! შემინდვია შენი ცოდვანი.

ყური მიუგდო ქვედა საართულს. ისეთივე სროლა, ყვირილი, ღრიალი ამოდირდა ქვევიდან. გაცხარებული ბრძოლა იყო, უფრო საზარელი, ვიდრე დასაწყისში.

— ძან-ძან კრივია ქვევით! თავისას რომ არ იშლიან! მაინც — შეფეს გაუმარჯოსო, — ღრიალებენ. ვაჟაკურად ჩაძაღლდებიან ყველანი!

არარაობას ხმალი სჯობდა. დასწვდა, აიღო თავისი ხმალი. მერე ისევ მომაკვდავს მიუბრუნდა, რომელიც უძრავად ეგდო და იქნება კიდევ მომკვდარიყო:

— გეყურება, ტყის ნადირო? ჩემი განზრახვისთვის სულ ერთია, ხმალი მეჭირება თუ ქათმის ბუმბული. მაინც ავიღებ და შემოვიკრავ. რადგან დიდი ხნის ნამსახურია და ნალეაწვეი. თორემ მე ახლა დამბაჩის მეტი არა მიშველის რა. შეგირცხვეს ეგ დასისხლებული თავი, ველურო!.. რა ვქნა, რა წყალში ჩაეარდე? რის მაქნისი ვარ უიარაღოდ?

წინ წაიწია ნელნელა. მიდიოდა თვალედაქყეტილი, რომ დაენახა რამე იმ კვამლში. შუა დარბაზში ამართულ სვეტს მოუარა და უცბად ბნელში ერთ დიდ მაგიდას წააწყდა. გრძელს. მაგიდაზე რალაც ელაგა მწყობრად და ბზინავდა ფერმკრთალად, მივიდა, თათვა დაუწყო. თოფები იყო, დამბაჩები, ყოველგვარი სასროლი

აარალი. მზად იყო იარაღი და ადამიანსდა ელოდა, რომ ხელი გაეშალა, აელო დამბაჩა და ვაჟაკურად მოეხმარა. ბრძოლის დასაბოლოვებლად მარაგად დაეწყოთ აქ მთელი თავისი აღჭურვილობა.

— სუფრა გაშლილია! — წამოიძახა რადუმმა.

და ეცა ამ სუფრას.

ახლა კი შიში აღარ ჰქონდა.

კიბის კარი, ქვემო სართულში ჩასავალი, ღია იყო და კარგად ჩანდა იქვე, იარაღიდან მაგიდის გვერდით. ხმალი მოიხსნა, აიტაცა ორი ორღულიანი დამბაჩა, კიბის თავში დადგა და ზედიზედ მიაყოლა კიბის ქვემო ნაწილს ოთხივე სროლა. მერე სხვა აიღო და ის დასცალა. და მიაყოლა! მერე საფინდიხო მოხვდა ხელში; ოხუთმეტი ტყვიით ყოფილიყო გატენილი, და ახლა ის ესროლა. მერე სული მოიბრუნა, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეჰყვირა:

— გაუმარჯოს პარიზს!

მერე მეორე საფინდიხო აიღო, უფრო დიდი, ვიდრე პირველი, ისიც ზემოდან დაახალა დაკლავნილი კიბით ბარიკადელებს და ყუჩი მიუგდო.

აუწერელი არეულობა იყო ქვედა სართულში. ამგვარი გართულება, მოულოდნელი და გამაშტერებელი, ასუსტებს და აწვრილმანებს თავდაცვას.

რადუმის ნასროლი ერთი ტყვია პიკ-ან-ბუას მოხვდა, უფროს ძმას, და იქვე გაანთხვეინა სული. მეორემ ჰუზარი მოჰკლა, ესე იგი ბატონი კელენი.

— ზემოდან შემოგვპარვიან! — შეჰყვირა მარკიზმა.

ამ შეყვირებამ მისცა ბარიკადის მიტოვების ნიშანი. შეშინებულნი ფრინველთ გუნდი ვერ აიშლება ისე სწრაფად, როგორც იმათ მიატოვეს თავისი სიმაგრე და კიბეს ეცნენ. ლანტენაკი ხელს უწყობდა გაქცევას.

— აბა, ჩქარა! — უყვიროდა მარკიზი. — საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს. მესამეში ავიდეთ და ახლა იქ დავიწყოთ!

ყველაზე უკან ის იყო კიბისკენ მიმავალი.

ამ ვაჟაკობამ იხსნა სიკვდილისაგან.

რადუმი ჩასაფრებული იყო დაკლავნილი კიბის თავში და ხელში საფინდიხო ეჭირა; თითი ჩახმახზე ედვა, — როდის ამოცივიდებიან შეშინებულნიო. როგორც კი გამოჩნდნენ გამოქცეულები, შიგ პირში ახალა ფინდიხი და ძირს დასცა ყველანი. მარკიზი რომ იმათში ყოფილიყო, სიკვდილს ვერ ასცდებოდა. და მანამ რადუმი ხელს შიამწვდიდა და სხვა იარაღს აიღებდა, ელვის სისწრაფით გაიარეს

სხვებმა, მათ შორის მარკიზმაც, ოლონდ ისე სწრაფად კი არა, როგორც სხვები გარბოდნენ. მეორე სართულის დარბაზში არც კი შეუხედიათ, რესპუბლიკელებით სავსე ეგონათ იქაურობა, და მესამეში აცვივდნენ სარკიან დარბაზში. სწორედ ამ ოთახში იყო რკინის კაზი. აქვე იყო გოგირდიანი პატრუქი. და გადაწყვეტილი ჰქონდათ, აქ დაიხოცებოდნენ, ან დანებდებოდნენ მტერს.

გოვენიც არა ნაკლებ იყო გაკვირვებული, ვიდრე გაქცეული ვანდელები. ვიღაც მშველელი გამოუჩნდა, ზურგში დაუწყო მტერს სროლა. ვერა და ვერ გაეგო, — ვინ? როგორ? როგორ აძვრა მეორე სართულში? მაგრამ რა დროს გამოძიება იყო? ისეუბა, ბარიკადზე გადახტა, თან თავისი ბიჭები მიჰყენენ. მისდევდა, ხმლით მიერეკებოდა ვიწრო კიბეზე ამავალთ და მეორე სართულის დარბაზში შევიდა.

იქ რადუბი დახვდა.

წინ გამოეკიმა, მხედრული სალამი მისცა და მოახსენა:

— ერთ წამს, ჩვენო მეთაურო. აქედან მე ავუტეხე სროლა. დოლის ბრძოლა მომაგონდა. მეც თქვენსავით უკან მოვექეცი მტერს და ორ ცეცხლს შუა მოვიმწყვდიე.

— მოწაფეც შენისთანა უნდა, ამხანაგო, — უთხრა სიცილით გოვენმა.

ცოტა ხანს რომ შეჩერდება სიბნელეში ადამიანი, თვალი ღამის ფრინველის გამჭრიახობას იჩენს და გოვენმაც დაინახა, რომ მთლად გასისხლიანებული იყო რადუბი.

— შენ დაჭრილი ხარ, ამხანაგო!

— ნეტავი თქვენ, მაგას უყურებთ! სულ ერთი არ არის, ერთი ყური მეტი მექნება, თუ ნაკლები? აქ, მხარში მატაკეს ჩმლის წვერი, მაგრამ აინუნშიც არ ვიგდებ. ვინც შუშას მუშტს დაჰკრავსო, ხელსაც გაიკაწრავსო. მაგრამ ეს ხომ ჩემი სისხლი არ არის.

ცოტა ხანს შეისვენეს მეორე სართულის დარბაზში, რადუბის მიერ აღებულში. სანათი მოიტანეს. სიმურდენიც გოვენთან ავიდა. მოილაპარაკეს და კიდევ ჰქონდათ მოსაფიქრებელიც და მოსალაპარაკებელიც. რესპუბლიკელებმა არ იცოდნენ მესამე სართულში ავარდნილების საიდუმლოება, არ იცოდნენ, რომ ძალიან ცოტადა ჰქონდათ თოფის წამალი; მესამე სართული უკანასკნელი წერტილი იყო იმათი წინააღმდეგობისა; რესპუბლიკელებს კი, შეიძლება კიბე ნაღმით გატენილი ჰგონებოდათ.

დარწმუნებით ის იცოდნენ მარტო, რომ მტერი ველარსად წაუვიდოდათ. ვინც ცოცხალი გადარჩენოდათ, დამწყვდეული ჰყავ-

დათ. თავის მახეში ბრძანდებოდა მარკიზ დე ლანტენიაცი.

ამ მხრივ სრულიად დარწმუნებული იყვნენ და შეეძლოთ ცოტა ხანს დაშვებდნენ მოეფიქრათ, როგორ დაებოლოვებინათ საუმჯობესოდ ეს ბრძოლა. მოკლულიც ბევრი ჰყავდათ. დაჭრილიც. ისე უნდა მოეგვარებინათ ეს უკანასკნელი შეტაკება, რომ რაც შეიძლება ნაკლებად დაჰკლებოდათ ჯარისკაცები.

უკანასკნელი იქნებოდა ეს შეტაკება. მაგრამ უბედურებაც ის იყო, რომ მრავალ ხალხს დაუხოცავდნენ ვანდელეები კიბის ზემოდან სროლით. ბჭობდნენ გოვენი და სიმურდენი. რადუბიც იქვე იდგა გაჩუმებული.

და ერთხელ კიდევ გაბედა, მხედრულად გამოეკიმა და მოასინენა მოწიწებით!

— უკაცრავად, ჩვენო მეთაურო...

— რას იტყვი, რადუბ?

დავიმსახურე, თუ არა ცოტა რამ ჯილდო!

— ცოტა რამ კი არა, ძალიან დიდი. შენ თქვი, რა გინდა?

— ნება მიბოძეთ, პირველი მე ავიდე ამ კიბეზე.

უარს როგორ ეტყოდნენ? და კიდევ რომ აეკრძალათ. ის მაინც პირველი ავარდებოდა მესამე სართულში.

XI

სასოწარკვეთილნი

მანამ მეორე სართულში ეს ბჭობა იყო, მესამეში გაფაციცებით ცდილობდნენ დარბაზის გამაგრებას: გამარჯვება ალტაცება არის და დამარცხება ვაცოფება. ძვირად დაუსვამდა თავის სიკვდილს მესამე სართული, სამარისპირას მიმწყვდეული. ამას კარგად გრძნობდნენ რესპუბლიკელები, თუმცა გამარჯვებამ დათრობაც იცის. მაინც უეჭველი გამარჯვების იმედი ჰქონდათ. რომელიც უდიდესი ძალა იქნებოდა ადამიანისა, სასოწარკვეთილება რომ არ არსებობდეს.

ზემოთ სასოწარკვეთილება ერეოდათ.

მშვიდი, გულცივი, თავგანწირული სასოწარკვეთილება.

ამ დარბაზში რომ შეცვივდნენ ვანდელეები, რომლის იქით გზა აღარა ჰქონდათ, მაშინვე მის გამაგრებას მიჰყვეს ხელი. კარის დაკეტვა უსარგებლო იქნებოდა, კიბის შეკერა ემჯობინებოდა. ამგვარ შემთხვევაში დაკეტულ კარს ისა სჯობია ჩაჩხერილი იყოს რამე გზაზე, რომ მომავალი მტრის დანაზვა შეიძლებოდეს.

მაშხალა ენთო და ანათებდა იქაურობას. იმანუსმა დაჰკიდა კედელზე. იქვე გოგირდიანი პატრუქი იღვა ხანძრის ასაგზნებად.

დარბაზში მუხის ერთი უზარმაზარი მძიმე სკივრი იღვა, როგორც, მანამ უჯრებიან განჯინას შემოიღებდნენ, ტანისამოსსა და ეცხს ინახავდნენ.

მოეჭინდნენ ამ სკივრს და კიბის კარში ჩაღვეს. სკივრი კარგად ჩაქედეს კედლებს შუა და შეჰკრეს შემოსავალი გზა. სკივრსა და თაღს შუა პატარა თავისუფალი გადასახედი დატოვეს, ვიწრო, რომ ერთს კაცს შესძლებოდა გადმოდრომა და ამგვარად თითო თითოდ უპირებდნენ რესპუბლიკელებს ხოცვას.

შესავალი გაამაგრეს და თავისუფლად ამოისუნთქეს.

დათვალეს თავისი ძალა. ცხრამეტიდან შვიდიღა დარჩენოდათ და მათ შორის იმანუსი. იმანუსისა და მარკიზის გარდა, ყველანი დაქრილნი იყვნენ.

დაქრილი იყო ხუთი, მაგრამ ჯერ ყოჩაღად იყვნენ, რადგან ბრძოლის ალში, თუ მომაკვდინებელი არ არის ჭრილობა, ჯერ მედგრად იბრძვის კაცი; დაქრილნი იყვნენ: შატენე, რომის რომ უძახდნენ, გინუაზო, ჰუასნარ ბრანშ-დ-ორო, ბრენდ-დ-ამური და გრან ფრანკოარი. სხვები მომკვდარიყვნენ.

თოფის წამალი აღარ ჰქონდათ, აღარც ვაზნები. მაშ რაღა რჩებოდათ, რამდენი სროლა ჰქონდათ თითოს ამ შვიდთაგანს? ოთხად ოთხი.

იმ წამს მიაღწიეს, ეტყობოდათ, როდესაც ბრძოლა შეუძლებელი ხდება და ამაო და სიკვდილი აუცილებელი. ციცაბი კლდის პირზე იდგნენ მიმწყვედელი, უძირო უფსკრულის პირზე. სამარე გათხრილი იყო და შიგ ედგათ ფეხი.

და კვლავ დაუწყეს ბრძოლა, ფრთხილი, ნელი და მით უფრო საშინელი. ნელნელა ამოდიოდნენ კიბეზე და თოფის კონდახს სცემდნენ ყოველ საფეხურს, — საშიში არა იღვას რაო.

გაქცევა შეუძლებელი იყო. ბიბლიოთეკით? სწორედ ბიბლიოთეკისკენ ჰქონდა მოქცეული ლულა ექვს ზარბაზანს, ანთებული პატრუქებით გამზადებულს. ზემო სართულით? ეგ უარესი: გასავალი არსად ჰქონდა, გარდა კოშკის ბანისა და იქიდან კი, — თავდაყირა ხომ არ დაეშვებოდნენ იმ სიმალიდან.

ამ ეპიკურ ბრძოლას გადარჩენილნი შვიდნივე კარგად ხედავდნენ, რომ ხსნა აღარსად ჰქონდათ; რომ ჯერ კიდევ ჰფარავდა მათ ეს სქელი კედლები, მაგრამ უკვე დამწყვედელი იყვნენ ამ კედლებ-

ში; მტრის ხელში არ იყვნენ ჯერ, მაგრამ დაჭერილი იყვნენ და სწორედ ეს კედლები მოუღებდნენ ბოლოს.

მარკიზმა გამოთქვა საერთო ფიქრი:

— გათავდა, ველარას გაეაწყობთ, ჩემო მეგობრებო.

და ცოტაოდენი სიჩუმის შემდეგ განაგრძო:

— გრან-ფრანკორი ისევ მღვდლობას გაგვიწევს. აბა, მამაო ტურმო.

მუხლი მოიყარეს, ხელში კრიალოსანი ეჭირათ. რესპუბლიკელების კონდახის ცემა კიბის საფეხურებზე უფრო და უფრო უახლოვდებოდათ.

მღვდელი სისხლში იყო მოსვრილი. ტყვია მოხვედროდა თავში და თმიანი ტყავი გადაეძრო. მარჯვენა ხელით ჯვარცმა აღამალა. დიდად მორწმუნე არ იყო მარკიზი, მაგრამ ცალი მუხლი მაინც იატაკზე დადვა.

— ყველამ ხმამალა აღიაროს თავისი შეცოდებანი, — თქვა გრან-ფრანკორმა. ბრძანეთ, ბატონო.

მარკიზმა თქვა:

— კაცი მომიკლავს.

— მეც მომიკლავს, — თქვა გინუაზომ.

— მეც მომიკლავს, — თქვა უასნარმა.

— მეც მომიკლავს, — თქვა ბრენ-დ-ამურმა.

— მეც მომიკლავს, — თქვა შატენემ.

— მეც მომიკლავს, — თქვა იმანუსმა.

და კვლავ დაიწყო გრან-ფრანკორმა;

— სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა შემინდვია შეცოდებანი და განისვენოს სულმან თქვენმან სასუფეველსა შინა ღვთისასა.

— შეგვიწყალო, შენ ღმერთო! — შეჰყვირეს ერთხმად.

მარკიზი ადგა.

— ახლა კი დავიხოცოთ, — თქვა მარკიზმა.

— და დაეხოცოთ! — შეჰყვირა იმანუსმა.

თოფის კონდახი უკვე სკივრსა სცემდა, კარებში რომ ჩასჩხირეს.

— ღმერთს შეევედრეთ სასუფეველისთვის, — დაუძახა მღვდელმა; — სააქაო აღარ არსებობს ჩვენთვის.

— მართალია, — თქვა ლანტენაკმა, — სამარეში ვართ ყველანი:

თავი დაჰლუნა ყველამ, გულს იცა ხელი. ფეხზე მარტო მარკიზი იდგა და მღვდელი. მიწას დასცქეროდნენ. მღვდელი ლოცულობდა. ლოცულობდნენ ვანდელები. მარკიზი თავის ფიქრებში იყო.

ჟროსავით ხედებოდა სკივრს კონდახი და ტკაცანი გაჰქონდა.

ამ დროს ხმა გაისმა უკანიდან, ცოცხალი და საიმედო:

— აკი მოგახსენეთ. ბატონო!

უკან მიიხედა ყველამ.

კედელში კარის მსგავსი ხერელი იყო გახსნილი.

დიდი ქვა იყო ერთი, კლდისა, საგანგებოდ ჩართული შენობაში, მაგრამ გაუქირავი, რკინის ქანქიკებით ზემოთ და ქვემოთ. უკან შეტრიალებულიყო და გასავალი გაეღო კედელში. ღია კედლიდან ორი ზვრელი იყო გაყვანილი, ერთი მარჯვნივ, მეორე მარცხნივ, ძალიან ვიწროები, მაგრამ ადამიანის გასავლელად საკმარისი. კაცის სახე მოჩანდა ამ ღია კარში.

ჰალმლო იცნა მარკიზმა.

XII

მ ხ ს ნ ე ლ ი

— შენა ხარ, ჰალმლო?

— მე გახლავარ. ახლაც არ დაიჯერებთ, რომ მართლა ყოფილა მოძრავი ქვენი და ამ ხერელით შეიძლება კოშკიდან გასვლა? სწორედ დროზე გიახელით და ახლა კი დაჩქარდით. ათი წუთის შემდეგ დაბურულ ტყეში იქნებით ყველანი.

— დიდება შენდა, ღმერთო! — წარმოთქვა მღვდელმა.

— მიბრძანდით, ბატონო! — შეჰყვირეს მარკიზს.

— ჯერ თქვენ, — უპასუხა მარკიზმა.

— პირველი თქვენ გაბრძანდით. — უთხრა მღვდელმა.

— არა, მე უკანასკნელი ვიქნები, — მოუჭრა სიტყვა მარკიზმა.

და მერე სასტიკი ხმით განმარტა:

— ახლა დიღ სულოვნებით დამიწყებთ ქიშპობას! რა დროს ეგ არის?! დაჭრილი ხართ და მე ბრძანებას გაძლევთ, — გადით აქედან, თავს უშველეთ და იცოცხლეთ! აბა, ჩქარა! კარი ღია არის და ისარგებლეთ ამ ხერელით. გმადლობ, ჰალმლო.

— მაშ უნდა გავიყარნოთ, ბატონო მარკიზ? — ჰკითხა მღვდელმა.

— რომ გავალოთ, უთუოდ. მარტოდ უნდა მიდიოდეს, ვისაც გაპარვა უნდა.

— მერე სად შევიყრებით, ბატონო?

— პატარა ველობია ტყეში, გოვენისქვა. ხომ იცით?

— ვიცით, ბატონო, ვიცით.

— იქ ვიქნები ხვალ, შუადღისას. იქ დამხვდით. ვინც შესძლებს სიარულს.

— ბატონი ბრძანდებით

— და ხელახლად გავაჩალოთ ბრძოლა. — თქვა მარკიზმა.

ჰალმალო ამ დროს მბრუნავ ქვესთან იდგა. ხედ აწევებოდა და შენიშნა, რომ ქვა ველარ იძროდა. გასავლის დახურვა შეუძლებელი ხდებოდა.

— დავჩქარდეთ, ბატონო, თორემ ეს ქვა ველარ მომიტრიალებია და ვაი თუ შემოგვიცვივდნენ. გაღებით გავაღე და მიხურვას კი ველარ ვახერხებ.

ეტყობოდა. მეტად დაჯანგებულიყო. დიდი ხნის განმავლობაში უძრავად დარჩენილი კანკიკები და შეუძლებელი იყო კარის მიხურვა.

— მინდოდა, ბატონო, გარეთ გამეხურა და ისე წავსულიყავით, რომ აქ არავინ დახვედროდათ, რესპუბლიკელები რომ შემოვიდოდნენ. ვერავის იპოვიდნენ და დარჩებოდნენ ხახამშრალი. მაგრამ რა ვქნა, რომ ველარ დავძარ ეს კარი? შემოვლენ, დაინახავენ, საიდან გავეპარენით და მღევარს გამოგვიყენებენ. მაშ ნულარ ვიგვიანებო; წავიდეთ, მანამ არ ამოსულან.

იმანუსი მივიდა და მხარზე ხელი დაადგა ჰალმალოს:

— ამხანაგო, რამდენი ხანი დასჭირდება კაცს, რომ ხვრელი გაიაროს და სრულიად უშიშრად დაიმალოს ტყეში?

— მძიმედ დაჭრილი ხომ არავინ გვეყავს? — იკითხა ჰალმალომ.

— არავინ, — გაისმა პასუხი.

— მაშ ერთი თხუთმეტი წუთიც იკმარებს.

— ისე რომ, თუ მტერი აქ თხუთმეტ წუთზე ადრე ვერ შემოვიდა, საშიში არა აქვთ რა ხვრელით მიმავალთ?

— მღევარს გამოგვიყენებენ, მაგრამ დაწევით კი ველარ დაგვეწევა.

— ხუთი წუთიც არ გავა, რომ შემოგვიცვივდებიან, — თქვა ლანტენაკმა. — ვერა ჰხედავთ, როგორ ამტვრევენ სკივრს? მაგოდენ ხანს ვერ შევიმაგრებთ.

— მე შევიმაგრებ, — წამოიძახა იმანუსმა.

— შენ შევიმაგრებ?

— დიახ, ბატონო, მე შევავყენებ. მომისმინეთ. ექვსში ხუთნი. ხართ დაჭრილი. მე კი გაკაწრულიც არა მაქვს რა.

— არც მე, — თქვა მარკიზმა.

— თქვენ მხედართმთავარი ბრძანდებით. ბატონო, მე კი სალ-
დათი ვარ. სად თქვენ და სად მე?

— ვიცი. სხვადასხვა არის ჩვენი ვალდებულება.

— არა, ბატონო, ერთი და იგივე ვალდებულება გვაწევს მეცა
და თქვენც, — ვალდებულება მხედართმთავრის გადარჩენისა.

მერე ამხანაგებს მიუბრუნდა იმანუსი:

— ამხანაგებო, საჭირო არის, რაც შეიძლება მეტ ხანს შეკაყუ-
ნოთ კიბეზე მტერი. რომ შეუძლებლად გავხადოთ ჩვენი დაქერა.
მომისმინეთ. ძაღლონით აღსავეს ვარ, წვეთი სისხლი არ დამკარგვია
ამ ბრძოლაში. და რაკი დაქრილი არა ვარ, მე უფრო დიდხანს გავუ-
ძლებ, ვიდრე სხვა. ჰო და. წადით. თქვენი იარაღი მე დამიტოვეთ.
არგად მოვიხმარ. ფიქრი ნუ გაქვთ. პირობას გაძღვეთ, რომ კარგ
ნახევარ საათს მაინც შევაჩერებ მტერს. რამდენი დანბაჩა გაქვთ? გა-
ტენილი?

— ოთხი.

-- ძირს დამიწყვეთ ოთხივე.

-- ძალიან კარგი. მიბრძანდით. მე ვრჩები და, თუ პაექრობა
ნებათ. მიბრძანდნენ, მე დაეხედები. ჩქარა! გასწით, რაღა!

ნემსის წვერზე რომ ჰკიდია ადამიანის სიკვდილ-სიკოცხლე. მად-
ლობა აღარ აგონდება. საჩქაროდ ჩამოართვეს ხელი.

— ნახემდის. — უთხრა მარკიზმა.

— არა. ბატონო. იმედი მაქვს, რომ არა. მე აქედან ცოცხალი
ველარ გამოვალ.

ერთმანეთს მიჰყენენ ყველანი იმ ვიწრო, საფეხურიან ხერელში.
წინ დაქრილები მიდიოდნენ. და იმ დროს, როდესაც დაქრილები
რიგრიგად ძვრებოდნენ ხერელში, მარკიზმა ფანქარი ამოიღო ჯიბი-
დან და რამდენიმე სიტყვა დასწერა უძრავად დარჩენილ კარ-
ქვაზე.

-- წამობრძანდით. ბატონო. — შესძახა, ჰალმალომ. — ყველანი
გავიდნენ, თქვენლა რჩებით.

და ჰალმალოც დაეშვა ვიწრო ხერელში.

მარკიზი უკან მისდევდა.

მარტო დარჩა იმანუსი.

XIII

ჯ ა ლ ა თ ი

ოთხი დამბაჩა ფილაქანზე ეწყო, ამ დარბაზს იატაკი არა ჰქონდა. ორი აილო იმანუსმა.

ნელ-ნელა მიუახლოვდა კიბეს, სკივრი რომ ჰქონდა აფარებული. რესპუბლიკელები, ცხადი იყო, რამე საფრთხეს ერიდებოდნენ. ერთ იმ საბოლოო აფეთქებას, რომელიც მრავლად ჰლუპავს იერიშით მიმავალს და იმასთან ერთად თვით დამარცხებულსაც. რამდენადაც გაშმაგებული და მძაფრი იყო მეორე სართულში ამოსვლა, იმდენად ნელი და ფრთხილი იყო მესამე სართულთან ბრძოლა. ვერ შესძლეს, თუ არც ცდილან, სკივრი თავის ალაგზე იყო; კონდახებით ჩაუმტვრიეს ძირი, თოფის ხიშტებით დახვრიტეს, და ამ ნახვრეტებით ცდილობდნენ დარბაზში შეხედვას, ვიდრე თვითონ გაბედავდნენ შიგ შესვლას.

ამოსავალ კიბეს სანათით ანათებდნენ და სკივრის ნახვრეტებით შედიოდა დარბაზში სანთლის შუქი.

და სწორედ ამ სკივრის ნახვრეტში შენიშნა იმანუსმა ვილაციის თვალი. უცბად დაუმიზნა დამბაჩა და ჩამოჰკრა ჩახმახი. საშინელი ყვირილი მოჰყვა დამბაჩის სროლას. საზღვარი არ ჰქონდა იმანუსის სიზარულს: თვალში მოხვდა ტყვია ლურჯს, თავში გაუარა და პირდაღმა დასცა კიბეზე.

მაგრამ ველარ გაუძლო სკივრმა და ისე დაიმტვრა ორგან, რომ რესპუბლიკელებმა დოღაბად გამოყენება სცადეს. იმანუსმაც ისარგებლა ამ დოღაბით, შეჰყო შიგ ხელი და კიბეს ესროლა დამბაჩა. ეტყობოდა ასხლეტულად მიდიოდა ტყვია, რომ რამდენიმე კაცის ყვირილი გაისმა ზედიზედ, თითქმის სამი, ან ოთხი კაცი ყოფილიყოს დაჰრილი, და მერე ჩქარი ფეხის ხმა და არეულობა უკან დამხვევრა ზმისა.

ორივე დამბაჩა დასცალა და გადაჰყარა. ახლა ორი სხვა აილო-ორი სროლადა ჰქონდა. სკივრის ნახვრეტებით ჩაიხედა კიბეზე.

ჯერ გამარჯვებული იყო, ამას ხედავდა.

უკანვე ჩაცვივნულიყვნენ. რესპუბლიკელები. სულთმობრძავენო იკრუნჩხებოდნენ კიბის საფეხურებზე. კლაკნილი იყო კიბე და სამი-ოთხი საფეხურის მეტის დანახვა არ შეიძლებოდა.

იდგა და ელოდა იმანუსი.

— მგონია, გადაარჩნენ ჩვენები, — ფიქრობდა განარჩებულო.

მაგრამ ვილაც დაინახა კიბეზე. პირქვე. დაწოლილიყო და ისე

მოცოცავდა. იმავე დროს მეორე გამოჩნდა, გაბხდვით მომავალი. ჩმანუსმა ამას დაუმიზნა დამბაჩა. ესროლა. მოარტყა, რაღვან ყვირილი გაიგონა, და მარჯვენა ხელში დაიჭირა მეოთხე დამბაჩა, უკანასკნელი. გატენილი აღარც თოფი მოეპოვებოდა, აღარც დამბაჩა.

ამ დროს საშინელი ტკივილი იგრძნო და ახლა იმან დაიყვირა, დაიბღავლა დაჭრილი მხეცივით. მუცელი ჰქონდა ხმლით გაპობილი. კიბეზე რომ მოძვრებოდა გულდაღმა კაცს, სკივრის მეორე ნახვრეტში შეეყო ხელი და, მანამ იმანუსი დამბაჩას გაისროდა და მეოთხეს მოიმარჯვებდა, ვილაც იყო, შიგ მუცელში ატაკა ხმალი და წელები გამოაყრევინა.

საჩარელი იყო ეს ქრილობა.

მაგრამ არ წაქცეულა იმანუსი, — მე გაჩვენებთ სეირსაო, — იძახდა კბილების კრაქუნით.

მერე ბარბაცი: მიადწია, როგორც იყო, ანთებულ მაშხალამდე, რომელიც რკინის კარის გვერდით იყო კედელზე მიკრული, დამბაჩა ძირს დადვა, ჩამოიღო მაშხალა, მარცხენა ხელით გადმოცვივებული ნაწლავები დაიჭირა, მარჯვენით ძირს დასწია მაშხალა და იქვე, ძირს გაკვიმულ, გოგირდიან პატრუქს წაუკიდა ცეცხლი.

ცეცხლი მოეკიდა, პატრუქს ალი მოედვა. იმანუსმა ძირს დადვა მაშხალა, თავის დამბაჩას სტაცა ხელი და წაიქცა, მაგრამ გულის დასამშვიდებლად აღმოდებულ პატრუქს კიდევ წააყარა გოგირდი.

გაციალდა ალი, მთელ პატრუქს გაუარა, რკინის კარ ქვეშ გაძვრა, ხიდზე აგებულ შენობაში შევარდა.

და რაკი ნახა, რომ აუსრულებლად არ დარჩა თავისი უშვერი განზრახვა, ნეტარებით აევესო გული; დიდებული კაცი იყო, დიდებული თავისი ავკაცობით და არა თავის თავგანწირვით. და ამ კაცმა, რომელიც აქამდე გმირი იყო და ახლა კი მხეცად გამხდარიყო, სიცილი დაიწყო მომაკვდავმა და დაიძახა:

— ჩემიც არ დაგავიწყდეთ, სადაც თქვენი თქვათ! სისხლი მწყუროდა თქვენი და თქვენ თუ ჩვენი მამა მოჰკალით, ჩვენი მეფეა მე თქვენ შეილებს დაგიწვავთ.

XIV

იმანუსის გაქცევა

ამ დროს რალაც დაჰკრეს სკივრს და კარგად ჩამტერიეს. შესვლა უკვე შეიძლებოდა და ერთი კაცი შევარდა დარბაზში. ხელში ხმალი ეჭირა.

— მე გახლავართ, რადუბი. ვის უნდა ჩემი გაცნობა? ჰა, ჩქარა! რა დროს ლოდინია? ძაან-ძაან ვაგებდე, მაგრამ ერთი ხომ გამოვფაშვე! ახლა თქვენ გელით, ყველას! ჰა, მალე, მანამ მარტო ვარ! განოდით, რალა! რამდენი ხართ!

მართლაც რადუბი იყო და მარტოდ მარტო. იმანუსმა რომ კიბეზე ბიჭები დახოცა, გოვენს ეკვი შეეპარა, — იქნება ნაღმი ჩაგვიშალეს სადმეო, — უკან დაახვეინა თავის რაზმს და სიმურდენთან ერთად სჯიდა საქმის მოგვარებას.

რადუბი დარბაზის შესავალში იდგა და ხმალს ათამაშებდა. მაშხალა ჩამწვარიყო, ქრებოდა და ბნელ ოთახში არა ჩანდა რა.

ხმა რომ არავინ გასცა, რადუბმა გაიმეორა:

— ჰა, გამოდით, რალა! რამდენი ხართ?

და რაკი აქაც ხმა არავინ გასცა, წინ წაიწია ნელნელა. სახთელმა ცის ჩამწვარმა, სწორედ იმ დროს, როდესაც სრულიად უნდა ჩაქრეს თავის ნამწევში. ერთხელ კიდევ გამოაშუქებს მაგრად, თითქო გაქრობას ინათებსო. ასევე გაინათა უცბად თავისი გაქრობა მაშხალამ და წუთიერი შუქი მოჰვინა დარბაზს.

რადუბს თვალში ეცა კედელზე მიკრული პატარა სარკე, მივარდა. დაინახა გასისხლიანებული თავისი თავპირი, ჩამოგლეჯილი ყური და დაიძახა:

— მაინც კობტა ბიჭი ვარ!

მერე უკან მიიხედა და გაშტერებულივით დარჩა. დარბაზში რომ არავინ დახვდა.

— არავინ არის, არავინ! — შეჰყვირა გახარებულმა. — ნული ეფექტივში.

და მაშინ დაინახა ღია კარი, ხვრელი და შიგ საფეხურები.

— ახლა კი მივხვდი! მინდვრის გასაღები ჰქონიათ! ამოდით, ამხანაგებო, ამოდით ყველანი. გაპარულან, გაქცეულან. გამდნარან აორთქლებულან! აღარავინ არის, აღარავინ! კოშკი კი არა, დახვრეტილი ქვევრი ყოფილა ეს ოხერი, ესა! აი, ამ ხვრელით გაგვპარვიან ის არამზადები! მოდი შენა და პიტსა და კობურგს გაუმკლავდი, როდესაც ტყეც იმათკენ არის და ბებრუტუნა კოშკიც. არა, სწორედ ქაჯების ღმერთმა უშველა, თორემ ვერსად წაგვივიდოდნენ. ზაშ არავინ არის აქ?

დამბაჩა გავარდა. მკლავთან გაუზუზუნა ტყვიამ და კედელს ეცა.

— ბიჭო! ვილაც ყოფილა! ვინ არის აქ, რომ ასეთი ზრდილობით მაძლევეს სალამს!

— მე ვარ. — გაიხმა იმანუსის ხმა.

რადუმმა წინ წაიწია და როგორც იყო გაარჩია ძირს დაცემული კაცი.

— ოჰო! ბევრი თუ არა, ერთი მინც მყავს! ისინი გამეჭვნენ. მაგრამ შენ ვერსად გამეჭევი!

— შენ გგონია? — გაიღიმა იმანუსმა.

რადუმმა წინ წაიწია და მყისვე შეჩერდა.

— ვინ ხარ, მანდ რომ ფოროთხავ. მაგ ქვაზე?

— მე ის ვარ, ვინც ფოროთხავს ქვაზე და ანდერძს აუგებს ფეხზე მდგომარეს.

— რა გაქვს მარჯვენა ხელში?

— დამბაჩა.

— მარცხენაში?

— ჩემი ნაწლავები.

— მაშ გაპატიმრებ.

— აბა, სცადე!

ცეცხლ მოკიდებული პატრუქისკენ მიიღო თავი იმანუსმა. ერთხელ კიდევ შეუბერა, — არ ჩამიქრესო, — და თან ამოაყოლა თავისი სულიც.

ცოტა ხანს უკან გოგენი და სიმურდენიც ავიდნენ, თან იმათი რაზმი, და ყველამ ნახა მოძრავი, უკვე უძრავი, ტყისკენ გამყვანა ქვაკირი. გაჩხრიკეს იქაურობა. გასინჯეს კიბე, ხვრელი, რომელსაც ტყით მოსილ ხევში ჰქონოდა გასავალი. გაქცეულიყო მტერი. იმანუსი შეანძრავს. მკვდარი იყო უკვე. გოგენმა სანათით ხელში დაწერილებით გასინჯა მოძრავი ქვაკარი, რომლითაც ასე მოულოდნელად გაქცევოდნენ კოშკში მომწყვედეულებმა. განა არა, გოგენსაც ხშირად გაუგონია ამ მოძრავი ქვის არსებობა, მაგრამ იმასაც ზღაპრად მიაჩნდა ეს ძველი თქმულება და ქვაკარს რომ სინჯავდა, რაღაც წარწერა ეცა თვალში. მიუახლოვა სანაბი და ფანქრით დაწერილი სიტყვები წაიკითხა:

— „ნახვამდის, ბატონო ვიკონტო.

ლანტენაკი“.

გეზანიც ამოვიდა ამ დროს. მდევრის გაგზავნა, ცხადი იყო, უსარგებლო იქნებოდა; გაქცეულები სამშვიდობოში იქნებოდნენ უკვე და, გარდა ამისა, იმათკენ იყო ქვეყანა, იმათკენ იყო ტყე და ღრე, ქალა და ხევი, იმათკენ იყო გლენხკაცობა. კარგად შორს იქნებოდნენ წასული და ამოი იქნებოდა მათი ძებნა. ფუჟერის ტყე. თავით ბოლომდე საფარი იყო ვანდელებისა. გათავებულად მიაჩნდათ ბრძოლა და ახლა კი ხელახლად დასაწყებად ზდებოდა საქმე. შეწყუ-

ხებული იყვნენ გოვენიც და სიმურდენიც. გოვენი და გეშანი ამ მარცხს ჩიოდნენ. სიმურდენი გაჩუმებული უსმენდა.

— მართლა. გეშან, — მიმართა გოვენმა, — კიბე მოიტანეს?

— არა, არ მოუტანიათ.

— და მე რომ რალაც ეტლი დავინახე, უანდარმები მოსდევდნენ ცხენებით?

გეშანმა მაინც თავისი გაიმეორა:

— კიბე არ მოუტანიათ.

— მაშ რა მოიტანეს?

— გილოტინა, — უთხრა სიმურდენმა.

IV

არ ვარბა ერთად ჯიგუში გასაღები და საათი

ისე შორს არ იყო მარკიზ დე-ლანტენაკი, როგორც იმათ ეგონათ.

მაგრამ საშიში აღარა ჰქონდა რა და ველარ მიაგნებდნენ, ბევრიც რომ ეძებათ.

ჰალმალოს გაჰყვა.

საფეხურებიანი ხერელი, რომლითაც კოშკიდან გამოვიდნენ ის და ჰალმალო, სხვა ამხანაგების შემდეგ, იქვე თავდებოდა ხევში, ხიდის სვეტებთან. ხევში გამოსავალი ბუნებრივი ღრმა ნაპრალი იყო დედამიწისა, ხევში იწყებოდა და ტყეში გადიოდა. მაგრამ ისე იყო ტყეში და ხშირ ბუჩქებში შიმალული, რომ შეუძლებელი იყო მისი პოვნაც კი, არამც თუ დანახვა. შეუძლებელი იყო იქ ვისიმე დაქერა. რაკი ამ ნაპრალს მიაღწევდა გამოქცეული, მაშინვე მიიმალებოდა. გველივით გასრიალდებოდა და ტყეში შევიდოდა, სადაც საფრად იყო გადაქცეული ყოველი ხის ძირი.

შიში აღარ ჰქონდა მარკიზს, შეეძლო წასულიყო, საითაც ინებებდა. ტანისამოსის გამოცვლა საჭირო არ იყო, რადგან რაც ბრეტანში იყო, სულ იმავე გლეხკაცური ტყავით დადიოდა, — ასე მოსილი უფრო დიდი კაცი ვარო.

ხმალი მოიხსნა. ყაწიმი გადააგდო.

ჰალმალო და ლანტენაკი რომ გამოვიდნენ ხერელიდან, თავიანთი ამხანაგებისა კვალიც აღარსად იყო. წასულიყვნენ განუაზო, ჰუანსარი, ბრანშ-დ-ორი, ბრენ-დ-ამური, შატენე და მღვდელი ტურმო.

— ძალიან ფრენა სცოდნიათ, — თქვა ჰალმალომ.

— ახლა შენ გაშალე ფრთები; — უთხრა მარკიზმა.

— მარტოდ დარჩენა გნებავთ, ბატონო?

— რასაკვირველია, მარტოდ დარჩენა სჯობია. ერთხელ უკვე გითხარი, ვისაც გაპარვა უნდა, ამხანაგი არ უნდა. საცა ერთი გაივლის, ორნი ვერ გაივლიან. ერთად რომ ვართ, ყურადღებას გვაქცევს ყველა, ერთად თუ დავრჩით, შენ მე დამაპყრინებ, და მე შენ.

— გზა იცით ბატონო?

— ვიცი.

— მაშ იქ გოვენ-ქეასთან?

— ხეალ, შუადღისას.

— იქ გახლდებით. იქ ვიქნებით ყველანი.

და სხვაც მოაგონდა ჰალმალოს:

— რომ მომაგონდება, ბატონო, ჩვენი შუა ზღვაში მგზავრობა იმ პატარა ნავით; რომ მომაგონდება... რომ თქვენი მოკვლა მინდოდა, თქვენი, ჩემი ბატონის მოკვლა; რომ მომაგონდება, რომ ერთი სიტყვა კმაროდა თქვენი, თქვენი ვინაობის გამზილება, და თქვენ კი მაინც არ მითხარით... საკვირველი კაცი ყოფილხართ, ბატონო!

მარკიზი სულ სხვას ფიქრობდა და პასუხად უთხრა:

— ინგლისი! ჩვენ თუ გვიხსნის რამე, მხოლოდ ინგლისი. ორი გვირის შემდეგ ინგლისის ჯარები უნდა შემოვიდნენ საფრანგეთში.

— თქვენი ბრძანება ყველა ავასრულე, ბატონო.

— მაგაზე ხეალ ვილაპარაკოთ.

— მაშ ხვალამდე, ბატონო.

— მართლა! პური ხომ არ გშია?

— იქნება აგრეც იყოს. ისე მეშურებოდა აქეთ წამოსვლა, რომ აღარც კი მახსოვს, დღეს ვიახელით რამე, თუ არა.

მარკიზმა ჯიბიდან შოკოლადი ამოიღო, შუაზე გადატენა, ნახე-ყარი ჰალმალოს მისცა და დანარჩენს ჭამა დაუწყო.

— მარჯვნივ ხევი გიდევთ, ბატონო, და მარცხნივ ტყე, — მოაგონა ჰალმალომ.

— ძალიან კარგი. შენ შენი გზით წადი.

თავი დაუკრა ჰალმალომ და მიიმალა სიბნელეში. ბუჩქის შრიალი მოისმა ერთ წამს და მერე ესეც შეწყდა. რამდენიმე წამის შემდეგ იმის კვალსაც ვეღარ იპოვიდა კაცი. ტყითა და ქალით იყო დაფარული ბოკაჟის მხარე, გაუვალი, და იქ იმალებოდა, ვისაც შიში ჰქონდა ვისიმე. იქ რომ შევარდებოდა, უცბად ქრებოდა და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ რესპუბლიკის ლაშქარი დიდი შიშითა და სიფრთხილით ებრძოდა ტყეებში ჩასაფრებულ ვანდელებს.

უძრავად იდგა მარკიზი. იმ კაცთაგანი იყო, რომლებიც ცდილობენ ყოველგვარ განცდას აჯობონ, მაგრამ აქ კი სისუსტე გამოიჩინა და სისხლითა და კვამლით სავსე კოშკის შემდეგ უსაზღვრო ნეტარებას გრძნობდა წმინდა ჰაერში: ის იყო, უკვე მკვდარი ეგონათავი; ის იყო, საფლავში გრძნობდა თავს, და ახლა კი ცოცხალიც იყო და თავისუფალიც; სიკვდილს გამოაქცეოდა და მთელი თავისი არსებით შეხაროდა სიცოცხლეს. და თუმცა წინათაც ჰქონდა განსაყვანილი და ბევრი რამ გადახდენია, დღევანდელი, ასე მოულოდნელი გადარჩენა იმისთანა სიხარულით უვსებდა სულსა და გულს, რომ დაივიწყა ყველაფერი და დაემორჩილა ამ განცდას. აღიარა; რომ კმაყოფილი იყო.

მაგრამ მალე დაიმორჩილა ეს გრძნობა.

საათი ამოიღო და დააწკარუნა, უნდოდა გაეგო. რამდენი საათი იყო.

ძალიან გაუკვირდა, რომ ათი დაჰკრა. იმოდენა ბრძოლას რომ გამოივლის კაცი, სიდაც ჩალის ფასი აღარა აქვს ადამიანს, და ტენის მრავალჯერ სრესენ ერთმანეთს მტრები, განცვიფრებული დარჩება, რომ მოკლე წამი ყოფილა ის, რაც იმას დაუბოლოვებულ ხანგრძლივობად ეჩვენებოდა. ზარბაზანი რომ გაისროლეს, — ბრძოლას ვიწყებთ ნახევარი საათის შემდეგაო. — მზის ჩასვლის ცოტა წინათ იყო, და ტურგის კოშკს რომ მტერი მიადგა, დამდებოდა, რვა საათი იქნებოდა. და ამგვარად, სულ ორ საათს იყო ის საშინელი ბრძოლა. რვაზე დაიწყო და ათზე ვათავდა, — ასოცი წუთი, რომლის განმავლობაში უფრო მეტი განიცადა ყველამ, ვიდრე, სხვაგან მთელ თავის სიცოცხლეში. ხანდახან ელვის სიჩქარე ერთვის მარცხს და უცნაური სისწრაფით მიიწევეს სალსოვი.

რომ დაჰფიქრებოდა, პირიქით ბრძოლის ხანგრძლივობას უფრო უნდა გაეკვირვებინა. ორ საათს იბრძოლა პატარა ჯგუფმა მრავალ ხალხთან ჯდა საკვირველი ის იყო, რომ იბრძოლა და ცხრამეტი კაცი გაუძლო ოთხიათასის შემოტევას.

მაგრამ წასვლის დრო იყო, ჰალმლო შორს იქნებოდა, და მარკიზმა იგრძნო. რომ საჭირო არ იყო აქ ასე დგომა. საათი ჯიბეში ჩაიდვა. მაგრამ იქ რკინის კარის გასაღები ედვა, იმანუსმა რომ მოუტანა. საათს მოხვედებოდა და საათის მინას გასტეხდა. საათი მეორე ჯიბეში ჩაიდვა და ტყეში შესვლა დააპირა.

მარცხნივ უნდა გადაეხვია და რალაც მკრთალი სინათლე ეცათვალში.

გაჩერდა, მობრუნდა. რალაც იყო განალებული ზევში. იმდენად

ნათელი, რომ ხისა და ხშირი ბუჩქების ფოთლები სჯობნიდა და შუქს სცემდა იქაურობას. ჯერ ამ სინათლისკენ წავიდა, მაგრამ იგრძნო, რომ ამაო თავგანწირვა იქნებოდა ასე გამოჩენა და არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა ამ სინათლის გაჩენის გაგება. ან რა იმის საქმე იყო, მიზეზების კვლევა? და იმ მიმართულებით წავიდა. რომელიც ჰალმალომ ანიშნა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ტყისკენ.

და როდესაც მთლად დამალული და ჩაფლული იყო ტყეში, საზარელი გულსაწყლავი კივილი გაისმა ზემოდან, სწორედ ლანტენაკის ზემოდან. კივილი ხევის პირიდან ისმოდა.

მარკიზი გაჩერდა და ზევით, ხევისპირს დაუწყო ცქერა.

წიგნი მეხუთე

36

ქველი გულქვაში

I

იაკობა, მაგრამ ილუპეზიან.

მიშელ ფლეშარმა რომ ჩამავალი მზით გაშუქებული კოშკი დაინახა, ერთ ეჯზე მეტი მანძილი ჰქონდა იქამდე გასავლელი. იმედმა დააღიწყო დაღლილობა, აღუდგინა ალა და ჩქაოო ნაბიჯით გაუღვა გზას. დედაკაცი სუსტია, მაგრამ დედა მეტად მძლავრია.

მზე ჩავიდა. დაბინდდა. მერე სულ ჩამოიხვეწდა. გაჩქარებით მიმავალს შორეული სამრეკლოდან, რომელსაც ვერა ხედავდა, საათის ხმა მოესმა, რვა; მერე კიდევ მეორედ, ცხრა. ალბათ პარინიეს სამრეკლოს საათის ხმა იყო. გზაში წშირად გაჩერდებოდა ხოლმე, რომ ყური მიეგდო რაღაც უცნაური რეზონანსისთვის; ვერ გაეგო, რისა იყო ეს ხმაურობა და — ალბათ ქარი სცემს სადმე ტყესაო, — ფიქრობდა.

პირდაპირ მიდიოდა, დასისხლიანებული ფეხით ამტვრევდა გამზარ ბალახს და ეკლიან ჰინჭარს. შორეული ციხე-სიმაგრისა და პატარა მკრთალი სინათლე სცემდა თვალში და ის უკვლევდა გზას; წამიერად მთლად განათდებოდა ხოლმე ეს შენობა, მაგრამ მაშინვე სიბნელე ერეოდა და პატარა, მკრთალი სინათლითღა, იბრალებდა საწყალ დედას. რაღაც გრიალი იყო. გაისმოდა მისი ხმა და სინათლეც დიდი იყო. მიწყდებოდა ხმაურობა და ჩამოიხვეწებოდა ყველაფერი.

მინდვრით მიდიოდა ფლეშარი, მუხლამდე ბალახში. სახლი კი არა, ხე არსად იყო. პატარა, შეუმჩნეველ აღმართს წარმოადგენდა ეს მინდორი, უსაზღვროდ გადაკიმულიყო და თავისა მარჯვენა მხრით შორეულ ჰორიზონტს უერთდებოდა. აღარც დაღალვას გრძნობდა, აღარც ამ ბალახს, აღარც აღმართს, — შორეულ კოშკს ხედავდა და ის ამხნევებდა მისუსტებულს.

თანდათან იზრდებოდა ის კოშკი.

მიყრუებული გრიალი და მისი წამიერი სინათლე კოშკიდან დროგამოშვებით გამოდიოდა. იგრიალებდა რაღაც, სინათლეს მოჰყენდა

იქაურობას და მიჩუმდებოდა; მიბნელებოდა. გული უგრძობდა, რომ რაღაც საზარელ გამოცანას უმზადებდა ის კოშკი და მიი: უფრო მეტად მიეჩქარებოდა.

და უცბად მიწყდა ყველაფერი, — აღარც სინათლე ჩანდა, აღარც რამე ხმაურობა ისმოდა. სრული დუმილი ჩამოვარდა, გლოვისებური მდუმარება.

სწორედ ამ დროს მივიდა მიშელ ფლეშარი ხევას პირს.

ღრმა ხევი იყო, რომლის ძირი ღამის წყვილიაღში იკარგებოდა. იქვე ახლო ზარბაზნები იყო დალაგებული და ცეცხლ-წაქიდებული პატრუქები ჩანდა. მის წინ უშველებელი შენობა ამართულიყო, რომელიც უფრო მეტად ბნელსა ჰგავდა, ვიდრე იმ ხევის სიბნელე.

შენობა ხიდზე იყო აგებული; ხიდის სვეტები ხევში იყო ჩადგმული. მთელი ციხე-სიმაგრე იყო ამ ხიდზე; ხიდიცა და ეს შენობაც მალალ, მრგვალ კოშკს მიჰყრდნობოდა. იმ კოშკს, რომლისკენაც ასე მოისწრაფოდა დედა.

კოშკის დოლაბებიდან სინათლე გამოდიოდა ხანდახან და თან დიდი ხმაურობა, ცხადი იყო, მრავალი ხალხი იყო კოშკში, მიდიმოდიოდა, ირეოდა; ზოგი მათგანი კიდევ ჩანდა ამ დოლაბებში.

ზარბაზნებთან ბანაკი იყო, იქვე დარაჯები. ბუჩქებში იდგა და ყველაფერს ხედავდა ფლეშარი, თვითონ კი არა ჩანდა.

ხევის პირზე იდგა, იქვე ხიდთან, იმდენად ახლო, თითქო ხელის გაწვდენა კმაროდა, რომ ზედ გადაიმძვრალიყო. მაგრამ ხევის სიღრმე აშინებდა. ბნელში მაინც კარგად გაარჩია, რომ შენობა ხიდზე სამსართულიანი იყო.

რამდენს ხანს იდგა ასე, თვითონაც არ იცოდა, რადგან აღარა ახსოვდა რა თავისი შვილების მეტი, რომლებსაც აქ გრძნობდა ამ ჩამობნელებულ შენობაში, ამ უძირო ხევის ხიდზე. რა იყო ეს შენობა? იქნება მართლაც ტურგი იყოს. თავბრუს ახვევდა მოლოდინი, — ტურგის მიგნება და და ბავშვების გულში ჩაკვრა. თან ექვი ერეოდა და — აქ რა მინდო, — ეკითხებოდა თავის თავს.

შესცქეროდა კოშკს და შენობას, სმენად იყო გადაქცეული.

და უცბად, თითქო დაბრმავდა აღამიანი, ველარა დაინახა რა.

კვამლის ფარდა გაშლილიყო მის თვალწინ და თვალს უბნელებდა. მერე რაღაც სიმწვავე იგრძნო უცბად და თვალეები დახუჭა, მაგრამ დახუჭულ თვალშიც ატანდა სინათლე და თვალეები გაახილვინა.

ღამე აღარ იყო, მიშელს რომ ჰფარავდა; გათენებულყო, მაგრამ საშინელება იყო ეს ვითომ და გათენების სინათლე, სინათლე

ცეცხლისა და არა მზისა. ცეცხლი წაჰკიდებოდა სახლს. ხანძარი წყებოდა.

გაჩაღებულ იყო შავი ბოლი, ალი ბრიალებდა შიგ. ხან მალლა, მალლა ავარდებოდა, ხან ჩაქრებოდა. თან ისე იკლაკნებოდა. როგორც გაცოფებული ვეელი.

ალი ვეშაპის ცეცხლმოდებული ხახიდან გამოდიოდა, როგორც აღვზნებული ენა. და ეს ხახაფანჯარა იყო ხიდზე აგებული შენობის ქვემო სადგურისა. გარედან რკინის მოაჯირი ჰქონდა აკრული, მთლათ გავარვარებული. ეს ფანჯარა ღაჩანდა, სხვა არაფერი ამ შენობისა, რადგან კვამლი ჰფარავდა ყველაფერს, თვით მინდორსაც კი, და ფანჯარასთან ერთად ჩაშავებული ხევის პირი.

გაქვევებულივით იდგა მიშელ ფლეშარი და თვალს ველარ აშორებდა ამ სახლს. კვამლი იგივე ღრუბელია და ღრუბელი იგივე ლანდი; და არ იცოდა საბრალომ, რას ხედავდა. გაქცევა უჯობდა. თუ აქ დარჩენა? სხვაგან ქროდა იმისი ფიქრი და რეალურს აღარას გრძნობდა.

ქარმა დაჰბერა და გაარღვია კვამლის ფარდა, სინათლე დაჰკრა მთელ ციხე-სიმაგრეს ოა ნათლად დაანახვა ფლეშარს. თითქო ნილაბი ეკრა და უცბად ჩამოხსნაო.

მთელი შენობა თავისი ხილით, სართულებით, მშვენიერი და თან საშინელი, ხანძრის ალით შემოქრვილი ახლა კი მთლად დაინახა ეს შენობა ფლეშარმა.

ხიდზე აგებული შენობის ქვედა სართულს მოსდებოდა ცეცხლი.

ზემოთ ორი კიდევ სხვა სართული ღაჩანდა. ჯერ იქ ცეცხლი არ იყო. მაგრამ ისე მოჩანდა მეორე და მესამე სართული, თითქო საკირები ყოფილიყო ჩაყუდებული. და ხევის პირიდან, სადაც ფლეშარი იდგა, ხანდახან, როდესაც ბოლს ალი სჯობნიდა და ანათებდა ღამეს, ოთახების შინაგანიც ღაჩანდა. ფანჯრები ყველა ღია იყო.

ქარმა ფართო ფანჯრები ჰქონდა მეორე სართულს და მიშელ ფლეშარი დაინახავდა ხოლმე კედლებთან მიდგმულ განჯინებს. რომლებიც წიგნებით საესედ ეჩვენებოდა, და ერთ ფანჯარასთან, ძირს. იატაკზე. ჩრდილში ჯგუფი ელანდებოდა ბავშვებისა, თითქო ბუდეა და შიგ სძინავთ ბარტყებსაო. ეძინათ. მართალია, მაგრამ თითქო განძრევასაც დაინახავდა ხოლმე მძინარეებისას.

და თვალი ველარ მოეშორებია იმ ბუდისაგან.

რა უხდა ყოფილიყო ეს პატარა ბუდე?

ხანდახან ისე ეჩვენებოდა, თითქო ცოცხალ არსებათაგან იყო შემდგარი ეს პატარა ჯგუფი. და თრთოლა აიტანდა ხოლმე თავით

ფეხამდე. სიცხე ჰქონდა; იმ დღეს დილის შემდეგ აღარ ექამა რა, ფეხი არ მოედრიკა მთელ დღეს, მეტად დაღალული იყო, მთლად მოქანცული, და გრძნობდა, რომ რაღაც ელანდებოდა და უზნელებდა გონებას. მაგრამ თვალთ კი იქ იყო. იმ ფანჯარაში, იმ ძირდილულ პატარა ბუდეში, რომელშიც პატარა ჯგუფს ხედავდა. უსულო საგნებს, და თან მათი მოძრაობა ელანდებოდა. არა, უძრავი საგნები იქნებოდნენ. — ვინ დააწვევდა სულიერს იმ ცეცხლოვან-ბული შენობის ზემო სართულში?

და უცბად ცეცხლმა, თითქო ახალ საწვავ მასალას ეძებსო, ფათალოს შემოახვია თავისი ალი, მკედარ გამხმარ ფათალოს. რომელიც მიწიდან სახლის ბანამდე ასულიყო კედელზე და ზედ მიჰკროდა. — მასალა აკლდებოდა ქვიტკირის დარბაზში და ახლა გარეთ გაეარდა საწვავის საძებნელად. — იტყოდით. შემოეხვია ზმელ ღეროებს და ფოთლებს ალი, წაეკიდა, ზევით აეარდა, თითქო თოფის წამალი დახვედროდეს გამხმარ ფათალოში, და მეორე სართულში გაანათა ფანჯარასთან, ჩრდილში, იატაკზე სამი მძინარე ბავშვი. მომხიბლავი იყო ეს სურათი. ხელები გადაეხვიათ ერთმანეთისათვის, ტკბილად ეძინათ და ღიმილი უთამაშებდათ პირზე.

თავისი შვილები იცნო დედამ.

და საშინლად შეჰკივლა.

ამგვარი კვილი, კვილი გამოუთქმელი მწუხარებისა. მარტო დედას შეუძლია. არა არის რა ამ კვილზე უსაშინელესი და არა არის რა ამ კვილზე გულსაწყლავი. ასე რომ შეჰკივლებს დედაკაცი, გეგონებათ დედა მგელი ღმუისო; და დედა მგელი რომ ღმუის. გეგონებათ საცოდავი დედა დასტირის თავის შვილსაო.

დედის ღმუილი იყო მიშელ ფლეშარის კვილი. — ჰეკუმბა ყუფა მორთო, — ამბობს ჰომერი.

სწორედ ეს კვილი იყო, ლანტენაკმა რომ გაიგონა.

შიგ გულში ეცა მარკიზს დედის კვილი და შეაჩერა.

პალმალომ რომ გამოიყვანა, იმ ხერხელის გამოსავალში იდგა. იქვე ხევთან;

ზემოდან შეფოთლილი ტოტები აპფარებოდა, მაგრამ მაინც დაინახა, რომ ხიდზე ხანძარი იყო, ტურგი ისე გაწითლებულიყო, რომ ვარვარი გაჰქონდა. ახლა მყვირალის დანახვას ეცადა; მისწი-მოსწია ტოტები, აიხედა ზევით და ხევისპირას, თავის პირდაპირ, ხანძრის დღისებურ სინათლეში ერთი უბედური ქალი დაინახა, გულგახეთქილი და საზარლად მკივანი.

ამ ქალის ხმა იყო, რომ ასე გულსაკლავად მოხვდა მარკიზს.

ხევის პირზე რომ ქალი კვიოდა, მიშელ ფლეშარი კი არა, გორგონი იყო გაწბილებული, საცოდავი და საზარელი. უბედურება საშინელებად ხდის ადამიანს. გლენის დედაკაცი. ცეცხლისმფრქვევე ევმენიდად გარდაქმნილიყო. სოფელს დედაკაცს, უეცრად, შეუგნებელს, რომ თავის სოფლის მეტი არ ენახა რა ამ უბედურებამდე, უსაზღვრო, ეპიკური შიში მორეოდა და გაეაფთარებინა. დიდი მწუხარება სულს უდგამს ადამიანს. დედობრიობის განსახიერება იყო ეს დედაკაცი. ზეადამიანური არის ყოველივე ის, რითაც მიწიერს სცილდება ადამიანი. ხევის პირზე იდგა დედა, ამ ხანძრის წინაშე, როგორც განმკითხველი და დამსჯელი. კვილი ნადირისა ჰქონდა და ხელთქნევა და ტანრჩევა ღვთაებისა; პირიდან წყველა ამოსდიოდა, სახეს ანთება ერეოდა. თვალი ცრემლით ქონდა სავსე და თანაც უელავდა. თვალი ჰქს სცემდა ხანძარს.

იდგა და ყურს უგდებდა მარკიზი. ზედ თავზე დასდიოდა ზემოდან დედის კრულვა და მწუხარება. რალაც გამოუთქმელი ესმოდა ზემოდან, უსიტყვო, მაგრამ გულსაწყლავი ჯენესა-ვაება, ცრემლთმდუმარება უფრო, ვიდრე სიტყვები.

— ოჰ, ღმერთო! ჩემი ბავშვები! ისინი არიან, ისინი, ჩემი შვილები! მიშველეთ! ცეცხლი მოედვა, ცეცხლი! ვინ ხართ მანდ, ადამიანები, თუ გულქვა მხეცები? ნუ თუ არავინ მომეშველება!? დამეწვებიან შვილები! მიშველეთ! ჟორჟეტ! შვილო გრო-ალენ! რენე-ჟან! იქ რა უნდათ ჩემს ბავშვებს? ვინ შესხა იქ ჩემი შვილები? სძინავთ! არა, გავეგიჟდი! მიშველეთ! მიშველეთ!

დიდი მოძრაობა დაეტყო ტურგს და მის კარ-მიდამოს. მთელი ბანაკი გამოვარდნილიყო ხანძრის გასაქრობად. რესპუბლიკელებმა ის იყო გაათავეს, როგორც იყო, ბრძოლა და ახლა ხანძრის ქრობა მოუხდათ. გოენიცი იქ იყო, სიმურდენიცი, გეშანიცი და განკარგულებას აძლევდნენ სალდათებს. მაგრამ რას იზამდნენ? ხევში ძლივს მოჟონავდა წყალი და სხვაფრივ კი ვერას გააწყობდნენ. საშინელ მწუხარებას განიცდიდა ყველა, უღონო, უსარგებლო მაყურებელი ამ უბედურებისა.

და გულ-ხელ დაკრეფილი შეჰყურებდა იმოდენა ხალხი.

მით უფრო მეტ მწუხარებას, რომ შველა არაფრით შეეძლო.

ცეცხლი კი თანდათან უფრო ძლიერდებოდა. გამხმარ ფათალოს აჰყვა და ზემო სართულს მიაღწია. იქ თივითა და შვრით სახსე ბელელში გადახტა და უცბად გაძლიერდა. მთლად იწვოდა მესამე სართული, ცეკვავდა ცეცხლის ალი, საშინელია სიხარულით აღტაცება ცეცხლის ალისა. ხტოდა ფრინავდა, თითქო თან ახლავს მავნე სუ-

ლი და საბერველით ცდილობს მის გაძლიერებასაო. იტყვოდი, აქ არის, ამ ცეცხლში ტრიალებს საზიზღარი იმანუსი; ნაპერწკლების მბერავად გადაქცეულა და ტკება ამ ხანძრით გამოწვეული უბედურების სურათითაო. ბიბლიოთეკაში ჯერ ცეცხლი არ შესულიყო; ქერიც სქელი ჰქონდა, ქვითკირისა, იატაკიც და ეს იყო მიზეზი, რომ ჯერ გადარჩენოდა ცეცხლს. მაგრამ უფროდაუფრო ეღებოდა მეორე სართულს ალი და შესაძლებელი იყო წიგნებშიც შეეარდნილიყო. პირველი სართულის ალი ულოკავდა სქელ კედლებს, მესამე სართულისა ვერ იცლიდა იმის საალერსოდ და უფრო ზევით იწევდა, მაგრამ მაინც არ აკლებდა მომაკვდინებელ თავის კოცნას. ქვემოდან ღუმელი ჰქონდა, ცეცხლმფრქვევ მთასავით ძლიერი და ზემოდან თივით სავსე ბელელში გაჩაღებული ალი ერთი პატარა ნახვრეტი რომ ყოფილიყო ზემო სართულის იატაკში, უცბად დაიწვებოდა მთელი ბიბლიოთეკა. ერთი პატარა ნახვრეტი რომ ყოფილიყო ბიბლიოთეკის იატაკში, იქ ამოვარდებოდა ქვემოდან ალი და — ვაი ბავშვების ბრალი! მაგრამ ჯერ კიდევ ეძინათ რენე ჟანს, გრო-ალენსა და ჟორჟეტს. ბავშვური ძილით ეძინათ, ტკბილად, ღია ფანჯარასთან. ამ ფანჯარას ხან ალი გაუბრუნდა ხან კვამლი ჰფარავდა, მაგრამ მაინც მოჩანდნენ ამ ცეცხლის მღვიმეში: მშვიდად იწვნენ სამნივე, უძრავად და ბავშვური უმანკოებით ანგელოზებრ ტკბილად ეძინათ ამ ჯოჯოხეთში.

აკვნები ჩაედგათ აკლდამაში.

ღედა კი ხელებს იმტრევდა და გულს ილაღრავდა:

— მიშველეთ! ცეცხლი ეკიდება ჩემ პაწიებს! აი, დაგაქროთ ჩემმა გამჩენმა! მამ ასე უნდა დამიწვათ შვილები! მოდიოთ რალა; მომსედეთ! მამ კაც არავინ არის, ქული არა ხურავს? რამდენი ხანია დავეძებ, დავდივარ დაეძრწი მე უბედური, ძლივს ვიპოვე და ახლა ჩემ თვალწინ ენახო ჩემი შვილების დაწვა? მიშველეთ! ბავშვები კი არა, ანგელოზები არიან! ვის რას დაუშავებდნენ ეს უმანკოები? მე თოფით დამხვრიტეს და ახლა შვილების დაწვას მიპირებთ? ვინ არის, ნეტავ, რომ აღარც ქალს ინდობს და აღარც უსუსურ ბავშვს? მიშველეთ ჩემს შვილებს! რა ვქნა, არ გეყურებათ ჩემი ვედრება? ძალლი რომ ღმუოდეს ასე, იმასაც კი შეიბრალებენ! ჩემი პაწიები! სძინავთ! აჰ, ჟორჟეტ! მუცელი გადაჰლეღია საძაგელს. რენე-ჟან! გრო-ალენ! ეს არის ამათი სახელები. ახლა ხომ ხედავთ, ღედა ვარ ამ პატარებისა. რას; არ მოესწრება ადამიანი თავის სიცოცხლეში! დღესა და ღამეს ვასწორებდი, მოვდიოდი ჩემი პატარების მოსაძებნად, ვიპოვე და, ხედავთ, მეღუპებიან! მიშველეთ რამე! ადამიანები.

არა ხართ? უფროსი ხუთი წლისაც არ არის. პატარა გოგო ორი წლისაა. აგერ. ტიტველ ფეხს ვხედავ ჩემი ბავშვისას. მაინც სძინავთ. დედაო ღვთისაო. ცის განგებამ მაპოვნინა ჩემი ობლები და ჯოჯოხეთი კი მაინც მიღუპავს. მერე რამდენი ვიარე ამ ბავშვებისთვის გულმკვდარმა. ამ ძუძუთი გამოკვებილი ბავშვებისათვის! რა უბედური ვიყავ! მეგონა. ველარ ვიპოვიდი! ვიპოვე და შემებრალეთ, მიშველეთ რაზე. მომეცით ჩემი შვილები! ხომ ხედავთ, რომ ცეცხლში არიან. არ მიეშველებით? ფეხები დავიმტვრიე სიარულით! მთლად დავისოსხლიანე; ადამიანი შეჰყურებდეს ჩემს საცოდავობას და არ მომეშველოს?! მაშ ადამიანი არა ყოფილა! ვინ მიწვავს შვილებს? ვინ არის ეს მხეცი, ღვთის მტერი? რა არის ეს სახლი. ხომ ბავშვებს სწვავთ შიგ? მაშ იმიტომ მომპარეს უბედურები. რომ აქ დაეწვათ! ღმერთო ძლიერო! მომეცით ჩემი შვილები! რა წყალში ჩავვარდე მე. უბედური? მიშველეთ! შვილებს მიკლავენ! მიშველეთ! ოჰ! ღმერთს ჩავაძაღლებ, თუ ასე დააწვევინა ჩემი ბავშვები!

დედა რომ ასე გაჰკივოდა და მოსთქვამდა, ჯარისკაცებში ყვირილი ისმოდა:

— კიბე! ჩქარა კიბე!

— კიბე არსად არის!

— წყალი!

— არ არის. არა, თითქმის დამშრალია ხევი.

— კოშკში კარია ერთი. მესამე სართულის დარბაზში, იქიდან შეიძლება.

— რკინის კარი? დაკეტილია!

— შეამტვრიეთ!

— რომ არ იმტვრევა?

დედა კი ისევ ისე კიოდა გულამოსკენილი.

— მიშველეთ! დაჩქარდით. ნუღარ აყოვნებთ? ან მეც მოიკალით! ჩემი შვილები! იწვიან, მიშველეთ! ან მეც ამ ცეცხლში ჩამაგდეთ!

გაჩუმდებოდა ერთხანს უბედური და ახლა აბრიალებული ცეცხლის ტკრციალი ისმოდა სახლიდან.

მარკიზმა ხელი მოისვა ჯიბეზე და დარწმუნდა, რომ ჯიბეში ჰქონდა რკინის კარის გასაღები. მერე თავი დალუნა და შევიდა იმ ხერეღში, რომლითაც ჰალმალომ გამოიყვანა კოშკიდან.

II

ჰვაკარით რკინის კარისკენ.

მთელი ჯარი მოგროვილიყო იმ ცეცხლმოკიდებულ სახლთან. ოთხი ათასი კაცი შესცქეროდა უბედურ დედას და იმის განწირულ შვილებს და გული უკედებოდათ იმათაც, რომ შველა არ შეეძლოთ.

მართალი იყო, კიბე არ ჰქონდათ; ჟავენედან გამოგზავნილი კიბე ჯერაც არ მოსულიყო. ცეცხლი უფრო და უფრო ძლიერდებოდა, როგორც ცეცხლისმფრქვევი მთის პირი. ამ ხანძრის გაქრობა ხევში მოგროვილი წყლით შეუძლებელი იყო, რადგან ხევში მარტო გაზაფხულზე დიოდა წყალი და ზაფხულში კი ძლივსღა ჟონავდა. ვინ იტყოდა, ერთ კოკა წყალს დაეასხამ და ჩავაქრობ ვულკანსაო?

სიმურდენი, გეშანი და რადუბი ხევში ჩავიდნენ. გოვენი კოშკის მესამე სართულში ავიდა; სადაც მოძრავი ქვაკარი იყო და ბიბლიოთეკაში გასაქალი რკინის კარი. ამ დარბაზში დაალაგა იმანუსმა პატრუქი, კოშკიდან ხიდის სახლში გაიყვანა, და აქვე ამ დარბაზში წაუყიდა მაშხალით ცეცხლი.

გოვენს თან საფარელები წამოეყვანა. ოცი კაცი. ერთად ერთი საშუალებალა დარჩენოდათ, — რკინის კარის გატეხა. გაღება შეუძლებელი იყო.

ცული დაჰკრეს რკინის კარს და ცული გაუტყდათ. ერთმა საფარელმა იხუმრა:

— ფოლადი მინად ხდება. ამ რკინას რომ ეხება.

მოკედილი რკინისა იყო მართლა ეს კარი — ორმაგი დაქანქიკებული ფურცელი რკინისა, რომლის სისქე სამ გოჯს უდრიდა.

მერე რკინის ლომით სცადეს მისი დაძვრა. ლომიც გაუტყდათ.

— რალა ეს და რალა ასანთის წკირი! — წამოიძახა საფარელმა, დაღვრემილი შესცქეროდა გოვენი და უიმედოდ თქვა:

— ყუმბარა თუ, თორემ ვერას გავაწყობთ. მოდი შენ და ზარბაზანი ამოათრიე ამ კიბეებზე!

— ისიც, ვინ იცის? — დაუმატა საფარელმა.

უიმედობა მოერიათ ერთ წამს. იდგნენ ისე. თავის უძლურებით შეკმუხვნილნი. ხელები დაეშვათ, გაჩუმებულიყვნენ დამარცხებულად და შეჰყურებდნენ ამ საშინელ, უძრავ კარს. კარის ქვემოდან ხანძრის სინათლე შემოდრიოდა. ცხადი იყო, ძლიერდებოდა ცეცხლი და ბიბლიოთეკას ემუქრებოდა.

იქვე ეგდო საზიზლარი ლეში იმანუსისა, ბოროტებით გამარჯვებულნი.

რამდენიმე წუთი კიდევ და იქნება ცეცხლი წაჰკიდებოდა ბიბლიოთეკასაც.

ალარავითარი საშუალება, ალარავითარი იმედი!

სასოწარკვეთილი იდგა გოვენი, შესტკეროდა მოძრავ კარს, იქიდან გაყვანილ ვიწრო ხერელს, და წამოიძახა ბრაზმორეულმა:

— ამ კარით გაგვექცა მარკიზ დე ლანტენაკი!

— და ამ კართვე დაბრუნდა, — გაისმა კარის იქიდან პასუხი. და ჰღარით მოსილი თავი გამოჩნდა მოძრავი კარის შემოსავალში.

მარკიზი დაბრუნებულყო.

რამდენიმე წელიწადი იყო, გოვენს აღარ ენახა თავისი ბიძა. ასე მოულოდნელად რომ დაინახა, უკან დაიწია.

გაშტერებულიყვნენ ყველანი, იდგნენ, თითქო გაშეშებულანო, და ლანტენაკს შესტკეროდნენ.

მარკიზს ერთი დიდი გასაღები ეჭირა ხელში. მედიდურად გადახვდა რამდენსამე საფარელს, რომლებიც წინ უდგნენ, წავიდა რკინის კარისკენ, დაიხარა თალ ქვეშ და გასაღები შესდო კლიტეში. ჰრიალი გაიღო კლიტემ. კარი რომ გააღო, ალი დახვდა ბიბლიოთეკის დარბაზში. მარკიზი შიგ შევიდა.

მშვიდად, თავმალლად შევიდა ალში.

თვლით მისდევდნენ უკან ყველანი და ცაზცახებდნენ.

რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და ძირს ჩაინგრა მის უკან პარკეტი: ძირიდან ცეცხლი მოსდებოდა, ზედ მარკიზის ქუსლი დასცემოდა, და ცეცხლმორეულ უფსკრულად გაირღვა მის უკან იატაკი. მარკიზმა უკან არც კი მოიხედა. წინ მიდიოდა და მიიმალა კვამლში.

მერე ველარაფერი დაინახეს.

ნეტავ შესძლო კი ბავშვებამდე მისვლა? ან იქნება კიდევ გაერღვა ცეცხლმოკიდებული იატაკი და გზა შეუკრა? თვითონაც ხომ არ დაიღუპა სხვის მისაშველებლად წასული? ალარაფერი იცოდნენ. იდგნენ და შესტკეროდნენ გულის ფანტქალით. თვალწინ კვამლისა და ალის მეტი აღარა ჰქონდათ რა. მალევე იქით იყო ცოცხალი ან მკვდარი.

III

ბავშვებმა რომ დაიძინეს, ახლა უკვე იღვიძებენ

ამასობაში ბავშვებსაც გამოეღვიძათ.

ჯერ ბიბლიოთეკაში ცეცხლი არ შეეარდნილიყო, მაგრამ ჰერო კი გაეშუქებინა თავისი სინათლით. ბავშვებს ჯერ არსად ენახათ ამ-

ნაირი განთიადი და გაკვირებული შესცქეროდნენ. ჟორჟეტი ალტაცებით შეხაროდა.

ბავშვების თვალწინ იშლებოდა ყოველი ბრწყინვა ხანძრისა. დამბურავ შავ კვამლში ხან ჰიდრა მოჩანდა, შვიდთავიანი გველი, ხან ბრწყინვალე ურჩხული არწივის ფრთებით, ლომის ბრკყალებითა და გველის კუდით. გრძელი ნაპერწკალი ასლიოდა ცეცხლს, ზევით იწვედა, გარეთ გადიოდა, მიფრინავდა შორს და იქ ბრწყინავდა სიბნელეში, თითქო კუდიანი ვარსკვლავი დაშვებულიყოს ციდან მიწიერი წყვილიადის გასანათებლად. ცეცხლი განსახიერება არის ფლანგვისა, მუგუზალი სალარო არის უხვი და აქეთ-იქით აბნევს, ქარს აძლევს შორს საფანტად თავის შუქისმფრქვევ განძს; უსაფუძვლო კი არ გეგონოთ ნახშირისა და ალმასის იგივეობა. მესამე სართულის კედელს ნასკდომი აღმოუჩინა ცეცხლმა და იქიდან დააყარა ხევს თავისი თვალ-მარგალიტი. ბეულში რომ თივასა და შერიას მოჰკიდებოდა ცეცხლი, ფანჯრებიდან გამოვარდნილიყო და ოქროს მტვრად დასდიოდა მიწას და თან ამეთისტად გარდაქმნილი შერიის მარცვალი მოსდევდა.

— ზიზი, დაილულუნა ჟორჟეტმა.

ასადგომად წამოიწია სამივემ.

— აჰ! — შეჰყვირა დედამ. — გაიღვიძეს ბავშვებმა!

ჯერ რენე-ჟანი ადგა, მერე გრო-ალენი, ბოლოს ჟორჟეტი.

რენე-ჟანმა ფანჯრისკენ გაიშვირა ხელები და თქვა:

— მცხელა.

— ცხელა, — თქვა ჟორჟეტმა.

და ახლა ბავშვებს შეჰკვივლა დედამ:

— შეილო რენე! ალენ! ჟორჟეტ!

აქეთ-იქით იხედებოდნენ ბავშვები, უნდოდათ გაეგოთ, ვინ უძახდა, საიდან? კაცს რომ შიში შეაყენებს, იქ ცნობისმოყვარეა ბავშვი. ვისაც ადვილად ერევა გაკვირება, შიში ძნელად ერევა. ხშირად უვიციობა არის ფუძე მამაცობისა. უმანკო ბავშვს იმდენად ნაკლებად აქვს შიში ჯოჯოხეთისა, რომ იმასაც კი ალტაცებით დაუწევებდა სინჯვას, რომ შეხედებოდეს საღმე.

ერთხელ კიდევ შემოსძახა დედამ:

— რენე! ალენ! ჟორჟეტ!

დედის ხმა მოესმა რენე-ჟანს და იქით მიიხედა. გართული იყო რალაციით და ამ ხმამ გამოათხიზლა. მოკლე მეხსიერება აქვს ბავშვს, გუშინდელად ჰგონია მთელი წარსული, მაგრამ გახსენება მეტად სწრაფი აქვს. დედა დაინახა რენე-ჟანმა, სრულიად ბუნებრივად

ჰპოვა თავისი დედის მოსვლა და, რადგან უცხო ალაგს იყო, უცნაურ საგნებს შუა, დედის დახმარების საჭიროებას გრძნობდა და დაუძახა:

— დედიკო!

— დედიკო! — დაუძახა გრო- ალენმა.

— დედა, — გასძახა ჟორჟეტმა.

და ხელები გაუშვირა:

დედიკო. ამიკანე.

ღმუილი დაიწყო დედამ:

— შეილო! თქვენ გენაცვალათ დედა!

ამ დროს ფანჯარასთან მივიდა სამივე ბავშვი. კიდევ კარგი, რომ ამ მხარეს ჯერ არ მოსდებოდა გარედან ცეცხლი.

მცხელა. --- ჩიოდა რენე-ჟანი.

და დაუმატა:

— უყურეთ, იწვის.

და თვალთ კი დედას დაეძებდა.

— მოდი. რაღა დედიკო!

— აჰა, დედა! აჰა! — იძახდა ჟორჟეტი.

თმაგაწეწილი. გულდაღადრული, გასისხლიანებული დედა თავ-
ქვე დაეშვა და ბუჩქიდან ბუჩქით ძირს ჩავიდა ისეთ ღრმა ხევში.
იქ. სადაც სიმურდენი და გეშანი იყვნენ უძღური ისევე, როგორც
უძღური იყო გოვენი კოშკში. გარს სალდათები ეხვივნენ. შეწუხე-
ბულნი თავისი ულონობით. აუტანელი სიცხე იდგა. მაგრამ ვერც კი
გრძნობდნენ მას სიმწვავეს. შესტკეროდნენ ციკაბო კლდეზე აგებულ
ხიდს. თაღებს სიმაგრეს, სართულების სიმალეს, მიუწოდომელ ფან-
ჯრებს და მწვავედ გრძნობდნენ რაიმე საშუალების საჭიროებას. სა-
მი სართულის სიმალლე. ვინ იქნებოდა, ამძვრალიყო ამ თითქო სა-
განგებოდ გათლილ-გაგლუვებულ კედელზე? რადუბი ბორგავდა
იქვე, ხმლის წვერით მხარში დაჭრილი. ყურჩამოგლეჯილი; ოფლში
და სისხლში იწურებოდა და სიხარულით მივიარდა მიშელ ფლეშარს:

— დასწყევლა ქაჯმა შენი ღმერთი! აკი დაგხვრიტეს ადამიანო,
როგორ აღსდევნი?

— ჩემი შეილები, — შეჰლაღადა დედამ.

— ჭეშმარიტებაა, — უპასუხა რადუბმა. — ჯერ სად გეცალია,
რომ გამოვიძიოთ, როგორ აღსდგა მკვდრეთით დახვრეტილი.

მივიარდა ხიდის სვეტს, უნდოდა აცოცებულიყო, მაგრამ ამოდ.
ფრჩხილები ჩაუყარა ქეას, რამდენიმე წამი იწია ზევით. მაგრამ ხე-
ლის მოსაჭიდი არსად იყო, გატეხილიც კი არ შეხვდა, რომ იმას

ჩასკიდებოდა, და ძირს ჩავარდა. ცეცხლი კი თავისას არ იშლიდა, პირიქით, ძლიერდებოდა. გაწითლებულ ფანჯარაში სამი პატარა ბავშვი მოჩანდა. და მაშინ მუშტი მოუქნია ცას რადუბმა, თითქო იქ ეძებს ამ უბედურების შემქმნელსაო და დაიძახა:

— მაშ ეს არის შენი სიყვარული და კაცთა შორის სათნოება?

დედა ძირს ეგდო, ხიდის სვეტს ეხვევოდა და გაჰკივოდა;

— შემობრალეთ! მიშველეთ!

რალაც მიყრუებული ტარციალი ერეოდა ცეცხლის გუგუნს. ბიბლიოთეკის განჯინების მინები სკდებოდა და წკრილით ეცემოდა ძირს. ცხადი იყო, იშლებოდა იატაკი. აქ ველარას გააწყობდა ადამიანი. ერთი წამიც და ჩაინგრევოდა ბიბლიოთეკა, ან ცეცხლი მოედებოდა წიგნებს. ამ საშინელებას ვერ აიცდენდა ხალხი და თან ბავშვების ხმა ისმოდა: — დედიკო! დედა!

უცბად ვილაც შაღალი კაცი გამოჩნდა იქვე მეორე ფანჯარაში, იმის გვერდით, რომელშიც ბავშვები იდგნენ.

და ახლა იასა დააცქერდა, ვინც კი იქ იყო. ვილაც კაცი იყო ბიბლიოთეკის დარბაზში, მაღალი, ახოვანი. ვილაც კაცი შესულიყო ლუმელში. შავად მოჩანდა ცეცხლის ალში. მაგრამ თავი კი თეთრი თმით ჰქონდა მოსილი. დააცქერდნენ, მარკიზ დე ლანტენაკი იცნეს. გაქრა ერთ წამს და ისევ გამოჩნდა.

ფანჯარასთან მოვიდა, თან მოძრავი კიბე მოათრია. ამგვარ უბედურებისაგან თავსახსნელად ჰქონდათ ეს კიბე და ბიბლიოთეკის დარბაზში იდვა დაკეცილი. ერთი ხელით თავი დაიჭირა კიბისა და გმირული ძალითა და სიმარჯვით ჩაუშვა ფანჯარიდან ხევის ძირამდე. იქ რადუბი დახვდა, ხელში მოეხვია და იყვირა:

— რესპუბლიკას გაუმარჯოს!

მარკიზმა ზემოდან თავისი დაიძახა:

ჩვენს მეფეს გაუმარჯოს!

რადუბს არ მოეწონა და ბუზღუნნი დაიწყო:

— როტავს და როშავს, მაგრამ უფრო უშვერი სისულელეც რომ წამოსცდენოდა, მაინც ქველი ვაჟაკია.

მოძრავი კიბე გაამაგრეს. გზა გახსნეს ცეცხლმოდებული ბიბლიოთეკიდან მიწამდე. ოცი კაცი მოვარდა კიბეს. ყველაზე წინ რადუბი, და თვალის დახამხამების უმალ ზედ კიბეზე გამოიჭიმნენ მიწიდან ბიბლიოთეკის ფანჯრამდე, როგორც კალატონის მუშები, რომლებიც ქვემოდან ზევით ქვასა და აგურს აწვდიან ერთმანეთს მაღლა კალატონისადმი გადასაცემად. მოძრავ კიბეზე საფეხურებად აღნიშვნები დამდგარიყვნენ. თავში, ბიბლიოთეკის ფანჯარასთან. რა...

ღუბი იდგა და ფანჯარას ეხებოდა, ცეცხლს შესცქეროდა.

ჯარის კაცები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ იქვე და ამდენი საშინელებით მოქანცულნი იმედიანად შეჰყურებდნენ ბიბლიოთეკის ფანჯარას და იქიდან დაშვებულ კიბეს.

ერთხელ კიდევ გაქრა მარკიზი და მაშინვე გამოჩნდა, ბავშვი მოჰყავდა ხელში აყვანილი.

სიხარულის ტაძი გაიძმა ყოველ მხრიდან.

ჯერ პატარა გრო-ალენისთვის წაველო ხელი.

— მეშინია! — ყვიროდა გრო-ალენი.

ბავშვი რადუბს მისცა მარკიზმა; იმან მის ქვემოდან მდგომს, და მანამ შეშინებული გრო-ალენი ცოცხალი კიბის ბოლოს მიაღწევდა, ერთი წამით გამქრალი მარკიზი ხელახლად მოვიდა ფანჯარასთან და ახლა მტირალი რენე-ჟანი გადმოაწოდა რადუბს. ტიროდა პატარა ბიჭი, მეტად ეშინოდა და ცემა დაუწყყო რადუბს, როცა მარკიზის ხელიდან მის ხელში გადადიოდა.

ერთხელ კიდევ შევიდა მარკიზი ალით მძვინვარე ოთახში. მარტოდ დარჩენილიყო ჟორჟეტი. რომ დაინახა მარკიზი, გაუცირა. და ამ კაცმა, ქვის გულიანმა კაცმა. უცბად სისველე იგრძნო თვალში, და ერთი ცრემლი წასკდა, ობოლი ცრემლი.

— რა გქვია, გოგონავ?

— ოლჟეტ, — უპასუხა ჟორჟეტმა

ხელში აიყვანა ბავშვი; ის კი ისევ ისე უცინოდა. და იმ წამს, როდესაც რადუბისთვის უნდა გადაეცა გოგონაც, წმინდა უმანკოებამ იფეთქა მის მედიდურ უხამს შეგნებაში და გულქვა მოხუცებულმა აკოცა ბავშვს.

— კუდიანი მობრძანდება, პატარა კუდიანი! — დაიძახეს სალდათებმა და ახლა ჟორჟეტი გადადიოდა ხელიდან ხელში. ყველას უცინოდა და ყველა იმას შეხაროდა. ტაშს უკრავდნენ, ფეხით მიწას სცემდნენ, ბებერი ჯარისკაცები ჭვითინებდნენ და ის კი ყველას უცინოდა.

დედაც იქვე კიბესთან იყო. კანკალებდა ამოდენა მოულოდნელით გადარეული, ჯოჯოხეთიდან უშუალოდ პირდაპირ სამოთხეში გადატყორცნილი. გადამეტებულმა სიხარულმა იცის, თავისებურად მიაძველარუნებს გულს. ხელგაწვდილი იდგა, ჯერ გრო-ალენი მიიღო, მერე რენე-ჟანი, ბოლოს ჟორჟეტი; სამივეს ეხვევოდა, გულში იკრავდა, ჰკოცნიდა, მერე სიცილი წასკდა და გულწასული დაეშვა მიწაზე.

და გაისმა სიხარულით სავსე ხმა:

— ყველანი გადარჩნენ, გარდა მოხუცებულისა.

მაგრამ ეს არავის აგონდებოდა, თვითონ იმასაც კი არა.

ოტა ხანს ჩაფიქრებული იდგა იმ ფანჯარასთან, თითქო დროს აძლევდა ცეცხლის ალს, — საკითხი შენ გადაწყვეტეო მაგრამ ცეცხლმა არ ისურვა მის საქმეში ჩარევა და აუჩქარებლად, ამაყად გადმოვიდა ფანჯრიდან, კიბის თავზე გაჩერდა ერთ წამს. ზურგი შეაქცია ხანძარს და გადმოხედა სამარეს, რადგან იცოდა, რომ სამარისკენ მიდიოდა. მერე ნელ-ნელა, აჩრდილის მედიდურობით ჩამოჰყვა კიბეს. ვინც კიდევ ჯერ კიბეზე იყო, საჩქაროდ ჩამოვიდა ძირს. ათრთოლდა ყველა, რალაც შიში მოერიათ, თითქო ადამიანი კი არა, მოჩვენება რამე ყოფილიყოს ზემოდან მომავალი. ის კი მშვიდად; წყნარად მოიწვედა წყვდიადისკენ, რომელსაც ველარ ასცდებოდა. ხალხი უკან-უკან იხევდა, ლანტენაკი იმისკენ მიიწვედა. ფერმიხდილი იყო მარმარივით, მაგრამ სრულიად მშვიდი. აჩრდილისას ჰგავდა იმისი თვალი, მაგრამ არ ეტყობოდა არავითარი მღელვარება. ხალხისკენ მოდიოდა ნელი ნაბიჯით; უფრო ახოვნად ჩანდა კიბეზე; კიბე იზნიქებოდა და ქრიალებდა მის ფეხქვეშ. ისეთი შიშით და თრთოლით შესცქეროდნენ ყველანი, თითქო აკლდამიდან ამომძვრალი ყოფილიყოს აკლდამისკენვე მიმავალი.

და როდესაც მარკიზი უკვე ძირს იყო, ფეხი ჩამოდგა უკანასკნელი საფეხურიდან და მიწაზე დადგა, ხელი დაადგა ვილაცამ მხარზე. მიიხედა მარკიზმა.

— გაპატიმრებ, — უთხრა სიმურდენმა.

— გეთანხმები — მიუგო ლანტენაკმა.

ნიგნი ბეჰუსა

ბრძოლა გამარჯვების უმღებ

!

ლანტენაკის დაპატიმრება

მართლაც სამარეში ჩავიდა მარკიზი.

დაიჭირეს, წაიყვანეს.

ტურგის კოშკის დილეგი გააღებინა მაშინვე სიმურდენმა და თავის ბრძანებისამებრ მოაწყობინა საკანი. პატარა სანათი დასდგეს. სურით წყალი, პური, რომელსაც სალდათებისთვის აცხობდნენ, ერთი კონა ჩალა და არ გასულა ნახევარი საათი მას შემდეგ, რაც მხარზე ხელი დაადვა სიმურდენმა, ლანტენაკი შიგ დაამწყვდიეს და კარი ჩაუკეტეს.

მერე გოვენთან მივიდა სიმურდენი. ამ დროს საათის ხმა გაისმა შორეული პარინიეს სამრეკლოდან. თერთმეტი საათი იყო.

სიმურდენი თოსალაპარაკებლად მივიდა.

— სისხლის სასამართლო მინდა დავნიშნო. შენ არ იქნები. შენ გოვენი ხარ და ლანტენაკიც გოვენია. ძალიან ახლო ნათესავი ხარ და მსაჯულად შენი დანიშვნა შეუძლებელია. მე ჯერაც ვერ მომიწილებია ფილიპე ორლეანის. თანასწორობად წოდებულის, მონაწილეობა ლუი XVI გასამართლებაში. ბიძა იყო მეფისა და მონაწილეობა არ უნდა მიეღო. სისხლის სასამართლოდ სამი მსაჯულიც იკმარება: ერთი გეშანი იყოს, როგორც მეთაურების წარმომადგენელი; მეორე ათისთავი რადუბი, ჯარისკაცთაგანი, და მესამე მე ვიქნები, თავმჯდომარე. შენ არ გეხება ეს საქმე. კონვენტის დეკრეტით ვიხელმძღვანელებთ. საქმისთვის საჭირო არ არის არაფერთარი გამოძიება; სრულიად საკმარისი იქნება ყოფილ მარკიზ დე ლანტენაკის პიროვნების დადგენა. ხვალ სისხლის სასამართლო და ხეგ გილოტინა. ბოლო მოელო ვანდეს.

გოვენმა პასუხი არა გასცა რა და, რადგან სიმურდენს კიდევ მრავალი საქმე ჰქონდა გასარიგებელი, გამოეთხოვა და წავიდა. დრო უნდა დაენიშნა ხვალინდელი სასამართლოსი, ადგილი უნდა დაე-

ნიშნა სასამართლოსთვის და შერე გილოტინისთვის. ჩვეულებად ჰქონდა, როგორც ლეკინიოს გრანვილში, ტალიენს ბორდოში, შალიეს ლიონში, სენ-ჟუსტს სტრასბურგში, თვითონ დაესწრებოდა ხოლმე, კეთილი წავალითის მისაცემად. სასამართლოს მსჯავრის გილოტინით ასრულებას; მსაჯული ცდილობდა ენახა, როგორ ასრულებდა ჯალათი მის დადგენილებას. ეს ჩვეულებად ჰქონდა უწინდელ საფრანგეთის პარლამენტს, აგრეთვე ესპანეთის ინკვიზიციას.¹⁾ და იმათ ჰბაძავედა ახლა, 1793 წ. 31 მაისიდან გამეთებული ტერორი. გოვენსაც თავისი აწუხებდა.

ცივი ქარი ქროდა ტყიდან. ბანაკში საჭირო ბრძანებათა გასაცემად გეშანი დატოვა და თავის კარავისკენ წავიდა, ტყის პირში. წამოსასხამი აიღო, ყაბალახი, წამოისხა. წამოსასხამს ერთი უბრალო ზუზმენტი ამშვენებდა; მაშინდელი რესპუბლიკური მოდა წინააღმდეგი იყო ძვირფასი. ბრჭყვიალა სამკაულებისა და სულ უბრალო ნიშნით კმაყოფილდებოდა; ეს სადა ბუზმენტიც ნიშანი იყო მხედართმთავრისა. ველობზე დადიოდა გოვენი. საიდანაც იერიშით მივიდა წელან ტურგზე და იმოღენა სისხლისღერა ნახა. მარტო იყო. აახლი ჯერ-კიდევ იწოდა, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა. ზადუბი ბაჭუნებთან და იმათ დედასთან იყო და თიოქმის ისევე ზედნიერი იყო მათი ნახვით, როგორც დედა. საქმით გართული იყო ჯარი და მეტადრე საფარელები. ორმოებს სთხრიდნენ. მკედრებს ისაფლავებდნენ, დაჭრილებს უვლიდნენ. ბარკადს ანგრევდნენ, კიბიდან მკედრები ჩამოჰქონდათ, ჰგვიდნენ ბოძოლის ოთანებს. სამაედრო სიჩქარით აკეთებდნენ სალდათები კაი დიასახლისის საქმეს. ოღონდ აქოთებულ სახლში კი არა. მკედრებით სავსე და მათი სისწლით მორწყულ კოშკში. გოვენი ამას არაფერს ხედავდა.

ხანდახან გადახედავდა ხოლმე კოშკის შემტვრეულ შესავალს. ამ შესავალთან დარაჯები იდგნენ; ერთი ორად მეტი სიმურდენის ბრძანებით. ვიდრე ჩვეულებრივ აყენებდნენ.

ველობის ბოლოში იყო. კოშკიდან ორასი ნაბიჯით დაშორებული, და მაინც კარგად ხედავდა ამ შესავალს, თუმცა ცეცხლი ჩელდებოდა და სიბნელე ძლიერდებოდა. ხედავდა ამ შავ, შენგრეულ კედლის ხერხელს. სწორედ ამ ხერხელით დაიწყო წელან იერიშს. სწორედ ამ შენგრეული კედლით შევიდა გოვენი კოშკში, კოშკის

¹⁾ ინკვიზიცია იყო კათოლიკური ეკლესიის სასულიერო სასამართლო. გავრცელდა მე-13 საუკუნეს ესპანეთსა, საფრანგეთსა, გერმანიაში და იტალიაში. იგი იყო ჯალათური სასამართლო, რომელიც მხეტურად სჯიდა ურწმუნოებს.

ქვედა სართულში, სადაც მაგარი ბარკადი აეგოთ ვანდლებს; სამი საათის წინათ მოხდა ეს ყველაფერი. ამ ქვედა სართულში იყო კარი, დილეგმა ჩასასვლელი, სადაც დამწყვედელი ჰყავდათ მარკიზი. კოშკის შესავალში რომ დარაჯები იდგნენ, მარკიზს სდარაჯობდნენ და იმის საპატიმროს, კოშკის ქვედა სართულის ქვემოთ ჩათხრილ ორსართულიან დილეგ-ორმოს.

თვალი სულ იმ კოშკისკენ მიიწევდა და დარაჯებით გამაგრებული შესავლისკენ და ყურში ზარის წკრიალივით ედგა სიმურდენის სიტყვები: „ხვალ სისხლის სასამართლო და ზეგ გილოტინა“.

ხანძარს საფარელები მიუსიეს. აგროვებდნენ ხევში წყალს, ცდილობდნენ ცეცხლის გაქრობას და ისიც ნელნელა ემორჩილებოდა, თუმცა ხანდახან კიდევ აისროდა ხოლმე ალს და შუქს ჰვენდა ღამის სიბნელეს. ჭერის ტკრციალი გაისმა; გასკდა, ჩამოინგრა და ქვემო სართულში დაჰკრა იატაკს; ისიც ჩანგრია და თავის გამარჯვების აღსანიშნავად ნაპერწკალი შეაფრქვია, შორეულ ჰორიზონტამდე გაანათა ცა და შავად ამართული უზარმაზარი, სისხლით გაუმადლარი ტურგის კოშკი.

ნელი ნაბიჯით მიდი-მოდიოდა გოვენი ველობზე, ამ შავ კოშკის და მის შენგრეულ კედლის წინ. ბოლთას სცემდა ჩაფიქრებული. ხანდახან ორივე ხელს თავზე მოიჭერდა ხოლმე სამხედრო ყაბალაჩის ქვეშ. ეტყობოდა, რალაც აწუხებდა.

II

გოვენის ფიქრი

განუზომელი იყო გოვენის ჩაფიქრება.

ადამიანის საკვირველი გარდაქმნა მოხდა მის თვალწინ, ძნელად წარმოსადგენი.

მარკიზ დე ლანტენაკი გარდაქმნილი ნახა გოვენმა.

გოვენი დამსწრე იყო და მოწმე ამ გარდაქმნისა.

თავისდღეში ვერ წარმოიდგენდა, რომ გარემოებათა გართულებების გამო, რაც უნდა დიდი და მნიშვნელოვანი ყოფილიყო ეს გართულება, შესაძლებელი იქნებოდა ამგვარი შეცვლა ადამიანისა. თავისდღეში ვერ წარმოიდგენდა, ოცნებითაც კი, რომ ნახავდა რასმე ამგვარს. ზვაგობით არის სავესე მოულოდნელობა და თავის სურვილისამებრ ათამაშებს ადამიანს. მოულოდნელობა ეცა გოვენს, შეჰბოჭა და მოერია; შეუძლებელი განხორციელებულად დაუყენა წინ დასანახავად, სათათავად, უეჭველ, სრულ სინამდვილედ.

რას ფიქრობდა ამაზე გოვენი?

აქ მივიბ-მოვიბვა კი არა, გარკვეული დასკვნის გამოყვანა იყო საჭირო.

საკათხი ედგა წინ. პასუხი იყო საჭირო, გადაწყვეტილი პასუხი. ხომ ვერ გაექცეოდა ამ საკითხს.

მერე ვისგან იყო წამოყენებული ეს საკითხი?

გარემოებათაგან.

და არა მარტო გარემოებათაგან.

რადგან მრავალგვარი გარემოებანი რომ საკითხს დაუსვამენ ადამიანს, უღმობელი სიმაართლე დაჟინებით მოითხოვს პასუხს.

ღრუბელი მოეფინა ცას, ჩრდილში გვხვევს; მაგრამ ღრუბლის უკან ვარსკვლავი კაშკაშებს და სინათლეს გვცემს.

და ვერსად წავუვალთ ღრუბლის დაჩრდილვას, როგორც ვერსად წავუვალთ ვარსკვლავის ციალს.

დაკითხვას განიცდიდა გოვენი.

ვილაცის წინაშე წარმდგარიყო და დაკითხვას განიცდიდა.

ვილაც საშინელის წინაშე.

თავის სინიღისის წინაშე.

და გრძნობდა, რომ ყველაფერი ირყეოდა მის არსებაში. უმტკიცესი მისი გარდაწყვეტილებანი, მისი აღთქმად დადებული მისწრაფებანი, მისი განზრახვანი, ყოველივე ეს ირყეოდა მის სულის სიღრმეში.

საშინელია მიწისძვრა და უფრო საშინელია სულისძვრა.

და რამდენადაც მეტად უფიქრდებოდა ლანტენაკის საქციელს, რამდენად მეტად გრძნობდა თავის გულის ძრწოლას.

რესპუბლიკელი იყო გოვენი და მტკიცედ სწამდა, რომ ქეშმარიტება ნახა, უმაღლესი ქეშმარიტება.

რესპუბლიკური ქეშმარიტების ზევით კიდევ სხვა არის, ქეშმარიტება კაცობრიული.

მეტად დიდმნიშვნელოვანი იყო. რაც ხდებოდა, და შეუძლებელი იყო შეუმჩნეველად მის გვერდით გავლა. თვით გოვენიც მონაწილე იყო ამ საღსოვისა, შიგ ერია და შიგ მოქმედებდა. და თუმცა სიმურდენმა უთხრა, — შენ არ შეგხებება ეს საქმეო, — რაღაცას გრძნობდა იმისთანას, რასაც განიცდის ხე, ძირს რომ სწყვეტენ.

რამე ფუძეზე დგას ადამიანი. ამ ფუძის რყევა სულითხორცამდე აღელვებს კაცს და გოვენიც ხედავდა თავისი ფუძის ძირითად რყევას.

ორივე ხელს უჭერდა თავს, თითქო ცდილობს აღძრული საოთხმოცთაიამირო

კიოხის პასუხი გამოაღებინოსო: ადვილი არ იყო იმ მდგომარეობის განმარტება. მეტად ძნელია და უხერხული გამარტივება რთულისა; მისტილმსხვილი რიცხვები ჰქონდა და უნდა შეერთებინა ეს რიცხვები, მაგრამ როგორ შეაერთებდა დასასკენელად ბედის ტრიალის მრავალგვარ შედეგს? სცადა, — იქნება მოვანებოო; ცდილობდა მწყობრად დაეღაგებინა თავისი ფიქრები. დაემორჩილებინა წინააღმდეგობა, რომელსაც ჯერ კიდევ გრძნობდა გულში, გადაესინჯა ყოველივე ის, რაც მოხდა, და დასკვნისთვის მიეგნო.

ფიქრით იმეორებდა და სინჯავდა ყველაფერს, რაც მოხდა.

ვინ იქნება, რომ ცხოვრების უაღრეს გაჭირვებაში დაწვროლებით არ გადაესინჯოს ყოველი წერილმანი მდგომარეობისა და ისე არ გადაეწყვიტოს საკითხი: კვლავ, ძველი გზით? თუ ახალს მისდოს?.

ეს იყო, სასწაული ნახა გოვენმა.

არა მარტო მიწიურს, ზეციურ ბრძოლასაც განიცდიდა გოვენი. ბრძოლას სიკეთისას ავის წინააღმდეგ.

დამარცხებული იყო სვითა და ბიწიერებით სავსე გულქვა:

ადამიანი ნახა, ყოველგვარი ბიწიერებითა და ბოროტებით სავსე. — მკაცრი. უწყალო მედიდობა, ახირებული, შეუცდომლად მგონი თავის თავისა, ამყი, ეგოისტი, — და ამ ბოროტების გარდაქმნა ნახა გოვენმა, სასწაული ნახა.

სიკეთემ აჯობა ბოროტებს.

კაცობრიულმა აჯობა მხეტურს.

მერე როგორ? რა საშუალებით? როგორ წამქცია ეს დევი მძვინვარებისა და მძულვარებისა? რა იხმარა იარაღად? რა იარაღი ბრძოლისა და სისხლისღვრისა?

ბავშვის აკვანი.

რაღაც სინათლემ გადაჰკრა გოვენს. მძვინვარე ომის, სამოქალაქო ომის დროს, როდესაც ცეცხლი მოსდებოდა ყოველგვარ მტრობასა და შურისძიებას. როდესაც ისე გამწვავებულიყო ბრძოლა, რომ მხეტად ჰქმნიდა ადამიანს: როდესაც აკვაცობა ბრწყინვალეებით იმოსებოდა და მძულვარება ვერავობის წყველიადით; ამ ბრძოლის დროს, როდესაც ყუმბარით წყდება ყველაფერი და იმდენად საზარელია ხელჩართული, რომ აღარ ჩანს, სად არის სიმაართლე და პატიოსნება; ამ საშინელი ბრძოლის დროს რაღაც სინათლემ გაიელვა ზევით. საიდუმლო წინამორბედმა სულისამ, გაცილებით უფრო მაღლა, ვიდრე ავი და კარგი არის ადამიანისა.

ეს იყო მარადი სხივი ქველობისა.

ბნელი ღუელით იბრძოდნენ სიყალბე და ვითომ-სიმაართლე და უცბად გამობრწყინდა ჩემშარიტება.

უსუსურების ძალა ჩაერია ბრძოლაში.

ხომ ნახეთ პატარა ბავშვის, მართლა უსუსურის, უმანკოს, უპატრონოდ დარჩენილის, დაობლებულის, მაგრამ მხიარულად მღიშარის და მოღუღუნის გამარჯვება მიუხედავად იმისა, რომ მის წინააღმდეგ იყო სამოქალაქო ომი, საზიზღარი ჩვეულება ხალხის შევიწროებისა, კაცის კვლა, სისხლისღვრა, ცოფიანი შურისძიება და ყოველი ბოროტება; ხომ ნახეთ მარცნი უშვერი განზრახვისა, — სახლს ცეცხლს წაუეციდებ, ბავშვებს შიგ დაუწევე და მით მაინც ამოვიყრი ჯავრსაო; ხომ ნახეთ, როგორ გაქრა და განიავდა პატარა ბავშვის ანგელოზური ღიმილის წინაშე უწინდელი ფეოდალურდროინდელი მძვინვარება ბატონისა, ხალხისადმი ზიზღი, ვითომდა გამოცდილებით დაძლევილებული საქიროება ომისა და სახელმწიფო მოსაზრებათა, ყოველგვარი სამარცხვინო საშუალებანი მომაკვდავი წარმავალისა. პატარა ბავშვებმა მოახდინეს ყოველივე ეს, ბავშვებმა, რომლებსაც ჯერ არც კი ეცნოვრათ. და ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ვისაც ჯერ არ უცხოვრია, არც ავი ჩაუდენია, და ის არის სიმაართლე, ქეშმარიტება, სისპეტაკე, და დიდი ანგელოზები ზეცისა აქ, ქიყნად. უსუსურ ბავშვებში იმყოფებიან.

გამშაგებული იბრძოდნენ მეომრები და ერთმენეთის ამოყელტის შეტი აღარა აგონდებოდათ რა; ყოველგვარ ფანატიკურ საზიზღროებას ხმარობდნენ, ყოველგვარ ბოროტებას, რომ ცოფი ჩაერიათ თავის მტრობაში და მაშხალებით გაენათებინათ გზა სიკვდილისთვის. და უსაზღვრო ბოროტების ჩამდენთ უცბათ მოვევლინათ ეს ყოვლადძლიერი უმანკობა.

და გაიმარჯვა უმანკობამ.

და შეიძლებოდა გვეთქვა: არა, არ არსებობს ომი, არ არსებობს ბარბაროსობა, არ არსებობს მძულვარება, არ არსებობს ავკაცობა, არ არსებობს წყვდიადი; ამ საშინელებათა განსაქარებლად საკმარია ეს განთიადი — ბავშვის უმანკობა.

თავისდღეში არავითარ ბრძოლაში არ გამოჩენილან ასე ცხადად სატანა და მასთან თვით ღმერთიც.

ასპარეზად ამ ბრძოლას გული ჰქონდა.

გული ლანტენაკისა.

ახლა ხელმეორედ იწყებოდა ბრძოლა, შეიძლება უფრო მკაცრი და გარდამწყვიტი, ოღონდ სხვის გულში.

გოვენის გულში.

რა ბრძოლის ველია ადამიანი!

ამ ღმერთების ხელშია ადამიანი, ამ დევების ხელში, ამ ფიქრების ხელში.

ხშირად მოხდება ხოლმე, ფეხით სთელავენ ეს მებრძოლნი ჩვენს სულს.

ფიქრებით იყო გატაცებული გოვენი.

დამწყვედელი იყო მარკიზ დე ლანტენაკი, მახეში გაბმული, სასიკედილოდ განწირული, კანონგარეთ გამოცხადებული, შებოჭილი, როგორც ნადირი. ხაფანგში, როგორც ლურსმანი გაზში, ჩაკეტილი თავის საფარში, რომელმაც, დღეს მისმა საპატიმრომ, გაუვალ კედლებსა და ცეცხლს შუა ჩაჭედა, და მაინც გათავისუფლდა; სასწაულებრივი მოხერხება გამოიჩინა, უძნელესი ამ გამწვავებულ დროს, და გაიპარა. თავისუფლება მოიპოვა, ტყეს მიმართა, რომ იქ გამაგრებულყო, და ხალხს მიმართავდა, რომ ბრძოლა განეახლებინა, წყვილადს რომ თავისი გაეტანა. თავისუფლება მოიპოვა, რომ კვლავ გასულიყო ხალხში, აეშალა და აეჯანყებინა ქვეყანა, მეთაურობა გაეწია უხილავი, ტყის ძირში ზოგროვილი ჯარისთვის. გოვენი გამარჯვებული. იყო, მაგრამ ლანტენაკი მაინც თავისუფლად დაარჩა. ამიერიდან ლანტენაკს შეეძლო ძველებურად ეწარმოებინა ბრძოლა, მოცელო ქვეყანა და გაეჩაღებინა ომი. თავისუფალი იყო, მაშასადამე. მიუწვდომელი, მიუგნებელი. მახეში იყო ლომი და მანძიდან გაეპარდა.

გავარდა და მერმე, თვითონვე დაბრუნდა, ისევ მახეში შევიდა.

ლანტენაკმა თავისი ნებით, თავისი სურვილით, თავისი ამორჩევით მიატოვა ტყე, ჩრდილი, უშიშროება, თავისუფლება: არ მოერიდა განსაცდელს და თავგანწირვით შეეარდა, პირველად, — ეს თავის თვალთ ნახა გოვენმა, ანთებულ საკირეში, თუმცა კარგად უნდა სცოდნოდა, რომ შეიძლებოდა თვითონაც შიგ ჩაჩენილიყო; და მეროდ ამ მოძრავ კიბეზე რომ ჩამოდიოდა; ეს კიბე მხსნელი იყო სხვებისა და დაჭლუპველი ლანტენაკისა, რადგან მოსისხლე მტრისაკენ მიჰკავდა მარკიზი.

და რად, ჩისთვის გასწირა თავი ლანტენაკმა?

სამი ბავშვის გადასარჩენად.

და ახლა რას უპირებდნენ ამ კაცს!

გილოტინით თავის მოჭრას.

ამგვარად სამი ბავშვისთვის გასწირა თავი. მერე ვინ იყვნენ ეს ბავშვები? იმისი შვილები? არა. იმისი გვარიშვილები? არა. იმასავეთ დიდებულთაგანნი? არა. ვილაც უცნობნი, სადღაც ნაპოვნი,

ქარიბ-ლატაკები, დაგლეჯილი ტანისამოსით, ფეხშიშველები. და ამ ლეხკაცის ბავშვებისათვის თავი გასწირა დიდებულმა მებატონემ, —რინცმა. მოხუცებულმა. ის იყო განსაცდელს გადაარჩა, თავისუფლად მოიპოვა, გაიმარჯვა, რადგან მტრის დილეგიდან გაქცევა იგივე გამარჯვებაა, და სამი ბავშვისთვის სიკვდილს არ მოერიდა და მედი-ჰურად გულდამშვიდებული დაუბრუნდა მტერს. ბავშვები გადაარჩინა და თავისი თავი მიუძღვნა მტერს, თავი — აქამდე საწიზღარი და ახლა კი წმინდა.

მერე? მიიღეს ძღვენი?

მიიღეს და დაამწყვდიეს.

უნდა ამოერჩია ლანტენაკს, რა უჯობდა: სხვისი გადაარჩენა და თავის განწირვა, თუ სხვისი სიკვდილი და თავის სიცოცხლე? და ამ არჩევანში მარკიზმა თავისი სიკვდილი ამჯობინა.

ამჯობინა და კიდევ თავის არჩევანისამებრ მოექცეოდნენ.

თავს მოსჭირდნენ.

ასე აჯილდოვებენ გმირს!

თავგანწირვა! ადამიანისას მხეცურად დასჯიან.

როგორ არცხვენენ რევოლუციას!

როგორ ამცირებენ რევოლუციას!

და იმ დროს, როდესაც დიდებულმა მებატონემ, ბატონყმობაში აღზრდილმა და ცრუმორწმუნეობით გაყლენთილმა, იგრძნო და გაჰოიჩინა კაცობრიულობა, ჩვენ — განთავისუფლებისა და თანასწორობისათვის მებრძოლნი, სამოქალაქო ომშივე დავრჩებით და სისხლს დავეღვრით ჩვენივე ძმისას!

ხომ არის წმინდა ლეთიური კანონი შეწყალებისა, შენდობისა, თავგანწირვისა. განა ამ კანონს ხალხის მტრები უნდა ემორჩილებოდნენ და ხალხისთვის მებრძოლნი კი არა?

როგორ? დიდსულოვნობაში კი არ უნდა ვეცილებოდეთ? ამ გამარჯვებით დავკმაყოფილდეთ და — ჩვენ გავიმარჯვეთო, — ადამიანური ყველა დავივიწყეთ; — ჩვენ გავიმარჯვეთო, — კაცის კვალიც კი არ ვიუკადრისოთ და ავაყაყანოთ ქვეყანა, რომ მეფის მომხრენი სიცოცხლეს გასწირავენ ბავშვის გადასარჩენად და რესპუბლიკისთვის მებრძოლნი მოხუცებულებსაც ხოცავენო?

მაშ დიდების სიმალლეზე კი არა, ეშაფოტის¹⁾ საფეხურებზე აიყვანენ ამ ბრწყინვალე სალდათს, ამ ოთხმოცი წლის ძლიერ მოხუცს, ამ იარაღაყრილ მებრძოლს, თავის ნებით მოსულს და არა დაჰყ-

1) ეშაფოტი იყო ადგილი გილოტინაზე, სადაც თავს კვეთავდნენ.

რილს, მოსულს იმ დროს, როდესაც ჯერ ოფლი არ ჩამოეწმინდა შუბლიდან სხვებისთვის თავგანწირულს? და მახვილის ქვეშ მოაქცევენ მის კისერს, რომ სამი ანგელოზის, მის მიერ გადარჩენილების, სული აღშფოთდეს და ზედ დასტრიალებდეს თავმოქრილს? და ამ სამარცხვინო ჯალათებისთვის წამების დროს მწარე ღიმილს დაინახავს ხალხი წამებულის სახეზე და სირცხვილის სიწითლეს რესპუბლიკისაზე?

და ყოველივე ეს მოხდება გოვენის თანდასწრებით, მხედართმთავრის ნებართვით?

ხომ შეუძლია წინააღმდეგობა, ნუ თუ გაჩუმდება? ნუ თუ სინიდისს დაიმშვილებს სიმურდენის სიტყვით, — ეს შენ არ შეგეხებაო? ნუ თუ არ ეტყვის თავის თავს, რომ განზე გადგომა ამგვარ შემთხვევაში თანხმობა და თანაზიარობა არის? ნუ თუ არა გრძნობს, რომ ამგვარ საქციელში ისე საძრახი არ არის ავკაცობის ჩამდენი, რამდენადაც საძრახი და საზიზღარია წინააღმდეგობის შემძლე, მაგრამ მიჩუმებული, გაუბედავი, ლაჩარი?

მართალია, მაგრამ გოვენი არ იყო, რომ აღუთქვა რესპუბლიკის ლანტენაკის მოკვლა? გოვენი არ იყო, გულკეთილი და ლმობიერი, რომ გამოაცხადა, — ლანტენაკი ღირსი არ არის შებრალებისა და დავიჭერ თუ არა, მაშინვე სიმურდენს მიუყვანო?

ლანტენაკი ემართა გოვენს სიმურდენისა, ემართა და აძლევდა. მორჩა და გათავდა.

მაგრამ იმ ლანტენაკს აძლევდა, რომელიც ემართა?

აქამდე გოვენი ლანტენაკში ხედავდა ბარბაროს მებრძოლს, თავგამოდებით დამცველს მეფობისა და ბატონყმობისას, პატიმრების მელეტს, გაცოფებულ სისხლისმსმელს, სისხლით გაუმადლარ მხეცს. ამ მხეცისა არ ეშინოდა გოვენს: ამ ჯალათს ისიც ჯალათებს გადასცემდა; ამ დაუნდობელს. ისიც დაუნდობლად მოეპყრობოდა. ამაზე ადვილი რა იქნებოდა? გზა გაყვანილი იყო და მეტად ადვილი იყო ამ სამწუხარო გზით სვლა; გათვალისწინებული იყო ყველაფერი — მოკვლავთ, ვინც მოჰკლავს. სწორი გზა იყო საშინელებისა და მოულოდნელად დაირღვა ეს წაღმად მიმავალი გზა, გვერდით შეუხვია და ახალი ჰორიზონტი გაუშალა თვალწინ, გარდაქმნა გამოიწვია, სხვა ლანტენაკი გამოვიდა სცენაზე. გველეშაპი გმირად გარდაქმნილიყო, გმირზე მეტად, ადამიანად გარდაქმნილიყო და ამ ადამიანს არა მარტო სული, გულიც ადამიანური დაჰყოლოდა, მგრძნობიარე და ქველი. კაცისმკვლეელი კი არა, გაჭირვებულთა

დამხმარე და მზარველი ედგა დღეს თვალწინ გოვენს. ზეციური სინათლე მოხედა გოვენს. ლანტენაკმა მეხი დასცა სათნოებისა.

და გარდაქმნილი ლანტენაკი გოვენს კი არ გარდაჰქმნიდა? როგორ? ამ შუქს სინათლისას ანარეკლი არ ექნებოდა? წარსულში სულდგმული წინ წავა და მომავლისათვის თავგანწირვით მებრძოლი კი უკან? ბარბაროსობისა და ხალხის ჩაგვრის მოტრფიალე ფრთას გაშლის უცბად. ცას მოეწევა და ზემოდან დაუწყებს ცქერას ლაფში და ბნელში მცოცავ რესპუბლიკელს? გოვენი პარქვე ეგდება ძველ, იხსნაღით გაყვანილ, რუში და ლანტენაკი ადამიანური გრძნობით დაიწყებს ლხენას?

მაგრამ სხვა მოსაზრებაც იყო.

შთამომავლობა!

ამ სისხლს რომ დაღვრიდა, — თუ წინააღმდეგობას არ გაუწევდა და მოაკვლევინებდა ლანტენაკს, — თვითონ იქნებოდა მისი სისხლისმღვრელი. და განა თავის სისხლს არ დაღვრიდა ლანტენაკის შოკელით? პაპა მოჰკვდომოდა, მაგრამ პაპის ძმა, ბიძა ცოცხალი იყო და ეს ბიძა მარკიზ დე ლანტენაკი იყო. არ წამოვარდებოდა განა თავის საფლავიდან იპისი პაპა. რომ არა და არ შეეშვა სამარეში თავისი ძმა? განა ანდერძად არ ჩასძახოდა თავის შვილის-შვილს, — ამიერიდან პატივი ეცა ამ ქალარა თმის გვირგვინს, გვარის ჭადიდებელს და დამამშვენებელს? განა აქვე არ იყო. გოვენსა და ლანტენაკს შუა აღმშფოთებელი აჩრდილი იმის პაპისა?

განა რევოლუციას მიზნად ჰქონდა დასახულო ადამიანის გათახსორება? განა ოჯახის დასაშლელად, ადამიანური გრძნობების ჩასაქრობად იყო მოპოვებული რევოლუცია? სრულიადაც არა. სწორედ ამ დიდებულ ცნებათა დასამყარებლად და არა მათ უარსაყოფად წამოიშალა 89 წელს ხალხი. ბასტილიის ციხის დანგრევა კაცობრიულ გრძნობათა განთავისუფლება იყო, ბატონყმობის აღშოფხვრა, ოჯახის გაძლიერება. შემქმნელი უნდა იყოს. რომ მისგან გამომდინარეობდეს ხელისუფლება. შემქმნელში არის ჩართული ხელისუფლებაც. და ამიტომ სხვა არავითარი ხელისუფლება არ არის. გარდა მამის უფლებისა. აქედან — სრული კანონიერება ფუტკართ დედოფლისა. რომელმაც ჰშობა თავისი ხალხი, დედა არის მისი და, მამასადამე, მისი დედოფალიც. აქედან — სრული უსაფუძვლოება მეფის არსებობისა. რომელიც მამა არ არის თავისი ხალხისა და არც მისი მეთაურობა შეუძლია; აქედან — მოსპობა მეფობისა და, მამასადამე, — რესპუბლიკა. მაშ რა არის რესპუბლიკა? რესპუბლი-

კა ოჯახი არის, კაცობრიობა, — რევოლუცია, რევოლუცია — აღსვლა არის ხალხისა და ხალხი — ადამიანია.

და ახლა აღიძრა კითხვა, დაუბრუნდებოდა თუ არა თავის ოჯახს გოვენი, როგორც ლანტენაკი, რომელმაც ადამიანური გრძნობა გამოიჩინა და კაცობრიობას დაუბრუნდა?

აღიძრა კითხვა, ერთად იქნებიან გოვენი და ლანტენაკი ზეციურ სასუფეველში, თუ მოხუცებულის წინსვლას უკან დახევით უპასუხებს ყმაწვილი?

გოვენისა და მისი სინიდისის სულიერ ბრძოლაში უკვე მარტივად იდგა კითხვა და მარტივადვე გამომდინარეობდა თვით პასუხიც: ლანტენაკის გადარჩენა.

ლანტენაკის გადარჩენა!.. მერე საფრანგეთი?

აქ კი უცბად იცვლებოდა დასკვნა ამ თავბრუდამხვევი საკითხისა.

როგორ! დაქანცული იყო საფრანგეთი, კარი ღია ჰქონდა ყველმხრივ და სიმაგრე დანგრეული; საფარი აღარ ჰქონდა და გერმანიამ რეინი გადმოლახა; ზღუდე აღარ ჰქონდა და იტალიამ ალპის მთაზე გადმოაბიჯა, ესპანეთმა პირინეზე. ერთადერთი სიმაგრეა რჩებოდა, უფსკრული, ოკეანე; შეიძლებოდა ზედ დაჰყრდნობოდა და ზღვისპირით გამაგრებულ დევგმირს მთელი ქვეყნის მტერი მოეგერიებინა. ასე რომ ყოფილიყო, დაუმარცხებელი იქნებოდა საფრანგეთი. მაგრამ არა! თავის დაცვის ამ უკანასკნელ სახსარსაც უსპობდნენ. საფრანგეთისა აღარ იყო ეს ოკეანე. ინგლისა პარპაშებდა ოკეანეში. მართალია, არ იცოდა ინგლისმა, როგორ შემოჰსევოდა საფრანგეთს. და სწორედ ამაში ეხმარებოდა ერთი ფრანგი. ხიდს უდგამდა, ხელს უწედიდა პიტს, გრევს, კორნვალისს, დუნდას, სთხოვდა მეკობრეებს, — მობრძანდით, კარი ღია გახლავთო. ერთი ფრანგი იყო, რომ სულ იმას ემუდარებოდა ინგლისს, — მოდით, საფრანგეთი დაიჭირეთო.

და ეს კაცი, ეს ფრანგი მარკიზ დე ლანტენაკი იყო.

ისევ დაიხლართა საკითხი.

ახლა კი დაჭერილი ჰყავდათ ეს კაცი. სამი თვე იყო იმაზე ნადირობდნენ, იმას სდევდნენ განძვიებით, როგორც ცოფიან ძაღლს, და ბოლოს ხელთ იგდეს, როგორც იყო. რევოლუციის ხელმა დაჰკრა ხალხის შეჩვენებულ მტერს, ოთხმოცდაცამეტის მძლავრი ხელი შიგ ხელში სწვდა კაცისმკვლელ მომხრეს მეფისას; რაღაც ხაილუმლო წინამორბედის ძალით, რომელიც ზევიდან განაგებს ადამიანთა საქმეს, თავის საგვარეულო დილეგშივე არის დამწყვედელი

ეს სამშობლოს მტერი და იქ ელის თავის სასჯელს. ფეოდალიზმის შვილი და თაყვანისმცემელი ფეოდალური კოშკის ორმოში ბრძანდება დამწყვედელი; ბატონყმობის მოტრფიალეს საპატიმროდ გახდომია თავისივე სასახლის კედლები. სწორედ ის გასცა თავისმა საგარეულო ციხე-სიმაგრემ, ვინც გაცემას უპირებდა თავის სამშობლოს. ცხადი იყო, ღვთის ბრძანებით მოხდა ყოველივე ეს და უკვე დადგა უამი მოღალატის დასჯისა. რევოლუციამ დაიჭირა და დააპატიმრა თავისი საზოგადოებრივი მტერი; ბრძოლა აღარ შეეძლო დაქერილს, ვეღარ გაუძალიანდებოდა, ვეღარას ავნებდა. ვანდემი ქუდზე კაციც რომ ყოფილიყო აჯანყებული, ერთად ერთი იყო ტვინიანი თავი და ისიც უკვე დაპატიმრებული; რაკი ის აღარ იქნებოდა, სამოქალაქო ომიც მოისპობოდა, და ის აღარ იყო, დილეგში ჰყავდათ მოსაკლავად, — ტრაგიკული, მაგრამ სასიკეთო დაბოლოება ამოდენა უბედურებისა. ამოდენა ხალხის ჟღერას და სისხლისღვრას ამით მოეღებოდა ბოლო, — ხელთ ჰყავდათ ქვეყნის მტერი, სამშობლოს მოღალატე და ახლა იმისი რიგი იყო, ახლა ის უნდა მომკვდარიყო.

ნუ თუ იქნება ვინმე, რომ ქვეყნის მტრის გადარჩენა მოინდომოს?

სიმურდენს, ესე იგი ოთხმოცდაცამეტს დაეჭირა ლანტენაკი, ესე იგი მონარქია, და შეიძლებოდა განა, ყოფილიყო ვინმე, რომ რევოლუციის ქალოვანი მკლავიდან გამოეგლიჯა ეს ტკბილი ლუკმა? ლანტენაკი განხორციელება იყო იმ საშინელებისა, რომელსაც წარსული ეწოდება; მარკიზ დე ლანტენაკი უკვე სამარეში იყო. მძიმე კარი უკუნეთისა დასწოლოდა ზედ და ნუ თუ აღმოჩნდება ვინმე, რომ მივიდეს და კარი გაუღოს? უკვე მკვდართა შორის ირიცხებოდა ეს ხალხის ბოროტი, ვერაგი მტერი, და მასთან ერთად მკვდარი იყო აჯანყება, სამოქალაქო ომი, მსეტური სისხლისღვრა. და ნუ თუ იქნება ვინმე, რომ უკუაგდოს ყოველივე ეს და სამარიდან ამოიყვანოს?

ოჰ, რამდენს იცინებს სამარიდან ამოყვანილი!

რა ნიშნის მოგებით დაიძახებს:

— მაშ ცოცხალი ვარ! ახლა მე ვიცი! ოჰ, რა სულელები ყოფილხართ!

და როგორ შეუდგება თავისი საზიზღარი განზრახვის განხორციელებას! როგორ ჩაეშვება ბატონი მარკიზი, უღმობელი და სიხარულით აღსავსე, მძულვარებისა და შურისძიების სისხლის შორევეში! როგორ გააჩაღებს ხვალვე ქვეყანას ხანძრით და მორწყავს სისხლით!

ტყვევებზე ამოიყრის ჯავრს, დაქრილებზე! და ქალებსაც კი დაახვერტინებს!

და ბოლოს დ: ბოლოს, რა ქნა ისეთი ლანტენაკმა, რომ ისე მოხიბლა გოვენი? ხომ არ აზვიადებდა მის საქციელს გოვენი?

სამი ბავშვი იღუპებოდა; ლანტენაკმა გადაარჩინა.

მაგრამ ვისი ბრალი იყო, რომ იღუპებოდნენ ბავშვები?

განა ლანტენაკის ბრალი არ იყო?

ვინ დააწყო ბავშვების აკვანი იმ ხანძარში?

იმანუსმა არ დააწყო?

მერე ვინ იყო ეს იმანუსი?

თანაშემწე არ იყო ლანტენაკისა?

პასუხისმგებელი უფროსი არის!

მაშასადამე, სახლის დამწველი და ბავშვების შიგ შემყვანი არის ლანტენაკი.

მაშ რა არის საკვირველი და სათნო მის საქციელში?

ბოლომდე ვერ გაუძლო თავის ავკაცობას, სხვა არაფერი.

ჯერ საგანგებოდ მოაწყო ყველაფერი თავის განზრახვის ასასრულებლად, მაგრამ შედრკა. თვითონვე შეეზარა თავისი ბოროტება. დედის კვილმა გაუღვიძა გულში ჩამხრჩვალნი ძველი სიბრაღული ადამიანისა, საფუძველი კაცობრიული ცხოვრებისა, რომელიც მოიპოვება ყველას გულში, მხეცის გულშიც კი. გაიგონა დედის კვილი და უკანვე დაბრუნდა. ბნელისკენ მიდიოდა და სინათლისკენ ღობრუნდა. ბოროტება მოაწყო და თვითონვე დაჰკმო. განა შესაწყალებელია შხამიანი გველი, რომელსაც ბოლომდე არ ეყო თავისი შხამი?

და მარტო იმიტომ, რომ ბოლომდე არ მიიყვანა თავისი განზრახვა, შევეუნდოთ და უკანვე დავეუბრუნოთ ყველაფერი? დავეუბრუნოთ სიცოცხლე, თავისუფლება, ქვეყანა, ჰაერი, სინათლე? დავეუბრუნოთ ტყე, რომ შიგ გაამაგროს რესპუბლიკის მტერი? დავეუბრუნოთ თავისუფლება, რომ ხალხის დამონავებას შეუდგეს? დავეუბრუნოთ სიცოცხლე, რომ სიკვდილი გაამეფოს?

იქნება შეთანხმება შეიძლებოდეს ამ დამარცხებულ მტერთან. მოლაპარაკება ამ დიდებულების სიამაყით გაბერილ მოხუცთან? იქნება შეიძლებოდეს სიკვდილს გადაეარჩინოთ, დილეგიდან გაეუშვათ იმ პირობით, რომ აღარავითარი მონაწილეობა არ მიიღოს რევოლუციის წინააღმდეგ აჯანყებაში და ბრძოლაში? ამოდ ჩავვივლის ამისთანა წინადადება, მასხარად აგვიგდებს, რადგან ჰყენი ხელითვე მიეცემთ უპირატესობას. შეურაცხვეყოფს და ზედ დააფურ-

ახებს ჩვენს წინადადებას: — სირცხვილი თქვენთვის შეინახეთ. მე თქვენი არა მინდა რაო, — შემოგვიტევს, — მომკალით, რაღას უყუ-
რებთო?

არა, ვერას გააწყობთ ამისთანა კაცთან. ან უნდა მოჰკლათ, ან ჯაათავისუფლოთ. ცაცაბ კლდის მწვერვალზე იყო კაცი და ყოველ-
მანის მზად იყო ასაფრენად, ან თავისგასწირავად; ორბიცი იყო თა-
ლის თავისა და დამლუპველიც. უცნაური რამ იყო.

მაშ მოჰკლან? რომ ვეღარ უძლებს გული ამ ვაებას!

გავათავისუფლო? ამ პასუხისგებას კი გაუძლებს გული?

ლანტენაკი რომ გავათავისუფლო, ხელმეორედ უნდა შევეუღ-
ვეთ ვანდეს დამკვლევას, ესე იგი დამარცხებას. როგორც გველე-
შაპს ვერ მორჩები, მანამ თავს არ მოსჭრი, ისე ვანდეს, თუ მოთავე
ქროცხალი დაურჩა. თვალის დახამხამების უმალ მეტეორის სრბოლის
ჩისწრაფით, მოეკიდება ქვეყანას ალი, რომელიც უკვე ჩემქრალია
ამ კაცის დაქერისთანავე. აღარ მოისვენებს ლანტენაკი, მანამ არ
დასრულებს თავის გულითად სანატრელ გეგმას, — მანამ რესპუბლი-
კას და საფრანგეთს სამარეში არ ჩააწვენს და ზედ საფლავის ქვებს
არ დაადებს, — რესპუბლიკისთვის მონარქიას ამზადებს და საფრან-
გეთისთვის — ინგლისს. ლანტენაკის გადარჩენა საფრანგეთის გან-
წირვა იქნება; ლანტენაკის სიცოცხლე სიკვდილი იქნება მრავა-
ლი სრულიად უდანაშაულო ხალხისა, — ქალისა, კაცისა, ბავშვი-
თა, რომელთაც კვლავ დაერევათ სამოქალაქო ომი ყოველი თავი-
საშინელებით; ლანტენაკის გაშვება იქნება ინგლისელების შე-
მოსვლა საფრანგეთში, უკან დახევა რევოლუციისა, დაწვა და აფო-
რიაქება ქალაქებისა, ყლუტა ხალხისა, სისხლით მორწყვა ბრეტანისა,
მგლის შეშვება ცხვარში.

ყოველი წვრილმანი თავისებურად ანათებდა, ან თავისებურად
აბნელებდა საკითხს. — ხან სრული სინათლე ეფინებოდა ზედ, ხან
მისი მოწინააღმდეგე ბნელი, და გრძნობდა გოვენი, რომ თანდათან
ერეოდა დასკვნა, — ვეფხვის გამოშვება გალიიდან.

და მაშინვე თავისი პირვანდელი სახით აღიძროდა მის გულში
საკითხი; ქვა სიზიფისა, — თავის თავთან ბრძოლა ადამიანისა, —
ძირს ჩამოგორდებოდა ხოლმე, როგორც კი მწვერვალს მიალწევდა:
განა მართლა მხეცი ვეფხვი იყო ლანტენაკი?

იქნება მხეციც იყო; მაგრამ განა ჯერაც მხეცია?

თავბრუ ეჩვეოდა გოვენს: აზრი აზრს მისდევდა, წინ მიიწევდა,
უკანვე ბრუნდებოდა, სპირალად იხვევოდა და მართლა გველს ამს-
ვავსებდა ადამიანის ფიქრს. განა შეიძლებოდა დაკვირვებით საქმის

განხილვის შემდეგ უარყოფა ლანტენაკის თავგანწირვისა, სტოიკურად დავიწყება თავისთავისა და უაღრესი უანგარობა? როგორ! სამოქალაქო ომის ამდენი შიშთანობის დროს კაცმა ადამიანური ქველობა გამოიჩინოს და არ დაუფასდეს? როგორ! მიწიურ კემშარიტებათა ერთმანეთთან შებრძოლებაში ზეციური კემშარიტება შეიტანოს და არ დაუფასდეს? როგორ! საქმით დაამტკიცოს, რომ სამეფოების, რევოლუციებისა და ერთობ მიწიური საკითხების გარდა არსებობს აგრეთვე უსაზღვრო ზეციური ღმობიერება ადამიანის სულისა, რომელიც გვიბრძანებს ძლიერთაგან სუსტების მფარველობას, გაჭირვებულების ბედისაგან დაჩაგრულების დახმარებას, მოხუცებულთაგან ბავშვებისადმი მამისებურ სიყვარულს და, თუ საჭიროა, თავგანწირვას. და არ დაუფასდეს? ცარიელი სიტყვით კი არა, საქმით დაამტკიცოს ეს ბრწყინვალე დებულებანი, საკუთარი სიცოცხლის უარყოფით, და არ დაუფასდეს? მხედართმთავარი იყო და უარპყო ომიანობაც, ბრძოლაც. შურისძიებაც: მეფისა და მეფობის მომჩრე იყო და სასწორო აიღო ხელში; ერთ პინაზე საფრანგეთის მეფე დასვა, ოხუთმეტი საუკუნის მონარქია, ძველი წესწყობილებისა და ძველი საზოგადოებრიობის აღდგენა; მეორე პინაზე სამი პატარა ბავშვი ვილაცა გლეხკაცისა, და ნახა, რომ მეფე, იმისი ტახტი, იმისი სკიპტრა და თხოთმეტი საუკუნის მონარქია უფრო მსუბუქია, ვიდრე სამი უსუსური ბავშვი. მაშ ყოველივე ეს არაფერია მის შესანდობად? ყოველივე ამის ჩამდენი მაინც ვეფხვად რჩება და სისხლით გაუმაძღარ მხეცსავით უნდა მოვექცეთ? არა! არა! და არა! განა შეიძლება ბოროტი იყოს ადამიანი, რომელმაც ზეციური საქციელის სინათლე მოჰკვინა სამოქალაქო ომის წყვდიადს? მახვილით ჭურვილი სხვიით ჭურვილიდ გარდაიქმნა. ჯოჯოხეთის სატანა სამოთხის ლუციფერად იქცა. თავგანწირვით მოქმედებდა ბავშვების ხსნაში და მით გამოისყრდა ყველა თავისი შეცოდებანი. ხორციელად იღუპებოდა კაცი, მაგრამ ზნეობრივად კი სპეტაკდებოდა; აღიდგინა თავისი უცოდველობა; თვითონვე დაადგინა თავისი შენდობა და პატივება. ნუ თუ უარყოფთ ადამიანის უფლებას, შეუნდოს თავის თავს შეცოდებანი? ამიერიდან თაყვანსაცემად გახდა ლანტენაკი.

ღიდსულოვნობა. ქველობა გამოიჩინა ლანტენაკმა. ახლა გოვენის რიგი იყო ასევე მოქცეულიყო.

გოვენი ვალდებული იყო სამაგიერო მიეწლო თავისი ბიძისთვის. ვნებათა ბრძოლა იყო გაცხარებული, ერთმანეთს ებრძოდნენ ავი და კარგი და ქაოსად ჰქმნიდნენ ქვეყნიერებას. ლანტენაკმა თავი დააღწია ამ ქაოსს და თავი დააღწევინა აგრეთვე კაცობრიულს. ახლა

გოვენის რიგი იყო, გაეთავისუფლებინა ამ ქაოსიდან აგრეთვე ოჯახურიც.

მაშ რა გზას დასდგომოდა გოვენი?

ნუ თუ არ აასრულებდა ღვთის ბრძანებას?

ერთსა და ერთს ჩასძახოდა რაღაცა ძალა:

— კარი გაუღე ლანტენაკს.

მაგრამ სხვა ხმაც მოესმა, აღშფოთებული:

— კარი გაუღეო? ძალიან კარგი! მაშ ლანტენაკთან ერთად ინგლისელებს გაუღოს კარი! უღალატოს სამშობლოს! გაიპაროს და მტერს მიუღდეს! გაათავისუფლოს ლანტენაკი და დალუპოს საფრანგეთი!

თავით ფეხებამდე თრთოდა ამ ფიქრებით მოცული.

და ცხადად წარმოუდგა ბნელში სფინქსი, ლომის ტანითა და ადამიანის თავით. უყურებდა გოვენს და დაცინვით უძახდა:

— ეგ ოცნება არის და არა საკითხის გადაჭრა!

საშინელ მებოძირში მომწყვდეულიყო გოვენი, სადაც შეხვედროდა და გააფთრებული შესცქეროდა ერთმანეთს სამი უწმინდესი ცნება ადამიანისა, კაცობრიობა, სამშობლო და ოჯახი.

რიგ-რიგად ამბობდნენ თავისას. სამივე თავისას ამტკიცებდა და სამივე ჭეშმარიტებას ჰლაღადებდა. საქმე ამორჩევა იყო! სამივეს სიტყვა შეერთება იყო სიმართლისა და სიბრძნისა, და ურჩევდა, — ასე მოიქეცო. სწვადასხვას ურჩევდნენ სამივე. გონება სხვას ურჩევდა, გრძნობა სულ სხვას; ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ ესენიც. გონება საბუთიანობა არის, გრძნობა კი ხშირად სინიღისა; გონება ადამიანისგან გამოიქმნების და გრძნობა კი მხოლოდ ზემოდან.

ამიტომ არის, რომ გრძნობას ნაკლებად აქვს სიცხადე და მეტად — სიმძლავრე.

თუმცა დიდი სიმძლავრე აქვს აგრეთვე მკაცრ გონებასაც.

ყოყმანობდა გოვენი. ვერ აჯრჩია გასავალი.

საშინელებაა გაუბეღაობა.

ორ უფსკრულს შუა იდგა, — დაეღუპა მარკიზი, ან გაეთავისუფლებინა. ან ერთში უნდა ჩაეარდნილიყო, ან მეორეში.

რომელში იყო ამ უფსკრულთაგან გოვენის მოვალეობა?

III

მხელართმთავრის შაბალასი

და მართლაც აქ კითხვა მოვალეობით უნდა გადაწყვეტილიყო. მოვალეობა ასდგომოდით თვალწინ: სიმურდენს ბედშავი და გოვენს საშინელი მოვალეობა.

სრულიად მარტივი იყო მოვალეობა პირველისა; გამოურკვეველი, რთული, ძნელად გადასაჭრელი იყო მოვალეობა მეორისა.

შუალამე დაჰკრა საათმა. მერე პირველი საათი ღამისა.

გოვენი თავისდაუნებურად, შეუმჩნეველად მიახლოვებოდა კოშკის შემტვრეულ შესავალს.

ხანძარი ქრებოდა, ოღნავლა ანათებდა იქაურობას.

ფერდობს, კოშკის მეორე მხარეს, ხანდახან დაჰკრავდა ხოლმე ცეცხლის ალი. გაანათებდა, მაგრამ ცეცხლს ბოლი ეხვეოდა და აბნელებდა. ეს წამიერი სინათლე და მერე ისევ სიბნელე შესამჩნევად სცვლიდა საგნების ტოლფარდობას და აჩრდილად ჰქმნიდა ბანაკთან მავალ დარაჯებს. თავისი ფიქრებით გატაცებული გოვენი მანც ხედავდა კვამლისა და ალის ბრძოლას, კვამლისაგან ალი! დაბურვას, ალისაგან კვამლის განდევნას; ხან სინათლეს ხედავდა. ხან ბნელში რჩებოდა და გრძნობდა, რომ იგივე ბრძოლა წარმოებდა მის გულშიც: როგორც კი ამოისუნთქავდა შეებით, ახლა კი ვიცი, რა გზას დავადგეო, — კვლავ წარმოუდგებოდა საწინააღმდეგო მოსაზრებანი და ისევ ბნელში რჩებოდა.

უტბად ხანძრიდან ამომავალ კვამლს აღწაკიდებული მუგუზალი ეცა. თან აჰყვა, გაანათა ფერდობი და სხივი დაჰკრა რალაც ეტლს. დააქცერდა გოვენი: თან ცხენოსნები მოჰყვებოდნენ ჟანდარმის ქუდებით. — ის ეტლი უნდა იყოს, გეშანმა რომ დამანახვა ჭოგრით, შორიდან მომავალი, რამდენიმე საათის წინათ, მზე რომ ჩადიოდაო, — გაიფიქრა გოვენმა. ეტლზე სალდათები ასულიყვენენ, დაცლას უპირებდნენ. მეტად მძიმეს ჰგავდა ტვირთი და ხანდახან ხმას იღებდა, თითქო რკინას მაგარი რამ დაჰკრესო. რა იყო, რა გადმოტვირთეს, — ძნელი იყო შორიდან ამის დანახვა: ძელურს ჰგავდა რალაც იყო. ბოლოს ერთი უზარმაზარი ყუთი გადმოიღეს და მიწაზე დასდგეს; გარეგნობით ეტყობოდა, რომ ყუთში სამკუთხი საგანი უნდა ყოფილიყო. მუგუზალი დაჰკრა, ისევ ჩამობნელდა. გოვენი კი, ღრმად ჩაფიქრებული, თვალს ვეღარ აშორებდა ბნელში უჩინარ ტვირთს.

ჩირალდნები ანათეს, სიარული დაიწყეს ფერდობზე, მაგრამ მე-

ტად მკრთალად ჩანდა ყველაფერი და, ესეც რომ არ ყოფილიყო, ძირს იდგა გოვენი, ხევის მეორე მხარეს, და თუ ხელავდა რასმე, მარტო იმას, რაც ფერდობის პირზე იყო.

ლაპარაკის ხმა ისმოდა. მაგრამ სიტყვების გარჩევა შეუძლებელი იყო. ისმოდა ხანდახან რაკუნის ხისა, ისმოდა აგრეთვე ლითონის წკრიალი, ცელს რომ ლესავენ, ივჯვარი.

ორი საათი დაჰკრა.

ნელი ნაბიჯით წავიდა გოვენი კოშკის შესავლისკენ; მიდიოდა როგორღაც გაუბედავად, სამ ნაბიჯს რომ წინ გადასდგამდა, ორით უკან იწევდა. მაინც მივიდა, მიუახლოვდა. დარაჯმა იმ სიბნელეშიც კარგათ იცნო თავისი შეთაური, წამოსასხამზე და ყაბალახზე მიკერებული ბუხმენტით და წინ გამოიქიმა. გოვენი შევიდა კოშკის ქვედა სართულში; ეს დარბაზი ახლა მოდარაჯე რაზმით იყო სავსე. ჰერზე სანათი ეკიდა; იმდენად ანათებდა დარბაზს, რომ შეიძებოდა გამეღელს ფეხი არ დაედგა ძირს, ჩალაზე მწოლიარე სალდათებისთვის. უმრავლესობას ეძინა.

ამ დარბაზში იბრძოდნენ ამ საღამოს. დაგვა ვერ მოესწროთ. და ძირს მრავლად ეყარა ფინდიხის ნაბტვრევი — რკინა და ტყვია: მაგრამ ისე დაქანცულიყვნენ იმ დღეს, რომ ზედ იწვნენ და ტკბილად ეძინათ, საშინელების მოწამე იყო ეს ოთახი; იქ იყო იერიში, ბარიკადი; იქ იყო ერთმანეთის ხოცვა, სროლა, ხელჩართული ბრძოლა, ყვირილი, ღრიალი, კენესა. ბევრი ამხანაგი დააკლდათ იმ საღამოს მანარ დარაჯებს, — მკვდრები ეყარნენ წელან სწორედ იქ, სადაც ახლა ამათ ეძინათ. ჩალაზე იწვნენ დაღალულები, თავიანთი ამხანაგების სისხლით შეღებილ ჩალაზე. გათავებული იყო ბრძოლა, სისხლი მოაშრეს, ხმალი გასწმინდეს, მკვდრები მოიშორეს და ღრმა ძილით ტკბებოდა, ვინც გადარჩენილიყო. ასე იცის ომმა. და ხვალ კიდევ ბრძოლა და ტკბილი ძილი, ვინც გადარჩება.

! გოვენი რომ შევიდა დარბაზში, ფეხზე წამოუდგა რამდენიმე კაცი, ჯერ არ ჩასძინებოდათ, და მათ შორის დარაჯების უფროსი.

დილეგის კარზე მიუთითა გოვენმა და უბრძანა:

— გამიღეთ.

ურდულეები მოხსნეს, კარი გაუღეს.

დილეგში შევიდა გოვენი.

კარი ჩაუკეტეს ზურგს უკან.

ნიზნი მეზვილა

ფიქციური და რეალური

I

წიგნაკარი

ლორთინი ეფარა ჯურღმულში ჩასავალ ორმოს. ზედ პატარა სანათი იდგა, სურა წყლით, სალდათური პური და ერთი კონა ჩაღა. დილეგი გამოქვამული იყო კლდეში და კიდევ რომ გაბრიყვებულყო ვინმე პატიმარი და ცეცხლი წაეკიდებინა ჩაღისთვის, — გადავწვავ ჩემ საპატიმროს და გავიქცევიო, — ვერას განდებოდა: კლდეს ვერ დასწვავდა და თვითონ კი კვამლში დაიხრჩობოდა.

მარკიზი ბოლშაას სცემდა თავის საპატიმროში, როდესაც კარი შეადგეს; გალიაში ჩამწყვდეული მხეცის წესისამებრ მიდი-მოდიოდა. თავდაღუნული.

კარის გაღებასა და მიხურვას ხმაურობა მოჰყვა. ამან გამოაფხიზლა პატიმარი. თავი მალა აიღო და გადახედა შემოსულს. სანათი ძირს იდგა. ლანტენაკს და გოვენს შუა, და კარგად ანათებდა ორივეს.

შეხედეს ერთმანეთს და გაშრნენ. თვალს ველარ ამორებდნენ ერთმანეთს.

სიცილი წასკდა მარკიზს და შეჰყვირა:

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით! ჩემდამთავრად. დიდი ხანია გელარსად გნახეთ. დიდ მადლობას მოგახსენებთ, რომ მომიგონეთ და ჩემ სანახავად გაისარჯეთ. გმადლობთ, ვიტყვით რასმე. ვიმუსაიფებთ. დროს გავატარებთ. უნდა გამოგიტყდეთ, ცოტა არ იყოს, მოწყენილი ვიყავი. ერთი მიბრძანეთ, რა საქირთა პიროვნების დამტკიცება, სისხლის სასამართლოს მოწყობა? ეტყობა, ძალიან მოცილილი ყოფილან თქვენი მეგობრები. მე უფრო სწრაფად და მარტივად გავათავებდი საქმეს. მე აქ ჩემსას გახლავარ, მასპინძელი ვარ და გთხოვთ მობრძანდეთ. რას იტყვით, ბატონო ჩემო, როგორ მოგწონთ ეს ჩვენი მიღწევანი? საუცხოვო რამ არის, არა? ოდესღაც იყო, ერთი მეფე იყო და ერთი დედოფალი. მეფე მეფე იყო და

დედოფალი — საფრანგეთი. მეფეს თავი გააგდებინეს და დედოფალი რობესპიერს მიათხოვეს. ამ ვაჟბატონსა და მის შეუღლებს ერთი შვილი ეყოლათ, და სახელად გილოტინა დაარქვეს. და, როგორც ეტყობა ხვალ დილით მეც გავიცნობ ამ ქალბატონს. ალტაცებული ვიქნები მისი გაცნობით, როგორც ალტაცებული ვარ თქვენი ნახვით. ამიტომ მობრძანდით, რომ ხვალინდელი მახაროთ? წარმატებას მიიღებთ? ჯალათობა ხომ არ დაიწყეთ? მაგრამ თუ ჩემ სანახავად მობრძანდით, მოსაკითხავად, დიდად გმადლობთ. ბატონო ვიკონტო, თქვენ იქნება არც კი იცოდეთ, რა არის პატიოსანი კაცი. მაშ მე ვაჩვენებთ, რაკი არ იცით. აი, მე ვახლავართ, და ვთხოვთ მიცნობდეთ. ძალიან საინტერესო ვახლავთ, მერწმუნეთ. პატიოსან კაცს, შთამომავლობით პატიოსანს; სწამს ღმერთი, სწამს ტრადიცია, სწამს ოჯახი, სწამს თავისი წინაპრები, სწამს მაგალითი თავისი მამისა, სწამს ერთგულება, კანონიერება, თავის მეფისადმი ვალდებულება, ძველ ჩვეულებათა პატივისცემა, სათნოება, სამართლიანობა და დიდი სიამოვნებით დაგხვრეტდით თქვენ და თქვენი ამხანაგებს. დაბრძანდით, ბატონო, რატომ არ დაბრძანდებით? ძირს უნდა დაბრძანდეთ, რა გაეწყობა? ამ დარბაზს, სავარძლებით არ ამშვენებენ. მაგრამ ვინც წუმპეში ცხოვრობს, ფილაქანზედაც კარგად დაჯდება. ამას იმიტომ კი არ მოვახსენებთ, რომ გაწყენინოთ, ღმერთმა დამიფაროს! მოგახსენებთ იმიტომ, რომ თქვენ ერს უწოდებთ იმას, რასაც წუმპეს ვუძახით. იმედი მაქვს, ძალას არ დამატანთ და არ დამაძახებინებთ, — თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა-ერთობაო! ეს ერთი ძველის-ძველი ოთახია ჩემი ციხე-სიმაგრისა. ბატონყმობის დროს ამ დილეგში და ამის ქვეშ რომოში ჩავყარდით ხოლმე ჩვენს ყმებს. დღეს დრო იცვალა და ჩვენი ყმები ამწყვდევენ აქ თავის ბატონებს. ამ სიბრძნვეს რევოლუცია ჰქვია. როგორც ეტყობა, ამ ოცდათექვსმეტი საათის შემდეგ თავის მოკრას მიპირებენ. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ცოტა რამ ზრდილობა რომ ჰქონოდათ, ჩემ თამბაქოს ქიას ჩამომიგზავნიდნენ, ზევით დამრჩა სარკეებით მორთულ ოთახში, თქვენც ძალიან გიყვარდათ ის ოთახი, სულ იქ თამაშობდით და ორი კარგი აჩუაყ გყავდათ, თუ ვახსოვთ, — ჩემი მუხლები. უკაცრავად. ბატონო, ცოტა რამ მინდა მოგაგონოთ: თქვენ გოვენი ბრძანდებით და უცნაურია ღვთის წინაშე, თქვენც ის პატიოსანი სისხლი გიდულთ ძარღვებში, რაც მე, და ეს დიდებული სისხლი მე პატიოსან კაცად მხდის და თქვენ კი არამზადად. პატარა განსხვავება ვახლავთ, თუ დამეთანხმებით. ახლა იტყვიან, ჩემი ბრალი არ არისო. არც ჩემი ბრალი ვახლავთ! ზნეობრივ დუსპირად ხდება კაცი თავისდა შეუ-

ჩნევლად. ეგ ჰაერის ბრალია. თქვენ რომ ჰაერს სუნთქავთ! ჩვენს დროში ყოვლად შეუძლებელია დავაკისროთ ვისმე თავისი საქციელის პასუხისმგებლობა. რადგან მეტად გაქნილი რამ ბრძანდება რევოლუცია და უკლებლივ ამართლებს ყველა დამნაშავეს, ოღონდ თავისი კი იყოს. რამდენი სისულელეა, ღმერთო ჩემო, ამ ქვეყნად! თუნდა თქვენით დავიწყოთ. განცვიფრებული გახლავართ, გეფიცებით! დიახ, განცვიფრებული შევეყურებ ყმაწვილ კაცს. დიდებულს, წარჩინებულს, სამეფოში ფრიად პატივცემულს; დიდებულ გვარის შვილს და დიდებულ წარმატებისთვის დანიშნულს; ტურ-გოვენის ვიკონტს, ბრეტანის პრინცს, რომელსაც სრული უფლება აქვს ჰერცოგობა მიიღოს და. მემკვიდრეობით, საფრანგეთის ბერობა, — დამცთანხებით, რომ ამაზე მეტს ოცნებითაც ვერ ინატრებს ამ ქვეყნად აღამიანი, თუ თავში ტვინი მოეპოვება, რასაკვირველია. დიახ, ამ ღირსებათა და უფლებათა მქონე, როგორც თქვენ. ბრძანდებით, თავის ფეხით სთელავს თავის ღირსებას, თავისი ხელით ისწამს თავზე ლავს, და ისე კარგად და მოხდენილად, რომ მტრები არამზადას უწოდებენ და მოყვარენი — სულელს. მართლა, მომიკათხეთ ბატონი მღვდელი სიმურდენი.

დინჯად, მშვიდად ლაპარაკობდა მარკიზი. ხაზს არაფერს უსვამდა, თითქო სადმე მიწვეული ყოფილიყოს, სტუმრებთან ერთად; დამშვიდებული თვალით შესცქეროდა გოვენს. სელები ილლიაში შეეყო. ცოტა ხანს გაჩუმდა, გულიანად ამოისუნთქა და განაგრძო:

— არა, ვერ დაგიმალავთ, რომ ყველაფერს ვცდილობდი, რაც კი შემძლო, თქვენ მოსაკლავად. დიახ, ბატონო, თქვენ მოსაკლავად. სამჯერ ზედიზედ დაგიმიზნეთ ზარბაზანი, პირადად მე დაგიმიზნეთ. ზრდილობის წინააღმდეგია ჩემი საქციელი, ამას ვალიარებ: მაგრამ გიჟი იქნება, ვინც იტყვის, მტრები ომში ერთმანეთის სიამოვნებას უნდა ვცდილობდეთო. და მე და თქვენ, ბატონო ჩემო, ჩვენ მტრები ვართ და ვებრძვით ერთმანეთს. აქ სიამოვნება კი არა, მარტო ცეცხლი არის და მახვილი. არა, თუ კი თქვენ მეფე არ დაინდეთ!.. დიდებულე რამ არის ჩვენი დრო!

გაჩუმდა ცოტა ხანს. მერე დაიწყო:

— არა, ჩვენც კი დიდი სისულელე მოგვივიდა! ჩვენ რომ ვოლტერი და რუსსო ჩამოგვეხრჩო, აი ამისთანა ჯურღმულში ჩაგვეყარა სადმე, არც რევოლუცია იქნებოდა და არც მეფის მოკვლა. ოჰ, საშინელი რამ არის განვითარებული კაცი! ქვეყნის წარმყენელი და წამწყმელი! ერთი მიბრძანეთ, ბატონო, რას ემდურით ამ მონარქიას? რა დააშავა? მართალია, მამა პუსელი თავის სამწყსოში, კორბინში,

რომ დააბრუნეს, ნება მისცეს თავის სურვილისამებრ აერჩია ეტლი, და გზაში გაჩერებულიყო, სადაც კი მოიპრიანებდა; რაც შეეხებოდა თქვენს ბატონ ტიტონს, რომელიც, იმედი მაქვს დამეთანხმებით, საძაგელი, გარყვნილი კაცი იყო და უფრო ხშირად გოგობთან მიდოდა, ვიდრე ეკლესიაში, ან ღიაკვან პარის სასწაულებრივ წირვალოცვაზე, ისიც დასაჯეს; საკმარისად არა, მაგრამ მაინც; სასახლიდან პიკარდიაში გაგზავნეს, საძაგელ მხარეში. ამის მეტი ხომ არა დაუშავებია რა თქვენთვის მონარქიას. და ამაში მეც გეთანხმებით: ამის გამო მეც ვემდუროდი; მახსოვს, არც მე ვიყავ იმ დროს გაჩუმებული. მეც რსეთივე სულელი ვიყავ, როგორიც თქვენ ხართ. ჯიბეზე ხელი მოისვა თითქო თამბაქოს ქისას ეძებსო, და ვანაგრძო:

— მაგრამ აგრე ბოროტი კი არ ვიყავ. ვამბობდით, რომ გვეთქვა რამე, — ჩვენც ნახირ-ნახირო. კიდევ რა? კიდევ დაუსრულებელი გამოძიება და დაკითხვა... და გაჩნდნენ ბატონი ფილოსოფოსები და იმათ დაჰლუპეს ქეყანა! არა, ჩვენც კი! იმის მაგივრად, რომ თვით ფილოსოფოსები დაგვეწვა, მივდექით და იმათ ნაწერებს ვწვავდით! ასლა სასახლის მოლალატენიც ჩაერივნენ საქმეში! გამოჩნდნენ ვერაგი ტიუგოები ¹⁾ კენსეები, ²⁾ მალერები ³⁾ ფიზიოკრატები და სხვადასხვა და აირია მონასტერი! სულ იმ მჯღაბნელების ბრალია და პოეტად წოდებული მოშაირეებისა! ენციკლოპედიაო! დიდრო! ⁴⁾ დაღამბერიო! ⁵⁾ უსაქმური ავყიები! არა, პრუსიის მეფეც რომ გააბრეყვეს, კეთილშობილებით სავსე კაცი! ოჰ, რომ შემძლებოდა, დედაბუდიანად ამოვწყვეტდი მწერლებს! ჩვენ რომ ვსაჯავდით, სამართალსაც ვიცავდით. აი, კედლებს დღევანდლამდე შერჩენია ჩვენი ჩარხის, გლახის საგლეჯი ჩარხის კვალი! ჩვენ ხუმრობა არ ვიცოდით. დააშავა რამე? წასული იყო იმის საქმე! პო და სწორედ ამ ჩარხით უნდა დაგვეტებო ჩვენი მწერლები, რომ ხსენებაც აღარსად ყოფილიყო იმათა! საცა ვოლტერ არუე გაჩნდება, იქ მაშინვე მარატიც თავს ამოჰყოფს! საცა მწერალი გაჩნდება — ქალაქის მჯღაბნელი, მაშინვე გაჩნდებიან ყაჩაღები და ავაზაკები. საცა მელანია, შავებელითობაც იქ დათარეშობს. და მანამ ადამიანის თითს არ დავარდება კალამი, არ გამოიღვეს საზიზღარ ყბედ-ლაქლაქისგან გაჩენილი საშინელებანი. ცოდვა არის წიგნი, ცოდვილი არის წიგ-

¹⁾ ტიუგო (1727 — 1781) იყო ფრანგი ეკონომისტი — ფიზიოკრატი.

²⁾ კენე იყო ფრანგი ეკონომისტი, ფიზიოკრატული სკოლის დამაარსებელი.

³⁾ მალერები იყო ფრანგი პოეტი მე-17 ს.

⁴⁾ დაღამბერი ფრანგი განმანათლებელი, მათემატიკოსია მე-18 საუკუნის.

ნის დამწერი, რადგან წიგნი ჰქმნის და ამრავლებს ყოველგვარ ცოდვასა და ბიწიერებას. სიტყვას „ხიმერა“ ორი მნიშვნელობა აქვს: ნიშნავს ოცნებას, ზმანებას და აგრეთვე ურჩხულს. ნეტავ, გესმით კი, რას მიედ-მოედებით? უფლება ადამიანისა! უფლება ხალხისა! ამაზე მეტს სისულელეს წარმოიდგენს განა ადამიანი! რა იქნება ამაზე მეტად უაზრო, უშინაარსო, ცარიელი და ღრუ? მაგრამ სიტყვის რახა-რუხია საჭირო! მე რომ ვამბობ: კონან მეორის დას, აეუაზს. მზითვად მოჰყვა ბრეტანი ოელს რომ მიათხოვეს, ნანტისა და კორნულის გრაფს, რომელმაც თავისი ტახტი ალენ ფერგანს დაუტოვა, ბერტას ბიძას, და ბერტა ალენ ნუარმა შეირთო, რომ-სურ-იონის მებატონემ, და შვილი ეყოლა კონან მცირე, პაპა გიისა, ანუ აწინდებურად გოვენისა, ჩვენი წინაპრისა; დიახ, მე რომ ამას ვამბობ. სრულიად ცხად ჰქმნატიტებას ვამბობ, და ამ ჰქმნატიტებას ვუწოდებ მე ჩემს უფლებას. მაგრამ ერთი მიბრძანეთ, რას გულისხმობენ, უფლებას რომ გაიძახიან თქვენი არამზადა, გაიძვერა, ავმუცელა მოქადაგენი? ღვთის უარყოფასა და მეფის მოკვლას განა? შეარცხვინათ ღმერთმა ის უქნელა მოყაყანენი! ძალიან, ვწუხვარ. ბატონო თქვენთვის ვწუხვარ, რადგან თქვენც ბრეტანის მებატონეთა შთამომავალი ბრძანდებით. მე და თქვენ გვარს გვიმშვენებს პაპა ჩვენი. გოვენ დე-ტუარი, ჩვენი წინაპარი, დიდებული ჰერცოგი მონბაზონი, საფრანგეთის პერი, მეფის მიერ ძეწკვით დაჯილდოვებული, რომელიც იერიშით მივიდა მტერზე. დაქრილი იყო დ-არკის ბრძოლაში, მთავარ-ბაზიერი იყო საფრანგეთისა და თავის სასახლეში, კუზიერში, მიიცვალა ოთხმოცდაექვსი წლისა. შემეძლო მომეგონებინა თქვენთვის ჰერცოგი ლოდუნუა, ქალბატონ გარნაშისა და კლოდ დე ლორენის შვილი, ან კიდევ ანრი დე ლანკური, ან ფრანსუაზ ლავალ-ბუადოფენი, მაგრამ — კედელს ცერცვი შეაყარაო, — მეც ისე მომივა. თქვენ, ბატონო, ძალიან გეხალისებათ რეგვენად დარჩენა და ჩემ შეჯინიბესთან სრული თანასწორობა. ჰოდა იცოდეთ, მე უკვე მოხუცებული ვიყავ, თქვენ რომ რძე არ შეგშრობოდათ პირზე. ცხვირს მე გზოცავდით, მე გივლიდით და კიდევ მე მოგივლით. გაზრდილხართ, დავაყვაცებულხართ და გაპოჯიათ საშუალება თავისი დამცირების. რაც ერთმანეთს დაგშორდით, სულ სხვადასხვა გზით გივლია მე და თქვენ, — მე პატიოსნებისკენ, თქვენ, პირიქით, უპატიოსნებისკენ. აჰ, არ ვიცი, რით გათავდება ეს არეულობა, მაგრამ ის კი კარგად ვიცი, რომ თავით-ფეხამდე ბინძური და საზიზღარა არიან თქვენი უდიერი ამხანაგები. აჰ, მე თანანმა გახლავართ, საგინგებო რამ არის თქვენი პროგრესი.

ჩვენ იმდენად ველური ვიყავით, რომ ლოთობისთვის სალდათს ვსჯილით და სამი დღე სულ წყალს ვასმევდით. თქვენ კი მოსპეთ ეს სასჯელი! პროგრესია. მაშ რა ჯანდაბაა? თქვენვე შემოიღეთ ფასის მაქსიმუმი, რომლის ზევით ვერაფერს გაპყიდის კაცი. თქვენ გყავსთ კონვენტი, ეპისკოპოსი გობელი, ღვთის მაგივრად, გონების მალმერთებელი, შომეტი, და პერდუშენის რედაქტორი ჰებერი. მოპყოლიხართ და ანგრევთ წარსულს. მთლად წარსულს ბასტილიის ციხიდან უბრალო კალენდრამდე; წმინდანების მაგივრად სალოცავად მწვანილი გაგინდიათ. იყავნ ნება თქვენი, ბატონო მოქალაქენო! ბატონობა გნებავთ? იბატონეთ! მეფობა გნებავთ? იმეფეთ! ისე ბრძანდებოდეთ, როგორც თქვენ გენებოთ! ნურავის დაერიდებით, გამოიჭიმეთ და გაიტყლარქეთ. სადაც გნებავდეთ, მაგრამ, ცოდეთ, თქვენი ბაქაბუქობით ვერ მოსპობთ საწრმუნოებას, ვერც მეფობას. რომელიც თხუთმეტი საუკუნით ავსებს ჩვენს ისტორიას, და ვერც ძველ შთამომავლობით დიდებულებას, რომელიც, თავიც რომ მოსტრავთ, მაინც უფრო შალალი და დიდებულა იქნება, ვიდრე თქვენ ბრძანდებით. რაც შეეხება თქვენს ახირებას, --- მეფეს ისტორიულადაც არა აქვს უფლება ბატონობისაო, --- საცინლად არა გვეოფნის ეგ, თქვენი საბუთები. ჩვენც კარგად ვიცით, რომ შოლპერიკი უბრალო ბერი იყო, სახელად დანიელი ერქვა; შოლპერიკი რენფრუამ გამოიგონა შარლ-მარტელის ჯიბრით; ეს ყველაფერი ჩვენც არა ნაკლებ ვიცით, ვიდრე თქვენ; მაგრამ საქმე ეგ არ არის. საქმე ის არის, რომ საფრანგეთი დიდებულ სამეფოდ დარჩეს, ძველ ყველგან გამარჯვებულ სამეფოდ; დარჩეს იმ საგანგებო განწყობილების სამეფოდ, სადაც თაყვანს სცემდნენ უპირველეს ყოვლისა წმინდა პიროვნებას მეფისას, სამეფოს სრულუფლებიანი ბატონისა და პატრონისას; შემდეგ თაყვანსა სცემდნენ მებატონეებს; შემდეგ ქვეყნად და ზღვად მოქმედ მეფის ჯარის მეთაურებს; შემდეგ სამეფოს ფინანსების გამგეობას; შემდეგ ამისა თაყვანს სცემდნენ სამეფო, უმაღლეს მართლმსაჯულებას და ყოველ მის მოთხოვნილებას, --- ხარჯს, ბეგარას, ბატონის წილის გაღებას, და ბოლოს სამეფო პოლიციას თავისი განყოფილებებით. აი, რა ამშვენებდა და ადიდებდა საფრანგეთს. თქვენ კი მისდევით და ქვა-ქვაზე არ დასტოვეთ ამ ბრწყინვალე მოწყობილობისა. პროვინციები მოსპეთ დაუფიქრებლად. ან სად შეუძლია დაფიქრება თქვენისთანა საცოდავ ხეპრეს? იცით კი, ნეტავ, რა არის პროვინცია? საფრანგეთი მით არის დიდებული, რომ სხვა სამეფოების ნიჰსა და დიდებას გაერთიანებულად წარმოადგენს თავის სამეფოში; გულწრფელობა გერმანიისა პიკარდიაში იყო;

დიდსულოვნება სვედისა — შამპანში; წარმოება ჰოლანდიისა — ბურგონში; მოქმედობა პოლონეთისა — ლანგდოკში; დარბაისლობა ესპანეთისა — გასკონში; სიბრძნე იტალიისა — პროვანსში; მოხერხება საბერძნეთისა — ნორმანდიაში; ერთგულობა შვეიცარიისა — დოფინეში. თქვენ ამისი არა იცით რა და ისე მოიქეცით ამ საკითხში, როგორც დიდყურა ვირი, თუ ხურმა ნახა სადმე. მისდექით და დაამტვრიეთ, დაანგრეთ, დაღწეთ, მიწასთან გაასწორეთ დიდებულის სამშობლო და გამარჯვებულნი ცას დასწევინებართ სიხარულით. მაშ არა გნებავთ დიდებულები? ჰოდა, აღარც გეყოლებათ, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ! აღარც რაინდები გეყოლებათ, აღარც გმირები. მშვიდობით, ძველებურად დიდებავ: მშვიდობით, სამშობლოსთვის თავგანწირულო დასსა! თქვენ თქვენი პირადის მეტი არა გწამთ რა. განდევნილია თქვენგან დიდებულება, პატიოსნება, რაინდობა. თქვენ აღარ გეყოლებათ რაინდი ფონტენუა, რომელიც ჯერ სალამს აძლევდა მტერს და მერე ჰკლავდა; აღარ გეყოლებათ აბრეშუმის წინდებით მოსილი მეომრები. როგორც მეფეს ჰყავდა, ლერიდას რომ შეესია; აღარც ის ბრწყინვალე ბრძოლა გექნებათ, სადაც ჯილოსნები დათარეშობდნენ ბრძოლის ველზე. წასულია თქვენი საქმე! შემოგვსევით მტერა და გაგაუპატიურებთ, როგორც უპატრონო გოგოს. ერთხელ კიდევ რომ შემოგვესიოს აღარც მეორე, კლოვისს ველარსად იპოვით იმასთან საბრძოლველად; აბდერამი რომ მოგვადგეს, შარლ-მარტელს¹⁾ ველარ იპოვით, რომ მტერი მოიგერიოს; საქსონელები რომ შემოგვიცვივდნენ, პეპინს²⁾ ველარ ნახავენ; აღარც ანადელი გეყოლებათ, როკრუა, ლანი, სტაფარი,³⁾ ნეკვანი, შტეინკერკი, ლა-მარსაი, როკუ, ლაუფელდი, მანნი; აღარც მარინიანი გეყოლებათ ფრანსუა პირველთან ერთად, აღარც ბუენი, რომელმაც ტყვედ დაიჭირა ერთი ხელით რენო. გრაფი ბულონისა, და მეორე ხელით ფერანი, გრაფი ფლანდრიისა. იქნება კიდევ გქონდეთ აზნაკურული ბრძოლა, მაგრამ ბატონი ბაკვილი კი აღარ გეყოლებათ, რომ დროშა შემოიხვიოს და ისე შეაკვდეს მტერს. აგრე: ბატონო, აგრე! მოსპეთ, მიწასთან გაასწორეთ თქვენი სამშობლო! ახალი კაცები გამოდით! დაკნინებული კაცები!

ერთ წამს გაჩუმდა, და განაგრძო:

1

1) შარლ-მარტილი იყო მე-8 საუკ. გმირი, რომელმაც გაანადგურა სარაციინელთა ჯარი.

2) პეპინი იყო კაროლინგების დინასტიის პირველი მეფე, ცხოვრობდა მე-8 საუკ.

3) ფარი იყო ფრანგი გენერალი და სამხედრო მინისტრი 1789 წ.

— დაკნინდით, დამცირდით, ჯანდაბას თქვენი თავი და ტანი. ოღონდ ჩვენ თავი დაგვანებეთ! როგორც გვიწირავს, ისე ვწირავთ. დიდებულები ვართ და დიდებულად დავიხსოვებით. დახოცეთ მეფეები, დახოცეთ დიდებულები, დახოცეთ მღვდლები, დაანგრეთ, დაამსხვრიეთ, ყლიტეთ, ფეხით სთელეთ, ძველი ზნე-ჩვეულება ყველა დაჰკმეთ და მოსპეთ, დაამხეთ, სამეფო ტახტი, გასთელეთ ხატები, გასრიეთ ღმერთი, და ზედ იცეკვეთ! სხვას რომ ვერაფერს მოახერხებთ! ქვეყნის მოღალატენი ხართ და ლაჩრები! თქვენ არც ერთ-გულემა შეგიძლიათ, არც თავგანწირვა!.. ჩემი ხომ გითხარით! ახლა უბრძანეთ, ბატონო ვიკონტო, რომ თავი მომპრან გილოტინით. თქვენი უმორჩილესი მონა გახლავართ.

და დაუმატა:

— გული ხომ მოვიფხანე! სულ ერთია მკვდარი ვარ.

— თავისუფალი ბრძანდებით, — უთხრა გოვენმა.

მივიდა მარკიზთან. მოიხსნა თავისი წამოსასხამი, მარკიზს წამოსახა; ყაბალახი მოახვია. ერთი ტანისა იყო ორივე.

— რას შერები, ყმაწვილო? ჰკითხავდა გაკვირვებული მარკიზი. გოვენმა დარაჯს გასძახა სმამალღივ:

— დარაჯო! კარი გამიღე.

კარი გაუღეს.

და კიდევ გასცა ბრძანება:

— მაგრად დაჰკეტავთ, როგორც კი გავალ.

და გარეთ გააგდო განცვიფრებული ლანტენაკი.

დაბალ დარბაზს, რომელშიც ახლა დარაჯები იმყოფებოდნენ, როგორც ვთქვით, ერთი სანათი ჰქონდა ჰერზე ჩამოკიდებული, და სხელი იყო მარტო სანათისა, თორემ ისე ბნელოდა, რომ გავლა ძლივს შეიძლებოდა. და ამ მიიანდულ ოთახში, ვისაც კი გამოეღვიძა ამ დროს, ერთი მაღალი ტანის კაცი დაინახეს მიმავალი, მხედართმთავრის წამოსასხამით და ყაბალახით. მხედრული სალამი მისცეს და გაატარეს.

გაიარა მარკიზმა დარბაზი, გასავალში რამდენჯერმე ჰკრა თავი დანგრეული კედლის ქვებს და გავიდა.

დარაჯებს გოვენი ეგონათ და სალამი მისცეს.

რომ გავიდა კოშკიდან და ფეხქვეშ ბალახი იგრძნო, იქვე. ორასა ნაბიჯის იქით, თავისი ტყე დაინახა, მისი მფარველი, და ნახა, რომ თავისუფალი იყო, ცოცხალი, გაჩერდა ცოტა ხანს, რადგან მოულოდნელად მოხდა ეს ყველაფერი, მოხდა ისე, რომ თვითონ იმას მონაწილეობა არ მიუღია, სხვა მოქმედებდა მის მაგივრად; ის მარტო

დაემორჩილა, ისარგებლა ღია კარით და ახლა იდგა და ფიქრობდა, კარგად მოვიქვეც, თუ არა, რომ უარი არ ვუთხარ და არ გავუძალიანდით? იდგა და ფიქრობდა, არ იცოდა, წასულიყო თუ დაბრუნებულიყო. ცოტა ხანს იდგა ასე, ფიქრით მოცული, მერე აიქნია მარჯვენა ხელი, ცერს დაჰკრა შუა თითი, გაატყაცუნა, წამოიძახა; — რა გაეწყობა?

და ტყეში შევიდა.

კოშკში დილეგის კარი მაგრად ჩაჰკეტეს. პატიმრად გოვენი დარჩა.

II

სისხლის სამართალი

სისხლის სასამართლოში იმ დროს თითქმის ყველაფერი თავმჯდომარეზე იყო დამოკიდებული. დუმამ კანონმდებელ კრებას წარუდგინა დასამტკიცებლად სულ მოკლე ჩანასახი ამ სამხედრო კანონმდებლობისა; შემდეგში ტალომ წარუდგინა ხუთასთა საბჭოს იგივე შევსებული; მაგრამ საბოლოოდ დაძუშავებული კანონები საშედრო სისხლის სამართლისა დამტკიცდა იმპერიის დროს. იმპერიის დროსვე გასცეს ბრძანება, ამ სასამართლოების თავმჯდომარეებს ხმის კრება ქვევიდან დაეწყოთ, ჯერ სალდათის აზრი მოესმინათ და მეფე უფროსისა. რევოლუციის დროს ეს კანონი არ არსებობდა.

ათას შვიდას ოთხმოცდაცამეტს სამხედრო სისხლის სასამართლოს თავმჯდომარე თითქმის მარტო სწყვეტდა საკითხს; ის ირჩევდა სასამართლოს წევრ-მსაჯულებს, ის განაგებდა დაკითხვას, ის ადგენდა წესს ხმის მოკრებისას. მსაჯული იყო და სრული გამგე სასამართლოსი.

სიმურდენმა სასამართლოს დარბაზადაც კოშკის ქვედა სართული აიწია. სადაც ვანტელების ბარიკადი იყო და ახლა დარაჯები დაეზინავებინათ. ცდილობდა, ყველაფერი დაეჩქარებინა, შეემოკლებინა გზა დილეგიდან სასამართლომდე და სასამართლოდან გილოტინამდე.

შუადღისას, თანახმად მისი ბრძანებისა, სასამართლო უკვე მორთული იყო და მოწყობილი; ჩალის სამი სკამი იდგა, ერთი ფიჭვის მაგიდა, ზედ კარი შანდალი ანთებული სანთლებით და მაგიდის წინ ერთი ტაბურეტი.

სკამები მსაჯულებისთვის იყო დანიშნული, ტაბურეტი ბრალ-

დებულისთვის, მაგიდის თავსა და ბოლოში კიდევ იდგა თითო ტაბურეტი; ერთი კომისარ-მსმენელისთვის და მეორე მდივნისთვის. ამ თანამდებობის ასასრულებლად ათისთავები დაენიშნა სიმურდენს.

მაგიდაზე წითელი ზუმბური იდგა, სპილენძის ბეჭედი რესპუბლიკისა, ორი საწერ-კალამი, თეთრი ქაღალდი და ორი დაბეჭდილი განცხადება, ორივე მთლად გაშლილი; ერთში დამნაშავეთა კანონ-გარეთობა იყო გამოცხადებული, მეორეში კონვენტის დეკრეტი.

შუაზე რომ სკამი იდგა, მიყუდებული იყო სამფეროვანი დროშების კონაზე. დროის შესაფერი იყო ეს მორთულობა, — სულ უბრალო მოწყობილობა, და ძალიან ცოტა ხანი იყო საჭირო, რომ დარაჯების სადგომი სასამართლოს დარბაზად გადაეკეთებინათ.

თავმჯდომარისთვის დანიშნული შუა სკამი პირდაპირ გასცქეროდა დილეგის კარს.

მსმენელ საზოგადოებად ჯარისკაცები იყვნენ.

ბრალდებულისთვის დანიშნულ ტაბურეტს აქეთ-იქით ორი ჟანდარმი უდგა.

შუა სკამზე სიმურდენი დაჯდა, მარჯვნივ კაპიტანი გეშანი. პირველი მსაჯული, მარცხნივ ათისთავი რადუბი, მეორე მსაჯული.

სიმურდენს თავისი სამფერად მორთული ქუდი ეხურა, ხმალი ეკიდა, ქამარში ორი დამბაჩა ჰქონდა ჩამაგრებული. ჩაწითლებული ჰქონდა ჭრილობა და საშინელ გამომეტყველებას აძლევდა უიმისოდაც მკაცრ მის სახეს.

ბოლოს რადუბიც დაჰყოლოდათ, თავზე ხელსახოცით შეეხვია ჭრილობა, მაგრამ ხელსახოცსაც ერევოდა სისხლი და ასველებდა ნელ-ნელა.

შუადღე იყო, მაგრამ სასამართლო ჯერ არ შესდგომოდა თავის საქმეს. იქვე კარებთან შიკრიკი იდგა, რომელსაც ცხენით უნდა წაეღო სიმურდენის მოხსენება.

სიმურდენი სწერდა:

„საზოგადოებრივი განრინების კომიტეტს“

მოქალაქენო! ლანტენაკი დაჭერილია. ხვალ დასჯილი იქნება გილოტინით“.

თარიღი დაასვა, ხელი მოაწერა, დაჰკეცა. დაბეჭდა და შიკრიკს მისცა. ის მაშინვე ცხენს მოახტა.

და მაღალი ხმით ბრძანა სიმურდენმა:

— გააღეთ დილეგის კარი.

ორი ჟანდარმი მივარდა კარს, აჰყარეს ურდული, გააღეს საპატიმრო კარი და შიგ შევიდნენ.

გულ-ხელ დაკრეფილი უყურებდა ამ კარს სიმურდენი და უბრძანა:

— გამოიყვანეთ ბრალდებული.

ერთი კაცი გამოჩნდა ორ ჟანდარმს შუა ღია კარის თაღის ქვეშ.

გოვენი მოსდევდა ჟანდარმებს.

თრთოლა მოერია სიმურდენს.

— გოვენ! — შეჰყვირა გულგახეთქილმა.

და მერე ჟანდარმებს შეუტია:

— მე პატიმარი მინდა. ბრალდებული!

— ბრალდებული მე გახლავართ, — მიუგო გოვენმა.

— შენ?

— დიახ. მე.

— ლანტენაკი?

— თავისუფალია.

— თავისუფალი?

— დიახ. თავისუფალი.

— გაიქცა?

— გაიქცა.

თავით ფეხამდე თრთოლა სიმურდენი. ძლივს წარმოთქვა რამდენიმე სიტყვა:

— იმისა ეს ციხე-სიმაგრე, დაწვრილებით იცის აქაურობის გზა და კვალი და შეიძლება საიდუმლო გასაველი. ჰქონდეს ამ საბურო-ბილეს. ვაი. რომ სულ გადამაფიწყდა ეს გარემოება! ალბათ გზა იცოდა და გაიპარა. სხვისი შეველა არ დასჭირდებოდა.

— დასჭირდა. — უთხრა გოვენმა.

— სხვაც შეველოდა ვინმე. რომ გაქცეულიყო?

— შეველოდა.

— ვინ? ვინ შეველოდა?

— მე.

— შენ?

— მე.

— სიზმარში ხარ, მგონია.

— მე შევედი დილეგში. მარტო ვიყავით მე და პატიმარი; მოვიხსენ ჩემი წამოსასხამი და იმას მოვახვეი. თავზე ჩემი ყაბალახა ჩამოვაცვი. ჩემ მაგივრად ის გავიდა და იმის მაგივრად მე დავრჩი. აი, აქ გახლავართ.

— შენ მაგას არ იზამდი.

— მე მართალი მოგახსენეთ.

- შეუძლებელია.
 — სრული სიმართლეა.
 — მომიყვანეთ ლანტენაკი!
 — აქ აღარ გახლავთ. სალდათებს ჩემი წამოსასხამითა და ყაბალახით მოსილი თავის უფროსად ეჩვენათ და თავისუფლად გაატარეს. ბნელოდა.
 — შენ შეშლილი ხარ!
 — მე ჭეშმარიტებას მოგახსენებთ.
 დუმილი ჩამოვარდა. მერე ძლივს წაილულლულა სიმურდენმა:
 — შენ ღირსი ხარ...
 — სიკვდილით დასჯისა, — დაუმატა გოვენმა.
 ისე იყო ფერმიხდილი სიმურდენი, როგორც მოჭრილი თავი.. უძრავად იჯდა სკამზე, თითქო მეხი დაეცა და სული გაანთხევიანაო. ჭირის ოფლი სდიოდა შუბლზე.
 მაგრამ მოიკრიბა ძალი და უბრძანა;
 — ჟანდარმებო, დასვით ბრალდებული.
 გოვენი დაჯდა. აქეთ-იქით ჟანდარმები ამოუდგნენ.
 ისევ იმათ მიმართა სიმურდენმა:
 — ხმალი ამოიღეთ ჟანდარმებო.
 იმის ნიშანი იყო ეს ბრძანება, რომ ბრალდებულს სიკვდილით დასჯა მოელოდა.
 ხმალი ამოიღეს ჟანდარმებმა.
 სიმურდენმაც მოიკრიბა ძალი და ჩველებრივი რიხით დაიძახა:
 — ბრალდებულო, ადექით.
 შენობით აღარ მიმართა თავის გოვენს.

III

სმის მოკრება

- გოვენი წამოდგა.
 — თქვენი გვარი? — ჰკითხა სიმურდენმა.
 — გოვენი,
 სიმურდენმაცე განაგრძო დაკითხვა:
 — ვინ ხართ?
 — ზღვისპირის ლაშქრის მოწინავე ჯარის მხედართმთავარი.
 — ნათესავი ხომ არა ხართ, ან მოკავშირე გაპარული მარკიზე დე ლანტენაკისა?

— მარკიზი ბიძა არის ჩემი.

— კონვენტის დეკრეტი იცით?

— თქვენ მაგიდაზე ვხედავ გაშლილს.

— გაქვთ რამე ამ დეკრეტის შესახებ სათქმელი?

-- მეც ხელი მოვაწერე მაგ პრძანებას; მე გავეცი ბრძანება მაგ დეკრეტის სასტიკად ასრულებისა და მე შევეადგინე ის განცხადება, რომლის ქვემოთ არის ჩემი ხელმოწერა.

— ამოირჩიეთ დამცველი.

— მე დამცველი არ ვინდა.

— სიტყვა თქვენია.

ვაქვევებულივით იჯდა სიმურდენი. კითხვებს აძლევდა, მაგრამ ცხადი იყო, მოვალეობას ასრულებდა, თორემ მკვდარი იყო კაცი.

ერთ ხანს გაჩუმებული იყო გოვენი, ჩაფიქრებული.

სიმურდენმა გამოიყვანა ამ ფიქრებიდან:

— რას იტყით თქვენ გასამართლებლად?

თავი აიწია. ნელნელა გოვენმა, თვალი მოაჩინა ყველას და უპასუხა:

— აი, რას მოგახსენებთ: ერთი რამ ვნახე ისეთი, რომ სხვა ყველა დამავეიწყა. ერთი კეთილი საქმე ვნახე, სულ ახლო, იმისთანა მადლიანი და ბრწყინვალე; რომ თვალეები ამხვია და ათასი ბოროტება დამავეიწყა. ერთი მხრით მოხუცებული, მეორე მხრით უსუსური ბავშვები. ისინი ჩადგნენ ჩემსა და ჩემ მოვალეობას შუა და ყველაფერი დამავეიწყეს. დამავეიწყეს გადამწვარი სოფლები, გათელილი ყანები, დაჟლეტილი ტყეები, დახოცილი დაკრილბები, დახვრეტილი ქალები. დამავეიწყეს ინგლისისთვის დამზადებული ღია კარები საფრანგეთის დასარბევად... და თავისუფლად გაუშვი ის კაცი, რომელიც ლახვარს აკემდა შიგ გულში ჩვენ. სამშობლოს. დამნაშავე ვარ. შეიძლება იფიქროთ, თავის თავს ამტყუენებს ამ სიტყვებითაო. ეგ შეცდომა იქნება. ამ სიტყვებით მე გამართლებას ვცდილობ. დამნაშავე რომ შეიგნებს თავის დანაშაულს, ერთად ერთილა რჩება. საზრუნავი, დაიცვას თავისი სახელი და პატიოსნება.

— სულ ეგ არის? მაგას მეტს ვერას იტყვით თქვენს დასაცავად? — ჰკითხა სიმურდენმა.

— იმას მოგახსენებთ კიდევ, რომ, თუ უფროსი ვიყავ ჯარისა, მაგალითიც ღირსეული უნდა მიმეცა; და რადგან მსაჯულები ბრძანდებით, მაგალითი თქვენც ღირსეული უნდა მისცეთ.

— რა მაგალითი უნდა მივცეთ?

— სიკვდილით დამსაჯოთ.

— სამართლიანად მიგაჩნიათ თქვენ ეგ სასჯელი?

— სამართლიანად და საჭიროდ.

— დაჯექით.

კომისარი-მსმენელი წამოდგა, ათისტავეი, და წაიკითხა ხმამაღლა დადგენილება, რომელიც ყოფილი მარკიზი დე ლანტენაკი კანონგარეთ იყო გამოცხადებული; მერე კონვენტის დეკრეტი წაიკითხა, რომელიც სიკვდილით სჯიდა, ვინც გააპარებდა აჯანყებულს, ან დაეხმარებოდა, რომ გააპარულიყო, ბოლოს დეკრეტის ქვემოთ დაბეჭდილი რამდენიმე სტრიქონი წაიკითხა, რომლითაც „სიკვდილით იქნებოდა დასჯილი“, ვინც რაიმე დახმარებას გაუწევდა აჯანყებულ მარკიზ ლანტენაკს, და ხელმოწერილი იყო გოვენის მიერ.

წაიკითხა ესენი ათისტავემა და დაჯდა.

სიმურდენმა გულ-ხელი დაიკრიფა და თქვა:

— ყურადღება, ბრალდებულო. საზოგადოებას ვთხოვ ყური გვიგდოს და ჩუმად იყოს. კანონები მოისმინეთ. ახლა ხმების მოკრება იკრძალება. სასჯელი გადაწყვეტილი იქნება ხმის უმეტესობით. სამივე მსაჯული ხმამაღლა, რიგრიგად, ბრალდებულის თანდასწრებით გამოთქვამს თავის მსჯავრს. სასამართლოს დასამალავი არა აქვს რა.

მერე გეშანს მიმართა:

— სიტყვა ეკუთვნის კაპიტან გეშანს. ბრძანეთ.

ისე იყო გეშანი. თითქო არც სიმურდენს ხედავს, არც გოვენსაო. ქუთუთო დაეშვა, ფვალი აღარ უჩანდა. გაშტერებით დასცქეროდა მაგიდაზე გაშლილ დეკრეტს, როგორც საშინელ მომაკვდინებელ უფსკრულს. ბოლოს წამოდგა:

— კანონი ცხადად სჯის ბრალდებულის დანაშაულს. მსაჯული უფრო მძლავრია, და უფრო სუსტიც, ვიდრე ადამიანი. უფრო სუსტია, ვიდრე ადამიანი, რადგან მსაჯულს გული არა აქვს; და უფრო მძლავრია, ვიდრე ადამიანი, რადგან ხელში უჭირავს ლახვარი. ოთხას თოთხმეტ წელს რომში მანლიუსმა თავისი შვილი მოაკვლევინა მარტო იმიტომ, რომ მამის დაუკითხავად გაბედა ბრძოლა და გაიმარჯვა კიდევ. დისციპლინის დარღვევას სამაგალითო სასჯელი უნდოდა. აქ კი თვით კანონი არის დარღვეული და კანონი გაცილებით მეტია, ვიდრე დისციპლინა კერძო პირისადმი სიბრალულით განსაცდელს ეუმზადებთ სამშობლოს. სიბრალული აქ რევოლუციისა და სამშობლოს ღალატად ხდება. მხედართმთავარმა გოვენმა გააპარა აჯანყებული ლანტენაკი. გოვენი დამნაშავე არის და სიკვდილით უნდა იყოს დასჯილი.

— ჩასწერეთ, მდივანო, — უბრძანა სიმურდენმა.

მდივანმა ჩაწერა: „კაპიტანი გეშანი: სიკვდილით იქნეს დასჯილი“.

გოვენმა ითხოვა სიტყვა და გეშანს მიმართა:

— სრულიად მართალი ხართ, გეშან და მადლობას მოგახსენებთ ახლა რადუბს მიმართა სიმურდენმა:

— სიტყვა ეკუთვნის მეორე მსაჯულს. აბა, ათისთავო რადუბ რადუბი წამოდგა, გოვენისკენ მიბრუნდა, სამხედრო სალამი მის.

კა და შეჰყვირა:

— თუ აგრეა, მაშ მე მომჰყვით თავი! გილოტინაც ხომ აქ არის! იმიტომ რომ, დალაზხვა ჩემმა გამჩენმა, პატიოსანი სიტყვით გეფიცებოთ. ნეტავი მე შემძლებოდა, რაც იმ მოხუცმა ჩაიდინა, და მერჯ კიდევ ის, რაშიც ბრალს სდებთ ჩვენს მეთაურს. რომ დავინახე ის ბერიკაცი, ოთხმოცი წლის მოხუცი, სამი პაწია ბავშვის საშველად რომ შევიარდა ანთებულ საკირეში, ვთქვი, — ძან ვაჟკაცი ყოფილხარ, ამხანაგო! — და ახლა, რომ გავიგე, რომ ჩვენ მეთაურს გადაურჩენია ის მოხუცი მხეცური გილოტინისაგან, ცას დავეწიე სიხარულით და ვთქვი; — ჩვენო მეთაურო, თქვენ უნდა იყოთ ჩვენი გენერალი, იმიტომ რომ ნამდვილი ადამიანი ყოფილხართ, და, რომ შეჰქძლოს, დღესვე დაგაჯილდოვებით წმ. ლუის ჯვრით, რომ კიდევ იყოს ჯვარი, კიდევ იყოს წმინდა, და კიდევ იყოს ლუი! კაცი ვარ და ქუდი მხურავს! და აგრე როგორ წავხედები! განა ამისთვის ვიბრძოდით და ვიმარჯვებდით ყემაპში, ვალმში, ფლერუსში, ვატინიში? თუ მართლა ამისთანა უდიერობისთვის ვიბრძოდით, უნდა გეთქვათ. როგორ! ოთხ თვეზე მეტია, რაც ბუკითა და ნალარით მიერეკება ჩვენი მეთაური მეფის მომჩრე ძუკნა ძალებს, ხმალამოღებული იბრძვის, რომ რესპუბლიკა გადაარჩინოს, დოლში სამარცხვინოდ ამარცხებს აჯანყებულებს, — ძალით კი არა! — თავისი მოხერხებითა და თავგანწირული გაბედულობით, — და ამისთანა კაცს თქვენ დასჯას უპირებთ? ამისთანა კაცი გყავთ, და იძახით, — მოვკლათ, ნულარ გვეყოლებო? იმის მაგიერად, რომ ღირსეულად დააჯილდოვოთ და გენერლობა მისცეთ, თავის მოჭრას უპირებთ? მაგისთანა სიტყვის გაგონებას ისა სჯობია, ახალხიდზე ავიდეს კაცი და თაიდაყირა დაეშვას წყალში! და თვითონ თქვენ, მოქალაქე გოვენ, ჩემო მეთაურო, თქვენ რომ ჩემი უფროსი კი არა, ჩემი ათისთავი რომ ყოფილიყავით, მოგახსენებდით, რომ მტკნარ სისულელეს ჩმხანადით წვლან. იმ მოხუცმა კარგი ჰქნა, რომ ბავშვები გადაარჩინა; თქვენც კარგი ჰქენით, რომ ის მოხუცი გადაარჩინეთ, და

ოტინა იმისთვის არის, რომ თავი გააგდებინონ. ვინც კე-
სადის. ჯანდაბამდე ჰქონდეს გზა გილოტინასაც და ამისთანა
ლსაც! მე ამისი ველარა გამიგია რა! თუ აგრეა. მივყვით და
ჯული გავაგდებინოთ, ვინც სიკეთეს სთესავს. ახლა მინდა
ამაზად ვინძიტო, რომ ვნაზო, ცხადია ეს ყველაფერი, თუ
ი ვარ, რომ ველარა გამიგია რა! მაშ რა ვნებათ? თქვენ
რომ ის მოხუცი არ მიშველებოდა ბავშვებს და ცოცხლად
იყენენ? ჰოო? თქვენ ვნებათ, რომ ჩვენს შეთაურს თავისი
ენახა, როგორ ააბრძანებდით გილოტინაზე იმ უბედურს?
თუ აგრე გენატრებათ, მე მომკერით თავი! წარმოიდგინეთ.
კშვები დაიწვენენ! ხომ შერცხვებოდა წითელ-ქუდა ბატალიო-
ჩენი შერცხვენა ვნებავდათ? ბარემ დავერიოთ და ამოვყ-
ერთმანეთი. ჩვენი პოლიტიკა მეც კარგად ვიცი, არა ნაკ-
დრე თქვენ, მანდ რომ ბრძანდებით. კლუბის წევრი ვარ, შუ-
ს. განყოფილებისა. ახლა რა? გამხეცებას ვაპირებთ? აი, დას-
ი სიტყვისა. ჭირივით მეჯავრება იმისთანა საქმე, რომელიც
ებს, თვალს ამიხვევს და იმისთანას ჩამადენინებს რასმე,
რც თავი გამეგება და არც ბოლო. მაშ რალასთვის ვიბრძვით?
ს, რომ ჩვენი მეთაური მოგვიკლან? არა, ამხანაგებო. ეგ არ
ჩემი მეთაური მინდა! მინდა იმიტომ, რომ საკიროა რეს-
ისთვის! მე დღეს უფრო მეტად მიყვარს, ვიდრე აქამდე.
ი ვილოტინას უმზადებთ! სასაცილოა, სავალალო რომ არ
ქვენი სამართალი! არ გვინდა, არა თქვენი სამართალი! მე
ეთ, გავიგე თქვენი განზრახვა. რაც ვნებათ ბრძანეთ, ჩვენ
ას არ დავიშლით. შეუძლებელია აგრე განსჯა საქმისა.

აჯდა. ჭრილობა გახსნოდა, თავზე მოხვეული ხელსახოცი-
ბლი ჟონავდა მოგლეჯილი ყურიდან და კისერზე ჩამოს-

რდენი მიუბრუნდა რადუბს:

აშ თქვენ ხმას აძლევით, რომ გავამართლოთ ბრალდებული?

ე ხმას ვიძლევ, — მიუგო რადუბმა, — რომ ბრალდებულს
აბა მიეცეს.

ე გეკითხებით, ბრალდებულის გამართლებას აძლევთ თქვენ

ე იმას ვაძლევ ხმას, რომ რესპუბლიკის პირველ კაცად გა-
ონ.

თისტავო რადუბ, ხმას აძლევთ ბრალდებულის გამართლე-
არა?

— მე ხმას იმას ვაძლევ, რომ იმის მაგივრად მე მომპრა თავი.
— გამართლება, — დაიძახა სიმურდენმა — მდივანო, ჩასწერეთ.
მდივანმა ჩასწერა: „ათისთავი რადუბი — გამართლებულ იქნეს“.
მერე თქვა:

— ერთი ხმით სიკვდილი აქვს მისჯილი, ერთი ხმით გამართლება. თანასწორობა ზმებისა.

სიმურდენის რიგი იყო ახლა.

წამოდგა, ქუდი მოიხადა და მაგიდაზე დადვა.

ფერმკრთალი ან გაყვითლებული კი არა, მიწის ფერი ედვა სახეზე.

სუდარაში რომ ყოფილიყვნენ გახვეული ყველანი, ვინც იქ იყო, მაშინაც არ იქნებოდა ის დუმილი, რომელიც ამ დროს ჩამოვარდა. სული მოიკრება სიმურდენმა და წარმოთქვა მკაცრად, ნელი მაგარი ხმით:

— ბრალდებულო გოვენ, სასამართლომ განიხილა საქმე. რესპუბლიკის სახელით ვაცხადებ დადგენილებას: ორი ხმის უმეტესობით ერთის წინააღმდეგ...

ხმა ჩაუწყდა. ცოტა ხანს შეჩერდა. ვერ გადაეწყვიტა, რას მიმსჯობოდა: სიკვდილს თუ სიცოცხლეს? სულ განაბული შესცქეროდა, ჯარი.

და დაასრულა:

—...სიკვდილით იქნებით დასჯილი.

სახეზე ემჩნეოდა ბრძოლა ამ საშინელი გამარჯვებისა. იაკობმა რომ ბნელში ანგელოზი წააქცია და მერე თავი დაალოცვინა, ამგვარივე საზარელი ღიმილი ექნებოდა სახეზე, რაც მაშინ სიმურდენს უკრთოდა.

წამიერი იყო ეს გამომეტყველება სახისა და მყისვე გაქრა. ისევ გაქვავებულივით დაჯდა სკამზე, დაიხურა ქუდი და დაუმატა.

— გოვენ, სასამართლოს დადგენილება ასრულებული იქნება ხეალ მზის ამოსვლისას.

გოვენი წამოდგა, თავი დაუქრა და თქვა:

— მადლობას მოვანხსენებ სასამართლოს.

— გაიყვანეთ დასასჯელი, — უბრძანა სიმურდენმა და დილეგის კარი ანიშნა.

საპატიმროს კარი გააღეს. გოვენი შევიდა და კარი ჩაუკეტეს. ორი ჟანდარნი გამოიჭიმა კართან ხმაღამოლებული.

რადუბს გული წაუყვიდა, ძირს დაეცა და გულწასული გაიტანეს სასამართლოდან.

IV

სიმურდენ-მსაჯულის უხედეგ სიმურდენ-მასწავლებელი

კრაზანას ბუდეა სამხედრო ბანაკი, მეტადრე რევოლუციის დროს. სალდათსაც აქვს მოქალაქური ნესტარი, უცბად გამოჩნდება სოლმე და ურცხვად ერკობა უფროსს, მეტადრე მტრის განდევნის შემდეგ. გამარჯვებით მოსილ ჯარში, ტურგის ციხე-სიმაგრის ამღებ ჯარში, ჯერ გოვენის წინააღმდეგ დაიწყო მითქმა-მოთქმა, როდე-საც გაიგეს ლანტენაკის გაპარვა. საპატიმროდან რომ ლანტენაკის მსაგივრად გოვენი გამოვიდა, თითქო ელექტრონი მოხვდათო, უცბად ჯავრცელდა ჯარში ეს ამბავი. მღელვარება დაეტყო ჯარს: გოვენს დასაჯას უპირებენ? ჩვენი თვალის ასახვევად, მართალი კი არ გეჯონოთ! მოდი შენ და მიანდვე რამე ყოფილ დიდებულთ და თავ-წაჩიან მღვდლებს! ვიკონტმა ხომ მარკიზი გააპარა, ახლა. უკეთესს უნახავთ, ახლა მღვდელი გააპარებს დიდებულ ვიკონტს.

მაგრამ რომ გაიგო ჯარმა სასამართლოს დადგენილება, სხვა-სახიათი მიიღო ამ მღელვარებამ:—ხედავთ, რას გვიშვრებიან? სიკე-დილს უპირებენ ჩვენ მეთაურს, ჩვენ გმირს, ჩვენ ჭაბუკ მამაცს! ვი-ცონტი არის შთამომავლობით? მით უფრო საქებარია, რომ თავი-სი დიდებულება დაპემო და რესპუბლიკას ემსახურება, როგორ! შოკვლას უპირებენ გამთავისუფლებელს პონტორსონისას, ვილდე-ისას, პონტობისას? დოლისა და ტურგის გმირს? მოსაკლავად დაუმ-წყვედეათ ის, ვისი წყალობითაც ასე გამარჯვებით ვებრძვით მტერს? ასე ადვილად იმეტებენ რესპუბლიკის ბასრ ხმალსა და ვანდელების ჯანყების ჩამკვლელს? ის რომ არ ყოფილიყო, ქვეყანას აიკლებ-დნენ შუანის ბრბოები! ის რომ არა ყოფილიყო, ველარავინ გამო-სწორებდა ეშელისა და სხვების სისულელეს. და სიმურდენი ბე-დავს მის განწირვას! რისთვის? რა დააშავა? იმიტომ რომ გაათა-ისუფლა სამი პატარა ბავშვის მხსნელი? ასე უნდა ხოცოს მღვდელ-ა ჩვენი მწედრობა!

დრტვინავდა გამარჯვებული. გულმოკლული ბანაკი. ჩუმი აღ-ფოთება ერეოდა სიმურდენის წინააღმდეგ. ოთხი ათასი კაცი იყო რთის მომღურავი; კარგი ძალა უნდა ყოფილიყო ერთი შეხედვით; აგრამ საქმით არავითარ ძალას არ წარმოადგენდა ეს რიცხვი: ოთ-რ ათასი კაცი ბრბო იყო და სიმურდენი კი ტალი კლდე. ყველამ უოდა, წარბი რომ შეექმუნხა სიმურდენს, ხმას ჩააკმედინებდა ზელ ჯარს. საშინელი დრო იყო: საკმარისი იყო ვისმე ჰქონოდა რდილი საზოგადოებრივი განჩინების კომიტეტისა, რომ დიდებულად

და ყოვლადმღიერად გამხდარიყო და დრტვენვა ჩურჩულად გადა-
ექცია და ჩურჩული სიჩუმედ, როგორც წინათ: ამ მითქმა-მოთქმის
შემდეგაც სიმურდენი იყო და დარჩა გოვენის ბედის გამგებლად და
იმასთან ერთად მთელი ჯარისაც. კარგათ იცოდნენ, რომ ამოი იქ-
ნებოდა ეთხოვათ რამე; რომ ყველაფერში თავის სინიდისისამებრ იქ-
ცეოდა, ზეკაცურ ხმას ემორჩილებოდა, რომელიც მარტო იმას ეს-
მოდა. იმაზე იყო დამოკიდებული ყველაფერი. სრულუფლებიანი
წარმომადგენელი იყო მთავრობისა და უფლება ჰქონდა გაეუქმებინა,
რაც სასამართლოს თავმჯდომარეობისას დაადგინა. მხოლოდ სიმურ-
დენს ჰქონდა უფლება შეენდო და ეპატივებინა, ერთი სიტყვით
შეეძლო გაეთავისუფლებინა გოვენი; იმის ხელთ იყო გოვენის სიკვ-
დალ-საიცოცხლე; ის იყო მბრძანებელი გილოტინისა. ტრაგიკულ
მდგომარეობაში იყო სიმურდენი და ზენაესობა გამოიჩინა.

ჯარი ელოდა გოვენის ბედისწერას.
დაღამდა.

ყ

დიღევი

სასამართლოს დარბაზი ისევ სადარაჯოდ გახადეს. დღესაც, რო-
გორც გუშინ, ერთიორად მეტი იყო დარაჯები, ვიდრე წესი მოით-
ხოვდა. საპატიმროს კარი მაგრად იყო ჩაკეტილი და კართან ორი
ქანდარი იდგა.

შულამისას ვილაც შევიდა სადარაჯოში, ხელში სანათი ეჭირა.
გაიარა მთელი დარბაზი. დიღევის კართან მივიდა; იცნეს ქანდარ-
მებმა და კარი გაუღეს.

სიმურდენი იყო.

შევიდა ბნელ ოთახში, კარი ოდნავ მიხურული დასტოვა.

ბნელი იყო საპატიმრო, მიჩუმებული. წინ წაიწია, სანათი ძირს
დადგა და გაჩერდა. მძინარის ნელი სუნთქვა ისმოდა სიბნელეში.
ყური მიუგდო სიმურდენმა ამ წყნარ, მშვიდ სუნთქვას.

კედელთან იწვა გოვენი, კარის პირდაპირ, ჩალაზე, ტკბილად
ეძინა და მშვიდი სუნთქვა გაისმოდა ორმოში.

ფეხაკრებიტ მიუახლოვდა სიმურდენი, დადგა და დააცქერდა
თავის მოწაფეს. ძუძუმწოვარ თავის ბავშვს მძინარს რომ დაჰყუ-
რებს დედა, იმასაც არ ექნება ასეთი ნაზი და სიყვარულით აღსავსე
თვალი. ეს გრძნობა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე სიმურდენი. თე-
ლებზე მიიღვა ორივე მუშტი, როგორც ბავშვებმა იციან, და ცოტა-

ხანს იდგა ჩაფიქრებული. მერე დაიჩოქა, გოვენის ხელი აიღო და აკოცა.

შეინძრა გოვენი. თვალი გაახილა უცბად გაღვიძებით გაკვირვებულმა. სანათი ოდნავ ანათებდა იქაურობას. დააკტერდა, იცნო სიმშრდენი.

— რა ვქნა, თქვენ ხართ?

და დაუმატა:

— სიზმარში ვნახე, ხელზე მაკოცა სიკვდილმა.

ძრწოლა მოერია სიმშრდენს, როგორც ყოველთვის, უცბად რომ დაპკრავს ადამიანს ტალღა ფიქრებისა. ხანდახან იმდენად დიდია ეს ტალღა და იმდენად მქუხარე, რომ სულს შეხუთავა, სულის გაქრობაც კი შეუძლია. გული უკვდებოდა სიმშრდენს და ერთადერთი სიტყვაღა წარმოთქვა:

— გოვენ!

ერთმანეთს უყურებდნენ გაჩუმებული. სიმშრდენს ის ალი ენთო თვალში, ცრემლს რომ სწვავს. გოვენი ტკბილად უღიმოდა.

წამოიწია გოვენი, იდაყვზე დაეყრდნო და თქვა;

— ეგ ქრილობა, თქვენ სახეზე რომ ვხედავ, ის არის, ჩემ მაგივრად რომ მიიღეთ ამას წინათ. გუშინაც, იმ საზარელი ბრძოლის დროს, თქვენც იქ იყავით, გვერდზე მადექით, ჩემ ღვარველად. განგებას რომ თქვენთვის არ მოენდო ჩემი აკვანი, ნეტავ სად ვიქნებოდი.

— დღეს? ბნელეთში, რაღა თქმა უნდა. თუ ადამიანი ვარ და შეგნება მაქვს ვალდებულებისა, თქვენი წყალობით მხოლოდ. დავიხრჩობოდა, რომ დავიბადე, იმისთანა ცრუმორწმუნოების მორევში ვიყავი. ცრუმორწმუნოება მეტხორცია სულისა და თქვენი მადლობელი უნდა ვიყო, რომ ჩამომამორეთ სულთამხუთავი და სრულ თავისუფლებაში მოაქციეთ ჩემი ზრდა და უსუსური ბავშვი შეგნებულ ადამიანად აღმზარდეთ. მეც ჩემ წინაპართ დავემსგავსებოდი, თქვენ რომ არა ყოფილიყავით და შეგნება არ შთაგენერგათ თქვენს მოწაფეში. ჩემდა შეუმჩნეველად, კნინსულოვნად გავიზრდებოდი, თქვენ რომ არა მყოლოდით. თუ ვარ რამე, თქვენით ვარ. ძველებურ ბატონად გავიზრდებოდი, თქვენ კი ადამიანად გამზარდეთ, მოქალაქედ. სამშობლოს შეგნებულ შვილად. ხორციელად სააქაოს ადამიანად და სულიერად საიქიოსთვის მომზადებულად. ადამიანთ ცხოვრებაში შესასვლელად ნაოლად დამისახეთ ჭეშმარიტებანი და მის იქით წასასვლელად ზეციური სინათლე. გმადლობთ, ჩემო სულის ჩამდგმელო! თუ ვარ რამე, თქვენი ქმნილება ვარ.

სიმურდენი გვერდზე მიუჯდა ჩალაზე და უთხრა:

— ვახშმად მოვედი შენთან.

შავი პური ედვა გოვენს. მოსტეხა, სიმურდენს მიართვა. ცოტა ხანს უკან პურს წყალი დაადევნა, სურა მიართვა სიმურდენს.

— ჯერ შენ მოსვი, — სთხოვა სიმურდენმა.

მოსვა გოვენმა და თავის მასწავლებელს გადააწოდა. გოვენმა ერთი ყლაპი იკმარა, სიმურდენი ხარბად დაეწაფა წყალს.

ამ ვახშმად გოვენი სკამდა და სიმურდენი სვამდა — ცხადი ნიშანი ერთის სიმშვიდისა და მეორის მღელვარებისა.

საშინელ სიმშვიდეში იმყოფებოდნენ მობაასენი.

ბაასი გოვენმა დაიწყო:

— ბევრ რასმე აკეთებს და არიგებს რევოლუცია. ბევრი რამ არის ჩასახული, ჯერ უჩინარი, მაგრამ სასიკეთო მომავლისათვის. რევოლუციის ნაღვაწვეს ზოგს თვალით ვხედავთ, ზოგს კი ჯერ ვერა, რადგან წინ აჭარბებია ხილული; დღევანდელი მალავს მომავლისას. რასაც ვხედავთ საშინელია; მაგრამ დიადია, რასაც ვერ ვხედავთ. ამ წამს ცხადად მიდგას თვალწინ ეს მომავალი. უცნაური და მშვენიერი. წარსულის მასალით არის აშენებული მომავალი და ამიტომ არის ასე უშვერი ოთხმოცდაცამეტი. ბარბაროსულია ხარაჩოები, მაგრამ შენობა კი ტაძარი იქნება განათლებისა.

— მართალი ხარ, — მიუგო სიმურდენმა, — ბევრი რამ არის დღეს დროებითი და დროებითიდან დასრულებული იქნება, ესე იგი ჰარალელურად იქნება დამკარებული უფლება და ვალდებულება, ბევრა ქონების შესაფერი, სამხედრო სამსახური სავალდებულო, თანასწორობა, აღარავითარი უპირატესობა და ყველასა და ყველაფერის ზემოთ — სწორი ხაზი კანონიერებისა — თვითმპყრობელური რესპუბლიკა.

— მე კი იდეალურ რესპუბლიკას ვირჩევდი; — თქვა გოვენმა. ცოტა ხანს გაჩუმდა, თითქო ფიქრებს იკრებსო, და თქვა:

— ძალიან კარგი, ბატონო მაგრამ ეს მიბრძანეთ, რა მნიშვნელობას აძლევთ თქვენ თვითმპყრობელ რესპუბლიკაში ერთგულებას. თავგანწირვას, სათნოებათა დიდსულოვან შეწმენას — სიყვარულს? გათანასწორობა ყველასი, ძალიან კარგი, მაგრამ უკეთესი იქნება შეთანხმება ყველასი; სასწორი კარგია, მაგრამ სასწორზე უკეთესი იქნება ჩანგვივით ჰარმონიულად მცხოვრები ხალხი. თქვენი რესპუბლიკა სწონის, ზომავს და წესს უქმნის ადამიანს; ჩემსას კი ზეცად აპყავს ადამიანი. ეს გახლავთ განსხვავება, რომლითაც განირჩევა ორბი თეორემისაგან.

- ზენ მაგ ღრუბლებში დაჰკარგავ გზას.
- თქვენ კიდევ მაგ განწყობაში და ანგარიშებში.
- ცარიელი ოცნება იქნება შენი ჰარზონია.
- ოცნება ალგებრაშიც მოიპოვება.
- მე ევკლიდისებური ადამიანი მენატრება.
- მე ჰომერის მიერ დახატული მიჩვენია.
- მკაცრი ღიმილით მიაჩერდა სიმურდენი გოვენს, თითქო ცდილობს გზა შეუტრას მის აღმაფრენასაო.
- ჰომერი პოეზია არის. ნურც აგრე ენდობი პოეზიას.
- დიახ, ვიცი, ვიცნობ მაგ სიტყვას: ნუ ენდობი აზრთა ქროლვას, ნუ ენდობი ბრწყინვალე მომავლის სხივებს, ნუ ენდობი მშვენიერებას.
- მაგით კუქს ვერ გაიქლებს კაცი.
- რა იცით? იდეაც იგავე სანოვაგაა. ვინც ფიქრობს, ფიქრობს ძლება.
- კმარა ეგ განყენებანი. რესპუბლიკა — ორი და ორი ოთხია. თუ ყველას მივეცი, რაც ეკუთვნის...
- მერე ის უნდა მისცეთ, რაც არ ეკუთვნის.
- ესე იგი?
- ესე იგი ძირითადი დებულება საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომ ყოველი ადამიანი საზოგადოებისთვის იღვწოდეს და საზოგადოება ყოველი თავის წევრისთვის — ადამიანისთვის.
- კანონმდებლობის იქით აღარა არის რა.
- იქით არის სუყველაფერი.
- მე მარტო სამართალს ვხედავ.
- მე უფრო ზევით ვიციქირები.
- მერე რას ხედავ სამართლის ზევით?
- მართლმსაჯულებას.
- ხანდახან გაჩუმდებოდნენ ხოლმე ცოტა ხნით, თითქო სხივმა დაჰკრა და აზრები გაუშუქაო.
- სიმურდენმა დაიწყო ახლა.
- განმიმარტე შენი აზრი.
- ინებეთ. თქვენ გნებავთ, რომ საყოველთაგო, სავალდებულო იყოს სამხედრო სამსახური. მე კი სულაც მოვსპობდი. მე მშვიდობა მინდა. თქვენ გნებავთ, რომ დახმარება ჰქონდეთ გაჭირვებულთ, ღარიბ-ღატაკთ. მე კი მინდა, რომ აღარც სადმე გაჭირვება იყოს და აღარც სიღარიბე. თქვენ გნებავთ, რომ ქონების მიხედვით იხდიდეს კაცი ხარჯს. მე სულ მთლად მოვსპობდი ყოველგვარ ხარჯს. რაც

შეიძლება ნაკლებს უნდა ხარჯავდეს კომუნა და ამის დასაფარავად ვუღს საზოგადო კუთვნილებიდან იღებდეს.

— რა საზოგადო კუთვნილებიდან?

— მომისმინეთ. პირველი, მოსპეთ პარაზიტისმი; მოსპეთ პარაზიტისმი მუქთახორა სამღვდელოებისა, პარაზიტისმი მსაჯულებისა. პარაზიტისმი სალდათისა. ნერე, კარგად მოინმარეთ და გამოიყენეთ თქვენი სიმდიდრე. სასუქს წყალში ჰყრიეთ; ის არა სჯობია, რომ მინდორში გაიტანოთ? ჩვენი მამულების სამი მეოთხედი ყამირად არის მიგდებული; შეიტანეთ გუთანა და გადასანი თქვეყანა, მოსპეთ უსარგებლო საძოვრები; გაუყავით ხალხს მიწები. ისე მოაწყეთ საქმე, რომ ყველას თავისი მიწა ჰქონდეს და ყველა მიწას თავისი პატრონი ჰყავდეს, ერთი ასად მეტი გექნებათ საზოგადოებრივი შემოსავალი. დღეს საფრანგეთში წელიწადში ოთხჯერ სქამს გლეხი-კაცი ხორცს; კარგად მოვლილი ჩვენი ქვეყანა, სამას მილიონს გამოჰყვება, მთელ ევროპას. გამოიყენეთ ბუნება, ეს ძლიერი, მაგრამ უგულვებელყოფილი დაშხმარე ჩვენი ცხოვრებისა. თქვენდა სასარგებლოდ აამუშავეთ ქარი, მდინარის დენა და მისი ჩანჩქერი. მაგნიტური ძალა დედამიწისა. დედამიწას მთელი ქსელი აქვს ძარღვებისა თავის ზღვრებში და ამ ქსელში იპოვით მდინარე წყალსაც. ზეთსაც და ცეცხლსაც. გაუჭერით ეს ძარღვები და თქვენდა სასარგებლოდ მოახმარეთ ქავლი წყლისა შადრევანისთვის, ზეთი სანათად და ცეცხლი სათბობად. დაუფიქრდით ზვირთის ძალას, მოქცევასა და უკუქცევას ზღვის წყლისას. რა არაა ოკეანე? ოკეანე არის განუსაზღვრელი, უსარგებლოდ მიტოვებულნი და დაკარგული ძალა. სისულელე არ არის, რომ ჯერაც არ ვსარგებლობთ ამ მუქთა ძალით?

— ისე ლაპარაკობ, თითქო ლანდს მისდევდე.

— არა, ქვეყნად გახლავართ და ქვეყნიურად ვსჯი.

მერე თვითონვე მიმართა კითხვით სიმურდენს:

— ქალი? ქალს რაღას უპირებ?

სიმურდენმა იუცხოვა ეს კითხვა:

— რას უნდა ვუპირებდეთ? რაც არის, ის იქნება. მოახლე კა-

ცისა.

— ძალიან კარგი, ოღონდ ერთი პირობით.

— სახელდობრ?

— იმ პირობით, რომ კაციც მსახური იყოს ქალისა.

— რას ამბობ, რა ვქნა? — შეჰყვირა სიმურდენმა, — კაცი ვიყო

და ქალს ვემსახურებოდე? ღმერთმა დამიფაროს! კაცი ბატონია..
ოჯახი სამეფო არის და კაცი მეფობს ამ სამეფოში.

— მეფობდეს, ოღონდ ერთი პირობით.

— რა პირობით?

-- კაცი თუ მეფეა თავის ოჯახში, ქალი დედოფალი იყოს.

-- ისე რომ შენ გინდა ქალისა და კაცის...

--- გათანასწოება.

— გათანასწორებო? რა ვქნა, უფიქრდები კი შენს სიტყვას?
გათანასწორება განსხვავებული აგებულების ქმნილებებისა?

— მე გათანასწორება ვთქვი, იგივეობა არ მითქვამს.

— ბავშვი? ბავშვს ვილას აკუთვნებ?

— ჯერ მამას, რომელიც ჰქმნის; მერე დედას, რომელიც
ჰზობს; მერე მასწავლებელს, რომელიც ზრდის; მერე საზოგადოე-
ბას, რომელიც ავაჯკაცებს; მერე სამშობლოს, რომელიც დედა არის
შისი უმაღლესი და მერე კაცობრიობას, რომელსაც ის ეკუთვნის.

— ღმერთი კი დაგავიწყდა.

— ამ წმინდა კიბის საფეხურებია მამა, დედა, მასწავლებელი,
საზოგადოება, სამშობლო, კაცობრიობა, რომლითაც ღვთისადმი მი-
დის ადამიანი:

სიმურღენი გაჩუმებული დარჩა. გოვენმა განმარტა თავისი
სიტყვა:

— კიბის თავს რომ მიაღწევს ადამიანი, უკვე ღმერთთან არის.
ღია არის სასუფეველი, ოღონდ შევიდეს.

ხელი გაიქნია სიმურღენმა, როგორც ყველამ ვიცით, როცა გა-
გვასხენდება რამე, კამათისთვის საჭირო.

— გოვენ, მოდი ძირს ჩამოვიდეთ. ჩვენ გვინდა შესაძლებელი
ავასრულოთ.

— მაშასადამე ისე მოაქეცი, რომ შესაძლებელი შეუძლებლად
არ გახადოთ.

— შესაძლებელი ყოველთვის სრულდება.

— ყოველთვის არა. თუ მკაცრად მოეკიდეთ უტოპიას. იმასაც
მოჰკლავთ. კვერცხისთანა უძლური არა არის რა.

— მართალია, მაგრამ უნდა დაიჭირო უტოპია, შესაძლებლო-
ბის უღელი დაადგა და სინამდვილის საზღვრებში ჩააყენო. განყე-
ნებული იდეა განსახორციელებელ იდეად უნდა გარდაქმნა; რა-
საც მშვენიერებით დაჰკარგავს, სარგებლიანობით მიიმატებს; აღარც
იმოდენა იქნება, რაც იყო, მაგრამ უკეთესი იქნება. უფლება უნდა
წესურთდეს კანონს; როდესაც უფლება კანონად გახდება, აბსო-

ლუტურ ძალას შეიძენს და მეც სწორედ ამას ვგულისხმობ შესაძლებლად.

— შესაძლებელი უფრო მეტია, ვიდრე თქვენი ნაგულისხმევი.

— ეჰ! ისევ ოცნებამ გაგიტაცა.

— შესაძლებელი საიღუმლო ფრინველი გახლავთ, რომელიც ყოველთვის თავს დასტრიალებს ადამიანს.

უნდა ხელთ ვიგდოთ ეგ ფრინველი.

-- ოღონდ ცოცხალი.

გოვენმა განაგრძო:

-- აი ჩემი ფიქრი: წინ მივისწრაფოდეთ ყოველთვის! ღმერთს რომ ადამიანისთვის უკან დახვევის ნიჟის მიცემა ნდომოდა, თავზე უკანაც თვალს გამოაბამდა, კეფაზე ჩვენ სულ წინ უნდა ვიციქირებოდეთ. განთიადისკენ, ალორძინებისა და დაბადებისკენ. წაქცეული ამხნეებს ამავალს. ბებერი ხის ქრიალი, რომ წაიქცევა, მოწოდება არის ახალთაობისადმი. თავისას შეასრულებს ყოველი საუკუნე, დღეს საეროს, ხვალ კაცობრიულს. დღეს უფლების საკითხი გადაწყდება. ხვალ ხელფასისა. ხელფასი და უფლება ძირითადად ერთი და იგივე სიტყვა არის. იმისთვის კი არ ცხოვრობს ადამიანი, რომ შრომობდეს და ხელფასს კი ვერ იღებდეს. სიცოცხლეს რომ გვანიჭებს ღმერთი, ვალს იღებს; უფლება დაბადებითვე დაყოფილი ხელფასი არის; ხელფასი შეძენილი უფლება არის.

წინასწარმეტყველის შთაგონებით ამბობდა გოვენი. სიმურდენი უსმენდა. შეცვლილიყო იმათი როლები და ისე იყო ამჟამად. თითქო მოწაფე ასწავლიდა თავის მასწავლებელს.

სიმურდენმა შენიშნა:

— მეტისმეტად მიეჩქარები შენს აზროვნებაში.

— რა ვქნა, რომ მეტად მეჩქარება? — მიუგო ღიმილით გოვენმა.

და განაგრძო:

-- აი, ჩემო მწრთენელო, რით განსხვავდება ჩემი და თქვენი უტოპია: თქვენ სავალდებულო კაზარმა ვნებავთ, მე კი სკოლა მინდა. თქვენ ადამიანი-საღდათი გენატრებათ, მე კი ადამიანი-მოქალაქე. თქვენ საშინელი გინდათ ადამიანი, მე ფიქრის ადამიანი. თქვენ მახვილოვან რესპუბლიკას აარსებთ, მე კი...

გაჩუმდა ერთ წამს და დაათვა:

— მე კი გონებოვან რესპუბლიკას დავაარსებდი.

საპატიმროს ფილაქანს დასცქეროდა სიმურდენი და ისე ჰკითხა:

— და მანამდე რაღას აპირებ?

— რაც არის.

— მაშ ამართლებ აწინდელს?

— დიახ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ქარიშხალი გვცემს. რომ დაიძვრის ქარიშხალი, ყოველთვის იცის, რას უნდა ეცეს. ერთ მუხას წააქცევს, მაგრამ რამდენ ტევრს გასწმენდს! ჰირი სჰირდა ცივილიზაციას და ეს ქარიშხალი განკურნავს. იქნება დაავადებულს ჯანსალიც თან მიაყოლოს. — ყოველთვის კარგად ვერ არჩევდეს მოსასპობს, — მაგრამ სად სცალია მაგისტვის? იმისთანა ვრცელი ფართობი აქვს გასაწმენდი! დამპალი წარსულის საზიზღარ მიაზმს სწორედ ეს ქარიშხალი ესაჭიროება.

და ცოტა ხანს შემდეგ დაუმატა:

— ან არა და, რას მიზამს ქარიშხალი, თუ კომპასი მაქვს? რას მიზამს დღევანდელი ჩარხის ტრიალი, თუ შეგნება მაქვს?

და დაუმატა ხმის დამდაბლებით:

— არის ძალა, რომლის ბრძანებისამებრ ტრიალებს ცხოვრების ჩარხი.

— რა ძალა? — ჰკითხა სიმურდენმა.

გოვენმა თითი აიშვირა ზევით. სიმურდენმა თვალი მიაყოლა მის თითის მიმართულებას, თვალით გასჰკრა ჰერი დილეგისა და ვარსკვლავებით გაკაშკაშებულ ზეცას ახედა.

კიდევ გაჩუმდნენ.

სიმურდენმა მაინც თავისი გაიმეორა:

— შენ საზოგადოება უფრო ძლიერი გინდა, ვიდრე თვით ბუნება არის. აკი გეუბნები, ეგ შეუძლებელია, ოცნებაა უსაფუძვლო.

— ეგ არის მიზანი. ეგ რომ არ იყოს, საზოგადოება რაღად გინდათ? დავრჩეთ ბუნებაში და ბუნებრივად ვიცხოვროთ, ველურებად დავრჩეთ. მაშ სამოთხე ყოფილა ოტაიტში, ოლონდ ამ სამოთხეში არ იციან, რა არის ფიჭვი. მაგისტანა მხეცურ სამოთხეს მე გონებებიანი ჯოჯოხეთი მიჩვევია. მაგრამ არა, არ გვინდა ჯოჯოხეთი! ადამიანთა საზოგადოება შეექნათ, უფრო დიდი და ძლიერი. ვიდრე ბუნება არის. დიახ, თუ არაფერს ჩაუმატებთ ბუნებას, რაღად უნდა გამოხვიდე ბუნებიდან? დაკმაყოფილდით თქვენი შრომით, როგორც ჰიანჰველა და თქვენი შრომის ნაყოფით, როგორც თაფლით ფუტკარი. დარჩით რეგენ მუშად, როდესაც შეგიძლიათ გონებით ბუნების მეფედ გახდეთ. თუ ბუნებას დაუმატებთ რასმე. მით თქვენ უფრო ძლიერი გახდებით, ვიდრე ბუნება არის. დამატება

გაძლიერება არის და გაძლიერება განდიდება. საზოგადოება ბუნებაა ზენაარი. საზოგადოებისთვის მინდა მე ყოველივე ის, რაც არა აქვს სკას, რაც არა აქვს ჭიანჭველების ბუდეს, — ძეგლები, ხელოვნება, პოეზია, გმირები, გენიოსები. იმისთვის კი არ არის გაწეწილი ადამიანი, რომ თავისი დღენი სულ ტვირთი ზიდოს. არა, არა და არა! აღარც პარია უნდა იყოს საზოგადოებაში, აღარც მონა, აღარც ყმა. აღარც კატორღელი და აღარც ტუსალი. მე მინდა, რომ ყოველი სიკეთე ადამიანისა ცნებად გაუხდეს ცივილიზაციას და პროგრესის წინსვლას. მე მინდა გონებრივი თავისუფლება, გულითადი თანასწორობა, სულიერი ძმობა. არა! აღარ იყოს უღელი! ადამიანის დანიშნულება ის კი არ არის, რომ ჯაჭვით შეკრული ცოცავდეს; ადამიანის დანიშნულება არის ფრთის გაშლა და აღმაფრენა! მოვსპოთ მძრომი ადამიანი! მე მინდა ჭუპრი პეპელად გადავაქციო და მიწის მატლი ტურფა ყვავილად. მე მინდა...

გაჩუმდა. თვალი უბრწყინავდა.

ბაგე ეძვროდა, მაგრამ აღარას ამბობდა.

კარი ოდნავ იყო მიხურული, რაღაც ხმაურობა შემოდინდა გარედან. საყვირის ხმა ისმოდა შორიდან, ალბათ ჯარს აღვიძებდნენ. მერე სადარაჯოდან თოფის კონდახის ცემა გაისმა, დარაჯებს სცვლიდნენ; იქვე კოშკთან რამდენადაც შეიძლებოდა ხმაურობით მიხვედრა, რაღაც მძიმე ციფრები მოიტანეს, ან ბოძები, და ძირს რომ დაჰყარეს, ისეთი ხმა მოიღო თითქო ურო დაეცა გრდემლსაო.

გაყვირებული იყო სიმურდენი. ყურს უგდებდა.

გოვენს არაფერი ეყურებოდა.

ის თავისი ფიქრებით იყო გატაცებული. შორს გაჰყოლოდა თავის ოცნებას. იმისთანა თავდავიწყებით შესტკეროდა თავის ოცნების გაკაშკაშებულ კამარას, რომ სუნთქვა აღარ ემჩნეოდა. ტკბილი თრთოლა მორევოდა. კაცობრიობის მომავალი განთიადის სხივი უბრწყინავდა თვალში და თანდათან ეზრდებოდა.

კარგა ხანს იყვნენ ასე.

— რას ფიქრობ? — ჰკითხა სიმურდენმა.

— მომავალს, — მიუგო გოვენმა.

და ისევ თავის ფიქრებს გაჰყვა. წამოდგა სიმურდენი ჩალის კონიდან. გოვენმა ეს ვერც კი შეამჩნია. სიმურდენი ნელნელა მიიწვედა კარისკენ. თვალს ვერ აშორებდა თავის ჩაფიქრებულ მოწაფეს და გავიდა. კარი ჩაკეტეს.

VI

მზის ამოსვლისას

სინათლე მოეფინა ჰორიზონტს.

იმავე დროს რალაც უცნაური, იმისთანა, საკვირველი, რომ ჯერ არსად ენახათ ფრინველებს; გამოჩნდა ტურგის ფერდობზე, ფუ-
ერის ტყის აქედან.

ღამე დასდგეს ალბათ რალაც იყო. ამართულს უფრო ჰგავდა. ვიდრე აშენებულს. შორიდან სწორი, მაგარი ხაზებით აგებული ებ-
რაულ რამე ასოს მოგაგონებდათ. ან ეგვიპტური იეროგლიფს, რომ-
ლითაც აპრელებული იყო ძველი ეგვიპტური გამოცანებრივი ანბანი.

ვინც კი შეხედავდა, ყველას გაუბრუნდა ფიქრი, რომ უსარ-
გებლო რალაც დაუდგამთ ამ ტყის პირას, — ნეტავ რად უნდათ, რაში
გამოიყენებენო? აყვავებულ ბალახში იყო ამართული ეს საზიზლ-
რობა. თავით ფეხამდე შეაჟრჟოლებდა ადამიანს. ერთგვარი ფიცარ-
ნაგი იყო, ოთხფეხიანი. ფიცარნაგის ბოლოში ორი ბოძი იდგა, მაგარი,
სწორი, რომლებსაც ზემოდან კაღონი აერთებდა. ამ ბოძებს მალლა
აეწიათ და ისე შეეყენებინათ რალაც სამკუთხი, რომელიც შავად
მოჩანდა დილის სისხამში. ფიცარნაგის მეორე მხარეს კიბე იყო.
სამკუთხის ქვემოთ, ორ კოქს შუა, პატარა ფართობი იყო — ორი
მოდრავი ფიცარი და ერთმანეთს რომ მიეკვროდნენ, შუაში მრგვალი
ამონაჭერს ტოვებდნენ. დაახლოებით ადამიანის კისრის სისქისას.
ზემო ნაწილი ამ ფართობისა ღარში ცურავდა, ისე რომ შეიძლებო-
და მისი აწევა და დაწევა. ამჟამად ეს ორი ფიცარი, რომლების
შეერთებისას მრგვალი ამონაჭერი ჩნდებოდა, განცალკევებულ იყო.
ორი ბოძის ძირში, რომელზეც სამკუთხი იყო დამაგრებული, ფიცარ-
ი იყო საღსარებზე გამაგრებული, რომ ტრიალი შესძლებოდა. ამ
ფიცრის გვერდით გრძელი კალათი იდგა და ორ ბოძს შუა, ფიცარ-
ნაგის ბოლოში, მეორე კალათი, ოთხკუთხი. წითლად იყო ეს ყვე-
ლაფერი შეღებილი. ხისა იყო ყველაფერი, გარდა სამკუთხისა. სამ-
კუთხი რკინისა იყო. ერთი შეხედვითვე ჩანდა, რომ ადამიანის გაკე-
თებული იყო. იმდენად საზიზლარი იყო, შესაზარი და უხამსი, და
თანაც იმისთანა საზარელი, რომ ამ საშინელების აგებისა და ზიდ-
ვის ღირსეულად ცნობა ავსულის მეტს არაეის შეეძლო.

ეს საზიზლარი მოწყობილობა გილოტინა იყო.

და მის პირდაპირ. რამდენიმე ნაბიჯით დაშორებული, მეორე
საშინელება მოჩანდა, ტურგის კოშკი. ქვის ურჩხული გაჰყურებდა
ხის ურჩხულს. და, ესეც ვთქვათ, ადამიანი რომ ხელს ახლებს ქვას.

და ხეს, ქვა და ხე ქვად და ხედ აღარ რჩება და რალაცას იძენს ადამიანურს. შენობა ფუძე არის ჩვენი მრწამსისა და მანქანა — იდეა.

ტურგი ნაყოფი იყო იმ საზარელი წარსულისა, რომელსაც ბასტილია ეწოდება პარიზში, ლონდონის ციხე ინგლისში, შპილბერგი ვერმანიაში. ესკურიალი ესპანეთში, სენტ-ანჟის ციხე-სიმაგრე რომში.

ტურგში იყო ჩამარხული ათასხუთასი წლის წარსული, საშუალო საუკუნეები, ბატონყმობა, კითრება, ფეოდალიზმი; გილოტინაში კი ერთი წელიწადია, ათას შეიდას ოთხმოცდაცამეტი; და თორმეტი თვე ამ ერთი წლისა ეთანასწორებოდა ტურგის თხუთმეტ საუკუნეს.

ტურგი მონარქია იყო; გილოტინა რევოლუცია.

ტრაგიკულია ეს შეფარდება.

ერთი მხრივ ვალი; მეორე მხრივ ვადა. ერთი მხრივ გამოუვალი გოთური კვანძი — ყმა, ბატონი, მონა, პატრონი, მდაბიო ხალხი. დიდებულები, მრავალგვარი კანონმდებლობა, ადათებითა და ჩვეულებებით განსხვავებული, მსაჯული და მღვდელი ხელიხელ გადაბმული, აურიცხველი ვალდებულებანი, — ხარჯი სახელმწიფო, საბატონო, საეკლესიო, მარილისა, კანონი, რომლითაც საკუთარი მამულის გამგებლობას ჰკარგავდა პატრონი, პირადი გადასახადი, შეღვათები, ცრუმორწმუნეობა, ფანატიზმი, მეფის წყალობა გაკოტრებულისადმი, სკიპტრა. ტახტი, „ჩემი ნებაა“, „ღვთის ბრძანებაა“... მეორე მხრივ ეს უბრალო მოძრაე და საკვეთელი — გილოტინა.

ერთი მხრივ კვანძი; მეორე მხრივ ცული.

დიდი ხანი იდგა მარტოლმარტო ამ უდაბურში ტურგი. იდგა იქ თავისი დოლაბებით. საიდანაც ხშირად დოდა ადულებული ზეთი, აღმოკიდებული ფისი და დამდნარი ტყვია; თავისი დილეგიო, რომლის ძირი მოფენილ იყო ადამიანის ძელებით: თავისი ჩარხით, რომლითაც ოთხად ჰგლეჯდნენ ცოცხალ ადამიანს. იდგა გატენილი საზარელი ტრაგედიით. იდგა მედიდურად საშინელი თვალით გადასცქეროდა ამ ტყეს. თხუთმეტი საუკუნის ბატონი და პატრონი ბრძანდებოდა იქაურობისა, ერთად ერთი ძლიერი მფარველი ქვეყნისა, ერთად ერთი პატივსაცემი და საშიში; მარტოდ მარტო იდგა, მარტოდ მარტო ჰფლობდა და მეფობდა; ერთად ერთი იყო ოვითმპყრობელი ბარბაროსი. და უცბად მის სამფლობელოში, მის თვალწინ, მის გვერდით, მის წინააღმდეგ რალაც ამოძვრა, უფრო მეტი, ვიდრე „რალაც“ იქნებოდა. რალაც გამოიჭიმა ისეთივე საზარელი, როგორც ტურგი იყო, — გილოტინა ეწვია.

ხანდახან ისე გვეჩვენება ქვა, თითქო იმასაც თვალები ჰქონდეს.

უცნაური თვალეები. ძეგლი იცქირება, კოშკი გუშაგობს, შენობის ფასადი სინჯავს. ტურგი თავის მტერს იკვლევდა; გილოტინას ათვალიერებდა.

თითქო ეკითხებოდა:

— რა ხარ? ვინ ხარ? აქ რა გინდა?

და ისე ეჩვენებოდა, თითქო მიწიდან ამომძვრალიყო უცბად.

და ასეც იყო მართლა.

მიწიდან აღმოცენდა ეს ხე, ტანჯულთა ოფლით, ცრემლით, სისხლით გაპოზიერებული მიწიდან, რომელშიც ჩათხრილი იყო მრავალი ორმო, საფლავი; ჯურღმული, საფარი; იმ მიწიდან, რომელშიც მრავალი მსხვერპლი ჩაალპო ტირანიათ, ჯურღმულებით ჩასთხარა, რომ შიგ ჩაეჩქმალა შედეგი თავისი ბოროტებისა და ვერაგობისა. ამ ღრმა მიწიდან აღმოცენდა დანიშნულ ვადაზე ეს ჯერ უნახავი, ჯავრის ამომყრელი, შურისმძიებელი მანქანა ბასრ-მახვილიანი ოთხმოცდაცამეტს. წარუდგა ძველ ქვეყნიერებას და შესძახა: — ახლა მე!

სრული უფლება ჰქონდა გილოტინას ეთქვა ტურგის კოშკისთვის:

— მე შენი ღვიძლი შეილი ვარ.

და იმავე დროს კოშკიც გრძნობდა, — დიახ, ამ საშინელ საგნებსაც აქეთ თავისებური ბნელი სიცოცხლე: — კოშკიც გრძნობდა, რომ გილოტინა იმის მკვლელი იყო.

შეჰყურებდა ტურგი თავის მკვლელს და ვეღარ მალავდა თავის შიშს. კლდეზე მალლად ამართული კოშკი დიდებული იყო და შერცხვნილი; იმაზე უფრო ძლიერი იყო გილოტინის სამკუთხი მახვილი. ყოვლად შემძლებელ წარსულს შიში ერევოდა ყოვლად ძლიერი აწინდელისა. მტარვალობის ისტორია შიშით მოელოდა თავისუფლების ისტორიას. მძვინვარება წარსულისა თავის თავს ადარებდა აწინდელ მძვინვარებას. ძველებური სიმაგრე, ძველებური ბატონი, ძველებური დილეგი, სადაც ასოასოდ ჰგლეჯდნენ ცოცხალ ადამიანს, ძველებური საზრძოლი და ხალხის საჟლეტი კოშკი და გალავანი, დღეს უსარგებლო და მივიწყებული, შეურაცხყოფილი, აქა-იქ მინგრეული; გვირგვინმოხდილი, უმნიშვნელო ქვის გროვა ნაცრის ფასად ქცეული, ბილწი, მკვდარი, მთლად სავსე დაკარგული მშვენიერებისა და ძლიერების მოგონებით, გულგახეთქილი შესცქეროდა მის მაგივრად გამეფებულ სიცოცხლეს. გუშინდელი თრთოდა დღევანდლის წინ. ძველი მძვინვარება განიცდიდა შიშს ახლისას. სამარეში ჩაკრული წარსული სულთმობრძავის თვალით:

შეჰყურებდა ტერორს, შერცხვენილი წყვილიადი — ბრწყინვალე სინათლეს.

ულმობელი არის ბუნება. რაც უნდა მოხდეს, არ დაჰფარავს თავის ყვავილებს, თავის მუსიკას, თავის სუნნელებას და თავის სხივებს ადამიანის უშვერების გამო. ბუნება თვალწინ უყენებს ადამიანს ლეთიურ მშვენიერებას და საზოგადოებრივ საზიზღროებას, რომ უკეთ შეაგნებინოს ეს განსხვავება; პეპელის ფრთას არ შეაწევს ან ბულბულის გალობას. და აიძულებს სისხლისღვრით გახელებულს, შურისძიებით გაშმაგებულს, ბარბაროსებრ გამხეცებულს თვალი გაახილოს და სათნო და კეთილიც დაინახოს. ვერსად წაუვა ადამიანი იმ საყვედურს, რომელსაც აძლევს მის უკეთესობას ბუნების სიტკბოება და მშვენიერება. უშვერებას ადამიანის კანონებისას ცხად-ჰყოფს ბუნება თავისი მარადი ბრწყინვალეობით. ამტკრევს და ამსხვრევს ადამიანი; ზოცავს და სპობს, მაგრამ ზაფხული ზაფხულად რჩება, ვარდი ვარდად და ვარსკვლავი ვარსკვლავად.

ამ დილასაც მომხიბლავი იყო გრილი ცა, ამომავალი მზის შექცით მოფენილი. ნელი სიო არხევდა ფოთოლს, ნელა იძვროდა ხეებში ლამის ნისლი. ფუჟერის ტყე. წყაროებიდან ამომავალი სიგრილით სავსე, ისე ბოლავდა მზის ამოსვლისას, როგორც ერთი დიდი საცეცხლური საკმეველით სავსე. მოწმენდილი იყო ზეცა. იაგუნდად და ზურმუხტად ამწვანებულიყო დედამიწა. ძმურად ეხვევოდნენ ერთმანეთს ხეები. სუფრასავით გადაშლილიყო ბალახი და ყველას ამშვენებდა ის წმინდა მშვიდობიანობა, რომელსაც მარად ჩასძახის ბუნება ადამიანს. ამ მშვიდობიანობასა და ერთსულოვნებაში მალლად ამართულიყო საზარელი საზიზღრობა ადამიანისა: ერთი მხრივ ძველი კოშკი, მეორე მხრივ ახალი ეშაფოტი, ომი და წამება, ორი ნიშანი სისხლისმღვრელი წარსულისა და სისხლიანი წუთისა; ქოტი წარსულის წყვილიადისა და ღამურა მომავლის ბინდისა. ყვავოდა ბუნება, სუნნელებას აფრქვევდა მომხიბლავი ქადაგი სიყვარულისა და ამომავალი მზის სხივს სცემდა ადამიანის მარცხვენელ ტურგს და გილოტინას, თითქო უნდა დაუძახოს:

— აბა, შენსას შეადარე ჩემი ნაღვაწი!

ასე ბრწყინვალედ ხმარობს მზე თავის სინათლეს.

საგანგო სანახავი იყო ბუნება, საზარელი იყო ტურგ-გილოტინა და თავისი მაყურებელიც ჰყავდა ამ სანახავს.

ოთხი ათასი კაცი დაეყენებინათ სამხედრო წესით კოშკის პირდაპირ; სამი მხრივ გარს ეხვევოდნენ გილოტინას და ჰქმნიდნენ ჟრანგულ IV-ს მსგავს წყობას. ზარბაზნები დიდი ხაზის შუაზე დაე-

დგად. წითელი მანქანა მომწყვედელუსავით იდგა ამ თითქო საბრძოლ-
ლად გამოყვანილ ჯარში. რომელიც კედელივით იდგა ორივე მხრივ
ხევის პირამდე. მეოთხე მხარე ღია იყო, ხევის პირას, და ტურგს შეს-
ცქეროდა.

გრძელი ოთხკუთხი ფართობი იყო ხევით და სამი მხრით ჯარით
შემოხლულდული. და შუაში გილოტინა ედგა. რაც უფრო მეტად
ამოდიოდა მზე, მით უფრო დამცირდებოდა გილოტინის ბალახზე
გაშლილი ჩრდილი.

ზარბაზნები მზად ჰქონდათ გატენილი; გვერდზე ანთებული მაშ-
ხალებით იდგნენ ჯარისკაცები.

ხევიდან ჯერ კიდევ ამოდიოდა კვამლი. ჯერ არ გამქრალიყო
ხილზე აგებული შენობის ხანძარი.

კვამლი ედებოდა ტურგს, თუმცა კი ვერ ჰფარავდა, და კოშკის
ბანი ძველებურად ამართულიყო შორიდან დასანახავად. კოშკისა და
გილოტინას შუა ღრმა ხევილა იყო და ისე ახლო იყვნენ ერთმანეთ-
თან, რომ ბაასსაც შესძლებდნენ, თუ მოისურვებდნენ.

იქვე დაედგათ სასამართლოში ნახმარი მაგიდა, სკამები, სამფე-
როვანი დროშების კონით მორთული სკამი თავმჯდომარისა.. ტურ-
გის უკანიდან ამოდიოდა მზე და სხივს სცემდა შავ შენობას, კოშკის
ბანს, თავმჯდომარის სკამს და მის შემოდან დროშებს, და ამ სკამ-
ზე მჯდომარეს — უძრავს. გაქეავებულს, გულხელდაკრეფილს.

სიმურდენი იჯდა გუშინდელივით თავის სკამზე. იგივე ტანი-
სამოსი ეცვა, მთავრობის მიერ მოვლინებული წარმომადგენელისა,
იგივე ქუდი ეხურა, მხარზე ხმალი ეკიდა და ქამარში ორი დამბაზა
ჰქონდა ჩარჭობილი.

გაჩუმებული იყო, გაჩუმებულიყვნენ ყველანი: თოფი ძირს დაე-
შვათ სალღათებს და მიწას დასცქეროდნენ. ახლო იდგნენ ერთმა-
ნეთთან, იდაყვით ეხებოდნენ, მაგრამ არ ლაპარაკობდნენ. ისინიც ამ
ომის ფიქრში იყვნენ; მრავალა ბრძოლა გამოეარათ, სროლა და ხელ-
ჩართული შეტაკება გაცოფებული გლეხკაცების ბრბოვებთან; მრავალი
სიმაგრე აეღოთ, მრავალი გამარჯვება ენახათ და გრძნობდნენ
მწუხარებით, რომ მთელი მათი გამარჯვება და დიდება სირცხვი-
ლით ბოლოვდებოდა. გლოვისებური მოლოდინი უწყლავდათ გულს.
გილოტინაზე ჯალათს ხედავდნენ, — მიდი-მოდიოდა, მანქანას ამ-
ზადებდა. მზის სხივი მატულობდა და ედებოდა ზეცას.

ხმაურობა გაისმა უცბად, კრეპით დაფარული დოლის ცემა.
ნელნელა უახლოვდებოდა ეს ხმა სიმურდენსა და ჯარს. ჯარი გა-



ირღვა, გამოატარა და დოლის ცემით ეშაფოტისკენ წამოვიდა პატარა ჯგუფი.

წინ შავ კრებში შეხვეული დოლებით მოდიოდნენ მედოლეები, მერე გრენადერები ძირს დაშვებული თოფებით, მერე ხმალამოღებული ჟანდარმები, მათ უკან დასასჯელი, — გოვენი.

თავისუფლად მოდიოდა გოვენი. არც ფეხები ჰქონდა შეკრული, არც ხელები. თავისი სამხედრო ტანისამოსი ეცვა, ხმალი ეკიდა.

უკანაც ჟანდარმები მოსდევდნენ.

სახეზე იგივე ტუბილი სიხარული უბრწყინავდა, რომლითაც წელან სიმურდენს მიუგო პასუხად: — მე მომავალს ვფიქრობ. — არაფერი იქნებოდა ასე წმინდა და დაუფიწყარი, როგორც იყო ეს დიდებული მომავლით გატაცებული ღიმილი.

ეშაფოტთან რომ მივიდა, პირველად თავის კოშკს გადაავლო თვალი. უგულვებელჰყო გილოტინა, არც კი შეხედა.

იცოდა, რომ თავის მოვალეობად მიაჩნდა სიმურდენს აღსასრულს დასწრებოდა. ძებნა დაუწყო თვალთ და აგერ იპოვა.

მიცვალებულის, უკვე გაცივებულის ფერი ედგა სიმურდენს. ანლო უდგნენ ბევრნი, მაგრამ მისი სუნთქვა არავის ესმოდა.

გოვენი რომ დაინახა, არ აკანკალდა.

გოვენი კი ეშაფოტისკენ მიდიოდა.

მიდიოდა და თვალს ვერ აშორებდა თავის მასწავლებელს. სიმურდენიც თვალთ მისდევდა თავის მოწაფეს, თითქო მით იმაგრებს გულს და ზედ ეყრდნობაო.

ეშაფოტთან მივიდა გოვენი. ზედ ავიდა. გრენადერების მეთაურიც თან აჰყვა. ხმალი მოიხსნა გოვენმა და იმას ჩააბარა, ყელსახვევი მოიხსნა და ჯალათს მისცა.

განხორციელებულ ოცნებას ჰგავდა მშვენიერებისას. თეთრი კისერი ლამაზ ქალს მოგაგონებდათ და ლმობიერებით სავსე ვაჟაკური თვალი, მთავარანგელოზს. ეშაფოტზე იყო და მაინც თავის ოცნებას მისდევდა. ეშაფოტიც მწვერვალია და მამაცად იდგა ამ მწვერვალზე დიადი, მშვიდი. მზის შუქი ეხვევოდა და დიდების სხივით ზისავდა.

საქირო იყო შეკვრა განწირულისა. თოკით ხელში მიუახლოვდა ჯალათი.

და ამ წამს, როცა დარწმუნდა ჯარი, რომ მართლა გადაწყვეილი იყო გოვენის მოკვლა, რომ გილოტინით უპირებდნენ თავის ოქრას იმათ საყვარელ მხედართმთავარს, მეტი ვერ შესძლეს საღათებმა და უცბად გაისმა ჯარის ქვითინი, თან ყვირილი მოჰყვა: — თხოცდაცამეტი

აპატიეთ, აპატიეთ! — ზოგი დაჩოქილი იყო, ზოგს თოფი დაეგლო და სიმურდენისკენ ხელგაპყრობილი ემუდარებოდა, — შეუნდეთ, ნუ გასწირავთო. ერთმა გრენადერმა გილოტინისკენ გაიშვირა ხელი და შეჰყვირა: — თუ მიმიღებთ მის მაგივრად, მზად გახლავართ, მოვდივარ! და მთელი ჯარი გაიძახოდა დაუინებით:—აპატიეთ! აპატიეთ!— ლომებს რომ გაეგონათ ეს ყვირილი, ისინიც კი შეშინდებოდნენ და შეიბრალებდნენ, რადგან საშინელია და გულისმღობი სალდათის ცრემლი და მუდარება.

გაჩერდა ჯალათი, აღარ იცოდა, რა ექნა.

ერთი ხმა გაისმა მაშინ, — მოკლე, მკაცრი ბრძანება:

— კანონის ძალით!

ყველამ იცნო უღმობელი ხმა სიმურდენისა. სიმურდენმა ბრძანა, ჯარმა ცახცახი დაიწყო.

ახლა კი გაბედა ჯალათმა, მივიდა თოკით გოვენთან.

— ერთ წამს მაცადე, — სთხოვა გოვენმა.

სიმურდენისკენ მიბრუნდა, მარჯვენა ხელით, ჯერ შეუკრავით, გამოთხოვების ნიშანი მისცა და ჯალათს დანებდა.

როცა შეუკრეს ხელფენი, ერთხელ კიდევ სთხოვა ჯალათს:

— უკაცრავად, ერთ წამს კიდევ.

და დაიძახა:

— რესპუბლიკას გაუმარჯოს!

დააწვინეს. ორი ფიცარი მიუცურეს სამარცხვინო საყელოდ ამ მომხიბლავ თავს. ჯალათმა ფრთხილად აუწია თმა, მერე ხელი დააქირა რესორს. დაიძრა სამკუთხი მახვილი, დაეშვა თავის საკლავისკენ, ჯერ ნელა მიდიოდა, მერე კი უცბად აჩქარდა და დაჰკრა... საწარელი ხმა გაისმა მახვილის დაცემისა.

იმ წამსვე გაისმა კიდევ მეორე ხმა. მახვილის დაცემას დამბაჩამ მისცა ბანი. სწორედ იმ დროს, როდესაც გოვენის თავი კალათში ჩავარდა, სიმურდენმა იძრო დამბაჩა და შიგ გულში იცა დამბაჩი! ტყვია. სისხლი წასკდა პირიდან და მკვდარი დაეშვა მიწაზე.

ერთად გაფრინდა ორივეს სული, მიწიერი ვარამით შეერთებულნი, და ერთს წყვედიანი უერთდებოდა მეორის ბრწყინვას.

ს ა რ ჩ ე ვ ი

პირველი ნაწილი

წიგნი პირველი

სოდრეს ტყე		7
	წიგნი მეორე	
გემი კლეიმორი		22
	წიგნი მესამე	
ჰალმალო		58
	წიგნი მეოთხე	
ტელმარში .		73

მეორე ნაწილი

წიგნი პირველი

სიმურდენი		103
	წიგნი მეორე	
პანის ქუჩის სამიკიტნო		121
	წიგნი მესამე	
კონგენტი		150

მესამე ნაწილი

წიგნი პირველი

ვანდე		185
	წიგნი მეორე	
სამი ბავშვი		204
	წიგნი მესამე	
წმ. ბართოლომეს სახარების ფხრეწა .		272
	წიგნი მეოთხე	
დედა		287
	წიგნი მესამე	
ქველი გულქვაში		333
	წიგნი მესამე	
ბრძოლა გამარჯვების შემდეგ		350
	წიგნი მესამე	
მუერდალიზში და რევერლუცია		366

პ/მგ. რედაქტორი ვ. სალარიძე